

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის
სახელმწიფო მუზეუმი

დიმიტრი ყიფიანი

# თხზულებანი

ათ ტომად

ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘ

# ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

## ᲢᲝᲛᲘ VIII

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐ
ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ
(1860-1868)

შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, შენიშვნები,
კომენტარები და საძიებლები დაურთო

**ᲗᲐᲛᲐᲖ ᲯᲝᲚᲝᲒᲣᲐ**

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ
ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

თბილისი 2024

UDC (უაკ) 821.353.1-6
ყ-561

დიმიტრი ყიფიანის ათტომეულის მერვე ტომში შესულია დიმ. ყიფიანის ოფიციალური და საქმიანი წერილები, მიმართვები, თხოვნები, განცხადებები (1860-1868). აქ წარმოდგენილი ტექსტები, რომელთაგან მხოლოდ მცირე ნაწილია დღემდე გამოქვეყნებული, მრავალმხრივ საინტერესო მასალაა როგორც საკუთრივ დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება-მოღვაწეობის, ისე XIX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ადმინისტრაციულ-მმართველობითი, კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებისა და საზოგადოებრივი აზრის შესწავლისათვის და, ვფიქრობთ, დააინტერესებს როგორც სპეციალისტებს, ისე XIX საუკუნის საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ მკითხველს.

რედაქტორი
**რევაზ გოგია**

დიზაინერი
**დათო მოსიაშვილი**

**ISBN** 978-9941-463-37-2 (დიმიტრი ყიფიანი. თხზულებანი)
**ISBN** 978-9941-9929-1-9 (VIII ტომი)

© თამაზ ჯოლოგუა, 2024





## ს ა რ ჩ ე ვ ი

### 1860


1. თბილისის სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეთა სასამართლო პალატისადმი ........ 17 302
2. გორის მაზრის სასამართლოსადმი ........ 24 303
3. ალექსანდრე ბარიატინსკისადმი ........ 28 306
4. ვასილ ინსარკისადმი ........ 29 307
5. ალექსანდრე ონიკაშვილისადმი ........ 30 307
6. თბილისის სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეთა სასამართლო პალატისადმი ........ 31 309
7. ალექსი კრუზენშტერნისადმი ........ 32 310
8. გიორგი [მუხრანბატონისადმი] ........ 33 311
9. ალექსი კრუზენშტერნისადმი ........ 35 313
10. ალექსანდრე ბარიატინსკისადმი ........ 36 314
11. გრიგოლ ორბელიანისადმი ........ 37 315
12. პეტრე დირინისადმი ........ 40 320


### 1861


13. [ალექსი კრუზენშტერნისადმი] ........ 43 321
14. ალექსანდრე ბარიატინსკისადმი ........ 45 321
15. ნიკოლოზ დემენტიევისადმი ........ 52 324
16. ალექსი კრუზენშტერნისადმი ........ 53 326
17. ლუი ალომისადმი ........ 53 327

**1862**


18. ეკატერინე დადიანისადმი ..... 54 327
19. ეკატერინე დადიანისადმი ..... 56 328
20. ეკატერინე დადიანისადმი ..... 56 328
21. ეკატერინე დადიანისადმი ..... 58 331
22. ეკატერინე დადიანისადმი ..... 63 334
23. ივანე ანდრონიკაშვილისადმი ..... 64 335
24. მიხეილ თუმანიშვილისადმი ..... 65 337
25. ალექსანდრე დავითის ძე [ორბელიანისადმი] ..... 66 338
26. ალექსი კრუზენშტერნისადმი ..... 69 339
27. ივანე ანდრონიკაშვილისადმი ..... 70 341
28. მიხეილ თუმანიშვილისადმი ..... 71 341
29. ალექსი კრუზენშტერნისადმი ..... 71 342
30. სოლომონ [ანდრონიკაშვილისადმი] ..... 72 343
31. ეკატერინე დადიანისადმი ..... 73 345
32. ეკატერინე დადიანისადმი ..... 78 348
33. კონსტანტინე ორლოვსკისადმი ..... 79 349
34. ეკატერინე დადიანისადმი ..... 81 350
35. მიხეილ თუმანიშვილისადმი ..... 83 352
36. მიხეილ თუმანიშვილისადმი ..... 85 353
37. ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანისადმი ..... 86 374
38. ეკატერინე დადიანისადმი ..... 89 355
39. ეკატერინე დადიანისადმი ..... 90 355
40. ეკატერინე დადიანისადმი ..... 91 356
41. ანტუან დე ფინოსადმი ..... 92 356
42. დავით ოტიას ძე ჩიქოვანისადმი ..... 93 357
43. ეკატერინე დადიანისადმი ..... 95 358
44. ეკატერინე დადიანისადმი ..... 97 359
45. ეკატერინე დადიანისადმი ..... 98 359

46. მიხეილ თუმანიშვილისადმი ........................................ 100 360
47. ეკატერინე დადიანისადმი ........................................ 101 361

### 1863

48. ეკატერინე დადიანისადმი ........................................ 103 363
49. ივანე ანდრონიკაშვილისადმი ........................................ 105 364
50. ეკატერინე დადიანისადმი ........................................ 106 366
51. ეკატერინე დადიანისადმი ........................................ 108 367
52. ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანისადმი .................. 108 368
53. ეკატერინე დადიანისადმი ........................................ 109 369
54. ეკატერინე დადიანისადმი ........................................ 111 370
55. ეკატერინე დადიანისადმი ........................................ 112 371
56. ეკატერინე დადიანისადმი ........................................ 114 373
57. ჯონ ე. გოვენისადმი ........................................ 115 374
58. თბილისის გუბერნიის მაზრების თავადაზნაურობის წინამძღოლებისადმი ........................................ 116 375
59. კონსტანტინე ორლოვსკისადმი ........................................ 117 376
60. პეტრე ლადინსკისადმი ........................................ 120 377
61. ეკატერინე დადიანისადმი ........................................ 122 378
62. ეკატერინე დადიანისადმი ........................................ 123 379
63. ეკატერინე დადიანისადმი ........................................ 125 379
64. ეკატერინე დადიანისადმი ........................................ 126 380
65. ეკატერინე დადიანისადმი ........................................ 127 381

### 1864

66. ეკატერინე დადიანისადმი ........................................ 128 382
67. ეკატერინე დადიანისადმი ........................................ 129 383
68. ეკატერინე დადიანისადმი ........................................ 131 384
69. ეკატერინე დადიანისადმი ........................................ 133 387

70. მიხეილ თუმანიშვილისადმი .......................................... 134 387
71. ეკატერინე დადიანისადმი .............................................. 135 389
72. მიხეილ ნიკოლოზის ძისადმი ......................................... 136 389
73. ეკატერინე დადიანისადმი .............................................. 137 391
74. ეკატერინე დადიანისადმი .............................................. 139 393
75. კონსტანტინე ორლოვსკისადმი ...................................... 140 394
76. ევგენი ბელოისადმი........................................................ 142 395
77. კონსტანტინე ორლოვსკისადმი ...................................... 143 396
78. ეკატერინე დადიანისადმი .............................................. 144 396
79. თბილისის გუბერნიის მაზრების თავადაზნაურობის
წინამძღოლებისადმი ...................................................... 145 397
80. ივანე ანდრონიკაშვილისადმი ........................................ 148 399
81. გრიგოლ ორბელიანისადმი............................................. 148 400
82. ეკატერინე დადიანისადმი .............................................. 149 402
83. პეტრე სობოლშჩიკოვისადმი.......................................... 150 403
84. ეკატერინე დადიანისადმი .............................................. 150 404
85. ივანე და ვასილ ყიფიანებისადმი .................................. 151 406
86. ზაქარია (ზაალ) [ბარათაშვილისადმი] ........................... 152 406
87. ალექსანდრე ნიკოლაისადმი .......................................... 153 407
88. ეკატერინე დადიანისადმი .............................................. 161 408
89. იული ვიტესადმი............................................................. 162 409
90. ეკატერინე დადიანისადმი .............................................. 163 410
91. ეკატერინე დადიანისადმი .............................................. 165 411
92. ეკატერინე დადიანისადმი .............................................. 167 413
93. ეკატერინე დადიანისადმი .............................................. 167 413
94. ივანე ანდრონიკაშვილისადმი ........................................ 168 414
95. კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს
სასამართლოს საქმეთა დეპარტამენტისადმი............. 169 414

## 1865

96. ივანე ანდრონიკაშვილისადმი ........................................172 415
97. ეკატერინე დადიანისადმი ............................................173 415
98. ივანე ანდრონიკაშვილისადმი ........................................174 416
99. ეკატერინე დადიანისადმი ............................................174 417
100. ეკატერინე დადიანისადმი ...........................................176 419
101. სალომე დავითის ას. ჭავჭავაძისადმი..........................177 419
102. კონსტანტინე ორლოვსკისადმი ...................................180 423
103. ეკატერინე დადიანისადმი ...........................................186 424
104. ეკატერინე დადიანისადმი ...........................................187 425
105. კონსტანტინე ორლოვსკისადმი ...................................189 426
106. ალექსანდრე ნიკოლაისადმი .......................................190 427
107. კონსტანტინე ორლოვსკისადმი ...................................190 428
108. კონსტანტინე ორლოვსკისადმი ...................................191 428
109. კონსტანტინე ორლოვსკისადმი ...................................191 429
110. კონსტანტინე ორლოვსკისადმი ...................................192 429
111. კონსტანტინე ორლოვსკისადმი ...................................192 430
112. მემამულეებისთვის გლეხთა პირადი გადასახადების სანაცვლო ანაზღაურების გამცემი თბილისის კომისიისადმი ...........................................................194 430
113. ეკატერინე დადიანისადმი ...........................................194 431
114. ეკატერინე დადიანისადმი ...........................................196 432
115. მიხეილ თუმანიშვილისადმი .........................................197 433
116. თბილისის ხაზინისადმი.................................................198 434
117. ალექსანდრე ნიკოლაისადმი .......................................198 434
118. ეკატერინე დადიანისადმი ...........................................201 435
119. გორის მაზრის მემამულეებისათვის მათი ყოფილი გლეხების პირადი გადასახადების სანაცვლო ანაზღაურების გამცემი სამაზრო კომისიისადმი.........202 436

120. ეკატერინე დადიანისადმი ............................................204 436
121. ვასილ ვასილის ძისადმი ...............................................205 437
122. ეკატერინე დადიანისადმი ............................................206 437
123. ეკატერინე დადიანისადმი ............................................207 439
124. ეკატერინე დადიანისადმი ............................................209 440
125. თბილისის სამაზრო ხაზინისადმი ................................209 440
126. ეკატერინე დადიანისადმი ............................................210 441
127. ამიერკავკასიის სახაზინო პალატისადმი .....................212 442
128. იული ვიტესადმი............................................................213 442
129. იული ვიტესადმი............................................................215 444

## 1866

130. რიჩარდისადმი ...............................................................216 444
131. ეკატერინე დადიანისადმი ............................................218 445
132. ეკატერინე დადიანისადმი ............................................218 446
133. თბილისის მეექვსე სამიჯნე კომისიისადმი ..................219 446
134. ეკატერინე დადიანისადმი ............................................220 447
135. ეკატერინე დადიანისადმი ............................................221 448
136. კონსტანტინე ორლოვსკისადმი ....................................223 450
137. იული ვიტესადმი............................................................224 450
138. ეკატერინე დადიანისადმი ............................................225 451
139. ელიზბარ ერისთავისადმი ............................................226 452
140. ეკატერინე დადიანისადმი ............................................227 453
141. ეკატერინე დადიანისადმი ............................................228 454
142. ნიკოლოზ გულკევიჩისადმი .........................................229 455
143. ქვიშხეთის მამასახლისისა და მოსამართლეებისადმი... 229 456
144. გრიგოლ აპოსტოლოვისადმი .......................................231 457
145. ნიკოლოზ დადიან-მინგრელსკისადმი..........................231 458

146. თბილისის სამაზრო ხაზინისადმი ................................232 459
147. ეკატერინე დადიანისადმი ............................................232 460
148. პავლე გაგარინისადმი .................................................233 461
149. გრიგოლ აპოსტოლოვისადმი ........................................237 462
150. პავლე გაგარინისადმი .................................................237 463

## 1867

151. ნიკოლოზ დადიან-მინგრელსკისადმი..........................238 463
152. ეკატერინე დადიანისადმი ............................................239 464
153. ეკატერინე დადიანისადმი ............................................239 464
154. ივანე ანდრონიკაშვილისადმი ......................................241 466
155. ალექსანდრე ნიკოლაისადმი ........................................243 467
156. ალექსანდრე ნიკოლაისადმი ........................................244 467
157. ნიკოლოზ დადიან-მინგრელსკისადმი..........................244 468
158. დიურანისადმი ............................................................247 469
159. ნიკოლოზ დადიან-მინგრელსკისადმი..........................248 469
160. კონსტანტინე ნიჟარაძისადმი ......................................249 470
161. კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს
სახელმწიფო ქონების დეპარტამენტისადმი .................249 471
162. კონსტანტინე ორლოვსკისადმი ...................................250 472
163. ლევან ჩხეიძისადმი......................................................251 472
164. ნიკოლოზ კოსტილევისადმი .......................................252 473
165. ნიკოლოზ დადიან-მინგრელსკისადმი..........................253 474
166. კონსტანტინე დადიანისადმი .......................................254 474
167. ვლადიმერ ლევაშოვისადმი.........................................255 477
168. ეკსელბირტებისადმი...................................................257 479
169. ეკსელბირტებისადმი...................................................258 479
170. თბილისის მეექვსე სამიჯნე კომისიისადმი .................258 480

171. სალომე [აბაშიძისადმი] ....................................... 260 483
172. გრიგოლ ორბელიანისადმი ....................................... 261 484
173. მიხეილ თუმანიშვილისადმი ....................................... 262 485
174. ნიკოლოზ გაგენტორნისადმი ....................................... 262 486
175. ალექსანდრე ერისთავისადმი ....................................... 263 486
176. ეკატერინე დადიანისადმი ....................................... 264 489
177. კონსტანტინე დადიანისადმი ....................................... 265 490
178. კონსტანტინე ნიჟარაძისადმი ....................................... 266 490
179. მიხეილ თუმანიშვილისადმი ....................................... 266 491
180. სოლომონ ანდრონიკაშვილისადმი ....................................... 267 491
181. ალექსანდრე ნიკოლაისადმი ....................................... 267 494

**1868**

182. იული ვიტესადმი ....................................... 268 495
183. ეგორ სტარიცკისადმი ....................................... 269 496
184. ალექსანდრე ნიკოლაისადმი ....................................... 270 497
185. ეკატერინე დადიანისადმი ....................................... 271 497
186. ალექსანდრე ნიკოლაისადმი ....................................... 272 498
187. პეტრე ლადინსკის ანდერძის აღმსრულებლებისადმი ... 274 498
188. გრიგოლ აპოსტოლოვისადმი ....................................... 275 499
189. [გრიგოლ დადიანისადმი] ....................................... 276 500
190. სალომე დადიან-მიურატის ნათესავებისადმი ....................................... 276 502
191. იული ვიტესადმი ....................................... 277 502
192. იული ვიტესადმი ....................................... 277 503
193. ალექსანდრე მურავიოვისადმი ....................................... 278 503
194. დუშეთის მაზრის თავადაზნაურობისადმი ....................................... 279 504
195. კონსტანტინე დადიანისადმი ....................................... 280 505
196. კონსტანტინე დადიანისადმი ....................................... 281 506

197. ეკატერინე დადიანისადმი ........................................282 506
198. კონსტანტინე ნიჟარაძისადმი ....................................284 507
199. ნიკოლოზ დადიან-მინგრელსკისადმი........................285 508
200. ეკატერინე დადიანისადმი ........................................287 508
201. ნიკოლოზ დადიან-მინგრელსკისადმი........................287 509
202. ნიკოლოზ დადიან-მინგრელსკისადმი........................293 510
203. ეკატერინე დადიანისადმი ........................................294 511
204. გრიგოლ დადიანისადმი...........................................294 511
205. სიღნაღის მაზრის თავადაზნაურობისადმი .................295 513
206. ეკატერინე დადიანისადმი ........................................296 513

**შენიშვნები და კომენტარები:**

ტექსტისათვის.........................................................299
დამოწმებანი............................................................515
შემოკლებანი ...........................................................527

**საძიებლები:**

პირთა ....................................................................529
გეოგრაფიულ სახელთა..........................................591

## 1860

## 1. თბილისის სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეთა სასამართლო პალატისადმი

ტფილისის სისხლის სამართლისა და სამოქალაქო
საქმეთა სასამართლო პალატას

ნამდვილ სამოქალაქო მრჩეველს, ***დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანს,***
თავისი სახელითა და ძმის, ტიტულარული მრჩევლის,
***ქაიხოსრო ივანეს ძე ყიფიანის,*** მინდობილობით შემოაქვს

გ ა მ ა ბ ა თ ი ლ ე ბ ე ლ ი  გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა[1]

ამა თვის 20 რიცხვში სასამართლო პალატაში მივიღე ორი ასლი: ა) ტფილისის გუბერნიის პროკურორის ამხანაგის, ბატონ კოლეგიის მრჩეველ კრივეცკისა; და ბ) გასული 1859 წლის 2 მარტისა და 12 აგვისტოს პასუხები №№3 და 11. ამ პასუხებში მოცემულია საბოლოო უარყოფა ჩემი იმ განმარტებებისა, რომლებიც ხაზინასთან ბორჯომის მამულთან დაკავშირებულ სასამართლო დავას ეხება.[2]

არსი ხსენებული უარყოფისა მდგომარეობს შემდეგში:

1. მოცემულ საქმეში მოპასუხე მხარეა არა ხაზინა, არამედ — თავადი ავალოველი.

2. მე-10 ტომის 1166-ე და 1171-ე მუხლებს (57 წლის გამოცემაში 1410 და 1416) მოცემულ საქმესთან შემხებლობა არა აქვს.

3. ბორჯომის ადგილ-მამული უმაღლესი ნებართვით ნაყიდი აქვს კავკასიის ყოფილ მეფისნაცვალს, თავად ვორონცოვს.

4. თავადი ავალოვები ამტკიცებენ, რომ თავად ზურაბ ავალოვს უფლება არ ჰქონდა, გაეყიდა ხსენებული ადგილ-მამულის რომელიმე ნაწილი და, გარდა ამისა, გაყიდვის დროს მამული იყო სეკვესტრირებული.

5. ჩემი და ჩემი ძმისთვის მამულის საკუთრებაში გადაცემა მოხდა დადგენილი წესების დარღვევით. თვითონ გადაცემა საკუთრებისა გაფორმდა მხოლოდ ქაღალდზე, რეალურად კი ეს არ მომხდარა და ჩვენ ამ მამულის მფლობელები არ ვყოფილვართ არც მანამდე და – არც მას მერე.

6. სასარჩელე თხოვნაში ჩვენ მიერვეა აღიარებული, რომ მამული დათმობილი გვაქვს ხაზინისთვის და პრეტენზია შეიძლება გვქონდეს მხოლოდ 500 მანეთზე, რომელიც თავად ავალოვებისაგან უნდა ამოვიღოთ.

7. თავის პირველ პასუხში პროკურორის ამხანაგს არაფერი უთქვამს იმის შესახებ, რომ ჩვენ მიერ განსაზღვრული ღირებულება სარჩელისა გადამეტებულია. ამჟამად კი იგი ჩვენ მიერ დასახელებულ თანხას ერთობ გადაჭარბებულად მიიჩნევს.

8. 12 აგვისტოს პასუხში პროკურორის ამხანაგი წერს, რომ ხაზინის ინტერესთა დასაცავად მისთვის ცნობილი გარემოებები 1854 წლის 3 ნოემბრისა და 1859 წლის 2 მარტის პასუხებში აქვს განმარტებული. სხვა მტკიცებულებები არა აქვს, ამიტომაც ითხოვს, გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებულ იქნეს ხსენებული პასუხები, ხოლო 2 მარტის პასუხს უნდა დაემატოს ახალი მონაცემები.

გუბერნიის პროკურორის ამხანაგის ყველა ზემოხსენებული დასკვნის გასაბათილებლად, მაქვს პატივი, პუნქტობრივი თანამიმდევრობით მოგახსენოთ:

1. საკითხი იმის შესახებ, ხაზინაა მოპასუხე მხარე, თუ თავადი ავალოვები, უკვე გადაწყვეტილია მმართველი სენატის მიერ პალატის სახელზე გაცემული 1859 წლის 3 აპრილის ბრძანებულებით (№1181) და აღარ ექვემდებარება განხილვას.[3]

2. თვითონ ამ პუნქტში მოყვანილი მუხლები კანონისა, რომელთაგან ერთ-ერთი პალატის მიერაა მითითებული, თავისთავად სცემს პასუხს: ეხება თუ არა ისინი მოცემულ საქმეს.

3. თავად ვორონცოვის მიერ არის ნაყიდი ბორჯომის ადგილ-მამული, თუ ხაზინის სახელით მოქმედი ბატონების, ძიუბენკოსა და კრივეცკის, მიერ, ეს საქმის არსს სრულებით არ ცვლის: არც ხაზინისთვის, არც დასახელებული პირებისთვის მე ჩემი მამული არ მიმიყიდია; იგი წამართვა ხაზინამ და მას მერე დღემდე მის მფლობელობაშია. უმაღლესი ნებართვა, რომ ავალოვებისაგან ჩემი მამული ეყიდათ, არასოდეს გაცემულა.

4. თავად ავალოვებს დღევანდელი დღის შესაფერისი განათლება არა აქვთ მიღებული. მათ არ იციან რუსული კანონმდებლობით გათვალისწინებული სამოქალაქო უფლებები. არ იციან რუსული ენაც კი და მხოლოდ ამიტომ შეეძლოთ, მათი უცოდინარობით მოსარგებლე „კეთილმოსურნეთა“ ჩაგონებით 1852 წელს განეცხადებინათ, რომ 1848 წელს ზურაბ ავალოვს უფლება არ ჰქონდა, ჩემთვის ბორჯომის ადგილ-მამულის ნაწილი მოეყიდა. როგორც არ უნდა იყოს, ჩემს უფლებასთან მიმართებით მათ ჩვენებას ისედაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმდენად, რამდენადაც: ა) ავალოვების ხსენებული ჩვენება როდისმე მხედველობაში რომც იქნეს მიღებული, რომც არ არსებობდეს ეჭვმიუტანელი ფაქტები, რომ თვითონ ხაზინა თავად ზურაბ ავალოვს ოცი წლის განმავლობაში ზემოაღნიშნულ მამულს ედავებოდა და, ბოლოს და ბოლოს, სხვა დანარჩენთან ერთად ადგილ-მამულის ეს ნაწილიც ხაზინას მისგან რომც ეყიდა, ხსენებულ ჩვენებას მაინც ვერავითარი მნიშვნელობა ვერ მიენიჭება შემდეგ გარემოებათა გამო: ავალოვების მიერ პირველი ჩვენება ჩემი ნასყიდობის აქტის წინააღმდეგ მიცემულია 1852 წელს; ნასყიდობის აქტი გაფორმებულია 1848 წელს; აქტის სადავოდ ქცევის ვადა გასულია 1850 წელს და, შესაბამისად, სამოქალაქო კანონის 1857 წლის გამოცემის მე-10 ტომის 1524-ე და 1525-ე მუხლების თანახმად, ავალოვების ჩვენებას, ვიმეორებთ, საქმის გარემოებებზე რაიმე ზემოქმედების ძალა ვერ ექნება; ბ) პროკურორის ამხანაგმა, ბ-ნმა კოლეგიის მდივანმა კრივეცკიმ

ავალოვებისგან ხაზინისთვის თვითონ იყიდა ბორჯომის ადგილ-მამული და, ცხადია, ახსოვს, რომ გარიგება მან სხვა ავალოვებთან ერთად თავად ზურაბ ავალოვთანაც გააფორმა. ე. ი. ზურაბ ავალოვს 1852 წელს უფლება ჰქონდა ბორჯომის ადგილ-მამულის თავისი წილი გაეყიდა. და რატომ არ უნდა ჰქონოდა მას ეს უფლება 1848 წელს, როცა თავისი წილი მე მომყიდა? 1848 წლის შემდეგ ხომ არ ქცეულა იგი თავად ავალოვად, დანარჩენი ავალოვების ნათესავად და მათი გაუყოფელი ადგილ-მამულის თანამფლობელად? ამ კითხვებზე ხაზინისთვის სასურველი პასუხის გაცემა არავის არ შეუძლია, და ვინმეს პასუხის გაცემა რომც შეეძლოს, ამგვარი შესაძლებლობა ჩემს საქმეზე ვერავითარ გავლენას მაინც ვერ იქონიებს: 1848 წელს დამტკიცებული ჩემი უფლება 1852 წელს უკვე ხელშეუხებელი იყო. თუმცა ჩემი ეს უფლება გათელილია ისე, რომ, არათუ სასამართლო არ გამართულა ამ საკითხზე, არამედ მისი ადმინისტრაციული განხილვაც კი არ მომხდარა. არადა, ადმინისტრაციისთვის სარჩელის აღძვრამდეც არაერთხელ მიმიმართავს. სეკვესტრი კი ამ მამულს არათუ 1848 წელს, არც არასდროს არ შეხებია. მხოლოდ ტყიანი ნაწილი ხსენებული მამულისა იყო ერთხანს ***საპოლიციო მეთვალყურეობის*** ქვეშ. თავადი ავალოვები ***მეთვალყურეობას*** უწოდებენ ***სეკვესტრს.*** მათ არ იციან სხვაობა მეთვალყურეობასა და სეკვესტრს შორის. თვით მეთვალყურეობაც მეფისნაცვლის ადმინისტრაციის მიერ 1846 წელს გაუქმდა. მაშასადამე, 1848 წელს არც მეთვალყურეობა ყოფილა და, მით უმეტეს, არც – სეკვესტრი.

5. რაც შეეხება ბორჯომის ადგილ-მამულის მეათედი ნაწილის ჩვენთვის მფლობელობაში გადმოცემას, პალატამ უნდა კეთილინებოს და გაეცნოს ჩვენს სასარჩელე თხოვნაზე დართულ აქტებს და მაშინ დარწმუნდებიან, რომ სამოქალაქო კანონის 1857 წლის გამოცემის 929-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები ზედმიწევნითაა დაცული. შესაბამისად, სიტყვები, რომლებითაც სახელს მიტეხენ, რჩება სიტყვებადვე და მოკლებულია ყოველგვარ იურიდიულ საფუძვლებს. ასეთივე ვითარე-

ბაა იმასთან დაკავშირებითაც, თითქოს საკუთრებაში გადაცემა მხოლოდ ქაღალდზე გაფორმდა. კანონი არ ითვალისწინებს სხვა წერილობით ფორმას, რომლებითაც მსგავსი სასამართლო-საპოლიციო მოქმედებები ფორმდება. — ახლა რაც შეეხება ჩვენების იმ ნაწილს, თითქოს ჩვენ არ ვფლობდით ჩვენ მიერვე ნაყიდ მამულს. აქაც საქმე გვაქვს სიტყვებთან, რომლებიც არათუ დავის საგანი ვერ გახდება, არამედ საერთოდ მოკლებულია ყოველგვარ იურიდიულ საფუძველს. საქმე ის არის, რომ, როცა საკუთრების უფლება დადასტურებულია ნასყიდობის უცილობელი აქტებით, მას შეიძლება დაუპირისპირდეს მხოლოდ აქტების ვადაგასულობა და, თუ აქტები ვადაგასული არ არის, მაშინ უნდა განვიხილოთ თვითონ ამ აქტების რაობა. თუ ისინი კანონიერია და თავის დროზე დავის საგნად არ ქცეულა, მაშინ მესაკუთრეს ვერავინ ვერავითარ სხვა მტკიცებულებას ვერ მოსთხოვს. ყოველ შემთხვევაში, მე დაცული ვარ 1857 წელს გამოცემული მე-10 ტომის 1524-ე და 1525-ე მუხლებით და არ ვიცნობ სხვა კანონს, რომელიც იოტისოდენადაც კი ეჭვქვეშ დააყენებს უძრავი ქონების მესაკუთრის უფლებას, განმტკიცებულს ნასყიდობის აქტებით და არ არსებობს არავითარი აუცილებლობა, ეს უფლება გამყარებული იყოს დამატებითი წერილობითი თუ სხვა სახის დამოწმებით, რათა მესაკუთრემ მის ხელთ არსებული უცილობელი საკუთრებიდან მიიღოს შემოსავალი. კანონი არავის მიუთითებს, თუ რა წესებითა და როგორი საშუალებებით უნდა ეძიოს ან საჯაროდ გამოაცხადოს მესაკუთრემ იმ სარგებლის შესახებ, რისთვისაც უძრავ ქონებას იძენს. რა ან რის საფუძველზე უნდა მოითხოვონ ჩემგან მტკიცებულებები, გარდა შესაბამისი აქტებისა, რომ მართლაც მესაკუთრე ვარ იმ მამულისა, რომელიც ჩემ მიერვეა შეძენილი? მე არ ვთვლი თავს ვალდებულად, გამოვეხმაურო მსგავს მოთხოვნებს, მით უმეტეს, საქმე ჩემს 1858 წლის 8 სექტემბრის კერძო საჩივრის მეოთხე პუნქტში მაქვს განმარტებული.[4]

6. ბ-ნი პროკურორის ამხანაგი სავსებით სამართლიანად წერს, რომ ჩვენ თანახმა ვიყავით, ადგილ-მამულის ჩვენი წილი

ხაზინისთვის დაგვეთმო. მაგრამ იქვე, საიდანაც ის ამ ცნობას იმოწმებს — ანუ ჩვენი სასარჩელე თხოვნის მე-4 და მე-5 პუნქტებში — მკაფიოდაა მითითებული პირობა, რომელი პირობითაც ჩვენ თანხმობა განვაცხადეთ. ე. ი. შეექმნათ პირობები, რათა ხელი მოგვეწერა ხსენებული მამულის ხაზინისთვის დათმობის აქტზე და ჩვენი კუთვნილი წილის საზღაურად ასიგნაციის სახით მიგვეღო შთამომავლობითი გასამრჯელო. თუმცა პირობები არ იქნა მიღებული და, შესაბამისად, ჩვენი თანხმობაც გაუქმდა. ჩვენ კი თანხმობას იმიტომ ვაცხადებდით, რომ, ჯერ ერთი, არ გვინდოდა დავპირისპირებოდით ხელისუფლებას, რომელსაც შეეძლო — და შემდგომ ასეც მოხდა — იქამდე მისულიყო, რომ შეელახა ისეთი წმიდათაწმიდა რამ, როგორიც კერძო საკუთრების უფლებაა და, მეორეც, გვსურდა, დაპირისპირება სასამართლო დავებამდე არ მიგვეყვანა. მაგრამ როცა დავდექით აუცილებლობის წინაშე, ხაზინის წინააღმდეგ სასამართლოსთვის მიგვემართა და ამით კერძო პირისთვის ფრიად სამძიმო პროცესში ჩავრთულიყავით, ჩვენ ამ გზას დავადექით. ხაზინამ კი, თავის მხრივ, უნდა აღიაროს სასამართლოს გადაწყვეტილება — აღადგინოს ჩვენი დარღვეული საკუთრების უფლება სრულად და იმ „თანხმობის" უგულებელყოფით, რომელიც ჩვენ სასამართლოს ფარგლებში არ მიგვიცია და ამით თავისთავად გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს.

7. მოქმედი კანონების მიხედვით, მოპასუხე ვალდებულია, სასარჩელე თხოვნის ყველა პუნქტი პირველსავე პასუხში გააბათილოს. დანარჩენი ნაწილი სასამართლო პროცესისა უნდა დაეთმოს მტკიცებულებებსა და უკუგდებას იმისა, რაც ნათქვამია როგორც სარჩელში, ისე მეორე მხარის პასუხში. თუ მოპასუხე თავის პასუხში სასარჩელე თხოვნის რომელიმე მონაკვეთს დავის საგნად არ აქცევს, ე. ი. იგი მას ეთანხმება. ასეთია სული კანონებისა და სამართალწარმოებისა და ეს იმიტომ, რომ ზოგადად ასეთია ბუნებრივი წესი ყოველგვარი დავა-პაექრობისა და ურთიერთქმედებისა. ბ-ნმა გუბერნიის პროკურორის ამხანაგმა სასარჩელე თხოვნას 1854 წლის 3 ნოემბერს უპასუხა. ამის შემდეგ

ჩემს გამაბათილებელ პასუხთან დაკავშირებული განმარტებები 1855 წლის 27 სექტემბერს წარმოადგინა. არც პირველ და არც მეორე შემთხვევაში მას კრინტიც არ დაუძრავს სარჩელის ჩვენ მიერ განსაზღვრულ ღირებულებაზე და ამ საკითხზე მხოლოდ ახლა დაობს – თავის მესამე პასუხში, სარჩელთან დაკავშირებული პროცესის დაწყებიდან თითქმის ***ხუთი წლის*** შემდეგ; თანაც ამ დავაში იმ ცნობებს კი არ ეხება, რომლებსაც დაზუსტებული ციფრობრივი მონაცემების საფუძველზე ჩემს პასუხში ვეყრდნობი და რომლებშიც ზედმიწევნით ზუსტად და დეტალურადაა განმარტებული საქმის გარემოებები, არამედ შემოიფარგლება ზოგადი ფრაზებითა და ზოგადი ფრაზებითვე ამტკიცებს, რომ ჩვენ მიერ განსაზღვრული ღირებულება სარჩელისა გადამეტებულია. ვინაიდან სასამართლო დავის დროს მხედველობაში ვერ იქნება მიღებული შესაბამისი წესის დარღვევით წარდგენილი და განსაზღვრულ ვადას გადაცილებული განმარტებები, მაქვს პატივი, პალატას ვთხოვო – პროკურორის ამხანაგის ზემოხსენებული პასუხი, რომელშიც არაფრით არ არის უარყოფილი ჩემი განმარტებები სარჩელის ღირებულების შესახებ და რომელიც წარდგენილია შესაბამისი წესისა და განსაზღვრული ვადის დარღვევით, არ იქნეს მხედველობაში მიღებული.

8. იმდენად, რამდენადაც პროკურორის ამხანაგი თავის უკანასკნელ, მეოთხე, პასუხში წერს, რომ ხაზინის მხრიდან არ არსებობს სხვა მტკიცებულებები, გარდა იმ მტკიცებულებებისა, რომლებიც მის წინა პასუხებშია მოცემული, ჩემი მხრიდან, მაქვს პატივი, უმორჩილესად ვთხოვო პალატას, შეუდგეს საქმის გადაწყვეტას იმ გარემოებებზე დაყრდნობით, რომლებიც ჩემს ამ უკანასკნელ განმარტებებშია მოცემული. ამასთანავე, შეწყდეს ახალი გარემოებების ძიება, როგორც ამას პროკურორის ამხანაგი თავის 1859 წლის 2 მარტის პასუხში ითხოვს. თუკი წინამდებარე პასუხს პალატა ყურადღებით გაეცნობა, კეთილინებებს და დარწმუნდება, რომ საქმის გადასაწყვეტად არავითარი სხვა მონაცემი საჭირო არ არის, გარდა იმისა, რაც ჩვენს 1858 წლის 8 სექტემბრის გამაბათილებელ ახსნა-განმარტებაშია გადმოცე-

მული. ვერავითარი სხვა მონაცემები, როგორიც არ უნდა იყოს ისინი, იოტისოდენა ცვლილებასაც კი ვერ შეიტანს ჩამოთვლილი კითხვების პასუხებში:

ა) შესულია თუ არა ხაზინის მფლობელობაში ბორჯომის ადგილ-მამულის ის მეათედი ნაწილი, რომელიც მე და ჩემს ძმას 1848 წელს გვაქვს ნაყიდი?

ბ) კანონიერად გადმოგვეცა თუ არა მფლობელობაში ხსენებული საკუთრება იმავე წელს?

გ) დარღვეულია თუ არა ჩვენი კანონიერი უფლება?

დ) საჭიროა თუ არა ჩვენი დარღვეული უფლების სრულად აღდგენა?

ყველა ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭირო ცნობები ამომწურავად გვაქვს წარმოდგენილი და მე, როგორც მოსარჩელე, სხვა დამატებითი მონაცემების საჭიროებას ვერ ვხედავ. მოპასუხესაც არ მოეპოვება ხაზინის სასარგებლო და ჩემი სარჩელის საწინააღმდეგო სხვა მტკიცებულებები.

მაქვს პატივი, ამასთან განსახილველად წარმოგიდგინოთ ჩემი წინამდებარე პასუხისა და მოპასუხის განმარტებათა ასლები.

ოცდაცხრა იანვარი 1860 წლისა.
ტფილისი.

## 2. გორის მაზრის სასამართლოსადმი

გორის მაზრის სასამართლოს
ნამდვილი სამოქალაქო მრჩევლის
**დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანის**

გ ა მ ა ბ ა თ ი ლ ე ბ ე ლ ი   პ ა ს უ ხ ი[1]

მიმდინარე მარტის ***ხუთ*** რიცხვში ტფილისის საქალაქო პოლიციისგან მივიღე მაზრის სასამართლოს მიერ პოლიციისთვის გადმოგზავნილი ასლი მიმდინარე წლის 28/29 იანვრის გადაწყ-

ვეტილებისა, რომელიც ეხება კოლეგიის რეგისტრატორ ივანე კანდინოვის განმარტებას მის მიერ ჩემგან ნასესხები ათას ოცდაათი მანეთის შესახებ.[2] მაქვს პატივი, წარმოგიდგინოთ შემდეგი გამაბათილებელი პასუხი:

ბ-ნი კანდინოვი ამბობს, რომ ჩემგან აიღო ფულადი ვალდებულებები, თუმცა ფული ჩემგან არ მიუღია და მისი ეს ნათქვამი გამყარებული არ არის არაფრით, გარდა ფრაზებისა. როცა იგი ამას ამბობს, მხედველობიდან უშვებს ფრიად მნიშვნელოვან გარემოებას; სახელდობრ, მსგავსი განმარტება სინამდვილეს დაემსგავსებოდა, მას რომ ფულადი ვალდებულებები გაესტუმრებინა ერთდროულად, ხოლო, რადგან ეს ვალდებულებები მან იკისრა სხვადასხვა დროს, დაისმის კითხვა: რამ აიძულა გაესტუმრებინა მეორე ვალდებულება, თუ პირველი არ ჰქონდა გასტუმრებული? გარდა ამისა, როცა იგი ამბობს, რომ ფული არ მიუღია, ამით უარყოფს გადახდის ყოველგვარ საჭიროებას. არადა, მან აუხსნა პოლიციას — და ახლაც ამას უხსნის — რომ ***ფული ხელწერილით აქვს გადახდილი.*** როცა იგი ამბობს, რომ ეს ფული მე მისთვის არასოდეს მომითხოვია, ამით იგი, როგორც ჩანს, უგულებელყოფს არა იმდენად მეხსიერებას — არადა, მეხსიერება არ ღალატობს — არამედ სინდისს.

მე მისდამი მტრობა არც არასდროს მქონია და არც ახლა მაქვს. რა მონაწილეობას იღებს იგი გაუგებრობებში, ერთი მხრივ, ჩემს ერთ-ერთ ღვიძლ ძმასა და, მეორე მხრივ, ჩემსავე ბიძაშვილს შორის, ამის შესახებ არაფერი მსმენია და ამით არც არასდროს იოტისოდენადაც კი არ დავინტერესებულვარ: მიწის ნაგლეჯის გამო ძმებს შორის დავას თავისთავად ვერ მიენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა, როცა თითოეულ მათგანს ასობით ასეთი ნაგლეჯი მოეპოვება. მე კი, რომელიც სულ სხვა სახის საქმიანობის გამო ჩამოშორებული ვარ სოფლის მეურნეობას, ამ ტიპის დავა ვერავის მიმართ ვერ ჩამინერგავს მტრობას. საკამათოდ ვერ ვაქცევ ბ-ნი კანდინოვის ისეთი თვისებებს, რომლებიც, შესაძლოა, ზოგადად მოსაწონიც იყოს, მაგრამ, როცა იგი ჩემზე ამბობს, ჩემდამი მტრულად არის განწყობილიო, ამით ბ-ნ კანდინოვი საკუთარ თავს იმაზე მეტ ღირსებას მიაწერს, ვიდრე სინამ-

დვილეში გააჩნია. არასოდეს მიმიცია ჩემი თავისთვის ადამიანის, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი, სიმშვიდისა და სინდისის თავისუფლების ხელყოფის უფლება, ჩემს საქმეებში არც ნათესაური კავშირებისთვის, არც ნათელმირონობისთვის არასოდეს გამიწევია ანგარიში. ყოველთვის ანგარიშს ვუწევდი და ვუწევ კანონით განსაზღვრულ ან ბუნებით უფლებას, რომელიც გამაჩნია. –

საქმესთან დაკავშირებულ გარემოებებს, რომლებიც ვალების გადახდევინებაზე პასუხისმგებელ დაწესებულებას ეხება, მე ვერ დავტოვებდი უყურადღებოდ, ვინც არ უნდა წარმოადგენდეს ამ დაწესებულებას. რა ვითარებაში მოხდა ბ-ნი კანდინოვის გამოძახება პასუხისთვის, ეს ოდნავადაც არ მეხება მე და არც საქმეს ეხება. ვერც ვერავითარ განკარგულებას ვერ გავცემდი, რადგანაც ჩვენში კერძო პირები განკარგულებას ვერ მისცემენ მოსამსახურეებს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მოსამსახურეები კერძო პირების განკარგულებებს, უბრალოდ, უყურადღებოდ დატოვებენ. – ასე რომ, მე არც ვიცი და არც გამიგია, რა ფორმით მოსთხოვა პოლიციამ ბ-ნ კანდინოვს პასუხი ჩემს სარჩელთან დაკავშირებით. ყოველ შემთხვევაში, ეს ვერ მისცემს ბ-ნ კანდინოვს საბაბს, გამოიგონოს და თავს მომახვიოს ვინმესთან ნათესაობა, როცა ამგვარი ნათესაობა არ არსებობს. ასე, მაგალითად, იგი ჩემს ნათესავად აცხადებს ბ-ნ ნანუკოვს. შესაძლოა, ჩვენ შორის მართლაც არის რაღაც ნათესაური კავშირი, მაგრამ საქმე ის არის, რომ მე ეს პირველად მესმის და წარმოდგენაც კი არა მაქვს ბ-ნ ნანუკოვთან რაიმე სახის ნათესაობაზე.

იმისათვის, რომ ცუდად შედგენილ გადახდის ხელწერილზე დართული ხელმოწერა ჩემს ნამდვილ ხელმოწერას შეუდარონ,[3] ბ-ნი კანდინოვი ითხოვს, მთავარმმართველობის საბჭოდან გამოითხოვონ ***ყველა ქაღალდი,*** რომლებიც, მოკიდებული 1850 წლიდან, ან დამიწერია, ან რომლებზედაც ხელი მაქვს მოწერილი. მარტო ეს ფაქტი აშკარად ადასტურებს, თუ როგორ არის ბ-ნი კანდინოვი აღგზნებული საქმის გაჭიანურების სურვილით: შეუძლებელია მას არ ესმოდეს, რომ ეს უკიდურესად მოუხერხებელია; შეუძლებელია მას არ ესმოდეს, რომ აქ საერთოდ არაფ-

რის გამოთხოვა არ არის საჭირო — ჩემ მიერ ხელმოწერილი ქაღალდები მაზრის სასამართლოშიც საკმარისად მოიპოვება.

არც ერთი კანონი არ ითვალისწინებს იმ მიზეზებს, რომლებითაც ბ-ნი კანდინოვი აცილებას აძლევს მოსამსახურე პირებს. ასე, მაგალითად: მე საერთოდ არა მაქვს პატივი, ვიცნობდე ბ-ნ ხრუშჩოვს; ბ-ნი მუსხელოვის აცილების კანონიერი მიზეზი მაქვს მე და არა კანდინოვს,[4] თუმცა არც მის აცილებას ვითხოვ; ბ-ნი მეღვინეთუხუცესოვი ისეთივე ნათესავია ჩემი, როგორიც — ბ-ნი ნანუკოვი; ბ-ნი პოდოროჟკო ცოცხალი აღარაა და ამიტომ, მართალია, მისი სახელი არც უნდა ხსენებულიყო, მაგრამ იმის საჩვენებლად, თუ სადამდე მიდის ბ-ნი კანდინოვის გაქნილობა, მაინც განვმარტავ: პოდოროჟკო არ აღზრდილა ჩემი სიმამრის ოჯახში[5] — ჩემი სიმამრი ოდესღაც, დაახლოებით 30 წლის წინ, სამსახურში უფროსი იყო პოდოროჟკოსი. მე მართლაც მეგობრული ურთიერთობა მქონდა პოდოროჟკოსთან და ეს იმიტომ, რომ ვიცნობდი მას, როგორც პატიოსან და გულწრფელ ადამიანს.

ისღა დამრჩენია, გამოვთქვა ჩემი ღრმა და გულწრფელი სინანული იმის გამო, რომ ბ-ნი კანდინოვი, ვალისთვის თავი რომ დაეღწია, მისთვის აგრერიგად დამღუპველ გზას დაადგა. არადა, მას შეეძლო ნაკლებად დასაძრახი გზა აერჩია. კერძოდ: 1858 წლის თებერვალში მან მომცა ***სიტყვა*** (ეს სიტყვა ახსოვს, თუმცა ახლა ამის აღიარება ეუხერხულება), რომ ვალს არა უგვიანეს მაისში გადამიხდიდა. ამის ნაცვლად მას გულახდილად უნდა ეთქვა, რომ არა აქვს ვალის გადახდის საშუალება. ასეთ შემთხვევაში — ამაში ეჭვის შეტანაც კი არ შეიძლება — მე ან ვალს გადავუვადებდი, ან კიდევ, დავრწმუნდებოდი რა მდგომარეობის უიმედობაში, დავუბრუნებდი თავის სავალო ხელწერილებს, ხოლო დაკარგულ ფულს უკან მოუბრუნებელ ზარალს მივათვლიდი. თუმცა, ნაცვლად ამისა, წარმოადგინო გადახდის ხელწერილი, რომელიც არასდროს მიმიცია, თქვა, რომ დავკარგე სავალო ხელწერილები, რომლებიც არასოდეს დამიკარგავს, ეს ყველაფერი ჩემთვის მეტისმეტად სამწუხაროა. ამით ბ-ნი კანდინოვი მართმევს ყოველგვარ საშუალებას, მივყვე საკუთარ გრძნობებს

და გადავარჩინო ადამიანი მძიმე პასუხისმგებლობისგან, რომლისკენაც თვითონ მიილტვის დაუოკებლად.

ამასთანავე, მაქვს პატივი, წარმოგიდგინოთ ასლი წინამდებარე გამაბათილებელი პასუხისა.

12 მარტი 1860 წლისა.
ვცხოვრობ ქ. ტფილისში.

## 3. ალექსანდრე ბარიატინსკისადმი

ბატონ კავკასიის მეფისნაცვალს
ნამდვილი სამოქალაქო მრჩევლის
**დიმიტრი ყიფიანის**

თ ხ ო ვ ნ ა

კერძო და სახელმწიფო საქმეებში ხაზინის ნაირგვაროვან ოპერაციასა და კერძო პირთა წამოწყებებზე ხანგრძლივმა დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ ჩვენში მატერიალური კეთილდღეობის დამკვიდრებისთვის თქვენ მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა წარმატება: მხარის საწარმოო ძალების გამოცოცხლება, პოლიტიკურ-ეკონომიკურ საკითხებში წარმატების იმ ხარისხის მიღწევა, რომლისკენაც მთავრობა ისწრაფვის, ზოგადად, სასოფლო-სამეურნეო და სახელმწიფო მეურნეობის მრავალფეროვანი დარგების შეუფერხებელი სრულყოფა და წინმსვლელობა შეუძლებელია მანამ, სანამ სახელმწიფოს უმთავრესი კაპიტალი – უძრავი ქონება – და მისი ნამდვილი ღირებულება არ იქნება სათანადოდ შეფასებული და სანამ იგი არ იქნება დაზღვეული ისეთი შემთხვევითობებისაგან, რომლებიც სხვადასხვა ტიპის რყევასა და შეფერხებას იწვევს. უძრავ ქონებას, როგორც უმნიშვნელოვანეს კაპიტალს, უნდა მიენიჭოს სიცოცხლისუნარიანობა და წარმოებითი შესაძლებლობები.

ამისათვის გადავწყვიტეთ, ტფილისში დავაარსოთ უძრავი ქონების სააქციო-საკრედიტო კომპანია[1] და დარწმუნებულიც

ვართ, ჩვენ მიერ შედგენილი წესდება კომპანიისა პირდაპირ მიგვიყვანს იმ შედეგებამდე, რომლებიც თვითონ მთავრობას სურს და მნიშვნელოვანწილად აღმოფხვრის კიდევაც ამ საქმეში დღემდე არსებულ დაბრკოლებებსა და სირთულეებს.

ჩვენ მიერ წამოწყებულ საქმეში არ ვითხოვთ არც გარანტიებს, არც პრივილეგიებს, არც სხვა სახის უპირატესობებს. ჩვენ ამ სასარგებლო საქმეში ვითხოვთ მხოლოდ თანხმობასა და ქომაგობას; ვითხოვთ, ამ სავსებით ახალ საქმეში ვიმოქმედოთ ისე, რომ წესდებაში ჩამოყალიბებულ მნიშვნელოვან მიზანთა განხორციელებისას არ აღმოვჩნდეთ კონკურენციის პირობებში, უკიდურეს შემთხვევაში, პირველი ოცი წლის განმავლობაში მაინც. კონკურენციის პირობებში ჩვენ ვერ ვხედავთ წარმატების შესაძლებლობას.

წარმოგიდგენთ რა კავკასიისა და ამიერკავკასიის მხარეში უძრავ ქონებაზე კრედიტის გაცემის შესახებ კომპანიის ჩვენ მიერ შედგენილი წესდების პროექტს, რომელიც ეყრდნობა ამიერკავკასიის სამოქალაქო კოდექსის 1857 წლის გამოცემას (ტ. 10, ნაწ. II, მუხლი 2191), მაქვს პატივი, უმორჩილესად გთხოვოთ, მოქმედი წესით მთავრობისაგან ჩვენს სახელზე გამოითხოვოთ ნებართვა, რათა შესაძლებელი გახდეს ხსენებული წამოწყების განხორციელება.

2 ივნისი 1860.
ცარსკოე-სელო

## 4. ვასილ ინსარკისადმი

მოწყალეო ხელმწიფეო,
ვასილ ანტონის ძევ, –

ამ წერილით, თქვენო აღმატებულებავ, გეახლებათ ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ონიკოვი. იგი როგორც საკუთარი, ისე ჩემი სახელითა და დამფუძნებლის უფლებით შემოგთავაზებთ ერთ მნიშვნელოვან წამოწყებას,[1] რომელიც გვაქვს ჩაფიქრებული. –

არჩევანი თქვენზე იმიტომ შეჩერდა, რომ გიცნობთ, გენდობით და მჯერა თქვენი უნარიანობისა.

მანამ, სანამ მთავრობის, ჩვენი მხარისა და საკუთრივ ჩვენთვის სასარგებლო წამოწყებაში ჩემი რიგით მესამე, მაგრამ არსებითად სრულუფლებიანი, ამხანაგი გახდებოდეთ, პირადად მოუსმინეთ მეორე თანამონაწილეს, ბ-ნ ონიკოვს, წაიკითხეთ ამ საქმის შესახებ წერილობითი მონათხრობი, რომელსაც იგი წარმოგიდგენთ. თუ დარწმუნდებით, რომ კარგ ადამიანად მიმაჩნიხართ და მხოლოდ ამიტომ გთავაზობთ თანამშრომლობას, მიიღეთ ამ საქმეში მონაწილეობა, ხოლო ბ-ნი ონიკოვი ჩათვალეთ ტფილისში ჩემ მონაცვლედ. –

იმასაც მოგახსენებთ, რომ ბ-ნ ონიკოვს აქვს ჩემი თანხმობა, დამფუძნებელთა რიგებში მივიღოთ კიდევ ერთი (არა უმეტეს!) წევრი,[2] ხოლო თუ ვინ უნდა იყოს იგი, ამაში თქვენ შეგიძლიათ ერთმანეთში მოილაპარაკოთ და შეთანხმდეთ.

იმედი მაქვს, არ დამტოვებთ პასუხის გარეშე, რომლის მოლოდინშიც, მაქვს პატივი, დაგიდასტუროთ ჩემი გულწრფელი პატივისცემა და ერთგულება.

თქვენი აღმატებულების უმორჩილესი მოსამსახურე
**დ. ყიფიანი**

2 ივნისი 1860.
ც[არსკოე]-სელო

## 5. ალექსანდრე ონიკაშვილისადმი

მოწყალეო ხელმწიფეო,
ალექსანდრე ნიკოლოზის ძევ,

გადმოგცემთ რა ამიერკავკასიისა და კავკასიის მხარეში ჩვენ მიერ დასაარსებლად განზრახული უძრავი ქონების სააქციო-საკრედიტო კომპანიის წესდების პროექტს,[1] შედგენილს ჩემ მიერ, გთხოვთ, მოწყალეო ხელმწიფეო, ყურადღებით წაიკითხოთ იგი

და, თუ დარწმუნდებით, რომ დაცულია პირადად ჩვენ შორის შეთანხმებული ყველა პირობა, ტფილისში ჩასვლისთანავე თანადამფუძნებლის უფლებით მონაწილეობა შესთავაზეთ კიდევ ორ პირს (არა უმეტეს!), რომელთაგან ერთი მე უკვე დაგისახელეთ, ხოლო მეორის ვინაობაზე ჩემგან დასახელებული პირი და თქვენ ერთმანეთში უნდა შეთანხმდეთ.[2] ამის შემდეგ ერთობლივად მოაწერეთ ხელი თხოვნას და იგი პროექტთან ერთად წარუდგინეთ ბ-ნ კავკასიის მეფისნაცვალს.[3] ამას გარდა, გაძლევთ უფლებას, თხოვნას ჩემ ნაცვლადაც მოაწეროთ ხელი და ეს წერილი, როგორც რწმუნებულების დასტური, თან დაურთოთ წარდგენილ თხოვნას. –

საქმესთან დაკავშირებულ საკითხებში გიცხადებთ ნდობას, ამას გიდასტურებთ წინამდებარე წერილით და თქვენს გადაწყვეტილებებს დავეთანხმები უდავოდ და სიტყვის შეუბრუნებლად.

სრული პატივისცემითა და ერთგულებით, მაქვს პატივი,
ვიყო თქვენი უმორჩილესი მოსამსახურე
**დ. ყიფიანი**

2 ივნისი 1860.
ცარსკოე-სელო

### 6. თბილისის სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეთა სასამართლო პალატისადმი

ტფილისის სისხლის სამართლისა და სამოქალაქო
საქმეთა სასამართლო პალატას,

ნამდვილი სამოქალაქო მრჩევლის
**დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანის**

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

არ ვიმყოფები მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე და ამიტომ, მაქვს პატივი, პალატას უმორჩილესად ვთხოვო: ხაზინის წინა-

აღმდეგ ბორჯომის მამულის მეათედი ნაწილის შესახებ წარმოებაში არსებულ სასარჩელე საქმესთან დაკავშირებული ყველა მოთხოვნა[1] გამომიგზავნოთ პეტერბურგის გუბერნიაში, ქალაქ ცარსკოე-სელოში, ბაგრატიონის სახლში,[2] სადაც ამჟამად დროებით ვცხოვრობ.

ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი **დ. ყიფიანი.**

18 ივნისი 1860 წლისა.
ქ. ცარსკოე-სელო

## 7. ალექსი კრუზენშტერნისადმი

მოწყალეო ხელმწიფეო,
ალექსი თედორეს ძევ

დღეს წილად მხვდა ბედნიერება, მეფისნაცვლის[1] წარდგინების საფუძველზე მისი აღმატებულების, ვლადიმერ პეტრეს ძისგან,[2] მიმეღო უმაღლესი ჯილდო – წმ. ანას I ხარისხის ორდენის ნიშნები.[3]

დიდად ვაფასებ თავად ალექსანდრე ივანეს ძის[4] მიერ ჩემ მიმართ გამოჩენილ კეთილმოწყალე ყურადღებას და გულწრფელად მსურს, ვიყო ღირსი ასეთი ყურადღებისა. უმორჩილესად გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, მოახსენოთ მის ბრწყინვალებას ჩემი უღრმესი მადლიერება.

გულწრფელი...

30 აგვისტო 1860.
ცარსკოე-სელო

## 8. გიორგი [მუხრანბატონისადმი]

ძვირფასო თავადო,
გიორგი კონსტანტინეს ძევ,

ჩემდა სასიამოვნოდ, მივიღე თქვენი 12 აგვისტოს ყოვლად სასურველი წერილი. ის საგანგებო პირობები, რომლებითაც მე ჯერ მეურვეობა ვიკისრე, ხოლო შემდეგ პეტერბურგში ჩამოსვლას დავთანხმდი, გარდა თავადისა,[1] ალექსი თედორეს ძისთვისაც[2] არის ცნობილი. ამიტომაც თქვენი წერილის ოფიციალურ ნაწილზე პასუხს პირდაპირ მის აღმატებულებას გავუგზავნი.[3] ამ პასუხს აქ აღარ გავიმეორებ, რადგან ვიცი, რომ თქვენ მას დედნის სახით მიიღებთ.

გადავდივარ თქვენი წერილის კერძო ნაწილზე და გეტყვით, რომ პეტერბურგში ყოფნა ჩემთვის უკიდურესად სამძიმოა: მე უსაქმოდ ყოფნას არ ვარ მიჩვეული და ამიტომ, რაც უფრო მეტი თავისუფალი დრო მაქვს, მით უფრო მაწუხებს, თუ სად და რაში დავხარჯო იგი. აუტანელი მოუთმენლობით ველოდები, როდის მეღირსება დავუბრუნდე: საყვარელ ოჯახს, მშობლიურ გარემოს, მეგობრებს, საქმეს, რომელთანაც დაკავშირებული ვარ ამდენი ხანია. აქაურებისთვის მე გამოვიყურები, როგორც მეტისმეტად ახირებული და მეტისმეტად ჯიუტი ადამიანი.

ჩვენი შეხედულებები ხშირად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან; ცხადია, იმიტომ, რომ, როცა ერთი თავის თეორიულ განათლებას ეყრდნობა, ხოლო მეორე – საკუთარ გამოცდილებას, თავს იჩენს განსხვავებები, ასე ვთქვათ, პარალაქსური.[4] ისიც ცხადია, რომ ეჭვი არ გეპარებათ, თუ როგორი სიყვარული და პატივისცემა მაქვს თქვენი. ასეც რომ არ იყოს, თუნდაც ჩემი მოურიდებელი ნატურიდან გამომდინარე, მოგახსენებთ, თუ რასა ვგრძნობ და პირდაპირ გეტყვით თქვენ, და მხოლოდ თქვენ სავსებით შინაურულად, სავსებით მეგობრულად ჩემს აზრს იმის შესახებ, რასაც ეკატერინე ალექსანდრეს ასულის[5] თაობაზე მწერთ.

თქვენ ამბობთ, რომ იგი ვერავის დასდებს ბრალს, გარდა დროისა, ხოლო წასვლა დროის ნებისა და მისი ძალის წინააღმდეგ არაგონივრულია.

კარგად თუ დაფიქრდებით, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე დამეთანხმებით, რომ თქვენ უშვებთ რამდენადმე პერიფრაზირებულ ფანატიზმს, კერძოდ, აღმოსავლეთში გადიადებულ სიტყვას ***ალაჰი,*** ცვლით სიტყვით ***დრო*** – გადიადებულით დასავლეთში:

აქ გაქურდეს ჩვენი წინამძღოლი[6] – მოჰპარეს 500 მანეთი. მან პოლიციას მიუთითა ადამიანზე, რომელზედაც ეჭვი ჰქონდა და მოითხოვა შესაბამისი განკარგულება.

ან კიდევ: იქ, საქართველოში, ერთ მემამულეს ჩამოართვეს მამული, და მან მიმართა შესაბამის ორგანოებს, რათა აღიდგინოს საკუთრების დარღვეული უფლება.

ახლა წარმოიდგინეთ, ერთსაც და მეორესაც უპასუხებენ თქვენი სიტყვებით: „ბატონებო, დამშვიდდით! ბრალს ნურავის დასდებთ! თქვენ რომ 500 მანეთი მოგპარეს ან თქვენ რომ მამული ჩამოგართვეს, ამაში დამნაშავე, გარდა დროისა, სხვა არავინაა. ყველაფერი დროის ნამოქმედარია, ხოლო წასვლა დროის წინააღმდეგ, თვითონაც მოგეხსენებათ, შეუძლებელია და ამიტომ სულ ტყუილად ირჯებით“.

ხომ არ იფიქრებენ ისინი – და სხვებიც – რომ დადგა დრო ანარქიისა და მუშტის სამართლისა? არა, ძვირფასო თავადო! დოქტრინა თქვენი, სულ ცოტა, ანაქრონიზმია.

თუ ღმერთი გწამთ, სამეგრელოს საქმეში ნუ აურევთ ორ, ერთმანეთისგან განსხვავებულ, საკითხს: პოლიტიკურსა და იურიდიულს. განა სამეგრელოს მმართველობა არ ჩრის საქმეში, თანაც წინა პლანზე და თანაც როგორც დასრულებულ-გადაწყვეტილ საკითხს, პოლიტიკურ მიდგომას? მე და თქვენ კი ვიცით, რომ გარკვეულ დრომდე ამ თემის დაყენებაც კი არ შეიძლება![7] ამჟამად საუბარია მხოლოდ საკუთრებაზე და ამ შემთხვევაში თქვენ დადიანს აქვეითებთ რომელიმე ქოჩაქიძის დონემდე;[8] მართალია, აღიარებთ მას საკუთრების უფლების მქონე პიროვნებად, თუმცა მიგაჩნიათ, რომ იგი გაცილებით ნაკლებადაა

ღირსი ყურადღებისა, ვიდრე ბატონიშვილები, ჩვენში ასე უხვად რომ მოიპოვებიან. გარდა ამისა, მიგაჩნიათ, რომ მას არა აქვს საშუალება, გადაიხადოს ვალები, რომლებიც თქვენვე აჰკიდეთ. ამიტომ ართმევთ ადგილ-მამულს და არც იმის ღირსად თვლით, რომ ჰკითხოთ მაინც: აღიარებს თუ არა ამ ვალებს ან შეუძლია თუ არა, თვითონ გადაიხადოს ეს ვალები?

ხომ ეს არის არსებითად ის, რასაც თქვენ, ანუ დრო, უშვრებით ობოლს და თანაც ეუბნებით, რომ იგი უმაღლესი მფარველობის ქვეშ იმყოფება?

არა, ძვირფასო თავადო! უკაცრავად კი ვარ, მაგრამ არ მესმის: რა როლი უნდა ჰქონდეს ამ საქმეში დროს და სად არის აქ სიმართლე? ერთი ანდაზისა არ იყოს, „რაც შენია, სინამდვილეში ჩემია და, რაც ჩემია, იმასთან შენ რა ხელი გაქვს". ნუთუ თქვენ ამ ანდაზაში რაიმე ადამიანურობის ნასახს ხედავთ?

აგვისტო 1860.
[ცარსკოე-სელო]

## 9. ალექსი კრუზენშტერნისადმი

მოწყალეო ხელმწიფეო,
ალექსი თედორეს ძევ,

თავადმა გიორგი კონსტანტინეს ძემ[1] თავის 12 აგვისტოს წერილში თქვენი აღმატებულების დავალება ასე გადმომცა: „თავადს[2] სურვილი კი აქვს, რომ ყიფიანი რაც შეიძლება მალე დაუბრუნდეს თავის სამსახურებრივ მოვალეობას, მაგრამ ყიფიანს შეუძლია თვითონ გადაწყვიტოს და დარჩეს პეტერბურგში სამეგრელოს საქმის დამთავრებამდე, თუკი იქ დარჩენის აუცილებლობას ხედავს".

ამგვარ ნებართვას მივიჩნევ ჩემი მდგომარეობის მიმართ მეფისნაცვლის მაღალი ყურადღების კიდევ ერთ გამოხატულებად და არ შემიძლია, ამით არ ვისარგებლო კიდევაც. გთხოვთ, თქვე-

ნო აღმატებულებავ, გაიხსენოთ, როგორ აღმოვჩნდი მეურვის მდგომარეობაში და არც პეტერბურგში წამოსვლა ყოფილა ჩემი სურვილი. საკითხი პირდაპირაა დაკავშირებული მეურვის მოვალეობებთან.[3] სანამ ჩემთვის ყველაფერი ნათელი არ გახდება, ამ მოვალეობებს ვერ შევასრულებ. მოვალეობები კი ისეთია, რომლებიც მაკისრებს მძიმე პასუხისმგებლობას. ჩემთვის იქნებ ეკატერინე ალექსანდრეს ასულზე მეტადაც[4] კი აუცილებელია, დაველოდო გადაწყვეტილებას. მინდა ვიცოდე, შეესაბამება თუ არა ხსენებული მოვალეობების შესახებ ჩემი წარმოდგენები მეურვის წოდებას და ღირს თუ არა ამის შემდეგ დავრჩე მეურვედ. ანუ იქნებ ისეთი ვითარება შეიქმნას, რომ შევასრულო თავადის ნებასურვილი და, მეურვეობისაგან გათავისუფლებული, დავუბრუნდე ჩემს სამსახურს. ვითარებაში, რომელშიც ამჟამად ვიმყოფები, ორივე საქმის შეთავსება ჩემთვის უკიდურესად მოუხერხებელია.

საქმის გადაწყვეტა, რომელსაც მოუთმენლად ველოდები, რასაკვირველია, თავადის შეხედულებაზეა დამოკიდებული, ხოლო როგორია მისი შეხედულება, ამას ალბათ მალე შევიტყობთ. ამასთანავე, უმორჩილესად გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, გადასცეთ მის ბრწყინვალებას, რომ თავს მოვალედ მივიჩნევ, როგორც კი საბოლოო გადაწყვეტილება იქნება მიღებული, დავბრუნდე დაუყოვნებლივ და ჩემთვის აგრერიგად დამთრგუნველ მეურვის წოდებასაც დავაღწიო თავი.

გულწრფელი...

3 სექტემბერი 1860.
[ცარსკოე-სელო]

## 10. ალექსანდრე ბარიატინსკისადმი

თქვენო ბრწყინვალებავ,

თქვენი მმართველობის სამსახურში მყოფს, პატივი მქონდა, თქვენგან უშუალო განკარგულებები მიმეღო. ნება მიბოძეთ,

თქვენო ბრწყინვალებავ, თქვენი ყურადღება მივაპყრო ერთ ასეთ განკარგულებასა და იმ უმძიმეს მდგომარეობას, რომელშიც ამჟამად ვიმყოფები: სამეგრელოში მეურვეობის სურვილი არასოდეს მქონია, კიდევ უფრო ნაკლებად მაქვს ამ თანამდებობაზე დარჩენის სურვილი. იგი მაშორებს სამსახურს და იმ გზას, რომელსაც პატიოსანი კაცი უნდა მიუყვებოდეს. თუმცა მეურვედ დანიშნული ვარ თქვენ მიერ[1] და მასზე უარს თქვენივე ნებართვის გარეშე ვერ ვიტყვი. ამიტომაც მივმართავ თქვენს გრძნობებს, თქვენს მაღალ კეთილშობილებას უმორჩილესი თხოვნით, გამომიყვანოთ არა მარტო ჩემთვისა და ჩემი მომავლისათვის, არამედ ჩემი ოჯახისთვისაც ამ უმძიმესი მდგომარეობიდან. 30 წელიწადია, ვემსახურები მთავრობას და უკვე აღარ შემიძლია სამსახურებრივი მოვალეობებისა და ამ ახალი საქმის ერთმანეთთან შეთავსება.

გამოიჩინეთ, თქვენო ბრწყინვალებავ, გულმოწყალება და მაცნობეთ: რა გავაკეთო ასეთ ვითარებაში, რომ არ განვიცდიდე სინდისის ქენჯნას ან სამსახურის საქმეების გამო, ან სამეურვეო ვალდებულებების აღსრულებისას.[2]

გულწრფელი პატივისცემითა და ჭეშმარიტი...

8 სექტემბერი 1860.
ც[არსკოე]-ს[ელო]

## 11. გრიგოლ ორბელიანისადმი

მოწყალეო ხელმწიფევ,
კნიაზო გრიგოლ დიმიტრის ძევ

თქვენთან განმეორებით წიგნის მოწერა დიდათა მსურდა,[1] რომ ეგების ჩემი გარემოებაც მომეხსენებინა რამე, მაგრამ მიზეზი არა მქონდარა და ახლა პეტრე ბაგრატიონს ვუმადლი, რომ ის მაბედვინებს ამასა. – თვითანაც მოგართვათ წიგნი და მეც ისე მიანბო

თავისი მწუხარება კარგის ძმის მოშლაზედ[2] და უმეტესად დედისაგან[3] შემწეობის თხოვნაზედ, რომ რამდენისამე თქვენთან სიტყვის მოხსენებას არც ჩემგან მიითვლის საწყენად. — დიდი სიყვარული ჰქონიათ ძმებს ერთმანერთისა და რა საკურველია ისეთის ძმის სიკვდილი დიდად შეაწუხებდა; მაგრამ ჰფიცავს, ისე ივანეს სიკვდილს არ შეუწუხებივარ, როგორც დედიჩემისაგან ნამესტნიკთან[4] ისეთის წიგნის გაგზავნამ შემაწუხაო. შვილზედ გულ-ჩათუთქვილსა და მწუხარებისაგან გონება-დაბნეულს ისე თურმე მოაწერინეს ქაღალდზედ ხელი, რომ არც კი შეატყობინეს, რაზედ აწერინებდნენ, თორემ, როგორც თვითანვე ანბობს ახლა მოხუცებული, ღმერთი ისე როგორ გამიწყრებოდაო, რომ ჩემის შვილის სისხლის სამაგიერო მეთხოვნაო; განა მე არ ვიცი, რომ ხელმწიფის სამსახურზედ დასდვა თავი და ამ შემთხვევისათვის კანონი არსად არის, რომ მშობელს შვილის დაკარგვა სასყიდელით აღედგინოსო. — თქვენზედ დაუძსთ ახლა ყოველი იმედი, რომ თქვენ განამართელებთ ნამესტნიკის წინაშე ამათს უფიქრებელს საქმესა და ისე განუმარტებთ, როგორც შეცთომას, გლოვისა და მწუხარების ცეცხლისაგან ნაწარმოებს. — მაქვსო კი ერთი სავედრებელიო, პეტრე ანბობს, მაგრამ ამისს გამოთქმასაც ვერა ვჰბედავო: განსვენებული ჩემი ძმა პოლკის კომანდირათ იმყოფებოდა მხოლოდ რვაოდე თთვესაო; ამ ცოტას ხანში უეჭველია ხარჯი უმეტესი ექნებოდა და რადგან კალასკით მომავალებულა, რაც ფული გააჩნდებოდა, იმასაც იქ დაკარგავდაო. აქედამ საფიქრებელი არის, რომ სახელმწიფო ვალი დაატყდება და რადგან თქვენ კარგად იცნობდით განსვენებულსა, კარგად გყავდათ მიჩნეული და ჰსწყალობდით, ეგებ ეგ სიკეთე ინებოთ, რომ იმისი სახსენებელი განაწმენდინოთ სახელმწიფო ვალის მოსპობითაო, რადგან ეს საქმე ყოვლითურთ ნამესტნიკის ნებაზედ იქნება დამოკიდებულიო. მე თუმცა არა შემეხებარა, მაგრამ საყვარელის ძმის ხსენება რომ ვალისაგან თავისუფლად მეგულებოდეს, დიდი ნუგეში იქნება ჩემთვისაც და მოხუცებული მშობლისთვისაცაო. — ამას გევედრებათ ჩემის პირით და მეც ეს მაბედვინებს ამ წიგნის მოწერას.

საქმე მრავალი გაქვთ ახლა, უეჭველია, მაგრამ იქნება ცოტა მოცლილი დროც იხელთოთ როდისმე და ამ იმედით ჩემს გარე-

მოებას მოგახსენებთ. — ქალაქში ხმა დაუგდიათ, ყიფიანი პეტერბურღში რჩებაო, ამა და ამ ადგილს აძლევენ იქაო და ცოლშვილსაც იბარებსო. — სხვამ იქნება არა, მაგრამ თქვენ, მგონია, ადვილად დამიჯეროთ, რომ ჩემის სამშობლო-ქვეყნის მიწა-წყალი, ჩემი სიყრმითგან თანაშეზრდილი მეგობრები და მცნობები, ჩვენი ჰაერი, ორმოც და ხუთს წელიწადს რომ სიტკბოებით მიყლაპავს, ჩვენის ქვეყნის ჯერ კიდევაც წრფელი, ჯერ კიდევაც გულის გამამხიარულებელი ერთმანერთთან მისვლა-მოსვლა, ჩვეულება, ზნეობა, ზდილობა, ათასნაირი სხვა და სხვა თვისება, რომელსაც კაცი ვერსადა ჰპოვებს, თუ არ შინა, — ყოველივე ეს ისე ძვირფასად რადმე მიმაჩნია, რომ, ვისაც კი ცოტაოდენი გრძნობა შეჰრჩენია, კაცმა თავისის ნებით არასდროს არ უნდა განუტევოს, თუ ძალით არ განატევებინეს. — ღვთის გულისათვის, რას დამახარბებენ აქ ისეთსა, რომ ამაში გამაცვლევინონ; ან ვინ რას დამახარბებს აქა; ვისა ჰსცხელა ჩვენთვისა? — საქართველოს მოშორება ღმერთმა მაშოროს. ამას კი მოგახსენებთ, რომ, თუ უსირცხვილოდ დაბრუნება გამიჭირდა იმავე სამსახურის წოდებით, რომელშიაცა ვარ, და იმავე პატიოსნების ვალით, რომელსაცა ვმსახურებთ, ისევ გუთანს მოუდგები, ნაბადს მოვისხამ და ჩემს ქვეყანას კი აგრე ადვილად ვერ მოვჰსცილდები. მაგრამ, ღვთის მოწყალებით, მგონია ჯერ ასე არა მიჭირდეს რა. ენა რბილია, თქმით არა ეტკინებარა, მაგრამ სიტყვასაც თავისი სასწორი აქვს და ყოველთთვის გასაჭირი არ არის მიჰხვდეს კაცი, სად სიცრუე ითქმის და სად სიმართლე. შვილებს მართალია ვიბარებდი, რომ აქ სასწავლებელში დამებინავებინა სადმე, მანამდისინ მეც აქა ვარ. ვერ გამომიგზავნეს და რადგან ზაფხული გავიდა, ახლა აღარც მე ვიბარებ. თვითან მე აქ რა დამაყენებს. მე მხოლოდ ეს მაწუხებს, რომ არ ვიცი, როგორ დავაღწიო თავი აქაურობასა ნამუსიანად; იმედი მქონდა, რომ დამიბარებდნენ: გიორგი მუხრანსკი მწერს,[5] ნამესტნიკს თუმცა ჰსურს მალე დაბრუნდეო, მაგრამ მანდ დარჩენის ნებას გაძლევს საქმის გათავებამდინ, თუ მანდ ყოფნას შენც საჭიროდ ჰხედავო. თვით ნამესტნიკი თავისის ხელით ჰსწერს მთავრინას, ყიფიანს სიამოვნებით ვაძლევ მანდ ყოფნის ნებას, მანამდისინ თქვენ გნებავდესო. დაბარება არის

ესა თუ არა, როგორ მივჰხვდე? მეორე იმედი მქონდა კიდევა, რომ ოპეკუნობიდამ გამოსვლის ნება მომცემიყო, რადგან წინათ-ვე დადებული ვადა შემისრულდა; ვითხოვ ამ ნებასა და პასუხი ჯერაც არსად არის. რა ვჰქნა, რა გზას დავადგე, მირჩიეთ რამე, დამარიგეთ ღვთის გულისათვის. ოღონდ უსვინდისობას ნურას დამსაქმებენ და სხვას ყოველსავე თავს ვიდებ. რა საქმეზედაც მე აქა ვარ, იმ საქმეს, მანამდისინ ოპეკუნად ვიმყოფები, ყოვლის ჩემის შეძლებით რომ არ გამოვესარჩლო, არ შეიძლება;[6] კაცობ-რიობის ვალი და ნამუსი არ მომცემს ნებასა. ოპეკუნობა-ღა თავს ვიდევ მხოლოდ ნამესტნიკის სურვილითა და ბძანებითა. — სწო-რეთ გამიჭირდა საქმე და სახსნელს რჩევას გევედრებით.

თქვენის ბრწყინვალების უმორჩილესი მოსამსახურე
**დიმიტრი ყიფიანი**

8 ოკტომბერი 1860.
ცარსკოე-სელო

ამ თვეს აქვე ვრჩები და ნოემბერში პეტერბურღს გადავდი-ვართ в дом Александровой на углу Исаакиевского Сквера и Большой Морской.*

## 12. პეტრე დირინისადმი

მოწყალეო ხელმწიფეო,
პეტრე ნიკოლოზის ძევ

თქვენ მიერ განზრახული საქმის — სამეგრელოში თამბაქოს მოყვანისა და სხვაზე უფრო სასარგებლო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების — შესახებ ჩემთან პირად საუბარში

* ალექსანდროვას სახლში ისააკის სკვერსა და ბოლშაია მორსკაიას კუთხეში.

გამოთქვით სურვილი, რომ ჩემგან, როგორც სამეგრელოს მცირეწლოვანი მთავრის ქონების მეურვისგან, მიგეღოთ ცნობები შემდეგ საკითხებზე:

1. სამეგრელოს მთავრის კუთვნილი ადგილ-მამულიდან რა მოცულობის მიწა და რა ფასით შეუძლია გამოუყოს მეურვეობამ იმ კომპანიას, რომლის სახელითაც ამას მეკითხებით?

2. რა განსხვავება იქნება სახნავ-სათესი და დაუმუშავებელი მიწების ფასებს შორის?

3. რა ვადით და რა პირობებით იქნება მეურვეობის მიერ გაცემული როგორც ერთი, ისე მეორე სახის მიწები?

4. შეუძლია თუ არა მეურვეობას მუშახელის გამოყოფა და რა პირობებით?

5. შეუძლია თუ არა მეურვეობას მთავრის კუთვნილი თავისუფალი შენობა-ნაგებობების კომპანიის სარგებლობაში გადაცემა და რა პირობებით?

6. რა ფორმალური გარემოებების დაცვა იქნება საჭირო კომპანიასა და მეურვეობას შორის აქტების გაფორმებისა თუ ხელშეკრულებების დადებისას?

7. შეეძლება თუ არა კომპანიას პირდაპირი და უშუალო ხელშეკრულების გაფორმება იმ კერძო პირებთან, რომლებსაც მეურვეობის მიერ მინიჭებული აქვთ კომპანიისთვის გადაცემული მიწების მოსაზღვრე ნაკვეთებით სარგებლობის უფლება და ექნებათ თუ არა ამ კერძო პირებს თავიანთი უფლების კომპანიის სასარგებლოდ დათმობის საშუალება?

ყოველივე ამის საპასუხოდ მისი უგანათლებულესობის, კნეინა ეკატერინე ალექსანდრეს ასულის, როგორც მთავარი მეურვის, თანხმობითა და ჩემი, როგორც მისი თანაშემწე მეურვის, სახელით, მოწყალეო ხელმწიფეო, მაქვს პატივი, მოგახსენოთ: მეურვეობას დღევანდელი უფლება-ვალდებულებითი მდგომარეობის პირობებში არ შეუძლია თქვენს კითხვებზე გადაჭრილი პასუხების გაცემა, თუმცა, თუ საკითხი დადგება ისე, როგორც ეს მეურვეობას თავისი დანიშნულებისა და პასუხისმგებლობის ფარგლებში წარმოუდგენია, მე მეურვეობისავე სახელით შემიძლია გაგცეთ შემდეგი პასუხები და დაგპირდეთ შემდეგს:

1. მეურვეობას შეუძლია კომპანიას გადასცეს თავისუფალი მიწა იმ მოცულობით, რა მოცულობასაც კომპანიის ადგილობრივი წარმომადგენელი მიუთითებს; ანუ ის მიწა, რომელიც გლეხებისთვის ნადელის სახით არ არის გადაცემული ან რომელიმე პირისთვის საღალო კონტრაქტის საფუძველზე არ არის გამოყოფილი. უკანასკნელ შემთხვევაში, კონტრაქტის ვადის გასვლის შემდეგ უპირატესობა, პირველ რიგში, მიენიჭება კომპანიას. – ფასები ამ მიწისა უნდა დადგინდეს ადგილზევე, იმ სხვადასხვაგვარი პირობების გათვალისწინებით, რომლებითაც ზოგადად განისაზღვრება მიწის ღირებულება. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული აგრეთვე მთავრის საღალო თუ სხვა სახის შემოსავლები.

2. ამავე საფუძველზე უნდა განისაზღვროს საფასო განსხვავებები სახნავ-სათეს და დაუმუშავებელ მიწებს შორის.

3. მეურვეობას მთავრის სრულწლოვანებამდე არ შეუძლია რაიმე პირობის დადება, თუმცა მისი უგანათლებულესობა კნეინის თანხმობითა და კავკასიის მეფისნაცვლის ნებართვით სამთავრო მიწებიდან გარკვეული ნაკვეთები შეიძლება გაიყიდოს, თუ დასაბუთდება, რომ ეს სარგებლიანი იქნება მთავრის ინტერესებისათვის.

4. მეურვეობას შეუძლია გამოყოს მუშახელი იმ ადამიანებიდან, რომლებსაც დაკისრებული აქვთ მუშაობა მთავრის სასარგებლოდ და იმ ვადით, რა ვადითაც მათ ეს მუშაობა აქვთ დაკისრებული. მათი შრომის საფასური იქნება მცირეოდენ ნაკლები (5%) სანარდო ანაზღაურებისა, ამასთანავე, ნახევარი სანარდო ანაზღაურებისა მუშას უნდა მიეცეს ხელზე, ხოლო მეორე ნახევარი აღნიშნული პროცენტის გამოკლებით უნდა შეუვიდეს მეურვეობას. დეტალები ამ ძირითადი პირობისა უნდა გაირკვეს ადგილზევე.

5. კომპანიას შეიძლება გადაეცეს მთავრის კუთვნილი ხის სახლები, სადაც კი ასეთი სახლებია: ან ქირით, ან მიყიდვის ფორმით და იმ ფასად, რომელიც სამი ადგილობრივი კეთილსინდისიერი მცხოვრების მიერ ფიცის ქვეშ მიცემული ჩვენების საფუძველზე დადგინდება.

6. თუკი საკითხის საბოლოო განხილვის შემდეგ სპეციალური უმაღლესი განკარგულებით მეურვეობა ოფიციალურ დაწესე-

ბულებად იქნება აღიარებული, მაშინ მისი წერილობითი თანხმობა, ისევე, როგორც კომპანიის ვალდებულებები მეურვეობის წინაშე, ჩაითვლება მხარეთა შორის გაფორმებულ ნამდვილ გარიგებად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველაფერი უნდა გაფორმდეს, როგორც ხელშეკრულება კერძო პირთა შორის.

7. მეურვეობა ვერავითარ მონაწილეობას ვერ მიიღებს კომპანიასა და მეურვეობას დაუქვემდებარებელ კერძო პირთა შეთანხმებებში.

წინამდებარე პასუხებით მეურვეობა გამოთქვამს სრულ მზადყოფნას, ხელი შეუწყოს კომპანიის მიერ განზრახულ და თვითონ სამეგრელოსთვის სასარგებლო წამოწყების განხორციელებას და, ამასთანავე, პირადადაც გიდასტურებთ თქვენი საქმის წარმატებით დაგვირგვინების გულწრფელ სურვილს.

გთხოვთ, მოწყალეო ხელმწიფეო, ერწმუნოთ...

18 ოქტომბერი 1860.
ცარსკოე-სელო

## 1861

### 13. [ალექსი კრუზენშტერნისადმი]

მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსს
კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრის,
ნამდვილი სამოქალაქო მრჩევლის
**ყიფიანის**

[მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი  ბ ა რ ა თ ი]

მიმდინარე ივლისის 6 რიცხვით დათარიღებული თქვენი მომართვით, რომელიც ტფილისში არყოფნის გამო მხოლოდ იმავე თვის 16-ში მივიღე, თქვენს აღმატებულებას ჩემთვის მეფის-

ნაცვლის ბრძანებულების გამოგზავნა უნებებია. დაკისრებული მაქვს, საქმისწარმოების შემცირების თაობაზე ჩემი შეხედულებები გამოვთქვა: *პირველი,* საბჭოს სამი წევრისგან შემდგარი სპეციალური კომისიის მიერ 1856 წელს მიღებული დასკვნის შესახებ; *მეორე,* შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრების შეხედულებათა შესახებ; და, *მესამე,* საერთო-საიმპერიო წესების თაობაზე სხვადასხვა დროს მიღებულ დადგენილებებზე დაყრდნობით შევიმუშაო ერთიანი დებულება და იგი საბოლოო განხილვისთვის წარმოგიდგინოთ.

ამიერკავკასიის დაწესებულებებში მიმოწერის შემცირების შესახებ გეგმა მე ჯერ კიდევ 1843 წელს მქონდა შემუშავებული; იმ დღიდან ეს საქმე არაერთხელ ქცეულა განხილვის საგნად; 1851 წელს იგი ძალაში შევიდა; ამის შემდეგ ორ წელიწადში შეკრებილ იქნა სათანადო მონაცემები და იყო განხილვა პრაქტიკული შედეგებისა; შემდეგ კიდევ იყო განხილვა და საბჭოს დებულების საფუძველზე მომიხდა შემუშავება დებულების პროექტისა, რომელიც კვლავ იქცა ხსენებული კომისიის საგანგებო მსჯელობის საგნად და, დასასრულ, 1856 წლის ბოლოს კომისიამ წარმოადგინა კიდევაც თავისი დასკვნა.

მას შემდეგ კიდევ ხუთი წელიწადი გავიდა და 1857 წელს შემოღებული წესები დღემდე მოქმედებს. გამოცდილებამ უნდა გვიჩვენოს, რამდენად გაამართლა ან არ გაამართლა ჩემ მიერ შემუშავებულმა წესებმა. ხოლო მსჯელობა ამ წესების სარგებლიანობასა თუ მათგან გამოწვეულ უხერხულობებზე უნდა წარიმართოს იმის მიხედვით, თუ რა პრაქტიკული სარგებლობა მოიტანა ამათგან თითოეულმა ამა თუ იმ მიმართულებით საკანცელარიო წესრიგის დამყარებაში. კაბინეტურმა წარმოდგენებმა თუ დასკვნებმა ზემოხსენებული კომისიისა, რომელმაც ჩემ მიერ შემუშავებული აღნიშნული წესებიდან ზოგი მოიწონა და ზოგიც — უარყო, ვერ უნდა გადასძალოს პრაქტიკული შედეგებისგან მიღებული შედეგები. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმეს მოუვა ის, რაც უსათუოდ და უეჭველად მოუვა მანქანას, თუ მისგან მემანქანისა და ხელოსნების დაუკითხავად ცალკეული

ნაწილების თვითნებურად ამოცლას დაიწყებენ. — კომისიას მიაჩნია, მაგალითად, რომ ჩემ მიერ შემოთავაზებულმა სისტემამ შეიძლება იმუშაოს ***საქმეთა აღრიცხვის ჟურნალის*** გარეშე; არადა, მიმოწერის საქმეში ასეთი ჟურნალის გაუქმება იმას ნიშნავს, რომ საქმეთა წარმოებაში გაუვალი წყვდიადი და სრული ქაოსი უნდა გამეფდეს.

ამიტომაც ჩემ მიერ წარმოდგენილი მოსაზრებისა და კომისიის მიერ 1856 წელს შემუშავებული დასკვნის ერთმანეთთან შეხამება შეუძლებლად მიმაჩნია.

ამასთანავე, სავსებით შესაძლებელია, უკანასკნელი ხუთი წლის პრაქტიკამ წარმოშვა რაიმე ისეთი ახალი პირობა, რომელიც ადრე არ ყოფილა გათვალისწინებული. ამიტომ, თქვენო აღმატებულებავ, ხომ არ ჩათვლიდით სასარგებლოდ, რომ ჩემთვის გამოგზავნილი ყველა ეს ქაღალდი საგანგებო განხილვისთვის ტფილისის საგუბერნიო მმართველობას გადაეცეს? მისი ამჟამინდელი შემადგენლობა აკმაყოფილებს ყველა პირობას, რათა მართებლობას წარუდგინოს უტყუარი და გამოცდილებაზე დაფუძნებული დასკვნა. შემდგომ სწორედ ეს დასკვნა უნდა დაედოს საფუძვლად საბოლოოდ მიღებულ პროექტს.

დასასრულ, თქვენს წინადადებასთან დაკავშირებით გამოგზავნილი და ამჟამად ჩემს ხელთ არსებული ქაღალდები, მაქვს პატივი, თქვენო აღმატებულებავ, უკანვე დაგიბრუნოთ.

აგვისტო 1861.
ტფილისი

## 14. ალექსანდრე ბარიატინსკისადმი

თქვენო ბრწყინვალებავ

მისმა აღმატებულებამ, ალექსი თედორეს ძემ,[1] გამომიცხადა ნება თქვენი ბრწყინვალებისა, რომ ამის შემდეგ თქვენი საბჭოს

წევრად ველარ დავრჩები. ამასთან დაკავშირებით გავკადნიერდები და ერთი უმორჩილესი თხოვნით შეგაწუხებთ:

ერთხელ თქვენმა ბრწყინვალებამ კეთილინება და მითხრა, რომ ჩემს მოხსენებებს სიამოვნებით ისმენს. დამდეთ პატივი და თქვენთვის ჩვეული დიდსულოვნებითა და მოთმინებით მოისმინეთ ეს ჩემი უკანასკნელი მოხსენება, რომლის მიზანი ის კი არ არის, სხვა სამსახური გთხოვოთ – რამდენადაც ვიცი, ასეთი სამსახური ჩემთვის არც არსებობს – არამედ ის, რომ თქვენს მეხსიერებაში აღვადგინო გარემოებები, რომლებმაც ამ მდგომარეობაში ჩამაგდო, კერძოდ, გამოიწვია თქვენი უკმაყოფილება, რაც ჩემთვის მეტისმეტად სამწუხაროა.

1857 წელს, როცა სამეგრელოში მთავრის ქონების აღწერისთვის პირველად მგზავნიდით,[2] თქვენმა ბრწყინვალებამ კეთილინება, ჩემთვის იქაურ მმართველობაში განხორციელებული ცვლილებების არსი და მიზანი აეხსნა. ჩემი მუშაობის შედეგებით თქვენ კმაყოფილი დარჩით: მაშინ მე შევძელი, მთავრის მეუღლე იმდენად დამემშვიდებინა,[3] რომ მას, როგორც თქვენს ბრწყინვალებას მოეხსენება, ოთხი წლის განმავლობაში ერთი სამდურავი სიტყვა არ დასცდენია. და ეს იმიტომ, რომ მე მას თქვენი დანაპირები გადავეცი: შვილის სრულწლოვანებამდე იგი მონარქიული სიუხვის წყალობით 30 ათას მანეთს მიიღებდა; სამეგრელოს მმართველობით ხარჯებს ხაზინა დაფარავდა; მთავრის შემოსავლები მასვე დარჩებოდა. შემოსავალთა საკითხის გარკვევისთვის ჩემი შრომა თქვენ მოიწონეთ, ხოლო პირებმა, რომლებიც ამ საქმეში მეხმარებოდნენ, ჩინები და ჯილდოები მიიღეს. ჩემ მიერ შედგენილ აღწერას მთელი წელიწადი განიხილავდნენ. ვერ ვიტყვი, განხილვის მონაწილეებიდან ამ საქმის გადადება არავის სურდა-მეთქი, თუმცა იგი მიღებულ იქნა ყოველგვარი კიცხვისა თუ საყვედურის გარეშე და, ვისაც ჯერ არს, გადაეცა კიდევაც.

იმავე 1857 წელს მთავრის მეუღლეს შესთავაზეს, დატოვებული ადგილ-მამულების მეურვეები შეერჩია. მან თავისი ძმები და მე დაგვასახელა.*[4] თქვენს ბრწყინვალებას მოეხსენება, რომ

---

* ბარონი ა. პ. ნიკოლაი და თ-დი დ. ა. ჭავჭავაძე.

ავტ.

მე მაშინ მეურვის წოდებაზე კატეგორიული უარი განვაცხადე. ორი წლის შემდეგ უარი განაცხადეს ძმებმაც. ამის შემდეგ მთავრის მეუღლემ ისევ მე მომმართა. თქვენმა ბრწყინვალებამ კეთილინება და მკითხა იმ მიზეზების შესახებ, რომელთა გამო მეურვეობაზე უარს ვამბობდი. პატივი მქონდა, თქვენი ბრწყინვალებისთვის სამი მიზეზი მომეხსენებინა:[5]

1. შესაძლოა, როგორც მეურვეს, ისეთი შეხედულებები გამომეთქვა ან ისეთი მოთხოვნები წამომეყენებინა, რომლებიც, როგორც თქვენი საბჭოს წევრს, არ უნდა გამომეხატა. ამაზე თქვენ კეთილინებეთ და ბრძანეთ, რომ მიზანი მთავრობისა და მეურვეობისა ერთი და იგივეა: სრულად იყოს დაცული მთავრის ქონება. – აი, თქვენი ჭეშმარიტი და ამიტომ ჩემს მეხსიერებაში მკაფიოდ აღბეჭდილი სიტყვები: „თუ მთავარი სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ თავის სამფლობელოში დაბრუნდება, მას არ უნდა ჰქონდეს საბაბი ჩივილისა, რომ მისი არასრულწლოვანების დროს ქონება გაუნიავეს; ხოლო, თუ არ დაბრუნდება, მისი მამულები გადაეცემა ხაზინას. ასეთ შემთხვევაში კი ხაზინამ უნდა მიიღოს უკლებლივ ყველაფერი, რაც მთავრობის განკარგულებით აღიწერა“. – საკითხისადმი თქვენმა ამ პატიოსანმა, მართებულმა და მკაფიო მიდგომამ მთლიანად მოხსნა პირველი დაბრკოლება.

2. ამის შემდეგ მქონდა პატივი, თქვენთვის მომეხსენებინა, რომ სამეგრელოს ხელმძღვანელობასა და სამეურვეო მმართველობას შორის დიდი უთანხმოება და გაუგებრობა იყო ჩამოვარდნილი. ამიტომ შეუძლებელი იყო, ვერ დამენახა მოსალოდნელი უსიამოვნებები. თქვენ კეთილინებეთ და დამპირდით, რომ დამიცავდით და ისიც მიბრძანეთ, საჭიროების შემთხვევაში პირდაპირ და უშუალოდ თქვენთვის მიმემართა. და, დასასრულ:

3. მესამე დაბრკოლება იმაში მდგომარეობდა, რომ წელიწადში სამი-ოთხი თვის განმავლობაში სამეგრელოში ყოფნა მომიწევდა. თქვენმა ბრწყინვალებამ ამის უფლება მომცა. საბოლოოდ თქვენი ნება-სურვილი ჩემთვის სასიამოვნო სიტყვებით გამოხატეთ: „მსურს მთავრის მამული საიმედო ხელში იყოს და ამიტომ გთხოვთ, უარს ნუ იტყვით“.

სხვა გზა აღარ იყო, უნდა დაგთანხმებოდით და ამის თაობაზე მთავრის მეუღლისადმი ჩემი წერილი თქვენმა ბრწყინვალებამ მაშინვე თავისი ხელით გაგზავნა კურიერის მეშვეობით.

ეს იყო 1859 წლის მარტში. მაშინ თითქმის დასრულებული მქონდა თქვენივე დავალება – თქვენი მმართველობის ორი წლის ანგარიში. ამ დავალების გამო მაშინ კეთილინებეთ და ბრძანეთ, რომ სამეგრელოში ივნისამდე ვერ გამიშვებდით, თუმცა მაისში, პეტერბურგში ჩასვლამდე რამდენიმე დღით ადრე, მთავრის მეუღლე დადიანისგან წერილი მიიღეთ – იგი სხვათა შორის იმასაც ჩიოდა, რომ სამთავრო შემოსავალმა ორი წლის ანგარიშით მხოლოდ და მხოლოდ 277 მანეთი შეადგინა.

ამის შემდეგ თქვენმა ბრწყინვალებამ მიბრძანა, შემეწყვიტა შრომა ტფილისში, ანგარიში ალექსი თედორეს ძისთვის გადამეცა და დაუყოვნებლივ სამეგრელოში წავსულიყავი.

იმ ზაფხულს ღმერთმა თქვენზე წყალობა მოიღო და დიდი საქმე აღასრულეთ.[6] მთავრის მეუღლე დადიანმაც მოგილოცათ და, ამასთან დაკავშირებით, სექტემბერში კეთილინებეთ და მითხარით, რომ მთავრის მეუღლე, რადგანაც სამეგრელოში ეგულებით, თავს მშვიდად გრძნობსო. მაშინ თქვენს ბრწყინვალებას მოვახსენე: მთავრის მეუღლემ რომ იცოდეს იმის მეათედიც კი, რაც სამეგრელოში მისი საქმეების გარშემო ტრიალებს, თავს დამშვიდებულად ვერ იგრძნობდა-მეთქი.

თქვენი ბრწყინვალების ყურადღებით ბოროტად ვერ ვისარგებლებ და ხსენებულ საქმეებს აღარ ჩამოვთვლი, მით უმეტეს, ზოგიერთი მათგანის შესახებ პირადადაც მოგახსენეთ. მას შემდეგ, რაც კეთილმოწყალე ყურადღებით მომისმინეთ და, ამას გარდა, მქონდა პატივი, ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან ურთიერთობის შესახებ თქვენთვის წერილობითაც მომეხსენებინა, ისღა დამრჩენოდა, მშვიდად დავლოდებოდი წერილობით განმარტებებს ხსენებულ გაუგებრობებთან დაკავშირებით. ვალდებულებათა შესრულებისას ღრმად ვიყავი დარწმუნებული საკუთარ მოქმედებათა სისწორეში – ყოველი ღონით დამეცვა ღირსება და ჭეშმარიტი ინტერესები იმ ხელისუფლებისა,

რომლის სამსახურის ბედნიერებაც მაქვს მონიჭებული. თუმცა განმარტებები, რომლებიც 1859 წლის ბოლოს, პეტერბურგში თქვენი ხელმეორედ გამგზავრების შემდეგ, მივიღე, წინააღმდეგობაში იყო ადრინდელ ზეპირად ნათქვამ თუ წერილობით მითითებებთან. მე მაშინ თავს უფლება მივეცი, თქვენი ბრწყინვალებისთვის პირდაპირ და გულწრფელად მომეხსენებინა, რომ უკანასკნელი მითითებების შემდეგ უკვე აღარ შემეძლო გაურკვეველ მოვალეობათა შესრულება და გთხოვდით ნებართვას, თავი დამენებებინა მეურვეობისათვის. „პირადად მე გამიწიეთ ანგარიში და ნუ იზამთ ამას“, – ბრძანეთ თქვენ და მეც დაგემორჩილეთ. მაშინ, მხედველობაში მქონდა რა პეტერბურგში თქვენი გამგზავრება, გთხოვეთ, ჩემთვისაც მოგეცათ იქ წასვლის უფლება, რათა მთავრის მეუღლისთვის პირადად ამეხსნა ის, რასაც წერილობით ვერ გადავცემდი და ამის მერე დამეყოლიებინა იგი, სხვა მეურვე აერჩია. – თქვენ მხოლოდ იმის ნება დამრთეთ, რომ მთავრის მეუღლისთვის ეს ყველაფერი ***მიმეწერა.*** მე მას მხოლოდ ჩემ მიერვე გაცემული თუ მიღებული ოფიციალური ქაღალდების ასლები გავუგზავნე.

მთავრის მეუღლე პეტერბურგში თავის საქმეებზე გელაპარაკათ. ამის შემდეგ თქვენ კეთილინებეთ ალექსი თედორეს ძისთვის მოგეწერათ, რომ მივლინებული ვყოფილიყავი პეტერბურგში, თუ, რასაკვირველია, მე თვითონ თანახმა ვიქნებოდი. გამგზავრებაზე უარი ვთქვი.

1860 წლის თებერვალში თქვენ ტფილისში დაბრუნდით, მთავრის მეუღლესთან თქვენი საუბრის შინაარსიც მომიყევით და პატივი დამდეთ, იმ რჩევის შესახებაც გეთქვათ, მას რომ მიეცით: „ვინაიდან თქვენ თქვენი საქმე უკვე გადაწყვეტილი გაქვთ და ამ გადაწყვეტილების შეცვლაც არ შეგიძლიათ, დაე, შეიტანეთ იგი კომიტეტში[7] ან სახელმწიფო საბჭოში და, თუ იქ სხვა გადაწყვეტილებას მიიღებენ, თქვენ ამის საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ“. – დასასრულ, თქვენმა ბრწყინვალებამ კეთილინება და მითხრა: „იქ მაინც იმ აზრს ადგანან, რომ უნდა ჩახვიდეთ და ამიტომ მეც გიბრძანებთ, რომ წახვიდეთ“. –

— თქვენო ბრწყინვალებავ! თუ მიბრძანებთ, მე ხომ ვალდებული ვიქნები, თქვენი ეს ბრძანება შევასრულო?!

„მე თქვენ გთავაზობთ“.

— ასეთ შემთხვევაში ნება მიბოძეთ, რომ უარი გითხრათ და მე უარს ვამბობ.

„როგორც გენებოთ. მე ჩემი მოვალეობა შევასრულე. ახლა უკვე პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება მოგიწევთ“.

— კეთილი, თქვენო ბრწყინვალებავ!

აი, მთელი თავისი სიზუსტით ის სიტყვები, რომლებიც მაშინ, თებერვლის ბოლოს, თქვენი ბრწყინვალების კაბინეტში ითქვა. დაუყოვნებლივ მივწერე მთავრის მეუღლეს, რომ ***არამც და არამც*** ჩასვლა არ შემეძლო.

მარტის ბოლოს ალექსი თედორეს ძის პირით გაცნობეთ ახალი წერილის შესახებ, რომლითაც მთავრის მეუღლე ჩემს იქ ჩასვლას დაბეჯითებით ითხოვდა.

ამის პასუხად განმეორებით მივიღე თქვენი ბრძანება, გავმგზავრებულიყავი.

მაშინ მე პატივი მქონდა თქვენი ბრწყინვალებისათვის პირადად მომეხსენებინა: ვემორჩილები თქვენს ბრძანებას და გავემგზავრები-მეთქი, თუმცა, თქვენო ბრწყინვალებავ, თუ იქ საქმის შესახებ მკითხავენ, იმისგან განსხვავებულს ხომ ვერაფერს ვიტყვი, რაც თქვენს ბრწყინვალებასაც მოვახსენე-მეთქი?

„კეთილი მგზავრობა და იმოქმედეთ ისე, როგორც საჭიროდ ჩათვლით. მე ხელს არაფერში გიშლით“.

აი, უკანასკნელი სიტყვები, რომლის გაგონების პატივი მერგო თქვენი ბრწყინვალებისაგან.

ვინაიდან პეტერბურგში აღარ მელოდნენ, კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარისთვის მოხსენების წარსადგენად უჩემოდ დაიწყეს მუშაობა. წერის ჩემეულ სტილს თქვენ, მგონი, იმდენად კი იცნობთ, რომ ეს მოხსენება მე არ მომაწეროთ, თუმცა აღარც ამას ვმალავ — იგი სხვის მიერ რომ არ იყოს შედგენილი, შევადგენდი მე. ასეთი იყო ჩემი მაშინდელი მდგომარეობა.

მაგრამ მე იქ არავინ არაფერს მეკითხებოდა. საქმის დამთავრებამდე უკან დაბრუნებაც არ შემეძლო. აქედან, ტფილისიდან, სამსახურშიც კი არ მიბარებდნენ, თუმცა მე სწორედ ამას ვითხოვდი. იქ თითქმის ერთი წელიწადი დავყავი და უმაღლესი გადაწყვეტილების გამოცხადებიდან მეორე დღესვე უკან გამოვემგზავრე.

ტფილისში მაისში ჩამოვედი და თქვენს ბრძანებებს აგვისტოს ბოლომდე ველოდებოდი.

ვინაიდან პეტერბურგიდან წამოსვლამდე ერთი დღით ადრე წილად მხვდა ბედნიერება, წარვმდგარიყავი ხელმწიფე იმპერატორის წინაშე[8] და მისი უდიდებულესობისგან მომესმინა შემდეგი სიტყვები: „საქმე დასრულებულია. გადაწყვეტილება დავამტკიცე. იმედი მაქვს, ამის მერე საქმეები იქ ჩემი სურვილის მიხედვით წარიმართება“ და რადგან ისიც გავიგე, რომ აგვისტოს ბოლოს ჩვენს მხარეში მისი უდიდებულესობის ჩამობრძანება იგეგმებოდა, სასწრაფოდ წამოსვლა გადავწყვიტე — აქ ჩემთვის რაიმე კითხვა რომ დაესვათ, პასუხის გაცემა უნდა შემძლებოდა. საქმე ის არის, რომ მთელი ორი წლის განმავლობაში მეურვეობის საქმეებთან დაკავშირებით არც რაიმე ცნობა და არც რაიმე პასუხი მე არ მიმიღია.

ჩამოვედი და ისე, რომ სადავო პუნქტებს ოდნავადაც არ შევხებივარ, გავიგე: 1859 და 1860 წლების აქაური შემოსავალი სულ რაღაც 9000 მანეთზე ოდნავ მეტი ყოფილა.

ასეთი ცნობებით ვბრუნდები ახლა ტფილისში და იქ შემდგომ ბრძანებებს დაველოდები. აი, ყველაფერი, რისი მოხსენებაც თქვენი ბრწყინვალებისთვის მინდოდა.

ჩემს ამ წერილში ფაქტები, მართალია, ნაჩქარევად, თუმცა ზედმიწევნითი სიზუსტით არის გადმოცემული და საკუთრივ თქვენთვისაა განკუთვნილი. მსურს თქვენი ბრწყინვალება დავარწმუნო იმაში, რომ ჩემს სინდისს ვერც თქვენ წინაშე, ვერც კანონისა და ღვთის წინაშე იოტისოდენადაც კი ვერაფერი შებღალავს. ამიტომაც ვიტოვებ იმედს: იმდენ დიდსულოვნებას გამოიჩენთ, რომ პატივს მიაგებთ ჩემს 30-წლიან სამსახურს და

სინანულს მაინც იგრძნობთ იმის გამო, ჩემი სახით, სულ ცოტა, კეთილსინდისიერ ჩინოვნიკს რომ კარგავთ.

მაქვს რა პატივი დაგიდასტუროთ
ჩემი ულრმესი პატივისცემა,
დავშთები თქვენი ბრწყინვალების
უმორჩილესი მოსამსახურე
**დიმიტრი ყიფიანი**

14 ოქტომბერი 1861.
ზუგდიდი

## 15. ნიკოლოზ დემენტიევისადმი

მოწყალეო ხელმწიფეო,
ნიკოლოზ ტიმოთეს ძევ!

თეატრის ახალგაზრდა მოყვარულებს, რომლებმაც ამა თვის 16-ში ტფილისის სცენაზე წარმოადგინეს ორი ქართული პიესა,[1] სურთ ხარჯის გასტუმრების შემდეგ დარჩენილი 480 მანეთიდან ერთი ნაწილით ტფილისის გიმნაზიაში გამართოთ სატანვარჯიშო მოწყობილობები, ხოლო დარჩენილი ნაწილით განსაკუთრებით ხელმოკლე გიმნაზისტებს სწავლის ქირა გადაუხადოთ.

გიგზავნით რა ზემოაღნიშნულ ოთხას ოთხმოც მანეთს, გთხოვთ გამოიყენოთ იგი შემომწირველთა სურვილისამებრ.[2]

მაქვს პატივი უმორჩილესად გთხოვოთ, დამიდასტუროთ შემოწირულების მიღება.

23 ნოემბერი 1861.

## 16. ალექსი კრუზენშტერნისადმი

ბატონ კავკასიის მეფისნაცვლის
მთავარსამმართველოს უფროსს

სასწავლო ოლქის დებულების პროექტთან დაკავშირებული თქვენი აღმატებულების ა. წ. 26 აგვისტოს წინადადება №5317, მქონდა პატივი, 27 ოქტომბერს მიმეღო (მანამდე ტფილისში არ ვიმყოფებოდი). დაწვრილებით განვიხილე ტფილისის გიმნაზიასა და მასთან არსებულ პანსიონთან დაკავშირებული საკითხები და ამასობაში ისიც შევიტყვე, რომ ტფილისის სამოსწავლო ხელმძღვანელობას ახალი საქმე განუზრახავს – გახსნას ტფილისში მეორე გიმნაზია, რომლის აუცილებლობა უკვე აშკარაა.

იმდენად, რამდენადაც განზრახულების აღსრულება ადრევე შედგენილ ქაღალდებთან შეჯერებას მოითხოვს, ხოლო საკითხების ცალ-ცალკე განხილვა მოუხერხებელი იქნებოდა, საქმე ტყუილუბრალოდ რომ არ დავაყოვნო, თავს ვალდებულად მივიჩნევ ზემოაღნიშნულ წინადადებაზე დართული ქაღალდები თქვენს აღმატებულებას უკანვე დავუბრუნო იმ განზრახვით, რომ, თუკი თქვენი აღმატებულება ინებებს, ჩემი მოსაზრება წარმოგიდგინოთ თავის დროზე.

7 დეკემბერი 1861.

## 17. ლუი ალომისადმი

მონსენიორ,

თქვენი 22 ოქტომბრის წერილი მხოლოდ ამ თვის 22 რიცხვში მივიღე და აქამდე ვერ გიპასუხეთ. ძალიან ვწუხვარ, ისეთ დამაკმაყოფილებელ პასუხს რომ ვერ გწერთ, როგორიც თქვენ გნებავთ, რადგანაც თქვენი შემოთავაზებებიდან ყველას ვერ დავთანხმდები.

აი, რისი შემოთავაზება შემიძლია:

1. სიმინდის მოსაყვანად გამოსადეგი 40 დესეტინა მიწის ნაკვეთი.

2. 20 კაცი, რომლებიც დაგეხმარებიან მის მოყვანაში. მათი შენახვისა და სარჩოს ხარჯი თქვენ უნდა გასწიოთ.

3. ტყე ღორების გამოსაკვებად შესაბამის სეზონზე.

4. 8 ურემი და 8 წყვილი კამეჩი.

5. თავლების, ფარდულების, ბოსლის, სახლისა და ა.შ. ასაგებად საჭირო ხის მასალა.

პირველი: უნდა მოაშენოთ 800-1000 ღორი, უმეტესად ინგლისური ჯიშისა; და მეორე: მთელი სარგებელი თანაბრად უნდა განაწილდეს ჩვენ ორს შორის, მესაკუთრის მხრიდან ყოველგვარი ხარჯის გაწევის გარეშე.

ძირითადად ესაა, რასაც ამ გარიგებასთან დაკავშირებითა და ხელშეკრულების გასაფორმებლად გთავაზობთ.

30 ნოემბერი 1861.
ტფილისი

## 1862

### 18. ეკატერინე დადიანისადმი

26 ფებერვალი 1862.

უძვირფასესო დედოფალო!

მეორეს ფოჩტით სხვა წიგნი მოგივათ ჩემგან, რუსულათ დაწერილი, რომ საქმეში გამოსაყენებლად გამოგადგესთ და ახლა ამას იმისთვისა გწერთ, რომ უბრალოდ გული არ აიშფოთოთ. – საქმე ეს არის, რომ იმ წიგნით უნდა გთხოვოთ ოპეკუნობიდამ განთავისუფლება.[1] სამსახურიდამ უნდა გამოვიდე, ნამესტნიკის ბძანება გამოცხადებული მაქვს ამაზედ; მხოლოდ ჩემის წიგ-

ნის პასუხს მოველი, რომელიც ოკტომბერში მივსწერე.[2] მერე ოპეკუნად რომ დავრჩე, ახლა რომ არავინ არას მეპუება, მაშინ ვინღა შემეპუება; ყოველი კაცი ყოვლის გულსმოდგინებით ეც-დება ჩემს წინააღმდეგობას, ჩემს გაცრუვებას და ამითი მე კი აღარა წამიხდებარა და თქვენ კი უფრო წაგიხდებათ საქმე. — ახ-ლა თქვენ კი აღარა გმტრობენ, მე მტრობენ. ამას რომ თვალით არა ვჰხედავდე, სულ არას ვინაღვლიდი; მაგრამ ცხადათა ვჰხე-დავ და სარგებლობის მაგიერად, თუ არ ჩამოვეცალე, უფრო ვა-ზარალებ თქვენს საქმესა.

ეს კი, რომ მანამდისინ თქვენი გარდაწყვეტილება არ მომი-ვა, საქმეზედ ხელს ვერ ავიღებ და რაც რამ გამოსაცხადებელი იქნება ჩემგან, ან დასაწერი, გამოვაცხადებ კიდეცა და დავს-წერ კიდეცა, რომ ჩემის გაჩუმებისაგან არა გეზარალოსთ რა. თქვენს ოპეკუნად ისეთი კაცი არა ვინ გამოდგება, რომ სამსა-ხურში კარგი რამ მნიშვნელობა არა ჰქონდესთ და ადგილობ-რივნი ჩინოვნიკნი წინააღმდეგობას ადვილად უბედავდნენ; მაგ-რამ მაინც ვინც უნდა იყოს, ჩემს გარდა, საქმეს ჩემზედ უკეთ წარმართავს, რადგან ყოველივე გადაწყვეტილი არის; მთავრის უფლება არა ფერში მოშლილა და ხალხიც კარგათ არის. ჩემთ-ვის ამითი არის ცუდი, რომ მე მივაჩნივართ მმართებლობის წი-ნააღმდეგად და ორჯერ ორი ოთხია მეთქი რომ ვჰსთქვა, ამის დარღვევასაც ეცდებიან. ნიკოლაი კოლუბაკინი უნდა იყოს ჩემს უფროსად და თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ჩემი და იმისი მოწყობა ყოვლად შეუძლებელია.

ერთის სიტყვით ახლანდელს ჩემს მდგომარეობაში სავნებე-ლია თქვენთვის ჩემი ოპეკუნობა და ბევრით მაშინ უფრო გა-მოგადგებით, რომ თავისუფალი ვიყო; ან არა და ისეთი თანამ-დებობა ან წოდება მქონდეს რამე, რომ არათუ მეწინააღმდეგე-ბოდნენ, მიფთხილდებოდნენ კიდეცა. — თქვენი საქმე როგორც მოგახსენეთ, კარგათ არის მოსული, მაგრამ მე მაინც გამტყუნე-ბულად მივაჩნივართ აქა და რა საკურველია უფრო ამიბუებენ.

კარგად იფიქრეთ ამაზედ და როგორც თქვენმა სახიერმა გულმა გამხილოსთ, ისე მოიქეცით. —

თქვენი **დიმ. ყიფიანი**

## 19. ეკატერინე დადიანისადმი

5 მარტი [1862].

უძვირფასესო დედოფალო,

წარსრულის ფოჩტით რომ მოგწერეთ,[1] სხვა წიგნი მოგივათ მეთქი, ჟამთა ვითარებისაგამო და დროთა ცვლილებისაგამო ის წიგნი აღარ მოგივათ და თუ შემდგომში მოგივიდათ როდისმე, უთუოთ იძულებით იქნება და არა ნებითა; მაშა სადამე გეცოდინებათ, რაც საჭირო იქნება.

ახლა სხვას ველარასა გწერთ. თქვენი ანზავი დიდიხანია აღარა ვიცირა.

თქვენი უერთგულესი **დიმიტრი**

## 20. ეკატერინე დადიანისადმი

16 მარტი 1862. ტფილისით.

უძვირფასესო დედოფალო!

თქვენი 5 ფებერვლის წიგნი მომივიდა და ვმადლობ ღმერთსა, რომ მშვიდობით მეგულებით. ახლა უეჭველია თქვენი გულიც ცოტად მაინც დამშვიდებული იქნება, რადგან ფული რაც მოვახერხე მიღებული გექნებათ და ჩემი მეორე წიგნიცა, რომლითაც გაცნობეთ, დათხოვნის ქაღალდს აღარ გიგზავნით მეთქი.[1] დარი ცოტათ შეიცვალა და ჩვენი საქმეც უკეთ მოდის. მე ნააღდგომევს გიახლებით მენგრელიაში და ან ქუთაისს მომწერეთ ხოლმე თქვენი ანზავი, ან ზუგდიდს.

ჩემი შესახები რჩევა თუ მოგწეროთ ვინმემ რამე, უჩემოთ არა ვის დაუჯეროთ მეთქი იმაზედ მოგახსენეთ, რომ მითხრეს, ვითამ აქედამ თქვენს ძმას დავითს მოეწეროს რაღაცა და პე-

ტერბურღიდამ ჩემს ცოლის დას ლიზასა[2] და სწორე უნდა მოგახსენოთ, ერთისაგანაც და მეორესაგანაც ჩემს საქმეში გარევა დიდად მეწყინა. თქვენსა და ჩემს შორის ვგონებ შუამდგომელად საჭირო არა ვინ იყოს. მე თუ საქმე გამიჭირდა, თვითან მე ვიტყვი და სხვას, ვინც უნდა იყოს, მოსარჩლედ არა ვის დავიყენებ. –

პაპის ნალაპარაკევი[3] მანდ როგორ შეგიტყვიათო გიკვირთ და თქვენგანვე კი გვაქვს შეტყობილი; მანანასთვის მოგეწერათ[4] და იქიდამ გამოვიდა ხმა.

არჩილისას მწერთ[5] მოითმინოსო და საკადრისი ადგილი მიეცემაო. არჩილ ახლა უნდა დავითხოვოთ, იქნება თვით სახლთუხუცესიცა, რადგან ერთმანეთში უთანხმობით არიან და ანგარიში მეტად არეული აქვთ. ახლა რა რომ საქმე გადაწყდა, თქვენი საკუთრების მართვა უფრო საფუძვლიანათ უნდა დავიწყოთ და როგორც დავაწყობთ, მოგახსენებთ.

დეპუტატად სოვეტში მიხაილ ერისთავის დანიშვნაზედ მოგწერეთ[6] და თუ თქვენი თანხმობა მომივიდა და ისიც ვითანხმე, უკეთესს ვერა ვის დავნიშნავთ. – ფულს დღე დღეზედ მოველი კიდევ იქიდამა და არ ვიცი რამდენი იქნება, იმედი კი მაქვს ორიოდ ან სამასიოდ თუმანი მოგაშველოთ კიდევა, თუ მაისის ნახევრამდინ მანდ მოგისწრათ, თუ არა და ვისგანაც შვიდასი თუმანი მიიღეთ, თქვენი ადრესი იმასვე რომ დაუტოვოთ, იქნება იმანვე გამოგიგზავნოთ, რადგან აქედამაც იმასვე მიუვა.

ღვთის გულისათვის თქვენს ანბავს ნუ დამიძვირებთ ხოლმე; ამას ნუ დაივიწყებთ, რომ სულმთლად თქვენი ვარ აწი.

Милая M-me Мердер не отвечает мне ни на одно письмо; но всё-таки кланяюсь ей с прежними чувствами; равно как свидетельствую моё искреннее почтение и уважение Марии Николаевне, княжне Марии Ивановне, князю Димитрию Вахтанговичу и Вл. Ал. Давидову.*

---

***** ძვირფასი M-me მერდერი[7] ჩემს არც ერთ წერილს არ პასუხობს, თუმცა მაინც მომიკითხეთ იგი უწინდელი გრძნობებით. ასევე ვუდასტურებ ჩემს გულითადობასა და პატივისცემას მარია ნიკოლოზის ასულს, კნიაჟნა მარია ივანეს ასულს, თავად დიმიტრი ვახტანგის ძესა და ვლ. ალ. დავიდოვს.

ჩემს გულითადს ბატონს ნიკოს, ანდრიას qui est si jeune et déjà officier déjà fatigué* და უიმეტნავესად ჩემს ფავორიტკა კნიაჟნა სალომეს მხურვალეს გულით მოკითხვას მოვახსენებ.[8] ჩემი ნინო[9] ჩემებრ გიკითხავთ და გმადლობთ დაუვიწყებლობისათვის.

## 21. ეკატერინე დადიანისადმი

9 აპრილი 1862. ტფილისით.

ქრისტე აღსდგა!

ყოვლის განსაცდელისაგან და მწუხარებისაგან იმ ჩვენს მაცხოვარსა ვჰსთხოვ მხურვალეს გულითა, დაუფასებელო და მხოლოო ჩემო დედოფალო, რომლისაც აღდგომას ახლა ვდღესასწაულობთ.

თქვენი სამი წიგნი მომივიდა, ერთი 17-ის ფებერვლისა 21 მარტს, მეორე 4-ის მარტისა 3 აპრილს და მესამე 20-ის მარტისა დღეს. პასუხი რომ დაგიგვიანეთ, ამისი მიზეზი სხვათა შორის ჯერ ჩემი ავათმყოფობა იყო, მერე მარხულობა. ახლა, ღვთის მადლით, კარგათა ვარ და ხელ-ვჰყოფ პასუხების მოხსენებას. ისე ღმერთმა თქვენი მტერი და ორგული შეაწუხოს, როგორც თქვენი უფულობა მე მაწუხებს, მაგრამ რა ვჰქნა. რაც შეიძლებოდა გამოგიგზავნეთ და მიღებულიც გექნებათ, დანარჩენი სამასი თუმანი იქნება როგორმე ამ თთვის ნახევარს, ან 20-ს გამოგიგზავნოთ, მაგრამ სად გამოგიგზავნოთ, სად იქნებით მაშინა? ჟენევაში უნდა გამოგიგზავნოთ, როგორც თქვენის უკანასკნელის წიგნიდამ ვატყობ და იქ მოგართმევთ. ჩვენი მოხელეები მართალია ჯამაგირს იღებენ, მართალია ვერას არიგებენ, მაგრამ მთავრობის წინააღმდეგობით არიან დაჩაგრულნი და რა რომ გა-

* რომელიც ასეთი ახალგაზრდაა და უკვე დაღლილი ოფიცერია.

რეგანს ბრძოლას მოვრჩები, შინაურს დაწყობილებას უნდა მივჰყო ხელი და სული იმათაც მოვაბრუნებინო, თორემ აღარც ის შემოვა, რაც აქამდისინ რის ნაილაჯობით მოვჰკრიფეთ. – თქვენის საქმის გარდაწყვეტილება როგორც მოხდა, მოგახსენეთ და თუმცა ჯერ დასაკლისი არა არისრა, მაგრამ მაინც პროტესტი დაგვჭირდება და რომ მოვიცლი, დავსწერ და მოგართმევთ, რომ თქვენც ხელი მოაწეროთ და სადაც რიგია გავგზავნოთ; ამისი დრო ჯერ დაკარგული არ არის. – ნეტავი ყოველთვის ისეთი წიგნის მოწერა შემეძლოს ხოლმე, რომ თქვენს სახიერს გულს გაამხიარულებდეს, მაგრამ ხუმრობას ზოგჯერ მძიმე სიტყვაც დაჰყვება თანა და უნდა მოთმინებით აიტანდეთ ხოლმე.

თქვენს მონდობილობას რა საკურველია ყოველსავე სიხარულით აღვასრულებ და თუმცა ჩემის სინიდისისათვის დიდად დასამძიმებელია, რომ კოლუბაკინების მეგობრებს[1] თქვენი მოკითხვა მე გადავსცე, მაგრამ არც ამაში მოგერიდებით და ვეტყვი ისაკსაც, რომ იმასთან მოკითხვას მაბარებთ.[2] ახლაც ზოგთათვის დიდათა ჰსცდილობთ, მაგრამ ვისაც თქვენი სიყვარული და ერთგულება აქვს, ისინი რომ კოლუბაკინებს ეტრფოდნენ, თავისს სახლში აყენებდნენ, სადილებსა და ვეჩერებს უმართავდნენ, ეს სადაური თქვენი სიყვარული და ერთგულება არის, არ მესმის. ზოგს თქვენი ერთგული ჰქვია და ბოროზდინს უმეგობრდებიან,[3] მე კი მერიდებიან; მაშ ესეც თქვენის სიყვარულით თუ არის, მაშ სიყვარული რასა ჰქვია, მე აღარა მცოდნია. – Чрезвычайно сожалею, что милую M-me Мердер считаю уже в разлуке с Вами и не знаю, куда ей писать. Об ней уже по крайней мере ни как нельзя сомневаться, чтоб она не любила Вас истинно.* მაგრამ მე და იმას თუ ბაასი მოგვივიდა როდისმე, ვის უფრო გვიყვარსო, ნეტავი ვიცოდე, თქვენ როგორ გაგვასამართლებთ. იმას რა ახსოვს, არ ვიცი, და მე კი სულ იმ კაცის მოთმინება მახ-

---

* დიდად და დიდად ვწუხვარ, რომ, როგორც ვიცი, ძვირფას M-me მერდერს დაშორდით და არ ვიცი, წერილი სად გავუგზავნო. ეჭვი აღარ რჩება, რომ თქვენ მას, სულ ცოტა, ჭეშმარიტი სიყვარულით უყვარხართ.

სოვს, თვალით რომ შეუდარებელს მშვენიერებას ჰხედავდა და საქმით კი სრულიად არ იჩენდა, რომ მესმის, ვჰგრძნობ და ვერიდები ყოველსავე გულის მიმტაცებელსაო.[4] – წიგნის მოწერა რომ გეზარებოდეთ, ეს მხოლოდ ამან მაფიქრებინა, რომ დიდის მოუთმენლობით მოველი ხოლმე წიგნსა და გთხოვეთ ვითამ ხშირად მომწერეთ მეთქი, მე კი ასე დამნაშავე გამოველ, რომ სამის წიგნის პასუხს ამ ერთის წიგნითა გწერთ. ნეტავი ეს კი საიდუმლოდ მათქმევინა როგორმე თქვენთვის, რომ ზოგიერთი ჩემი თქვენთან მოწერილი წიგნი მხოლოდ თქვენ წაიკითხოთ ხოლმე და სხვამ არა ხორციელმა. – თქვენის შვილების[5] გრიპპით ავათმყოფობამ დიდად შემაწუხა, მაგრამ ახლა ვმადლობ ჩემს დამბადებელს, რომ მშვიდობით უხდიათ. Хотя по Вашему делу и велено – доходы с 5498 дымов помещичьих крестьян оценить вновь; но до сего времени к исполнению не приступлено. Кажется даже, что и этого повеления не хотят исполнять, ожидая не без основания, что сумма доходов по новой оценке окажется гораздо выше прежней; в особенности нынешний Управляющий Мингрелиею, равно как и Генерал-Губернатор знают как нельзя лучше, что наше описание всячески уменьшало, а не увеличивало цифру дохода. – Несмотря на всё это, стоит кому-нибудь сказать, что Владетель имел на то или другое имущество права, как тотчас и отсуждают, чтобы ни говорила Опека; на неё все таки смотрят, как на что-то не законное, не натуральное, не заслуживающее ни какого внимания.* მაგრამ

---

***** მართალია, თქვენი საქმის შესახებ ნაბრძანებია – 5498 კომლი საბატონო გლეხობისგან შემოსული შემოსავალი თავიდან უნდა იანგარიშონო, მაგრამ დღემდე ეს საქმე დაწყებული არ არის. ისიც მგონია, რომ არც ამ ბრძანების შესრულებას აპირებენ. მიაჩნიათ, და არცთუ უსაფუძვლოდ, რომ ახალი ანგარიშით შემოსავლის ოდენობა წინანდელზე გაცილებით მეტი გამოვა. განსაკუთრებით, როგორც სამეგრელოს ამჟამინდელ მმართველს, ისე გენერალ-გუბერნატორსაც ჩინებულად მოეხსენებათ, რომ ჩვენ მიერ ჩატარებულ აღწერილობაში შემოსავალთან დაკავშირებული ციფრები წარმოდგენილია ყოველმხრივ შემცირებულად და არა – გადამეტებულად. მიუხედავად ამისა, საკმარისია, ვინმემ განაცხადოს, მთა-

რადგან ხვალინდელს დღეს რა მოაქვს, არ ვინ იცის, ჩვენ არასა ვსტოვებთ და არც უნდა დავსტოვოთ გამოუცხადებელად. როზმორდუკი რომ გირჩევთ, კოლუბაკინთან მიწერ მოწერა დაიწყეთო, ბოროტი რჩევა არის. კოლუბაკინისათვის ეს არის საჭირო, რომ ჰსთქვას ხალხში, მე რომ ეკატერინეს ან დადიანის ოჯახის ერთგული არ ვჰყოფილვიყავ, წიგნს რათ მომწერდა და აი მომდის იმისი წიგნებიო. იმას სხვა არა უნდარა, რადგან თქვენი ოჯახის სიკეთე რომ მოინდომოს კიდეც, აღარ შეუძლია, და ველარც უმეტესს რასმე გავნებთ. თვით როზმორდუკიც დიალ არ არის სანდო კაცი[6] და ვერც მე დავანებებ თავს, რომ ზოგიერთის საქმეებისათვის პასუხისგებაში არ შევიყვანო. – აბასტუმნის გაცემა სულმთლად მოიწადინა მმართველმა,[7] მაგრამ მე არ ვეთანხმე და დარჩა ისევ ისე, როგორც იყო. კნიაზთან რომ წიგნი მოგიწერიათ და ნახვაც განგიზრახავთ იმისი,[8] დიალ კარგი არის, მაგრამ დიდი ეჭვი მაქვს, რომ აქედამ კარგი გამოვიდესლა რამე. მეტად შეტოპებული არის თქვენს წინააღმდეგობაში, რომ გამობრუნება მოხერხდესრა. Что касается до письма, которое я писал будто бы Григорию Дад. и которым я будто бы извещал его, что сделал шах и мат; – то я скажу вам со всею искренностью, что я никакого подобного письма ни когда ни ему, ни кому другому не писал; а тут есть или недоразумение какое нибудь, или скорее всего, вымысел какой нибудь неудачный и нелепый. О шахматной игре я ничего не мог писать потому, что я в шахматы не играю; это известно всем, кто меня знает; а о деле в том или другом смысле я ни чего не мог писать к тому времени, когда Князь был в Тифлисе, – потому во 1-х, что я вообще ни когда не был с ним в переписке; а во 2-х Князь выехал из Тифлиса 8 Апр.; а мы о решении дела узнали в Петербурге в первый раз 7 Апреля; след. каким образом могло

---

ვარს ამა თუ იმ ქონებაზე უფლება ჰქონდაო, მაშინვე რამე გამაბათილებელს იტყვიან, ხოლო მეურვეობის აზრს არაფრად აგდებენ. მეურვეობას უყურებენ, როგორც რაღაც არაკანონიერს, რაღაც არაბუნებრივს, რაღაც ისეთს, რომელიც არავითარი ყურადღების ღირსი არ არის.

получиться в Тифлисе письмо моё на другой день, если б даже я и писал его. Я спрашивал его теперь об этом и он клянется-божится, что ни какого письма не получал и ни какой вести ни кому не сообщал, не имея и сам ея. Одним словом тут есть или недоразумение, или бесстыдная выдумка; но дело в том, что თქვენმა ს ა ს ი ძ ო მ принял это за верное, разгневался на меня, как будто считал меня способным на подобную глупость и не затруднился не только признать сам, но и назвать меня при высшем Лице интригантом и лицом, действующим вопреки интересам Правительства. В этом он сильно ошибается и дай Бог, чтоб он убедился в своей ошибке вовремя.*

ჩემს ოპეკუნობისაგან დათხოვნის წიგნს რომ აგრე შეუწუხებიხართ, ახლა ხომ გული დამშვიდებული გაქვთ.[12] – თქვენი შეუძლებლობის ანბავი დიდად მაწუხებს, მაგრამ პავლოვსკშიაც

---

* რაც შეეხება წერილს, რომელიც თითქოს გრიგოლ დადიანს მივწერე და რომელშიც თითქოს ვამბობდი – ქიში და შამათი გავუკეთე-მეთქი, მთელი გულწრფელობით გეტყვით: მე ამის მსგავსი წერილი არც მისთვის, არც სხვისთვის არასოდეს არ მიმიწერია.[9] აქ ან რაღაც გაუგებრობაა, ან, უფრო სწორად, ეს ყველაფერი ვიღაცის უხეირო და სულელური მონაჭორია. ჭადრაკის შესახებ მე ვერაფერს დავწერდი იმიტომ, რომ არ ვიცი ჭადრაკის თამაში. ეს ყველამ იცის, ვინც მიცნობს, ხოლო საქმის შესახებ იმ დროს, როცა თავადი ტფილისში იმყოფებოდა, ვერც ვერაფერს დავწერდი, რადგანაც: ჯერ ერთი, მასთან მიმოწერა არა მქონია, და, მეორეც, თავადი ტფილისიდან გამოვიდა 8 აპრილს, ჩვენ კი გადაწყვეტილება საქმის თაობაზე პირველად პეტერბურგში 7 აპრილს გავიგეთ. შესაბამისად, მართლაც რომ დამეწერა, როგორ ჩავიდოდა ჩემი ეს წერილი ტფილისში მეორე დღესვე. ამის შესახებ ვკითხე კიდევაც [გრიგოლ დადიანს], ის კი ღვთის წინაშე იფიცება, რომ არავითარი წერილი არ მიუღია, ეს ამბავი არავისთვის უთქვამს და ვერც ეტყოდა, რადგან ჩემგან წერილი არ მიუღია. ერთი სიტყვით, აქ ან რაღაც გაუგებრობაა, ან უსირცხვილო მონაჩმახია. თქვენმა ს ა ს ი ძ ო მ[10] კი ირწმუნა, ჩემზე განრისხდა, თითქოს მე მართლაც შემეძლო ასეთი სისულელე ჩამედინა, სულაც არ გასჭირვებია, არა მარტო თვითონ დაეჯერებინა, არამედ უმაღლეს პირთან[11] ჩემთვის ინტრიგანი და მთავრობის ინტერესთა მოწინააღმდეგე ეწოდებინა. ამაში იგი ღრმად ცდება და, ღმერთმა ქნას, დროზე მიხვდეს თავის შეცდომას.

მოგახსენეთ, რომ რადგან სისხლის მიზეზია, უნდა დაბლა დააწევინოთ როგორმე; მართალია, უარის მთქმელი ბევრი იქნება, მაგრამ სიფთხილე კი დიდი გმართებთ, რომ არა გამოვიდესრა. – ჩემგან ეს იცოდეთ, რომ რაც უნდა დამემართოს, ვეღარც თქვენზედ და ვეღარც თქვენს შვილებზედ ხელს ვეღარ ავიღებ; და თუ ვინ იცის მოგწერეთ როდისმე, განმათავისუფლეთ მეთქი, არ შეიძლება, არ განგათავისუფლებთქო. ამაზედ მეტი ხომ არა გაგიჭირდებათრა, და თუ გაგიჭირდათ რამე, მაინც მე მაკისრებინეთ.

თქვენს შვილებს განუზომელის ერთგულებით დავჰკოცნი. ამ თთვის დამლევს უთუოთ ვაპირებ მეგრელიაში წასვლას. ნეტავი იქით გამოივლიდეთ. არა მგონია, დაგიშალონ.

თქვენი ყოვლად ერთგული
**დიმიტრი ყიფიანი**

## 22. ეკატერინე დადიანისადმი

11 მაისი 1862. ტფილისით.

დედოფალო მრავალწამებულო!

სად მოგწეროთ და რა მოგწეროთ არ ვიცი.

ისე ღმერთმა შეაწუხოს ყოველი ორგული თქვენის ოჯახისა, როგორც სოფიოს გარდაცვლის ანბავმა მე შემაწუხა;[1] არა მხოლოდ მე, მრთელი ქალაქი, მრთელი ქვეყანა ჩვენი. რაღა ეს გინდოდათ, მაგრამ ღვთის გულისათვის, დრტვინვა არა ამოვიდესრა თქვენის სახიერის პირისაგან და მორჩილ-ექმენით უზენაესს ნებას უდრტუნველად. მხოლოდ ამაში არის თქვენი სიმართლე, ამაში არის თქვენი ძლიერება. –

მე აქამდისინაც ტფილისში ვარ. ბატონყმობის საქმეზედ საზოგადო შეკრებილება იყო. მრავალი ვილაპარაკეთ, მრავალი ვიყაყანეთ. დასასრულ ვეღარ მოვითმინე, მე წარმოვსდეგ ორატო-

რად (ვეჩვევით ამასაც) და მეთანხმა მრთელი შეკრებილება სამს-ოთხს გარდა, რომელთაც გაჩუმების მეტი ვეღარა მოახერხესრა. დაწვლილებით არის ასაწერი ეს ანბავი, მაგრამ ახლა არც დრო მაქვს და არც ბეჯითად ვიცი მოგივათ ეს წიგნი თუ არა. მოკლედ მხოლოდ ამას მოგახსენებთ, რომ ქართლმაც და კახეთმაც მე მომახვიეს ეს საქმე.[2] თუმცა დიდად სამძიმო არის ჩემთვისაც და თქვენის საქმეებისათვისაც, მაგრამ საზოგადოობას უარი ვისგან გაებედება. ამ მიზეზით ამ ერთს კვირაზედ იმედი მაქვს სამეგრელოში გიახლო და რაც შეიძლება ერთს თთვეს უნდა ვისაქმო იქ, და მერმედ კი ამ საზოგადოს საქმეს უნდა მივჰყო ხელი.

თქვენი ორი წიგნი მრჩება უპასუხოდ. უკანასკნელი მათგანი არის 4-ის აპრილისა. განმეორებით ჩავვარდი ახლა შარშანდელს გაჭირვებაში. თქვენი წიგნი მომდის ერთს თთვეზედ. ამას წინეთ მწერდით, პარიჟში მაისის ნახევრამდის დავრჩებითო. მერე სად მოგნახოთ, სად მოგახსენოთ ხოლმე ჩემი ანბავი, აღარა ვიცირა.

დანარჩენი სამასი თუმანი ვეღარას ღონისძიებით ვერ გამოგიგზავნეთ. ეს საზოგადო საქმე რომ არ დამდებიყო კისერზედ, მე თვითან მინდოდა ამ მაისში თქვენთან მოსვლა და თანმოტანა ამ ფულისაც და რასაც სხვას ვიშოვიდი იმისიც, მაგრამ ახლა რა ვჰქნა არ ვიცი; მეტად დაცილებულნი ვართ. ვჰგრძნობ თქვენს გაჭირვებას, თქვენზედ მე უფრო ვსწუხვარ, ღმერთმა ხომ იცის, მაგრამ რა ვჰქნა. ვერა მომიხერხებია.

თქვენი უერთგულესი
**დ. ყიფიანი**

## 23. ივანე ანდრონიკაშვილისადმი

კნიაზო ივანე მალხაზის ძევ,

ერთს ქვეყანაში ანბობენ: აზრი რომ აზრსა ჰხვდებაო, სიმართლეც იქა ჩნდებაო. — ჩვენს საზოგადოს საქმეში დაურიდებლად

უნდა გამოცხადდეს ყოველი აზრი. – თუ ერთმანერთს ხელი არ მივეცით, ცალ-ცალკე ვერა ვინ რას მოვახერხებთ და სიმართლეს ვერა ვინ გამოვაჩენთ. – ამის გამო მეც დაურიდებლად მოგმართავთ და უმორჩილესად გთხოვთ: საზოგადოს საქმის წარსამართავად, ამასთან რომ 14 კითხვა მომირთმევია,[1] იმისი პასუხები მიბოძოთ საკუთრად თქვენი და თქვენის მოძმეებისა,[2] თქვენის მეზობლებისა, რომელნიცა თქვენის აზრის თანახმანი იქნებიან. – მეტად ბევრი წერა რომ არ მჭირდებოდეს, იმათაც თვით მე მივმართავდი, და რადგან ამას ვერ ვახერხებ, დიდად საჭიროა, რომ ვიცოდე, თქვენგან ვინ და ვინ დამეთანხმებიან.

ნება მიბოძეთ, ბრწყინვალე კნიაზო, იმედი ვიქონიო, რომ პასუხს მომავალის ივნისის 20-ისათვის მიბოძებთ, ფოჩტით, სურამს, რადგან იქ ახლოს მექმნება ამ ზაფხულს ბინა.[3]

წრფელის ერთგულებით და უსაზღვრო პატივისცემით ვჰგიე
თქვენის ბრწყინვალების უმორჩილესი მოსამსახურე
**დიმიტრი ყიფიანი**

16 მაისი 1862.
ტფილისი

## 24. მიხეილ თუმანიშვილისადმი

უძვირფასესო კნიაზო
მიხაილ ბირთველის ძეო!

ერთს ქვეყანაში ანბობენ: აზრი რომ აზრსა ჰხვდებაო, სიმართლეც იქა ჩნდებაო. – ჩვენს საზოგადოს საქმეში თუ ერთმანერთს ყოველი აზრი დაურიდებლად არ გამოუცხადეთ და ერთმანერთს თუ ხელი არ მივეცით, ცალ-ცალკე ვერა ვინ რას მოვახერხებთ და სიმართლეს ვერა ვინ გამოვაჩენთ. ამის გამო მე თითქმის თვითოეულის მებატონესაგან ვითხოვ აზრსა, მაგრამ

თქვენ განსაკუთრებით მოგმართავთ უგულითადესის თხოვნით, რომ ამ საზოგადოს საქმეში ხელი გამიმართოთ თქვენის განათლებულის აზრითა და რჩევითა, და მიზიაროთ თქვენი ცოდნა საქმისა და ღონისძიება საზოგადოს სურვილის კეთილად შესასრულებელი. დარწმუნებული ვარ ნებას მიბოძებთ, რომ შემდგომშიაც დაურიდებლად მოგმართოთ ხოლმე, და ახლა ამასა გთხოვთ, აქ რომ 14 კითხვა მომირთმევია[1] იმის პასუხებად თქვენი აზრი გამომიგზავნოთ სურამს, რადგან იქ ახლოს მექნება ამ ზაფხულს ბინა,[2] მომავალის ივნისის 20-ითგან.

წრფელის ერთგულებით და გულითადის პატივისცემით
ვჰგიე თქვენი უმორჩილესი მოსამსახურე
**დიმიტრი ყიფიანი**

16 მაისი 1862.
ტფილისი

შინაური, ლმობიერი მოლაპარაკება ისე არსად დაგვჭირდება, როგორც ამ საქმეში; და სადაც ღვთიური გრძნობა უნდა ჰმოქმედებდეს, იქ ჩვენის ქვეყნის ქალებზედ უკეთესი მრჩეველი არა ვინ დაბადებულა. მოველაპარაკოთ მშობელ დედასაცა, ერთს-სისხლს დასაცა და ერთ-ხორც მეუღლესაცა, რომ საქმე ჩვენი ღვთის სათნოდ წარგვემართოს.

## 25. ალექსანდრე დავითის ძე [ორბელიანისადმი]

მოწყალეო ხელმწიფევ,
კნიაზო ალექსანდრე დავითის ძევ!

საზოგადოს საქმეში ერთმანერთთან დასაფარავი არა ვის რა გვაქვს. ნება მიბოძეთ, რომ მეც გაბედვით მოგახსენოთ რამდენიმე სიტყვა. –

წარსულის აპრილის 30-ს ტფილისის ღუბერნიის მებატონეთ საზოგადო შეკრებილებამ წარმოსთქვა უმთავრესი აზრი ბატონყმობის საქმის დასაბოლოვებელი და, რამდენსამე პირს გარდა ყოველმა იქ მყოფმა ხელიც მოვაწერეთ.

მეორეს დღეს, ამ მაისის 1-ს, მე მომანდეს ამ საქმის შემუშავება და დაწერა, ჯერ სიღნახის უეზდის თავად აზნაურთა, მერე გორის უეზდისა, მერე თელავისა და დასასრულ ტფილისის უეზდისათაცა. მაშინვე წარმოთქმული ჩემი პასუხი უეჭველია გეხსომებათ, რადგან ჭეშმარიტებაზედ იყო დაფუძნებული; ესე იგი, მე ვჰსთქვი მაშინ, რომ, თუმცა დიდად სამძიმო არს ჩემთვის, ჩემს ახლანდელს მდგომარეობაში, ესე საქმე, მაგრამ მრთელს შეკრებილებაში არავინ იპოვება ისეთი, რომ ნება ჰქონდეს საზოგადოობისაგან დასაქმების უარისყოფისა. მეც შევსწირავ საზოგადოს საქმეს შრომასაცა ჩემსა და სიცოცხლესაცა მეთქი; მხოლოდ ეს კი ვითხოვე, რომ, რადგან მე ყოველის ჩვენის ქვეყნის გარემოება დაწულილებით არ ვიცი, და საზოგადო აზრის განმარტებისათვის სხვა და სხვა ცნობა მრავალი დამჭირდება, აღმოერჩიათ ყოველს უეზდში რამდენ-რამდენიმე პირი, რომ იმათთან მქონიყო მიწერ მოწერა და მოლაპარაკება. — ეს აღთქვეს მაშინვე ყოველთავე და ტფილისის უეზდი შეუდგაცა იქავე იმ პირთ აღმორჩევასა. სხვა უეზდებმა ჰსთქვეს, ჩვენ შინ ამოვარჩევთ და ვაცნობებთ ყიფიანსაო. — რასაც მე იმათის შემწეობით და ხელის გამართვით შევადგენდი და დავსწერდი, ჯერ უნდა გამეშინჯებინა მებატონეთათვის უეზდებში და მერე წარმომედგინა ისევე საზოგადო ღუბერნიის შეკრებილებისათვის განსახილავად და განსასჯელად. — ასე დაბოლოვდა საქმე და დაიშალა შეკრებილება ექვსს თვემდის.

ამ მონდობილების აღსასრულებლად რა უნდა ყოფილიყო უსაცილოდ საჭირო ჩემთვის?

1. უნდა გარდმომცემიყო მაშინვე ყოველი ქაღალდი და ყოველი დაწერილი აზრი, რაც რამ წარდგენილი იყო 1 მაისამდის შეკრებილებისადმი განსახილველად.

აქამომდე სრულიად არა გარდმომცემია რა. —

2. უნდა მოჰხსენებიყო მთავრობას, რომ ამ ექვსს თთვეზედ თავისუფალ ვჰქმნილვიყავ ჩემის თანამდებობის ვალდებულებათაგან, რადგან თანამდებობის აღსრულებაცა და ამ მძიმეს მონდობილობის აღსრულებაცა ერთსა და იმავე დროში ყოვლითურთ შეუძლებელი არის.

ამაზედ განკარგულება არა მომხდარა რა.

3. უნდა მოჰხსენებიყო მთავრობას, რომ რაც მმართებლობის ადგილთაგან ცნობა დამჭირდებოდა რამე აქ, თუ უეზდებში, ადგილნი და პირნი მმართებლობისანი ვალდებულ ყოფილიყვნენ დაუყოვნებლივ აღესრულებინათ მოთხოვნილება ჩემი.

არცა რა განკარგულება ამაზედ მომხდარა.

4. უფალთ უეზდის მარშლებს უნდა ეცნობებინათ ჩემთვის, ვინ და ვინ იქნებოდნენ დანიშნულნი ჩემთვის ხელის გამმართველად და თანამშრომლად; ან ეს მაინც, ვისგან უნდა მომეთხოვა შიგა და შიგ განსამარტებელი და განსაკანონებელი ცნობაები.

სიღნახის უეზდის მარშალმა[1] წერილით მაცნობა, რომ ყოველივე, რაც განმარტება მებატონეთაგან დამჭირდება, მას მოვსთხოვო; და ამის გამო ამ თთვეს წარვუგზავნე კიდეც მას ასახსნელად რამდენიმე კითხვანი, რომელიც საჭიროდ ვჰპოვე, სხვა საქმეებისა და ქაღალდების განხილვადმდე.

თელავის მარშალმა[2] ერთი კერძოდ შედგენილი აზრი წარმომიგზავნა, მასთან წარდგენილი შემდეგ შეკრებილების დაშლისა, და როგორც თვით მარშალმა, ეგრეთვე სხვა თელავის უეზდის მებატონეთაცა პირად დამარიგეს, რომ რაც მათგან ცნობა დამჭირდებოდა, პირდაპირ მათგან მომეთხოვა ხოლმე. ამის გამო თელავის უეზდშიაც გავგზავნე ზემოხსენებულნი კითხვანი.

გორის უეზდიდამ და ტფილისის უეზდიდამ სრულიად არა მიმიღია რა.

აქამომდე რომ ამ მდგომარეობაში ვიმყოფები, ცხადად ვჰხედავ, რომ თუმცა, ღმერთმან ხომ იცის, არა მეშურვის რა ჩემში საზოგადოს საქმისათვის, არცა ჯაფა, არცა უსიამოვნოება, არცა რა სხვა შეძლება ჩემი, მაგრამ ამაოდ შრომა, ამაოდ მოქმედება ზარალს შეადგენს და არა სარგებლობასა.

და რადგან ამდენმა ხანმა ასე უსარგებლოდ განვლო და ხელის გამართვას ვერსაითგან ვჰხედავ, მარტო მე საზოგადო საქმის წარმართვა არასგზით არ შემიძლია და საქმის დაგვიანება და შეუსრულებლობა რომ ამას იქით მე არ დამბრალდეს, ამით მომიხსენებია, რომ ვერც მარტოობით ვიკისრებ ამ საქმეში შრომას და ვერც საიდუმლოებით: ყოველმა ამ საქმეში მონაწილემ უნდა იცოდეს, ვინ როგორ, რას ვჰმოქმედებთ და ვინ რისთვის რას ვიძიებთ. ხოლო რადგან მარტოთაც ვჰრჩები ორის უეზდისაგან, — საიდუმლოებით საქმობასაც მაჩემებენ, — ვჰსთხოვ თქვენს ბრწყინვალებას, ყოველს უეზდში აცნობოთ, რომ უარვჰყოფ ამ იძულებისა გამო საზოგადოოს მონდობილებასა და ამიღია ხელი ყოველის საქმობისაგან ბატონყმობის თავობაზედ. სიღნახისა და თელავის უეზდში მე თვით ვსწერ, რომ ჩემგან მოთხოვილი ცნობაები აღარ გამომიგზავნონ. —

[1862 წ. 1-დან 23 მაისამდე.]

## 26. ალექსი კრუზენშტერნისადმი

მოწყალეო ხელმწიფეო,
ალექსი თედორეს ძევ!

გამოვდივარ რა ნელ-ნელა მძიმე ავადმყოფობიდან, დიდ ბოდიშს ვიხდი თქვენი აღმატებულების წინაშე, რომ იძულებული ვარ, ჩემ მიერ ნაკარნახები წერილით მოგმართოთ.

გუშინ, ღამის 12 საათზე, მივიღე თქვენი წერილი. მხოლოდ გულწრფელი წუხილის გამოხატვა შემიძლია იმის გამო, რომ ასე გვიანდება აღსრულება მეფისნაცვლის იმ ბრძანებისა, რომელიც მე მეხება. თქვენ თვითონ დამემოწმებით — ეს დაგვიანება ჩემი სურვილი არ ყოფილა.

ახლა ველოდები მთავარმმართველობის შესაბამის განკარგულებას, რათა რაც შეიძლება ზუსტად შევასრულო მისი

ბრწყინვალების ნება — ჩამოვსცილდე ყოველგვარ ოფიციალურ საქმიანობას. ამასთანავე, უარს ვამბობ ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობის მიერ ჩემთვის დაკისრებულ იმ საქმეზე, გლეხთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების საკითხს რომ ეხება. ამას, ვისაც საჭიროა, მე თვითონ შევატყობინებ. გარდა ამისა, დაუყოვნებლივ ვიხსნი სამეგრელოს მთავრის ქონების მეურვისა და ტფილისის საგუბერნიო გიმნაზიის საპატიო მზრუნველის უფლებამოსილებებს.[1]

ჭეშმარიტი პატივისცემითა და სრული ერთგულებით,
მაქვს პატივი, ვიყო თქვენი აღმატებულების...

24 მაისი 1862 წ.
ტფილისი

## 27. ივანე ანდრონიკაშვილისადმი

მოწყალეო ხელმწიფევ,
კნიაზო ივანე მალხაზის ძევ!

საზოგადოებისაგან ჩემთვის მონდობა ბატონყმობის საქმისა ვაითუ კნიაზმა ნამესტნიკმა იწყინოს და ამითი საქმესაც ევნოს.[1] ჩემის მხრით პატიოსნების ვალად ვრაცხ უარისყოფასა და გთხოვთ, ამ თთვის 16-ის წიგნით რომ დარიგებასა გკითხავდით,[2] პასუხისათვის აღარ შესწუხდეთ.

თქვენის ბრწყინვალების უმორჩილესი მოსამსახურე
**დიმიტრი ყიფიანი**

24 მაისი 1862.

## 28. მიხეილ თუმანიშვილისადმი

მოწყალეო ხელმწიფევ
კნიაზო მიხაილ ბირთველის ძევ!

საზოგადოობისაგან ჩემთვის მონდობა ბატონყმობის საქმისა ვაითუ კნიაზმა ნამესტნიკმა იწყინოს და ამითი საქმესაც ევნოს. ჩემის მხრით პატიოსნების ვალად ვრაცხ უარის ყოფასა და გთხოვთ, ამ თთვის 16-ის წიგნით რომ დარიგებასა გკითხავდით, პასუხისათვის აღარ შესწუხდეთ.

თქვენის ბრწყინვალების უმორჩილესი მოსამსახურე
**დიმიტრი ყიფიანი**

24 მაისი 1862.

## 29. ალექსი კრუზენშტერნისადმი

მოწყალეო ხელმწიფეო,
ალექსი თედორეს ძევ!

თქვენი აღმატებულების რჩევით გადადგომის თხოვნის დაწერას უნდა შევუდგომოდი, მაგრამ ერთმა გარემოებამ შემაყოვნა – მეფისნაცვლის წერილის იმ მონაკვეთში, თქვენ რომ გამომიგზავნეთ,[1] გადაკვრითაც კი არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ უნდა დავწერო თხოვნა სამსახურიდან გასვლის შესახებ. ამიტომ თქვენ და გრიგოლ დიმიტრის ძეს[2] ჩემს გადადგომასთან დაკავშირებით, რასაც ჩემგან არც არავინ მოითხოვს, გართულებები რომ აგარიდოთ, გადავწყვიტე დაველოდო მთავარმმართველობის უშუალო განკარგულებას. მით უმეტეს, არასოდეს

მიფიქრია, სასამსახურო ვადის სრულად ამოწურვამდე ამგვარი თხოვნა დამეწერა.

წრფელი ერთგულებითა და უგულითადესი პატივისცემით,
მაქვს პატივი, ვიყო თქვენი აღმატებულების
უმორჩილესი მოსამსახურე
**დიმიტრი ყიფიანი**

28 მაისი 1862 წ.

## 30. სოლომონ [ანდრონიკაშვილისადმი]

მოწყალეო ხელმწიფევ,
კნიაზო სოლომონ ივანიჩ!

თქვენი 1-ის ივნისის წერილი მებოძა და რასაც უეზდის მაგიერად მიბრძანებთ, მიმიღია აღსასრულებლად. მხოლოდ ამას კი ვერ დაგიმალავთ, რომ ერთის უეზდისათვის შრომა სრულიად უვარგისი იქმნება, თუ სხვათაგანაც არ მომივიდა იგივე განმეორება საზოგადოობის ბრძანებისა. რაც შეეხება პირადს ჩემს უსიამოვნოებას, გარწმუნებთ, რომ ვერც მომადგეს უსიამოვნობა რამე და არცარას დროს მოვერიდო ჩემის საზოგადოობის სამსახურისათვის უსიამოვნობას.

პასუხები ჩემის კითხვებისა როდესაც მომივა, მეც მაშინ მივჰყოფ ხელს. ერთის საქმისათვის დაშურებით რომ მეორე მძიმე საქმე წახდეს, ეს არ ვარგა და ნურც ვიქთ: ჯერ ალაზანის მამულების საქმეს მორჩით და მერე მე მომხედეთ.

თქვენი ბრწყინვალების უმორჩილესი მოსამსახურე
**დიმიტრი ყიფიანი**

8-ს ივნისის 1862-ს.
ქუთაისი

## 31. ეკატერინე დადიანისადმი

14 ივნისი 1862. ქუთაისი.

მოწყალეო ჩემო დედოფალო!

მოსაწერი ბევრი მაქვს, მაგრამ კიდევაც არ ვიცი, სად მოგწეროთ.[1] თქვენი უკანასკნელი წიგნი მომივიდა 13-ის აპრილისა. მას მერმეთ სად ბძანდებით, როგორ ბძანდებით, აღარა ვიცირა. თქვენი უფულობა ისე თქვენ არ გაწუხებსთ, როგორც მე. იმედი მქონდა 3000 მანათს კიდევ მალე მოგართმევდით, მაგრამ არა მეშველარა, ვეღარ გამოგიგზავნეთ. ამისი მიზეზები მრავალია და უმთავრესი კი ის არის, რომ ჩვენი საქმე აქამომდე ისევ ძველს მდგომარეობაში იყო, და ეს არის ახლა ეწყობა, ახლა გვეძლევა იმედი უკეთ წარმართვისა. ჩვენი მოხელეები რომ ათიათასს მანათს იღებენ, რას გვიკეთებენო, ბძანებთ; და არათუ ათი, ასიათასიც რომ დახარჯულიყო იმათზედ, მაინც ვერაფერს მოახერხებდნენ მანამდისინ, ვინც ხელს გვიშლიდა, იმათს ბრძოლას არ მოვრჩებოდით. ათიათასი როგორ იანგარიშეთ, არ ვიცი და მოხელეების ხარჯი აი რა გახლდათ აქამომდე: სახუცესს ეძლევოდა არა უმეტეს 500 მანათისა; და კანცელარიაზედ გვეხარჯებოდა 1050 მანათამდე. ეს იყო სულ ჩვენი ხარჯი თქვენგან დანიშნულს ჯამაგირებს გარდა. დღეის ამას იქით კი ხარჯი ბევრად უმეტესი გვექნება, როგორც მოგახსენებთ. თავიდამ მოგიყვებით საქმეს. – მეორე გარდაწყვეტილება 10-ის წარსრულის დეკემბრისა რომ მოვიდა, აქამომდე არათუ არც ის იყო აღსრულებაში მოყვანილი, თითქმის სამ-ოთხს თთვეს კოლუბაკინს[2] ჰქონდა გაჩერებული და ძლივს ამ ცოტას ხანში მისწერეს აღსასრულებელად ჭილაევს.[3] მე ფებერვლიდან აქამომდე იმ საქმეების განახლებას და წერას უნდებოდი, რაც ამ გარდაწყვეტილების მოლოდინში შეყენებული იყო. აპრილში ვაპირებდი მენგრელიაში მოსვლას, რომ ადგილობრივ მემოქმედა და წესი დამეწყო რამე. 20-ის აპრილისათვის ტფილისის გუბერნიის მებატონეთ საზოგადოობა უნდა შეკრები-

ლიყო ბატონყმობისათვის და აღარ გამომიშვეს. ჩვენმა ყაყანმა გასწია მაისის 1-მდის და საქმე დაბოლოვდა ისე, რომ მრთელმა გუბერნიამ მარტო მე მომანდო ეს საქმე.[4] დიდად შევსწუხდი, მაგრამ რას გავაწყობდი, რაც კაცი თავისს ქვეყანას არ ემსახურება, რაღა კაცი იქნება. მაისის 1-დამ 19-მდის ამ საქმისათვის წინასწარი ქაღალდებისა და ვოპროსების წერას მოუნდი[5] და ეს ქაღალდები რომ გავგზავნ-გამოვგზავნე მებატონეებთან, პასუხებს ამ ივნისის 20-სათვის მოველოდი, რომ ხელი მაშინ მიმეყო საქმისათვის და ექვსის თთვის შრომა იმისათვის შემეწირა. ამ ერთს თთვეზედ უნდა მომევლო მენგრელია, დამეწყო და გამერიგებინა რაც შეიძლებოდა აქაური საქმეები და დავბრუნებულვიყავ იმ საქმისათვის. რომ გავემზადე სამგზავროდ 20-ის მაისისათვის, 19-ს გავხდი მძიმედ ავათ და ლოგინიდამ ადგომა ველარ შევიძელ 29-მდის. ამასობაში მძიმე ავათმყოფს მომივიდა კრუზენშტერნის წიგნი, რომლითაც მაცნობებდა ნამესტნიკის ბძანებას: დიდად მიკვირს, რომ ჩემი ბძანება აქამდისინ არ აღგისრულებიათ და ყიფიანი ისევ სოვეტში არისო; ახლავე გამოსცვალეთ და სტარიცკი დაჰნიშნეთ მის ადგილსო.[6] — მეორეს დღეს მივსწერე, კარგათ იცით, რომ დაგვიანება ჩემი მიზეზი არ არის მეთქი და არათუ სოვეტს, ყოველს ოფფიციალნის წოდებას და მნიშვნელობას გავეცლები მეთქი: საზოგადოობის მონდობილებასაც, გიმნაზიის პოპეჩიტლობასაც და ოპეკუნობასაც მეთქი.[7] ამაზედ თქვენ უნდა მოგწეროთ დათხოვნის წიგნი და დამითხოვთ თუ არა, ეგ თქვენს ნებაზედ არის დამოკიდებული. — მეორეს დღეს საზოგადოობას ვაცნობე, ვაი თუ იწყინოს ნამესტნიკმა, რომ საქმე მე მაქვს მონდობილი და ამითი თვით საქმესაც ევნოს მეთქი და პატიოსნების ვალად ვრაცხ უარის ყოფასა მეთქი.[8] 29-ს ჩავჯექ, როგორც იყო, ეკიპაჟში დიდი ნაავათმყოფარი და დიდად დაუღონოებული და 1-ს ამ ივნისს მოვაწიე როგორც იყო ქუთაისს. ცხენით სიარული ყოვლად შეუძლებელად დამირჩა და აქ მივჰყავ საქმეებს ხელი. სახუცესი და მისი კანცელარია 12-ს დღეს მყავდა აქ, საშინელს სიცხეში. დრო რომ არ დამკარგვიყო ის მინდოდა, საწერები ბევრი მქონდა, ადგილობრივის მართვისა

და განმგებლობის დაწყობა მინდოდა, და მერე, ცოტას რომ მოვი-კეთებდი, მაშინ ვაპირებდი მენგრელიაში შესვლას და ყოველსა-ვე რომ დავაწყობდი საიმედოდ, მაშინ უნდა მომეწერა თქვენთ-ვის დათხოვნის წიგნი. მაგრამ ქალაქიდამ ერთის უეზდის მარშ-ლისაგან მომივიდა წიგნი, ვერავის მივანდობთ სხვას ჩვენს საქ-მესო და ვერ განგათავისუფლებთ ამ მონდობილობისაგანო; მეს-მა აგრეთვე, რომ სხვა უეზდებშიაც აგრე ანბობენ და საქმისაგან დათხოვნას არ მიპირებენ. მაშა სადამე პირველისავე განზრახ-ვით უნდა 20-ის ამ თთვისათვის დავბრუნდე. ამასთან ჩემგან ქა-ლაქიდამ მენგრელიის სოვეტში[9] გამოგზავნილმა ქაღალდებმა და აქ მოსვლამ ისე იმოქმედეს, რომ თვით მელიტონ დადიანოვი მოვიდა ჩემთან შემხვეწრად: მოისმინეთ ჩემგან განმარტება ყო-ველის საქმისა, რაშიაც ბრალი მედება და თუ დამნაშავედ აღ-მოვჩნდე, მომიტევეთ სულგრძელებითო და ნუ შემრაცხთ ბატო-ნის მოღალატედო. ორივე სახუცესები აქ იყვნენ მაშინ, დათიკაც და დათაც.[10] დავსხი და ვალაპარაკე. იმდენი დღეგრძელობა თქვენ, რამდენი ოფლი მელიტონს ედინა. ზოგი აღიარა, ზოგში იმართლა თავი და ბოლოს აღგვითქვა საქმით დამტკიცება თვი-სის სინანულისა და ჩემის ნებადართვით თქვენც შემოგბედათ წიგნის მოწერა, რომელსაც ამასთანავე გიგზავნით.[11] ღირს ჰყა-ვით ლმობიერს პასუხსა, რადგან შემნანებელი ცოდვილი კეთი-ლი მოსაპოვებელი არის. ტკივილი იმისი ეს გახლავს. გიორგი ჩი-ჩუას ქალიშვილი შეირთო, მისეულს მამულს დაეპატრონა და იმედი ჰქონდა, მას დარჩებოდა. ჩვენ რომ ამაზედ საქმე შევადგი-ნეთ, გადასწყდა ქალაქის სოვეტში და ჩვენვე უნდა დაგვიბრუ-ნონ. მელიტონს ამაზედ დიდი არზა მიურთმევია კოლუბაკინი-სათვის; კოლუბაკინსაც შეუწყნარებია, სოვეტის გარდაწყვეტი-ლება დაუყენებია და ხელახლად წარუდგენია საქმე. მელიტონმა, ახლა ვითარცა ჭეშმარიტების გზაზედ გამოსულმა, აღარაფერი დამიფარარა და მიჩვენა კოლუბაკინისაგან ამ თთვის 8-ს მიწერი-ლი ქაღალდის პირი და მითხრა: საქმე როგორც უნდა გადაწყდეს, მე მაინც ამას გევედრებითო, რომ როგორც სხვას ჰბოძებია მთავრისაგან ან დედოფლისაგან, ჯეროვანის ქრთამით მეც მე-

ბოძოსო,[12] ვითარცა ყმას მთავრისასო. ამაზედ ჩემი განზრახვა ეს გახლავს, რომ თუ საქმე მეორეთაც ჩვენსკენ გადასწყდა, როგორც იმედი მაქვს, მაშინ მზითევი კი მივსცეთ და სულ ჩიჩუასეულობა კი არა, რადგან მრთელს მენგრელიას დაურჩება საწყენად, თუ მან მოიგო საქმე. — ახლა რა დაწყობილება მოვახდინე ამას მოგახსენებ. არჩილს ცოლი მოუკვდა,[13] თვითაც სნეულია, ჯაფა არ შეუძლია და განვათავისუფლე სამსახურისაგან; ამასთან ვაცნობე, რომ რადგან მისის სამსახურის დაფასება მე არ შემიძლია (რაც ირაკლის ეძლეოდა,[14] მეც რათ არ მეძლევაო, წარმოსთქვა), და ყოველსავე დედოფალს ვაცნობებ მეთქი, თქვენდა მადლობის სათქმელად და დასაჯილდოებელად. ახლა რასაც მიბძანებთ, იმას ვიქ. — ჩვენის მხრით დეპუტატად მენგრელიის სოვეტში, თქვენის ნებისამებრ, განვაწესე სახუცესი დავით და დაუნიშნე ჯამაგირად 700 მანათი; კანცელარიისა და მწერლისათვის 300. — რადგან ის სულ ზუგდიდს უნდა იქნეს და სასოფლო საქმეებისათვის ველარ მოიცლის; და რადგან ყოველს საქმეში, ყოველს შემოსავალსა და გასავალში ისეთი ნათელი და ცხადი ანგარიში უნდა ვიქონიოთ, რომ კოპეიკისა აღარა გამოგვეპაროსრა, ერთი ყოვლად სანდო პირი გამოვიყვანე სამსახურიდამ და განვაწესე ოპეკის ხაზინადრად და ოპეკის საქმეების ადგილობრივ მმართველად. ეს გახლავს კნიაზი კოსტანტინე ნიჟარაძე, რომელსაც დიდი ხანია ვიცნობ, რადგან სიძეა ჩემი[15] და აქ აქვს სახელი საკვირველის პატიოსნებისა, სიმართლისა და საქმეებში, უმეტესადრე ანგარიშის ნაწილში, კარგად გამოცდილისა. მისი თანამდებობით მას ჰქონდა ჯამაგირი 1000 მანათამდის, ეძლეოდა ჩინები და სხვა ჯილდოები. ახლა რადგან ჩინებსაც, სხვა ჯილდოებსაც აკლდება, სახლკარობაც ეშლება და საქმითაც ტვირთი განმრჩობლებული[16] ექმნება, განვუწესე მას ჯამაგირად 600 მანათი, на известное Вашей Светлости употребление* 700 მანათი და კანცელარიისა და მწერლებისათვის 300 მანათი. — სეკრეტარი, რომელსაც ეძლევა 600 მანათი, უნდა დავითხოვო

---

* თქვენი უგანათლებულესობისათვის ცნობილი საჭიროებისათვის.

და თანამდებობა მისი სრულიად გავაუქმო, მაგრამ მანამდისინ ნიჟარაძე ყოველს საქმესა და ანგარიშს არ ჩაიბარებს, სეკრეტარიც რჩება. – ამას გარდა, რადგან სოვეტში გვეყოლება დეპუტატი, იქ საქმე ველარა წაგვიხდებარა. ამ გვარივე დეპუტატები თუ ოკრუჟნი უპრავლენიებშიაც არ ვიყოლიეთ, უვარგისი იქნება ყოველი ჩვენი თათბირი და ამის გამო ოკრუგებშიაც განვაწესე: ზუგდიდის ოკრუგში თ-დი ნიკო მხეიძე; სენაკისაში – დუტუ ფაღავა, ხახუს ძე და ლეჩხუმისაში – დათა ჩიქოანი (უსათუოდ დიდად ერთგულნი არიან ესენი), და რადგან დეპუტატებად იქნებიან, სახასო ადგილ-მამულების განმგებლობაც თავთავისს ოკრუგებში მათვე მივანდე. ჯამაგირი ამათთვის არა განმიწესებიარა და ვაცნობე კი, რომ შემოსავლის მიხედვით და მათის გამჯელობის მიხედვით განუწესებ ჯამაგირს მაშინ, როდესაც წლის ატჩოტს წარმომიდგენენ. – ახლა ამათ ხელახლად უნდა აღვაწერინო ყოველივე და ვის რა გარდასახადი ემართება, დავაწესოთ შეთანასწორებითა და ისეთის განმარტივებით, რომ გლეხთაც შვება მიეცეს და შემოსავალმაც მოიმატოს. ამას ყოველსავე ამითი გაცნობებთ და გთხოვთ მიბძანოთ, როგორ მიიღებთ. – ამ წესს სოფლის მართვისა და განმგებლობის წესი დაჰყვება თან, მაგრამ იმას ცოტა უფრო სხვა ფიქრი უნდა. შემოსავალი რომ დიდად ბევრი გვაკლია, ხარჯიც ნაკლები უნდა, მაგრამ ყოვლად შეუძლებელია, რომ ეს ხარჯი არ იყოს, თუ გვინდა, რომ ყოველი შემოსავალი უკლებლად შემოგვდიოდეს. მრავალი გითმენიათ და ცოტა კიდევ მოითმინეთ როგორც იყოს. მე ამ თთვის 18-ს ისევ ტფილისში გიახლებით, 20-ს ან 21-ს ჩემს სოფელში[17] ამოვალ, რომ ბატონყმობის საქმე იქ ვისაქმო და სხვა აქაურის საქმეების შესასრულებლად დარიგება და ქაღალდებიც იქიდამ გამოვგზავნო. თქვენს ამბავს თუ მაცნობებთ რასმე, ასე მომწერდეთ: в Тифлисской губернии, в Сурам,* რადგან იქ ახლოს მექნება ბინა ოთხიოდ თთვეს. – თქვენი ადრესი რომ არ ვიცი მ-მ მერდერს უგ-

---

***** В Тифлисской губернии, в Сурам – ტფილისის გუბერნიაში, სურამში.

ზავნი. ნიკოს, ანდრიას და სალომეს[18] მრავალს სამსახურს მოვახსენებ. ჩემი დათხოვნის წიგნი თუ მოგივიდათ, როგორც მოგახსენეთ, თქვენს ნებაზედ იქნება დამოკიდებული.

ეს არის ეხლა მომივიდა კოსტანტინეს წიგნი,[19] 20 აპრილს მოწერილი პარიჟიდამ და ძლივს შევიტყე თქვენი ადრესი, რომლითაც გიგზავნით ახლა ამ წიგნს. კოსტანტინეს ბარე სამგზის მივსწერე წიგნი და ჰსჩანს, ჯერ არც ერთი არ მიუღია. დღეს მოვიდა აქ ჩემთან მიშელ ჭილაევი და იმედებს კარგებს გვაძლევს. საბატონო ყმების 5498 კომლის გარდასახადი და სამსახური, როგორც მოგეხსენებათ, ხელახლად უნდა დაფასდეს და ხაზინიდამ გვაძლიონ. ჩვენს დაფასებაზედ, ოცდაათი ათას მანათზედ რომ ნაკლები არ იქნება, ბევრით მეტი უნდა გამოვიდეს და რაც შედგება, წარსულის წლებისაც უნდა მოვითხოვოთ. – მელიტონ იყო კიდევ ჩემთან და იხვეწება, 2000 მანათით მიმსახურეთო და ნუ ჩამომართმევთ ჩიჩუას მამულსო.[20] –

## 32. ეკატერინე დადიანისადმი

მელიტონის წიგნი დამრჩა გამოუგზავნელად[1] და ახლა მომირთმევია.

ზოგიერთს ჩემს მოქმედებას მოგახსენებთ.

არჩილმა დიდად იწყინა თანამდებობიდამ დათხოვნა[2] და თანამდებობა ისევ აღვუდგინე, მაგრამ ჯამაგირის მიცემა ჯერ არ შეიძლება და სხვა საჩუქარს თუ მიბძანებთ რასმე, ეს კი კარგი იქნება. –

პალეოსტომის ტბა, რომელსაც შემოსავალი აკლდებოდა, ექვსის წლით გავეცი იჯარით წელიწადში ათას მანათად; ენგურის თევზაობა აგრეთვე ოთხას მანათად.

ჭალადიდში არიან 9 კომლი ქორქია, რომელთაც წმინდა საბუთები აქვთ აზნაურობისა, მაგრამ ზოგი და ზოგი გარდასახადი აწერიათ, ზოგს 8 მანათი და 40 კ; ზოგს 5 მანათი, ზოგს 2; ზოგისა სწერია, ვერ იხდისო. სულ წლის გარდასახადი მათი უკლებ-

ლად რომ შემოსულ-იყო შეადგენდა 35 მანათამდის წელიწადში. საქმე ისე მოვიყვანეთ, რომ ერთად შემოიტანეს 661 მანათი, რომლისაც 10 პროცენტი შეადგენს წელიწადში 66 მანათს და 10 კოპეიკს. ახლა თქვენს მოწყალებას მოელიან, რომ ამიერითგან აზნაურებად ირიცხებოდნენ და აღარა მოეთხოვებოდეთ რა.

გოჯასპირ ჭოჭუა ითხოვს ვაჭრობის წოდებას, რომ გარდასახადი ყმობის აღარ ეთხოვებოდეს. მე ვჰსთხოვ ამ თავათ ათასს მანათს და წელიწადში 10 მანათს მიწისათვის. მას აწერია ახლა წელიწადში 4 მან. – 90 კ. ნადობა და მუშაობა.[3] თუ შემოიტანა რასაც ვჰსთხოვ, კარგი მაგალითი იქნება.

ამაღამ ტფილისისკენ გაბრუნებას ვაპირებ, რომ სამიოდ დღეზედ ჩემს სოფელში ამოვიდე და იქ მექნება მოლოდინი თქვენის ამბისა, – სურამს.[4]

თქვენი **დ. ყიფიანი**

18 ივნისი 1862.
ქუთაისით

## 33. კონსტანტინე ორლოვსკისადმი

მოწყალეო ხელმწიფეო,
კონსტანტინე ივანეს ძევ

თქვენო აღმატებულებავ, მალე მიიღებთ ან უკვე მიღებული გექნებათ სასამართლო პალატის გადაწყვეტილება ჩემი ბორჯომის მამულის თაობაზე. თავს უფლებას ვერ მივცემ, ოდნავი გავლენაც კი ვიქონიო საქმის რაობის შესახებ თქვენს თავისუფალ და სამართლებრივ შეხედულებაზე. მხოლოდ ამას გთხოვთ, თქვენი კეთილმოწყალე ყურადღება მიაქციოთ სამ გარემოებას:

1. თავად ავალოვებს ხაზინის სასარგებლოდ ექვითებათ შთამომავლობითი პენსიის მეათედი – როგორც განვლილი, ისე მო-

მავალი წლებისა. ასეთი გადაწყვეტილება, თუ მას მკაცრი იურიდიული ნორმებით მივუდგებით, შესაძლოა, სავსებით სამართლიანიც იყოს. მაგრამ ზოგჯერ მოვლენები ყალიბდება ისეთი გარემოებებისგან, რომლებიც ადამიანურ სასამართლოში შეიძლება ჩაითვალოს საპატიოდ და მათ უნდა გაეწიოს ანგარიში. ავალოვები, როდესაც ისინი ხაზინას საკუთარ უფლებას უთმობდნენ – და ეს თქვენც კარგად მოგეხსენებათ – ისეთი მორალური შევიწროების პირობებში მოქმედებდნენ, რომ იძულებულნი გახდნენ, შთამომავლობითი ქონება ჩალის ფასად გაეყიდათ.[1] აწ განსვენებული თავადი ვორონცოვი თავის ყოვლადუქვეშევრდომილეს მიმართვაში წერდა კიდევაც: ხაზინა ***უზარმაზარ მამულს ჩალის ფასად იძენსო***, და შუამდგომლობდა, ავალოვებისთვის შთამომავლობით პენსიად 5000 მან. დაენიშნათ, რაც აღსრულდა კიდევაც. მაგრამ მაშინ ავალოვები ყიდდნენ საკუთარს, ხოლო რაც შეეხება სხვისას, ანუ ჩემსას, ხაზინამ იგი თვითონ მიიტაცა სასამართლოს მიერ უკუგდებული საბაბით. და ახლა მორალური თვალსაზრისით იქნება კი სამართლიანი, ავალოვებს კიდევ ჩამოეჭრათ ფული მათ მიერ ჩალის ფასად გაყიდული მამულის მეათედ ნაწილზე მხოლოდ იმიტომ, რომ მათი ყოფილი მამულის მეათედ ნაწილზე ჩემი უფლება დასტურდება?

2. პალატა მე მაკუთვნებს ხაზინის მიერ ბორჯომის მამულისგან მიღებული მთელი შემოსავლის მეათედს. საქმის დასრულებამდე, რასაკვირველია, კიდევ გაივლის წლები. შესაბამისად, წლიურ შემოსავალთან დაკავშირებული რიცხვების გამოანგარიშება უფრო და უფრო გართულდება. ჩემი სურვილი ისაა, რომ საკუთარ თავსაც ვარგო და ხაზინასაც გავუიოლო ჩემთან ანგარიშსწორება. ამიტომაც ვითხოვ ნებართვას, ბორჯომის მამულის სამეურნეო მმართველობაში ვიყოლიო საკუთარი რწმუნებული, რათა დადასტურებულად ვიცოდე მამულის შემოსავალი და გასავალი. თქვენი აღმატებულება დამემოწმება, რომ უწყებისთვის, რომელსაც ჩემი მამული ექვემდებარება, ასეთი ზომა უფრო სარგებლის მომტანი იქნება, ვიდრე რაიმე სახის ზარალისა.

დასასრულ, 3. ათი წელიწადია, წართმეული მაქვს საკუთრება, რომელსაც ახლა მანიჭებენ. ამიტომ თქვენ, რასაკვირველია, ნებას დამრთავთ შეგევედროთ: დააჩქარებინეთ საქმის შემდგომი მსვლელობა.

მოგმართავთ რა, როგორც მეჩვენება, არცთუ რთული თხოვნით, მაქვს პატივი, დაგიდასტუროთ ჩემი თქვენდამი ჭეშმარიტი პატივისცემა და ღრმა ერთგულება.

თქვენი აღმატებულების უმორჩილესი მოსამსახურე
**დ. ყიფიანი**

9 ივლისი 1862 წ.
სოფ. ქვიშხეთი, სურამთან ახლოს.

## 34. ეკატერინე დადიანისადმი

11 აუგვისტო 1862. სოფ. ქვიშხეთი.

უძვირფასესო დედოფალო!

რამდენიმე წიგნი მრჩება თქვენი უპასუხოდ, ზოგი ლონდონიდამ მიღებული ორის თთვისა, ზოგი ჰომბურხიდამ ექვსის კვირისა, ზოგი ინტერლაკიდამ,[1] საიდამაც ერთი წიგნი მომივიდა ამ თთვის 4-სა და მეორე 10-სა. აქედამ წარმოიდგინეთ, სად უნდა მომეწერა პასუხი, სად მოგისწრებდათ. სხვას ღონისძიებას ვერასა ვჰხედავ, ისევე კოსტანტინეს უნდა მივმართო ხოლმე,[2] რადგან რკინის გზებით და ტელეგრაფებით მაინც ის ბევრით უფრო ახლო არის თქვენთან ჩემზედ. ყოველს წიგნში ფულის გამოგზავნას მწერთ და ღმერთმან ხომ იცის, რომ ამაზედ უმეტესი შეწუხება მე არა მქონდესრა. შარშანდელის მობოჭილიდამ რამდენიც შესაძლებელი იყო, მოგართვით. სამასიოდე თუმნის გამოგზავნის იმედი მქონდა კიდევა და ვერასგზით ვეღარ მოვახერხე. წლე-

ვანდელის ბოჭვის ბორჯი არის შემოდგომა[3] და ნოემბრისა და დეკემბრის უმახლობელესად ფულის გამოგზავნისა რაც მოიკ-რიფება, იმედი სრულიად არა მაქვს. რომ დამარჩობდეთ კიდეცა, მაინც არ შემიძლია, რადგან არც თქვენი მექნება იმ დრომდის და არც ჩემი. რაც არ შეიძლება, ის შეუძლებელს მივათვალოთ და სხვა საქმეზე ვილაპარაკოთ. ბარატ-ს[4] რომ მაგდენი თანხები მო-უცია, ჩემი სამსახურიდამ გამოგდების მიზეზი რაღა იყო, რატომ არა ჰკითხეთ.[5] თუ იმისთვის გამომაგდო, რომ იმის წინააღმდე-გათ ვიყავ, მაშ ცხადია, რომ ის თქვენი წინააღმდეგი ყოფილა და ახლა რომ იმედები მოუცია, მრწამს, მაგრამ ბოლო მაკვირვებს. ისე გატყუებენ ყველანი, რომ მე ხომ თავგადადებული ვარ და სხვებიც თვითქმის ხმალამოღებით დავტრიალებთ. ასე ითქმის, თორემ აღარ ვჰზოგავთ ერთმანერთს ვინც ვისი წინააღმდეგნი ვართ. ერთი თქვენი საქმე მაწუხებს დიდათ, წიგნი რომ მიგიწე-რიათ, რომ საბატონო ყმების გარდასახადი რაც გვაკლია, სულ იმთავიდამ უნდა მოგვცეთო. ჩემი განზრახვა ასე იყო, რომ ჯერ სუმმა დაენიშნათ ახალის აღწერილობის ძალით, და მერე მოგ-ვეთხოვა წარსრულის დროისიცა. ახლა თქვენის მოთხოვნილე-ბით დაშინებულნი უფრო დააგვიანებენ და უფრო გასჯანჯლვენ საქმესა, რომლისათვისაც დღესაც არ მიუყვიათ ხელი. ბატონ ყმობის საქმე რომ მე მომანდო შეკრებილებამ, მაშინვე მივჰყავ ხელი, მაგრამ რა რომ ბარატინსკის ჩემზედ რისხვისა და გამოგ-დების წიგნი მოვიდა, მაშინვე ვაცნობე ყოველთავე, ვაითუ ნა-მესტნიკმა იწყინოს, რომ ეს საქმე მე მაქვს მონდობილი და ამი-თი საქმესაც ევნოს და უარი მომიხსენებია მეთქი.[6] სრულიად ველარაფერს საქმეში ველარ გავერევი თქვენს საქმეს გარდა. ამ სეკტემბერში ჩავალ ოდიშს და დავრჩები იქ მრთელს ზამთარს. უსაქმოთ არ ვიქნებით, ამაზედ ეჭვი ნუ გაქვთ. საბატონო ყმების გარდასახადის აღწერას და ხელახლად დაფასებას გარდა, რო-მელიც უსათუოდ ვეცდები მალე მოვახდენინო, თვითან სახასო კაცებიც ხელახლად უნდა აღიწერნენ და მათი გარდასახადიც ყოველივე უნდა გასწორდეს, ასე რომ იმათთვისაც სამძიმო არ იქნეს და თქვენც არა დაგაკლდეთრა. იმ საქმეს სახუცესი უნ-

და მივუჩინო და ამას თვით მე უნდა დავადგე. კოლუბაკინი ნახე თუ არაო, რომ მწერთ, მე რომ ის მენახა, ვჰგონებ თქვენთვისაც საწყენი ყოფილიყო. ის არის მიზეზი ამდენის თქვენის წყენისა და ჩემის გატანჯვისა და როგორღა ვნახავ, მეტადრე იმ ანბის შემდეგ, რაც იმან ხელმწიფის მობძანების დროს[7] ჩემზედ მოახდინა. — პამიატნიკი დავადგმევინე ვასილიევს ოც და ათ თუმნად.[8] ამაზედ ნუღარ ჰსწუხართ. — თქვენი აქ მოსვლა რომ მოხერხდებოდეს, უკეთესს ვერასა იქთ და რა საკურველია, თუ დროზედ შევიტყე, ფოთს დაგხვდებით ყოველის ჩემის სვიტით; ვჰგონებ სვიტა ცოტა არ იქნეს. ვისაც თქვენი ნახვა არ იამება, ბევრი არ არის; თუ არის ვინმე, ისევ სამსახურში მყოფნი. მე ამ თთვის გასულს ქალაქს გიახლები, ჩოხას ჩავიცვამ, არჩილს და დათა ჩიქოანს[9] საჩუქრებს უყიდი და გიახლები ოდიშს.

ბატონს რომ უბძანებია,[10] ყიფიანი მშიერი არ მოკვდებაო, ჩვენი ქვეყანა არც ლონდონია, არც პარიჟი, რომ კაცი მშიერი მოკვდებოდეს. ჯერ სხვა უნდა მომკვდარიყო ვინმე აქ მშიერი, რომ მეც აგრე დამემართოს. ჩვენთანა არს ღმერთი და უკეთუ ღმერთი ჩვენთანა არს, ვისი შემეშინა. — ბატონს ნიკოს, ანდრიას და სალომეს[11] შესაბამად მოვიკითხავ. მადამ მერდერი ეტყობა მართლა აჰყოლია დიმიტრის,[12] რომ მისი ანბავი აღარა ვიცირა. — ამ გაჭრელებულმა წიგნმა თვალები არ აგიჭრელოთ[13] და ვათავებ ეს არის.

თქვენი მთლად და განუყოფლად
**დ. ყიფიანი**

### 35. მიხეილ თუმანიშვილისადმი

მოწყალეო ხელმწიფეო,
კნიაზო მიხაილ ბირთველის-ძევ!

თქვენი 18 ამ თვის წიგნი მომივიდა და პასუხად ამას მოგახსენებთ, რომ თუმცა მაისში ვალად ვრაცხდი საზოგადოს საქ-

მისაგან თავის მორიდებასა, რომ ჩემის გარევით ახლანდელს ჩემს მდგომარეობაში თვით საქმეს არა ჰვნებიყო რა,[1] და მიზეზი, სხვათა შორის, მაშინ თქვენც მოგახსენეთ. მაგრამ ივლისში[2] სიღნახის უეზდის მებატონეთაგან ქაღალდი მომივიდა, რომლითაც განმეორებით მიბრძანებდნენ მონდობილობის აღსრულებასა და ჩემგან მოთხოვნილს პასუხებსაც მპირდებიან. ეს განმეორებითი დასაქმება ჩემი, რა საკვირველია, მოურიდებელ ვალად მივითვალე. მაგრამ საქმისათვის ჯერ ხელი არ მიმიყვია, რადგან: ა) სხვა უეზდებიდან არა მომსვლიარა; ბ) არც სიღნახიდან მიმიღია მოთხოვნილი პასუხები; გ) გუბერნიის მარშალს[3] არ გადმოუცია ჯერ ჩემთვის არც ის ქაღალდები, რაც შეკრებილებაში იყო შემოტანილი, და არც ის საქმეები, ან საქმეთაგან გამოკრებილი მასალა, რაც საფუძვლად უნდა ედვას ჩემგან შესადგენ საქმესა და რაიცა მოვჰსთხოვე მის ბრწყინვალებას მაისშივე.

თქვენი ბრწყინვალება თვით მეთანხმება, რომ უამისოდ საქმის ხელყოფა არ შეიძლება და, თუ რაც იმ სამს მუხლში არის მოხსენებული, ყოველივე არ მომივიდა, ვერც მე შევიძლებ საქმობასა.

ამ მოლოდინში ვიმყოფები აქამომდე ყოვლად მოწადინებული, რომ საზოგადოობის მონდობილობა აღვასრულო იმ წესით, რომელიც მის ბრწყინვალებას კნიაზსა გრიგოლ დიმიტრის-ძეს,[4] ვგონებ, მოეხსენებოდეს, ესე იგი: რაც ჩემის შემუშავებისაგან შენადგენი გამოვა, ჯერ უეზდებში გავაშინჯო საზოგადოობას და მერე გუბერნიის შეკრებილებაში, და რასაც ეს შეკრებილება არჩევს, ის იქნეს მმართებლობის წინაშე წარდგენილი.

მომავალს სექტემბრის დამდეგს იმედი მაქვს პირისპირ გნახოთ და მაშინაც მოგახსენოთ, რომ საზოგადოს საქმეში მე ჩემის თავის დაზოგვას არასდროს არ განვიზრახავ.

სხვებრ გახსნილის გულით მოგესალმებით, უძვირფასესო კნიაზო, და გთხოვთ ყოველთვის ისე გეგულებოდეთ, როგორც მარადის ვყოფილვარ, თქვენი გულითადი პატივისმცემელი და

ყოვლის სიკეთის მოსურნე თქვენის ბრწყინვალების უმორჩილესი მოსამსახური

**დიმიტრი ყიფიანი**

23 აგვისტო 1862.
სოფ. ქვიშხეთი

## 36. მიხეილ თუმანიშვილისადმი

საგლეხო საკითხის დასამუშავებლად სხვა დანარჩენთან ერთად საჭიროა შემდეგი ცნობები:

1. მაზრებში მცხოვრებ საბატონო გლეხთა ზუსტი კომლობრივი რაოდენობა.

2. მებატონეთა რაოდენობა.

3. ოდენობა იმ ვალისა, მემამულეებს „პრიკაზისა" რომ მართებთ.[1] როგორია დაგირავებულ კომლთა რაოდენობა და ვალის რა მოცულობაა უზრუნველყოფილი ამ კომლებით.

4. რა ფასი ედო გლეხს უკანასკნელი 10 ან 15 წლის განმავლობაში და რა თანხით ხდებოდა მათი გამოსყიდვა.

5. რამდენი კომლი ხიზანია აღრიცხული მაზრების მიხედვით, ანუ სახაზინო, საეკლესიო და საბატონო ხიზნები, რომლებიც სხვა პირთა მიწებით სარგებლობენ.

6. მებატონეთა და გლეხთა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ სახელისუფლებო საშუალებებით შეგროვებული ცნობები.

7. რა დამოკიდებულება არსებობს, თუკი ეს ცნობილია, ხიზანსა და მიწის პატრონს შორის.

8. საქმე ბატონყმობის შესახებ.

25 სექტემბერი 1862.

## 37. ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანისადმი

მოწყალეო ხელმწიფეო,
კნიაზო ალექსანდრე დავითის ძევ!

გორის უეზდის მებატონეთაგან ბატონყმობის საქმეზედ ჰაზრი, მართალია, შედგენილი არის, მაგრამ რადგან შიგა და შიგ ბევრი საგანი ჰრჩება კიდევაც შესამუშავებელი და შესათანხმებელი, ვიკადნიერებ და ამასთან მოგართმევთ 14 მუხლად დაწერილს კითხვას და უმორჩილესად ვჰსთხოვ თქვენს ბრწყინვალებას, თქვენი საკუთარი პასუხი მიბოძოთ თქვენის მოგვარეების სურვილზედ და ჰაზრზედ დაფუძნებული, რომ სახელმძღვანელოდ მექმნეს საზოგადოობისაგან მონდობილის საქმის აღსრულებაზედ. ამ ოკტომბერში, ანუ ნოემბრის ნახევრამდის მაინც რომ მიბოძებდეთ პასუხებს, ამითი თვით საქმეს დაავალებდით.

ამ ზამთარს მე გახლდები ***ზუგდიდს***, მენგრელიაში და იქ მექმნება მოლოდინი თქვენის პასუხისა.

წრფელის ერთგულებით და უგულითადესის პატივის ცემით
დავშთები თქვენი უმორჩილესი მოსამსახურე
**დიმიტრი ყიფიანი**

7 ოკტომბერი 1862.

ყოველი ჩვენი სხვა და სხვა აზრი ერთს სურვილზედ ტრიალებს: ***გლეხები ისეთს მდგომარეობაზედ დავაყენოთ, რომ ჩვენ გვიმადლოდნენო.***

ამ სურვილზედ დამყარებულნი ვანბობთ: ყმებს პირადი თავისუფლება მივსცეთ; სამაგიერო ფული ვითხოვოთ და ადგილმამული ჩვენსავე კუთვნილებაში დარჩესო. ზოგსა და ზოგს კიდევ სხვა და სხვა აზრი გვაქვს. – უნდა დავათანხმოთ ახლა ერთმანეთის ლაპარაკი; უნდა კარგათ მოვიფიქროთ ყოველივე, რაც

ამ საქმეზედ სათქმელი გვქონდეს და ყოველივე შინაურულად ვაცნობოთ, ვისთვისაც დაწერა მიგვინდვია.

ამ საქმის ასახსნელად და კარგად გამოსარკვევად განმარტება მრავალი დაგვჭირდება, მაგალითად:

1. ფულს რომ ვითხოვთ, რა ანგარიშით ვითხოვთ?

2. გლეხებს თუ გარდახდება ეს ფულიო, რომ ვითხოვთ, რა მიზეზით ვითხოვთ?

ამ ორის კითხვის ასახსნელად უნდა ვჰსთქვათ:

3. კანონითა, თუ ჩვეულებით, სიმართლე მიგვიძღვის თუ არა კომლზედ ერთი მსახური გამოვიყვანოთ, რომ ამის სამაგიეროდ ვითხოვოთ ფული? სადაც ეს მიზეზი არ გამოსდგება, იქ სხვა რა ვჰსთქვათ საფუძვლიანი?

4. ეს ფული გლეხებს ნუ გადაჰხდებაო რომ ვანბობთ, რა მიზეზით ვესარჩლებით გლეხებსა? ივარგებს თუ არა, რომ გამოვიკვლიოთ და ავხსნათ, რა ხარჯი გაუწევიათ რამდენსამე წელიწადში. – სხვა და სხვა გამოსაწვევის მიზეზებით, მილიციისათვის თუ სხვა საქვეყნო საქმეებისათვის, – საბატონო და სახელმწიფო დაწესებულს გარდასახადს გარდა?

ადგილ-მამული ჩვენია. ამაზედ ეჭვი არ არის; მაგრამ დასაკუთრებით რომ ვერას ვაძლევთ გლეხებსა, ჯერ უნდა ვჰსთქვათ:

5. რა და რა მიზეზით არ ვაძლევთ, თუ ვერ ვაძლევთ? – და მერე

6. იმათი მომადლიერება რომ გვინდა, როგორღა უნდა დავაწყოთ? ახლანდელს სახლკარობას არ მოუშლითო, ვანბობთ და რაც ჩვენი ადგილ-მამულები უჭირავთ, სულ იმათვე მივაჩემებთ ***დროებითაო;*** მაშ ამას ვადას უწესებთ.

7. ამ ვადის გასვლამდის რა სარგებლობა უნდა გვეძლეოდეს იმ ადგილ-მამულისაგან? ქვეყნის ჩვეულებას, ან ხიზნების მაგალითს დავადგებით თუ არა?

8. თუ ამ ჩვეულებას დავადეგით, სად, რა და როგორი ჩვეულება არის სახელდობრ გამოვაცხადოთ და აღვრიცხოთ თუ არა? რომ, ვინ იცის, თუ მომავალში სალაპარაკოდ გაგვიხდეს რამე, გარჩევა არ გაჭირდეს.

9. თუ ჩვეულებას ვერ დავადგებით, მაშ ახალს დავაწესებთ რასმე; – რა რის მაგიერად უნდა დავაწესოთ ახალი, რა მიზეზით და შემსუბუქება რაში ექმნება მაშინ გლეხსა?

10. ჩვეულებაზედ დავემყარებით თუ ახალ წესს დავადგენთ რასმე, რა რომ ან ერთსა და ან მეორეს განმარტებით აღვრიცხავთ, – ემჯობინება თუ არა, რომ: სადაც ერთნაირი და ერთი ზომის სამსახური და გარდასახადი არსებობს, ან დაწესდება, ის ადგილები დასახელებით ერთად მოვიხსენიოთ და ამისთვის ქვეყანა, გინა უეზდი, ზოლებად დავჰყოთ ან სხვაგვარად როგორმე, რომ ჩვენც ბეჯითად ვიცოდეთ და მთავრობამაც, ამა და ამ სოფლებში, ან ამა და ამ მხარეზედ ეს წესია, ამა და ამაზედ ესაო.

11. თუ ამას საჭიროდ არა ვჰპოვებთ, მაშ საკმავო იქმნება თუ არა, ასე რომ ვჰსთქვათ: „ადგილ-მამულისათვის პატრონს ის სარგებლობა უნდა ეძლევოდეს, რასაც ყოველი თავისუფალი კაცი აძლევს მამულის პატრონსა, ქვეყნის ჩვეულებით, და პატრონს ნება არ ექნება ამ ჩვეულების შეცვლისა ვადამდის; – და რა რომ ვადა დასრულდება, მაშინ გლეხნიცა და მემამულენიც ერთმანერთში მორიგდებიან ნებაყოფლობით“.

12. თუ ამ ჩვეულებით გლეხს მუშის მოხმარება ემართება, ემჯობინება თუ არა, რომ მუშის მაგიერად ფასი გადუკვეთოთ?

თუ პატრონს მუშა არ დასჭირდება, მაშინ რა ვჰქნათ, და თუ თავისუფალი გლეხი არ გამოვიდა, მაშინ რა?

13. დაწესებულს ვადამდის თავისუფალს კაცს ნება ექნება გადასახლებისა თუ არა? – პატრონსაც ნება ექნება დათხოვნისა თუ არა; რა და რას შემთხვევაში, რა და რა მიზეზებით და როგორ?

14. ვადა მოკლე ემჯობინება თუ გრძელი პირველს მორიგებამდის; და სახელდობრ რამდენის ხნისა?

შიგა და შიგ სხვა კითხვაც წარმოსდგება კიდევ განსამარტებელი, მოსაფიქრებელი და უნდა წარმოვჰსთქვათ ყოველივე, რომ მოსალაპარაკებელი გულში არღარა ჩაგვრჩეს რა. –

ამ 14-ის კითხვის პასუხები ამავე რიგით გვიბოძეთ, ამავე ნომრებითა, თუნდა ცალ-ცალკე იყოს დაწერილი, ოღონდ გარკვევა არ გაჭირდეს, რადგან მიწერ-მოწერა ბევრი გვექნება.

პასუხები არა თუ რამდენისამე პირისაგან, ყოველის მებატონესაგან რომ თითეულათა გვქონდეს, უკეთესი იქნება საქმისათვის. –

## 38. ეკატერინე დადიანისადმი

30 ოკტომბერი 1862. ზუგდიდი.

მოწყალეო დედოფალო!

თქვენი 17-ის სეკტემბრის წიგნი სენ-ჟერმენიდამ ამ თვის 26-ს მომივიდა ზუგდიდს. თქვენი მოსვლისა ისეთი ბეჯითი ამბავი მოიტანეს, რომ ველარაფერი მოგწერეთ, ვაითუ შეჰსცილდესმეთქი. აქამომდე რომ არ გამართლდა ეს ამბავი, თითქმის აღარა მაქვს იმედი. რომ მობრძანებულ-იყავით კი ძალიან კარგი იქნებოდა, მაგრამ ხალხის მოგებება და სიხარული ვაითუ საწყენად დარჩენიყო თქვენს მწყალობელს მეგობარს და მწყალობელს ბატონს.[1] მისს მოხელეებს კი უნდოდათ, რომ წინააღმდეგობა მომხდარიყო რამე, მაგრამ შეიტყეს, რომ გასცრუვდებოდნენ. – მე ახლა აქ გახლავარ. საქმეები ღვთის მადლით კარგათ არის ახლა გამობრუნებული, მაგრამ დაფასება საბატონო კაცების გარდასახადისა ჯერაც არ მოუხდენიათ.

წლეულ ივნისში ჭალადიდლები ქორქიების ანბავი მოგახსენეთ: რადგან აზნაურები არიან და გარდასახადიც ჰმართებთ, ამ გარდასახადის ფასი ერთი ათად შემოიტანეს მეთქი და მეც თქვენთან შუამდგომლობა აღუთქვი განთავისუფლებაზედ, მაგრამ უარს რომ მომწერდეთ ურიგო არ იქნებოდა, რადგან ამგვარი მთხოვნელი ბევრი მეგულება და იმათ მეტად ცოტა შეჰხვდათ. ერთი ოცად რომ იქნებოდეს, კი შეიძლება დავსჯერდეთ,

და ამ მაგალითით სხვებსაც მივსცეთ საშუალება დახსნისა. – სხვა საქმეთა შორის ოცარცის საქმეს ვეჭიდები ახლა და მინდა ისე მოვიყვანო, რომ ვინც იქ სახლობს, ყველას გარდასახადი შევაწერო რამე და თუ არ იყაბულეს, გარდასახლდნენ.

მრთელი მენგრელია დიდად არის შეწუხებული ქურდობის გახშირებისაგან. ყოველი კაცი, მმართებლობის პირიცა და სხვაც სულ ამას ამბობენ, მისდღეში რომ არავინ მოსწრებია ისეა გახშირებულიო. ამას რა ეშველება, არ ვიცი და დიდად ვჰსწუხვარ, რომ ვერ გავერევი, თორემ იქნება კი მოხერხებულიყო როგორმე შემცირება.

საბოჭი რაც არის, ახლა იბოჭება და ამ ნოემბერში უსათუოთ გავგზავნი თქვენთან და თქვენს მავალე[2] ბიჟუტიესთან გასაგზავნს ფულსა რამდენიც კი მოიბოჭება და განწესებულს ჯამაგირებს გადარჩება. ფებერვალში მექნება ამოსაგები მაჭუტაძისაგან 8 600 მანათი და ამასაც შეგძენთ.

თქვენი უერთგულესი **დიმიტრი ყიფიანი**

ბატონს ნიკოს, ანდრიას და სალომეს[3] მრავალს სიყვარულიანს და ერთგულებითს მოკითხვას მოვახსენებ. – მე ამ ზამთარს სულ აქ ვაპირებ ყოფნას.

## 39. ეკატერინე დადიანისადმი

5 ნოემბერი 1862. ზუგდიდით.

უძვირფასესო დედოფალო!

თქვენი ორი წიგნი მომივიდა ერთად: 25-ის და 29-ის სეკტემბრისა. დიდად საწუხარი არის, რომ აქეთ წამოსვლის უარი შეგითვლიათ. გზა რომ ცოტა შორით ყოფილიყო და თქვენ ტფილისში მობრძანებულიყავით, მაინც დიდად სასარგებლო იქნებოდა და

ახლა სხვას არას იტყვიან, არ გამოუშვესო, ამის მეტს. ამას თუ ალარა გაეწყობარა, კიდევ მოგახსენებ, ძალიან საწუხარი იქნება და ვერცარა ვის ვეტყვი ამ ამბავს გიორგი ბატონიშვილის მეტს,[1] რომელიც, ყოვლად უეჭველად თავგამოდებული არის თქვენს ერთგულებაზედ და დიდად მწუხარე კაცობრივის შეცთომისათვის. გუშინ და გუშინისწინ დიდხანს იყო ჩემთან. პეტრეც აქ არის ახლა.[2] დღეს მასთან მივალ, რადგან მე და მისი ქალიშვილი, მიქაძის კნეინა, ნათლიები ვართ [.....][3]

## 40. ეკატერინე დადიანისადმი

20 ნოემბერი 1862. ზუგდიდით.

უძვირფასესო დედოფალო!

ეს არის ამ ფოჩტით უგზავნი ბარონ ფინოს 5000 მანათს,[1] ზოგს თქვენი ვალის გასასტუმრებლად და რაც გადარჩება, თქვენთვის მოსართმევად. ფულად აქამდისინ ჯერ ამის მეტი არ მობოჭილა და ხორაგი რაც გვაქვს, ვერც ის ვაქციეთ ჯერ ფულად. გაფაციცებული ვადგევარ ახლა საქმის ისე დაწყობასა, რომ ანგარიში ცხადი იყოს და არა გამოგვეპაროსრა. საბატონო ყმების გარდასახადის დაფასებაზედ და სამაგიერო ფულის ხაზინიდამ ძლევაზედ ჯერაც არა ქმნილა რა. ვალების საბოჭავად ნიკო დგებუაძე გავგზავნე და რადგან უსასყიდლოდ ხელს ვერა ვინ ანძრევს, მეტი ღონე აღარ იყო და ნება მივეცი, რომ რაც სარგებელი შემოვა, მისი მეოთხედი მან მოიხმაროს. დიდი უფულობა არის არა თუ მენგრელიაში, მრთელს ამ ჩვენს ქვეყანაში და ამ მიზეზით ეს ნებაც მივეცი, რომ ვისაც ფული არ მოეხერხება, იმას საქონელი გამოართვან, ადგილ მამული ან შენობა ქალაქებში, ყმას გარდა და ყმა კი საჭირო არ არის.

პეტრე, როგორც მოგახსენე, დიდი მოსურნე არის, რომ გამობრუნდეს, მაგრამ გამიხსენებენო, ეს აშინებს[2] და სასარგებ-

ლო იქნება, რომ თქვენებურად გული დაუმშვიდოთ. მტრის მოგება და გაერთგულება ცოტა საქმე არ არის. – თქვენი მოუსვლელობა მაინც დიდად საწუხარია, და საგაისოთ მაინც რომ მოახერხებდეთ, ძალიან კარგი იქნება.

ფულის გამოუგზავნელობა აქედამ უნდა მოიმჭივნოთ რაოდენიც შეიძლებოდეს. ჯერ ეს უნდა იკმაროთ, რომ ყოველივე რომ იკარგებოდა და ახლა სრული იმედი არის ყოვლისავე გამობრუნებისა, ამას იქით მაინც იქნება ღმერთმა ხელი მოგვიმართოს და საქმე აღარ წახდეს. ჩემს მეცადინეობას მაინც არაფერს დავაკლებ, ამაზედ ხომ დარწმუნებული ბძანდებით. – ახალს აღწერას მივჰყავით დღეს ხელი, აქ ვიწყეთ ზუგდიდს. ოც და ცამეტი კაცი არის დასაფიცებლათ აღმორჩეული ხალხისაგან; ამათ უნდა გამოვჰკითხოთ ძლიერის ხატის წინაშე ყოველი გარემოება ხალხისა და ხელახლად შევაწეროთ გარდასახადი. ამას რომ გავათავებთ, საქმე ძალიან გაწმენდილი იქნება.

თქვენი **დიმიტრი ყიფიანი**

## 41. ანტუან დე ფინოსადმი

ბატონო ბარონო,

აქამდე თქვენი სიკეთის სანაცვლოდ მხოლოდ უსიამოვნებები გხვდებოდათ. მიუხედავად ამისა, მითხარით, რომ ეს არ შეცვლიდა თქვენს სურვილს, სამსახური გაგეწიათ ჩვენთვის. ამიტომაც თავს უფლება მივეცი და გადავწყვიტე, კვლავ შეგაწუხოთ – გამოგიგზავნოთ 5000 მანეთი ქ-ნი დადიანის ცნობილი ვალის დასაფარავად[1] და დარჩენილი თანხის მისთვის გადასაგზავნად.

ბატონო ბარონო, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მე, თქვენი მონა-მორჩილი, თქვენდამი მხოლოდ გულწრფელი მადლიერების გრძნობით ვარ გამსჭვალული.

აწ და მარადის...

20 ნოემბერი 1862.

P. S. უზომოდ დამავალებთ, ორიოდ სიტყვით თუ მომწერთ პასუხს ზუგდიდში.

## 42. დავით ოტიას ძე ჩიქოვანისადმი

მეურვეობაში სხვადასხვა მხრიდან შემოდის ცნობები იმის შესახებ, რომ სამეგრელოს თავადაზნაურობა შეწუხებულია ბოლო დროს გავრცელებული ხმებით. ხელიდან ხელში გადადის ქაღალდი შემდეგი სათაურით: ***სამეგრელოს სამთავრო სახლის ქონებრივი უფლება.***

პირველ რიგში, უნდა გაირკვეს: როცა საკითხის შესახებ არსებულ შეხედულებას კანონიერ საფუძველს აძლევენ, გამყარებულია თუ არა ეს ყველაფერი თვითონ მთავრის ან მისი ქონების დასაცავად დაარსებული მეურვეობის რაიმე გამონათქვამით? — ამას მოსდევს კითხვა: ვისი აზრია გამოხატული ზემოაღნიშნულ ქაღალდში?

1857 წლის 19 აგვისტოს, იმ დროს, როცა უკვე აღარ ასრულებდა მმართველი დედოფლის ფუნქციას, ხოლო მეურვის ფუნქცია ჯერ არ ჰქონდა მინიჭებული, მთავრის მეუღლე ეკატერინე ალექსანდრეს ასული ბატონ კავკასიის მეფისნაცვალს სხვათა შორის იმასაც სწერდა, რომ ***სამეგრელოში მცხოვრებთაგან, გარდა მთავრისა, არავის არც ჰქონია და არც მოეპოვება საკუთრება.***[1]

რა მიზეზითა და რა შემთხვევის გამო ითქვა ეს აზრი მთავრის მეუღლის მიერ და როგორ მიიღო ეს მაშინ ხელმძღვანელობამ, ამ საკითხების გარკვევა მეურვეობის ვალდებულება არ არის და ამიტომ ვერც იმსჯელებს ამაზე.

მეურვეობის ზრუნვის საგანი მხოლოდ ორი რამეა:

1. როგორც ხელმძღვანელობის მიერ მთავრის ქონებაზე დაწესებული სამზრუნველო დაწესებულება, მეურვეობა ვალდებულია, ყველა შესაძლებელი საშუალებით დაეხმაროს მმართვე-

ლობას, რათა მხარეში ასეთი მნიშვნელობის საკითხების გარშემო სუფევდეს სიმშვიდე, მყუდროება და სწორი წარმოდგენები.

2. როგორც მთავრის ქონებაზე უმაღლესი ნებით განსაზღვრული სამზრუნველო დაწესებულება, მეურვეობა ვალდებულია, ყოველმხრივ აარიდოს თავი ისეთ მოქმედებებს, რომლებიც ვერ თავსდება სამართლიანობისა და კანონიერების ფარგლებში. თუმცა აქ, თავადაზნაურულ წრეებში, როგორც ირკვევა, ბევრი ლაპარაკობს იმის შესახებ, თითქოს მეურვეობა მთავრის მეუღლის მიერ ზემოთ აღნიშნული შეხედულების მიხედვით მოქმედებდეს.

მეურვეობას თავის მოვალეობად მიაჩნია, ამ ორი გარემოების თაობაზე თავისი მოსაზრებები გამოთქვას ღიად და დაუფარავად:

მეურვეობა, როგორც სრულწლოვანების მიღწევამდე მესაკუთრის კანონიერი (იურიდიული) წარმომადგენელი, იცავს და ინახავს მცირეწლოვნის საკუთრებას იმ ზომით, რა ზომითაც ეს საკუთრება მას ეკუთვნის კანონიერად, ხოლო კანონიერება მეურვეობის წარმოდგენით გამომდინარეობს იმ წესწყობილებიდან, რომელიც არსებობდა და არსებობს სამეგრელოში და ეყრდნობა როგორც ვახტანგ მეფის კანონებს, ისე ხალხის საუკუნეობრივ ადათ-წესებს.

მისდევს რა ამ კანონებსა და ამ ადათ-წესებს, მეურვეობა სამეგრელოში აღიარებს სამი სახის საკუთრებას: ა) თითოეული კერძო მესაკუთრის საკუთრებას; ბ) ეკლესიის საკუთრებას; გ) მთავრის საკუთრებას. – ამ უკანასკნელ, ანუ სამთავრო, საკუთრებად მეურვეობა მიიჩნევს სამეგრელოში არსებულ ყოველი სახის უძრავ ქონებას, რომელიც არ ეკუთვნის არც მთავარს დაქვემდებარებულ კერძო მესაკუთრეს, არც – ეკლესიას.

აი, კანონებსა და ადათ-წესებზე დაფუძნებული ურყევი რწმენა, რომელსაც ამჟამინდელი მეურვეობა ეყრდნობა, რაც მას არაერთხელ გამოუთქვამს კიდევაც უმაღლესი ხელისუფლების წინაშე და რასაც სიტყვის შეუბრუნებლად ეთანხმება უპირველესი წევრი მეურვეობისა – 1857 წლამდე მმართველი დედოფალი, ამჟამად კი მთავარი მეურვე, უგანათლებულესი კნეინა ეკატერინა ალექსანდრეს ასული. ეს ყველაფერი კი მკაფიოდ ჩანს

როგორც მეურვეობის საქმეებსა და მოქმედებებში, ისე — ადგილობრივი თუ უმაღლესი ხელისუფლების საქმეებშიც.

შესაბამისად, 1857 წელს ეკატერინა ალექსანდრეს ასულის მიერ გამოთქმული აზრი, თითქოს სამეგრელოში, გარდა მთავრისა, სხვას არავის გააჩნია საკუთრება, თავისთავად ქრება და წარიხოცება. —

მეურვეობა კიდევ ერთხელ იმეორებს, რომ ამ ტიპის მოსაზრებების კანონიერად აღიარებისა თუ დავის საგნად ქცევის შემთხვევებში მთავრის სრულწლოვანებამდე საკითხი უნდა გადაწყდეს იმ მოსაზრებათა საფუძველზე, რომლებსაც გამოთქვამს კანონიერი მეურვეობა. მხოლოდ მეურვეობას და სხვას არავის, გარდა მეურვეობისა, შეუძლია შეეხოს ვინმეს კანონიერი საკუთრების მთავრისთვის მიკუთვნების საკითხს.

დაკისრებული მოვალეობის შესრულებისა და საკითხის ღიად და დაუფარავად ახსნა-განმარტებისათვის მეურვეობა სთხოვს თქვენს ბრწყინვალებას, ეს მოსაზრება თანდართული და სათანადოდ დამოწმებული რუსული თარგმანითურთ წარუდგინოს საბჭოს, სადაც თქვენ იმყოფებით მეურვეობის დეპუტატად, ხოლო რასაც საბჭო საკითხის მოსმენის შემდეგ გადაწყვეტს, აცნობოთ მეურვეობას.

დედანს ქართულ ენაზე ხელს აწერს[2] მეურვე
**ყიფიანი**

27 ნოემბერი 1862.

## 43. ეკატერინე დადიანისადმი

4 დეკემბერი 1862. ზუგდიდით.

უძვირფასესო დედოფალო,

თქვენი 25-ის ოკტომბრის წიგნი წარსრულის ნოემბრის 29-ს მომივიდა და ვმადლობ ღმერთსა, რომ მშვიდობით ბძანდებით.

ფულის გამოგზავნასა მწერთ კიდევა და ფული კი არა, სული კბილით მიჭირავს, ისე არიან ჩემზედ მომდგარნი ზოგიერთი მმართებლობის პირნი. ასე გაშინჯეთ მუხანათობასაც მწამობენ, ვითამ ხალხის შეგონებასა ვსცდილობდე, რომ მთავარი ითხოვონ. — მაშინ, როდესაც, უნდა ამაში გაგიტყდეთ, რომ დააპირონ კიდეც ახლა თხოვნა, მე ვიქნები ამისი პირველი წინააღმდეგი, რადგან სრულასაკოვნებადმდე ყოვლად შეუძლებელია დამტკიცების ქაღალდის შეხება.

ამასთან ერთი საქმე უნდა მოგახსენოთ კიდევ — საზოგადოობა ამიყაყანდა, ვითამ ოპეკას ეთქვას სადმე ქაღალდით, რომ აქ საკუთრება მთავარს გარდა სრულიად არა ვის ჰქონოდეს და არცა ვის ჰქონდეს.[1] — მართალია ეს ხმა თუ არაო, ამის კითხვით რომ დარჩეს, მე უთხარ ყოველს კაცს, ვინც მკითხავდა, რომ ამგუარი ჰაზრი ოპეკას არასოდეს არ წარმოუთქვამს მეთქი. მერე თქვენი ქაღალდი გამოატყვრინეს, 19-ს აუგვისტოს 1857-ში დაწერილი, რომელშიაც სწორეთ ასე სწერია, რომ საკუთრება არა ვის ჰქონია და არა ვის აქვსო, რომ მთავრის ნებაზედ არ იყოს დამოკიდებულიო. ამ ქაღალდის კოპიოები თითქმის ყოველმა კაცმა იშოვა და მეც მომიტანეს. რომ შევატყე, საზოგადოობა სწორეთ შეშფოთდა მეთქი, ჩემის ფიქრით ვითამ მთავრობას ვემსახურე და საზოგადოობის დასამშვიდებელი ქაღალდი შევიტანე, იმ თქვენი ქაღალდის განსამარტებელი და დასარღვეველი, მაგრამ მთავრობამ ეს უფრო იწყინა, როგორცა ჰსჩანს. დიდად მიწყრებიან, მაგრამ რისთვის და რა ჰნებავთ, არ ვიცი. მანამდისინ არ დამარჩობენ, რაც მაბარია, იმის დაცვაზედ არა ფერს დავჰზოგავ და არცა რა უდროო ლაპარაკს დავეთანხმები. თქვენი ქაღალდის დარღვევა არა მგონია ან თქვენთვის იყოს საწყენი, რადგან უსაფუძულოდ არ მიქნია, და შემდგომის ფოჩტით იმის პირსაც მოგართმევთ.

სხვებ საქმეები თავის წესით ჰსწარმოებენ. — მხოლოდ ეს კი, რომ რაც გარდასაწყვეტი იყო, ისევ ისე რჩება და არც არაფერი საბატონო კაცების გარდასახადის დაფასებაზედ მომხდარა ჯერ.

ფული, რაც ამას წინეთ 5000 მანათი არ გაუგზავნე ფინოს,[2] სხუა არა მობოჭილარა.

Милому и прекрасному моему другу искренно пожимаю руку, целуя её с тем же чувством, с которым целовал в Петербурге. Но северная её натура скоро забыла, что ни Кавказ, ни кавказец ни когда не забывает ни зла, ни добра. Мы мстительны, это правда, но ещё больше правда, что и благодарны. Она не отвечала мне на несколько писем, потому и я уже перестал писать.*

ნიკოს, ანდრიას და სალომეს[3] პირსა და ხელს კოცნას მოვახსენებ. მგონია წიგნებს აღარ გიგვიანებდეთ.

თქვენი უერთგულესი **დიმიტრი**

ეს წიგნი დაუბეჭდავი მომივიდა დღეს გურიიდამ და მიახლებია Mr ფერისთვის, რომელსაც ამასთან ჩემს მოკითხვასაც ვუძღვნი.

## 44. ეკატერინე დადიანისადმი

11 დეკემბერი 1862.

აქ მოხსენებული თქვენი ქაღალდი საქმეში ნახეს, პირები გადიღეს, დაირიგეს და საზოგადოობა დამშვიდებული, დაწყნარებული ხელახლად შეირყა. დასამშვიდებელად მე ამასთან

---

***** ჩემს ძვირფასსა და მშვენიერ მეგობარს გულწრფელად ვართმევ ხელს[4] და ვემბორები იმავე გრძნობით, რა გრძნობითაც პეტერბურგში ვეამბორებოდი ხოლმე. თუმცა მისმა ჩრდილოურმა ნატურამ მალე დაივიწყა, რომ არც კავკასია, არც კავკასიელი არც კარგს ივიწყებს და არც ავს. ჩვენ შურისმაძიებლები ვართ — ეს მართალია, მაგრამ კიდევ უფრო დიდი სიმართლე ის არის, რომ მადლიერების გამოხატვაც შეგვიძლია. მან რამდენიმე წერილზე არ მიპასუხა და ამიტომ მეც შევწყვიტე წერა.

წარმოგზავნილი ჰაზრი შევიტანე და დიდად საჭირო არის, რომ თქვენ, ვითარცა უმთავრესმა ოპეკუნშამ,[1] ოფიციალნოთ წიგნი მომწეროთ, რომ რაც ამ ჩემს 27 ნოემბრის №152 ქაღალდში[2] ოპეკის ჰაზრი არის გამოცხადებული, თქვენც იმ ჰაზრისა ხართ და სრულიად ეთანხმებით. დაყოვნება ამას აღარ უნდა. –

სხვას ახლა ვერა ფერს გწერთ. შემდგომის ფოჩტით მოგახსენებთ, რაც იქნება.

## 45. ეკატერინე დადიანისადმი

18 დეკემბერი 1862. დ. ზუგდიდი.

თქვენო უგანათლებულესობავ,
კნეინა ეკატერინა ალექსანდრეს ასულო!

სამეგრელოს მმართველობის საბჭო მიმდინარე წლის 9 ოქტომბრის (№6947) თარიღით გვიგზავნის თავად გრიგოლ ტარიელის ძე დადიანის პასუხს და მეურვეობას ატყობინებს, რომ საბჭოში მიმდინარეობს საქმისწარმოება გრიგოლ დადიანის მიერ იაკობ ზუბალოვისგან აღებული და ამ უკანასკნელის მიერ სტეფანე ხარაზოვისთვის გადაცემული ორი სასესხო ვალდებულების შესახებ 2000 მან. ოდენობით. – თავადი გრიგოლ დადიანი აღიარებს სასესხო ვალდებულების ნამდვილობას და აცხადებს, რომ, ვინაიდან ნაღდი ფული არ ჰქონდა, ზუბალოვის ვალის, 2000 მანეთის, გადახდას განსვენებული მთავარი, თავადი დადიანი, დაჰპირდა. ამის სანაცვლოდ გრიგოლ დადიანმა თავისი მამულიდან მთავარს მიაკუთვნა და სამთავრო მამულში გადარიცხა 4 კომლი გლეხი: მიქავა, კვარაცხელია და მოლაშხია, რომლებიც ამჟამად აბასთუმანში ცხოვრობენ და თითქმის 10 სახლობას შეადგენენ. გრიგოლ დადიანი დასძენს, რომ, რამდე-

ნადაც მისთვის ცნობილია, მთავარს ეს ფული ქუთაისში ზუბალოვის სიძისთვის, პრაპორშიკ სტეფანე აკოფოვისთვის, აქვს გაგზავნილი.

თავისი ნათქვამის დასადასტურებლად თავადი დადიანი სხვათა შორის იმასაც წერს, რომ აღნიშნული ვალის სანაცვლოდ ზემოთ დასახელებული გლეხების მთავრის საკუთრებაში გადარიცხვის შესახებ იციან თავადებმა: არჩილ დადიანმა, ნიკო ჩიქოანმა და დეკანოზმა გიორგი გეგელოვმა, რომლის ხელითაც არის დაწერილი პირობის ქაღალდი გრიგოლ დადიანსა და მთავარს შორის. გარდა ამისა, იგი განმარტავს, რომ არსებობს მთავრის მიერ მისთვის მიცემული პირობის ქაღალდი, რომელიც თქვენს უგანათლებულესობას აქვს. –

ზუბალოვის რწმუნებული, პრაპორშჩიკი სტეფანე აკოფოვი იტყობინება, რომ განსვენებული მთავრის, თავად დავითის, თაოსნობით მრწმუნებლის ვალის ანგარიშში, რომელიც თავისი პროცენტებით ამჟამად შეადგენს 4000 მანეთზე მეტს, თავად გრიგოლ დადიანის მიერ გადახდილია 690 მან. და ეს თანხა მთავარმა 1848 წლის 22 ოქტომბრის საგანგებო წერილთან ერთად მას, აკოფოვს, გაუგზავნა ქუთაისში. იმავე ოქტომბრის 29-ში აკოფოვს გაცემული აქვს ხელწერილი ფულის მიღების შესახებ. ამ დროიდან ვალის ანგარიშში არც მას, აკოფოვს, და არც მის მრწმუნებელ იაკობ ზუბალოვს არავითარი თანხა არ მიუღიათ. – ყოველივე ამის გამო სამეგრელოს მმართველობის საბჭო სთხოვს მეურვეობას, რომ აცნობოს: მიიჩნევს თუ არა მეურვეობა, რომ დადიანის წერილი შეიცავს სიმართლეს და, თუ ეს ასეა, უნდა მიეცეს თუ არა ზუბალოვის რწმუნებულ აკოფოვს ვალის გადაუხდელი ნაწილი მასზე დარიცხული პროცენტებითურთ?

ამის შემდეგ მეურვეობამ სახლთუხუცესისა და თავად არჩილ დადიანისგან მოითხოვა ცნობები, მაგრამ მათ განაცხადეს, რომ თავად გრიგოლ ტარიელის ძე დადიანის პასუხის შესახებ არაფერი იციან. –

წარმოვუდგენ რა ამას ყოველივეს გადაწყვეტილების მისაღებად თქვენს უგანათლებულესობას, მაქვს პატივი, უმორჩილესად გთხოვოთ: მაცნობეთ, სწორია თუ არა თავად გრიგოლ დადიანის პასუხში მოცემული ცნობები, აგრეთვე, არის თუ არა თქვენს უგანათლებულესობასთან ხსენებული პირობის ქაღალდი და, თუ არის, ხომ არ ინებებთ, გამომიგზავნოთ იგი?

უღრმესი პატივისცემითა და ერთგულებით, მაქვს პატივი,
ვიყო თქვენი უგანათლებულესობის მორჩილი მოსამსახურე
**დიმიტრი ყიფიანი**

## 46. მიხეილ თუმანიშვილისადმი

რასაკვირველია, მაპატიებთ, რომ თქვენ მიერ გამოგზავნილი ქაღალდების მიღების შესახებ არაფერი გაცნობეთ. ჩემს ისედაც გართულებულ სამუშაოს ისიც ემატება, რომ განუწყვეტლივ მიწევს თხოვნის გამეორება – მომაწოდონ ჩემთვის საჭირო მასალა. ამ მასალაში კი მაზრების მემამულეთა მოსაზრებებია მთავარი. სანამ არ მომივა პასუხი თითოეული მათგანისგან – უკიდურეს შემთხვევაში, იმათგან, რომლებსაც შეუძლიათ რაიმე საფუძვლიანი თქვან – საქმეს ვერ გავაკეთებ, რადგანაც მე კი არ უნდა შევთხზა, არამედ უნდა შევადგინო. ტფილისის მაზრიდან ჯერ არავის, ვიმეორებ, არავის გამოუგზავნია პასუხი ჩემ მიერ 16 მაისს გაგზავნილ კითხვებზე.[1]

გორის მაზრაში 7 ოქტომბერს 28 პირისთვის გაგზავნილ კითხვებზე მხოლოდ ხუთმა მიპასუხა. სიღნაღის მაზრა ჯერ კიდევ მპირდება. მხოლოდ თელავის მაზრამ გამოავლინა წესიერება და ერთსულოვნება, რასაც არ ველოდი.

ველოდები თქვენგან, ძვირფასო თავადო, როგორც საკუთარ მოსაზრებებს, ისე იმ ცნობებსაც, თქვენ მიერ 25 სექტემბერს გამოგზავნილ შენიშვნებში რომ არ ჩანს.

უნდა გითხრათ, რომ საქმეს დიდხანს არ დავაყოვნებ, ოღონდ მას შემდეგ, როცა ყველა საჭირო მასალა ხელთ მექნება. მანამდე კი ყოველგვარი ვადის დათქმა უადგილო იქნება.

შორიდან ვგრძნობ ტფილისის ნერვიულ ატმოსფეროს, მაგრამ კრიზისმა მშვიდობიანად ჩაიარა,[2] და თუ დღეს ვერ დავინახავთ კეთილ მომავალს, მას ვერ დავინახავთ ვერასოდეს.

მომწერეთ, რასაც საჭიროდ ჩათვლით: თქვენ ხომ ჩვენში ელექტრონული დენის ყველა პირველწყაროსთან დგახართ.[3]

წრფელი და გულითადი ერთგულებით,
თქვენი უმორჩილესი მოსამსახურე
**დიმიტრი ყიფიანი**

30 დეკემბერი 1862.
ზუგდიდი

## 47. ეკატერინე დადიანისადმი

31 დეკემბერი 1862. ზუგდიდი.

უძვირფასესო დედოფალო,

რამდენიც მე აქედამ წიგნი მოგწერეთ, მე ანგარიში აღარა მაქვს და პასუხი არც ერთისა არ მომსვლია. არ ვიცი, მოგდისთ თუ არა. არცა რა ფერი თქვენი ამბავი ვიცი 25-ს ოკტომბერს მერმეთ. კოსტანტინეს[1] წიგნი კი მომივიდა 6-ის დეკემბრისა, რომლითაც თქვენს მშვიდობასა მწერს და ბარიატინსკის გამოცვლას.[2] დიდად საწუხარია, რომ ამ დროებში პეტერბურღში მაინც არ იმყოფებით, მაგრამ ამას რაღა გაეწყობა. აქეთ წამოსვლა რომ დაიშალეთ, კიდევაც მოგახსენებთ, რომ ამითი თქვენს საქმეებს ბევრი აკლდება. გაზაფხულზედ მაინც რომ მოახერხებდეთ მოსვლას,

კიდევ კარგი იქნება. – ამას წინეთ რომ ქაღალდი გამოგიგზავნეთ, იმ საქმემ კინაღამ დიდი შფოთი ჩამოაგდო აქაურს საზოგადოობაში,[3] რომელმაც ამ საქმისათვის სენაკს მოიყარა თავი ამ თთვის 18-სა და 22-მდინ იქ ჰქონდათ ყაყანი. მაგრამ, როგორც მესმის, გიორგიმ, პეტრემ და ბახვამ[4] სიმართლე დაანახეს ყოველს კაცსა და ისე დაიშალნენ, რომ აღარა ფერი ქაღალდი არ დაუწერიათ და არცა რა ფერზედ ხელი მოუწერიათ. სირცხვილეულად დაჰშთნენ თურმე კოსტ. გაბ. და გიგო ფაღ.[5] ასე ამბობენ და მე კი იმათგანი ჯერ არა ვინ მინახავს, რადგან ყოველმა კაცმა თავისს სახლს მიაშურა საშობაოთ. გრიგოლთანაც უნდა იქონიოთ შესაბამი მიწერ-მოწერა,[6] რადგან საეჭვო სრულიად არა არისრა. –

ამასთან ერთს ნომრიანს ქაღალდს გიგზავნით, გრიგოლ ტარიელიჩის საქმეზედ[7] და პასუხი უნდა მიბოძოთ. როგორც უნდა იყოს დაწერილი, სულერთია, ოღონდ საქმეში ჩაკერება შეიძლებოდეს.

განსვენებულს დავითს[8] საკუთარი ჟურნალი თურმე ჰქონია ერთი, რომელშიაც საბუთები იწერებოდა, ვისაც აზნაურობას უმოწმებდა ან წყალობას აძლევდა რასმე და ეს ჟურნალი თქვენ თურმე გახლავს. ჩვენის საქმეებისათვის დიდად საჭიროა, რომ აქა გვქონდეს, რადგან საბუთი ბევრი ჩნდება და სინამდვილე, თუ არ ჟურნალით, ვერა ფრით შემოწმდება; თუ მანდ გახლდესთ გამოგვიგზავნეთ, ნუ დააყოვნებთ.

ამას გარდა, გავასხებულის ვალებისა და თამასუქების სია ველარსად ამოვაჩინეთ და ერთი პირი, ნამდვილი, სახუცესისა და თქვენგან ხელ-მოწერილი მანდ გახლავს და ესეც დიდად საჭიროა ჩვენთვის. თუ ნამდვილს ვერ გამომიგზავნით, სწორე პირი მაინც გვიბოძეთ საჩქაროდ. –

ველიკი კნიაზს მომავალის იანვრის დამლევისათვის ელიან ტფილისში[9] და ვნახოთ ღმერთი როგორ რას განაგებს.

ბატონს ნიკოს, ანდრიას და ანგელოზებრს სალომეს[10] შესაბამს მოკითხვას მოვახსენებ და თქვენ ხელს გკოცნით.

თქვენი **დიმ. ყიფიანი**

## 1863

### 48. ეკატერინე დადიანისადმი

7 იანვარი 1863. ზუგდიდი.

უძვირფასესო დედოფალო,

თქვენი 1-ის დეკემბრის წიგნი მომივიდა ახალ-წლის მეორეს დღესა და ღმერთს ვმადლობ, რომ მშვიდობით ბრძანდებით. ბარიატინსკის გამოცვლას დიდად ვსწუხვარო, მწერთ. მაშ კოლუბაკინი და ჩემი ცოლის ძმაც[1] რომ გამოსცვალონ, უფრო შესწუხდებით; თქვენი მეგობრები და თქვენის ოჯახის ერთგულნი არიან. — გასაკვირველი არა იქნება რა. თქვენ პარიჟში ბძანდებით და აქ რა ამბავია, რა გეცოდინებათ, საიდამ დაინახავთ, მტერი ვინ არის და მეგობარი ვინა. ბარიატინსკისაგან მოთინთლვას მაინც უნდა მიმხდარიყავით,[2] რადგან ბევრჯელ დაგიმტკიცათ მეგობრობა და მზრუნველობა. ესენი რომ იმას მოელოდნენ, ეგების საქმე გათავებული დავახვედროთო, ცდა არა დაუკლიათრა, რომ ქვეყანა შეეშფოთებინათ როგორმე და ეთქმევინებინათ, მთავრის ხელში ჯოჯოხეთში ვიყავით და ახლა გამოვედით სინათლეზედაო. საბუთათაც ძალიანი ქაღალდი გამოჰქექეს, 1857-ის წიგნი და სწორეთ შერყეული იყო საზოგადოობა, მე რომ იმ ქაღალდის განმარტება არ შემეტანა[3] და ზოგიერთი — თქვენი კავკასკი კომიტეტში[4] შეტანილი აზრი არ გამომეცხადებინა. ამან დაამშვიდა ქვეყანა, თორემ გარწმუნებთ, რომ ვეღარც თქვენ პარიჟიდამ და ვეღარცა ვინ სხვა უშველიდა საქმესა. მაგრამ ნუ გგონიათ, რომ საქმე სრულებით გათავებული იყოს. დღესაც სხვას არა ფერს მოქმედებენ, თუ არ ამას, რომ ბოლო მოუღონ როგორმე ნიკოს მთავრობასა. ოდესსაზედ კი არა, ამერიკაზედ უნდა გაიაროთ და ისე მიხვიდეთ ტფილისშიო, რომ ებძანებინათ, მაინც უნდა წამოსულიყავით. თქვენ რომ ამ ხანებში ქალაქს ყოფილ-იყავით, ბევრს ველარ გაბედავდნენ, და ველიკი

კნიაზის მობძანებაზედაც დიდად გამოადგებოდით თქვენს საქმეს.[5] ახლა ვინ არის იქა, რომ თქვენთვის სთქვას რამე? ვინ არის ან იქ, ან აქ, რომ მხარი მომცეს. ადგილობრივი მთავრობა ჩემზედ არის მომდგარი და საქმე კბილით მიჭირავს, მაგრამ თან და თან მეც მაკლდება ღონე; ვჰგრძნობ, რომ აღარ შემიძლია მარტო ტრიალი. მეგობრები (კოლუბაკინები) მოსისხლე მტრად გადამეკიდნენ, ჩემი ცოლის ძმა ხელში რომ მომიგდებდეს, დასაკლავად არ დამინდობს: მე მინდა მენგრელიის საქმე გავათავო და შენ მიშლიო. თქვენ კი მწერთ, ფულები გამომიგზავნეო. ღვთის გულისათვის, ვის სცალია ფულების საზოჭათა, ან რომ გვეცალოს კიდეცა, ყმანი რომ აღარ გემსახურებიან, სხვა ვინღა გემსახურებათ უსასყიდლოთ? მე, ვთქვათ, არა მინდარა. სხვანი? ხუთი ათასი კი არა, ასი ათასიც რომ შემოდიოდეს, მაინც არ უნდა იკითხავდეთ, ოღონდ კი საქმე ნუ წახდება. ერთის სიტყვით, თუ მართლა ხელ აღებული არა ხართ, უსათუოდ უნდა მოხვიდეთ საქართველოში. — ჩემი საქმე ისეა, რომ საჭმელ-სასმელზედ მაფთხილებენ, არა შემოგაპარონ რაო[6] და მერე რაღა დაუშლის თქვენის სახლის დანგრევასა. —

მე ამ სამს თვეში არა გამიკეთებიარა მოსეული მგლების მოგერების მეტი, მაგრამ ვიღალები, როგორც მოგახსენე, და თუ მე არ ავიღე ხელი, ძალათ ამაღებინებენ. თქვენ რომ აქ ყოფილიყავით, ან პეტერბურღს მაინცა, მაშინ უფრო მორიდებით იქნებოდნენ. თქვენი ერთგულნი ყველანი, სამს პირს გარდა, დიდად სწუხან თქვენს წამოუსვლელობას და იმ სამისა ეშინიათ, რადგან უფლების მექონნი იმათ ეხმარებიან. — ოკტომბრის დამლევიდამ თითქმის ყოველის ფოჩტითა გწერთ და დეკემბრის 1-მდინ არც ერთი მიღებული არა გქონიათ. ორიოდ წიგნი პარიჟში მოგწერეთ poste restante.* მოაკითხვინეთ თუ არა.

თქვენი **დიმიტრი ყიფიანი**

---

* მოკითხვამდე.

ზოგიერთს თქვენს წიგნზედ შეცთომით დავაწერე ***Place du Louvre,*** hotel des trois empereurs,* და არ ვიცი, მოგაგნებენ თუ ვერა. –

## 49. ივანე ანდრონიკაშვილისადმი

უმოწყალესო ხელმწიფეო,
კნიაზო იოანე მალხაზის ძევ!

თქვენის ბრწყინვალების წერილი წარსულის დეკემბრის 8-ისა ახალ-წლის მეორეს დღეს მებოძა და უგულითადესს მადლობას მოგახსენებთ, რომ ღირს-მყავით და თქვენი ამბავი მიბძანეთ. 24-ს მაისს რომ უარი მოგახსენეთ,[1] მორიდებამ მათქმევინა, რომ საქმეს არა ვნებიყორა. მე დამადგინეს დადიანის ოჯახისათვის მზრუნველად და მერე შემატყობინეს; თვით უნდა მიმხვდარიყავი, რომ საზრუნველად კი არა, დასამხობად დაგადგინეთო. ეს მე ვერ ვიკისრე; გამიწყრა კნიაზი ბარიატინსკი და გამომაგდო სამსახურიდამ.[2] ამ დროს თქვენი მინდობილობა მქონია და არ შეიძლებოდა, რომ არ მოვრიდებვიყავ. მაგრამ რა რომ ბრძანება განმიმეორეთ, უარი როგორღა გამებედებოდა და მაშინვე მივჰყავ ხელი.

მას მერმეთ აქამომდე მოკითხულს პასუხებს მოველი.[3] თელავის უეზდიდამ კაი ხანია მომივიდა; გორის უეზდიდამ მომდის, თუმცა დაყოვნებით, მაგრამ თვითო-თვითოთ მომდის; სიღნახის უეზდიდამ და ტფილისის უეზდიდამ პასუხი ჯერ სრულიად არავისაგან მომსვლია.

ქალაქიდამ შემატყობინეს, საზოგადოობამ საქმე იმას მიანდო და პასუხებს რაღას ელის, როგორც ამჯობინოს, ისე დასწეროსო, ასე თურმე ამბობენ. – არა, თქვენო ბრწყინვალებავ! ამ საქმეს შეთხზვა კი არ უნდა, შედგენა უნდა, შეზავება, და სადაც მასალა სამყოფი არ არის, იქ კეთილად რა შეზავდება? უმთავრეს მასალა-

* ლუვრის მოედანი, სასტუმრო „სამი იმპერატორი“.

თა შორის მე თქვენი, მებატონეების ჰაზრები მჭირდება; ვითარცა მზვარეულმა, ან ვითარცა კალატოზმა, მოგთხოვეთ და მანამდისინ არ მიბოძებთ, ვერცა რას შევაზავებ, ვერცა რას ავაშენებ.

ამ მოლოდინში გახლავარ აქამომდე და თუ აღარ დამიგვიანეს, რა რომ ჩემს მუშაობაზედ მოდგება საქმე, იმედი მაქვს, მარტის დამლევამდის შევასრულო და გაზაფხულზედ მოგართვათ განსახილავად.

თქვენის ბრწყინვალების უერთგულესი და
უმორჩილესი მოსამსახურე
**დიმიტრი ყიფიანი**

8 იანვარი 1863.
დ. ზუგდიდი.

## 50. ეკატერინე დადიანისადმი

22 იანვარი 1863. ზუგდიდით.

უძვირფასესო დედოფალო,

თქვენი ორი წიგნი ერთათ მომივიდა 12-ისა და 20-ის დეკემბრისა. მადლობა ღმერთსა, რომ ერთი წიგნი მაინც მიგიღიათ ჩემი. პირველს წიგნში მწერთ ველიკი კნიაზისათვის ჩემს საქმეზედ ზაპისკის შავი გამიკეთე და გამომიგზავნეო.[1] აქ ზაპისკის შედგენა და მანდ გამოგზავნა ადვილათაც რომ მოხერხდებოდეს, როდის იქნება. ამასობაში სულ რომ ცოტა გავიდეს, სამი თვე მაინც გავა, და სამს თვეზედ, როგორც ერთი სპარსული ანდაზა არის, – ან ვირი, ან ვირის პატრონიო, ისე გამოვა. მე იმედი მაქვს, რომ აქამდისინ მისწერდით კიდეც თქვენებურად წიგნსა, ისე როგორც ბარიატინსკისა ჰსწერდით, თქვენს მწყალობელს და მეგობარსა, ან როგორც კოსტანტინეს ველიკი კნეინასა.[2]

ამისთანა წიგნს მანდ უფრო მოიხერხებდით. აქ მგონია მკითხ-ონ რამე და საქმე როგორც არის, სიტყვიერად მოჰხსენდება. თუ დაიწერა, სიტყვიერად ყოველივე უნდა დაიწეროს, როგორც რას აწარმოებდნენ და აწარმოებენცა, და ყოველისავე დაწერა არ შეიძლება, მანამდისინ არ შევიტყობთ, რა თვალით ინებებს ამ საქმეზედ შემოხედვას. ამას გარდა, ისე ვარ ამ საქმეებში გართული, რომ დღე და ღამეში რომ 24-ის მაგიერად, 48 საათი იყოს, მაინც ვერ მოვახერხებ დაწერას. – შეიტყობთ, როდესაც იქნება და მგონია თქვენც გაიკვირვოთ, რა მდგომარეობასაც მე აქ ვითმენ. ხშირად ვიტყვი ხოლმე ჩემს გულში: ვიცი რომ მენგრელიაში ვარ, მაგრამ ეს მენგრელია სად არის, აფრიკაში თუ ავსტრალიაში-მეთქი? – შვეიცარელს მებაღეებზედ წიგნი მოგწერეო, და მე არა მიმიღიარა. არ იქნება კი უსარგებლო, რომ გამოგზავნოთ, რადგან არც აბასტუმნისა, არც სალხინოსი და არც გორდის ბაღისათვის აქ სრულიად არა ვის სცალია. კაცს რომ სული კბილით ეჭიროს ისე ვართ ყველანი აქამდისინ, ოღონდ ეს კი, ღვთის მადლით, რომ მაგრა გვიჭირავს. პეტრე გამობრუნდა მეთქი[3] მოგახსენეთ და უთუოთ უნდა მოსწეროთ წიგნი, აგრეთვე ბახვა ფ-ს,[4] – უკეთესი რომ არ შეიძლება ისე არიან. გიორგი ბატონიშვილის მეტი ვერა ვინ ჰსჯობია მათ.[5] Милому и прекрасному моему другу я не раз писал, но ни разу не получал ответа. Вы можете лично засвидетельствовать, что мы, кавказцы, всегда помним зло и никогда не забываем добра. Стало быть, если один из нас забывает другого, – то конечно это не я.* – ჭყონდიდლად აკურთხეს ბესარიონ ჩიჩუა.[6] ველიკი კნიაზს ტფილისში მოელიან ფებერვლის დამლევს,[7] და ველიკი კნეინას[8] აპრილში ან მაისში ზღვით. – მოუთმენლად ველი თქვენგან ამბავს, მობძანდებით თქვენც თუ არა. დიდი ზარალია თქვენთვის ასე შორს ყოფნა.

---

* ჩემს ძვირფას და მშვენიერ მეგობარს არაერთხელ მივწერე წერილი, თუმცა არც ერთხელ არ მიმიღია პასუხი. პირადად დამემოწმებით, რომ ჩვენ, კავკასიელებს, ყოველთვის გვახსოვს ავი საქმე და არასოდეს ვივიწყებთ სიკეთეს. ასე და ამგვარად, თუკი ერთს მეორე ავიწყდება, რასაკვირველია, ეს მე არა ვარ.

ბატონს ნიკოს, ანდრიას და ანგელოზებრს სალომეს[9] პირს და ხელს კოცნას მოვახსენებ.

თქვენი **დიმიტრი**

## 51. ეკატერინე დადიანისადმი

12 ფებერვალი 1863. ზუგდიდით.

უძვირფასესო დედოფალო!

თქვენგან მიღებული უკანასკნელი წიგნი იყო 20-ის დეკემბრისა. მას მერმეთ თქვენი ამბავი აღარა ვიცირა. ჩემი წიგნები მოგდისთ თუ არა, არც ეს ვიცი.

დღეისსწორს ვაპირებ ქალაქისკენ გამგზავრებას. ბატონყმობის საქმე, როგორც მოგეხსენებათ, მე მახვევია.[1] ველიკი კნიაზს მოელიან მარტის 15-ს.[2] შეიძლება ამ საქმის ამბავი, და იქნებ თქვენი საქმისაც, მაშინვე იკითხოს.

ამასთან მომირთმევია წიგნი ფარნაოზისა,[3] რომელიც დიდად თურმე ჰსწუხს, უთუოთ დაუსმენივარ ვისმეო, და მოსწერეთ პასუხი, თქვენებური ტკბილი და დამამშვიდებელი პასუხი.

თქვენი **დიმიტრი ყიფიანი**

## 52. ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანისადმი

თავადო ალექსანდრე დავითის ძევ,

მისი იმპერატორობითი უმაღლესობის, დიდი მთავრისა და კავკასიის მეფისნაცვლის, მიხეილ ნიკოლოზის ძის,[1] დასახვედრად თქვენი თავმჯდომარეობით შექმნილმა კომიტეტმა ***ასი*** მანეთის დადება დამაკისრა.[2] – მივაგებ რა კომიტეტს დამსახურებულ პა-

ტივს მის მიერ გამოვლენილი ადამიანური გულთათქმის ცოდნისა და ფსიქოლოგიაზე დაფუძნებული შეუცდომელი გამოთვლა-გამოანგარიშების გამო, მაქვს პატივი, ამასთან მოგართვათ ხსენებული 100 მანეთი, რომლის მეათედის გადახდა არ მომიწევდა, გადასახდელი თანხა შეძლების მიხედვით რომ განაწილებულიყო.

უღრმესი პატივისცემითა და სრული ერთგულებით,
მაქვს პატივი, ვიყო თქვენი ბრწყინვალების
უმორჩილესი მოსამსახურე
**დ. ყ.**
უსამსახუროდ დატოვებული[3] ნამდვილი
სამოქალაქო მრჩეველი

9 მარტი 1863.

## 53. ეკატერინე დადიანისადმი

თქვენი ბოლო, 3 თებერვლის, წერილი, უგანათლებულესო კნეინა, ქრისტეს აღდგომის წინადღეს მივიღე, თუმცა, სანამ გიპასუხებდეთ, უნდა გახაროთ:

მისმა იმპერატორობითმა უმაღლესობამ, დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ, ამა თვის 2 რიცხვში პატივი დამდო და მიბრძანა, წრფელი მოკითხვა გადმოგცეთ.

ვულოცავ თქვენს უგანათლებულესობას ასეთ სასიამოვნო ყურადღებას და ზედმეტი არ იქნება, ისიც შეგატყობინოთ, რომ მქონდა ბედნიერება, მისი უმაღლესობისთვის ამეხსნა სამეგრელოსთან დაკავშირებული თქვენი საქმეების მდგომარეობა და სწორედ ამას მოჰყვა ზემოაღნიშნული მოკითხვა.

მეორე დღეს მისმა უმაღლესობამ კეთილინება, სამეგრელოში გამგზავრებულიყო.

ზუგდიდიდან 19 თებერვალს გამოვედი და 3 მარტიდან ვიმყოფები ტფილისში. დაკავებული ვარ საგლეხო საკითხით,[1] რომელიც, ღვთის წყალობით, ბოლოში გამყავს.

სამეგრელოში სამეურვეო საქმეების მართვა-გამგეობა შეძლებისდაგვარად ისეა აწყობილი, რომ ჩემი იქ დროებითი არყოფნა ზიანს არ მოიტანს. — თქვენს უგანათლებულესობას კარგა ხნის წინ ვწერდი, რომ თქვენგან მოთხოვნილი წერილის შავის გამოგზავნა არ შემიძლია.[2] არ ვფიქრობ, რომ პარიზში ან სხვაგან, სადაც იქნებით, ვერ მოიძებნება ვინმე, ვინც თქვენთვის საჭირო მიმართვის დაწერას შეძლებს. იმედი მაქვს, ისეთ რამეს არ მომთხოვთ, რისი გაკეთებაც მე არაფრით არ შემიძლია; მაგალითად: არ შემიძლია თქვენთვის ფულის გამოგზავნა წლის ბოლომდე. ფულის გამოსაგზავნად საჭიროა, რომ ეს ფული შემოვიდეს, ხოლო ფული რომ შემოვიდეს, საჭიროა ლოდინი მანამ, სანამ თქვენი აქაური საქმეები სამართლიან მიმართულებას არ მიიღებს. მეტისმეტად შორს იმყოფებით საიმისოდ, რომ კარგად იყოთ გარკვეული აქაურ საქმეებში, რომლებიც მოითხოვს თქვენს ყოფნას თუ ტფილისში არა, უკიდურეს შემთხვევაში, პეტერბურგში მაინც. მე ვგრძნობ და არც დაგიმალავთ: რომ არა დიდი მთავრის, მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძის, მიერ თქვენდამი ახლახან გამოვლენილი კეთილმოწყალე ყურადღება, მე უკვე აღარ მრჩებოდა ძალა, თქვენი მეურვის მძიმე ტვირთი მეზიდა.

პორტრეტისთვის გულწრფელ მადლობას მოგახსენებთ. იგი იმდენად კარგია, უფრო ზუსტად, ორიგინალი იმდენად გამშვენიერდა, რომ ყველასა და ყველაფრის დაჩრდილვა შეუძლია. — ვერაფრით წარმოვიდგენდი, სილამაზეს ამ ზომამდე სრულქმნა თუ შეეძლო.

დროზე თუ ჩავიდა თქვენი მოძღვარი?[3]

გიდასტურებთ, თქვენო უგანათლებულესობავ, თქვენდამი ჩემს სრულ ერთგულებას.

თქვენი უმორჩილესი მოსამსახურე
**დიმიტრი ყიფიანი**

5 აპრილი 1863.
ტფილისი.

P.S.სასოწარკვეთას ვარ მიცემული იმის გამო, რომ ევდოკია გაბრიელის ასულს[4] ჩემი წერილები არ მისდის. სად არის იგი და სად მივწერო?

## 54. ეკატერინე დადიანისადმი

22 აპრილი 1863. ტფილისით.

უგანათლებულესო დედოფალო!

მე რომ 5 ამ აპრილს წიგნი მოგწერეთ ველიკი კნიაზის მოკითხვით,[1] – მასმერმეთ ოთხი წიგნი მომივიდა ზედი ზედ, წინ და უკან, – 22-ის ფებერვლისა, რომელთანაც პორტრეტები გიბოძებიათ ჩემთვის და დასარიგებლადცა; 14-ის მარტისა; 16 მარტისა, რომლითაც შავს მიგზავნით ვ. კნიაზთან მოწერილის წიგნისას და 28 მარტისა.

პორტრეტები დასარიგებლად ჯერ არ გამიგზავნია და, მომიტევეთ, – ვერც გავგზავნი, მანამდისინ ბახვა და ხახუ ფალავებისათვისაც არ გამომიგზავნით, იმავე 22-ის ფებერვლის რიცხვით. ესენიც ისე არიან ახლა ღირსნი, როგორც სხვანი და თუ იმათ არ მოუვიდათ, ამაზედ შესდგება ყაყანი. –

ყოველს წიგნში ფულსა მთხოვთ. თუ ამას ჰფიქრობთ, რომ შემოსული იყოს და არ გიგზავნიდეთ, ადვილად შეგიძლიათ ისეთს კაცს მიანდოთ თქვენი საქმე, რომელსაც დაუყოვნებლივ შეეძლოს ფულის გამოგზავნა. მე, რაც არ შემოდის, იმისი გამოგზავნა არ შემიძლია და თუ ეს იკითხეთ, რათ არ შემოდისო, ამას მოგახსენებთ, რომ არც პირველს გარდაწყვეტილებას შეაფურთხეს ზედა და არც მეორეს. ახლა რა რომ ნამესტნიკად ვ. კნიაზი ბძანდება და ღენერალ-ღუბერნატორად კნ. დიმიტრი ივანიჩი მირსკი, იმედია საქმე უკეთ წარიმართოს; მაგრამ ჯერ მაინც ისევ იმავე მოლოდინში ვართ. მიშელს რომ მოუხსენებია,[2] დიდი ერთობა

გვაქვსო და თქვენი საქმეები კარგათ მოდისო, მე ეს ვიცი, რომ თუ კოლუბაკინის მადლობა გმართებსთ, ერთი ათად მაინც ამისი უნდა გემართოთ. – უნამუსობა და უსვინდისოება ახალი არ არის ჩვენს ქვეყანაში. მე აქამომდე ბატონ-ყმობის საქმეს უზივარ,[3] ზეგ კახეთს ვაპირებ ათიოდე დღით ამ საქმისათვის წასვლას. ნურც ამას დამემდურებით, რომ წინანდალში არ შევიდე, და მგონია ამ ზაფხულს ვერც კი დავახწიო თავი ამ ბატონ-ყმობის საქმეს, რომელშიაც გამოცხადებით წინააღმდეგნი არიან ჩემის შრომისა თქვენი სიძე ივანე მუხ.,[4] თქვენი ძმა,[5] თქვენი ბიძაშვილი ალექსანდრე ღუბ. მარშალი[6] და თქვენი სახლის კაცი ნიკო ჭავჭ. ქალაქის უეზდის სუდია.[7] სულ თქვენები!! ჩემთანა არს ღმერთი.

ჩემი ნინო და ჩემი შვილები უგულითადესს სამსახურსა და დაუვიწყებლობისათვის მადლობას მოგახსენებენ. ბატონს ნიკოს, ანდრიას და სალომეს[8] ხელსა და პირს კოცნას მოვახსენებ.

თქვენი უმორჩილესი მსახური
**დიმიტრი ყიფიანი**

ავათა ვარ, მაგრამ მაინც გწერთ და არც ზეგ კახეთს წასვლას ვიშლი. 5 მარტს რომ წიგნი მოგწერეთ, რა საკურველია პარიჟშივე გამოვგზავნე და იქიდამ მოგივათ თუ არა, არ ვიცი. –

## 55. ეკატერინე დადიანისადმი

13 მაისი 1863. ტფილისით.

უძვირფასესო დედოფალო!

გუშინ ორი წიგნი მივიღე თქვენი, ერთი 15-ის აპრილისა პარიჟიდამ და მეორე 23-ისა ჰომბურხიდამ. წუხელის საზოგადოობის ბალი იყო მუშტეიდის ბაღში ველიკი კნიაზისა და კნეინასათვის[1]

და იქნება თქვენგან დაბარებული მადლობა იქ მოვახსენო როგორმე მეთქი, ვამბობდი, მაგრამ ვერ მოვახერხე და ახლა შემთხვევას უნდა ველოდე. აქამდისინ მისის უმაღლესობისაგან თქვენის წიგნის პასუხიც მოგივიდოდათ; არ ვიცი როგორ და რასა გწერთ. ამ დღეებში კნ. მირსკი ვნახე,[2] ჩვენს საქმეებზედ ვილაპარაკეთ და ისიც ძალიან კარგის თვალით უყურებს. ჭილაევს თურმე ემდურიანო[3] და მართალია თუ არაო, მკითხავთ. ჰსჩანს, რომ ზოგი ერთი ჩემი წიგნი, ზუგდიდიდამ მოწერილი არ მოგსვლიათ, თორემ აღარასა მკითხავდით. თქვენ კი, ღვთის წინაშე, იმისი დამდურება არა გმართებთ, რადგან საქმის წახდენას ისეთის დაუხედაობითა და უანგარიშობით შეუდგა, რომ ამითი უფრო გამოაკეთა საქმე.

ფულის გამოგზავნა შეიძლება ნოემბერში ან დეკემბერში. ბოჭვაზედ რაც ახლა დაბრკოლება გვაქვს, უწინაც არა გვქონია ისეთი, კოლუბაკინის ხელში.[4] მეორე თქვენის კეთილის-მყოფელი ნიკ. კოლ. ესალმება აქაურობას და სენატორად განწესებული, პეტერბურღს მიბძანდება.[5] ბარონის აქ განწესებაზედ დიდი ხანია ლაპარაკობენ.[6] რადგან ეს ადგილი მიეცემა, თუ გინდათ, რომ ყოველი თქვენი საქმე სწორეთ და მართლად გამოკეთდეს, ოპეკუნობა ისევ იმას უნდა მოახვიოთ. მე კი გამოტეხით მოგახსენებთ, რომ ჭეშმარიტად პატიოსან კაცად ვიცნობ, მაგრამ მე იმასთან არც ოპეკუნობა შემიძლია და არც სამსახური, რაც უნდა თანამდებობა მომცენ.

ბატონყმობის საქმისათვის კახეთში ვიყავ.[7] დავითს გარდა,[8] სამს ჯორჯაძეს გარდა და გაღმა მხარის ჭავჭავაძეებს გარდა სხვანი ყველანი დამეთანხმნენ და ხელიც მოაწერეს. ახლა ქართლელებთანა და ტფილისელებთანა მაქვს საქმე და მგონია შემოდგომამდის ვერ დავაღწიო თავი.

თქვენი უერთგულესი **დიმიტრი ყიფიანი**

კოწია მუხრანსკი ვნახე დღესა და ამ ოთხიოდ დღეზედ უთუოთ გაუგზავნიო. აქამდისინ თავს უყრიდი ფულებსა და სამასიოდ მანათი მაკლია კიდევაო. —

## 56. ეკატერინე დადიანისადმი

20 ივნისი 1863. ტფილისით.

უძვირფასესო დედოფალო!

თქვენი 30-ის მაისის წიგნი გუშინ მომივიდა, რომელთანაც ხორგელების არზაც გებოძებინათ. ამ გვარი არზა მეცა მაქვს და ამ საქმეს დროზედ მოგახსენებთ. ბატონ-ყმობის საქმის გამოისობით ზოგიერთს ამისთანა საქმეებს ხელს ველარა ვჰკიდებდი და ახლა კი იმათთვისაც მოვიცლი. დღეს აქაურს სოვეტში[1] სამი საქმე იშინჯება ჩვენი: ერთი ქორეისუბნისა, საიდამაც საეკკლესიო გლეხები სულ აღარას გვაძლევენ და სასულიერო მთავრობა გადაფაფხული არის იმათზედ. — მეორე გიორგი ჩიჩუას ყმა და მამულისა, რომელიც მელიტონს უჭირავს[2] და ყველანი იმას უდგიან, მენგრელიის მთავრობაც, ნაღენერალღუბერნატრალიცა[3] და აქაური დეპარტამენტიც. — და მესამე — განარჯიის მუხურის საქმისა. ამ საქმეებზედ მეც შევიტანე გუშინ ოპეკის მხრით ქაღალდები და ვნახოთ როგორ გადასწყვეტენ. ამ საქმეებს გარდა, საბატონო კაცების გარდასახადების დაფასება კოლუბაკინმა ხომ ისე გააჯანჯლა, რომ აქამდისინ განკარგულება არა მომხდარარა. ახლა აპირებენ ხელახლად დაფასების მაგიერად, რომ ფული ხელმწიფის ნებით ხაზინიდამ დაინიშნოს, ხელახლად აღწერას აპირებენ და როდის გაათავებენ, ვინ იცის. ამაზედაც შემაქვს ქაღალდი და ვნახოთ. ამ დღეებში ჩემს სოფელში ვაპირებ წასვლასა,[4] რომ ჩემს სახლკარობასაც მივჰხედო, რადგან მცირე მამულს გარდა სხვა არა გამაჩნიარა და დანაშთენს საქმეებს იქ ვისაქმებ. შემოდგომაზედ ქუთაისს დავბინავდები და იქიდამ დავიჭერ თვალყურს ჩვენს საქმეებზედ. მენგრელიაში მისვლა, მანამდისინ ჩემი ცოლის ძმა არის იქ მმართველათა,[5] ან მანამდისინ რევიზიას უზამდნენ, თუ მოხერხდა როგორმე რევიზია, არ მინდა, რადგან მოთმინებასაც საზღვარი აქვს და, საფიქრებელია, რომ ზოგიერთი იქაური მოქმედება ველარ მოვითმინო. —

თუ ღმერთმა შეგვაძლებინა, ბარონი რომ მოვა, ვნახავ,[6] როგორის ჰაზრით იქნება ამ საქმეებზედ და თუ დავინახე, რომ სიმართლით საქმეების წარმოების იმედი მოგვეცემა, რა საკურველია, არც დათხოვნის მიზეზი მექნება და თუ ისევ თავის ჰაზრს დაადგა, რომელსაც თქვენცა გწერდათ, მაშინ კი ხელის დაბანის მეტი სხვა ღონე აღარა მექნება რა.

ფრანცუზები და ანგლიჩნები შემოვაჭრებას გვიპირებენ ტყეებზედ და ვნახოთ. როზმორდუკი თავისი მეუღლით დიდიხანია ზუგდიდს გახლავსთ და გუშინაც მომივიდა იმისი წიგნი, ვითამ თქვენგან დაბარებული სათქმელი ჰქონდეს რამე ჩემთან.

თქვენი უერთგულესი **დიმიტრი ყიფიანი**

ბატონს ნიკოს, ანდრიას და სალომეს[7] წრფელის გულით მოვიკითხავ. ჩემი ნინო[8] უგულითადესს პატივისცემას მოგახსენებთ.

## 57. ჯონ ე. გოვენისადმი

მონსენიორ,

უკვე ერთი თვეა, ჩემდა სასიამოვნოდ, მივიღე თქვენი 2/14 მაისის წერილი ფოთიდან და გთხოვთ, დიდსულოვნად მომიტევოთ: ძალიან დაკავებული ვიყავი ჩემი ქვეყნისთვის მეტად მნიშვნელოვანი საქმით[1] და დღემდე პასუხის გაცემის შესაძლებლობა არ მომეცა.

შარშან ჭურიის ტყეში, სანაპიროსთან და რედუტ-კალეს მიდამოებში დიდ ხეებში 1,5 მანეთი, პატარებში კი 70 კაპიკი შემომთავაზეს. ხელშეკრულება არ გაგვიფორმებია. ე. ი. თუ საფასურს რამდენიმე კაპიკით გაზრდით, დღეისათვის ხელს არაფერი მიშლის, იგივე ან ანაკლიის მახლობლად მდებარე ტყე თქვენ გადმოგცეთ.

მაგრამ, თუ გირჩევნიათ მიიღოთ შპალები,[2] ამ საქმეს ვერ მოვაგვარებთ ოქტომბერ-ნოემბრამდე, რადგან ადგილზე, ზუგდიდში, სავარაუდოდ სწორედ ამ დროისთვის ვიქნები.

ახლა ვერც საქმის მოგვარებასა და ვერც ფასზე ვერაფერს გეტყვით. ისევე, როგორც გადაჭრით ვერაფერს ვამბობ სანაპიროსთან არსებული ტყეების ფართობსა თუ მდებარეობაზე. მხოლოდ ამას გეტყვით, რომ ძალიან დიდი ტყეებია და სანაპიროსთანაც ახლოსაა.

გთხოვთ, ბ-ნო პოლკოვნიკო,
მიიღოთ ჩემი ღრმა პატივისცემა.
**დ. ყიფიანი**

10/22 ივნისი 1863.
ტფილისი

## 58. თბილისის გუბერნიის მაზრების თავადაზნაურობის წინამძღოლებისადმი[1]

დაბეჯითებით გთხოვთ მომცეთ საშუალება, სასწრაფოდ აღვასრულო უფროსობის ნება და ამით თავი დავაღწიო ტფილისის პაპანაქებას. ამისათვის კი საჭიროა: ან წინამძღოლთა დაუყოვნებლივ აქ ჩამოსვლა, ან თქვენი ნებართვა, რომ საქმე მე თვითონ წარვადგინო; მაგრამ რადგანაც საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ჩამოსვლას ვერ შეძლებთ, ჩემი აზრით, უმჯობესი იქნება გამომიგზავნოთ წერილობითი თანხმობა, საგლეხო საქმის შესახებ თავადაზნაურობის მიერ ხელმოწერილი მოსაზრება შიკრიკის მეშვეობით გუბერნატორს გადავცე.[2] ამას გარდა, ღვთის გულისათვის, თან დაურთეთ ადრესიც, რითაც სერიოზულ უსიამოვნებას ამაცილებთ. ხოლო თუკი ჩათვლით, რომ ამან შეიძ-

ლება რაიმე გაუგებრობა გამოიწვიოს, შეგიძლიათ ადრესი პირ-დაპირ გუბერნატორს წარუდგინოთ. დაყოვნება კი არაფრით არ შეიძლება.

22 ივნისი 1863.

## 59. კონსტანტინე ორლოვსკისადმი

კ ო ნ ფ ი დ ე ნ ც ი ა ლ უ რ ა დ

მოწყალეო ხელმწიფევ,
კონსტანტინ ივანეს ძევ!

თუ ჩვენსა და ხელისუფლებას შორის ურთიერთობაში საჭი-როა გულახდილობა, იგი კიდევ უფრო აუცილებელი ხდება ისე-თი მნიშვნელობის საქმეში, როგორიცაა გლეხთა საკითხი. ნება მიბოძეთ, განვუმარტო თქვენს აღმატებულებას ის მიზეზები, რომლებმაც საქმის მსვლელობაში შეფერხება გამოიწვია.

თავადაზნაურობამ, რომელმაც სამაზრო ყრილობებზე ხელი მოაწერა ჩემ მიერ შედგენილ გეგმას,[1] ორი თხოვნა წამოაყენა: 1. საქმე დიდ მთავარს წარედგინოს[2] მაზრების სპეციალურ წარმო-მადგენელთა მეშვეობით და 2. საქმის შემდგომი მსვლელობისას თავადაზნაურობის მიერ დაყენებული საკითხების განხილვა და მათი შეჯერება-შეთანხმება მოხდეს იმავე წარმომადგენლების მონაწილეობით.

ამის საჭიროება წარმოშვა შემდეგმა გარემოებებმა:

ა) იმის გამო, რომ სადღეისოდ საქმე მხოლოდ სამაზრო ყრი-ლობების დონეზეა დასრულებული, მისი წარდგენა ადრევე გან-საზღვრულ ვადაში ველარ მოხერხდება იმდენად, რამდენადაც საგუბერნიო ყრილობის მომავალ დეკემბრამდე ჩატარების შე-საძლებლობა არ ჩანს.

ბ) გუბერნიის წინამძღოლი,[3] აგრეთვე, მაზრების წინამძღოლებიდან ერთ-ერთი არ დაეთანხმნენ თავადაზნაურობის საერთო აზრს და ამიტომაც ისინი ამ საქმეში თავადაზნაურობის წარმომადგენლები ველარ იქნებოდნენ.

გ) ამათ გარდა, თავადაზნაურობის აზრს არ დაეთანხმა კიდევ ექვსი ისეთი პირი, რომლებსაც ოფიციალურად აქვთ მინიჭებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. დასახელებულთაგან გუბერნიის წინამძღოლმა; თელავის მაზრის წინამძღოლმა;[4] გენერალ-ლეიტენანტმა, თავადმა ივანე მუხრანბატონმა; ჩრდილოეთ დაღესტნის მმართველმა, სამოქალაქო მრჩეველმა, თავადმა დიმიტრი ჯორჯაძემ და ტფილისის მაზრის მოსამართლემ, თავადმა ნიკოლოზ ჭავჭავაძემ გასული წლის საგუბერნიო კრებაზე წარმოადგინეს მოსაზრებები, რომლებიც არ იქნა გაზიარებული 1862 წლის 30 აპრილის ყრილობის მიერ. ამიტომ მათ ყრილობის დადგენილებას ხელი არ მოაწერეს, მიუხედავად ჩემი თხოვნისა, არც საკითხის შემდგომ შემუშავებაში მიუღიათ მონაწილეობა და არც ზემოხსენებული დადგენილების საფუძველზე შედგენილ პროექტს მოაწერეს ხელი. დანარჩენებს: გენერალ-ადიუტანტს, თავად ორბელიანსა და მისი უდიდებულესობის ამალის წევრს, გენერალ-მაიორს, თავად ჭავჭავაძეს[5] არანაირი აზრი არ გამოუთქვამთ არც წინა წელს ჩატარებულ 7 საგუბერნიო და არც წელს ჩატარებულ 8 სამაზრო კრებაზე. პროექტზე ხელის მომწერ 539 პირთაგან უმრავლესობა ფიქრობს, რომ აქვს ასეთი სურვილის გამოხატვის უფლება – თუკი დასახელებული 7 თუ 8 კაცისაგან შემდგარი უმცირესობის მოსაზრებები ხელისუფლებას უმრავლესობის გვერდის ავლით წარედგინება, მაშინ ეს მოსაზრებები 539 პირის წარმომადგენელთა თანდასწრებით უნდა იქნეს განხილული.

დ) მაზრების წინამძღოლებმა თქვენი აღმატებულებისგან ა. წ. 6 აპრილს მიიღეს შეტყობინება დიდი მთავრისათვის საქმის წარდგენის შესახებ არა უგვიანეს ივნისის პირველი რიცხვებისა. არსებულ ვითარებაში დროის მოგების მიზნით თავადაზნაურობამ სასურველად მიიჩნია თქვენი აღმატებულების წინადადება

– საქმე პირდაპირ დიდ მთავარს წარედგინოს, დიდმა მთავარმა კი, თავის მხრივ, უშუალოდ მოახსენოს მის იმპერატორობით უდიდებულესობას, რომ თავადაზნაურობა საკუთარ ბედს მისი უდიდებულესობის კეთილ ნებას ანდობს გადასაწყვეტად.

მაგრამ თავადაზნაურობის ამგვარ თხოვნას არ მოჰყვა შესაბამისი მოქმედება, რამაც, თავის მხრივ, საქმის თქვენი აღმატებულებისათვის წარდგენაც შეაფერხა; სახელდობრ: ვერ ხერხდება საქმის წარმომდგენის ვინაობის გარკვევა, რამდენადაც სამაზრო კრებებს ასეთი სპეციალური უფლება არავისთვის არ მიუნიჭებია, საგუბერნიო ყრილობის ჩატარება კი მიმდინარე წლის ბოლომდე შეუძლებელი ჩანს.

ამასთანავე, ჩვენ ჩვენი მხრიდან სავსებით გაცნობიერებული გვაქვს, რომ რაც უფრო ჭიანურდება საქმე, მით უფრო ზარალდება როგორც ხელისუფლების, ისე ორივე ფენის სასიცოცხლო ინტერესები.

ამიტომ მე, როგორც გეგმის შემდგენმა, მომხსენებელმა და ერთ-ერთმა იმ პირთაგან, ვისაც საქმის გარშემო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება აქვს მინიჭებული, როგორც ეს თქვენს აღმატებულებას მოეხსენება, 22 ივნისს მივმართე მაზრების თავად-აზნაურთა წინამძღოლებს[6] – ისინი საქმის წარსადგენად ან თვითონ უნდა ჩამოსულიყვნენ ტფილისში, ან ეცნობებინათ, თუ ვისთვის გადამეცა ოთხივე მაზრის თავადაზნაურობის 27 და 30 აპრილისა და 11, 13, 15, 17 და 18 მაისის კრებების აქტები, რომლებიც ამჟამად ჩემს ხელთაა.

დადებითი პასუხი ჯერაც არ მიმიღია სიღნაღისა და თელავის მაზრების წინამძღოლებისაგან და ამის მიზეზი, ალბათ, ზაქათალის ოლქში არსებული არეული ვითარებაა.[7]

ამასობაში თქვენმა აღმატებულებამ ინება, გუშინ უშუალოდ შეეტყობინებინა ჩემთვის, რომ გუბერნიის წინამძღოლის მოვალეობის შესრულებას ტფილისის მაზრის წინამძღოლი, თავადი ბარათოვი უნდა შეუდგეს. იმდენად, რამდენადაც ამით საქმის წარდგენის დამაბრკოლებელი ძირითადი პრობლემა მოიხსნება, აღარ დაველოდები სიღნაღისა და თელავის მაზრების წინამ-

ძღოლთა პასუხებს და საგლეხო საკითხთან დაკავშირებულ და ამჟამად ჩემს ხელთ არსებულ აქტებს თქვენთან წარსადგენად თავად ბარათოვს გადავცემ.

გატყობინებთ რა ყოველივე ამას, მაქვს პატივი უმორჩილესად გთხოვოთ, მხედველობაში მიიღოთ ჩემი ახსნა-განმარტება საქმის უნებლიე დაბრკოლების განმაპირობებელ მიზეზთა შესახებ.

წრფელი და გულითადი პატივისცემითა და ერთგულებით,
თქვენი აღმატებულების უმორჩილესი მოსამსახურე
**დიმიტრი ყიფიანი**

1 ივლისი 1863.

## 60. პეტრე ლადინსკისადმი

პეტრე ანტონის ძევ,

სოფელში გამგზავრების წინადღით თავად მიხ. იოს. თუმანოვის ხელით მივიღე თქვენი წერილი – გამოგზავნილი 21 ივნისს. უკანასკნელ დროს ბევრი მეტად თუ ნაკლებად მძიმე უსიამოვნება და გასაჭირი დამატყდა თავს, მაგრამ ამათგან არც ერთი არ მაწუხებს ისე, როგორც ის, რომ თქვენა ხართ ჩემი მდგომარეობით ასე შეწუხებული. ღვთის გულისათვის, ნუ წუხხართ ჩემ გამო, პატივცემულო პეტრე ანტონის ძევ, და არც უნდა წუხდეთ მრავალ მიზეზთა გამო. ჯერ ერთი, ხომ დარწმუნებული ბრძანდებით, რომ ჩემს მოქმედებებში, რომელთა გამო ასე გადამეკიდნენ, არც სინდისისა და არც კანონის მხრივ ვერაფერი იქნება დასაძრახი. დამადანაშაულეს იმაში, რომ ხელისუფლების ინტერესების წინააღმდეგ წავედი, მაგრამ მე აქ ვსვამ ერთადერთ კითხვას – ვინ არის სინამდვილეში დამნაშავე: ის, ვინც მოითხოვს კანონებისა და უმაღლეს ბრძანებათა აღსრულებას,

თუ ის, ვინც ჯიუტად უვლის გვერდს კანონებსა და განკარგულებებს და მხოლოდ თავისი კაპრიზების მიხედვით მოქმედებს?

მეორეა და, თავად ბარ-ის გულისწყრომამ სამსახური კი დამაკარგვინა[1] და მისი რამდენიმე დამქაშიც აღძრა ჩემ წინააღმდეგ, მაგრამ ამან საზოგადოების თვალში ჩემი სახელი იმ სიმაღლეზე აზიდა, რომელზედაც მე ვერც კი ვიოცნებებდი. ადამიანი მაშინაა უბედური, როდესაც საზოგადოების პატივისცემას კარგავს. მე კი ამით პატივისცემა შევიძინე. რაც შეეხება ცხოვრების სახსარს – ჩვენი ქვეყანა ინგლისი არაა, აქ შიმშილით არავინ კვდება! ამას გარდა, მაქვს მამული, რომელსაც, თუ ცოტაოდენ ყურადღებას დავუთმობ, ლუკმაპურით ჩემი უზრუნველყოფა შეუძლია. ამასთანავე, დიდი წყალობაც მებოძა – გარდა 428 მან. პენსიისა, რომელიც კანონით მეკუთვნის, პენსიის ანგარიშშივე დამატებით დამენიშნა 1000 მან., რომელსაც, როგორც ეს თქვენ მოგეხსენებათ, ხელფასის დანამატად ვიღებდი. ოღონდ ეგაა, არის კითხვა, რომელსაც მისვამენ და პასუხი ვერაფრით მომიხერხებია.

საქმე ისაა, რომ მე გადადგომაზე არც მიფიქრია, დამითხოვეს ჩემი სურვილის გარეშე, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, გამაძევეს სამსახურიდან. გაძევებულს უფლება არა აქვს, პენსია ითხოვოს და ასეთი რამ არც მე მითხოვია, მაგრამ 1428 მან. დამინიშნეს, ესე იგი, მიხვდნენ, რომ უსამართლოდ ვარ დათხოვნილი; და თუ უსამართლოდ ვარ დათხოვნილი, მაშინ, როგორც მეუბნებიან, იმაზე ნაკლები არ უნდა მოეცათ, რასაც ჩემს ამხანაგებს აძლევდნენ, ხოლო მათგან არც ერთისთვის პენსია 2500 მანეთზე ნაკლები არ დაუნიშნავთ. ახსნა-გამორკვევა ამგვარი ვითარებისა მე არ შემიძლია, თუმცა წყალობა ყოველივე, რომელიცა მოგეცეს, მადლია.

გლეხთა საქმე უკვე წარედგინა უფროსობას. ჩემს ნაშრომს ხელი მოაწერა 539-მა მემამულემ; არ მოაწერა რვამ.[2] რატომ? არც ერთმა ჩვენგანმა არ იცის. ამასობაში ისინი გმობენ პროექტს, რომლის არსზე წარმოდგენა არა აქვთ, მაგრამ მიესვლებათ უფროსობასთან და ცდილობენ, იგი თავადაზნაურობის

წინააღმდეგ განაწყონ. თუმცა იმედს არ ვკარგავ – თუ საკითხი განხილული იქნება მიუკერძოებლად, ვნებათაღელვისა და ცილისმწამებელთა გავლენის გარეშე, დაინახავენ, რომ საქართველოს თავადაზნაურობას ერთი ბეწოთიც კი არ შეუბღალავს თავისი ძველებური კეთილშობილება და ხელმწიფე იმპერატორის მიმართ შეურყეველი ერთგულქვეშევრდომული გრძნობები. არადა, ზოგჯერ ისეთი დროებაც დგება, ყველაზე წმინდა გრძნობების დამახინჯებასაც კი მოახერხებენ ხოლმე.

ხვალ სოფელში მივემგზავრები.[3] ამ ზაფხულს იქ გავატარებ. ოქტომბრისათვის კი განზრახული მაქვს, ბინა ქუთაისში დავიდო და იქ დავრჩე მანამ, სანამ მეურვედ ყოფნა მომიწევს. თუმცა – „კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო“. ყველაფერთან დაკავშირებით მოგწერთ ხოლმე.

5 ივლისი 1863.

## 61. ეკატერინე დადიანისადმი

11 ივლისი 1863.

უძვირფასესო დედოფალო!

ამ თთვის 6-ს დავაღწიე როგორც იყო თავი ტფილისსა და იქაურს ჩემს წამებას ბატონ-ყმობის საქმის გამოისობით და ახლა ცოტა მოსასვენებლად ჩემს სოფელში გახლავარ ქვიშხეთს. ჩემი განზრახვა გახლავს, რომ ამ ზაფხულს აქ დავრჩე, ოკტომბერში ჩემი ცოლი ამოვიყვანო და ან აქ დავაბინავო, ან ქუთაისს, სადაც მგონია ზამთარში მეც დავრჩე, რომ საოპეკო საქმეებზედ ახლოს ვიქნე და ისევ მირსკის კალთა დავიჭირო, რადგან ის მაინც კაცურათა ჰსჯის ჩვენს საქმეებსა და ჩემი ცოლის ძმისა კი რაღა მოგახსენო, რაც შარშან მოგწერეთ ისიც კმარა.[1]

ახლანდელის ჩვენის ყოფა-ცხოვრებისა რა მოგახსენოთ. ღმერთმა ინებოს, რომ საქმეები კეთილად წარგვემართოს. ღვთით ბარონი რომ მოვა,[2] იმას უამბობ ყოველსავე და თუ იმანაც არა გვიშველარა და გიორგი მუხ-სკის ხელიდამ არ გამოიხსნა საქმეები,[3] თეთრი ყოველთვის გაშავდება და შავი ხომ შავია და შავი.

კოსტანტინეს ნახვა დიდად მიამა; ახლა ბორჯომს არის გრიგოლთან;[4] დღეს რომ ხუთშაბათია, ზეგ, შაბათს, აქ ველი ორთავე და კოსტანტინე აქედამ ოდიშს წავა და გრიგოლ ისევ ბორჯომს.

ელისავეტა ნიკ. ლუკინას წიგნი მოეწერა ჩემთან და იხვეწება ფულებს, თქვენ რომ ოც და ათ-ათი თუმანი განუწესეთ. მაგრამ ჯერ რომ მაშინდელი გარდაწყვეტილება აღსრულებაში მოყვანილი არ არის და რაზედაც დავადარაბა იყო, იმისი ერთი კოპეიკიც რომ არ შემოგვდის, საიდამ უნდა გაუგზავნო. მართალია, ამ ფულის იმედით ისიც მომეტებულს ხარჯში შევიდოდა, მაგრამ რა ვჰქნათ. თუ მიბძანებთ, გაუგზავნი. — ბესარიონ ჭყონიდლის წიგნი მომივიდა და ამასთან მომირთმევია. ბატონს ნიკოს, ანდრიას და სალომეს[5] მოკითხვას მოვახსენებ გულით.

ჩემი მეგობარი ევდუქსია[6] რომ არც ერთის წიგნის პასუხს არა მწერს — ჩორტ ზნაეტ ჩტო ტაკოე.*

თქვენი უერთგულესი **დიმიტრი ყიფიანი**

## 62. ეკატერინე დადიანისადმი

უძვირფასესო დედოფალო!

თქვენი სულგრძელება და მოთმინება მეც კი შემყავს განსაცდელში, რომ ამდენი ხანია წიგნი ველარ მოგართვით, მაგრამ, რადგან წმიდა ხართ, იმედი მაქვს, რომ ამასაც მოითმენთ.

---

* ეშმაკმა უწყის, რაშია საქმე.

ბარონი ვნახე ქალაქს[1] და ჩვენი საქმეები დაწვრილებით უამბე. რომ არ ველოდი, ისე კარგად დამხვდა და მთხოვა, რაც სიტყვიერად მიამბეთ, თუ შეიძლებოდეს, ქაღალდით წარმოადგინეთო და თვითან დიდს კნიაზს[2] მივართმევ წასაკითხავათა, რომ გამოსარჩლება ჩემს დამოკიდებულებას არ დასწამოსო.[3] — ამ ოთხიოდ ხუთს დღეზედ ქუთაისს გიახლებით. ამ ზამთარს იქ დავრჩები და იქ შევადგენ ნამესტნიკთან წარსადგენს ქაღალდსა. წერა ბევრი დამჭირდება, რაც პეტერბურღში სვიმონოვმა დაგიწერათ,[4] იმაზედ ბევრით მეტი და მაგარი. ქაღალდი რადგან ჩემგან იქნება, მე არა ვის მოვერიდები და რაც სათქმელი მაქვს, ემწარება ვისმე, თუ ეტკბილება, ყოველსავე ვიტყვი. რასაც დავსწერ, იმისს პირს მოგართმევთ მეთქი მოგახსენებდით, მაგრამ გამოგზავნა არ მოხერხდება და, თუ ღმერთმა შემაძლებინა, გაზაფხულზედ იქნება თვითან მე გიახლოთ და მაშინ მოგართმევთ. საჭირო არის ჩემი თქვენთან მოსვლა და მოლაპარაკება, მეტადრე სახნავ-სათესისა და სასოფლო მუშაობის იარაღების ნახვა, რომ მუშაობასაც მივჰყოთ როგორმე ხელი. ფული იქნება ამ ნოემბერში მოგაშველოთ რამე, მაგრამ რომ მოახერხებდეთ როგორმე და არ მომთხოვდეთ ფულსა, იქნება ცოტა რამ მაინც დარჩეს მთავარს,[5] თორემ ცოტა შემოდის და ისიც რომ იხარჯებოდეს, რაღა დარჩება. თუ პირველის შემთხვევისათვის ფული არ ექნა, საქმე დიდად გაუჭირდება. —

ჭურიის ტყეში მუხის მოჭრას შემომევაჭრნენ და იმ ამერიკელს კაპიტანს პიერსს დარჩა, რომლისათვისაც შარშანწინ ჩემთან წიგნი გამოგეტანებინათ. როზმორდუკი ძალიან მიწყრება, მაგრამ რა გაეწყობა. ეს იძლევებოდა მსხვილ ხეზედ მანათ ნახევარს და წვრილზედ სამ აბაზს; პიერსი გვაძლევს მსხვილზედაც და წვრილზედაც ხეზედ ორ მანათსა და შვიდ შაურს, 2 р. 35 к. იმ პირობით, რომ წელიწადში უნდა მოსჭრას არა ნაკლებ 4700 ხისა და რასაც მეტს მოჰსჭრის, ანგარიში უნდა გვაძლიოს. კონტრაქტი შევჰკარით 4 წლის ვადით და წელიწადში შემოვა აქედამ თერთმეტი ათას მანათამდის. ჭალადიდის ტყესაც მევაჭრებოდ-

ნენ, მაგრამ სადღა არის ტყე. დიდი მიწერ-მოწერა გვაქვს ამაზე-დაც. –

ამ წიგნს ქუთაისიდამ გიგზავნით. კიდევაც მინდოდა მომეწე-რა, მაგრამ არ მომაცალეს და მერე იყოს. აღარ დაგიგვიანებთ ამბავს.

11 ნოემბერი 1863 წლ.

### 63. ეკატერინე დადიანისადმი

25 ნოემბერი 1863. ქუთაისით.

მოწყალეო დედოფალო,

თითქო იმისს სამაგიეროდ, რომ რამდენსამე თვეს არასა გწერდით, ახლა ასე მოგიხშირეთ. დღევანდელი ჩემი წიგნის სა-განი ეს გახლავს, რომ ირაკლი ლორთქიფანიძე რადგან თქვენ-თანვე ირიცხება და ამითი სამსახურის წარმატება აკლია, გთხ-ოვსთ, თუ შეიძლებოდეს, ისეთი რამე ქაღალდი გამოუგზავნოთ აქაურს მთავრობას, რომ თქვენთანვე ირიცხებოდეს, მაგრამ სამსახურიც არ ეკარგებოდეს. ამ ქაღალდის შავი ამასთანვე მო-მირთმევია.[1] – დღეს პიერსის აგენტისაგან მოველი ხუთიათას რუბლსა და ამ ფულს მანდ მოგართმევთ, რადგან ჩვენი კრედიტ-ნი ბილეთების გამოგზავნა შეიძლება ახლა. სხვა გამოგზავნის საშუალობა არა მაქვსრა, რადგან აღარც ფინო არის თავისს ად-გილს.[2] კოსტანტინეს ვალისა და სემენოვის ვალის საქმეზედ[3] პა-სუხსა გთხოვთ არ დამიგვიანოთ.

თქვენი უერთგულესი

**დიმიტრი ყიფიანი**

## 64. ეკატერინე დადიანისადმი

18/30 ნოემბერი 1863. ქუთაისით.

უმოწყალესო დედოფალო,

წარსულის ფოჩტით პარიჟს გამოგიგზავნეთ წიგნი a l'Hôtel des trois empereurs;* და გუშინ წინ თქვენი წიგნი მომივიდა ვენადამ 13-ის ოკტომბრისა, რომლითაც მაცნობებთ, რომ ლუვრის ოტელში მექმნება ბინაო. როგორც მოგახსენეთ, ქუთაისში ვზივარ და დიდს ზაპისკას ვადგენ, რომ ყოველი ჩვენი საქმე დაწულილებით აუხსნა და გავაშინჯო ჩვენს ახალს მთავრობას. საწერი იმდენი არის, რომ იმედი არა მაქვს იანვრის დამლევამდის წარდგენა მოვახერხო, ისიც თუ მაცალეს და ტფილისს არ დამიბარეს ბატონ-ყმობის საქმის გამო[1] ან კენჭისათვის, რადგან ამ დეკემბერში უნდა მოჰხდეს კენჭი. ფულის იმედი მაქვს ამ მოკლეს დროში ხუთი ათას მანათამდის გამოგიგზავნოთ; მაგრამ ფულის თაობაზედ კიდევ უნდა მოგახსენოთ, რომ რასაც მდგომარეობაში ჩვენი საქმეები 1861-მდის იყო, უარესში თუ არის, თორემ წარმატება ჯერ არა მისცემიარა. გარდაწყვეტილებას და ხელმწიფის ბრძანებას ზედაც არა ვინ შეჰხედა. ამ მიზეზით, მანამდის ახლანდელი ნამესტნიკი[2] განიხილავდეს საქმეს და ინებებდეს რასმე, შემოსავალი ისე ნაკლებად შემოდის, რომ შტატის ხარჯის გარდა, რომელიც ნახევრამდის შევამცირე, გაცემული მექნება ორშაურად და ზალოგებით ათიათას მანათამდის, რაც კოსტანტინესა ჰმართებს[3] 12 000 მანათამდის და განსვენებულს სემენოვსა 3000-მდის. — კოსტანტინე კიდევაც იხვეწება 6000 მანათი მასესხეთო, მაგრამ რომ მქონდეს, მაინც თქვენდა დაუკითხავად ვერ მივსცემდი. ახლა გთხოვთ თქვენი ნება მიბძანოთ: კოსტანტინეს თამასუქებს ვადა გასული აქვს და მოვსთხოვო თუ არა, ესე იგი გადასახდევინებლად წარვადგინო თუ არა, ან რასაც

* სასტუმრო „სამი იმპერატორი".

ახალს ვალს ითხოვს, თუ ფული გვექნა, მივსცე თუ არა. ამისი რაზრეშენიე გთხოვთ ცალკე მომწეროთ საქმეში ჩასაკერებლად. – აგრეთვე ცალკე რაზრეშენიესა გთხოვთ სემენოვის საქმეზედ. მაშინ რომ ფული ვაძლიეთ, უთამასუქოთ არ გამოგვართვა და სამი თამასუქი დამრჩა იმისი, რომლითაც ემართოს ვითამ ჩემ-გან აღებული 2900 რუბლი. ამ თამასუქებსაც ვადა გასული აქვს, და მე რასხოდში ჯერაც არ გამომიყვანია: Вывести ли эту сумму в расход безвозвратный и в таком случае уничтожить векселя или вывести в расход как выданные в займы и на сбережение и в таком случае обязательства представить ко взысканию?* – ამ ორი ქაღალდის მომლოდინედ ვრჩები

თქვენი უერთგულესი **დიმიტრი ყიფიანი**

კნიაჟნა სალომე რადგან დიდი არის თურმე ახლა, ხელის კოც-ნას მოვახსენებ; ბატონს ნიკოს და ანდრიას[4] წრფელის გულით ვა-კოცებ და თქვენც კი გაკოცებთ ევდუკიას გამაგიჟებელს ხელსა.

## 65. ეკატერინე დადიანისადმი

6 დეკემბერი 1863. ქუთაისით.

ჩემო მოწყალეო დედოფალო!

ამასთან მომირთმევია ხუთი ათასი რუბლის ჩვენი ბანკის ბი-ლეთები. ჩვენს ფულს იმიტომ გიგზავნით, რომ გამოგზავნაზედ უფრო ცოტა გვეხარჯება და დაცვლას მანდ უფრო ადვილად მოახერხებთ.

---

* შევიტანო თუ არა ეს თანხა დაუბრუნებელ გასავალში და, ასეთ შემთხვევაში, მოვსპო თამასუქი, თუ შევიტანო იგი სესხად გაცემულ გასავალში და, ასეთ შემთხვევაში, სავალო ვალდებულება წარვადგინო გადასახდელად?

სხვა ჩემი ამბავი ისევ ის უნდა მოგახსენოთ, რომ ვჰზივარ გამოკეტილი და დიდს ზაპისკას ვადგენ ახლანდელის ჩვენის მთავრობისათვის, რომ ყოველივე ჩვენი საქმეების მდგომარეობა მოვახსენო გაბედვით და დაუფარავად. წერა ბევრი მჭირდება, მაგრამ რა გაეწყობა. –

საჭილაოში ერთი ადრევე მოტანილი მარმარილოს ქვა გდებულა და ნესტორ წერეთელი იხვეწება, თუ შეიძლებოდეს მიტროპოლიტის საფლავისათვის მომახმარებინეთო. –

აქაურს წმ. ნინოს ზავედენიეში თქვენის ხარჯით აღარა ვინ იზრდება[1] და კნეინა ატატო წერეთლისა გეხვეწებათ, მიჭირსო და თქვენი შვილების სადღეგრძელოდ ჩემი ქალი გააზრდევინეთო.

ღმერთსა ვჰსთხოვ თქვენს მშვიდობასა და უვნებელობას.

თქვენი უერთგულესი **დიმიტრი ყიფიანი**

## 1864

## 66. ეკატერინე დადიანისადმი

3 იანვარი 1864. ქუთაისით.

მოწყალეო დედოფალო!

აგერ ორ თვეა ქუთაისში გახლავარ და თქვენი ამბავი აღარა ვიცი რა. ზაპისკას რომ ვადგენ ნამესტნიკისათვის ჩვენის საქმეების მოსახსენებელად, შავად ამ საახალწლოდ ძლივს შევასრულე და ახლა გადასაწერად მივეცი.[1] დიდად ვჰსცდილობდი შემოკლებას, მაგრამ ვჰგონებ ორმოც თაბახზედ მეტი მოუნდეს გადაწერაში, რადგან ჩემი წვრილი ხელით წერას ოც და თოთხმეტი თაბახი მოუნდა. იმედი მაქვს რომ წაიკითხვენ და თუ წაიკითხეს, ვჰგონებ ყური აღარ მოიყრუონ. –

ბევრნი დიდად მიწყენენ, მაგრამ რა გაეწყობა, მეტადრე კოლუბაკინები. ერთი ძლივს მოვიცილეთ თავიდამ და მეორე კი ჯერ ისევ აქ არის, ბაქოში გუბერნატორად.[2] –

ელიზბარ ბატონიშვილმა თქვენი ჭირი წაიღო.[3] ესეც გამოაკლდა თქვენის წინააღმდეგების გუნდსა, რომელიც ახლა დიაღ შემცირებულია.

ამ წიგნის გამოგზავნა მთხოვეს თქვენთან და გიგზავნით.

ღმერთსა ვჰსთხოვ თქვენს მშვიდობასა და უვნებელობას სასიქადულო შვილებითურთ.

კოსტანტინეს ამბავიც[4] კაი ხანია აღარა ვიცირა.

თქვენი უერთგულესი **დ. ყიფიანი**

## 67. ეკატერინე დადიანისადმი

11 იანვარი 1864. ქუთაისით.

მოწყალეო დედოფალო!

გუშინ მომივიდა თქვენი წიგნი, 9-ს დეკემბერს გამოგზავნილი პარიჟიდამ. – წარსრულის ფოჩტით მოგახსენეთ, ზაპისკა შევადგინე და გადასაწერათ მივეცი მეთქი, ჩვენის საქმეების მოსახსენებლად ნამესტნიკის წინაშე.[1] მარტო გადათეთრებაზედ მეხარჯება თითქმის ათ თუმნამდის. სხვათა შორის ოპეკის საჩივარი არის გამოყვანილი საბატონო გლეხების გარდასახადის საქმეზედაც. ეს ცხადი და აშკარა საქმე იმგვარათ დაჰხლათეს ნიკ. კოლუბაკინმა და სუდებნი დეპარტამენტმა, რომ სამი დღის საქმე იქნება სამს წელიწადსაც არ გათავდეს, თუ ნამესტნიკმა არ მიაქცია განსაკუთრებითი ყურადღება. – უფალის მილლერის კონდიციები რომ გებოძებინათ შარშან ივლისში ტყეების ცნობაში მოყვანასა და მოვლაზედ, მაშინვე მოგახსენეთ და ახლაც მომიხსენებია, რომ განზრახვა დიაღ კეთილი არის, მაგრამ აღს-

რულებისაგან უსარგებლო ხარჯის მეტი არა გამოვარა, ამიტომ რომ ჯერ კანონიერი გამიჯვნა უნდა და მერე კანონიერივე მოვლა. ამაზედ მიწერ-მოწერა გვაქვს მთავრობასთან და თქვენ რომ მეჟევანიე გითხოვნიათ, პროექტი შეუდგენიათ, რომლითაც უნდება ხარჯი 4500 р. в год,* და გუშინ მომივიდა ქაღალდი, მკითხვენ, შეუძლია ოპეკას ამ ხარჯის გაწევა თუ არაო. ეს ფული არა თუ ბევრი, ცოტაც არის, მაგრამ აუცილებელად საჭირო არის გამიჯვნა ყოველი სამთავრო ადგილ-მამულებისა და ტყეებისა. ამას გარდა მმართებლობას განზრახვა აქვს, რომ სამთავრო და საეკკლესიო ტყეების დასაცველად ტყის-მცველობა დააწესოს, Лесное управление,** და ამაზედაც მოგვთხოვენ ხარჯსა. – თქვენ ბრძანებთ, ორმოცი ათასი მანათი არა მყოფნისო და მეც სრულის გულით გეთანხმებით და ყოველს წელიწადს ოცი ათას მანათსაც მოგართმევდით, რომ ხელმწიფის გარდაწყვეტილება აღსრულებაში იყოს მოყვანილი, ან ერთი, ან მეორე,[2] მაგრამ მე იმისთვის გამომიძახეს სამსახურიდამ,[3] რომ ამ ბძანების აღსრულებას ვითხოვდი და ვითხოვ აქამომდე. ოცი ათასი მანათი კი არა, ათი ათასიც აღარ შემოდის და არც ბოჭვისათვის გვცალია; თუ ამას დავადექით, ყმა და მამული გამოგვეცლება ხელიდამ; თუ ყმა და მამულის დაცვას დავადექით, ბოჭვას უნდა უსუსტოთ, და თუ ორივეს სასტიკად დავადექით, მაშინ ეს ათი ათასი მანათიც უნდა დავხარჯოთ, რადგან მუქთათ ხელის გამძრევი არა ვინ არის. ახლა რომ ზაპისკა შევადგინე, ცხადად დაინახავდით იქიდამ ამისს მიზეზებსა, მაგრამ ორმოც და ათი თაბახის რვეული გამოდის და როგორ გამოგიგზავნოთ. – მოსამსახურეების გამოგზავნა კოსტანტინემ მიიღო თავისს თავზედ[4] და ახლა ისეთი დიდი ზამთარია აქ, რომ გზები სულ შეკრული არის და ერთმანერთისა აღარა ვიცითრა. – პირუტყვი რაცა გვყავს, თუ სულ არ გაგვიწყდა, დიდი სასწაული იქნება სწორეთ. – ჩვენს საქმეებს მაშინ ეშველება რამე, თუ ველ. კნიაზმა[5] გულდასმით

***** 4500 მან. წელიწადში.

****** სატყეო მმართველობა.

წაიკითხა ჩემი ზაპისკა და ის განკარგულება ინება, რასაც ოპეკა ითხოვს ოც და ათის პუნკტით, რომელიც ცხადათა მაქვს გამოყვანილი, რომ ამ პუნკტებით, ჩვენის საქმეების შესახები სამართალიც არის დარღვეული, რუსული კანონიცა, ქართული კანონიცა და თვით ხელმწიფე იმპერატორის ბრძანებაცა. კნიაზი მირსკი კარგათ არის, მაგრამ წამხდარი საქმეების გამოკეთება ამას არ შეუძლია. – ჭურიის ტყისაგან რომ არ შემოსულიყო ფული, უნდა გამოგიტყდეთ, რომ ამჟამად ერთს კოპეიკსაც ვერ მოგართმევდით.

## 68. ეკატერინე დადიანისადმი

21 ფებერვალი 1864. ტფილისით.

ბატონო დედოფალო.

ერთს თვეზედ კიდევ მეტი გამოვიდა, რომ წიგნი ველარ მოგართვით. ამისი მიზეზი საოცარი საქმე გახლავთ, რომელიც აქ მოჰხდა. მე რომ ქუთაისს გახლდი და ჩვენს საქმეებზედ შედგენილი ზაპისკა რომ თეთრად გადავაწერინე,[1] სწორეთ იმ დღეს მომივიდა დეპეშა, რომლითაც ქალაქს მიბარებდა კეთილშობილთ საზოგადოება, კენჭისათვის შეკრებილი. რადგან ხმები მესმოდა ჩემის სურვილის წინააღმდეგი, თავის მორიდება განვიზრახე და უარი მოვსწერე. მესამეს დღეს კიდევ მომივიდა მარშლისაგან დეპეშა,[2] საზოგადოება ფრიად საჭიროდ ჰპოვებს შენს აქ ყოფნასა და უთუოთ უნდა მოხვიდეთ დაუყოვნებლივო. გიახელ აქ და დამხვდა საზოგადოება დიდად შეშფოთებული, ბატონ-ყმობის საქმე ცუდათ მოდის ივანე მუხრანსკის აზრითაო და რა ვჰქნათო. მოთმინების მეტი არა გაგეწყობათრა მეთქი და არცა რა ფერი თხოვნა შეიძლება ამაზედ მმართებლობასთან, მანამდის თვითან არ ინებებს თავისი ჰაზრის ჩვენთან გამოცხადებასა მეთქი. დაშოშმინდა როგორც იყო ხალხი და მეორე, მე-

სამეს დღეს შევუდექით კენჭსა. აქა-იქ დაიწყეს კიდევ ლაპარაკი, რომ უთუოთ ყიფიანი უნდა ამოვირჩიოთ მარშლათაო. ღმერთმა ხომ იცის, რომ ყოვლითურთ ვერიდებოდი ამ ჰაზრის შესრულებას. არას დროს არა ყოფილა მარშლობა ისე გაძნელებული, როგორც ახლა არის. მეტადრე ჩემთვის მრავალია მიზეზი, რომ მოვრიდებოდი ამ წოდებასა და არცარა ვისთვის დამიმალავს, მაგრამ ორის თუ სამის კვირის განმავლობაში საქმე იმ გვარად მოიყვანეს, რომ უარის თქმა ჩემგან ყოვლად შეუძლებელი შეიქმნა. რაკი ესა ჰსთქვეს, ყიფიანი უარს ველარ იტყვისო, მაშინ გაჩნდა წინააღმდეგობა ამ ჰაზრისა. ივანე მუხრანსკი, გიორგი რომანიჩი,[3] ლევან მელიქოვი და გრიგოლ ორბელიანი დათანხმდნენ და დაიწყეს მოქმედება. კიდევაც ვიმოწმებ ღმერთსა, რომ სასიამოვნო იქნებოდა ჩემთვის და არა საწყენი, რომ გაემარჯვნათ, მაგრამ ისე აჩქარდნენ, იმ გვარად იმოქმედეს, რომ უფრო წაიხდინეს საქმე, დანარჩენი საზოგადოება უფრო გაიწინააღმდეგეს. ბოლოს გუბერსკის მარშალზედ რომ მიდგა კენჭი, გრიგოლ ორბელიანი წამოდგა და საზოგადოობას დაუწყო ქადაგება, დიმიტრი ყიფიანი დიალ კარგი კაცია, მაგრამ გამოგდებულია სამსახურიდამ და მმართებლობა წინააღმდეგობად მიიღებს იმის ამორჩევასაო. — ჩვენ კარგათ ვიცით, ეგ საქმე როგორც იყოო, მმართებლობამაც კარგად იცის, რომ საქართველოს თავად-აზნაურობას წინააღმდეგობა არა ვისგან შემოგვეწამებაო, მიაძახეს, და უთუოთ უნდა ჩამოუტაროთ კენჭიო. — დაიწყეს კენჭი. ხსენებულთ პირთაგანი არც ერთი არ გავიდა კენჭის ჩასაგდებად. იმათის მიხედვით არ გავიდნენ კიდევ 36 კაცი. სხვანი ყველანი მივიდნენ თვითო თვითოთ და რომ გაათავეს, გამოვიდა 171 კენჭი თეთრი და 5 შავი.[4] — ასე დაბოლოვდა საქმე 16-ს ფებერვალს და ახლა მთავრობა რას ინებებს არ ვიცი. ბარონმა კი მკითხა, ოპეკუნობას რას უზამო და მე უპასუხე, თუ სოვეტის ჩლენობა ვერ მიშლიდა,[5] მარშლობა როგორღა დამიშლის მეთქი. ახლა წინააღმდეგნი ამასა ცდილობენ, რომ არ დამამტკიცონ.[6] ნეტავი თქვენის სიცოცხლით, მაგრამ საწუხარი ეს იქნება, რომ ვაითუ სხვა უფრო დიდი უსიამოვნეობა შეუდგეს რამე.

გრიგოლისაგან კი ვერასოდეს ვერ ვიფიქრებდი, რომ სამსახურიდამ დათხოვნას ასე ახირებულად წამომაყვედრებდა დადიანის სახლის გამოსარჩლებისათვის. –

ამ საწუხარს მდგომარეობაში ვარ ახლა.

ქუთაისს შედგენილი ზაპისკა აქ ხელახლად გადავაწერინე და ამ თვის 5-ს წარვუდგინე ბარონს. რა შეუდგა, ჯერ არა ვიცირა.

თქვენი 13-ის იანვრის წიგნი გუშინ მომივიდა და დამოჟნის ფული რომ გეძლეოდათ[7] ქუთაისის ხაზინიდამ, უთუოთ აღარ გახსოვთ, თორემ მე თავთავისს დროზედ გამომაქვს. რაც 1861 წლამდის გერგებოდათ, ის თქვენ ქუთაისის წ. ნინას ზაველენიეს დაუთმეთ[8] აკი, და მას მერმეთ კი უკლებლად ვიღებთ. –

ჩემს ახლანდელს მდგომარეობაში, თუ მარშლათ დამამტკიცეს, ჩემს სვინიდისს მხოლოდ ესა სტანჯავს, რომ რაც შემოსავლიდამ თქვენგან განწესებული მაქვს, მეტი ღონე აღარა მაქვს, უნდა ავიღო. იმედი კი მაქვს ღვთისაგან, საგრძნობელი ზარალი არ იყოს თქვენთვის.

## 69. ეკატერინე დადიანისადმი

13 მარტი 1864. ტფილისით.

მოწყალეო დედოფალო,

აქ ღვთის მადლით ყოვლითურთ მშვიდობა არის და ჩემი ზაპისკის განსახილავად ბარონმა კარგად მოჰკიდა ხელი;[1] იმედია, რომ გამოვიდეს რამე. მაგრამ დიდად საწუხარია ჩემთვის, რომ ერთი უსიამოვნო ამბავიც უნდა მოგახსენოთ. თქვენი ზუგდიდის სასახლე სულ მთლათ გადამწვარა ამ თვის პირველს რიცხვს, აღების ღამეს, შუაღამიდამ 4 საათზედ. მიხაილ იეგორიჩს და მისს სახლობას თავი კი დაუღწევიათ,[2] მაგრამ ყოველივე დაჰსწვიათ. რა მიზეზით მოჰხდა, ამაზედ გამოძიება არის შედგენილი და როგორც მწერენ, რუსის დედაკაცი ჰყოლიათ მოსარეცხე. იმ

ღამეს შესაქცევათ გასულა და თავისს ოთახში სანთელი ანთებული დაუტოვებია. მალე დავბრუნდებიო იფიქრებდა, მაგრამ აღარ დაბრუნებულა, და სანთელს უქნია ეს საქმე. მიხაილ იეგორიჩიც და კოლუბაკინიც უკონტრაკტოთ იდგნენ ამ სასახლეში და ჩვენდა დაუკითხავად და თუ სამართალი არის ქვეყანაზედ, ბრალიც მათი უნდა იყოს და პასუხისგებაც. სხვა რაღა მოგახსენოთ. ჩემი დამტკიცებისა ჯერ არა არის რა[3] და დღეს შევუდექით კიდევ ბატონყმობის საქმის შინჯვას.[4]

თქვენი უერთგულესი **დ. ყიფიანი**

Не оставьте лично или письменно передать милой обожательнице Вашей Евдокии Гавриловне, что я давно не писал ей потому, что и она не писала, забыв меня по-видимому, но в моих истинно дружественных, ***и даже более,*** чем дружественных к ней чувствах, нет и надеюсь не будет ни малейшей перемены.*

## 70. მიხეილ თუმანიშვილისადმი

გავასწორე რა ჩანაწერი ***ხიზანთა*** მდგომარეობის შესახებ იმის მიხედვით, რაც დარწმუნებით ვიცი, მაქვს პატივი, დაგიბრუნოთ იგი ღრმად პატივცემულ თავადს, მიხეილ ბირთველის ძეს.

**დ. ყიფიანი**

18 მაისი 1864.

---

***** გადაეცით პირადად ან წერილობით თქვენს მაღმერთებელს, ძვირფას ევდოკია გაბრიელის ასულს:[5] მე დიდი ხანია წერილებს არ ვსწერ იმიტომ, რომ თვითონაც არ მწერს. ეტყობა, დავავიწყდი, თუმცა მის მიმართ ჩემი ჭეშმარიტად მეგობრული – და ***უფრო მეტიც კი,*** ვიდრე მეგობრული – გრძნობები ოდნავადაც არ შეცვლილა და, იმედი მაქვს, არც შეიცვლება.

## 71. ეკატერინე დადიანისადმი

22 მაისი 1864. ტფილისით.

უძვირფასესო დედოფალო,

თქვენი ორი წიგნი, ერთი 9-ისა და მეორე 14-ის აპრილისა ამ დღეებში ერთათ მომივიდა და ვმადლობ ღმერთსა, რომ მშვიდობით იმყოფებით. — მე რომ 4-ს ფებერვალს ბარონს ჩვენს საქმეებზედ ზაპისკა მივეცი,[1] ესე იგი, კარგა დიდი რვეული, იმაზედ ჰსაქმობენ, სპრავკებს თხოვილობენ,[2] მაგრამ ჩემთვის ჯერაც არა უცნობებიათ რა.

ამ მაისში ოდიშისკენ წასვლას ვაპირებდი, ჭალადიდის ტყე აგვიოხრეს, მიწებსა და ადგილებს ჩააფრინდნენ, და მინდოდა უსამართლოდ მიმთვისებელნი მომეცილებინა, ურჩნი ყმანი პასუხის გებაში მიმეცა და ტყის მცველების რიცხვი გამემრავლებინა, მაგრამ აქ ბატონ-ყმობის საქმის შინჯვა ძალიან გაცხარებულია,[3] იქნება ორიოდ კვირეს კიდევ მოუნდეთ და მანამდის არ დაბოლოვდება, აქედამ ფეხის მოცვლა არ შემიძლია. — ფულების გამოგზავნა ალგითქვით იმედნეულმა, რომ ჩვენი იჯარადარი კაპიტანი პიერსი მალე შემოიტანდა ათი ათასიოდ მანათამდის. მაგრამ ეს ცოტათი შეგვიანდა, რადგან მას და მისს მუშებს უთანხმოება გამოსვლიათ და ახლა მედიატორეები არჩევენ მათს საქმეს თვით ჭურიის ტყეში. დაბოლოვებამდის შეიძლება არ ვადროვოთ და შემოსატანი მაინც მოვსთხოვოთ, მაგრამ შეიძლება, რომ ამითი უფრო ვიზარალოთ. პიერსმა თუ ხელი აიღო, ჩვენ იქ მოჭრილს ტყეს ველარ მოუვლით და დავრჩებით ცარიელნი. — ჭილაევი ვეჭობ თქვენსკენ მოდის და რასაკურველია პირისპირ მოგახსენებს, რა ჩინებულათ დააწყო თქვენი საქმეები და დაამშვიდა ყოველი ალრეულობა; მაგრამ ძნელი საქმე ეს დაემართა, რომ რაც გააჩნდა, ყოველივე დაეწვა.[4] სახლი რომ დაიწვა, იმას ხომ რა გაეწყობა. —

ფულებს მაინც მოველი და რა დროსაც მომივა, ჰომბურგში მოგართმევთ.

ჩემი ნინო[5] უგულითადესს მადლობას მოგახსენებთ მოკითხვისათვის და ღმერთსა ჰსთხოვს თქვენს სიმრთელეს და უვნებელობას შვილებითურთ.

ბატონს ნიკოს, კნიაჟნა სალომეს და ანდრიას[6] სულით და გულით მოკითხვას მოვახსენებ.

თქვენი უერთგულესი **დ. ყიფიანი**

ჩემი მეგობარი ევდუკია[7] თუ მანდ გახლდეთ, попрошу Вас передать мой искренний, дружеский поклон и сказать, что я давно уж слышу проповеди в роде того, например, что „обожать можно лишь совершенство“, но знаю, и вероятно она сама помнит, что бывают случаи, когда всякому совершенству предпочитают просто стерлядь.*

## 72. მიხეილ ნიკოლოზის ძისადმი

ა დ რ ე ს ი ს  პ რ ო ე ქ ტ ი

მის იმპერატორობით უმაღლესობას,
დიდ მთავარ მიხეილ ნიკოლოზის ძეს,
კავკასიის მეფისნაცვალს

თქვენო იმპერატორობითო უმაღლესობავ

თქვენ დაასრულეთ კავკასიის დამორჩილება და ამით ისტორიაში ჩაწერეთ თქვენს სახელთან განუყოფლად დაკავშირებული უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა.

---

* გთხოვთ გადასცეთ ჩემი გულწრფელი, მეგობრული მოკითხვა და უთხრათ: დიდი ხანია, მესმის ამგვარი ქადაგებები, მაგალითად, რომ „გაღმერთება შეიძლება მხოლოდ სრულყოფილებისა“, თუმცა ვიცი და ალბათ იმასაც ახსოვს – არის შემთხვევები, როცა ყოველგვარ სრულყოფილებას, უბრალოდ, ცქვრინას ამჯობინებენ.

საქართველოს თავადაზნაურობის მიერ არჩეული პირები თქვენს უმაღლესობას მთელი წოდების სახელით გადმოგცემთ მილოცვას.

დაე, მაღალი ღმერთი შეგეწიოთ, რათა დაამკვიდროთ მოქალაქეობა[1] იქ, სადაც სულ ცოტა ხნის წინ ხანგრძლივი ომი დასრულდა.

ივნისი 1864 წლისა.

## 73. ეკატერინე დადიანისადმი

12 ივნისი 1864. ტფილისით.

უძვირფასესო დედოფალო,

კიდევ მმართებს თავის მართლება თქვენ წინაშე, რომ აქამომდე პასუხი ვერ მოგართვით ორის წიგნისა, 3 და 13 მაისისა, რომელიც მივიღე 23-ს და 31 იმავე თვეს. მიზეზი ისევ ის ბატონყმობის საქმე გახლდათ, რომელშიაც აქამომდე გართულნი ვიყავით და ეს რამდენიმე დღეა, რაც სიტყვიერი ბაასი დავაბოლოვეთ და ახლა იწერება.[1] ანგარიშით ივლისში უნდა წავიდეს პეტერბურღს და ნოემბერში მანიფესტი გამოვიდეს ტფილისის გუბერნიისათვის. საქმე როგორ შესრულდება, ეს ღმერთმან უწყის. – დარიგებას რომ მწერთ ჩემის მარშლობის გამოისობით, არათუ საწყენი არ არის ჩემთვის, წრფელის გულით გიძღვნით მადლობას, ამით უმეტესად, რომ ამ დარიგებაში ჭეშმარიტებასაც ვჰხედავ და თქვენს სახიერს გრძნობასაც. თქვენი ვარ და მეტი რა ღონე გაქვთ, რომ არ დამარიგებდეთ. თქვენის რჩევის უფრო გასამართლებლად ამას მოგახსენებთ, რომ, როდესაც დამტკიცება გამოვიდა და რა დღესაც ველიკი კნიაზთან წარვდექ, იმავე დღეს გაუკეთე ვიზიტი გრიგ. ორბელიანს და შემდეგ თვით ივანე მუხრანსკისაც. სხვებმა ყველამ გადმიხადა ვიზიტი

და ამათ კი ჯერაც არ გადუხდიათ,[2] მაგრამ მე ამასაც არ ვიმჩნევ და სადაც ერთმანერთს შევჰხვდებით ხოლმე, თითქო ჩვენში უსიამოვნოება არა ყოფილარაო, ისე ვართ ხოლმე. –

ფული რომ აქამდის ვერ მოგართვით, ვსწუხვარ ჭეშმარიტად, მაგრამ რაც შემოდის, ისიც თავისს დროზედ არ შემოდის. პიერსისაგან ველი ყოველ დღე ფულსა და ჯერაც არ მომსვლია. ამას გარდა ორს ზაკლადნოის გაუვიდა ვადა და ოთხასი თუმანი არის ასაღები და ჯერ ვერც ეს აგვიღია; ცოტა მოგვითმინეთო, ცოტა მოგვითმინეთო და ამაში გადის დრო. – ზოგიერთი ვალებისა მოგახსენეთ და არასა მწერთ: კოსტანტინეს რომ ცამეტი ათას მანათამდის ჰმართებს და ვადა დიდი ხანია გასული აქვს, ამას რა უყოთ? სვიმონოვის თამასუქები რომ მიყრია და კნიღებში კი არ მიწერია, ამას რა უყოთ?[3] ნამესტნიკისათვის რომ პასუხი მოგიწერიათ ბატონყმობის საქმეზედ, დიაღ საფუძვლიანი პასუხი არის, მაგრამ მაინცა და მაინც თუ ბძანეს, ამას რა გაეწყობა; მე კი მანამდისინ შემოსავლის ანგარიშს არ გაგვისწორებენ, ამ საქმეში ვერ გავერევი. – მე რომ ფებერვალში ბარონს ზაპისკა მივეცი,[4] მაშინ კი მითხრა, ობიასნენიებს მოვითხოვთ, სპრავკებს მივიღებთ და გავშინჯავთ საქმესაო, და როგორ რას ჰსაქმობენ, ჩემთვის ჯერაც არა შეუტყობინებიათ რა. მამულების გამიჯვნაზედ დიდი ხანია საქმე შემდგარი არის და ჯერ არცა რა ფერი ამასა ჰშველებია.

ბატონს ნიკოს, კნიაჟნა სალომეს და კნიაზს ანდრიას[5] გულითადს პატივისცემას მოვახსენებ. თქვენ ხელს კოცნას შემოგბედავთ.

ჩემი ნინო[6] ულრმესს მადლობას მოგახსენებთ დაუვიწყებლობისათვის და თქვენს უვნებელობას ღმერთსა ჰსთხოვს. – ამ ზაფხულს ჩემი უფროსი შვილის გასტუმრებას ვაპირებ პეტერბურღის უნივერსიტეტში[7] და არ ვიცი, მოვახერხებ, თუ ვერა.

თქვენი უერთგულესი **დიმიტრი ყიფიანი**

## 74. ეკატერინე დადიანისადმი

6/18 ივლისი 1864. ტფილისით.

უძვირფასესო დედოფალო!

თქვენმა ივნისის 17-ის წიგნმა დიდად შემაწუხა. იმედი მაქვს ღვთისაგან, რომ აქამომდე ჩემი ბატონი ნიკო და ანდრია[1] განთავისუფლდებოდნენ ხველებისაგან. როგორც რომ მივილე წიგნი მაშინვე გიახლათ ანჩისხატში ჩემი ნინო[2] და პირი-ღვთისას წინაშე პარაკლისი ახდევინა.

აქამდისინ ტფილისში დავრჩი იმავე ბატონ-ყმობის საქმის მიზეზით,[3] და ხვალ გიახლები ჩემს სოფელში რომ ამ ორიოდე თვეს იქ სული მოვიბრუნო და სექტემბერში ჩვენს მეგრელიის საქმეებს გადავჰხედო.

ფულის გამოგზავნა მარტში ან აპრილში აღგითქვით, მაგრამ აქაც ისეთი საქმეები შემხვდა, რომ კაცი ანგარიშში ვერ იქონიებდა, როგორც 1860-ში დამემართა, სამის თვის ანგარიშით წამოველ პეტერბურღს და მთელს წელიწადს დავრჩი.[4] — მოგეხსენებათ რომ წლეულ ფებერვალში ზაპისკა შევიტანე ჩვენის საქმეებისა.[5] უნდა მეფიქრებინა, რომ საქმეს ფიცხად მიჰყოფდნენ ხელსა და გავიმართებოდით, მაგრამ ჯერაც არა ფერი არის. პიერსის იმედი მქონდა და იმასაც ღმერთი გაუწყრა, მუშები აუყაყანდნენ, რვა ასამდის კაცი და ჯერ იმათი ყაყანი არ გათავებულა. მაინც ფული უნდა შემოიტანოს და ჩემს ნიჟარაძეს კაი ხანია მივსწერე, რომ რასწამსაც შემოიტანს, პირ და პირ თქვენ მოგართვათ ფოჩტით ჰომბურგში. ამ საშინელს სიცხეებში საწყალი ნიჟარაძე იქ არის, ჭურიაზედ და ჭალადიდსა და რაც კაცისაგან შესაძლებელია, უთუოთ შეიძლებს და მოახერხებს. და თუ ჩინოვნიკებიცა და ბუნებაც გვეწინააღმდეგა, რა უნდა გავაწყოთ. ის ძალა, რომელიც აღმართსა ჰხნავს, ჩვენს ხელში არ არის; მაშა სადამე მოთმინების მეტი სხვა იარაღი არა გვრჩება რა.

ღმერთსა ვჰსთხოვ თქვენს მშვიდობას, და უვნებელობას.

თქვენი უერთგულესი **დიმიტრი ყიფიანი**

## 75. კონსტანტინე ორლოვსკისადმი

მოწყალეო ხელმწიფეო,
კონსტანტინე ივანეს ძევ

მსურს რა ეკლესიის მშენებლობის დაწყება საკუთარ მამულში, სურამის უბნის სოფელ ქვიშხეთში, მაქვს პატივი, თქვენს აღმატებულებას უმორჩილესად ვთხოვო, ხარჯთაღრიცხვის შესადგენად და ადგილის მოსაზომად მოავლინოთ ტფილისის საქალაქო არქიტექტორის თანაშემწე, ბ-ნი ბელოი II,[1] რომელმაც ჩემი თხოვნით ეკლესიის გეგმა შეიმუშავა. თავისთავად ცხადია, ხსენებული გეგმა საბოლოო დამუშავების შემდეგ ჩემ მიერ საქართველოს მაღალუსამღვდელოეს ეგზარქოსს წარედგინება.[2]

ჭეშმარიტი...

24 ივლისი 1864.

ამასთანავე, გულწრფელად პატივსაცემო კონსტანტინე ივანეს ძევ, ბელოი II-ის აქ მივლინებით გამოგზავნის თაობაზე ცალკე ოფიციალურ წერილსაც გაახლებთ. თვითონ საქმე ღირსია თანადგომისა და, ვფიქრობ, ჩემი ამ თხოვნის დაკმაყოფილებას წინააღმდეგობა არ უნდა შეხვდეს.

ამას გარდა, ნება მიბოძეთ, მოგმართოთ კიდევ ორი, ოღონდ პირწმინდად ***კერძო*** და ***კონფიდენციალური,*** თხოვნით:

1. თუკი მომრიგებელ შუამავალთა კანდიდატების სიის შიდასაგუბერნიო წესით წარდგენის უფლება ჩამოგვერთმევა, მაშინ ამ საკითხზე თავადაზნაურობამ თავ-თავის დროზე სამაზრო შეკრებები უნდა მოიწვიოს. განზრახული მაქვს, ასეთ შეკრებებს შევთავაზო – რასაკვირველია, მაზრების წინამძღოლების მეშვეობით – რომ თავადაზნაურობამ საკუთარი შვილების აღზრდის საქმეს გარკვეული პროცენტები შესწიროს იმ თანხიდან, რომელიც გლეხობის კერძო გადასახადების სანაცვლოდ იქნება ასიგნებული.[3] კაპიტალი, რომელიც აქედან შეიქმნება, საშუალებას მოგვცემს, ჯერ ერთი, შევუმსუბუქოთ მთავრობას მის

მიერ გაღებული უზარმაზარი ხარჯი და საგიმნაზიო და საინს-ტიტუტო განათლებისკენ გზა გავუხსნათ იმ კანდიდატთა უმე-ტესობას, რომლებიც ამაოდ ელოდებიან ვაკანსიას; მეორეც — შევძლებთ ისე გავისტუმროთ ბალების, წვეულებებისა და სხვ. ვალები, რომ არ დაგვჭირდეს საკუთარ წრეებში ფულის საგან-გებო აკრეფა, რაც სათაკილოა ნებისმიერ შემთხვევაში და გან-საკუთრებით ძნელია ახლა, როცა ცხვირწინ გვიძევს შემოსავ-ლების მნიშვნელოვანი ნაწილის დაკარგვის საფრთხე. — კეთილი საქმისათვის წილის გაღება იმ თანხიდან, რომელიც გვეძლევა, გაცილებით ადვილია, ვიდრე იმავე ოდენობის ფულის ცარიელი ჯიბიდან ამოღება. იქნებ მიბრძანოთ, ხომ არ შეხვდება ამ აზრს რაიმე დაბრკოლება მთავრობის მხრიდან?

ახლა თავი და თავი საქმისა, რასაკვირველია, ისაა, თუ რა თანხას შესწირავს თავადაზნაურობა ჩემს წამოწყებას, ხოლო როგორ და რაში უნდა გამოვიყენოთ ეს ფული, შესაბამისი წე-სით წარდგინების მომზადებას თავის დროზე შევუდგები.

2. თქვენთვის კარგად არის ცნობილი, რომ საარსებო სახსრის მხრივ თავადაზნაურობის წინამძღოლობა სერიოზული სიძნელე-ების წინაშე მაყენებს. ჩემი შემოსავალი იმდენად მწირია, რომ ტფილისში კერძო პირის მდგომარეობაში ცხოვრების საშუალე-ბასაც კი არ იძლევა. მჭირდება დახმარება და აი, რა დახმარებას გთხოვთ: თქვენთვის ცნობილია ჩემი ბორჯომის მამულის საქმე.[4] რაც არ უნდა ხლართონ, რაც არ უნდა დაბრკოლებები შემიქმ-ნან, შეუძლებელია, სასამართლო პროცესი ჩემ სასარგებლოდ არ დამთავრდეს და, თუ ეს ასე არ მოხდა, მაშინ მე არაფერი მცოდ-ნია. საქმე ახლა ჩემთან შეთანხმებამდეა მიყვანილი. ოღონდაც ამას ყველაფერს ბოლო მოეღოს და სიამოვნებით დავთანხმდები დათმობებს, რამდენადაც კი ეს შესაძლებელია. თქვენ თვითონ განსაზღვრეთ, ჩემი მხრიდან სადამდე შეიძლება მივიდეს დათ-მობა, თუ გავიხსენებთ, რომ მე მეკუთვნის ამ მამულის მეათედი ანუ 17 000 დესეტინა და მისივე შემოსავლის მეათედი 1852 წლი-დან თავისი პროცენტებით. შემოსავალი მთლიანად გარკვეული მეტ-ნაკლებობით შემოდის წელიწადში დაახლოებით 30 000 მა-ნეთი. თვითონ მამულზე რომ არაფერი ვთქვათ, მარტო შემოსავ-

ლებიდან დღეისთვის ჩემი წილი მეკუთვნის დაახლოებით 40 000 მანეთი. მომცენ თუნდაც 30 000 და, როცა ამას სასამართლოს მეშვეობით მივიღებ, დანარჩენ ნაწილში წავალ იმაზე მეტ დათმობებზე, ვიდრე ეს სხვა შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი. – თუ თქვენ ამ საქმეში დამეხმარებით, ამით საშუალებას მომცემთ, ვიყო არცთუ უსარგებლო წინამძღოლი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება გაჭირვებამ მაიძულოს, ცნობილ პირთა გასახარად უარი ვთქვა წინამძღოლობაზე.[5]

თქვენი ყოვლად ერთგული **დ. ყიფიანი**

24 ივლისი 1864.

## 76. ევგენი ბელოისადმი

მოწყალეო ხელმწიფეო,
ევგენი ტიმოთეს ძევ

ამ წერილთან ერთად მივმართავ ბ-ნ სამოქალაქო გუბერნატორს, მოგავლინოთ ჩემს მამულში,[1] გორის მაზრის სურამის უბნის სოფ. ქვიშხეთში იმ ეკლესიისთვის ადგილის მოსაზომად და საძირკვლის ჩასაყრელად, რომელიც თქვენ მიერ არის დაპროექტებული; აგრეთვე, ადგილზევე ხარჯთაღრიცხვის შესადგენად.

უმორჩილესად გთხოვთ, მოწყალეო ხელმწიფეო, როცა ნებართვას მიიღებთ, აქ ჩამობრძანდეთ, რათა გამოვიყენოთ ზაფხულის დარჩენილი დრო, შევაჯეროთ ჩვენ-ჩვენი მოსაზრებები და შევთანხმდეთ სამუშაო განრიგის შესახებ.

ჭეშმარიტი პატივისცემით...

ნება მიბოძეთ, გთხოვოთ ზოგი რამ, თუ მათი შესრულება თქვენთვის ძნელი არ იქნება:

1. წამოსვლიდან ორი დღით ადრე, საღამოს 7 საათისთვის, ეწვიეთ ჩემს მეუღლეს; შეიძლება მცირე ზომის ამანათები გამოგატანოთ.

2. შეიარეთ გლაზერის მაღაზიაში, სემინარიის მოპირდაპირე მხარეს რომ არის, და ჩემთვის ოთხი კოლოფი უპმანის სიგარა გამოართვით, 7-მანეთიანები, ისინი, რომლებიც ჩემმა მოსამსახურემ ჩემი აქ გამომგზავრების წინ იყიდა; და

3. ამასთანავე, თუ ამ სპეციალური დავალების შესრულება არ გაგიჭირდებათ, გადაეცით გუბერნატორს თანდართული წერილი ქვების სატეხად თქვენს სახელზე თოფისწამლის გაცემის შესახებ და, თუ მოგცეს, თან წამოიღეთ.

[24 ივლისი 1864].

## 77. კონსტანტინე ორლოვსკისადმი

მოწყალეო ხელმწიფეო,
კონსტანტინე ივანეს ძევ

ვიწყებ ეკლესიის მშენებლობას საკუთარ მამულში, სოფ. ქვიშხეთში და საჭირო ხდება სამშენებლო მასალის ამთავითვე დამზადება. განსაკუთრებით ეს ეხება ქვის სამტეხლო სამუშაოს, რადგანაც ქვის ეკლესიის აშენება მაქვს გადაწყვეტილი.

ვინაიდან ამ საქმისთვის დამჭირდება თოფისწამალი თავდაპირველად არანაკლებ ერთი ფუთისა, მაქვს პატივი, უმორჩილესად ვთხოვო თქვენს აღმატებულებას, გასცეთ განკარგულება, გამოეყოს თოფისწამალი ქალაქის არქიტექტორის თანაშემწეს, ბ-ნ ბელოი 2-ს, თუ, რასაკვირველია, ჩემი გუშინდელი წერილის საფუძველზე მის აქ მოვლინებას რაიმე დაბრკოლება არ შეექმნება

ჭეშმარიტი პატივისცემითა და...

25 ივლისი [1864 წ.]

## 78. ეკატერინე დადიანისადმი

22 აუგვისტო 1864. სოფ. ქვიშხეთი.

უძვირფასესო დედოფალო,

დღეს ცხრამეტი დღეა რაც თქვენი წიგნი მივიღე 29 ივნისისა და რადგან სოფელში ვიმყოფები ამ უმაგალითოს სიცხეებში, პასუხის მოწერა აქამდისინ ვერ მოვახერხე და ახლა ქალაქს ვჰგზავნი, რომ იქ მისცენ ფოჩტაში. – მაგრამ რა მოგწეროთ: ახალი სრულიად არა მაქვს რა მოსაწერი ამის მეტი, რომ მოუთმენლად მოველი თქვენგან ერთს ამბავს: 5000 მანათი ჩაგბარდათ თუ არა პირსის მოწერილობით. პირსმა ფოთიდამ ლონდონში დეპეშა გაჰგზავნა, რომ ეს ფული ჩემმაგიერად დედოფალს ჩააბარეთო და პასუხი მოუვიდა, აღვასრულეთო. რასაც კონტრაქტით მოსაცემი არის, უნდა იქიდამ გამოურიცხოთ და მიგიღიათ თუ არა, ეს კი არ ვიცით. –

სხვა საქმეები ისევ იმ მდგომარეობაში არიან, როგორც იყვნენ.

მომავალის წლისათვის ჩემს პეტერბურღში მოსვლას მიბძანებთ და სწორეთ საჭირო არის მართლათ. წრეულსაც რომ მოხერხებულიყო, უსარგებლო არ იქნებოდა, მაგრამ წრეულ ეს დაუბოლოვებელი ჩვენი ბატონ-ყმობის საქმე არ მომცემს ნებასა. მერმისისათვის კი დაბრკოლებასა ვერასა ვჰხედავ, თუ ღმერთმა ინება. –

ღმერთსა ვჰსთხოვ უვნებელობას და თქვენის შვილების ბედნიერებას თქვენის სურვილისამებრ.

თქვენი უერთგულესი **დიმიტრი ყიფიანი**

## 79. თბილისის გუბერნიის მაზრების თავადაზნაურობის წინამძღოლებისადმი

მოწყალეო ხელმწიფე

კაცობრიობისათვის და ხელმწიფის ერთგულებისათვის დიდი მსხვერპლი გვეთხოვება: ჩვენი ბატონყმობის საქმე, ანგარიშით ამ მომავალს ნოემბერში უნდა დაბოლოვდეს. – კეთილგონიერება გვაწევს, რომ ახლა განსაკუთრებითი ყურადღება ჩვენის შვილების აღზრდაზედ მივაქციოთ, რადგან ჩვენს წარსაგებელს ისე ვერა აღადგენსრა და ვერა შეავსებსრა, როგორც ჰსწავლა და განათლება ჩვენის შთამომავლობისა. – აქ გვჭირდება სხვა მსხვერპლი საკუთრად ჩვენის საზოგადოობის სარგებლობისა და არსებობისათვის. ტფილისის გიმნაზიის პანციონში შესაყვანად ირიცხება ასამდის კანდიდატი; ინსტიტუტშიაც ირიცხება ოთხმოცდა ათზედ უმეტესი,[1] და ამათაგანი იქნება შევიდნენ წელიწადში ათ-ათი ან თორმეტ-თორმეტი. – დანაშთენთ გარდა სხვანი რამდენნი რჩებიან კიდევ შინ უსწავლელნი, რომ პატრონებს არა აქვსთ ღონე თავისის ხარჯით იმათის აღზრდისა; და ახლა ბატონყმობის საქმის შემდეგ რამდენთ უფრო გაუჭირდებათ, ეს თქვენის უეზდის მიხედვით თქვენ კარგათ მოგეხსენებათ. –

სხვა მრავალს მსხვერპლთან გავბედოთ ერთი ისეთი მსხვერპლიცა, რომ ჩვენს ძველის დროიდგან განთქმულს ქველის მოქმედებასა და კეთილ შობილობის ღირსებას შეეფერებოდეს და ერთი ერთმანერთს ხელი გაუმართოთ ჩვენის შვილებისა და შთამომავლობისა ჰსწავლასა და განათლებაზედ; დროებითი სარგებლობა ქვეშეურდოთ სამუდამო სარგებლობას.

საჭირო არის ფული და საჭირო არის ზრუნვა.

ფულის მოკრეფის განზრახვა რამოდენ გზისმე უწინაც წარმოთქმულა ჩვენს საზოგადოობაში. ამას გარდა ვალი გვმართებს – ველიკი კნიაზის ბალისა, ნასლედნიკის სადილისა, სახლის ქირისა, სადაც ჩვენი კენჭი მიდიოდა;[2] მაგრამ ახლანდელს დროში ფულის მოკრეფა სრულიად აღარ არის საფიქრებელი. –

ფული ჩვენ გვეძლევა ყმების სამსახურის სამაგიეროდ, ბევრი მოგვეცემა თუ ცოტა, ხელმწიფე იმპერატორის წყალობის ზომაზედ არის დამოკიდებული;[3] რაც მოგვეცემა, აქედან გადავსდვათ წილი რომელიმე, რომ ამ წილმა იტრიალოს ჩვენს საზოგადოობაშივე და იმის სარგებელით შევიყვანოთ გიმნაზიაშიც და ინსტიტუტშიაც ჩვენი ქალები და ვაჟები, ზოგი გაჭირვებულისა და ზოგი შემძლე დედმამის შვილები, და ვალებიც გავისტუმროთ.

მანათიდამ რომ ერთი აბაზი დავსთმოთ, მაშინ შევიძლებთ ვალების გასტუმრებასაც, რომელიც არის ათას სამას თუმნამდისინ, და ას ორმოცდა ათამდის ქალებისა და ვაჟების აღზრდასაცა.

ჩვენი საქმე ამითი ერთს კარგს ნაბიჯს გარდასდგამს დაწინაურების გზაზედ; და საქმე, ხომ მოგეხსენებათ, პირველი ნაბიჯია.

მზრუნველობა, ზედამხედველობა, კეთილზნეობის დანერგვა ამ ჩვენს ახალთ მოსწავლეთა შორის ვალად დავსდვათ ჩვენგანვე აღმორჩეულს პირებს, რომელნიც ტფილისში ჰმსახურებენ. –

ამაზედ დაწვლილებითის პროექტის შედგენა, მმართებლობის წინაშე შუამდგომლობა, და სხვა საქმის დასაწყობი განკარგულება სხვათა შორის ესეც, რომ თავნი მარად ხელუხლებელად იყოს და იმისი სარგებელი მხოლოდ ამ საქმესა ჰხმარდებოდეს, ეს ყოველივე საკუთრად ჩემი ვალი არის, დაწესებას შევადგენ და თავის დროზედ გაგაშინჯებთ.[4]

მხოლოდ მანათზედ აბაზი გადავსდვათ იმ ფულიდამ, რაც ყმების სამსახურის სამაგიეროდ გვებოძება. –

ამას მე ვითხოვდი საზოგადოობისაგან დიდის ვედრებით, მაგრამ ვიცი, რომ ჩვენს საზოგადოობას თხოვნა კი აღარ უნდა ამისი, მხოლოდ მოგონება უნდა. წინააღმდეგობას თუ ინებებს ვინმე, მე ამას ვერას დროს ვერ ვიფიქრებ და ქართველთ კეთილშობილებას მე ამას ვერა ვჰკადრებ.

მხოლოდ თქვენს ბრწყინვალებას მოვმართავ, რომ ეს ჩვენი ჰაზრი განავრცელოთ ჩვენს საზოგადოობაში და თუ უეზდის საზოგადოობის შეკრება მოხდება სხვა საჭიროებისათვის რის-

თვისმე, მაშინ ჩემად გარდასცეთ ეს ჰაზრი შეკრებილებასა და რასაც ინებებს, პროტოკოლი შეადგინოთ კანონთამებრ და მე მიბოძოთ თავის ადგილს წარსადგენად.

ერთს დაუმატებ კიდევ. – რა რომ საქმეს შეუდგებით, საფუძვლიანათ უნდა შეუდგეთ, რომ კეთილს განზრახვასა შედგომილებაც კეთილი დაჰყვეს.

საფუძველი ამ საქმისა ეს არის, რომ, თუ მოსალოდებელის ფულიდამ ნაწილს გავიმეტებთ ამ საქმისათვის, გავიმეტოთ არა ნაკლებ 20%, ესე იგი, მანათზედ ერთი აბაზი. – თუ შეკრებილებამ უმეტესის ხმით მეტი დააწესა, ეს უკეთესი, ოღონდ თანასწორიკი იყოს ყოველთათვის, რომ სხვა და სხვა ნაწილის დაწესებით ანგარიში არ დაბრკოლდეს. თუ უყმომ თავად-აზნაურთაგანმა ვინმემ ამ საქმეში მონაწილეობა ინება, ფული ცალკე უნდა შემოიტანოს, რასაც გამოიმეტებს. –

თვითან ჩვენი მარშალი რას იმეტებსო თუ იკითხა ვინმემ, მე დიდის სიამოვნებით გადავსდებ ნახევარს იმ ფულიდამ, რაც ჩემსა და ჩემის ძმების ოჯახს შეხვდება,[5] ესე იგი 50%. ერთის სიტყვით, რასაც უეზდის შეკრებილება დააწესებს, მეც სიხარულით თანა წარვხდები, ოღონდ ნაკლები არ იყოს მანათზედ აბაზისა.

ეს საქმე დიდი საქმეა ჩვენთვის და განსაკუთრებით თქვენგან, უძვირფასესო კნიაზო ............................,[6] დიდს შემწეობას ველი, რომ კეთილად წარიმართოს. –

სრულის პატივისცემით და ერთგულებით დავშთები
თქვენის ბრწყინვალების...

31 აუგვისტოს 1864.

## 80. ივანე ანდრონიკაშვილისადმი

კნიაზს ივან მალხაზის ძეს ანდრონიკოვს

ამასთანავე მომირთმევია პირი უეზდის მარშლებთან ჩემის მიწერილობისა საზოგადოს საქმეზედ, რომელსაც ამ პირიდამ განიხილავთ.

თქვენს ბრწყინვალებას განსაკუთრებით მივმართავ და კი არ გთხოვთ, შემეწიეთ მეთქი, შემთხვევას გაძლევთ საზოგადოობისათვის სასარგებლო საქმეში განმაცხოველებელი თქვენი მონაწილეობა მიიღოთ, თუ თქვენმა სახიერმა გულმაც სასარგებლოდ დაგანახვათ.

ულრმესი ერთგულებითა და პატივისცემით.......

[31 აგვისტო 1864.]

## 81. გრიგოლ ორბელიანისადმი

მოწყალეო ხელმწიფეო,
კნიაზო გრიგოლ დიმიტრის ძე

კერძოობითად მე იქნება დანაშაული მიმიძღოდეს რამე ისეთი თქვენს წინაშე, რომ ღირსი ვიყო წყრომისა, თუმცა კი დიდის სიამოვნებით შევინანიებდი, რომ ვიცოდე; — მაგრამ რაც მოჰხდა, მოჰხდა;[1] მარშალი ვარ ახლა და საკუთრად ამ წოდების ვალდებულებით მივმართავ თქვენს ბრწყინვალებასა: დიდს შემწეობას გევედრებით, არა ჩემთვის, არამედ საზოგადო საქმისათვის, რომელსაც, უეჭველია, ყურადღებასაც მიაპყრობთ და არც თქვენის კეთილის გულისაგან შეუწყნარებელად განაგდებთ.

პირი მომირთმევია ამასთანავე უეზდის მარშლებთან ჩემის მიწერილობისა[2] და საქმეს აქედამ მოიხსენებთ. თუ თქვენის სახიერის გრძნობით სასარგებლოდ ჰპოვოთ ეს საქმე ჩვენის საზოგა-

დოობისათვის, პირადს ჩემს დამდურებას ნუღარ გაიხსენებთ და თვით საქმეს დაავალეთ თქვენის სიტყვითა და მონაწილეობითა.

უღრმესის პატივისცემით და მარად ერთგულებით
დავჰშთები თქვენის ბრწყინვალების...

31-ს აუგვისტოს 1864.

## 82. ეკატერინე დადიანისადმი

21 სეკტემბერი 1864. სოფ. ქვიშხეთი.

უძვირფასესო დედოფალო!

თქვენი 31 აუგვისტოს წერილი დღეს მომივიდა. აქამდისინ სამენგრელოში არა გხლებივარ უმაგალითო სიცხეების მიზეზით და ამ თვის დამლევს კი ვაპირებ ჭალადიდსა და ფოთში მისვლას, რადგან იქ უფრო არის საქმეები, რომელსაც ჩემი დახედვა ჰსჭირდება. კოსტანტინეს ამბავი[1] მეც დიდი ხანია არა ვიცირა, მაგრამ მესმის, კარგათ არისო.

რამდენგზისმე გთხოვეთ და კიდევაცა გთხოვთ, ღვთის გულისათვის მაცნობეთ, პიერსისაგან ხუთასი თუმანი მოგივიდათ თუ არა.[2]

ჩვენი საქმეები მენგრელიაშიდ ახლა ცოტა უკეთ მიდის. ბარონისაგან კი ჩემის ფებერვალში შეტანილის ზაპისკისა ჯერ არა ვიცირა.[3] — ნოქალაქევის აბანოსი, მე აქამდისინ სრულიად არა ვისგან გამიგონია და არც თქვენ გიბძანებიათ, რომ თქვენი არის. ბატონიშვილები და მათ შორის არჩილიც[4] ამბობენ ჩვენიაო. თუ საბუთი გვაქვს, უნდა გვიბოძოთ, რომ ხელი მოვჰკიდოთ.

ჩემი უფროსი შვილი ახლა პეტერბურღში არის;[5] უნივერსიტეტის ეგზამენს ვერ მიუსწრო და მომავალის წლის აუგვისტომდინ გარეთ უნდა იყოს. მაქვს იმედი, რომ თქვენს ყურადღებასა და მფარველობას არ მოაკლებთ.

თქვენი უერთგულესი
**დიმიტრი ყიფიანი**

## 83. პეტრე სობოლშჩიკოვისადმი

მოწყალეო ხელმწიფეო,
პეტრე ივანეს ძევ!

კავკასიის სამედიცინო საზოგადოების თანხმობას, ჩამრიცხოს თავისი წევრ-კორესპონდენტების რიგებში,[1] ვიღებ ღრმა მადლიერებით და, თანახმად წესდების მე-18 პარაგრაფისა,[2] „საზოგადოებას“ ვწირავ 100 მანეთს.

29 ოქტომბერი 1864.

## 84. ეკატერინე დადიანისადმი

30 ოქტომბერი 1864. ტფილისი.

უგანათლებულესო კნეინა

ამ დღეებში ერთდროულად თქვენი ორი წერილი მივიღე: 27 აგვისტოსი და 17 სექტემბრისა. – ჩემთვის უაღრესად არასასიამოვნოა, რომ თქვენთვის, ნაცვლად 5500 მანეთისა, მხოლოდ 4125 მან. მიუტანიათ; არასასიამოვნოა იმდენად, რამდენადაც ეს თანხა ცოტაა. კურსის განსხვავებულობის გამო არათუ 875 მანეთის, ერთი კაპიკის დაკლებასაც კი ვერ შევეგუები. ბ-ნი პირსისგან 5525 მან. უნდა შემოსულიყო და, ნაცვლად იმისა, რომ ეს თანხა მას მეურვეობაში შემოეტანა, გადაწყვიტა, ფული თქვენთვის თვითონ გადაეცა; თანაც ამბობდა, რომ ამით გაგზავნისა და კურსის ხარჯებს ავიცილებდით თავიდან.

ამიტომაც მე მისგან მოვითხოვ, დამატებით არა 875, არამედ 1100 მან. გადაიხადოს.

პეტერბურგში იაგორას გაგზავნის შესახებ განკარგულება კარგა ხანია გავეცი და ალბათ უკვე გზაშია.[1]

ამ თვის დამდეგს, გზად სამეგრელოში მიმავალი, უკვე ქუთაისში ვიყავი, როცა იქ ესტაფეტა დამაწიეს[2] – ***სასწრაფოდ*** ტფილისში მიბარებდნენ. ამიტომ იძულებული გავხდი, იქიდან უკან მოვბრუნებულიყავი. აქ გაცხარებული მუშაობაა საგლეხო საქმეზე. რეფორმის გამოცხადება 8 ნოემბერს მოგვიწევს და, ადვილი წარმოსადგენია, რამდენი სამუშაო გვაქვს. არსებობს იმედი, რომ საქმე კეთილად წარიმართება და, თუ უსიამოვნებები მაინც მოხდება, ეს უსიამოვნებები იქნება უმნიშვნელო.[3]

მოუთმენლად ველი თქვენს ცნობებს პეტერბურგიდან.

გულწრფელი მოკითხვა ძვირფას თავადებსა და კნიაჟნას;[4] ამგვარადვე, ჩემს მეგობარ ევდოკია გაბრიელის ასულს.[5]

თქვენი ერთგული და უმორჩილესი მოსამსახურე

**დ. ყიფიანი**

## 85. ივანე და ვასილ ყიფიანებისადმი

მოწყალეო ბატონებო,

ივანე ზაქარიას ძევ და ვასილ იოსების ძევ

ჩემი სურვილია, ბოლო მოეღოს სოფლების: მონასტრის, ქვიშხეთის, ტაშისკარისა და გამოღმა ახალდაბის მიმდებარე ტყეების დაუნდობელ განადგურებას. ამ ტყეების მესამედი მეკუთვნის მე, ხოლო დანარჩენი სხვა პირებს, რომლებიც აქ არ იმყოფებიან და ამიტომ არც იციან, ჩემს საკუთრებასთან ერთად როგორ ნადგურდება მათი კუთვნილი ტყეები.

მხედველობაში მაქვს ის გარემოება, რომ თითქმის ორი წლის განმავლობაში არ შეწყვეტილა არც ჭრა, არც ხის მასალის გამოტანა და ეს მაშინ, როცა მე ნებართვა მქონდა გაცემული, გამოეტანათ მხოლოდ ის, რომელიც კარგა ხნის წინ იყო მოჭრილი. ასეთი უწესრიგობის დაშვება ჩემი და ჩემი თანამესაკუთრეების ქონების დატაცება-განიავების წაქეზება იქნებოდა. ამიტომ გთხოვთ,

საკუთარ თავზე აიღოთ ხსენებულ ტყეებში ხეების ჭრისა და გამოტანის კატეგორიული აღკვეთა. გამონაკლისია ნაყარი ხე-ტყე, რომელიც ხსენებული სოფლების მცხოვრებლებს აუცილებლად სჭირდებათ გასათბობად და რაიმე სპეციალურ განკარგულებამდე მათი ეს უფლება რჩება ძალაში. რაც შეეხება უკვე მოჭრილ სამშენებლო ხე-ტყეს, მისი გამოტანის უფლება უნდა მიეცეს მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც ჩემ მიერ ან ჩემი ბეჭდით გაცემულ ბილეთებს წარმოადგენენ. – რასაც თქვენ ამ საქმეში კანონიერად გადაწყვეტთ, მივიღებ უდავოდ და სიტყვის შეუბრუნებლად.

13 ნოემბერი 1864 წლისა.

წინამდებარე მინდობილობა ეკუთვნის ჩემს ბიძაშვილს, ივანე ზაქარიას ძესა და ძმისშვილს, ვასილ იოსების ძე ყიფიანებს.

## 86. ზაქარია (ზაალ) [ბარათაშვილისადმი]

მოწყალეო ხელმწიფეო,
თავადო ზაქარია დავითის ძევ,

გიგზავნით რა ამ წერილთან ერთად თავადაზნაურობისადმი ჩემი მიმართვის 300 ეგზემპლარს,[1] მაქვს პატივი, თქვენო ბრწყინვალებავ, უმორჩილესად გთხოვოთ: ეს ეგზემპლარები დაურიგდეს თქვენდამი რწმუნებული მაზრის ყველა თავადური და აზნაურული ოჯახის უფროსს.

ამის შემდეგ დაველოდები თქვენს შეტყობინებას, თუ რომელი თარიღი იქნება თქვენთვის ყველაზე უფრო მოსახერხებელი სამაზრო ყრილობის მოსაწვევად.

ჩვენ, თავადო, როგორც წინამძღოლებს, გვაკისრია წმიდათაწმიდა მოვალეობა, სწორი და კანონიერი საშუალებებით წინ გავუძღვეთ თავადაზნაურობას ზნეობითი განვითარებისა და შესაძლებელი კეთილდღეობის გზაზე.

დღევანდელ ვითარებაში შესაძლებლობა არა გვაქვს, საზოგადოებას შევთავაზოთ სხვა რამ, გარდა იმისა, რომ დავაარსოთ ბანკი, რომლის მხარდაჭერის ტვირთსაც ჩვენ თვითონ ავიღებთ საკუთარ თავზე და რომლის მოგების განსაზღვრულ ნაწილსაც ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს მოვახმართ. სწორედ ეს არის საშუალება, რომელსაც განათლების გზაზე ჩვენი განუწყვეტელი წინმსვლელობის უზრუნველყოფა შეუძლია.

წესების დადგენა ჩვენზეა დამოკიდებული და ამ წესების ძირითად საფუძველს თქვენთან მოთათბირების შემდეგ პირადად შემოგთავაზებთ თავადაზნაურობის სამაზრო ყრილობაზე საკითხის განხილვისას.[2]

ახლა მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ამ საქმის დაყოვნება დაუშვებელია, დაჩქარება კი უშუალოდ თქვენზეა დამოკიდებული.

დაველოდები, თქვენო ბრწყინვალებავ, როდის შემატყობინებთ თქვენთვის ხელსაყრელ თარიღს და ამის შემდეგ გაცნობებთ სამაზრო ყრილობის მოწვევის თაობაზე მთავრობის ნებართვის შესახებ.

გთხოვთ ერწმუნოთ თქვენდამი ჩემს ჭეშმარიტ
პატივისცემასა და ერთგულებას
**დიმიტრი ყიფიანი**

19 ნოემბერი 1864 წ.

## 87. ალექსანდრე ნიკოლაისადმი

მოწყალეო ხელმწიფეო,
ბარონო ალექსანდრე პავლეს ძევ

ტფილისის სამოქალაქო გუბერნატორმა[1] ა. წ. 4 აგვისტოს თარიღით (№11737) გადმომიგზავნა ასლი თქვენი აღმატებულების 27-28 ივლისის (№2397) მითითებისა, რომელიც ეხება

ჩემს მონაწილეობას თავად თარხანოვებისა და მათი დის, კნეინა აბაშიძის, საქმეში.

მაქვს რა თქვენი აღმატებულების ღრმა პატივისცემა, ამასთანავე, უყურადღებოდ ვერ დავტოვებ იმას, რომ, როგორც ჩემი შუამდგომლობის შინაარსმა, ისე მასზე გაცემულმა პასუხმა ერთგვარი – ცხადია, არა წინასწარგანზრახული – გაუგებრობა გამოიწვია. ამან კი, თავის მხრივ, ჩემი წინამდებარე ახსნა-განმარტების საჭიროება წარმოშვა. საქმე ისაა, რომ ჩემი შუამდგომლობიდან დამოწმებული გარემოებები ან საერთოდ არ არსებობს, ან – სავსებით დამახინჯებულია.

იმედს ვიტოვებ, რომ თქვენი აღმატებულება კეთილგანწყობით მიიღებს წინამდებარე განმარტებებს და მათი წაკითხვის შემდეგ გაამართლებს ჩემს განზრახვას – ეს განმარტებები პირდაპირ და უშუალოდ, ***ხელიდან ხელში,*** გადმოგცეთ.

1. თქვენს მითითებაში ნათქვამია, რომ ჩემი შუამდგომლობა ***„ძირითადად და არსებითად*** მოიცავს ***ორ*** საკითხს: 1. თავად თარხანოვებისა და მათი დის რწმუნებულთა სამოქალაქო გარიგების გაუქმებასა; და 2. გამიჯვნის საქმეში მინდობილობათა ახალი წესების დადგენას“.

მაგრამ ჩემს ქაღალდში შუამდგომლობა გარიგების გაუქმების შესახებ ***არ არის.*** იქ მხოლოდ ის არის ნათქვამი, რომ თავად თარხანოვების შემთხვევამ გამოააშკარავა გამიჯვნასთან დაკავშირებული საქმისწარმოების წესებში არსებული გაუგებრობა, კერძოდ – გამიჯვნისას უფლებამოსილების გადაცემის საკითხი. ამ გაუგებრობამ, შესაძლოა, სხვა მიწათმფლობელებს, თავადებსა და აზნაურებს, მსგავსად თარხანოვებისა, მოულოდნელად დააკარგვინოს საკუთრება და, თანაც, მოუსპოს უფლებათა ძიებისა და დაცვის ყოველგვარი საშუალება.

ჩემი წარმოდგენით, ამაში მდგომარეობს თავადაზნაურობის მნიშვნელოვანი ***ინტერესი,*** ანუ – კანონის ენით რომ ვთქვათ – ამ გაუგებრობის აღმოფხვრაში მდგომარეობს, ჩვენთვის ამ მძიმე წუთებში,[2] თავადაზნაურობის მნიშვნელოვანი ***სარგებელი*** და ***საჭიროებანი.*** სწორედ ამის გამო ვიკისრე შუამდგომლობა.

რაც შეეხება მეორე საკითხს, რომელიც თქვენს მითითებაში მიჩნეულია ***უპირველესად*** და ***უმთავრესად,*** ანუ, რაც შეეხება გარიგებას, ჩემს წარდგინებაში ამის შესახებ არც თხოვნაა რაიმე და არც – შუამდგომლობა. მე იქ გამოვთქვამ მხოლოდ პირად მოსაზრებას, რომელიც გამოხატულია შემდეგი სიტყვებით:

„რაც შეეხება საკუთრივ იმ საქმეს, რომელიც გახდა ***მიზეზი*** ჩემი შუამდგომლობისა, თავს ნებას მივცემ, ვთქვა: შემდგარი გარიგების გაუქმება უფრო შესაბამისი ***იქნებოდა*** მართლმსაჯულების მიზნებისა, ვიდრე აშკარა დარღვევის ძალაში დატოვება“.

საქმის თაობაზე დღესაც ამ აზრზე ვარ, თუმცა საკუთარი თავისთვის ოდნავადაც კი არ მიმიცია და არც მომავალში მივცემ უფლებას, ***ვიშუამდგომლო*** დარღვევაზე აგებული გარიგების გაუქმებაზე;[3] და ეს იმიტომ, რომ შეუძლებელია არ მესმოდეს შუამდგომლობის უადგილობა იქ, სადაც გადაცდომისა თუ დანაშაულის გამოაშკარავება მხოლოდ მთავრობის წინაშე უნდა მოხდეს.

შემდეგ: ჩემი შუამდგომლობა მაინც შეფასდა კერძო პირისთვის გაწეულ შუამდგომლობად და, ამდენად, ***უადგილოდ,*** რადგანაც „კერძო პირები ვალდებულნი არიან, საკუთარი უფლებები სასამართლოს წინაშე დაიცვან თვითონ“.

მიზეზი ასეთი შეფასებისა თავისთავად სავსებით სამართლიანი და კანონიერია, როგორც შესაბამისი ზოგადი წესისა, თუმცა მე შუამდგომლობას ვუწევ არა თავად თარხანოვებს, არამედ თავადაზნაურობის დანარჩენ წევრებს. თუკი მათ, თითოეულს, მიუდგებიან, როგორც ცალკე აღებულ ინდივიდებს ან ცალკე აღებულ იურიდიულ პირებს, მაშინ ხსენებული ზოგადი წესი ვერც მათ მიმართ იქნება გამოყენებული. თარხანოვებთან დაკავშირებით ჩვენ აშკარად საქმე გვაქვს განსაკუთრებულ შემთხვევასთან:

თარხანოვებმა დაკარგეს მამული. ყველას – მათაც და მეც – შეგნებული გვაქვს უფლებრივი უპერსპექტივობა და დანაკარგის გარდაუვალობა, თუ მათ ხელისუფლება არ გამოესარჩლება.

ამგვარივე დანაკარგი შეიძლება სხვა მრავალმაც განიცადოს. სად და როგორ ეძებონ სამართალი, ეს არც მათ ეცოდინებათ და არც მე ვიცი, რომ მივუთითო:

სამიჯნე პალატა მათგან ვერც საჩივრებს მიიღებს და ვერც საქმეს მისცემს მსვლელობას, რადგანაც საკუთრივ გამმიჯნავ დაწესებულებებს ბრალი არაფერში მიუძღვით. ასე რომ, ჩივილი სამიჯნე პალატაში ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული; სხვა დაწესებულებებს კი უფლება არა აქვთ, შევიდნენ გამიჯვნასთან დაკავშირებული საქმეების განხილვაში. რჩება სისხლის სამართლებრივი დევნა, თუმცა მსგავსი ფორმით დარღვეული ქონებრივი უფლების აღდგენა ვერც ამ გზით მოხერხდება. მაშასადამე, შეიძლება ბევრი აღმოჩნდეს ისეთ გამოუვალ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც თავადი თარხანოვები აღმოჩნდნენ. –

მსგავს შემთხვევებში რომელ სასამართლოში და რა წესით უნდა დაიცვან მათ თავიანთი დარღვეული ქონებრივი უფლება? აი, საკითხი, რომელზედაც ვერც ერთ წარმომადგენელს იმ ფენისას, რომლის წინამძღოლიც მე გახლავართ, დამაკმაყოფილებელ რჩევას ვერ მივცემ. და ეს იმიტომ, რომ საკითხის გარშემო რაიმე სახელმძღვანელო საფუძველი არც ამჟამად არსებობს და არც მომავალში იქნება, სანამ მთავრობა არსებული წესების ახსნა-განმარტების მეშვეობითა და ამ წესების სულისკვეთებასა და განზრახულებებზე დაყრდნობით ხსენებულ გაუგებრობას არ აღმოფხვრის. ხსენებული გარემოება კი, თავის მხრივ, გამოუვალ მდგომარეობას წარმოშობს.

თუკი მსგავსი ახსნა-განმარტებები რთულ, კანონმდებლობასთან დაკავშირებულ, შრომას მოითხოვს, მე, რასაკვირველია, შეიძლება შეცდომა დავუშვა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი, მგონია, არ უნდა შეგვეშინდეს, ამგვარი ახსნა-განმარტებების აუცილებლობის შესახებ ხელისუფლების წინაშე ***განვაცხადოთ.*** ამგვარი განცხადების მიზანი ხომ მხოლოდ ის იქნება, ხელი შევუწყოთ სამთავრობო ზომების სწორ მსვლელობასა და კანონდებულების გაუმჯობესებას.

რაც შეეხება კერძო პირზე შუამდგომლობის უფლებას...

თუკი წევრები იმ ფენისა, რომლის წინამძღოლიც მე ვარ, ვერ იპოვიან გზას მართლმსაჯულებისაკენ ან მართლმსაჯულების აღსრულების გზაზე წააწყდებიან დაბრკოლებებს საკუთარი გაუნათლებლობის, უძლურების, სახსრების უკმარისობისა და სხვ. და სხვ. მიზეზით, ასეთ შემთხვევაში თქვენი აღმატებულება, ვფიქრობ, დამეთანხმება: როცა გუბერნიის წინამძღოლი საქმეში მონაწილეობს იმით, რომ საშუალებას მოკლებულთა გასაჭირი პირადი შუამდგომლობის მეშვეობით მთავრობის ყურამდე მიაქვს, ამით იგი იმავე მთავრობას თავისი მფარველობითი მოვალეობის აღსრულებაში ეხმარება. ამიტომაც ძნელი წარმოსადგენია, ამის გამო იგი კიცხვის საგნად იქცეს.

3. მითითებაში (№2397) ჩემ მიერ გაწეული შუამდგომლობა მიჩნეულია „კიდევ უფრო მეტად ***უადგილოდ,*** რადგანაც ადმინისტრაციული ორგანოები ***სამიჯნე პალატის წინააღმდეგ აღძრული საჩივრის*** განხილვაში ვერ შევლენ“.

მაგრამ ჩემს წარდგინებაში ***არ არის იოტისოდენა სამდურავიც კი*** სამიჯნე პალატის წინააღმდეგ. აი, რა არის სიტყვა-სიტყვით ნათქვამი ჩემს წარდგინებაში:

„საშუამავლო სასამართლომ... უარყო მეძიებლობა კნეინას მხრიდან, თუმცა საშუამავლო ჩანაწერში ***არ იყო ნათქვამი,*** რომ გადაწყვეტილება არ უნდა დაექვემდებაროს აპელაციას და ***ამიტომაც*** პალატამ გაყოფა-განაწილება გააუქმა“.

შემდეგ: „ასე და ამგვარად, სამიჯნე პალატას ***უკვე აღარ ჰქონდა საბაბი,*** შესულიყო საქმის განხილვაში და გარიგების ჩანაწერი კომისიას გადასცა აღსასრულებლად“.

თქვენი აღმატებულება ინებებს და დამეთანხმება: ეს სიტყვები შეიცავს არა საჩივარს, არამედ თანამიმდევრულ ახსნას, თუ რა გააკეთა პალატამ თავისი პირდაპირი მოვალეობის აღსრულებისას.

4. ჩემ გარდა ბრალი თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოსაც ედება:

მითითებაში ნათქვამია, რომ „დეპუტატთა საკრებულოს ***უფლება არა აქვს,*** შეეიდეს თავისი ფენის ინტერესთა შესახებ მსჯელობაში, თუმცა მან ***ეს მაინც დაუშვა*** თარხანოვების თხოვნით“.

მაგრამ დეპუტატთა საკრებულოს იოტისოდენადაც კი არ დაუშვია ეს და ***არ ჰქონია არავითარი მსჯელობა*** ამ საქმესთან დაკავშირებით.

თუ ჩემს ქაღალდში ნათქვამია, რომ ჩემთვის გადმოცემული თხოვნის წინასწარ განხილვაში თავადაზნაურობის ***დეპუტატები*** ჩავრთე, ამ შემთხვევაში, უნდა ვაღიარო: მაშინ საჭიროდ არ ჩავთვალე მიმეთითებინა, რომ მე მათ მივმართე ***პირადად,*** როგორც ჩემს უახლოეს თანამშრომლებს. – თუკი შენიშვნა უნდა გადაეცეს არა საკრებულოს, რომელიც, როგორც დაწესებულება, ამ საქმესთან არაფერ შუაშია, არამედ თავადაზნაურობის ***დეპუტატებს,*** მაშინ ხომ არ იქნებოდა ეს ტოლფასი იმისა, რომ მათ ეკრძალებათ წოდებრივი ფენის საქმეებზე თათბირი და მსჯელობა თავადაზნაურობის წინამძღოლთან? და, ასეთ შემთხვევაში, ხომ არ ჩნდება საჭიროება, რომ მათაც და მეც მიგვითითოთ ამგვარი აკრძალვის საფუძველზე?

5. მითითებაში ისიც არის ნათქვამი, რომ „თავადაზნაურობის საკრებულოს, განსაკუთრებულ შემთხვევებში კი გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლს, გუბერნიის ხელმძღვანელობის ან უმაღლესი ხელისუფლების წინაშე წარდგინების უფლება ეძლევათ ***მხოლოდ*** თავისი წოდებრივი ფენის სარგებელთან და საჭიროებებთან დაკავშირებით, ხოლო კანონდებულებასთან დაკავშირებული გაურკვევლობისა თუ ხარვეზების განსჯა და შუამდგომლობა დაკანონებულის ***გაუქმების*** შესახებ მათ კანონით არა აქვთ მინიჭებული. ... ამიტომაც შუამდგომლობა ***სცილდება*** კანონით მინიჭებულ უფლებათა ფარგლებს“.

აქ, ჯერ ერთი, საკრებულოსა და გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის უფლებებისთვის დადებულია ისეთი ზღვარი, რომელიც არ არის კანონმდებლობაში და რომლის მიღმაც რჩება წოდებრივი ფენის სარგებელიცა და საჭიროებებიც; მეორეც: ისევ მოყვანილია გარემოება, რომელიც, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, ***არ არის*** ჩემს წარდგინებაში; და, მესამე: ჩემ დასადანაშაულებლად გამოყენებულია – თუ ნებას მიბოძებთ, მოგახსენებთ – არცთუ აწონილ-დაწონილი გამონათქვამები.

შევეცდები შეძლებისდაგვარად მოკლედ მოგახსენოთ სამივე პუნქტის შესახებ:

ა) თქვენს მითითებაში აღიარებულია, რომ გუბერნიის წინამძღოლს ***აქვს უფლება,*** იშუამდგომლოს თავადაზნაურობის სარგებლისა და საჭიროებების თაობაზე.

ხოლო თუ თავადაზნაურობის ამწუთიერ ცხოვრებაში სარგებელი და საჭიროებები გარემოებათა გამო ახალ დადგენილებებსა და ახალ წესებში არსებული გაურკვევლობისა თუ ბუნდოვანების აღმოფხვრას უკავშირდება, ხომ არ ინებებდით გელიარებინათ, რომ, მომავალში სახელმძღვანელოდ, თავადაზნაურობის წინამძღოლის შუამდგომლობის დაგმობისთვის თან უნდა დაგერთოთ მითითება იმ კანონზე, რომელიც კრძალავს ამგვარ შუამდგომლობას. ჩემდათავად კი დღეს მოქმედ დადგენილებებში ვერსად წავაწყდი ვერც თქვენ მიერ ნახსენებ სიტყვას – „მხოლოდ“ და ვერც სამართლის იმგვარ დეფინიციას, რომელიც თქვენ თქვენს მითითებაში მოგყავთ.

ბ) ჩემს შუამდგომლობაში არ არის არც ერთი სიტყვა, რომელიც შეიძლება კანონის ***გაუქმებაზე*** მიანიშნებდეს. როცა საქმე თავადაზნაურობის სარგებელსა თუ საჭიროებებს ეხებოდა, იქნებ ვცდებოდი კიდევაც, თუმცა, სანამ შეცდომაზე არ მიმითითებდნენ, ვფიქრობდი, რომ მქონდა კანონიერი უფლება შუამდგომლობის აღძვრისა. მე ვითხოვდი და ამჟამადაც ვითხოვ არა ***კანონის გაუქმებას,*** არამედ ამჟამად არსებული წესების შევსებას ან ახსნა-განმარტებას ისეთი გაუგებრობის აღმოსაფხვრელად, რომელმაც შეიძლება დაბრკოლება შეუქმნას კანონის როგორც მორალური მხარის, ისე მისი სულისკვეთების გაგებას; ისეთი გაუგებრობის აღმოსაფხვრელადაც, რომელმაც შეიძლება ყოველდღიურად გაანადგუროს მიწათმფლობელთა ქონებრივი უფლება, თანაც ხელისუფლების იმ მფარველობითი ორგანოების, ასე ვთქვათ, თვალწინ, რომელთა მოვალეობა ამ უფლების დაცვაა. ქონებრივი უფლების გაუქმება არის სწორედ ის საგანგებო შემთხვევა, რომლის წინასწარ განჭვრეტისას კანონი თავადაზნაურობის წინამძღოლს უფლებამოსილე-

ბას ანიჭებს ან ნებას აძლევს, მიმართოს უმაღლეს მთავრობას; და

გ) როდესაც თანამდებობის პირზე, ვინც არ უნდა იყოს იგი, ვამბობთ: თავისი მოქმედებით მისთვის კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებას ***სცდებაო***, ეს ნიშნავს, რომ მას ბრალად ვუყენებთ ***ძალაუფლების გადამეტებას,*** ანუ ვამხელთ მეტად მძიმე დანაშაულში.

რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, მიმიძღვის თუ არა ბრალი ამგვარ დანაშაულში; არც იმაზე, კანონის მიხედვით, რა უნდა უძღოდეს წინ ასეთ ბრალდებას, არ შემიძლია გავუჩუმდე ერთ ასეთ გარემოებას: მხოლოდ მმართველ სენატს აქვს გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლისთვის ამგვარი ბრალდების წაყენების უფლება. –

წარმოგიდგენთ რა ამას ყოველივეს პირადად და უშუალოდ, მაქვს პატივი, თქვენს აღმატებულებას უმორჩილესად ვთხოვო: თუკი ამ ახსნა-განმარტებას არ ჩათვლით საფუძველს მოკლებულად, გთხოვთ გასცეთ სათანადო განკარგულება, რათა ჩემი ეს შუამდგომლობა იქცეს სათანადო ყურადღების საგნად, ხოლო მისი შემდგომი მსვლელობის შესახებ თავის დროზე ჩამაყენოთ საქმის კურსში.

ღრმა და უცვლელი პატივისცემითა და სრული ერთგულებით,
მაქვს პატივი, ვიყო თქვენი აღმატებულების...

20 ნოემბერი 1864.

კ ო ნ ფ ი დ ე ნ ც ი ა ლ უ რ ა დ

მოწყალეო ხელმწიფეო,
ბარონო ალექსანდრე პავლეს ძევ

გადავწყვიტე რა, თანდართული ქაღალდი თქვენს აღმატებულებას გადავცე ხელიდან ხელში, უმორჩილესად გთხოვთ: თუკი

მისი წაკითხვის შემდეგ ჩათვლით, რომ ჩემს ადგილზე თქვენც ასე მოიქცეოდით, მიიღეთ იგი კეთილგანწყობით. ყოველ შემთხვევაში, მზად ვარ გავყვე იმ რჩევას, რომელსაც თქვენ მომცემთ.

უღრმესი...

20 ნოემბერი 1864.

## 88. ეკატერინე დადიანისადმი

20 ნოემბერი 1864. ტფილისით.

მოწყალეო დედოფალო!

თქვენი უკანასკნელი წიგნი მებოძა ისევ ჰომბურხიდამ 15-ის ოკტომბრისა. მას მერმეთ თქვენი ამბავი აღარა ვიცირა, თუმცა კი მწერდით, პეტერბურხში წასვლას რომ დავადგებით, შეგატყობინებო. აქაური ამბავი, ესე იგი, ჩვენის საქმეებისა, ზოგი საწუხარი უნდა მოგახსენოთ და ზოგი სასიამოვნო. — საწუხარი ეს არის, რომ ოკტომბერში ახირებული წყალდიდობა იყო, რომ ამ გვარს არა ვინ მოსწრებია. ცხენის წყალი გამოვიდა ნაპირებიდან, მურის ტბაზედ გადიარა და ისე მოგლიჯა თურმე, რომ ახლა ადგილიც აღარ ჩანს თურმე ტბისა და რა საკურველია თევზი აღარა დარჩარა. დათა ჩიქოანი იწერება, სადაც იყო, იქ გაკეთება აღარ შეიძლება და იმას ზევით კი შეიძლება და როგორ ინებებთო. — სასიამოვნო ამბავი ეს გახლავს, რომ მიხაილ იეგორიჩი,[1] რა რომ თქვენგან დაბრუნდა, ძალიან კარგათ თურმე არის ჩვენს საქმეებზედ. ჭკუაზედ თქვენ დაგიყენებიათ, ეტყობა, თორემ მე ვერა გავიყვანერა ვერც დატკბობით და ვერც დამდურებით. თუ ის კარგათ და სვინიდისიანად იქნება, მე რა მიზეზი მაქვს, რომ მეც კარგათ არ ვიყო. მრთელს ქვეყანაზედ ვერა ვინ იტყვის, რომ უსიამოვნობა მე დამეწყოს ვისთვისმე, მაგრამ

უსამართლოებასაც ვერა ვის დაუთმობ, თუ თვითანვე არ გამოასწორა საქმე.

ნიჟარაძე აი რას მწერს თქვენი იაგორასას: „თქვენი წიგნი გაუგზავნე და მეც მივსწერე კოსტანტინესო,[2] მაგრამ პასუხი არ მიმიღიაო. თვითან მივედი და ვერ ვნახეო. იაგორა ვნახე და ასე მოგახსენათ, ეხლა წასვლის ძრიელ მეშინია, სიცივეები არისო და ნაალდგომევს წავალო. მე სეკტემბერშიდ უთხარი იმასაც და კოსტანტინესაც, რომ უსათუოდ წამოსულიყო, მაგრამ მაშინაც აგრე ჰსთქვაო“.

კოსტანტინეს ამ დღეებშიდ აქ მოველით და მოველაპარაკები.

ჩვენი ბატონყმობის საქმე მშვიდობიანად გათავდა. მოგხსენდებოდათ. – მე ძალიან გაბმული ვარ საქმეებში და ამისგამო სამასი მანათი ხარჯი ემატება ოპეკას პისმოვოდიტლისათვის.[3] უმისობა ველარ მოვახერხე.

თქვენი უერთგულესი **დიმიტრი ყიფიანი**

ბატონს ნიკოს, ანდრიას და კნიაჟნა სალომეს[4] გულითადს პატივისცემას მოვახსენებ.

## 89. იული ვიტესადმი

თქვენი აღმატებულების ა. თ. 16 რიცხვის (№5550) წერილზე,[1] მაქვს პატივი, გიპასუხოთ, რომ დღემდე არავის არაფერი შეუტყობინებია ხაზინასთან ჩემი სასამართლო დავის 29 მაისს შეჩერების შესახებ. ამიტომ წარმოდგენა არა მაქვს, კონკრეტულად რა ტიპის შეთანხმებას უნდა დავთანხმდე.

თუ შეთანხმების მიზანი ის არის, რომ საქმე მშვიდობიანი მორიგებით დასრულდეს, ჩემი გულწრფელი სურვილიც ეს არის, მაგრამ ასეთ შემთხვევაში, ვფიქრობ, აუცილებელია ისეთი გა-

დაწყვეტილება, რომელიც არ შემზღუდავს იმ წესებით, სახაზინო ინტერესებთან დაკავშირებულ სამომრიგებლო საქმეებს რომ ახლავს ხოლმე.

თუ მიზანი შეთანხმებისა ის არის, რომ საქმეში ჩართულნი იყვნენ თავადი ავალოვები და ჩემ წინაშე პასუხისმგებლობა გადავიდეს მათზე, მე ამას არ დავთანხმდები იმ გარემოებათა გამო, რომლებიც უკვე განხილული და გადაწყვეტილია უმაღლესი სასამართლო ინსტანციის მიერ.

რა მიზნითაც არ უნდა იყოს განპირობებული განზრახული შეთანხმება, ყველა შემთხვევაში იგი ჩემ მიერ კი არ არის შეთავაზებული, არამედ აქეთ შემომთავაზეს. შესაბამისად, შეთანხმების პირობები კი არ უნდა მომთხოვონ, არამედ — წარმომიდგინონ; მით უმეტეს, ჩემი უფლება უკვე სასამართლო გადაწყვეტილებითაა დადასტურებული. ეთანხმება თუ არა ხაზინა ამ გადაწყვეტილებას ან მოითხოვს თუ არა ჩემგან დათმობებსა და თუ მოითხოვს — კერძოდ, რას, მე ეს არ ვიცი. ამიტომაც არ შემიძლია, რამე გიპასუხოთ შემოთავაზებულ წინადადებაზე.

გთხოვთ ერწმუნოთ თქვენდამი ჩემს
პატივისცემასა და...

22 ნოემბერი 1864.

## 90. ეკატერინე დადიანისადმი

27 ნოემბერი 1864. ტფილისით.

უძვირფასესო დედოფალო!

თქვენი 7-ის ამ თვის წიგნი გუშინ მივიღე და ვმადლობ ღმერთსა, რომ მშვიდობით ბძანდებით. დიდად მოხარული ვარ, რომ

ჩემი შვილი მოგწონებიათ.[1] მეც ღირსად მიმაჩნია თქვენის ყურადღებისა. –

ბატონყმობის საქმე 8-ს ნოემბერს გამოცხადდა; ურიგობა და უწესოება სრულიად არა მომხდარა რა და იმედია, რომ არც მოხდეს. ვლ. პეტ-ს[2] რომ უთქვამს ჩემი, ჯილდოს უმზადებთო, იმავე 8-ს მომივიდა, მაგრამ ლაპარაკი ამაზედ საჭირო არ არის. მე თითქმის რვა წელიწადს ვიყავ ამ საქმეში[3] და ჩემოდენი ჯაფა არა ვის გადახდენია; მაგრამ ჯილდოსათვის სულ არ მიფიქრია და იმიტომაც სხვებს ყველას მეტი მოუვიდა ჩემზედ.[4]

თქვენი იაგორას ამბავი[5] მოგახსენეთ, რომ ამ ზამთარს აღარ წამოვიდა.

თქვენი საქმეებისა ისევ ის უნდა მოგახსენოთ, რაც ადრევაც მოგახსენეთ რამთენჯერმე: ჯერ აქამდისინ არა ფერი პასუხი არა არისრა თებერვლის 4-ს შეტანილის ზაპისკისა.[6] მხოლოდ ეს კი მესმის, რომ საბატონო კაცების სამსახურისა და გადასახადის დასაფასებლად კომმისიას აღარა ჰნიშვნენ, რადგან, რა რომ საქმე გაშინჯეს, ნახეს, რომ ჩემგან წარდგენილს საქმეში არის ყოველივე საბუთი და აქ აპირებენ, დეპარტამენტში, აცენკის შედგენას ჩემის დასწრებით;[7] როდის ინებებენ, არ ვიცი. ერთის სიტყვით და შემოკლებით მოგახსენებთ ჩვენის საქმის მდგომიარებას:

В июне 1859 года изданы Высочайше утвержденные правила для действий Опеки.

За точное исполнение этих правил Опека подверглась всевозможным стеснениям и дело в 1861 году разсматривалось в Кавказском Комитете.

В апреле 1861 года последовали новые Высочайшие повеления; но их здесь не исполнили. – В декабре тогож 1861 года ещё последовали Высочайшие повеления. Опекун просил и просит только об исполнении; за это его выгнали из службы. Он переносит это с глубочайшим благоговением; но всё продолжает умолять об исполнении священных повелении; а ему

говорят: вот посмотрим, вот сообразим. На этом стоит дело и теперь.* –

ეს არის ეხლა მოვიდა მიშელ ჭილაევი, ძალიან ტკბილათ შევიყარენით და მოკითხვას გიძღვნით.

თქვენი უერთგულესი **დ. ყიფიანი**

## 91. ეკატერინე დადიანისადმი

11 დეკემბერი 1864. ტფილისით.

მოწყალეო დედოფალო!

რადგან არ ვიცი, ისევ ოტელში ბძანდებით, თუ სახლში გადახვედით სადმე, ამ პაკეტს ჩემის შვილის სახელზედვე გიგზავნით[1] და იმასაც შემთხვევას ვაძლევ თქვენის ნახვისას. –

ამასთან ორი ქაღალდი მოგერთმევათ ჩემი[2] და გთხოვთ შემისრულოთ, რადგან საჭირო არის საქმეებისათვის.

ფულის გამოგზავნის ვადა დამინიშნეო მიბძანებთ, მაგრამ კიდევაც არ შემიძლია გადაწყვეტით თქმა, უთუოთ ამა და ამ დროზედ მოგერთმევათ მეთქი. შემოსავალი რაც არის, ხან ადრე

---

* 1859 წლის ივნისში გამოვიდა მეურვეობის უმაღლესად დამტკიცებული სამოქმედო წესები. ამ წესების აღსრულებისას მეურვეობა აწყდებოდა ყოველმხრივ შევიწროებას და ეს საქმე 1861 წელს განიხილებოდა „კავკასიის კომიტეტში“. ამას მოჰყვა 1861 წლის აპრილის უმაღლესი ბრძანება, თუმცა აქ არც ის აღასრულეს. 1861 წლის დეკემბერში კიდევ ერთი უმაღლესი ბრძანება გამოვიდა. მეურვე მხოლოდ ამ ბრძანების აღსრულებას ითხოვდა და ითხოვს. ამის გამო იგი გააძევეს სამსახურიდან. მან ეს ამბავი უღრმესი მოწიწებითა და რიდით გადაიტანა,[8] თუმცა განაგრძობს ვედრებას, წმინდათაწმიდა ბრძანებები აღასრულონ. მას კი ეუბნებიან: აი, ვნახოთ; აი, ავწონ-დავწონოთ. აქა დგას ეს საქმე დღემდე.

შემოდის, ხან გვიან, მაგრამ იმედი კი არის რომ ან დეკემბერში მოგართვათ ხოლმე, ან იანვარში.

პიერსისაგან მქონდა იმედი წელიწადში თერთმეტი ათასი მანეთისა, მაგრამ კონტრაქტი მოგვეშალა, რადგან მენგრელიის მმართებლობამ ააჩივლა და ოპერაციაზედ ხელი აალებინა. ჩვენი ფული დარჩა იმაზედ ოცი ათასს მანეთზედ მეტი და ამ ფულში დაჭერილი გვაქვს იმისი პარახოდი, რომელიც ჭურიაზედ გამართა, ნავები, იარაღები და სხვა, რაც იქ გააჩნდა. მთავრობას უწყრება და აღარც მე მომეკარა. არ ვიცი როდის გავასწორებთ ანგარიშს. მოჭრილი ტყე ბევრი დარჩა და ეს კი საწუხარი არ არის, რადგან უეჭველია ვაჭარი მალე გამოუჩნდება.

თქვენმა იაგორამ დააპირა წამოსვლა[3] და რომ სულ მოამზადეს წამოსასვლელად, ავათ გამხდარიყო და ეთქვა, ნაალდგომევამდის ჩემი წასვლა აღარ შეიძლებაო და ქაღალდი გამოუგზავნია აუგესი, ვისაც თქვენი ნივთეულობა აქვს მიბარებული და ამ ქაღალდით გამოართმევთო. ეს ქაღალდიც ამასთან მომირთმევია.

მიხაილ იეგორიჩი დანიშნეს აქ სოვეტის ჩლენად; იმის მაგიერად ვის განაწესებენ ჯერ არ ვიცით. ლაპარაკობენ, ან იზუმსკი იქნება, ან ვლასტოვიო,[4] რომელიც აქ არის ახლა ვიცე-გუბერნატორად. ზოგი ამბობს ალექსანდრე თუმანოვისას, ანდრეევსკის ცოლის ძმისას.[5] სამნივე ძალიან კარგები არიან. –

მე დიდათ მიჭირს საქმე და არ ვიცი რა მოეხერხება. როდესაც ხუთას ორმოც და ათი თუმანი მეძლეოდა, მაშინაც მიჭირდა ცხოვრება და ახლა რომ ას ორმოცზედ დამაყენეს,[6] როგორ მოვიყვანო ჩემი საქმე, ჭეშმარიტად არ ვიცი, მეტადრე მაშინ, როდესაც აუცილებელად საჭიროა ხან და ხან მენგრელიაშიც ყოფნა და მგზავრობა. – თუმცა ყოველივე იქაური საქმე საკმაოდ არის გამორკვეული და იმედიცა მაქვს, რომ მალე გადაწყდეს, მაგრამ ხან და ხან დახედვა მაინც საჭიროა.

ქაღალდებს რომ გიგზავნიდით ამ ფოჩტით ველარ მოვახერხე და ორ დღეს უკან მოგართმევთ.

თქვენი უერთგულესი **დიმიტრი ყიფიანი**

## 92. ეკატერინე დადიანისადმი

თქვენო უგანათლებულესობავ,
კნეინა ეკატერინა ალექსანდრეს ასულო

სამეგრელოს სამთავროში ბევრი გაყალბებული დოკუმენტი გამოჩნდა. თქვენს უგანათლებულესობასთან არის წიგნი, რომელშიც განსვენებული მთავრის, დავითის, მიერ გაცემული ყველა დოკუმენტი იწერებოდა. მაქვს პატივი, უმორჩილესად გთხოვოთ, რომ აღნიშნული წიგნი გამომიგზავნოთ, რათა გავარკვიო ნამდვილობა იმ დოკუმენტებისა, რომლებსაც სხვადასხვა პირები თავიანთი უფლებების დასადასტურებლად წარმომიდგენენ ხოლმე.

უღრმესი პატივისცემითა და ერთგულებით, მაქვს პატივი,
ვიყო თქვენი უგანათლებულესობის
უმორჩილესი მოსამსახურე
**დიმიტრი ყიფიანი**

12 დეკემბერი 1864 წ.
ტფილისი

## 93. ეკატერინე დადიანისადმი

თქვენო უგანათლებულესობავ,
კნეინა ეკატერინა ალექსანდრეს ასულო

უკიდურეს საჭიროებას წავაწყდით იმ პირთა სიებთან დაკავშირებით, რომლებსაც სამეგრელოს მთავრის ვალი მართებთ. საჭიროა გარკვევა, კაპიტალური და პროცენტიანი ფულის სახით[1] ვის რამდენი ჰქონდა დარჩენილი იმ დღისთვის, როცა თქვენ რუსეთში გაემგზავრეთ. მაქვს პატივი, უმორჩილესად

გთხოვოთ ხსენებული სიის გამოგზავნა, რადგან აქ მის ასლს ვერსად ვპოულობთ.

სრული ერთგულებითა და პატივისცემით
თქვენი უგანათლებულესობის უმორჩილესი მოსამსახურე
**დიმიტრი ყიფიანი**

12 დეკემბერი 1864.
ტფილისი

## 94. ივანე ანდრონიკაშვილისადმი

მოწყალეო ხელმწიფეო,
კნიაზო იოანე მალხაზისძე!

თქვენი ჩემთვის სასიქადულო წიგნი მებოძა, და განუსაზღვრებელს მადლობას მოგახსენებთ განმამხნევებელის ყურადღებისათვის.

ხვალ გორს გიახლებით, სადაც საზოგადოობა ამ თვის 15-ს იქნება შეკრებილი. იქიდამ აქვე გიახლებით, სადაც შეკრებილება გვექნება 21-ს, და მერე მანდ მომიხდება მოსვლა თქვენის ბრძანებისამებრ.[1] – ამასობაში იმედი მაქვს, რომ ზალდასტანიშვილების საქმესაც[2] მიეცეს თავისი გზა კეთილად წარმმართველი.

თქვენის ბრწყინვალების ყოვლად ერთგული და
ყოვლად უმორჩილესი მოსამსახურე
**დიმიტრი ყიფიანი**

12 დეკემბერი 1864.
ტფილისით

## 95. კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს სასამართლოს საქმეთა დეპარტამენტისადმი

სამეგრელოს მთავრის ქონების შესახებ კავკასიის
მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს
სასამართლოს საქმეთა დეპარტამენტისადმი მეურვის
1864 წლის 28 დეკემბრის პასუხის ა ს ლ ი

დეპარტამენტის მოხსენებასა და დანართებში მოცემული შენიშვნები (შედეგი მთავრის შემოსავლების საინვენტარო აღწერის განხილვისა) ზოგადად ფრიად საფუძვლიანია. აუცილებლობად მიმაჩნია, ახსნა-განმარტება მხოლოდ ორი პუნქტის შესახებ წარმოვადგინო:

1. 1857 წლის საინვენტარო აღწერა[1] არ ითვალისწინებდა არსებულ საბეგრო ვალდებულებებში რაიმე სახის ცვლილებებსა და გლეხებსაც ბეგარა იმ დროს არსებული წესით უნდა ეხადათ: ნატურით ან ფულით საკუთარი შეხედულებისამებრ, ოღონდ ფულით გადახდის შემთხვევაში – დიდი ხნის წინ დაწესებული ფასებით. კომისია სწორედ ამ მიზანს მისდევდა და თარგმანში ბეგრის სახეთა რუსულ ენაზე გადატანისთვის საგანგებო ყურადღება არ მიუქცევია. საქმე ისაა, რომ ბეგრის გადახდა უნდა მომხდარიყო სარგოს ფურცლების დედანთა მიხედვით, რომლებსაც გლეხები წარმოადგენდნენ და შემდეგ მათვე რჩებოდათ ხელზე. ამას გარდა, არც ბეგრის თანხაზე გადაყვანის სიზუსტე იყო დაცული, რადგანაც კომისიის ამოცანა შემოსავლის თანხობრივი ოდენობის გარკვევა კი არ იყო, არამედ დადგენა იმ ქონებრივი ვითარებისა, რომელსაც ფულადი შემოსავალი შემოჰქონდა.

ამჟამად, როცა აუცილებელი ხდება ბეგრის ფულადი ღირებულების ზედმიწევნითი სიზუსტით დადგენა, საბეგრო გამოსაღებთან დაკავშირებით მართლაც 1857 წლის 12 დეკემბრის აქტით განსაზღვრულ ფასებს უნდა დავეყრდნოთ. მაგრამ არის

ისეთი საბეგრო ვალდებულებები, რომელთა ფულადი ღირებულების დადგენა მაშინ არც საჭიროდ იქნა მიჩნეული და გაძნელებულიც იყო. ამჟამად კი აუცილებელი გახდა, გაირკვეს მათი ფულადი ღირებულება, რადგანაც ამ გზით მფლობელს ყველა შემთხვევაში რაიმე შემოსავალი შესდის.

მიზნის მისაღწევად საჭიროა ორიდან ერთ-ერთი გზა: ან ეთხოვოს ადგილობრივ მმართველობას, ან კიდევ, საქმე რომ არ გაჭიანურდეს (ისედაც 8 წელია გრძელდება) და არც ფასები გაიზარდოს (დღეს 1857 წელთან შედარებით ყველაფერი განუზომლად გაძვირებულია), აქვე უნდა დადგინდეს ფასები, რომლებიც მიახლოებული იქნება მსგავსი ან იმავე სახის ვალდებულებების ფასებთან. ასე, მაგალითად:

მინდვრის სამუშაო ***ნადობა,*** წელიწადში ხუთჯერ და განსაზღვრულ დროში. ეს საკითხი გარკვეულია და ფასიც დადგენილია: ლეჩხუმში – 1 მან. 20 კაპ; ოდიშში 2 მან. 40 კაპ.

სხვა სამუშაოები: ***ტვირთობა, მუშაობა*** (რუსულად ორივე ბეგარა აღნიშნულია ***საერთო*** სახელწოდებით – ***მუშაობა)***, ***ქეშიკობა,*** ესენი მოთხოვნის მიხედვითაა, წინასწარ არ არის განსაზღვრული და ამიტომ გლეხებისთვის გაცილებით უფრო სამძიმოა, ვიდრე ***ნადობა.*** შესაბამისად, გლეხთა მიმართ არავითარ უსამართლობას არ ექნება ადგილი, თუ ბეგრის ჩამოთვლილი სახეების ღირებულება განისაზღვრება იმავე ოდენობით, რა ღირებულებისაცაა ***ნადობა;*** კერძოდ: 1 მან. 20 კაპ. ლეჩხუმში და 2 მან. 40 კაპ. ოდიშში. მზად ვარ, დავეთანხმო მოსაზრებას, რომ ფასი ბეგრის ამ სახეებისა განისაზღვროს არა ცალ-ცალკე, არამედ ერთიანად, რა ოდენობითაც არ უნდა იყოს ისინი დაკისრებული საგლეხო კომლზე. ამავე ოდენობით უნდა იქნეს შეტანილი ფასები სააღრიცხვო ფურცლებში.

2. 1857 წლის აღწერით განსაზღვრულია ბეგრის გადახდის სამი სახე: ა) გადახდა პროდუქტებით ან საკლავით; ბ) გადახდა მოსამსახურეობით ან მუშაობით, ანუ ეგრეთ წოდებული პირადი ბეგარა; და გ) გადახდა საკვებით, ანუ ბეგარა, რომელიც თავისი ხასიათით ვერ ჩაითვლება ბეგრის ვერც ერთ და ვერც მეორე სა-

ხედ და რომელიც 1857 წლის აქტში ღირებულების დასადგენად მიწერილია ბეგრის მეორე კატეგორიაში; და ეს იმიტომ, რომ მის შეტანას ბეგრის პირველ კატეგორიაში უფრო ნაკლები საფუძველი აქვს. ეს არის ***ცხენის ჩაბმა*** — დროის გარკვეულ მონაკვეთში, 1 ან 2 თვის განმავლობაში, ბატონის ცხენის გამოკვება და მეჯინიბის შენახვა.

1857 წლის აღწერის ბოლოსწინა გრაფაში ზოგადად ბეგრის სახელწოდებებია მოცემული, უკანასკნელ გრაფაში კი მითითებულია, თუ სახელდობრ რა რაოდენობის კომლს ან კონკრეტულად რომელ გლეხს აქვს დაკისრებული ესა თუ ის ბეგარა, ან კიდევ — ვინ არის თავისუფალი ამა თუ იმ ბეგრისგან.

თუ უკანასკნელ გრაფაში მითითებულია, რომ გლეხი თავისუფალია პირადი ბეგრისგან, ხოლო რომელიმე სხვა (ზემოთა) გრაფაში აღნიშნულია, რომ მას სხვა ბეგარასთან ერთად ***ცხენის გამოკვებაც*** აქვს დაკისრებული, ასეთ შემთხვევებში აღწერის შემდგენელნი გულისხმობდნენ (ამას იმიტომ ვამბობ, რომ მე თვითონ ვიყავი მათი ხელმძღვანელი) მეორე კატეგორიის ბეგარას: ნადობას, მუშაობას, ტვირთობას, ქეშიკობას და სხვ. ***ცხენის გამოკვებისგან*** კი თავისუფალნი არიან მხოლოდ ისინი, რომელთა დასახელებისას ამის შესახებ სპეციალურადაა მითითებული. ყველა სხვა დანარჩენს, რომელთა შესახებ რომელიმე გრაფაში აღნიშნულია, რომ ევალებათ ***ცხენის გამოკვება***, ხოლო სხვა გრაფის მიხედვით არა აქვთ დაკისრებული ***პირადი ბეგარა***, ეკისრებათ ***ცხენის ჩაბმა***, რომლის ფულადი ღირებულებაა 2 მანეთი. ამიტომაც ეს ფასიც უნდა იქნეს შეტანილი სააღრიცხვო ფურცლებში.*

სხვას ყველაფერს, მზად ვარ, მთლიანად დავეთანხმო, რათა როგორმე გაირკვეს საბატონო გლეხთა საბეგრო ვალდებულებების საკითხი, რომლის განხილვა 1857 წლიდან მიმდინარეობს.

სწორია: **დ. ყიფიანი**

*შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1: სააღრიცხვო ფურცლებში ამ ორი პუნქტის შეტანით შემოსავალმა წელიწადში უნდა შეადგინოს:

| | |
|---|---|
| პროდუქტებისგან საურის, საუდიეროს, | |
| საციხოსა და სამოურავოს გამოკლებით | 4789 მან. 32 კაპ. |
| პირადი ბეგრისგან: ლეჩხუმიდან | 1606. – 80. – |
| ოდიშიდან | 15 339. – 80. – |
| სულ | 21 735 მან. 92 კაპ. |

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2: სამეგრელოში ბეგრის გადახდევინება ხდება მთლიანად წლიურისა და მომდევნო წელიწადში. ბეგრის ხსენებულ კატეგორიათა გადახდევინება შეწყდა 1857 წელს. შესაბამისად, ერგება 1856 წლიდან. –

## 1865

### 96. ივანე ანდრონიკაშვილისადმი

მოწყალეო ხელმწიფეო,
კნიაზო იოანე მალხაზის ძე

თქვენი 8-ის ამ თვის წიგნი 13-ს მებოძა და იმედი მაქვს, რომ იმისი პასუხი პირისპირ მოგახსენოთ კვირას შუადღემდი: ესე იგი ამ თვის 24-ს. ტფილისის შეკრებილება გუშინ ამითი გათავდა,[1] რომ შეკრბნენ 70 პირი; იმათგან 68-მა მოაწერეს პროტოკოლზედ თანხმობა და 2-თა უთანხმოება. ეს ორნი გახლავან: ნიკოლა ბებუთოვი, განსვენებულის ვასილი ოსიფიჩის შვილი და ლუარსაბ ჩოლაყაევი. –

თქვენის ბრწყინვალების ყოვლად ერთგული და
უმორჩილესი მოსამსახურე
**დიმიტრი ყიფიანი**

16 იანვარი 1865.

## 97. ეკატერინე დადიანისადმი

22 იანვარი 1865. ტფილისით.

უძვირფასესო და უსასიქადულესო დედოფალო,

ამ დილას ერთი დიდი შეხვეული ქაღალდი შემომიტანეს; გავშალე, ვნახე თქვენი პორტრეტი:[1] საიდამ მომიტანეს, როგორ მომიტანეს, არ ვიცი, მაგრამ ისე მარად მხიარულად გამყოფოსთ ღმერთმა, როგორც მე ამ მშვენიერების ნახვით ვისიამოვნე და ვიმხიარულე. გარწმუნებთ, რომ ჩემთვის უკეთესს ჯილდოს ვერა რას მოიგონებდით. შეხედვა ამ პორტრეტისა და გულიდამ გადაყრა ყოვლის ჯავრისა და ჭმუნვისა ერთი იქნება და რა საკურველია თვალიდამ არას დროს არ მოვიცილებ. –

ფულების საქმე ამას წინეთაც მოგახსენეთ და თებერვალში ან მარტში მაინც ვეცდები უთუოთ მოგართვათ რამდენიც მოხერხდება, ხუთასიოდე თუმანი მაინც. – ჩემის პასუხისა ჯერაც არა არის რა პასუხი. თებერვლის 4-ს შესრულდება წელიწადი, რაც შევიტანე და განმეორებითა ვჰსთხოვ პასუხს.[2]

გრიგოლმა, ტერეზიამ და მე ბატონს ნიკოს 4 იანვარს დეპეშა მივსწერეთ[3] და დროზედ მოგივიდათ თუ არა, არ ვიცით.

ჩემს შვილზედ[4] ყურადღებისათვის საოცნებელს ხელს გაკოცებთ. –

როგორც მე ამ თქვენს პორტრეტს უყურებ, არა მგონია ვინტერჰალტერი სტყუოდეს და ბარაქალლა იმისს ოსტატობას.

თქვენი უერთგულესი
**დიმიტრი ყიფიანი**

გუშინ მე და ბარბარე ბატონიშვილმა (Варвара Багратовна) ერთი ყმაწვილი მოვნათლეთ. თქვენი ამბავი მკითხა, მრავალი მოკითხვა დამაბარა და სამდურავი შემოგითვალათ, რომ არც წიგნით და არც პორტრეტით არ გაგიხარებივართო.

## 98. ივანე ანდრონიკაშვილისადმი

მოწყალეო ხელმწიფეო
კნიაზო იოანე მალხაზის ძე,

თუმცა დიდად ვეშურები და დიდად ვსცდილობ მალე გამოსვლას ქალაქიდამ, მაგრამ შაბათსაც ველარ ვახერხებთ, უნდა კვირას გამოვიდეთ, დილას იქნება თუ საღამოს, არ ვიცი, რადგან ცხენებზედ სუსტად ყოფილან. იმედი მაინც არის, რომ კვირას თუ ორშაბათს გვექნება გულითადი დატკბობა თქვენთან ხლებისა.

თქვენის ბრწყინვალების
უერთგულესი და უმორჩილესი მოსამსახურე
**დიმიტრი ყიფიანი**

22 იანვარი 1865.

## 99. ეკატერინე დადიანისადმი

12 ფებერვალი 1865. ტფილისით.

უძვირფასესო დედოფალო!

თქვენი 19-ის იანვრის წიგნი ამ თვის 6-ს მომივიდა და ღმერთს ვმადლობ, რომ მშვიდობით ბძანდებით. – ამ ერთს კვირაზედ იმედი მაქვს ხუთას თუმნამდინ ფული მოგართვათ და, როგორც მწერთ, ბარონსა ვჰსთხოვ,[1] რომ კურიერის ხელით გამოგიგზავნოთ. – თქვენი გიორგი ფარეშისას მწერთ, უძეოთ გადასულის სიჭინავას მამულს ითხოვსო და დაბრკოლება მგონია არა იყოსრა, როგორც სხვებს ვაძლევთ მამულებს მამულისათვის გარდასახადით, ისე იმას მიეცეს, თუ ეს ის იაგორა არ არის,[2] რო-

მელსაც იბარებთ და არ მოდის. იმისი მე ნიჟარაძეს მივსწერე,[3] რომ თქვენგან განწესებული ოცი თუმანი ჯამაგირიც მოუჭრას, მანამდისინ თქვენ არ გიახლებოდეთ. — ჩემს შვილსა ვსწერ,[4] როგორც თქვენ მიბძანებთ, რომ სადილი ხომ ყოველთვის უნდა და თქვენზედ უკეთესს ან სახლსა სადა ჰნახავს, ან საზოგადოობასა და ან სადილს. სწორეთ მორცხვობით ემართება და თქვენთან არ უნდა მორცხვობდეს. — მაგრამ თქვენთან დამალული არა მაქვსრა და არც ამას დაგიმალავთ, რომ ცოტა არ არის მეშინია იმისგან თქვენთან ხშირად ყოფნისა. თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ გონიერებაზედ მტკიცედ არის და არცა რა ოდეს თავისს ვინაობას დაივიწყებს, მაგრამ ყმაწვილია და ყოველთვის შეიძლებს, რომ გული გონიერებას დაუმორჩილოს ხოლმე თუ ვერა, ეს არ ვიცი. სახლში მეტად ბრწყინვალე სანთელი გინთიათ[5] და ფარვანასათვის დიდად ვიშიშვი. — იმას ამაზედ მე ვერას ვეტყვი და თქვენ კი გამოგიტყდებით, რომ მზრუნველი თვალყური გეჭიროთ, და შვილი არ დამეღუპოს. —

იანვრის 24-დამ ამ თვის 5-ამდინ კახეთს გახლდი. სიღნახისა და თელავის უეზდის პომეშჩიკები[6] ერთხმად დაეთანხმნენ ჩემს ჰაზრსა სათავად-აზნაურო ბანკის შედგენაზედ. უმეტესად თავგამოდებულნი იყვნენ ამაზედ — სიღნახში ივან მალხაზიჩი და თელავში დავით.[7] დავითთან ვიყავ წინანდალში ექვს დღეს და როგორ გამოვსთქვა მადლობა იმ მეგობრობისა და ყურადღებისა, რაც მე იქა მქონდა, არ ვიცი. ყველანი კარგათ არიან. შვილები ყველანი სწორეთ შესაფერნი არიან თქვენის ოჯახისა, ერთი ერთმანეთზედ უკეთესნი. მაკო ჰგავს საკურველად თქვენს სალომეს,[8] როგორც მანდ ჩემს ყოფნაში მახსოვს. თქვენს საქმეებზედაც ბევრი ვილაპარაკეთ. — თქვენს პორტრეტს იქაც დაჰხარიან.[9] — ბარონს გაუგზავნია კახეთში 15, ქალაქში დაურიგებია 12 და ქუთაისს გაუგზავნია 10. — მე გამომიგზავნა დასარიგებლად 30. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ მენგრელიაში 30 პორტრეტის გაგზავნა არ შეიძლება; ან ყველას უნდა გაუგზავნოთ თქვენი ერთგული ოჯახების მოთავეებს, ან სულ არა ვის, თორემ სულ ყირაზედ შედგებიან, ვისაც არ მიუვა და ახლა ამაზედ მოხ-

დება აღრეულება. – გიორგი, პეტრე და ბახვა,[10] როგორც მოგეხსენებათ, მოთავენი არიან თქვენის ერთგულებისა, მაგრამ ვერც მარტო იმათ გაუგზავნი. –

ახლა კნეინა ანნა ილინიშნას დაბარება უნდა მოგახსენოთ.[11] თელავში ქალების სასწავლებელი იხსნება[12] და დიდად გთხოვენ, ჯერ ჩლენობა[13] ინებოთ კეთილ-მყოფელის საზოგადოობისა, ამაზედ დაგეხარჯებათ წელიწადში 10 р. მერე თქვენს ხარჯზედ გააზდევინოთ განსვენებულის იოსებ (სოსიკო) ჭავჭავაძის ობოლი ქალი; ამ სოსიკოს ჰყავდა რომანის ცოლის და ნატალია.[14] ამაზედ დაგეხარჯებათ პირველს წელიწადს 130 р. და შემდგომ წელიწადში 100 р. – თუ ინებებთ მომწერეთ და ფულს მე შევიტან. ბატონს ნიკოს, ანდრიას და მნათობს სალომეს[15] გულითადს მოკითხვას მოვახსენებ.

თქვენი უერთგულესი **დიმიტრი ყიფიანი**

## 100. ეკატერინე დადიანისადმი

19 ფებერვალი 1865. ტფილისით.

უძვირფასესო დედოფალო!

საწუხარი ამბავი მომივიდა გუშინ ზუგდიდიდამ: 4-ს ამ თვეს უბედური დათიკა სახუცესი გარდაცვლილა.[1] – ბევრს რასმე ლაპარაკობდნენ უბედურზედ; ამბობდნენ, მენგრელია იმან ამოიჭამაო. განსვენებულმა გაგარინმა, 1857-ში რომ გორდს გახლდით,[2] თვითან მითხრა: „У него больше 300 тысяч денег“.* ახლა აღმოჩნდა, რომ ფული დარჩენია მხოლოდ 1400 მანათი. –

იმისი თანამდებობის მსურველნი რა საკურველია ბევრნი არიან და უეჭველია თქვენც შეგაწუხებენ. მე ახლავე მომივიდა

* იმას ფული აქვს 300 ათასზე მეტი.

თხოვნა ერთი ნიკო მხეიძისაგან, რომელიც არის ჩემი ნათლულის მამა, მეორე ალექსანდრე დადიანოვისაგან, სიკო ჩიქოანის ქალი რომ ჰყავს. ამ ქალს, მამის მგლოვიარეს, მე შევაკვეცე თმა და მას მერმეთ მამას მეძახის, მაგრამ მე ხვალ შემდგომს პასუხსა ვჰგზავნი:

„სახლთუხუცესის დანიშვნა დამოკიდებული არის თვით მთავრის ნებაზედ; და ვიდრემდის ამისი განკარგულება მოჰხდებოდეს, დროებითად აღსრულება სახუცესის თანამდებობისა მიმინდვია ოპეკის საქმეთ მმართველის კნ. ნიჟარაძისათვის“. –

რაც სახუცესს შემოსავლიდამ წილი ჰხვდებოდა, ეს მაინც შეემატება თქვენს შემოსავალს. –

ფულს დღე დღეზედ მოველი, რომ გამოგიგზავნოთ. –

კახეთში მგზავრობამ მაწყინა[3] და ეს ერთი კვირა არის შინიდამ გარეთ ველარ გამიხედავს შეუძლებლობის მიზეზით, მაგრამ დღეს, ღვთის მადლით, მოხედვითა ვარ.

ჩემი მარშლობის ხარჯი ოპეკას აწვება თავზედ და სვინიდისი აღარ მისვენებს, მანამდისინ ოპეკუნობისაგან არ დაგეთხოვებით, რომ მაშინ მარშლობასაც დავეთხოვო. ჯერ კი მაქვს კიდევ იმედი თავის გამოტანისა, თუ ერთი ჩემი საკუთარი საქმე მაინც რიგიანად გადამიწყვიტეს. ბარონის ხელშია ესეცა.[4] ჩემი ბორჯომის მამულისათვის ბევრი ფული მერგება ხაზინიდამ[5] და არ იქნა, ჯერ ვერა გამოვიტანე რა.

თქვენი უერთგულესი **დიმიტრი ყიფიანი**

## 101. სალომე დავითის ას. ჭავჭავაძისადმი

საყვარელო კნეინა,
სალომე დავითის ასულო

პირველ რიგში, გთხოვთ, არ შეგაცბუნოთ ეპითეტმა, რომლითაც ამ წერილს ვიწყებ: მიმაჩნია, რომ მაქვს ამის უფლება რო-

გორც ჩემი ასაკის, ისე იმ გრძნობის გამოც, რომლითაც ზოგადად თქვენს საქმეს ვეკიდები. ქვემოთ დარწმუნდებით, რომ ეს ყველაფერი რომც არ ყოფილიყო, მარტო თქვენი წერილის მიღებაც კი დამაყენებდა ასეთ განწყობაზე. მე იგი, ე. ი. წერილი, მივიღე დღეს და მან საშუალება მომცა, ფიქრებით შორეულ მომავალს გადავწვდე — ხანდახან ვაძლევ თავს ამის უფლებას — და წარმოსახვით დავინახო ის საზოგადოება, რომელშიც დაცული იქნება თანასწორუფლებიანობა და საზოგადო საქმეებში ქალები მიიღებენ ისეთსავე მონაწილეობას, როგორსაც მამაკაცები. მე ვხედავ, თუ როგორი აღსარების მიმღები იქნება მაშინ კნეინა სალომე ჭავჭავაძე. და აი, მოვიდა ჩემი რიგიც ქედმოდრეკით შემდეგი ცოდვების მონანიებისა: 1. დანაშაულს კი ვგრძნობ თქვენ წინაშე, საყვარელო კნეინა, მაგრამ მეგონა, წერილს არ მომწერდით. ვფიქრობდი, რომ ამგვარ დაპირებებს ხშირად იძლევიან, თუმცა ყოველთვის არ ასრულებენ. არ ველოდი თქვენგან დამჯდარ ხასიათსა და წესების ერთგულებას. ვინანიებ ამ ცოდვასა და მიხარია, რომ ასეთი ბრძანდებით; 2. დანაშაულს ვგრძნობ თქვენ წინაშე, საყვარელო კნეინა, მაგრამ, როცა თქვენ სარა დავითის ასულის თამაშს აქებდით, მეგონა, ამით დელიკატურობის, თავაზიანობის წესს იცავდით. არადა, ვალდებული ვიყავი, თქვენს სიტყვებში დამენახა მხოლოდ სიმართლე; და ეს იმიტომ, რომ სარა დავითის ასულს — თუ გავითვალისწინებთ, როგორ კითხულობდა იგი ჩემთან თავის როლს[1] — ნამდვილად შეეძლო ამ როლის ჩინებულად შესრულება. ვინანიებ ჩემს ცოდვას და აღფრთოვანებული ვარ თქვენი მიუკერძოებლობით; და, დასასრულ: 3. დანაშაულს ვგრძნობ თქვენ წინაშე იმის გამოც, რომ, წერილის მოწერას რომ გთხოვდით, ამით ნაწილობრივ იმის გაგებაც მსურდა, თუ როგორ ჩაიარა თქვენმა სპექტაკლმა და უფრო მეტად კი მამოძრავებდა წმინდა წყლის საგამოცდო წადილი: მსურდა მცოდნოდა, რამდენად გამართულად წერს რუსულად კნეინა სალომე? მაგრამ თქვენი ენა, თქვენი სიტყვა, თქვენი მართლწერა, წერისას ჩვენი დროისთვის დამახასიათებელი დაუდევრობის არარსებობა, ყველაფერი ეს იწვევს ჩემს აღფრთოვანებას.

ახლა კი, ყველა ჩემი ცოდვა-ბრალის მონანიების შემდეგ, იმედი მაქვს, თქვენ, როგორც ყველა ადამიანურ ცოდვათა უზადლო მიმტევებელი, შემინდობთ თქვენ წინაშე ჩადენილ ამ შეცოდებებს! – შემდეგ:

თუკი კნეინა ელენემ[2] ფროილაინ გრეტხენის როლის შესრულებისას არ გააღვიძა წმინდა გრძნობები ნებისმიერი შვილისა მშობლების მიმართ, თუკი მაყურებელს არ მოჰგვარა ცრემლები გრძნობით გაჟღენთილი, მაშინ მე არაფერი მცოდნია. – არც არაფერი მცოდნია, თუ ზაქარიას თამაშმა სემენინისა პუბლიკაში არ გამოიწვია ისტერიკული სიცილ-ხარხარი. – როგორ მინდოდა სანდროს ხილვა შვილიშვილის როლში;[3] კნეინა თამარისა[4] სანდომიანი, ნაზი და ფაქიზი კარლას როლში; მარია პეტრეს ასულისა კეთილი, ღვთისმოსავი მარგარიტას როლში და, განსაკუთრებით, კნეინა მაიკოსი[5] როლში სიხარულისა, რისი განსახიერებაც თვითონაა! ისინი ყველანი, წესით, მშვენიერნი უნდა ყოფილიყვნენ. – რას იტყვით, რომ ორივე პიესა ტფილისში ითამაშოთ? – თელავში დიდძალ ხალხს კი მოუყარეთ თავი, მაგრამ ტფილისში, დარწმუნებული ვარ, მაყურებლის რაოდენობა 3000-ს გადააჭარბებს. – არავინ მეუბნება, თუ როგორ ითამაშა ძიძამ (სახელი დამავიწყდა), მაგრამ ვიცი, რომ იგი იქნებოდა სპექტაკლში მოთამაშეთა შორის საუკეთესო. –

მადლობას, მადლობას გწირავთ სულით და გულით, საყვარელო კნეინა, გულთბილი წერილისთვის! არ დაგიმალავთ, რომ ამან ძალიან გამახარა, რაც, თავის მხრივ, თქვენ მიერ გაკეთებულ კეთილ საქმედ უნდა ჩაითვალოს. გამოჯანმრთელების გზაზე დამდგარი ადამიანისათვის კმაყოფილების განცდა მნიშვნელოვანი რამეა. დაახლოებით ათი დღე სერიოზულად ვიყავი ავად[6] და ახლახან დამეტყო მომჯობინება. ხოლო თუ როგორ დამეხმარა ამაში თქვენი წერილი, შეგიძლიათ განსაჯოთ ჩემი ამ პასუხით, რომელსაც სახელდახელოდ გწერთ.

გაძლევთ სიტყვას, რომ თქვენს ყველა დავალებას შევასრულებ; ყოველ შემთხვევაში, ძალიან მოვინდომებ და ამისკენ მიბიძგებს ორი ეგოისტური სურვილი: მინდა განვიცდიდე სია-

მოვნებას, რომ თქვენს დავალებებს ვასრულებ და, ამასთანავე, გავინაწილო თქვენი ხელახალი გარჯა კეთილი საქმის აღსასრულებლად. ერთადერთი, რისიც მეშინია, ის არის, რომ იქნებ იმ დრომდე ვერ მოვასწრო დასრულება საქმეებისა, რომელსაც სამსახური მაკისრებს.[7]

გთხოვთ გადასცეთ ჩემი გულწრფელი მოკითხვა კნეინა ანა ილიას ასულს,[8] თავად დავით ალექსანდრეს ძეს[9] და ყველა დროებით თუ მუდმივ წევრს თქვენი დალოცვილი სახლობისა და იმათ ოჯახებს. ჩემი მეუღლე კეთილი მოკითხვისათვის გულწრფელ მადლობას გითვლით.

პირადად თქვენ კი გთხოვთ, მიიღოთ ჩემგან გულწრფელი, მადლიერებით აღსავსე მოკითხვა და ერწმუნოთ თქვენსა და თქვენი ოჯახისადმი ჩემს უსაზღვრო ერთგულებას.

24 თებერვალი 1865.

## 102. კონსტანტინე ორლოვსკისადმი

გასული 1864 წლის 20 ნოემბერს (№383) თქვენმა აღმატებულებამ მაცნობა დიდი მთავრის, კავკასიის მეფისნაცვლის ნებართვის შესახებ, რომ თავადაზნაურობას, რომლის წინამძღოლიც გახლავართ, უფლება აქვს განსაკუთრებული შემთხვევის გამო მოიწვიოს საგანგებო სამაზრო ყრილობები. ამ შეკრებებზე უნდა გამოცხადდეს ჩემი 27 ოქტომბრის (№209) მიმართვიდან თქვენთვის უკვე ცნობილი წინადადება სათავადაზნაურო კაპიტალის შექმნისა და მის საფუძველზე ბანკის დაარსების შესახებ; ბანკისა, რომლის შემოსავლის ნაწილი ახალგაზრდობის აღზრდას უნდა მოხმარდეს.

მისი იმპერატორობითი უმაღლესობის[1] ნებართვის თაობაზე მაშინვე ვაცნობე მაზრების წინამძღოლებს და ისიც ვთხოვე, შეკრებების თარიღები ისე დაენიშნათ, რომ ყოველ მათგანზე დასწრება შემძლებოდა.

იმისათვის, რომ თავადაზნაურობის ყველა წევრი განზრახულებას წინასწარ გასცნობოდა, მე მათ ჯერ კიდევ 9 ნოემბერს ქართულ ენაზე დავუგზავნე ცირკულარული წინადადება (№228) – პროექტი, რომელიც, მქონდა პატივი, თქვენი აღმატებულებისათვის წინასწარ წარმედგინა რუსულ ენაზე და რომლის ასლსაც თან ვურთავ.

ამის შემდეგ დაინიშნა და ჩემი თანდასწრებით ჩატარდა თავადაზნაურობის ყრილობები: 1864 წ. 17 დეკემბერს გორში, ა. წ. 15 იანვარს ტფილისში, 28 იანვარს სიღნაღსა და 2 თებერვალს თელავში.

გორის თავადაზნაურობის საგანგებო ყრილობაზე გამოცხადდა 106 პირი. – უმრავლესობამ 74 ხმით 32-ის წინააღმდეგ მიიღო ჩემი წინადადება და დაადგინა: თავადაზნაურობის კაპიტალის შესაქმნელად და მის საფუძველზე ბანკის დასაარსებლად იმ ანაზღაურებიდან, რომელსაც გლეხთა პირადი გადასახადების სანაცვლოდ იძლევიან, გადაიდოს 20%, ანუ მეხუთედი, კერძოდ, ***ხუთი*** მანეთი სულზე. ამასთანავე, ოქმში ჩაიწერა ბანკის დაარსების ძირითადი საფუძვლები. ყრილობასა და მასზე შემუშავებულ ორ შეხედულებას შეუერთდა თავადაზნაურობის კიდევ 86 წევრი, რომლებიც უშუალოდ არ ესწრებოდნენ ყრილობას. მათგან ერთმა ნაწილმა თანხმობა განაცხადა რწმუნებულთა მეშვეობით და მათ ხელი აქვთ მოწერილი 15 რწმუნებულის მიერ შედგენილ ოქმზე. დანარჩენები შემოგვიერთდნენ სპეციალური წერილობითი შეტყობინებებით. მათგან ზოგიერთმა წერილობითი შეტყობინება დაწერა მაზრის წინამძღოლის სახელზე, უმრავლესობამ კი ჩემს სახელზე. ხსენებული პირებისგან უმრავლესობას დაემატა 77 ხმა, უმცირესობას – 9 ხმა. მოგვიანებით ერთმა პირმა უმცირესობიდან, თავადმა სარდიონ ციციანოვმა, უკან წაიღო თავისი უარი და შეუერთდა უმრავლესობას, თუმცა ითხოვა, რომ ბანკის სასარგებლოდ განკუთვნილი თანხა გამოექვითოს იმ ფულიდან, რომელსაც გამოსასყიდი ოპერაციის შედეგად მიიღებს.[2] ასევე, ერთ-ერთი პირი უმრავლესობიდან, თავადი ასლან წერეთელი, ითხოვს, რომ ბანკისთ-

ვის გადასადები ფულის ნახევარი გამოექვითოს გამოსასყიდი ოპერაციის თანხიდან.

ასე და ამგვარად, მიმდინარე მარტის პირველი რიცხვისთვის გორის მაზრის თავადაზნაურობის მხრიდან წერილობით დადასტურებული ვითარება ასეთია: წინადადების სასარგებლოდ ***ას ორმოცდაათი*** ხმა, წინააღმდეგი – ***ორმოცი*** ხმა. უმრავლესობიდან სამი პირი: არტილერიის გენერალ-მაიორი კონსტანტინე, სამოქალაქო მრჩეველი იოსები და პორუჩიკი ილია მამაცოვები სპეციალური წერილობითი განცხადებით ადასტურებენ, რომ თანხას, რომელსაც გლეხთა პირადი გადასახადების სანაცვლოდ მიიღებენ, ბანკს სწირავენ ***მთლიანად. ერთი პირი,*** პრაპორშჩიკი მიხეილ ქავთარაძე, რადგანაც მას გლეხები არა ჰყავს, საქმეს სწირავს 300 მანეთს იმ საგირავნო თანხიდან, რომელიც აზნაურ კარსიძისგან ეკუთვნის. ***ერთი პირი,*** კოლეგიის მდივანი ყანჩელი, რომელსაც აგრეთვე გლეხები არა ჰყავს, თავისი სახელით საქმეს სწირავს ას მანეთს.

ტფილისის მაზრის თავადაზნაურობის ყრილობა თავიდან 21 დეკემბერს იყო დანიშნული, თუმცა ვერ ჩატარდა იმის გამო, რომ ცოტა შეტყობინების გაგზავნა მოხერხდა და იმათგანაც მხოლოდ ცხრა გამოცხადდა. ამიტომაც თავადაზნაურობა 15 იანვრისთვის თავიდან იქნა მოწვეული. ახლა უკვე 70 პირი გამოცხადდა და ამ ყრილობამ მიიღო იმგვარივე დადგენილება, როგორიც – გორის ყრილობამ. უმრავლესობამ შეადგინა 68 ხმა, წინააღმდეგი იყო 2. მოგვიანებით, 1 მიმდინარე მარტისთვის, უმრავლესობას შეუერთდა კიდევ 9 პირი, რომელთაგან ***ორნი:*** თავადები, ტიტულარული მრჩეველი ლეონიდე და იუნკერი ივანე ბარათოვები, ვინაიდან გლეხები არა ჰყავთ, ბანკის სასარგებლოდ სწირავენ თავ-თავიანთი მამულების შემოსავლის გარკვეულ ნაწილს 15 წლის განმავლობაში. ასე და ამგვარად, საბოლოოდ ტფილისის გუბერნიაში ვითარება ასეთია: წინადადების მომხრე – ***სამოცდაჩვიდმეტი*** ხმა, წინადადების წინააღმდეგი – ***ორი*** ხმა. მოგვიანებით უმრავლესობიდან ერთ-ერთმა, თავადმა ივანე ალექსანდრეს ძე მელიქოვმა, ა. თ. 1 რიცხვში წარმოდ-

გენილი საგანგებო პასუხით, მსგავსად ზემოთ დასახელებული ორი პირისა, ითხოვა, რომ ბანკის სასარგებლოდ გადასადები ფული გაიღოს არა ახლა, გლეხთა პირადი გადასახადის სანაცვლო ანაზღაურებიდან, არამედ მოგვიანებით, გამოსასყიდი ოპერაციის თანხიდან.

სიღნაღის თავადაზნაურობის საგანგებო ყრილობას დაესწრო 63 პირი. 28 იანვარს წინადადებას ყველამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი. მოგვიანებით მათ სპეციალური წერილობითი განცხადებებით შეუერთდა 77 პირი, რომლებიც არ ესწრებოდნენ ყრილობას და რომელთაგან ***ერთი,*** კნეინა სალომე ჯორჯაძე, გარდა გლეხთა პირადი გადასახადის სანაცვლოდ მიღებული ანაზღაურების მეხუთედისა, საქმეს დამატებით საკუთარი სახელით სწირავს 200 მანეთს. ასე და ამგვარად, სიღნაღის მაზრაში წინადადების სასარგებლოდ მოგროვდა ***ას ორმოცი*** ხმა, წინააღმდეგი – ***არც ერთი.***

დასასრულ, თელავის თავადაზნაურობის ყრილობას დაესწრო 58 პირი, რომელთაგან 2 თებერვალს წინადადებას მხარი დაუჭირა უკლებლივ ყველამ. დამსწრეთა და წინადადების შემდგენთაგან ***ერთმა,*** მისი უდიდებულესობის ამალის წევრმა, გენერალ-მაიორმა, თავადმა ჭავჭავაძემ,[3] სპეციალური წერილით გამოთქვა სურვილი, რომ მხედველობაში იქნეს მიღებული მისი სამეურნეო გასაჭირი და ბანკისთვის გადასადები საკმაოდ მნიშვნელოვანი თანხა გამოექვითოს გამოსასყიდი ოპერაციიდან.

ამას გარდა, სპეციალური წერილობითი მომართვით ზემოაღნიშნულ 58 პირს შეუერთდა კიდევ 5, რომელთაგან ***ორი:*** მღვდელი, აზნაური იერემია ხირსელოვი და აზნაური გამყრელიძე, რადგანაც მათ გლეხები არა ჰყავთ, ბანკის სასარგებლოდ პირადად სწირავენ ***ას-ას*** მანეთს. სულ თელავის მაზრაში წინადადების სასარგებლოდ შეგროვდა ***სამოცდასამი ხმა,*** წინააღმდეგი – ***არც ერთი.***

ტფილისის გუბერნიის ოთხივე მაზრაში წინადადების მხარდამჭერმა უმრავლესობამ შეადგინა ***ოთხას ოცდათორმეტი*** ხმა (აზნაურები – 172, თავადები – 260), წინააღმდეგი – ***ორმოცდაო-***

***რი,*** რომელთაგან ორმოცი გორის მაზრიდანაა. ისინი აღიარებენ მიზნის სიკეთეს, თუმცა მათი უარის მიზეზი ის არის, რომ გლეხთა პირადი გადასახადის სანაცვლოდ მონიჭებული ანაზღაურება მათ უკიდურესი გაჭირვების დასაძლევად სჭირდებათ.[4] ტფილისის მაზრიდან ორმა,[5] უბრალოდ, განაცხადა, რომ არ ეთანხმებიან წინადადებას.

აქვე ვურთავ აქტების დედნებს, რომლებშიც შედეგებია აღნუსხული. კერძოდ: ა) ოთხივე მაზრის საგანგებო ყრილობის ოქმებს: 1864 წლის 17 დეკემბრისა; მიმდინარე 1865 წლის 15 და 28 იანვრისა და 2 თებერვლისა; ბ) ცალკე შემოსულ სპეციალურ წერილობით განცხადებებს სათანადო აღწერითურთ. – გარდა ამისა, რადგანაც ხელმოწერათა უმრავლესობა ქართულ ენაზეა, რუსულ ენაზე წარმოგიდგენთ საკუთარი პოზიციის გამომხატველ პირთა საერთო სიას მათ მიერ ხელმოწერილი აქტების მითითებით.

შემდგომად ამისა, ვითვალისწინებ შემდეგ გარემოებებს:

1. თავადაზნაურობის იმ დადგენილების დასამტკიცებლად, რომლითაც კანონთა კრებულის IX ტომის 122-ე მუხლის საფუძველზე უნდა შეიქმნას სათავადაზნაურო ხაზინა ფულის შესატანად, საჭიროა ხმათა უმრავლესობა – უკიდურეს შემთხვევაში, ორი მესამედი მაინც. ჩვენს შემთხვევაში კი ხმების შეფარდება არის ათი ერთის წინააღმდეგ;

2. მსგავსი დადგენილება მთელი თავადაზნაურული ფენისთვის სავალდებულოდ რომ იქცეს, ეს თვითონ მიზნის პატივისდებასა და საყოველთაო სარგებლიანობაზეა დამოკიდებული; მიზანი კი ხსენებული კაპიტალის შექმნისა, როგორც ეს წარმოდგენილი აქტებიდან ჩანს, ასეთია: IX ტომის 124-ე მუხლის საფუძველზე გამოტანილ იქნეს სესხები და მოგების ნაწილი მოხმარდეს ახალგაზრდობის აღზრდას. ამით თავადაზნაურობა გაინაწილებს ამ საქმისთვის გაღებულ უზარმაზარ სახაზინო ხარჯს. ამასთანავე, საჭიროების შემთხვევაში არავითარი სირთულე არ წარმოიშობა, თუ დროთა განმავლობაში ბანკი შეიძენს საიპოთეკო ან საერობო ბანკის ხასიათს, რათა იგი სხვა

ფენებსაც დაეხმაროს თავიანთი სამრეწველო თუ სამეურნეო მიზნების განხორციელებაში, განსაკუთრებით – დროებით ვალდებულ გლეხებს, რათა მათ მიწის მფლობელებთან ნებაყოფლობითი შეთანხმების საფუძველზე გამოისყიდონ ნადელები;

3. დაკმაყოფილება თავადების: ციციანოვის, მელიქოვისა და ჭავჭავაძის თხოვნისა, თანხა გამოექვითოთ არა გლეხთა პირადი გადასახადების სანაცვლო ანაზღაურებიდან, არამედ გამოსასყიდი ფულიდან, ასევე, თავად წერეთლის თხოვნისა, ბანკისთვის გადასადები თანხის ნახევარი გამოექვითოს გამოსასყიდი ოპერაციის ფულიდან, საქმეს არავითარ ზარალს არ მოუტანს. ამასთანავე, ზემოაღნიშნული სამი პირის თხოვნის დაკმაყოფილება, ისევე, როგორც უმცირესობაში შემავალი პირველი ორმოცი პირის მდგომარეობის გათვალისწინება, თუკი ამას ყველაფერს კანონს დავუქვემდებარებთ, მათ საშუალებას მისცემს, დასძლიონ ის დროებითი სიძნელეები, რომელთა გამოც საქმეში მონაწილეობაზე უარის თქმა უწევთ და გაათანასწორებს იმათთან, ვინც ბანკის დაარსების სასიკეთო საქმეში მონაწილეობს.

4. ბანკი ვერ დაიწყებს პრაქტიკულ მოქმედებებს, სანამ თავადაზნაურობის დადგენილება არ დამტკიცდება; აგრეთვე, სანამ არ იქნება შედგენილი, განხილული და კანონის საფუძველზე დამტკიცებული ბანკის წესდება და შემოსავლის განაწილების წესები. ამიტომაც – რამდენადაც პატივსადები და საყოველთაო სარგებლის მომტანია ეს წამოწყება, იმდენად სასურველია, ახლავე იქნეს მიღებული თავადაზნაურობისთვის განკუთვნილი ანაზღაურების 20%-ის ცალკე გამოყოფისა და საკრედიტო-საპროცენტო ნამატის მიღების მიზნით ამ თანხის უვადო ანაბრის სახით შეტანის გადაწყვეტილება. ეს თანხა თავისი ნამატით ბანკის გახსნის დღისათვის უნდა გადაეცეს ტფილისის ბანკს.

და 5. თავადაზნაურობის იმ წარმომადგენლებს, რომლებიც არ ელოდებიან საგლეხო გადასახადების სანაცვლო ანაზღაურებას, თუმცა აქვთ სურვილი, მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივი ბანკის დაარსებაში, წესით, კანონმა არ უნდა შეუქმნას რაიმე სახის დაბრკოლებები.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, მაქვს პატივი, უმორჩილესად ვთხოვო თქვენს აღმატებულებას, საქმე დადგენილი წესით წარადგინოთ განსახილველად და მთავრობის მიერ დასამტკიცებლად.

ამასთანავე, თავს მოვალედ ვთვლი, დავსძინო, რომ, სანამ წარმოდგენილი დადგენილება თავადაზნაურობისა, რომლის წინამძღოლიც გახლავართ, IX ტომის 122-ე მუხლის საფუძველზე დამტკიცდება, ვიწყებ მუშაობას წესდების პროექტსა და მოგებული თანხის განაწილების წესებზე,[6] რომლებიც თავადაზნაურობის მიერ მათი განხილვის შემდეგ თავის დროზე დადგენილი წესით წარდგენილი იქნება განსახილველად და დასამტკიცებლად.

10 მარტი 1865.

## 103. ეკატერინე დადიანისადმი

12 მარტი 1865. ტფილისით.

უსასიქადულესო დედოფალო!

თქვენი ამბავი დიდიხანია აღარა ვიცი რა; მესმის, რომ თვალებს უჩიოდეთ; რა საკურველია გაუფრთხილდებით; რაც კარგია ის არის გასაფრთხილებელი. –

კახეთიდამ დაბრუნებული ავათ გავხდი[1] და სამს კვირას ვეღარც გარეთ გამოვიხედე, ვეღარც საქმეს მოვჰკიდე ხელი და ამ მდგომარეობამ ბევრში უკან დამწია.

ახლა გიგზავნით 4000 მანათს; და კიდევაც იმედი მაქვს რამდენიმე, 1000 მან. მაინც, მოგართვათ. –

მგონია ადრევაც მოგახსენეთ, რომ ჩემგან თქვენი ნახვა საჭირო არის. თუ მემკვიდრის ქორწილისათვის მარშლები დაგვიბარეს,[2] ხომ მაშინ უნდა მივიდე; თუ არა და შემოდგომაზედ რომ

ზაგრანიციდამ დაბრუნდებით (ადრე მწერდით, რომ ზაფხულს ისევ ჰომბურგში იქნებით) მაშინ უნდა გიახლოთ. –

ღმერთსა ვჰსთხოვ თქვენს მშვიდობასა და უვნებელობას.

თქვენი გამოგზავნილი პირები ჟურნალისა და მოვალეების სიისა მომივიდა[3] და გავგზავნე ზუგდიდს.

ამ გაზაფხულზედ მინდა მოვახერხო როგორმე, რომ მეც ჩავიდე იქ და ზოგიერთი საქმეები ადგილობრივ დავაბოლოვოთ.

Зная Вашу доброту, я надеюсь, что Вы каждый раз передаёте мой искренний поклон моему милому другу – Вашей поклоннице. Чем больше она преклоняется пред Вами, тем больше я преклоняюсь перед нею.*

ბატონს ნიკოს, ანდრიას და შეუდარებელს სალომეს[4] გულითადს მოკითხვას მოვახსენებ.

თქვენი უერთგულესი **დიმიტრი ყიფიანი**

## 104. ეკატერინე დადიანისადმი

15 მარტი 1865. ტფილისით.

მოწყალეო დედოფალო!

თქვენმა 26-ის ფებერვლის განრისხებულმა წიგნმა დღეს კინაღამ მეც შემაპრიალა, მაგრამ ყოველთვის დამშვიდებული ლაპარაკი სჯობია. – თექვსმეტი ათასს მანათს როგორ დათანხმდითო და რათ დალუპეთ ჩემი შვილებიო, მწერთ და რომ მიკვირდეს რამე, მოგახსენებდით, ეს სიტყვა დიდად გამიკვირდა

---

* ვიცი რა თქვენი კეთილი გულის ამბავი, იმედი მაქვს, ყოველ ჯერზე ჩემს ძვირფას მეგობარს[5] – თქვენს თაყვანისმცემელს – ჩემგან გულწრფელ მოკითხვებს გადასცემთ ხოლმე. რაც უფრო მეტად გცემთ იგი თქვენ თაყვანს, მით უფრო მეტი თაყვანისცემით მოვიდრეკ მუხლს მის წინაშე.

მეთქი. — რა გადასწყვიტეს და როგორ გადასწყვიტეს, ჩემთვის სრულიად არა ვის რა შეუტყობინებია და დღევანდლამდის სულ არა მცოდნია რა. მხოლოდ ეს კი იყო, რომ დეკემბერში შინაურულად მაჩვენეს სუდებნი დეპარტამენტში შედგენილი დოკლადი, რომლითაც საბატონო კაცების გარდასახადის ფასი გამოჰყავდათ 16 000 მანეთი. 28 დეკემბერს მე პასუხი შევიტანე,[1] რომლისაც პირს ამასთან გიგზავნით. რასაც მე ამ პასუხში ვსწერ, იმედი მქონდა იანგარიშებდნენ და უნდა შემდგარიყო წელიწადში 21 735 р. 92 коп. რა საკურველია ოც და თხუთმეტი ათასზედ ესეც ბევრით ნაკლებია, მაგრამ რაკი ანგარიშში ჩაუდექით, ამაზედ მეტი აღარ გამოდიოდა. — და უწინ რომ იმდენს ვიძახდით, იმისთვის ვიძახდით, რომ ისინი (მმართებლობის პირნი) ექვსიათასს ამბობდნენ და ჩემი განზრახვა ის იყო, რომ ან ისევ ბოჭვის ნება მოეცათ და ან რიგიანად მოემატებინათ. ამას გარდა მე წარსრულის წლების ხსენებას დიდად ვერიდებოდი და მაშინ მოვითხოვდი, როდესაც ერთის წლისას გადასწყვეტდნენ. — მაშინ სიტყვა აღარა ექნებოდათრა. ახლა გთხოვთ კარგად ჩაუფიქრდეთ საქმესა და სთქვათ, ვისი ბრალია ან ასე შემცირება, ან 1861-დამ დანიშვნა? თქვენი ბრალია; თქვენ ითხოვეთ, წარსრულის დროისაც მომეცითო და რა რომ იანგარიშეს, რა საკურველია შეშინდნენ და ყოველი ღონისძიება იხმარეს, რომ შეემცირებინათ. — მაგრამ მე მაინც ამას არ მოვეშვები, რომ 1856-იდამ იანგარიშონ, რადგან იმ წლის გარდასახადი 1857-ში უნდა მობოჭილიყო და სულ აღარ მობოჭილა. 1861 წლის დანიშვნა ყოვლად უსაფუძვლო არის; საქმე სწარმოებს 1857-იდამ. — სუმმას კი იმაზე მეტს ვერ ვითხოვთ, რაც ჩემის ანგარიშით გამოდის, 21 735 р. 92 კ. — ახლა თქვენ თუ ცდას მოახერხებთ რასმე, ამას უნდა დაადგეთ, რომ ეს სუმმა დაგენიშნოსთ და 1856 წლიდამ, რადგან აქაურს მთავრობას რამდენჯერმე მოხსენებული აქვს და იცის, რომ მენგრელიაში გარდასახადი იბოჭებოდა და იბოჭება წარსრულის წლისა მეორეს წელიწადს და 1856 წლისა 1857-ში აღარ მობოჭილა აღრეულობისა და მოხდენილის ცვლილებების მიზეზით.[2] — ამ ანგარიშით გერგებათ ცხრა წლი-

სა 195 623 р. 28 к. თუ ამ სუმმისას სულ არას იტყვით, აღარ ივარგებს, რადგან აქედამ მიუწერიათ რომ 1861-იდამ უნდა მიეცეთო. – შავის დაწერა და გამოგზავნა აქედამ არ შეიძლება; მანდ უნდა იშოვნოთ დამწერი.

ერთს საქმეს გთხოვთ დიდის გულს მოდგინებით: ნუ გაჯავრდებით ხოლმე; გაჯავრება საქმეს ვერ გამოაკეთებს და თქვენს სახიერებას კი დიდად ავნებს.

თქვენი **დიმიტრი ყიფიანი**

კოსტანტინე თქვენს მოსვლამდის ითხოვს აბასტუმნის სასახლეში დამაყენეთო[3] და სასახლესაც კარგად შევინახავ და ბაღსაცო. გთხოვთ ამაზედ თქვენი ნება მიბძანოთ. ჩემის მხრით მე სასარგებლოთაც ვპოვებ, რადგან რემონტზედ არა დაგვეხარჯება რა.

## 105. კონსტანტინე ორლოვსკისადმი

თქვენდამი ა. თ. 10 რიცხვის მიმართვის[1] (№46) დამატებად, მაქვს პატივი, თქვენს აღმატებულებას ვაცნობო, რომ ჩემთან შემოვიდა კიდევ შვიდი სპეციალური განცხადება ***სამოცდაერთი პირისა.*** ისინი თანხმობას აცხადებენ, ბანკის სასარგებლოდ გადადონ მეხუთედი ნაწილი იმ მოსალოდნელი ანაზღაურებისა, რომელიც გლეხთა პირადი გადასახადების სანაცვლოდ უნდა მიიღონ. – აქვე ვურთავ: ა) ზემოხსენებული სამოცდაერთი პირის სიას, როგორც გაგრძელებას იმ პირთა საერთო სიისა, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს; და ბ) აქტების აღწერილობის გაგრძელებას.

15 მარტი 1865.

## 106. ალექსანდრე ნიკოლაისადმი

თქვენი აღმატებულებისადმი გასული 1864 წლის 4 თებერვალს წარდგენილ ბარათში (№7) გადმოცემული მქონდა ჩემი საჩივარი და პროტესტი[1] მეურვეობის საქმეებთან დაკავშირებით. ამასთანავე, მქონდა პატივი, თქვენთვის მეთხოვა – შეგეტყობინებინათ საქმის მსვლელობის შესახებ. მე ეს მთავარი მეურვისთვის[2] ანგარიშის წარსადგენად მჭირდება.

ერთ-ერთ –კერძოდ, საბატონო გლეხთა ბეგრის – საკითხისადმი სასამართლოს საქმეთა დეპარტამენტის დამოკიდებულების შესახებ გასული წლის დეკემბერში მივიღე კერძო შეტყობინება. იმავე დეკემბრის 28-ში ორი პუნქტის შესახებ წარვადგინე ჩემი ახსნა-განმარტება,[3] რომლის მიხედვითაც, აუცილებელია სააღრიცხვო ფურცლებში შეტანილ იქნეს ზოგიერთი ბეგრის ფულადი ღირებულება, რომელთა გამორიცხვასაც დეპარტამენტი აპირებს.

ამის შემდეგ არავითარი ცნობა არ მიმიღია არც ჩემი საჩივრისა და არც იმის შესახებ, თუ რა ბედი ეწია ჩემს წინადადებას საბატონო გლეხთა ზოგიერთი ბეგრის ღირებულების სააღრიცხვო ფურცლებში ჩამატების თაობაზე.

მაქვს პატივი, უმორჩილესად გთხოვოთ, თუკი ეს შესაძლებელია, ჩამაყენოთ საქმის კურსში.

ჭეშმარიტი პატივისცემითა და სრული ერთგულებით, მაქვს პატივი, ვიყო თქვენი აღმატებულების უმორჩილესი მოსამსახურე

**დ. ყიფიანი**

20 მარტი 1865 წ.

## 107. კონსტანტინე ორლოვსკისადმი

თქვენდამი მიმდინარე მარტის 10 რიცხვის მიმართვის (№46) დამატებად,[1] მაქვს პატივი, თქვენს აღმატებულებას ვაცნობო,

რომ ჩემთან შემოვიდა პოდპორუჩიკის, თავად ***ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანის*** სპეციალური განცხადება. იგი თანახმაა, ბანკის სასარგებლოდ გადადოს მეხუთედი იმ მოსალოდნელი ანაზღაურებისა, რომელიც გლეხთა პირადი გადასახადების სანაცვლოდ უნდა მიიღოს.

29 მარტი 1865.

## 108. კონსტანტინე ორლოვსკისადმი

თქვენდამი 10 მარტის მიმართვის (№46) დამატებად,[1] მაქვს პატივი, თქვენს აღმატებულებას ვაცნობო, რომ ჩემთან შემოვიდა პოლკოვნიკ ***ივანე პავლეს ძე მარკოზოვის*** განცხადება, რომლის თანახმადაც, იგი გლეხთა პირადი გადასახადების სანაცვლოდ მისთვის განკუთვნილ თანხას ბანკის სასარგებლოდ სწირავს მთლიანად.

9 აპრილი 1865 წ.

## 109. კონსტანტინე ორლოვსკისადმი

თქვენდამი გასული მარტის 10 რიცხვის მიმართვის (№46) დამატებად,[1] მაქვს პატივი, თქვენს აღმატებულებას ვაცნობო, რომ ჩემთან შემოვიდა თავად ***ზურაბ რატიევის*** სპეციალური განცხადება. იგი თანახმაა, ბანკის სასარგებლოდ გადადოს მეხუთედი იმ მოსალოდნელი ანაზღაურებისა, რომელიც გლეხთა პირადი გადასახადების სანაცვლოდ უნდა მიიღოს.

13 აპრილი 1865 წ.

## 110. კონსტანტინე ორლოვსკისადმი

თქვენდამი გასული მარტის 10 რიცხვის მიმართვის (№46) დამატებად,[1] მაქვს პატივი, თქვენს აღმატებულებას ვაცნობო, რომ ჩემთან შემოვიდა აზნაურ ***გრიგოლ აბელის ძე სააბუნი გამაზოვის*** სპეციალური განცხადება. იგი თავისი სახელით, აგრეთვე, მინდობილობით მისი ღვიძლი ძმები: ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი ***მათე*** და არქიტექტორი ***ნიკოლოზ აბელის ძე საარუნი გამაზოვები*** თანხმობას აცხადებენ, ბანკის სასარგებლოდ გადადონ მეხუთედი იმ მოსალოდნელი ანაზღაურებისა, რომელიც გლეხთა პირადი გადასახადების სანაცვლოდ უნდა მიიღონ.

16 აპრილი 1865 წ.

## 111. კონსტანტინე ორლოვსკისადმი

ჩემი გუშინდელი პირადი ახსნა-განმარტების, ჩემ მიერვე ამა წლის 10 მარტის წერილობითი მიმართვა №46-ის,[1] აგრეთვე, თავადაზნაურობის სხდომათა იმ ოქმების მიხედვით, რომლებიც დიდი მთავრის ნებართვითაა შედგენილი და, შესაბამისად, კანონიერი ხასიათი აქვს – ყოველივე ამის საფუძველზე თავს მოვალედ ვთვლი ხელისუფლების წინაშე დაბეჯითებით აღვძრა შუამდგომლობა: გასცეთ განკარგულება, იმ თანხიდან, რომელიც პირადი გადასახადის გაუქმების ასანაზღაურებლად არის ასიგნებული, თითოეული თავადისა და აზნაურისგან დაქვითულ იქნეს 20% და ეს თანხა, როგორც თავადაზნაურობის კაპიტალი, პირადი შენატანის სახით ჩაირიცხოს ერთ-ერთ საკრედიტო დაწესებულებაში მანამ, სანამ არ დამტკიცდება წესდება იმ ბანკისა, რომლის დაარსებაც თავადაზნაურობას აქვს განზრახული.

თუკი ბანკის დაარსების შესახებ ჩემი განზრახულების საერთო-საყოველთაო სარგებლიანობა არ იქნება გაზიარებული და იგი დარჩება პირად ინიციატივად, მაშინ ამჟამად დაკავებული თანხა შეიძლება დაუბრუნდეს იმათ, რომლებზედაც თავადაზნაურობის დადგენილება მოსალოდნელი დამტკიცების შემდეგ არ იქნება სავალდებულო.

რაც შეეხება ჩემ მიერ ზემოხსენებულ წერილობით მიმართვაში საგანგებოდ ნახსენებ იმ პირებს, რომლებსაც ან მათივე თხოვნით, ან კიდევ ჩემი შუამდგომლობით თანხა გამოსასყიდი ოპერაციებიდან უნდა დაექვითოთ, თავისთავად ცხადია, ამჟამად გლეხთა გადასახადის გაუქმების სანაცვლო ანაზღაურების 20% მათ არ უნდა დაექვითოთ.

თუკი ხელისუფლების წინაშე ჩემი ეს შუამდგომლობა არ იქნება გაზიარებული, მაშინ ახლავე უნდა განვაცხადო:

თუკი სათავადაზნაურო კანონიერი კაპიტალის შედგენის განზრახულება, რომელიც დიდი მთავრის, კავკასიის მეფისნაცვლის მიერ არის მოწონებული, არ დამტკიცდება იმ სახით, რა სახითაც იგი თავადაზნაურობის სხდომათა ოქმებშია ჩამოყალიბებული, მაშინ ვერავის დავუკავებთ ანაზღაურების ვერავითარ ნაწილს. მაგრამ თუ თავადაზნაურობის ამ ოქმებს აქვს კანონიერი ხასიათი, მაშინ, მე ასე ვფიქრობ, მისი შესრულება საქმის ბოლომდე მისაყვანად სავალდებულო უნდა იყოს ყველასათვის.

წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ოქმები, რომლებიც ხელისუფლების ნებართვითაა შემუშავებული, უნდა ჩავთვალოთ, რომ მოკლებულია კანონიერ ძალას და მაშინ, შეუძლებელია, მისი შესრულება ვინმესთვის იყოს სავალდებულო.

ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი **დ. ყიფიანი.**

17 აპრილი 1865.

## 112. მემამულეებისთვის გლეხთა პირადი გადასახადების სანაცვლო ანაზღაურების გამცემი თბილისის კომისიისადმი

მემამულეებისთვის გლეხთა პირადი გადასახადების
სანაცვლო ანაზღაურების გამცემ
ტფილისის კომისიას[1]

მივიღე ბ-ნი სამოქალაქო გუბერნატორის[2] ა. თ. 23 რიცხვის №6252 შეტყობინება იმის შესახებ, რომ კომისიას დაევალა სათავადაზნაურო კაპიტალის შედგენა. მოთხოვნებზე მუშაობის შესამსუბუქებლად, მაქვს პატივი, მოგაწოდოთ ანბანურ რიგზე დალაგებული სრული სია თავადებისა და აზნაურებისა, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს, ხსენებული კაპიტალის შესადგენად დათმონ კუთვნილი ანაზღაურების მეხუთედი.

30 აპრილი 1865 წ.

## 113. ეკატერინე დადიანისადმი

3 მაისი 1865. ტფილისით.

მოწყალეო დედოფალო!

თქვენი უკანასკნელი წიგნი 30 მარტისა მომივიდა. მას აქეთ თქვენი ამბავი აღარა ვიცირა და დიდად ვსწუხვარ. მწერენ, რომ ვითამ მადერაზედ რამდენისამე ხნის ყოფნა ძალიან საჭირო იყოს ნიკოსათვის[1] და თუ ასეა, ჩემგან ამისი რჩევა რა საჭირო იქნება, რადგან თქვენს მშობლიურს გულზედ უკეთესი მრჩეველი რაღა იქნება ქვეყანაზედ. – თქვენის საქმისა მე ბარონს ქაღალდით ვჰკითხე, ჩემს შარშანდელს ზაპისკას რა შეუდგა, გთხოვთ მაცნობოთ მეთქი;[2] და გუშინწინ მომივიდა პასუხი, ყო-

ველს საგანს ცალცალკე ვარჩევთო და საბატონო კაცების გარდასახადზედ ჩვენი ჰაზრიცა და თქვენი ქაღალდიც კავკასკი კომიტეტში წარვადგინეთო.[3] რაკი ჩემი ქაღალდიც წარუდგენიათ, მაშ 21 000 მანათი უნდა დანიშნონ წელიწადში. ამას გარდა მესმის, ვითამ ასე მიეწეროთ, რომ 1861-დამ უნდა მოგვეცეს. და რატომ 1861 და არა 1856-დამ, რადგან საქმითა ჰსჩანს, რომ ბოჭვა იმ წლიდამ არის დაყენებული და მიწერ მოწერა ამაზედ შემდგარი არის 1857-დამ.[4]

აბასტუმნის სასახლისა და ბაღ-ვენახებისა ნიჟარაძეს მივსწერე, რომ ყოველივე როგორცა ჰბძანებთ ისე ჩააბაროს კოსტანტინეს სიითა[5] და სია ორივე მხარისაგან ხელმოწერილი ოპეკაში წარმოადგინონ.

ახალი სახლთუხუცესის დაყენებას ამ ორის წლისათვის მე სრულებით საჭიროდ არა ვჰპოვებ;[6] ტყუილი ხარჯის მეტი არა იქნება რა; порядок счетоводства и отчетности установлен теперь такой, что сахуцесу тут совершенно нечего делать.* – მანუჩარ ჩიქოანის დათხოვნაც ეს მიზეზი იყო, რომ რადგან მე ჩემი კანცელარიის სიის ხარჯი ისე შევამცირე, რომ 1500 მანათის მაგიერად 600 მანათზედ მეტი აღარ მეხარჯება, ნიჟარაძესაც მივეცი ბძანება, რომ თავისი შტატი იმასაც შეემცირებინა და იმან მწერალთაგან მანუჩარ დაითხოვა, რადგან სხვაზედ ეს უფრო დასათხოვნი იყო; დიდი ხნის სამსახურით რაც ცნობა შეიძინა, ის ჩვენ აღარ გვადგებოდა და რაც სარჩო შეიძინა, ის ეყოფა.

ამას გარდა, ერთი დიდად საწუხარი საქმე უნდა მოისმინოთ კიდევა და ღვთის განგებას დამორჩილდეთ. მარტის 4-ს მურის სასახლე გადამწვარა სულ ერთიანათ. რისგან მომხდარა, გამოძიება არის ამაზედა და ჯერაც არა ვიცითრა.

შარშან რომ ბარონს ჩვენს საქმეებზედ ზაპისკა წარუდგინე, იმისი პირი მომზადებული მქონდა თქვენთან გამოსაგზავნად,

* ახლა აქ ანგარიშწარმოებისა და ანგარიშგების ისეთი წესებია დამყარებული, რომ სახუცესს აღარავითარი საქმე არა აქვს დარჩენილი (ადრეც ითქვა, რომ დიმ. ყიფიანი თავის ნაწერებში „სახლთუხუცესის“ სხვადასხვა ფორმას იყენებს: „სახლთხუცესი“, „სახუცესი“).

გადასაწერი გამომართვეს 20 მანათი, და ამ დროს გრანიცას გარეთ მივდივართო, თქვენი ამბავი მომივიდა და დამრჩა გამოუგზავნელი. მანდ გამოგიგზავნოთ თუ არა, არ ვიცი. იმისთვის გიგზავნიდით, რომ მე ამ ერთს წელიწადს პასუხი ვერა მივიღერა მეთქი და ახლა თქვენის მხრით უნდა დაადგეთ მეთქი.

სხვებრ ღმერთსა ვჰსთხოვ თქვენს მშვიდობას და უვნებელობას.

Если мой прекрасный друг с Вами, прошу передать искренность и неизменность моих дружеских чувств.*

თქვენი უერთგულესი **დიმიტრი ყიფიანი**

## 114. ეკატერინე დადიანისადმი

21 მაისი 1865. ტფილისით.

უძვირფასესო დედოფალო!

საბატონო კაცების გარდასახადის საქმე კავკასკი კომიტეტს ისე გადაუწყვეტია,[1] როგორც აქედამ წარუდგენიათ და ჩემი მოხსენება არც აქ შეუწყნარებიათ, არც იქ; — ასე რომ ვისაც მუშაობა მართებს და ცხენის ჩაბმა,[2] ამისი ფასი გამოურიცხავთ და ფულის მოცემა დაუნიშნავთ 1861-დამ. ფულის რაოდენობაზედ მე აღარა მეთქმის რა, მაგრამ 1861-დამ რომ დაუნიშნავთ, ამაზედ პროტესტის შეტანას ვაპირებ;[3] 1856-დამ უნდა დაენიშნათ ამ მიზეზით რომ მენგრელიაში გარდასახადი იბოჭება წარსრულის წლისა და 1857-იდამ აღარ მობოჭილა, მმართებლობის მიზეზით.[4] მთავრობამ რომ თვალით მაშინვე დასანახავი საქმე ცხრა წელიწადს შინჯოს, ვისი რა ბრალია. — თქვენი 24-ის აპრი-

* თუ ჩემი მშვენიერი მეგობარი[7] თქვენთანაა, გთხოვთ გადასცეთ გულწრფელობა და უცვლელობა მის მიმართ ჩემი მეგობრული გრძნობებისა.

ლის წიგნი მომივიდა ჰომბურხიდამ და მადლობა უფალსა, რომ მშვიდობით ბძანდებით. თქვენის ვალების ამოგებაზედ ამასთანავე განკარგულებას ვახდენ. — თქვენი ძიძა ქეთევან იყო ჩემთან; ძალიან გაჭირვებული ვარო და ასიოდ მანათის მომატებას გეხვეწებათ წელიწადში. თუ ინებებთ, ამაზედ ცალკე უნდა მომწეროთ წიგნი, თუნდა ქართულათ იყოს. ჩემს მოსვლას მწერთ და მეცა ვჰგრძნობ, რომ ძალიან საჭირო არის თქვენი ნახვა და საქმეებზედ მოლაპარაკება. მიბძანეთ სად გნახოთ და როდის, რომ ჩემი საქმეებიც ისე დავაწყო. — ბადენ-ბადენში ორჯელ თუ სამჯერ მოგწერეთ წიგნი, ერთი კოსტანტინეს წიგნიც იქ გამოგიგზავნეთ[5] და მოგერთვათ თუ არა. —

ბატონს ნიკოს, სალომეს და ანდრიას[6] გულითადს პატივისცემას მოვახსენებ.

თქვენი უერთგულესი **დიმ. ყიფიანი**

## 115. მიხეილ თუმანიშვილისადმი

მოწყალეო ხელმწიფეო,
თავადო მიხეილ ბირთველის ძევ

მაქვს პატივი, ამასთან გაახლოთ ასლი კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსის წერილისა,[1] რომელიც ეხება თავადაზნაურობის 16 აპრილის ყოვლადუქვეშევრდომილეს ადრესზე მისი უმაღლესობის კეთილმოწყალე პასუხს.[2]

ჭეშმარიტი პატივისცემითა და სრული ერთგულებით,
მოწყალეო ხელმწიფეო, თქვენი მორჩილესი მოსამსახურე
**დიმიტრი ყიფიანი**

22 მაისი 1865.

## 116. თბილისის ხაზინისადმი

ტფილისის ხაზინას

თავადაზნაურობიდან ზოგიერთმა, რომლებსაც გლეხთა პირადი გადასახადის სანაცვლო ანაზღაურება ეკუთვნით, გამომიცხადა, რომ სათავადაზნაურო კაპიტალისთვის განკუთვნილ თანხას ხაზინა მათ უქვითავს ფულის სტანდარტული კურსის მიხედვით,[1] ხოლო დანარჩენ ნაწილს გასცემს სერიებით.[2]

ყოველივე ამის გამო, მაქვს პატივი, ვთხოვო ხაზინას, რომ სათავადაზნაურო კაპიტალის სასარგებლო თანხა გამოქვითოთ სერიებით.

1 ივნისი 1865 წ.

## 117. ალექსანდრე ნიკოლაისადმი

თქვენი აღმატებულების მიერ 15 გასულ მაისს (№1285) ჩემს სახელზე გამოგზავნილი კავკასიის კომიტეტის ჟურნალის 15 აპრილის ჩანაწერის 25 აპრილის ამონაწერის ასლიდან (№640) ჩანს, რომ:

1. არ დაკმაყოფილდა ჩემი წინადადება იმის შესახებ, რომ საბატონო და საეკლესიო ბეგრის ფულადი ღირებულების საანგარიშო ფურცელში უნდა შეტანილიყო: ა) მოთხოვნა მუშაობისა, რომელიც წინასწარ არ არის განსაზღვრული; და ბ) ბატონის ცხენის გამოკვება და მეჯინიბის შენახვა;[1] 2. დანარჩენი ბეგრის საზღაურად წელიწადში 16 690 მანეთი უნდა იანგარიშებოდეს 1861 წლის 6 აპრილიდან და ეს თანხა უნდა გამოიყოს სახელმწიფო ხაზინიდან.

თავს უფლებას ვერ მივცემ, ვიკამათო იმაზე, თუ რატომ ითქვა უარი ჩემს შუამდგომლობაზე ზემოხსენებული ორი სახის ბეგრის შესახებ. არც იმის განსჯაში შევალ, თუ რამდენად

ზუსტად აისახა ბეგრის ფულადი ღირებულების განსაზღვრის თაობაზე ჩემი დასკვნები და მოსაზრებები სასამართლოს საქმეთა დეპარტამენტის გადაწყვეტილებაში, თუმცა თავს მოვალედ ვთვლი თქვენს აღმატებულებას მოვახსენო: თუკი სასწრაფოდ არ დავადგენთ ბეგრის ერთ-ერთი სახეობის ფულად ანაზღაურებას იმ მიზეზით, რომ იგი არ არის წინასწარ განსაზღვრული და საჭიროებისამებრ მხოლოდ მოთხოვნის შემთხვევაში უნდა შესრულდეს; ბეგრის მეორე სახეობისას კი იმ მიზეზით, რომ პირადი ბეგრისგან თავისუფალი გლეხები გარკვეული დროით ბატონის ცხენის გამოკვებისა და მეჯინიბის შენახვისგანაც უნდა გათავისუფლდნენ და, ამასთანავე, თუკი სამეგრელოს მთავარი ასეთ გარემოებას სადავოდ არ გახდის, მაშინ გამოვა ასეთი რამე: მეურვეობა ვერ მოითხოვს ისეთ ბეგარას, რომელზედაც ფულადი ანაზღაურებაა დადგენილი. თუკი ბეგრის ის სახეობები, რომელთა ფულადი ანაზღაურება არ არის დადგენილი და საკითხის შესახებ არც სამართლებრივი დავაა სადმე აღძრული, მაშინ ეს ბეგარა გადახდილ უნდა იქნეს ნატურის სახით; ე. ი. სამუშაოები, რომლებიც წინასწარ არ არის განსაზღვრული, უნდა შეასრულონ იმათ, ვისაც ეს ევალება, ოღონდ მაშინ, როცა სამთავრო მეურნეობას საამისო საჭიროება შეექმნება. შესაბამისად, ცხენის გამოკვება და მეჯინიბის შენახვა უნდა დაევალოთ იმათ, რომლებიც ამ სახის ბეგრისგან არ არიან თავისუფალნი. სწორედ ამის საფუძველზე გასცემს მეურვეობა განკარგულებას ხსენებული ორი ბეგრის თაობაზე.

რაც შეეხება დანარჩენი ბეგრის ფულადი საზღაურის დადგენასა და ამის საფუძველზე ანგარიშის 1861 წლის 6 აპრილიდან შედგენას, არ შემიძლია, ამ საკითხის თაობაზე ხელმძღვანელობის ყურადღება არ მივაპყრო შემდეგ გარემოებებს: 1. ბეგრის გადახდევინების შეჩერება არ მომხდარა საჩივრების საფუძველზე და ეს იმიტომ, რომ არავის არსად არ უჩივლია მისი სიმძიმისა თუ ზედმეტის მოთხოვნის თაობაზე. შეჩერება მოხდა ადგილობრივი ხელისუფლების უშუალო განკარგულებით. ეს განკარგულება კი, თავის მხრივ, ეყრდნობოდა ვარაუდს, რომ ხსენებული

ბეგრის გადახდევინება მოხდება არა მთავრის, არამედ ერობის სასარგებლოდ. თქვენი აღმატებულებისთვის ცნობილია, რომ ამგვარი ვარაუდი შემდგომ უარყოფილ იქნა; — 2. თქვენი აღმატებულებისთვის ისიც ცნობილია, რომ სამეგრელოში ძველთაგანვე დამკვიდრებული წესით ამა თუ იმ წლის ბეგრის გადახდევინება მხოლოდ მომდევნო წელს ხდება. ამიტომაც 1856 წლის ბეგრის ამოღება უნდა მომხდარიყო 1857 წელს, თუმცა მაშინ ეს ვერ მოხერხდა მმართველობის მთელ პირად შემადგენლობაში განხორციელებული ცვლილებების გამო. ბეგრის ამოღება ვერ მოხერხდა ვერც 1858 წელს და ეს იმიტომ, რომ მთავრის ადგილ-მამულზე 1857 წელს დაწესებულ მეურვეობას არ ჰქონდა არც ადგილ-მამულის აღწერილობა და არც — სახელმძღვანელო წესები. ერთიცა და მეორეც მხოლოდ 1859 წლისთვის მოხერხდა[2] და მეურვეობაც 1857 წლის საინვენტარო აღწერილობის საფუძველზე მაშინვე შეუდგა შემოსავლების მოკრებას; — 3. მაშინ ადგილობრივი ხელმძღვანელობა მეურვეობას მეურვეობისავე მოთხოვნით დაეხმარა მთავრის კუთვნილი გლეხებისგან გადასახადების ნარჩენებისა და სარგოების მოკრებაში. რაც შეეხება შემოსავლების მოკრებას საბატონო და საეკლესიო გლეხობისგან, იმავე ხელმძღვანელობამ მეურვეობის მოქმედებები შეაჩერა. მიზეზი იყო საკითხები, რომელთა განხილვა 1861 წლამდე მიმდინარეობდა უმაღლეს ხელისუფლებაში და დასრულდა იმავე წლის 6 აპრილის გადაწყვეტილებით. ამის შემდეგ ხსენებულმა გადაწყვეტილებამ მხოლოდ ის ცვლილება განიცადა, რომ ბეგრის ნატურით გადახდევინება შეიცვალა ფულადი ანაზღაურებითა და ხაზინის მეშვეობით.

იმ გაუგებრობების წარმოშობაში, რომელთა გამოც 1856 წლიდან მოკიდებული ბეგრის ამოღება ვერ ხერხდებოდა, მეურვეობას ბრალი არაფერში მიუძღვის. საქმე ისაა, რომ მეურვეობა განუწყვეტლივ მიაპყრობდა ხელმძღვანელობის ყურადღებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც სამეგრელოს მთავარი ზარალდებოდა — იგი მოკლებული იყო თავის კანონიერ და წესად დადგენილ შემოსავლებს.

ამჟამად ასეთი ვითარებაა: შემოსავლების მოკრება 1861 წლიდან, ე. ი. ზემოხსენებული გადაწყვეტილების მიღებიდან და არა 1856 წლიდან, როცა 1861 წელს მთავრის კანონიერ უფლებად აღიარებული შემოსავლების მოკრება სამეგრელოს დროებითი მმართველობის გადაწყვეტილებით შეწყდა, მეურვეობას ხუთი წლის შემოსავალს უკარგავს.

რამდენადაც ეს უკანასკნელი გარემოება არც კავკასიის მეფისნაცვალს მიუღია მხედველობაში და არც — კავკასიის კომიტეტს, მე მეურვის უფლებით, მაქვს პატივი, უმორჩილესად ვთხოვო თქვენს აღმატებულებას, რომ შემოსავლების მოკრება მოხდეს 1857 წლიდან. თუკი ჩემი შუამდგომლობა არ იქნება დაკმაყოფილებული, მაშინ უმორჩილესად გთხოვთ, ეს შუამდგომლობა მიიღოთ, როგორც წინასწარი განცხადება: მთავარ ნიკოლოზ დადიანს მიეცეს უფლება, შესაბამისი წესით ეძებოს საკუთარ ინტერესთა დაკმაყოფილების საშუალებები, ხოლო მეურვეობას მოეხსნას მის ადგილ-მამულთან დაკავშირებული ყოველგვარი პასუხისმგებლობა.

გთხოვთ, მეურვეობა ამის შემდეგაც ჩააყენოთ საქმის კურსში.

3 ივნისი 1865 წ.

## 118. ეკატერინე დადიანისადმი

თქვენო უგანათლებულესობავ,
კნეინა ეკატერინა ალექსანდრეს ასულო!

მეურვეობის დეპუტატი ლეჩხუმის ოლქში, თავადი დათა ჩიქოანი, მთხოვს შუამდგომლობას, რათა სოფელ ჭყვიშში[1] ებოძოს ათი ქცევა სახნავი მიწა, რომელსაც საყდრის-ყანა ჰქვია და იქვე, ამ მიწის ნაკვეთთან ახლოს, მდებარე წისქვილი.

მხედველობაში ვიღებ, ერთი მხრივ, თავად ჩიქოანის უნაცვალგებო, სასარგებლო და ბეჯით სამსახურს, რომელსაც იგი დეპუტა-

ტის წოდებით ლეჩხუმის ოლქში ეწევა თქვენი უგანათლებულესობისა და სამეგრელოს მთავრის ადგილ-მამულების დაცვა-შენახვისა და თქვენი ინტერესების გატარების მხრივ. ამას გარდა, ასეთი საზოძვარი, რომელიც მნიშვნელოვნად ვერ დააზარალებს სამთავრო სახლის ქონებას, თავად ჩიქოანისთვის ეჭვმიუტანლად იქცევა მომავალშიც გულმოდგინე შრომის წამახალისებელ საშუალებად. ამიტომ, მაქვს პატივი, ვუშუამდგომლო მას თქვენს წინაშე.

ამასთანავე, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია დავსძინო, რომ თქვენი ნებართვის მოლოდინში გავცემ განკარგულებას ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის თავად ჩიქოანისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ.

ჭეშმარიტი პატივისცემითა და სრული ერთგულებით ვშთები თქვენი უგანათლებულესობის უმორჩილესი მოსამსახურე

**დიმიტრი ყიფიანი**

3 ივნისი 1865 წლისა.

## 119. გორის მაზრის მემამულეებისათვის მათი ყოფილი გლეხების პირადი გადასახადების სანაცვლო ანაზღაურების გამცემი სამაზრო კომისიისადმი

გორის მაზრის მემამულეებისათვის მათი
ყოფილი გლეხების პირადი გადასახადების
სანაცვლო ანაზღაურების გამცემ სამაზრო კომისიას

ტიტულარული მრჩევლის, **ქაიხოსრო ივანეს ძე**
და ნამდვილი სამოქალაქო მრჩევლის,
**დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანების**

თ ხ ო ვ ნ ა

ამასთან ერთად გაახლებთ სახელობით სიას იმ გლეხებისას, რომლებიც გასული 1864 წლის 8 ნოემბრამდე წარმოადგენდნენ ჩვენს საკუთრებას და უკანასკნელი კამერალური აღწერის მიხედვით, ცხოვრობენ ჩვენს კუთვნილ მიწაზე, სურამის უბნის სოფელ ქვიშხეთში. გვაქვს პატივი, სამაზრო კომისიას უმორჩილესად ვთხოვოთ: ცნობა დასახელებულ გლეხთა პირადი გადასახადების გაუქმების სანაცვლოდ ჩვენთვის განკუთვნილი ფულის შესახებ პირდაპირ ტფილისის სამაზრო ხაზინაში გაგზავნოთ, რათა ეს ფული მთლიანად ბანკის დასაარსებლად განზრახული სათავადაზნაურო კაპიტალის ანგარიშზე ჩაირიცხოს.[1] შესაბამისი ქვითარი ხაზინიდან თავის დროზე ჩვენ ორიდან გაცემულ იქნეს ნამდვილი სამოქალაქო მრჩევლის, დიმიტრი ყიფიანის, სახელზე.

ამასთანავე, ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია დავსძინოთ, რომ დასახელებული გლეხები უმაღლესი ბრძანების გამოქვეყნებამდე, ე. ი. 1864 წლის 8 ნოემბრამდე, იყვნენ მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს მფლობელობაში[2] და არც ერთი მათგანი არ ყოფილა გაყიდული ან თავისუფლებამინიჭებული არც სახაზინო და არც სხვა რომელიმე უწყების მიერ.

28 ივნისი 1865.
სოფ. ქვიშხეთი

ქაიხოსრო და დიმიტრი ყიფიანების კუთვნილი მამრობითი სქესის გლეხების სია:

სურამის უბნის სოფ. ქვიშხეთში:

სოსია შიოს ძე ქალიაშვილი; მისი ვაჟიშვილები: ივანე, სიმონი, დავითი, დიმიტრი, ზაქარია, სოლომონი; შვილი ივანესი – ალექსი; სულ – 8 სული.

სოსია დავითის ძე გომარელი; მისი ვაჟიშვილები: სიმონი, იორდანე (გიორგი); სიმონის შვილები: ზაქარია, თედო; სულ – 5 სული.

თევდორე დავითის ძე გუდაძე – 1 სული.

სულ – 14 სული.

## 120. ეკატერინე დადიანისადმი

5 ივლისი 1865. სოფ. ქვიშხეთი.

მოწყალეო დედოფალო!

თქვენი ორი წიგნი მომივიდა 3-ის და 8-ის ივნისისა და ღმერთს ვმადლობ, რომ მშვიდობით ბძანდებით. ცოტა ფულის დანიშვნას სწუხართ, მაგრამ არ უნდა ჰსწუხდეთ, და არც ბარონს უნდა ემდუროდეთ.[1] ჩემს თანხმობას რომ ახსენებს, ეს მიკვირს, მაგრამ მაინც არ უნდა ვემდუროდეთ. მოწერა ყოვლისავე არ შეიძლება და როდესაც თქვენს პირისპირ ნახვას ველირსები, საქმეს მაშინ გიამბობთ და მიზეზებსაც მაშინ შეიტყობთ, რომ კი არა წამხდარა რა, ისე გამოკეთდა საქმე, რომ იმედი არა ვის ჰქონდა. ახლანდელი მენგრელიის მმართველი[2] დიაღ კეთილ-სვინიდისიანად ირჯება და საქმეები ძალიან კარგათ თავდება.

ოკტომბრის ნახევრისათვის, თუ ღმერთმა ინება, მზათ ვიქნები წამოსასვლელად და ყოველსავე თქვენს საქმეებზედ საფუძვლიანად მოსალაპარაკებლად.

დანიშნული ფული შეგხვდებათ ჯერ ოთხის წლისა და ნახევრისა, უმეტეს 70 000 რუბ. და რომელიც მე პროტესტი შევიტანე,[3] იმის ძალით კიდევ უმეტეს 80 000. ჩვენ რომ გვებოჭა, როგორც უწინ იყო გადაწყვეტილი, სწორე უნდა მოგახსენოთ, რომ მეოთხედს თუ მოვბოჭდით, დიდი საქმე იქნებოდა, მაგრამ მაინც ჩივილი გვმართებს. – სხვა საქმეები, როგორც მოგახსენეთ, ღვთის მადლით ახლა ძალიან კარგათ მიდის, იმ სამს უბედურებას გარდა, რომელიც მოულოდნელად მოგვევლინა: ზუგდიდისა და მურის სასახლეების დაწვა და ტბის დარღვევა.[4] ამაზედ ვლასტოვს ერთი კარგი სიტყვა უთქვამს და იმასაც პირისპირ მოგახსენებთ.

ბატონს ნიკოს, ანდრიას და კნიაჟნა სალომეს[5] გულით მოვიკითხავ.

თქვენი უერთგულესი **დიმიტრი ყიფიანი**

## 121. ვასილ ვასილის ძისადმი

მოწყალეო ხელმწიფეო,
ვასილ ვასილის ძევ

ბორჯომის მამულზე ჩემი უფლებიდან გამომდინარე, სიხარულით უნდა ვუწყობდე ხელს ნებისმიერი შემოსავლის ზრდას, თუმცა სხვა გარემოება – მიმდინარე საგლეხო რეფორმა – მიკარნახებს, რომ თუნდაც საკუთარი ინტერესების საზიანოდ გამოვექომაგო ჩემს მიწაზე მცხოვრებ ჩემსავე ყოფილ გლეხებს. ამიტომაც მსურს თქვენი აღმატებულების ყურადღება მივაპყრო გლეხ იორდანე გომარელის თხოვნას მის მიერ მოჭრილი ხე-ტყის კონფისკაციის გამო. მან ეს ხეები მოჭრა მიტარბის ტყეში და, თუ საამისოდ ჩემი დამოწმება არ იქნება საკმარისი, დასადასტურებლად შეგიძლიათ გამოჰკითხოთ ხე-ტყის ათობით მწარმოებელი, რომლებიც განუწყვეტლივ მიდი-მოდიან იმ ადგილებში. სანამ აღნიშნულ ტყეში ჭრის უფლება არ მიეცათ აზნაურებს, სავანელსა და ყიფიანს, იქ არავითარი ხე-ტყის ჭრა არ ყოფილა და, ვგონებ, ეს ყველაფერი კარგად უნდა მოეხსენებოდეთ თქვენი სამმართველოს მოხელეებს. –

იოტისოდენადაც არ მეპარება ეჭვი გომარელის თხოვნის სამართლიანობასა და საფუძვლიანობაში და, ვიცი რა, თუ რა წესებს მისდევთ, არც თქვენი სასამართლოს შეუმცდარობაში მეპარება ეჭვი. მიუხედავად ამისა, თავს უფლებას ვაძლევ, თქვენ წინაშე მაინც გამოვესარჩლო გომარელს.

ღრმა პატივისცემითა და სრული ერთგულებით,
მაქვს პატივი, ვიყო თქვენი აღმატებულების
უმორჩილესი მოსამსახურე
**დიმიტრი ყიფიანი**

6 ივლისი 1865 წ.
სოფ. ქვიშხეთი

## 122. ეკატერინე დადიანისადმი

12 ივლისი 1865. სოფ. ქვიშხეთი.

მოწყალეო დედოფალო!

წარსრულის ფოჩტით მოგართვით წიგნი და ახლა კიდევა გწერთ: ქუთაისის ხაზინას მოუვიდა ბძანება, რომ საბატონო კაცების სამსახურის სამაგიერო ფული მოგვეცეს, წარსრულის დროისა, 1861 წლის აპრილის 6-დამ, 79 045 р. $68^1/_2$ к; და მომავალის 1867 წლის იანვრის 4-მდის[1] მოგვეცეს კიდევ 16 829 р. 8 к; – მე რომ პროტესტი შევიტანე,[2] იმის ძალითაც რომ ხუთის წლისა კიდევ მოგვეცეს, ამითი და იმითი შესდგება სულ 179 000 р. ჩვენ რომ გვებოჭა, ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა, რომ ამისი ნახევარი ამოგვეგო. – ამასთან ესეც იანგარიშეთ, რომ ადგილ მამულის გარდა [...],[3] ცალკე საბრალო ელიზ. ნიკ. ლუკინას რომ წელიწადში 300 მანათი დაუნიშნეთ, ჯერ არა მისცემიარა და ახლა თუ ინებებთ, მომწერეთ, მადლი იქნება თქვენის შვილების სადღეგრძელოდ. –

სახლთხუცესი რომ გარდიცვალა,[4] მას დარჩა ქვრივი, ოთხი მცირეწლოვანი და ორი მოზდილი შვილები. შეძლებას დიდს ეგულებოდნენ, მაგრამ 1400 მანათზედ მეტი ფული არ დარჩენია.

იმისმა ობლებმა არზა შემოიტანეს, რომლითაც მთავრისაგან და თქვენგან წყალობას ითხოვენ: რაც პიერსისაგან ჭურიის ტყისათვის ფული შემოვიდა, იმისს [...][5] წოდებით. – მაგრამ ეს არ ერგებათ, რადგან ამ საქმეში სახლთხუცესს მონაწილეობა სრულიად არა ჰქონიარა და არც ეკუთვნოდა ამ გვარის შემოსავლის წილი. სახლთხუცესს თქვენ რომ ჩემის მოხსენებით დროებითად ორმოცი ქცევა მიწა უბოძეთ ხოფის წყლის პირზედ,[6] იმისს დამკვიდრებას ითხოვენ. მე ვჰგონებ, რომ მამულის ასე გაცემა არ ივარგებს.

ითხოვენ აგრეთვე მიწას, ხუნწის სამზღვართან ცხენის წყლის პირზედ. სახასო კაცები მონიავები მეტად შეიწროვდებიან და ათიოდე ქცევის შემუშავების ნება კი მივეცით წელს. –

ამასთან ეს უნდა მოგახსენოთ, რომ ელიზბარ ბატონიშვილის ქვრივს[7] ჭილაევმა 300 მანათი პენსია მოუტანინა,[8] მმართებლობის ერთგული იყოო, და მთავრის წინააღმდეგიო. — სახუცესი რომ მთავრისათვის სწორეთ თავგადადებული იყო, ახლა იმისს ქვრივს და ოთხს მცირეწლოვანს ობლებს რომ 400 მანათი პენსია უბოძოთ, გათხოვებამდის, ან სრულ ასაკოვნებამდის, სამართალიც იქნება და დიალ კარგი მაგალითიც. უფროსს ორს შვილს რომ ეს ათი ქცევა მიწა მიეცეს სამოდეთ,[9] როგორც ორმოცი ქცევა ხოფის წყლის პირზედ, იმათ ეს ეყოფათ. მანუჩარ ჩიქოვანს ხელობას მივსცემთ რასმე, რომ ისევ ჩვენს სამსახურში იყოს. მწერლათ კი არ ვარგა. ჩვენი საქმეები ახლა ღვთის მადლით კარგათ მოდის. ხარჯი გვემატება მართალია, მაგრამ უამისოდ არა გაკეთდება რა.

თქვენი **დ. ყიფიანი**

ამისი პასუხი გთხოვთ არ დამიგვიანოთ. ფულის მიღება მოჰხდება ვჰგონებ სეკტემბერში. რაც თქვენ დაგჭირდებათ, მიბძანეთ. სხვა უნდა გაიცეს.

## 123. ეკატერინე დადიანისადმი

16 აუგვისტო 1865. სოფ. ქვიშხეთი.

მოწყალეო დედოფალო!

თქვენმა 16-ის ივლისის წიგნმა დიდად სასიამოვნოდ გამაკვირა, ვითამ საბატონო კაცების სამსახურის სამაგიეროდ დაენიშნოთ 320 ათასი მანეთი. მოუთმენლად მოველი თქვენგან ამ ამბვის გამართლებას და თუ გამართლდა, მე სხვას ვერა ფერს მივაწერ თუ არ ამას, რომ დიდის ყურადღებით არიან ახლა თქვენზედ და სხვა უმეტესად საამო საქმეც შეუდგება რამე ამას.

ჯერ გადაწყვეტილი არის წელიწადში 16 690 მანათი 1861 წლიდამ. მე, როგორც მოგახსენეთ, ჩემის პროტესტით ვითხოვ 1856 წლიდამ, და ამ ჩემს პროტესტს თუ შეუდგა ახალი გადაწყვეტილობა,[1] მაინც მეტად ბევრი დაუნიშნავთ. ესეც კი მოგახსენეთ, ჩვენში, რომ ჩვენთვის რომ ბოჭვა მოენებებინათ, ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა, რომ ან ნახევარი ამოგვეგო იმისი, რაც აქამდისინ იყო გადაწყვეტილი და რასაც ახლავე გვაძლევენ. სეკტემბრის 15-ს უნდა მივიდე ქუთაისს და იქაურის ხაზინიდამ მივიღო ჯერ 76 ათასი მანათი და მერე წლობით. რა უყო ამდენს ფულს, არ ვიცი. გაცემა ამდენის ფულისა აგრე ადვილად არ შეიძლება. შინ შენახვა სულ არ იქნება. პრიკაზში თუ შევიტანე,[2] ორი პროცენტის მეტს არ მოგვცემენ; თუ სერიებზედ დავსცვალე,[3] მაშინ ხუთი პროცენტი მაინც გვექნება წელიწადში და სერიების ისევ ფულად დაცვლა, როდესაც საჭირო იქნება, უფრო ადვილი არის. მაგრამ მანამდის მივიღებდე, იმედი მაქვს მომწერთ რასმე ამას წინეთ ჩემგან მორთმეულის წიგნის პასუხსა. ეს თქვენი 16-ის ივლისის წიგნი რომ მომივიდა, იმ დღეს ჩემთან იყვნენ კოსტანტინე და მისი მეუღლე,[4] ბორჯომიდამ გამომიარეს ოდიშს მიმავალთა და რა საკურველია იმათაც დიდად ისიამოვნეს. – ჩემის პროტესტის ძალით გერგებოდათ სულ 200 ათასამდინ და ამის მაგიერად რომ 320 მოგცენ, უკეთესი რაღა შეიძლება.

სხვა პასუხთა შორის თქვენგან ამასაც ველი, რომ შემატყობინოთ, სად მოგძებნოთ. ოტპუსკი უნდა გამოვითხოვო,[5] რომ 15-ის ოკტომბრისათვის მზად ვიყო წამოსასვლელათ.

Моему прекрасному, но давно уж не виданному другу, дружеский поклон.* – ბატონს ნიკოს, ანდრიას და კნიაჟნა სალომეს[7] უგულითადესი ჩემი პატივისცემა.

ჩემი სახლობა დიდს მადლობას შემოგწირავთ მოკითხვისათვის და ერთობ თქვენს უვნებელობას ყოვლისშემძლებელსა ჰსთხოვს.

---

* ჩემს მშვენიერ, თუმცა დიდი ხნის უნახავ მეგობარს[6] მეგობრული მოკითხვა.

## 124. ეკატერინე დადიანისადმი

22 აუგვისტო 1865.

მოწყალეო დედოფალო!

თქვენის ბრძანებისამებრ დღეს დათხოვნის ქაღალდსა ვჰგზავნი მთავრობასთან, რომ ოკტომბერში მზათ ვიყო წამოსასვლელად. მანამდისინ იმედი მაქვს თქვენგან ჩემი წიგნების პასუხი მივიღო და სად მოგნახოთ, ესეც შევიტყო.

ახლა სახლთუხუცესის დანიშვნა საჭიროდ ჩნდება.[1] ჩემის ანგარიშით ყოვლის უმჯობესი ეს იქნება, რომ არჩილ ბატონიშვილი დაინიშნოს.[2] საზოგადოობაში დიაღ კარგი ხმა აქვს, საქმეები ზედ მიწევნით იცის და მთავარს ახლა იმაზედ უკეთესად ვერა ვინ გამოადგება, რადგან დიდად ერთგულია მთავრისა, სიმართლეს მტკიცედ ადგია და ისე მიუფერებელად მართალს ვერა ვინ იტყვის, როგორც არჩილ; და ამაზედ მეტი საჭირო არა არის რა.

თუ თქვენც ასე ინებებთ, უნდა თქვენც მოსწეროთ წიგნი და ცალკე მთავარსაც მოაწერინოთ. ეს დიდად გაამხნევებს და მნიშვნელობაც კარგი ექნება.

საქმეები ახლა ღვთის მადლით აქ ყოველივე კარგათ მიდის. – ფოთში ადგილების წართმევას გვიპირებენ ვითამ და სექტემბრის 1-ს იქ მივალ, თუ ღვთით მშვიდობა იქნა.

თქვენი უერთგულესი **დიმიტრი ყიფიანი**

## 125. თბილისის სამაზრო ხაზინისადმი

ტფილისის სამაზრო ხაზინას

უმორჩილესად ვთხოვ სამაზრო ხაზინას, ყოფილი გლეხების პირადი გადასახადის სანაცვლო ანაზღაურების თავადებსა და

აზნაურებზე საკრედიტო ბილეთების სახით გაცემისას ბანკის სასარგებლო თანხა გადაიყვანოთ სერიებში,[1] დაუმატოთ თავადაზნაურობის დანარჩენ თანხას და შეინახოთ მოთხოვნამდე.

ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი...

11 ოქტომბერი 1865 წლისა.
ქ. ტფილისი

## 126. ეკატერინე დადიანისადმი

21 ოკტომბერი 1865.

მოწყალეო დედოფალო,

აგერ ორი თვე მეტი არის, რაც ოტპუსკი ვითხოვე[1] და ჯერაც არა ფერი ამბავია. მგზავრობა რომ შუა ზამთარში მომიხდეს, არ ვიცი ჩემი საქმე როგორ იქნება. ისევ გაზაფხულამდის რომ დარჩეს, ემჯობინება. ფოთს ჩასვლა აღარ მომიხდა. 1 სექტემბერს ვიყავით დაბარებულნი, მაგრამ ხოლერის მიზეზით საქმე შეიშალა და ახალი ვადა ჯერაც არ დაუნიშნავთ. ქუთაისშიაც იყო ხოლერა, მაგრამ იქ კი მიველ ფულის მისაღებად. ამ თვის 1 რიცხვამდინ გვერგო 74 875 р.[2] ხაზინადარმა შემატყობინა, რომ თუ 200 მანათს მაჩუქებთ, ახლავე დაგითვლით ფულსა, თუ არა და მოგაცდევინებთო. მეტი ღონე აღარ იყო, 165 მანათი მივეცი იმას და იმის პრისიაჟნებს[3] და ჩავიტანე ფული ქალაქს იმ ანგარიშით, რომ ან პრიკაზში შემეტანა, ან პროცენტიან ბილეთებზედ დამეცვალა. მაგრამ პრიკაზი 2 პროცენტზედ მეტს არ მოგვცემდა და თავნის გამოტანაც ძალიან გაჭირდებოდა. 5 და $5^1/_2$ პროცენტიანი ბილეთები სარგებელს მართალია მეტს მოგვცემდა, მაგრამ ამ ბილეთებს გასავალი ვერა აქვთ, თავნი აქაც დაგვეფოლებოდა და ამ ანგარიშით ისევ სერიებზედ დაცვლა

ვამჯობინე,[4] რადგან სერიებს ისეთი გასავალი აქვს, როგორც ფულსა. სერიები რომ ადვილად არ იშოვებოდა, ფული ტფილისის ხაზინაში შევიტანე, რომ ერთს თვეზედ ან თვე ნახევარზედ 60 000 მანათი მაინც სერიებზედ დავსცვალო, რომელსაც სარგებელი მოაქვს $4^1/_2$% და 10 000 მანათი მანდ მოგართვათ. დეკემბრის გასულს გვერგება კიდევ 5000 და მომავალს წელიწადს 17 000. – წინა გავლილის 5 წლისას რომ ვითხოვ, ამაზედ რაც ქაღალდი შევიტანე, იმისი კოპიო ამასთან მომირთმევია. – რაც მივიღეთ, რომ არ მიგველო, შესაძლებელი იყო სულ დაგვკარგოდა. რა რომ მივიღეთ, ესვე გვმსახურებს საბუთად, რომ უწინდელისაც უნდა მოგვცენ; ამას სიტყვა აღარა აქვს. – კოსტანტინესი ნიჟარაძეს მივსწერე, რომ ათასი მანათი მიართვას.[5] კნეინა ანნა ილინიშნასი ბარონმა მითხრა ქალაქს,[6] რომ ამ ზამთარს ვეღარ მიდისო, მაგრამ მე მაინც გამოვეხმაურები ამ თვის დამლევს ან ნოემბრის პირველს რიცხვებში, თუ ინება თქვენის ფულითაც ხელს გაუმართავ და თუ მგზავრობაც ერთათ მოგვიხდა, უკეთესი რაღა იქნება. კნეინა მანანასაც[7] ისევ ამ ფულიდამ უნდა მივართვა, თორემ თქვენი გაცემული ფულის ამოგება, ვინ იცის, როდის იქნება და ისიც იქნება თუ არა, რადგან სრულიად თურმე არა გააჩნიათრა. სხვა ვალების ამოსაგებათაც ზოგს უკანასკნელი ძროხა ეყიდება, ზოგს სავაჭრო საქონელი და ზოგისაგან ცარიელი დუქნები გვრჩება, რომელსაც ქირითაც აღარა ვინ იჭერს, რადგან ვაჭრობა მეტად დაცემული არის. –

კნეინა მანანას ჯერ დეპეშითა ვჰკითხე, საროდიოდ აპირებთ წასვლასა, რომ ფული მოგართვათ მეთქი. პასუხი რომ არ მომივიდა, რამდენსამე დღეს უკან მე თვითან ჩაველ ქალაქს და მაშინვე ვიკითხე, აქა ბძანდება და მინახვინებს თუ არა მეთქი. აქა ბძანდება, მაგრამ შინ არ არისო. მეორეს დღეს გავგზავნე კიდევ კაცი და პასუხი მომიტანა, ხვალ 11 საათზედ მიგიღებსო. იმ დრომდინ ჩემგან მოცდა ყოვლად შეუძლებელი იყო და შინ რომ ამოველ, დამხვდა დეპეშა, ფული საჩქაროთ გამომიგზავნეო. დღეს მომივიდა კიდევ წიგნი, მაგრამ საიდამა მწერს ან როდინდელია, არა ეტყობარა. შტემპელი გორისა აზის და ხსენება

სრულიად არა არისრა, გორს ბძანდება თუ ქალაქს, ან როდის აპირებს გამომგზავრებას. გაუგზავნიდი, მაგრამ სად გაუგზავნო, არ ვიცი. ტელეგრაფით მოვიკითხავ და იქნება შევიტყო როგორმე.

თქვენი უერთგულესი **დიმიტრი ყიფიანი**

## 127. ამიერკავკასიის სახაზინო პალატისადმი

ამიერკავკასიის სახაზინო პალატას

ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობამ სამაზრო ყრილობების ოქმებით დაადგინა, რომ გლეხთა პირადი გადასახადების სანაცვლოდ დანიშნული ანაზღაურებიდან თავადაზნაურობის კაპიტალის შესადგენად და მის საფუძველზე ბანკის დასაარსებლად გადადოს მეხუთედი ნაწილი.

უმეტესობას მეხუთედი ნაწილი უკვე გამოექვითა ტფილისის, გორისა და თელავის ხაზინების მიერ. დარჩენილებს ამჟამად ექვითებათ თანხის გაცემისას. ამ გზით შედგენილი კაპიტალი ხელუხლებლად უნდა იყოს დაცული მანამ, სანამ: ან განზრახული ბანკი საკანონმდებლო წესით არ დამტკიცდება, ან მისი გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას არ მიიღებს საერთო-საგუბერნიო ყრილობა თავადაზნაურობისა, რომელსაც – და მხოლოდ მას – ეკუთვნის ამ კაპიტალზე საკუთრების ყველა უფლება. ამასთანავე, თავადაზნაურობის ინტერესი მოითხოვს, რომ ეს კაპიტალი არ დარჩეს ნამატის გარეშე.[1]

ვითვალისწინებ რა ზემოაღნიშნულ გარემოებებს, მაქვს პატივი, სახაზინო პალატას მივმართო უმორჩილესი თხოვნით, რომ:

1. გლეხთა პირადი გადასახადების სანაცვლოდ მემამულეებისთვის დანიშნული ანაზღაურების მეხუთედის გამოქვითვის შედეგად მიღებულ მთლიან თანხას, უკვე შესულსაც და იმასაც, რომელიც მომავალში შემოვა, როგორც ტფილისის გუბერნიის

თავადაზნაურობის საკუთრებას, თავი მოეყაროს ერთ – კერძოდ, ტფილისის – ხაზინაში.

2. თანხა, რომელიც საკრედიტო ბილეთებითაა გამოხატული, გადაყვანილ იქნეს სერიებში;[2] და,

3. მთელი ეს კაპიტალი – ჩემი მიმდინარე 1 ნოემბრის (№184) მიმართვის საფუძველზე ტფილისის ყრილობისთვის დარბაზის დასაქირავებლად სესხად გამოტანილი 321 მანეთისა და 50 კაპიკის გამოკლებით[3] – ჩაითვალოს ხელუხლებელ კაპიტალად. ამ პირობის შეცვლა შეუძლია მხოლოდ გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლს: ან კაპიტალთან დაკავშირებული დებულების უმაღლესად დამტკიცების შემდეგ გამოსაყენებლად, ან გუბერნიის თავადაზნაურობის ყრილობის გადაწყვეტილების საფუძველზე.

საქმის შემდგომი მსვლელობის შესახებ, უმორჩილესად გთხოვთ, მაცნობოთ.

7 ნოემბერი 1865.

## 128. იული ვიტესადმი

მოწყალეო ხელმწიფეო,
იული თედორეს ძევ,

განზრახული მაქვს, გორის მაზრაში, სურამის უბნის სოფ. ქვიშხეთში, თევზის ხელოვნურად მოშენებას მივყო ხელი.[1] ცნობილ მეთევზე სპეციალისტთა თეორიული მოსაზრებებისა და პრაქტიკის გათვალისწინებით მოვაწყვე თევზსაშენი, რომელიც გასულ ოქტომბერს უკვე მზად იყო ორაგულის ქვირითისთვის, თუმცა იმ პირებთან წარმოშობილი გაუგებრობის გამო, რომლებთანაც მოლაპარაკებას ვაწარმოებდი, მიმდინარე წელს აღნიშნული თევზის ქვირითის მოპოვება ვერ მოხერხდა და, ამდენად, საკუთრივ ორაგულის მოშენების საქმე მომავალი წლის შემოდგომისთვის გადავდე. მთავარი მიზანი კი, რომელსაც ვი-

სახავ, არის ისეთი თევზის მოშენება, რომელიც ამიერკავკასია-
ში არ გვხვდება, კერძოდ, ეს არის ცქვრინი.

სხვა სახეობის თევზების — ვთქვათ, კალმახისა და ორაგულის — მოშენებას თქვენი დახმარების გარეშეც შევძლებ, თუმცა აუცილებლად დამჭირდება დახმარება ცქვრინის მოშენებაში. საჭიროა: მომავალი წლის შემოდგომისთვის მდინარე დონზე ქვირითის მოპოვება, სათანადო წესით მისი ადგილზევე განაყოფიერება, სათანადო წესითვე მისი დაბინავება, ქვირითის მოპოვებისა და განაყოფიერებიდან 10 ან არა უმეტეს 12 დღის განმავლობაში მითითებულ მამულში ჩატანა.

სწორედ ამაში მჭირდება „სოფლის მეურნეობის საზოგადოების“ დახმარება. იმედი მაქვს, უარს არ მეტყვიან, ჯერ ერთი, თვითონ წამოწყების სარგებლიანობის გამო და, ამას გარდა, იმ გარემოების გამოც, რომ, მაქვს პატივი, ამ „საზოგადოების“ წევრი ვიყო მისი დაარსების დღიდანვე,[2] დახმარებისთვის კი მე მას მივმართავ პირველად. —

სხვა გზა არა მაქვს და ხსენებულ თხოვნას კიდევ ერთი უმორჩილესი თხოვნა უნდა დავურთო: ვინაიდან საგანგებო აუცილებლობის გამო მომავალი წლის აპრილამდე მოშორებული ვიქნები ჩვენს მხარეს[3] და ამიტომაც, შესაძლოა, დროზე ვერ გაცნობოთ, თუ რა და რა საშუალებებით უნდა იქნეს ქვირითი მოპოვებული, განაყოფიერებული და ადგილზე ჩატანილი, „საზოგადოებას“ კიდევ ერთხელ უმორჩილესად ვთხოვ, ჩემს პირად თხოვნას თავისი სახელითაც დაურთოს მიმართვა ჩვენი თანაწევრის, ალექსანდრე პეტრეს ძე მაქსიმოვიჩისადმი,[4] რათა მან დონზე მივლინებულ პირს აუცილებელი ინსტრუქციაც მიაწოდოს.

უმორჩილესად გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, ჩემი ეს თხოვნა განხილვისა და გადაწყვეტილებისათვის გადასცეთ „საზოგადოებას“.

ჭეშმარიტი პატივისცემითა და სრული ერთგულებით,
მაქვს პატივი, ვიყო თქვენი აღმატებულების...

26 ნოემბერი 1865.

## 129. იული ვიტესადმი

მოწყალეო ხელმწიფეო,
იული თედორეს ძევ,

გასული ნოემბრის 28-ში გამოგზავნილი წერილის[1] დამატებად, მაქვს პატივი, თქვენს აღმატებულებას მივაწოდო დონზე ჩემ მიერ მოპოვებული ახალი ცნობები ***ცქვრინის*** შესახებ.

დონის ცქვრინის ქარავანი მდინარის წვრილ თევზებთან ერთად მიცურავს დინების საწინააღმდეგოდ და დაახლოებით ამ დროს ყრის ქვირითს. ეს ხდება მაშინ, როცა მდინარე ყინულისგან თავისუფლდება, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია იმაზე, თუ როდის დაიწყება ადრესაგაზაფხულო დათბობა, რომელიც, ჩვეულებრივ, უწევს თებერვლის მიწურულს ან მარტის დასაწყისში. შესაბამისად, მივლინებული პირი თებერვლის ბოლო რიცხვებში უკვე დონზე უნდა იყოს. – ნოვოჩერკასკში, ტარკოვის სასტუმროში, ცხოვრობს როსტოველი მეშჩანი გაბრიელ ალექსის ძე შევცოვი, რომელიც ასეთ საქმეებში გამოცდილია და გარკვეული გასამრჯელოს ფასად ჩვენთვის დიდი დახმარების გაწევა შეუძლია. იმავე შევცოვს შეუძლია დაგვეხმაროს კიდევ ერთი ისეთი არაჩვეულებრივი თევზის მოშენებაში, რომელიც დონზეც კი იშვიათობაა, ხოლო ამიერკავკასიაში საერთოდ არ ბინადრობს. ეს არის ***ღლაბუტა***.

ეს თევზი ნოვოჩერკასკში იცის, მთის ძირას, თავად გოლიცინის სახლის პირდაპირ, მისსავე მამულში, რომელსაც „მიშკინის აგარაკს“ უწოდებენ.

ღლაბუტა მდინარის თევზია, ბინადრობს მდოვრე ან დამდგარ წყალში, ან კიდევ მდინარის ღრმა ადგილებში, სადაც კიბორჩხალებიც ბინადრობენ. ეს განსაზღვრავს კიდევაც მის სიცოცხლისუნარიანობას: თუ ღლაბუტას ორ-სამ წყვილს დიდ გობში ან სხვა რაიმე ხის ჭურჭელში ჩავსვამთ, ჭურჭელს იმავე წყლით გამოვრეცხავთ და ავავსებთ, მისთვის მშობლიური გრუნტის მიწას ჩავუფენთ და დღე-ღამეში თუნდაც ერთხელ

იმავე წყალს გამოვუცვლით, საიდანაც ამოვიყვანეთ, ასეთ პირობებში ისინი ორ კვირამდე ძლებენ. ასე რომ, შესაძლებელია ცოცხალი ღლაბუტას გადმოყვანა და მისი გაშვება ჩემს მამულში, სპეციალურად მოწყობილ თევზსაშენში, რომელიც იმ დროისთვის უკვე მომზადებული იქნება. ამასთანავე, აუცილებელია – ისევე, როგორც ცქვრინის განაყოფიერებული ქვირითის შემთხვევაში – წინასწარი ზომების მიღება, რათა არ იყოს ტემპერატურული სხვაობა იმ წყლებს შორის, რომელშიც თევზი ადრე ბინადრობდა და შემდეგ გადმოვიყვანეთ.

ეს ყველაფერი, გარდა მივლინებული პიროვნების გზისა და დღიური ხარჯისა, 50 მანეთზე მეტი არ უნდა დაჯდეს და, თუ ჩვენი ეს მცდელობა მეტად თუ ნაკლებად შედეგიანი გამოდგა, ამ ხარჯს, როგორც ადრევე მოგახსენეთ, საკუთარ თავზე ვიღებ.

ქვირითის მოსათავსებელი მოწყობილობა, როგორც ეს თქვენთვის ცნობილია, ჩემს მამულში უკვე მომზადებულია და იმ შემთხვევისთვის, თუ ჩემი ამჟამინდელი მგზავრობიდან შინ დროზე ვერ დავბრუნდები, უკვე გავგზავნე სათანადო მითითებები, რათა – ქვირითის მოთავსება იქნება ესა, თუ თევზის გაშვება – ამ ყველაფერმა დაბრკოლებების გარეშე ჩაიაროს.

თქვენდამი ღრმა პატივისცემითა და სრული ერთგულებით,
მაქვს პატივი, ვიყო თქვენი აღმატებულების
უმორჩილესი მოსამსახურე

21 დეკემბერი 1865.
ს.-პეტერბურგი

## 1866

## 130. რიჩარდისადმი

ძვირფასო ბატონო რიჩარდ,

თქვენთან ერთად ვწუხვარ, რომ მარსელში ვერ მოიძებნა

მყიდველი ხე-ტყისა, რომლის გაყიდვასაც ვაპირებ. აუცილებლად ვისარგებლებ თქვენი შემოთავაზებით – იყოთ ჩემი წარმომადგენელი, თუკი გადავწყვეტ, რომ მითითებული მასალიდან ზოგიერთი თვითონ დავამუშავო.

ვამჯობინებ, რომ ხელი არ მოვკიდო საქმეს, რომელიც ჩემთვის უცხოა. ამიტომაც ამ საკითხზე ამჟამად მოლაპარაკებას ვაწარმოებ პარიზში. ვისურვებდი, მარსელში სანდო წყაროებთან გაარკვიოთ შემდეგი გარემოებები და პასუხი მაცნობოთ რაც შეიძლება სწრაფად:

1. რამდენი განივი ძელია საჭირო კასრის დასამზადებლად?

2. რა ეღირება კასრის ფრახტი ფოთიდან მარსელამდე?

3. რა ღირს განივი ძელი მარსელში?

4. რა ღირს ჩვეულებრივი ძელი?

5. --------------------- ფიცრები?

6. --------------------- საკასრე ტკეჩი?

7. რამდენი განივი ძელი გამოვა 0,50 დიამეტრისა და 20 მ. სიმაღლის ხიდან?

8. სულ რამდენი საკასრე ტკეჩი გამოვა?

ამასთანავე, ძვირფასო ბატონო რიჩარდ, დიდად დამავალებთ, თუ თქვენი ხელმძღვანელობით შეადგენინებთ ზუსტ და ვრცელ ანგარიშს, როგორსაც თავად შეადგენდით, მყიდველი რომ ყოფილიყავით.

ცხადია, ცნობების მოძიებისას გაწეულ ყველა ხარჯს შეიტანთ ჩემს დებეტში. ეს ცნობები გამომადგება მყიდველებთან, რომლებიც მომმართავენ.

უახლოეს მომავალში თქვენი პასუხის მიღების იმედით მიიღეთ ჩემი მეგობრული გრძნობები.

P.S. ხეების კენწეროები და ტოტები საუკეთესო შეშა იქნება გასათბობად. ამაზე რა აზრისა ბრძანდებით?

17 თებერვალი-1 მარტი 1866.

## 131. ეკატერინე დადიანისადმი

5/17 მაისი 1866. პარიჟით.

უძვირფასესო დედოფალო!

ვმადლობ ჩემს დამბადებელს, რომ მშვიდობით გიმგზავრიათ და სასიამოვნოდ დაბინავებულხართ მშვენიერს ჰომბურღში. გმადლობთ თქვენც გულით, რომ თქვენი ამბავი შემატყობინეთ. მე დღესაც აქ გახლავარ,[1] კვირას აქეთ დაღონებული, გულჩაწყვეტილი და ისევე იმ ფულის მომლოდინე, რომელიც ოც და ჩვიდმეტი დღე არის გამოგზავნილია და მოსვლას არა ეშველა რა. –

რა რომ თქვენ წაბრძანდით, თითქმის აღარავინ მინახავს, ზუბალოვსა და შარლვილს გარდა.[2] ისინი ხშირად მოდიან ჩემთან და მე კი აღარსადა გხლებივარ. გუშინ წინ ცოტა შეუძლოთაც გახლდი გაცივების მიზეზით, მაგრამ ძილით მოვირჩინე თავი. ადვილად წარმოიდგენთ, რა სასიამოვნო უნდა იყოს ახლა ჩემთვის პარიჟში ყოფნა, სადაც ერთ წამსაც აღარ დავრჩებოდი, წასვლა რომ შემძლებიყო. მაგრამ დიდი ხანია მოთმინების უნივერსიტეტში გახლავარ და მგონია ეგზამენში გამოვდგე.[3]

ჩემს უძვირფასესს ბატონს მთავარს, ჩემს მეგობარს ანდრიას და ყოვლად-სატრფოს კნიაჟნა სალომეს წრფელის გულით მოვიკითხავ.[4] დიდად ვსწუხვარ მათგან დაშორებას, მაგრამ იმედი მაქვს, რომ მალე მაღირსოს ღმერთმა თქვენი ნახვა, პეტერბურღში.

თქვენი უერთგულესი და უმორჩილესი
**დიმიტრი ყიფიანი**

## 132. ეკატერინე დადიანისადმი

7/19 მაისი 1866. პარიჟით.

უძვირფასესო დედოფალო!

ჟერამეკმა გამომიხსნა განსაცდელისაგან,[1] ფულით ხელი შე-

მიწყო და ეს არის, ამ საღამოზედ გიახლებით პირ და პირ ვენაზედ, ოდესსაზედ, ყირიმზედ და ფოთზედ. სტამბოლს ველარ გავივლი, რადგან ერთი კვირა მეტი შემაგვიანდებოდა.

ოჯალეში ჯერაც არ მოგვსვლია და როდესაც მოვა, მანდ მოგერთმევათ. პეტერბურღს ველარ გავგზავნე, ძალიან ძნელია და ძვირათ დაჯდებაო.

ღმერთსა ვჰსთხოვ თქვენს მშვიდობასა და უვნებელობას. ჩემს გულითადს საყვარლებს და სატრფოებს ნიკოს, ანდრიას და სალომეს[2] პირს და ხელს კოცნას მოვახსენებ.

თქვენი უერთგულესი **დიმიტრი ყიფიანი**

## 133. თბილისის მეექვსე სამიჯნე კომისიისადმი

ტფილისის მეექვსე სამიჯნე კომისიას,
მიწისმფლობელის, ნამდვილი სამოქალაქო მრჩევლის,
**დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანის**

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ამით ვაცხადებ, რომ მაქვს უფლება ბორჯომის იმ მამულის ნაწილზე, რომელიც ხაზინის მიერ თავად ავალოვებისგან არის შეძენილი.[1] მაქვს პატივი, უმორჩილესად ვთხოვო მეექვსე კომისიას, დადგენილი წესით წინასწარ შემატყობინოს, კონკრეტულად როდის შეუდგება ხსენებული მამულის გამიჯვნას. ჩემი საცხოვრებელი ადგილი მდებარეობს ბორჯომიდან ტფილისის გუბერნიის გორის მაზრის სურამის უბნისკენ მიმავალ ტრაქტზე, სოფელ ქვიშხეთში, ბორჯომიდან 20 ვერსზე.

5 ივნისი 1866.

## 134. ეკატერინე დადიანისადმი

15 ივნისი 1866. ტფილისით.

ბატონო დედოფალო!

გუშინ ჩავაბარე ფოჩტას თქვენთან გამოსაგზავნი ფული. ზედ ეწერება 19 035 р., მაგრამ ამისი ანგარიში ასე გახლავს.

| | |
|---|---|
| სერიის ბილეთები[1] არის | 19 000 რუბლი. |
| ამ თვის 1-მდინ ემატება სარგებელი | 965.* |
| და კრედიტნი ბილეთები | 35. |
| სულ შესდგა | 20 000 რუბლი.* |

* ერთ აბაზ ნაკლებ. ასე გადამახდევინა ხაზინამ და ყოველს პაჩკაზედ[2] ზედ აწერია, რამდენიც სარგებელი ემატება.

საბატონო კაცების გარდასახადის სამაგიეროს რომ წარსრულის დროისას ვითხოვდით, უარი მოგვივიდა და კავკაზსკი კომიტეტის გარდაწყვეტილობის[3] პირს ამასთან გიგზავნით.

ჩემის მხრით ამას აღარა მოეხერხებარა, თუმცა კი მიზეზი უარისყოფისა ყოვლად უსაფუძვლოა; მაგრამ, როდესაც დაბოლოებითი ანგარიში იქნება, მაშინ ესეც ითქმის. –

მოუთმენლად ველი თქვენს პასუხს, რაც ბარონის[4] აზრი გუშინწინ მოგწერეთ იმაზედ და სწორეთ სამჯობინარი იქნება, რომ სეკტემბერში მაინც შეუდგეთ საქმეს.

ჩემი ნინო განუსაზღვრებელს მადლობას მოგახსენებთ საჩუქრისათვის. არჩილ ისეთი ბიჭი დამახვედრა,[5] რომ უკეთესი ბევრი არსად მინახავს.

ბატონს ნიკოს, ჩემს მეგობარს ანდრიას, თუ шутить перестал,* და თვალებით აღმოსავლეთის სინათლის გამომეტყველს

* ხუმრობას თავი დაანება.

კნიაჟნა სალომეს[6] ზოგს პირს კოცნას და ზოგს ხელს კოცნას მოვახსენებ.

თქვენი უერთგულესი **დიმიტრი ყიფიანი**

## 135. ეკატერინე დადიანისადმი

13/25 ივნისი 1866. ტფილისით.

მოწყალეო დედოფალო!

დღეს ორი კვირაა, რაც ქალაქს გიახელ და ძლივს დღეს ვახერხებ თქვენთან წიგნის მოწერასა. პარიჟიდამ სწორეთ 36 საათზედ გიახელით ვენას[1] და იმ დღეს იქ დავრჩით, მაგრამ სიცივისა და ავდრის მიზეზით გარეთ ველარ გამოვიხედეთ. იქიდამ ოდესსამდინ არსად შეგვისვენია. იქ დავრჩით სამს დღეს, პარახოდის მოლოდინით. იქიდამ ქერჩში დავრჩით კიდევ ამავე მიზეზით სამს დღეს. ამასობაში საბრალო ლადინსკის ანდერძის ამბავი შევიტყე და მართლა ოთხში ერთი მეც დაუნიშნავარ თავის ჭირისუფლად, ესე იგი დუშეპრიკაშჩიკათ.[2] აქ ქალაქში ხმა დაეყარათ, ვითამ რამდენიმე ათასი თუმანი ჩემთვის ეანდერძებინოს, მაგრამ ახლა კი შეიტყეს, რომ არც ერთი კაპეიკი არ უანდერძებია. — ფოთს რომ გიახელ, იქ დამხვდნენ ბევრნი და სხვათა შორის ნიჟარაძე. სამენგრელოს ამბავი — მშვიდობა, საქმეების წარმოება — ისევ ისე კეთილი და კმასაყოფელი. რაც მოსალაპარაკებელი იყო, თქვეს და ზოგი გზაში მოვილაპარაკეთ და გიახელ ქუთაისს, სადაც კნ. არჩილმა ჩამომისწრო[3] და იმასთანაც მშვიდობიანათ ვილაპარაკეთ. მთხოვა ქაღალდით დარიგება მომეცით, რა არის ჩემი ვალდებულებაო და მეც აღუთქვი. ვასილიევი ქუთაისს არ დამხვდა,[4] ქალაქს არისო. ქალაქშიაც აქამომდე ვერსად ვიპოვე და თუ ის ვერ ვიპოვე, სხვა უნდა გავგზავნო ვინმე ზუგდიდის სასახლისათვის. — ქუთაისსაც დავრ-

ჩი სამს დღეს. იქიდამ ქალაქამდინ რაც სამის დღისა და ღამის მგზავრობამ შეგვაწუხა და დაგვღალა, ისე აქედამ მოსკოვამდის მგზავრობასაც არ დაუღალავარ. –

აქ რომ გიახელ, რა საკურველია, მაშინვე ვნახე ბარონი[5] და უამბე ყოველი თქვენი ამბავი. ყოველი თქვენი განზრახვა მოსწონს ერთს გარდა, რომელზედაც მეც დავეთანხმე. იმისი აზრი ეს არის, რომ საქმის დაგვიანება არას შემთხვევაში აღარ გიჯობსთ, 4-ის იანვრის მოცდა ყოვლად უანგარიშო იქნებაო,[6] ამიტომ რომ იმ დღემდის ყოველივე სათქმელი უნდა ითქვას, რომ მმართებლობასაც დრო ჰქონდეს იმ დღისათვის ყოველი განკარგულების მოხდენისაო და არის ზოგიერთი საქმე ისეთი, რომ, რაც 4 იანვარს მოხდება, იმისი ადრევე ცოდნა უსაცილოდ საჭიროა როგორც თქვენთვის, ისე მთავრობისათვისაო, მაგალ. ბატონ-ყმობის საქმე: სამაგიერო ფულის დარიგება, ნადელებისა და სამსახურის დაწესება, გვაროვნობის გარჩევა და სხვანი. იმისი ლაპარაკით სწორეთ ასე გამოდის, რომ ათასწილათ ემჯობინება, რომ ნიკო თვითან მივიდეს,[7] 1-ის სეკტემბრისათვის, ან არა უგვიანეს სეკტემბრის ნახევრისა, პირდაპირ ხელმწიფეს იახლოს და მოახსენოს, რას ინებებს, რადგან სრულ-წლოვანებამ მოატანაო. მაშინ საქმის კეთილად წარმართვა ყოვლად უეჭველია. მოსალაპარაკებელი ყოველივე გათავდება, საქმე 4-ის იანვრისათვის ყოვლითურთ მომზადებული იქნება და, თუ სიცივემ შეაწუხა, ისევ მანდეთკენ გამობრუნებას ზამთრისათვის აღარა დაუშლისრაო[8] და აქაც დროით გვეცოდინება, როგორ რა უნდა ვაწარმოვოთო. ნოემბრამდინ შეგვიანება წაახდენს საქმესაო. ამას ისე ვანბობ, როგორც მმართებლობის პირი და ამასთან ძმა იმათიო.[9] ამისი მოწერა მთხოვა და აჰა, გწერთ. ესეც დაამატა, რომ ნიკო რომ მარტო წავიდოდეს ეს უფრო ბევრით სამჯობინარი იქნებაო, რადგან იქ ბატონს ყურში ამას აწვეთებენ, რომ ვითამ საკუთრად თქვენ არა გნებავდეთ საქმის ამნაირად დაბოლოვებაო. – აქედამ ეს გამოდის, რომ არც მე ვარ საჭირო, მაგრამ თუ მაინც საჭიროდ დაინახეთ, ჩემს სეკტემბრისათვის მოსვლას დაბრკოლება არა ექნებარა და ნოემბრისათვის კი უსათუ-

ოდ დამაბრკოლებენ, რადგან ჰნებავთ რომ აქაური კენჭის საქმე ყოვლითურთ კანონიერს წესზედ დააყენონ[10] და მე თუ აქ არ დავესწარ, მრთელს საზოგადოებასაც წაუხდება საქმე და მეც მუხანათობას დამწამებენ.

რა საკურველია, ამისი პასუხი რაც მალე მომივა, უკეთესი იქნება.

ხვალინდელის ფოჩტით ვაპირებ ოცი ათასი მანათის მორთმევას სერიებით.[11]

ბატონს ნიკოს, ანდრიას და სალომეს[12] გულითადს მოკითხვასა და პატივისცემას მოვახსენებ.

თქვენი **დიმიტრი**

წიგნი აქ, ტფილისს, უნდა გამომიგზავნოთ. აქ ვიქნები თუ სხვაგან, უთუოთ მომივა. პარიჟში რომ ფულს ველოდი, აქ მომივიდა, პრუსსიის საზღვრიდამ გამობრუნებული.

## 136. კონსტანტინე ორლოვსკისადმი

ბატონ ტფილისის სამოქალაქო გუბერნატორს

ჩემი გასული წლის 3 ივნისის №131 წერილის დამატებად, მაქვს პატივი, თქვენს აღმატებულებას ვაცნობო: ვინაიდან იმ მიზეზთა გამო, რომელიც ჩემი თქვენდამი 1864 წ. 27 ოქტომბრის №209 მიმართვაშია აღნიშნული,[1] თავადაზნაურობის საგანგებო ყრილობის მოწვევა შეუძლებელი ხდება, ხოლო მიმდინარე წლის ბოლოს თავადაზნაურობის ჩვეულებრივი ყრილობის ჩატარება გვიწევს, საგანგებო ყრილობის თარიღის დანიშვნა აღარ არის საჭირო.

30 ივნისი 1866.

## 137. იული ვიტესადმი

მოწყალეო ხელმწიფეო,
იული თედორეს ძევ,

აგრონომ ვართანოვის მოხსენებისა და ჩვენი „საზოგადოების“[1] უკანასკნელ შეკრებაზე ჩემი გამოსვლიდან თქვენი აღმატებულებისთვის ცნობილია, რომ როსტოვიდან ქერჩამდე შექმნილი გაუთვალისწინებელი შეფერხება რომ არ ყოფილიყო, ცქვრინის განაყოფიერებული ქვირითი ჩამოტანილიც იქნებოდა[2] და – ჩემ მიერ ჯერ კიდევ შარშან მოწყობილ თევზსაშენში მოთავსებულიც. თუმცა ეს ისეთი წარუმატებელი შემთხვევათაგანია, რომელმაც საქმე ვერ უნდა შეაჩეროს და, ვინაიდან ბ-მა ვართანოვმა ამ საქმეში თავისი თეორიული ცოდნა პრაქტიკითაც გაამდიდრა, იმედს ვიტოვებ, „საზოგადოება“ უარს არ იტყვის, იგი დონზე იმავე მიზნით მომავალ წელსაც მიავლინოს. –

ამასობაში მე არ შემიჩერებია საქმეები სხვა სახეობის საუკეთესო თევზების მოსაშენებლად. სამეცნიერო ცნობებისა და პრაქტიკული ცდების შეჯერება განსაკუთრებით საჭირო გახდება მომავალი აგვისტოსა და სექტემბრისათვის და სწორედ მაშინ დიდად სასარგებლო იქნება ბ-ნი ვართანოვის დახმარება. ამიტომაც მოგმართავთ უმორჩილესი თხოვნით, იმ დროისთვის მოავლინოთ იგი ჩემთან, სოფელ ქვიშხეთის მამულში, სურამის მახლობლად. მე თვითონ ვკისრულობ აღნიშნულ თვეებში მის შენახვასა და დონზე მისი მგზავრობის ხარჯსაც დავფარავ. მხოლოდ ამას გთხოვთ, ბ-ნ ვართანოვს გამოუყოთ გარკვეული თანხა ტფილისიდან ქვიშხეთში და უკან საფოსტო ცხენების დასაქირავებლად, აგრეთვე, მისცეთ მიწერილობა ადგილობრივ უფროსობასთან, რათა აღმოუჩინონ სათანადო დახმარება – მოსალოდნელია, რომ ბ-ნ ვართანოვს გარკვეული დროით მდინარე ლიახვის ზემო წელზე ასვლა მოუწიოს.

ვიცი რა მსგავსი წამოწყებებისადმი თქვენი კეთილგანწყობა, ველოდები ბ-ნ ვართანოვს აგვისტოს დამდეგისთვის[3] და,

ამასთანვე, უმორჩილესად გთხოვთ, ერწმუნოთ თქვენდამი ჩემს ღრმა პატივისცემასა და სრულ ერთგულებას.

8 ივლისი 1866.
ქვიშხეთი

## 138. ეკატერინე დადიანისადმი

18 ივლისი 1866. სოფ. ქვიშხეთი.

უძვირფასესო დედოფალო!

ძლივს ერთი წიგნი მომივიდა თქვენი 8 ივლისისა. ვმადლობ უფალს, რომ მშვიდობით ბძანდებით თუ [...] არ შეგაფთხოთ როგორმე. ჩემი ამას წინათ მოწერილის წიგნითაც გაცნობეთ, რომ მენგრელიაშიდ ველარ შევიცადე, რადგან ქალაქში ველარა ვის მიუსწრებდი, რომ საქმეებზედ მომელაპარაკნა, და მერე იქ წასვლის დროც აღარ მომეცა. [...] ცოტა დაგვიანდა მართალია, მაგრამ თუ მანდაურმა ომიანობამ არ დააბრკოლა,[1] კიდევაც არის იმედი, რომ დროზედ მოგერთვასთ. ტყის ვაჭარი თუ ჩემ სანახავად ზუგდიდს მივიდა ვინმე, განკარგულება არის ჩემგან, რომ ჯერ ტყე გააშინჯონ და მერე გამომიგზავნონ მოსალაპარაკებლად. ჩვენი ფრანცუზი[2] დადის ტყეებში და რას იზამს [...]. თუ გამოგვადგა, დიაღ კარგი და თუ არა, რაც ერჩიოს, ის ქნას.

ჩემი მგზავრობისა ეს უნდა მოგახსენოთ [...] პატიოსნება შეუგინებელია [...] შეჰშვენის და მიხვრა-მოხვრა, მანერები ღმერთმა შეინახოს. ფრანცუჟენკების გრაციისა სრულიად არა ჰსცხიარა. არც იმდენი ტაკტი აქვს, რომ ხან და ხან ცხვირის აშვერა არ შეეტყობოდეს ხოლმე ბოზბაშისა და ჩიხირთმის ჭამაზედ, ან მომჟაურ ღვინის დალევაზედ, მაშინ, როდესაც ბეჯითად ვიცი, რომ ბლამანჟესა და ძვირფასს ლაფიტს[3] არც შინა ყოფილა დაჩვეული. — მაგრამ რადგან, როგორც მოგახსენეთ, სიმშვიდე,

სიწყნარე და პატიოსნება შეურყეველი აქვს, სხვა ნაკლოვანებას ვითმენთ. ეს არის ჩემი აღსარება. –

ბატონს ნიკოს, ანდრიას და სალომეს წრფელის გულით მოვიკითხავ.[4] ჩემს ნათლია-ბატონს კნეინა მანანას, და ჩემს ქალბატონს კნეინა ანასტასიას ხელს კოცნას მოვახსენებ.[5]

თქვენი **დიმიტრი ყიფიანი**

## 139. ელიზბარ ერისთავისადმი

ბ-ნ გორის მაზრის უფროსს

ვინაიდან გამიჯვნა ჩვენში ჯერ არ მომხდარა, მე არ შემიძლია მოგაწოდოთ ზუსტი ცნობები ჩემს საკუთრებაში არსებული მიწის ფართობის შესახებ, თუმცა, თქვენო ბრწყინვალებავ, ვიღებ რა კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას, გარწმუნებთ: ამჟამად რეალურად ჩემს მფლობელობაში არსებულ მამულში – შთამომავლობითი იქნება, თუ სათანადო აქტებით შეძენილი, დასახლებული თუ დაუსახლებელი – იქნება დღიური სახნავ-სათესი მიწა[1] და მასზე ქვიშხეთის სასოფლო მმართველობის საზღვრებში დასახლებულია 20 კომლზე მეტი დროებით ვალდებული და სხვა სახის თავისუფალი გლეხობა.

მაქვს პატივი, უმორჩილესად გთხოვოთ, წინამდებარე მიმართვის ან თქვენთვის ცნობილ გარემოებათა საფუძველზე ჩემს სახელზე გასცეთ კანონთა III ტ. 52-ე მუხლით (არჩევნების შესახებ) გათვალისწინებული მოწმობა, რათა იგი დროულად წარვუდგინო მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლს.[2]

9/21 ივლისი 1866.

## 140. ეკატერინე დადიანისადმი

25 ივლისი 1866. ქვიშხეთით.

უმოწყალესო დედოფალო

ომიანობა მეტად აგვიანებს ფოჩტას.[1] თქვენი 14-ის ივნისის წიგნი გუშინ მომივიდა. ვმადლობ უფალსა, რომ მშვიდობით ბძანდებით. ინჟენერს ნიკურს და ვერჟეს რომ მთავრისათვის წიგნი მოუწერიათ,[2] რასაც კონდიციებს ისინი სწერენ, ყოვლად შეუძლებელი არის შეწყნარება. ასე რომ, იმათი გამოლაპარაკება სრულიად ამაო იქნება. იმათ სულ მუქთათ უნდათ ხელში მოიგდონ თქვენი ტყეები და თქვენი მამულები და თუ აგრე ადვილათ გასაცემი ყოფილიყო, აქაურ მთავრობას რიღასთვის ვებრძოდი. არა თუ ეგენი მივიღო, მგონია იმ ფრანცუზის გამოგდებაც მალე მომიხდეს.[3] მეორე არჩილ ეს გაგვიჩნდა,[4] რასაც ეს ითხოვს წელიწადში არც ხუთასი თუმანი ეყოფა. თუ თავისს საქმეს, ესე იგი ტყეების აღწერასა და კონტრაკტს მტკიცედ დაადგა, ხომ რა კარგია, თუ არა და ნურც თქვენ დამემდურებით და ნურც ის, რომ პირი ისევ პარიჟისაკენ ვაქნევინო.

არ მჯერა, მაგრამ ერთი ამბავი მომივიდა, რომ ვითამ თქვენთან მოლაპარაკებას აღარ უცდიდნენ და მთავარს [...] უპირებდნენ მისის უფლებისა და ***საკუთრებისათვის*** დაფასებით და ადგილობრივს მთავრობას თურმე ჰკითხვენ, რა უფლება და საკუთრება აქვსო. ამას ჩვენ უნდა გვკითხავდნენ და არა მთავრობას, მაგრამ ბეჯითი ჯერ არა ვიცირა.

ბარონს რომ შარშანწინ დიდი ზაპისკა მივეცი და მანდაც რომ წაგიკითხეთ, ახლა მომივიდა იმისი პასუხი, მაგრამ რა პასუხი? ყოვლად უმართლო და უსაფუძვლო.[5] ვისაც მე უჩივოდი, იმათგან პასუხები მოუთხოვნიათ, აღარა განუხილავთრა, აღარა გაუშინჯავთრა, აღარცა რა ფერი ჩემგან მოუთხოვნიათ და მწერენ [...] იმათ ეთანხმაო. სიზმარი მგონია და ნამდვილი კი არის. – თქვენს პეტ [...] ნათლია- [...] მართლა [...] საქმე [...] კნეინა [...]

## 141. ეკატერინე დადიანისადმი

28 ივლისი-1 აუგვისტო 1866. ქვიშხეთით.

ბატონო დედოფალო!

დღეს ზუგდიდიდამ გამობრუნებულმა არხიტეკტორმა გამომიარა და თქვენი სასახლის ამბავი მიამბო.[1] ყოველივე გაუშინჯავს, სწორე ზომა აუღია და დღესვე მიდის ქალაქს, რომ იქ რიგიანათ დახაზოს და პირ და პირ თქვენ გამოგიგზავნოთ. იმისი აზრი ორნაირი არის და ორისავე პლანსაცა და ანგარიშსაც მოგართმევსთ. რასაც ამჯობინებთ, ბძანებთ და ჩვენც იმას დავადგებით. პარიჟში სახლის გაკეთებინება კი მგონია აღარ ივარგებდეს ახლანდელის კურსის მიზეზით, რადგან დამწვარის სასახლის კარგათ განახლება ბევრით უფრო იეფათ დაგიჯდებათ. —

***1 აგვისტო:*** დღევანდლამდის ეს წიგნი გაუთავებელი დამრჩა, რადგან ბატონყმობის საქმის გამოისობით გორს ჩასვლა მომიხდა და წუხელის ძლივს აქვე ამოვაღწიე დიდის სიცხისაგან დიდად შეწუხებულმა. ისეთი სიცხეები არის ჩვენს ქვეყანაში, რომ მეტი არ შეიძლება. თითქმის აქაც[2] გვიჭირს საქმე, როდესაც თავისდღეში არა ყოფილა დიდი სიცხე. — აქ დამხვდა თქვენი 6-ის ივლისის წიგნი და ვმადლობ უფალსა, რომ მშვიდობით იმყოფებით. ოკტომბრის ნახევრამდინ ვერ წავალთ პეტერბურღსაო მიბძანებთ და როგორც ამას წინათაც მოგახსენეთ, დიდად ვიშიშვი, საქმე სულ არ წახდეს, თუ არ მიატანეთ და ვისიც იმედი გაქვთ იმათთან დაუყოვნებლივ არ მოილაპარაკეთ. პეტერბურღში მისვლა სულაც არ იქნება საჭირო, რადგან ცარსკი სელოში შეიძლება პირის პირ ნახვა და მოხსენება, როგორ ინებებს.[3] მაშინ იქვე მოილაპარაკებთ თქვენ და თვითან ნიკო და დააბოლოვებთ, თუ იმ ანგარიშს დაადექით, რომელზედაც მანდ გვქონდა ლაპარაკი და რომელიც დანიშნული აქვს ნიკოს.

აქ მე ისეთს მდგომარეობაში ვარ, რომ იქნება სულაც არ გამომიშვან. როგორც მოგახსენეთ, ჩემს დიდს შარშანწინდელს ზაპის-

კაზედ[4] ისეთი პასუხი მომივიდა, რომ უსაფუძვლობითა და უსვინდისობით სხვას ყველას გადააჭარბა. ამაზედ რომ არა ვსთქვარა, არ შეიძლება და რა კი ვიტყვი, ესე იგი, ქაღალდს შევიტან, უეჭველია დიდათ იწყენენ და დაუთხოვნელობის მიზეზს ამას იტყვიან, რომ რადგან ნამესტნიკმა კენჭისათვის 1 დეკემბერი დანიშნა ვადათ,[5] მანამდისინ კენჭი არ გათავდება, თქვენი დათხოვნა არ შეიძლებაო, უსათუოთ ამას მეტყვიან. მაგრამ ამ საქმეს რა შეუდგება, ოკტომბრამდინ შევიტყობ და თქვენგანაც მეცოდინება თქვენი ნება. აგერ თითქმის ორი კვირა არის, რაც ის ჩინებული პასუხი აქ მიძევს და ვერა მომიფიქრებიარა, რომ ჩემი პასუხიც შევიტანო და დაწერაც ისე მოვახერხო, რომ არ განრისხდნენ. ერთობ უერთგულესს და უგულითადესს მოკითხვას მოგახსენებთ ყოველთავე.

თქვენი **დიმიტრი ყიფიანი**

## 142. ნიკოლოზ გულკევიჩისადმი

4 აგვისტოს შევატყობინე, რომ ყოველმხრივ ვეცდები, თუმცა ეს ადვილი არ არის – ამჟამად იგი ლეჩხუმშია. ისიც მივწერე, რომ ცოტა ხნის წინ მისი სავალო ვალდებულებები გადასახდელად წარვადგინე – სამეურვეოს თანხა, 16 ათას მანეთზე მეტი.

4 აგვისტო 1866 წ.

## 143. ქვიშხეთის მამასახლისისა და მოსამართლეებისადმი

ქვიშხეთის მამასახლისსა და მოსამართლეებს

წარსრულს ივლისის 13-ს ჩემთან შემოტანილის ქაღალდითა მთხოვთ ადგილსა და ხე ტყის ჩემს ტყეში მოჭრის ნებასა სოფლის სამწერლო და საპყრობილე სახლის დასადგმელად.

ადგილი მითხოვებია ერთის დლის მიწა, სადაც ჩემს მამულზედ მოსამართლე მიქელა სილაძე ჰსცხოვრობს, იმისს სახლსა და სასოფლო გზას შუა. — ხე ტყის მოჭრის მაგიერად ამ ნებას გაძლევთ, რომ რაც მოჭრილი არის და ადგილობრივ რჩება, სატივე ხეებს გარდა, იმაში ამოარჩიოთ, რაც მასალა დაგჭირდებათ და ის მოიხმაროთ.

რადგან ჩემს ადგილზედ ჩემივე ხით დასდგამთ სახლსა სოფლის საჭიროებათათვის, სამართალი მოითხოვს, რომ ჩემი სარგებლობა არ მაკლდებოდეს, მაგრამ ამ ახალის დაწყობილობის ხელის გასამართავად ჩემი სარგებლობა სოფლისათვის შემომიწირავს სამს წლამდინ, რომ დღეიდამ სამის წლის განმავლობაში ქირა არა მოვითხოვორა; და სამის წლის შემდეგ ადგილის ქირა უნდა მაძლიოს სოფელმა, რაც ერთს დღიურს სამოსახლოზედ არის გადაკვეთილი, ესე იგი, წელიწადში სამი მანათი.

ეს პირობა უნდა დარჩეს თავისს ძალაში დღეიდამ ცხრა წლამდინ. რა რომ ცხრა წელიწადი გავა, მაშინ ჩემსა და სოფელს შუა ახალი გარიგება უნდა მოხდეს, რაც მაშინ მამულს სარგებლობა ექნება, იმის მიხედვით. ამ ვადამდინ მე ჩემის ადგილის დაცლა არ მოვითხოვო, თუ რომ სოფელი თავისი პირობის შემსრულებელი იქნება და თუ სოფელმა თვითან არჩია სხვაგან დადგმა სახლისა, ეს ჩემგან არას დროს არ დაეშალოს; და როდესაც სოფლის ნებით მოხდება ადგილის გამოცვლა, თუ ცხრა წელიწადს შემდეგ მოურიგებლობის მიზეზითა, მაშინ ადგილიცა და შენობაც მე უნდა დამრჩეს, როგორც პატრონს ადგილისასაც და ტყისასაც. — ამის დასამტკიცებელად მომიცია ეს ჩემი წერილი, ჩემის ღერბის ბეჭდით დაბეჭდილი.

სოფელი ქვიშხეთი. 1866 წ. აუგვისტოს 24.
ხელს ვაწერ დეისტ. სტ. სოვ. **დიმ. ყიფიანი**

## 144. გრიგოლ აპოსტოლოვისადმი

პოზერნმა ვერ გადაწყვიტა, დაწეროს მოკლე სტატია განსვენებულის შესახებ. ამიტომ აქვე ვურთავ პ. ა-ს ატესტატს,[1] რათა თქვენ თვითონ დაწეროთ მოსახსენიებელი სტატია, ხოლო შემდეგ ატესტატი დამიბრუნოთ უკან, რათა დანიშნულებისამებრ გავგზავნო.

[აგვისტო 1866]

## 145. ნიკოლოზ დადიან-მინგრელსკისადმი

უძვირფასესო ბატონო ნიკო!

ჩემს სიცოცხლეში არა ვისთან დამმართვია ისეთი დანაშაული, როგორც შენთან, რომ რამდენი ხანია შენი სასიამოვნო წიგნი მომივიდა და პასუხი აქამდისინ ვერ მოგართვი. ამისი მიზეზი ეს გახლავს, რომ აგერ ორი თვე არის, რაც ძმა მყავს ისე ავათ,[1] რომ მორჩენის იმედი არ არის და ცოლი მყავდა ისე ავათ, რომ ეს ორი დღეა, რაც იმისი მორჩენის იმედი მომეცა. შენი მტერი შეაწუხოს ისე, როგორც მე ამ მიზეზით ვიყო შეწუხებული და უფრო ეს მაწუხებს, რომ პეტერბურღს ჩემი მოსვლა ყოვლად შეუძლებელი შეიქნა. ნებაც რომ მქონოდა მოსული, მაინც ვერ წამოვიდოდი, ამ ორის მძიმე ავათმყოფის პატრონი, მაგრამ ნება ჯერაც არა მაქვს და ახლა რაღა დროს. ბარონს ველიკი კნიაზთან მოუწერია ჩემი დათხოვნა[2] და მანდედამ როდის უნდა მოვიდეს ნება. ეს წიგნი უეჭველი პეტერბურღში მოგივათ და ამ ჩემს გაჭირვებულს მდგომარეობას უეჭველია დედოფალსაც აცნობებთ.

შენი ყოვლად ერთგული **დიმიტრი ყიფიანი**

4 ოკტომბერი 1866.

## 146. თბილისის სამაზრო ხაზინისადმი

ტფილისის სამაზრო ხაზინას

მაქვს პატივი, უმორჩილესად ვთხოვო ხაზინას, თავადაზნაურობის მომავალი საგუბერნიო ყრილობისთვის მომაწოდოს ცნობები: ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობიდან ვის და რამდენ სულ გლეხზე დაენიშნა ანაზღაურება და აქედან სახელდობრ რა ოდენობის თანხაა დაქვითული სათავადაზნაურო კაპიტალის სასარგებლოდ.[1]

ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი
**დ. ყიფიანი**

18 ოქტომბერი 1866 წლისა.
ქ. ტფილისი

## 147. ეკატერინე დადიანისადმი

19 ოკტომბერი. 1866. ტფილისით.

მოწყალეო დედოფალო!

ჩემი მდგომარეობა მოგხსენდებოდათ, რომ საყვარელი ძმა დავმარხე,[1] რომელსაც მამობრივი ღვაწლი ჰქონდა ჩემზედაც და ჩემს ოჯახზედაც და ამას გარდა ცოლი მყავდა ისე მძიმედ ავათ, რომ თითქმის აღარც იმისი მორჩენის იმედი იყო. ეს კი ღვთის მადლით გამომიბრუნდა, მაგრამ ისე სუსტათ არის, რომ ამ თვის დამლევამდის ისევ სოფელში უნდა დარჩეს.

საქმეების გამო ორიოდ დღით ტფილისს გიახელ და ახლა მომივიდა რაზრეშენიე მანდ წამოსვლისა.[2] რაღა დროს. ყოვლად შეუძლებელია ახლა ჩემი წამოსვლა. ფულის წამოღებას რომ

მიბძანებდით, ფოჩტით გამოგიგზავნით 20 000 მანათს, მაგრამ არა უმახლობელეს დამდეგის ნოემბრის პირველის რიცხვებისა.

სასახლისას რას ბძანებთ.[3] რაც არხიტეკტორს ბელოის თქვენთვის მოუწერია, თუ განახლება ინებეთ იმისი ანგარიშით, იმასვე უნდა მივანდოთ და თუ ზევითი ეტაჟის პლანის გამოცვლა არჩიეთ, ამისი შვილი არის მანდ პეტერბურღს, ეგეც კარგი არხიტეკტორი და შეიძლება ის დაიბაროთ და იმას გააკეთებინოთ.

აი იმისი ადრესი:

Архитектор Евгений Тимофеевич Белой.

Большая Итальянская, дом №5. Квартира №13. Близ Пассажа.*

იაგორამ წამოსვლისა ცივი უარი შემოგვითვალა.[4]

ყმების სამსახურის სამაგიერო რომ ყველა სულზედ ოცდახუთხუთი მანათი მოგვეცა მებატონეებს აქაც და იმერეთშიაც, თქვენშიაც ასე აპირებენ, მაგრამ თქვენ კი არ გაძლევენ. მართალია თუ არა, სწორე არ ვიცი, მაგრამ ბეჯითად კი მითხრეს. აქაც გაკლდებათ 300 000 მანათი.

## 148. პავლე გაგარინისადმი

თავადი ნიკოლოზ დადიანი უკან არ იხევს არავითარი მსხვერპლის წინაშე, ოღონდ კი ხელმწიფე იმპერატორის საწადელი აღსრულდეს.[1]

რაც არ უნდა ძნელი იყოს მემკვიდრეობით უფლებებზე უარის თქმა, მით უფრო, როცა ეს უფლებები სახელმწიფოებრივი აქტით არის განმტკიცებული,[2] თავად დადიანს სამეგრელოს მთავრის უფლებები ნებაყოფლობით მიაქვს მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის ფეხთა ქვეშ.

კითხვებზე: რას კარგავს თავადი მინგრელსკი ამით და რას

* არქიტექტორი ევგენი ტიმოთეს ძე ბელოი. ბოლშაია იტალიანსკაია, სახლი №5. ბინა №13. პასაჟის მახლობლად.

იძენს სახელმწიფო, მეურვეებს მხოლოდ დანაკარგების დასახელება შეუძლიათ, ხოლო თუ რას იძენს სახელმწიფო ხაზინა, ამაზე მეურვეებს მხოლოდ მეტ-ნაკლებად ზუსტ რიცხობრივ მონაცემებზე დაყრდნობით შეუძლიათ პასუხის გაცემა.

ასე და ამგვარად, თავადი სამუდამოდ კარგავს:

**1. უფლებას უპატრონოდ დარჩენილ ქონებაზე.**

სამეგრელოში მოქმედი ვახტანგ მეფის სამართლის მიხედვით, მთავარი პირდაპირი მემკვიდრეა ყველა კერძო მესაკუთრისა, რომელსაც მამრობითი სქესის შთამომავალი არ რჩება.

**2. კონფისკაციის უფლებას.**

სამეგრელოში ყოველგვარ კერძო საკუთრებას საფუძვლად უდევს პირობა ერთგულებისა და თავდადებისა სამთავრო სახლის მიმართ. ამ პირობის დარღვევის შემთხვევაში დამრღვევის საკუთრება უბრუნდება მთავარს.

**3. ფეოდალურ უფლებას.**

გარდა თავისი კერძო საკუთრებისა, მთავარს უფლება აქვს, გარკვეული ოდენობის ბეგარა მიიღოს 6000 კომლი საეკლესიო და კერძო მესაკუთრის გლეხისგან. თანხობრივად ეს შეადგენს 16 690 მანეთს წელიწადში, თუმცა გლეხების თავისუფალი შრომისგან შემოსული ბეგრის ოდენობა შეუდარებლად მეტია და არ შედის შემოსავლის ღირებულებაში.

**4. უფლებას გატანილ საქონელზე.**

სამეგრელოდან გატანილ ნებისმიერი წარმოებითი საქონლიდან მთავარს ეკუთვნის საფასურის ნახევარი, რომლის ოდენობასაც იგი განსაზღვრავს საკუთარი შეხედულებისამებრ. ღირებულების 10%-ზე ნაკლები არასოდეს აღებულა.

და, დასასრულ, **5. უფლება გამოსაღების სარგოსი,** რომლის ოდენობა წინასწარ არ არის განსაზღვრული: ვაჭრობიდან, სამრეწველო საქონლისგან, ბატონყმურ ურთიერთობებთან დაკავ-

შირებული და სხვა აქტებისგან, სასამართლოს მიერ გამოტანილი ზღვევინებისა და ჯარიმებისგან და ა. შ.

ყოველივე ამის რიცხობრივი გამოხატულების დადგენა მეურვეებს მიაჩნიათ შეუძლებლად და, ამასაც თავი რომ დავანებოთ – უადგილოდაც, რამდენადაც მთავარი მხედველობაში იღებს სათაყვანო მონარქის მთელს მსოფლიოში ცნობილ თვისებებს: მის უსაზღვრო ალალმართლობას, მისი გულის რაინდულ კეთილშობილებას, სამართლიანობის წმინდა გრძნობებსა და ჭეშმარიტად მეფურ ხელგაშლილობას. ამიტომაც მთავარს არასოდეს აზრადაც არ მოუვა რიცხობრივად შეაფასოს ის, რაც განუსაზღვრელი ნდობით მიაქვს მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის ფეხთა ქვეშ.

რაც შეეხება მეორე კითხვას, მეურვეების აზრით, აი, რას იძენს სახელმწიფო:

**1. გამოსაღებისა და ბეგრის დაწესების უფლებას.**[3]

სამეგრელოში გადასახადის გადამხდელთა კლასი შეადგენს 20 000 კომლს. მოსახლეობის აღწერის მიხედვით, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს, მათი რიცხვი გაცილებით მეტი იქნება. თუმცა დასახელებულ რიცხვზე რომ შევჩერდეთ, მეურვეები მიიჩნევენ, რომ პირველ ხანებში შეიძლება კომლზე დაწესდეს ***ერთი*** მანეთი საბეგრო გადასახადის სახით და ***ერთი*** მანეთი საერობო მოსაკრებელი.[4]

მომავალი აღწერისა და, შესაბამისად, ახალი დაბეგვრის, პერიოდი შეიძლება შემოვფარგლოთ ათი წლით. იმ დროისთვის საგლეხო რეფორმა უკვე დასრულებული იქნება: საბოლოოდ დადგენილი და განსაზღვრული იქნება არაგადამხდელთა კლასის პიროვნული უფლებები, მხარის მწარმოებლურ ძალებს, რომელთა შესახებ ქვემოთ იქნება ნათქვამი, მიეცემა განვითარების საშუალება. ამის შემდეგ – თუ პირველ ათწლეულში არა, მომდევნო წლებში მაინც – არავითარ სირთულეს არ შექმნის, სამეგრელოში შემოღებულ იქნეს დაბეგვრისა თუ მოსაკრებლების ის საერთო სისტემა, რომელიც მოქმედებს ამიერკავკასიის სხვა

მხარეებში. ეს კი, თავის მხრივ, კეთილსასურველ გარემოს შეუქმნის გეოგრაფიული მდებარეობითა და ხელსაყრელი ნიადაგით განპირობებულ საწარმოო საქმიანობას. მხარის სხვა ნაწილებში, რამდენადაც ეს მეურვეებისთვის ცნობილია, საკომლო დაბეგვრა ათ მანეთამდეა განსაზღვრული. ამიტომაც ხაზინის პირდაპირი შემოსავალი ამ მხრივ, დაწყებული 40 000 მანეთიდან, შემდგომი ათი წლის განმავლობაში უნდა გაიზარდოს 200 000 მანეთამდე წელიწადში. – შემდგომი ზრდა თანხობრივი ოდენობისა დამოკიდებული იქნება ეკონომიკურ პირობებზე, რომელთა აუცილებელი წახალისება გააუმჯობესებს საკმაოდ მრავალრიცხოვანი მოსახლეობის კეთილდღეობას.

**2. ისეთი მოსაკრებლების დაწესების უფლებას, რომელთა ოდენობა წინასწარ არ არის განსაზღვრული:**

ა) საშოვარზე გასვლისა.

ბ) სამოსახლო ვალდებულებათა და სხვა ტიპის ხელშეკრულებებისა.

გ) წერილობით გარიგებათა და სანებართვო აქტებისა.

დ) გერბიანი ქაღალდებისა ზოგადად.

ე) მხარეში შიდა ვაჭრობისა და წარმოებისა.

ვ) პროდუქტებისა და სხვა საქონლის გატანისა.

ამჟამად მნიშვნელოვანი გასატანი პროდუქტი და საქონელია: ხე-ტყის მასალა, სიმინდი, ღვინო, აბრეშუმი, თამბაქო, ცვილი.

ზ) სასამართლო პროცესებისა.

მეურვეები, რასაკვირველია, არ გადააჭარბებენ, თუ იტყვიან, რომ მეორე სახის შემოსავლები სამჯერ მეტი იქნება, ვიდრე – პირველი სახისა.

მეურვეების სურვილია, აქვე ახსენონ კიდევ ერთი შემოსავალი, რომელიც უკვე დიდი ხანია, ისედაც სახელმწიფოს ეკუთვნის. დადიანს დათმობილი აქვს საბაჟო შემოსავალი, რომელიც სამეგრელოში წყაროა სახელმწიფო შემოსავლისა და ამჟამად აჭარბებს 300 000 მანეთს წელიწადში.

მეურვეები თავს მოვალედ თვლიან, ყოველივე ზემოთქმულს დაუმატონ კიდევ ერთი მოსაზრება: სამეგრელო მნიშვნელოვანია არა იმდენად ტერიტორიის სიგრძე-სიგანითა და მოსახლეობის რაოდენობით, რამდენადაც იქ არსებული სამრეწველო ძალებითა და ისეთი მოსახერხებელი საშუალებებით, რომლებითაც შეიძლება ეს ძალები გასაღების პუნქტებს დაუკავშირდნენ.

იმისათვის, რომ ხსენებული ძალებისთვის აუცილებელი კეთილსასურველი გარემო შეიქმნას, საჭიროა ხარჯები, რომლებსაც გაიღებს არა სახელმწიფო ხაზინა, არამედ – კერძო პირები მათი ფხიანობისა და უნარიანობის გათვალისწინებით. ამ მხრივ კი, თავისი რესურსებითა და მდგომარეობით ვერავინ მოახერხებს ნებაყოფლობითი დაქირავებული შრომის ისე განვითარებას, როგორც ეს თავად მინგრელსკის, კერძო მიწათმფლობელს, შეუძლია. ამიტომაც, რა ოდენობითაც არ უნდა დაჯილდოვდეს იგი მთავრის უფლების დათმობისათვის, ეს ნაბიჯი ყველა შემთხვევაში მნიშვნელოვან და სამუდამო სარგებელს მოუტანს სახელმწიფოს ეკონომიკას.

27 ნოემბერი 1866 წ.

## 149. გრიგოლ აპოსტოლოვისადმი

1866-ის 7 ნოემბერს წერილი და ნივთები გადავეცი ზურ. დავ. ასლამაზოვს თავად მ. თ. ორბელიანთან მისატანად.

[ნოემბერი 1866 წლისა]

## 150. პავლე გაგარინისადმი

მოვალეობის შეგნება მიკარნახებს, ამასთან წარმოგიდგინოთ საკუთრივ თქვენი ბრწყინვალებისთვის შედგენილი ორი

შენიშვნა კნეინა ეკატერინე ალექსანდრეს ასულისა და თავად ნიკოლოზ დავითის ძე დადიანების შესახებ.

მეურვე **დ. ყიფიანი**

28 დეკემბერი 1866.

## 1867

## 151. ნიკოლოზ დადიან-მინგრელსკისადმი

მოწყალეო ხელმწიფეო,
თავადო ნიკოლოზ დავითის ძევ,

დაგპირდით, რომ სამეგრელოში თქვენს ჩამოსვლამდე გავაგრძელებდი თქვენი უგანათლებულესობის ადგილ-მამულის მართვა-გამგეობას და მზად ვარ ჩემი ამ დანაპირების შესასრულებლად.[1]

მაგრამ ადგილ-მამულის მართვა-გამგეობა ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან, აგრეთვე, საკუთრების უფლების დაცვის მიზნით სასამართლო დაწესებულებებთან მუდმივ ურთიერთობასთან არის დაკავშირებული. არც ერთი და არც მეორე ამას არაფრით არ დაუშვებს, თუ არ იქნება მესაკუთრის, ანუ თქვენი უგანათლებულესობის, სათანადო რწმუნება. სათანადო რწმუნებად კი ითვლება რწმუნებულების წერილი, რომელიც დაწერილი უნდა იყოს გარკვეული ღირებულების გერბიან ქაღალდზე და დამოწმებული სამოქალაქო სასამართლო პალატის მიერ.

ვიცი რა ყოველივე ეს, მაქვს პატივი, გადმოგცეთ მინდობილობის პროექტი.[2]

ნაცვლად ამისა, თქვენ ადრე პატივი დამდეთ და გადმომეცით კერძო წერილი, რომელსაც არსად არავინ არ მიიღებს მინდობილობად.

ყოველივე ამის გამო 4 იანვრის შემდეგ თქვენს ადგილ-მამულს არ ეყოლება მმართველი და ვითარება არ შეიცვლება მანამ, სანამ ***ვინმეს*** არ გადასცემთ ***კანონით განსაზღვრულ მინდობილობას.***

მაქვს პატივი, ვიყო...

14 იანვარი 1867.

## 152. ეკატერინე დადიანისადმი

მოწყალეო დედოფალო!

მომირთმევია თქვენი ქაღალდები. ამას გარდა, მგონია, თქვენი აღარა იყოს რა ჩემთან, დაწულილებითს ანგარიშს გარდა. ეს იქ მოგერთმევათ თავისს დროზედ.

თქვენის შვილის მამულის განმგეობა რომ მე ვიკისრო, ამაზედ ბევრი ვიფიქრე და ისე გამოდის, რომ არას გზით არ შეიძლება და ამაზედ ყოველივე ზრუნვა უნდა დაუტევოთ.[1]

თქვენი უგანათლებულესობის უმორჩილესი მოსამსახურე
**დიმიტრი ყიფიანი**

23 იანვარი 1867.

## 153. ეკატერინე დადიანისადმი

3 აპრილი 1867. ტფილისით.

მოწყალეო დედოფალო!

დიდი ხანია დრო არის თქვენთან წიგნის მოწერისა, მაგრამ ვინ მომაცალა. პეტერბურლიდამ 23 დღე ვიარე მრავალნაირის

გაჭირვებით,[1] საშინელის სიცივის ატანით და ათასნაირის დაბრკოლებით. სტავროპოლის გუბერნიაში ცოტას გამიწყდა, რომ კინაღამ არ დავიღუპე. ხიდი ჩაუტყდა ჩემს კარეტას მდინარეზედ. მე ნახევარმინუტით გამოვასწარ, მაგრამ კარეტა რამდენსამე საათს სულ წყალში იყო და ადვილად წარმოიდგენთ, ჩემს ბარგს რა დაემართებოდა; წამიხდა და დამისველდა ყოველივე და სხვათა შორის პარიზში გაკეთებული ნესესერი ისე დაირღვა, რომ გროშათ აღარა ღირს. ქაღალდები კი მაინც გადავარჩინე, რაც თანა მქონდა, მეტადრე თქვენი ანგარიშის გასასწორებელი კნიღები,[2] თამასუქები, გირაობის წერილები. ესენი რომ დამღუპოდა, მაშინ სწორეთ გამართლდებოდა ჩემგან თქვენი აკლება. მარტო ამ ქაღალდების შრობას მოუნდი მეორე სტანციაში 24 საათს. მერე მთა შეკრული დამხვდა თოვლისა და ზვავებისაგან. მე, როგორც იყო, გადმოვიარე და კარეტა კი ჯერაც ყაზიბეგს არის. აქ გიახელ 6 მარტს და რა საკვირველია, რომ ფეხს ველარსაით გავადგამდი. ბარონმაც და თვით ველიკი კნიაზმაც თქვენის მოსვლისა მიბრძანეს,[3] შემოდგომისათვის ვჰგონებთ დაბრკოლება აღარა იქნეს რაო, მაგრამ წინასწარვე გადაწყვეტით დროს დანიშვნა არ იქნება, რადგან არ ვიცით, როგორ დაბოლოვდება ოდიშში საქმეებიო. – საქმეები ჯერ მშვიდობიანათ მიდის და არასდროს არ ვიფიქრებ, რომ ცუდი მოხდეს რამე. ზღვის პირის საქმე ბარონმა ამით გააადვილა,[4] რომ კანონით მენგრელიის კნიაზმა[5] თვითან უნდა წარმოადგინოს დაწვრილებითი აღწერა თავისის მაიორატისაო და როგორც იქ იქნება აღწერილი, ისე დამტკიცდებაო.

კოსტანტინე დადიანს დღეს მოველი აქ. თქვენგან რომ ჩემის წამოსვლის წინა დღეს სამი პაკეტი მომივიდა,[6] ორი ჩემს სახელზედ და ერთი იმის სახელზედ, ამ პაკეტებს ერთათ გავხსნით და რასაც ამოვიკითხავთ, ისე მოვიქცევით. მე ატჩოტს უნდა მივჰყო ხელი,[7] რომ ცხადი იყოს – ადგილმამული რაც ან წაგებული არის, ან ამოგებული, ან ამოსაგები, ან შემოსავალი და ხარჯი რა ყოფილა, ან აპეკას როგორ აუკლიხართ და როგორ დაურბევიხართ[8] – თვალით დასანახავი იყოს თქვენთვისაც და სხვათათვისაც.

კოსტანტინეს რა ჩაბარდება, რა საკვირველია, ესეც ცხადი იქნება. თქვენს ხელში რა ყოფილა შემოსავალი, მერე ორს წელიწადს რა იყო და მერე ჩემს ხელში რა იყო და ახლა რა არის, ესეც ცხადათ იქნება გამოყვანილი, და ოტიას მეოხებით იქნება, ჩერბაჩ-ოღლუსი თუ სხვა ვისიმე მეოხებით,[9] თუ სალაპარაკო დაგვრჩა რამე, ამასაც ცხადათ და დაუმალავათ ვილაპარაკებთ.

აქ ბევრი ამბავი დამხვდა პეტერბურღიდამ ჩემს უწინ მოტანილი და ესეც ყოველივე აიხსნება. მანამდისინ კი მოთმინებას უნდა მივანებოთ თავი.

თქვენს ერთობრივ უვნებელათ სუფევას ყოვლადმოწყალეს ღმერთსა ვსთხოვ, მათს უგანათლებულესობას – თქვენს შვილებს[10] უღრმესს პატივისცემას მოვახსენებ.

თქვენი უმორჩილესი
**დიმიტრი ყიფიანი**

## 154. ივანე ანდრონიკაშვილისადმი

მოწყალეო ხელმწიფეო,
კნიაზო იოანე მალხაზის ძევ

შორს ქვეყნების მომვლელს ერთი მხურვალე სურვილი მქონდა, რომ თქვენთან გხლებოდით, თქვენი პირისპირ ნახვა მღირსებიყო და ზოგიერთი საქმეები მომეხსენებინა, მაგრამ არა მეშველარა, ველარ დავაღწიე თავი აქაურს ამაოებას და მეტი ღონე რომ არ არის, ამ წიგნით მაინც უნდა მოგახსენოთ ჩვენის საზოგადო საქმის გარემოება.

დადიანის აპეკუნობამ ჩემს საზოგადო სამსახურს კარგა დიდის ხნით განმაშორა, მაგრამ ეს სარგებლობა მაინც დაჰყვა, რომ პეტერბურღში მცოდნე კაცებთან მქონდა ლაპარაკი ჩვენის ბანკის საქმეზედ,[1] და ყოველი ცნობა, ყოველი დარიგება მომცეს საქმის კარგათ ამხსნელი და კეთილად დასაწყობი.

დიდად სამწუხარი იყო აქამომდე ამ საქმის დაგვიანება, რადგან ისეთი გზა მიეცა, რომ საგუბერნიო საზოგადოობის შეკრებადმდე დაბოლოვება აღარ შეიძლებოდა, და რადგან თვით ეს შეკრებაც აქამომდე დაგვიანდა, ახლა საქმე ყოვლითურთ განმზადებული არის, რომ ჩვენს შეკრებილებას მოჰხსენდეს, რომელიც ამ აპრილის 24-ს უნდა გაიხსნას.[2]

ახლა ჩვენის გულის დამშვიდება, რომ საზოგადო და საქვეყნო საქმეში მონაწილეობას არ მოვერიდეთო და ჩვენის შთამომავლობის ისეთს გზაზედ დაყენება, რომ საყვედურით არ გვიხსენიებდნენ, ჩვენთ მამა-პაპათ ჩვენის სიკეთის დაფუძნება შეეძლოთ და არ ინებესო, ამაზედ ღა არის დამოკიდებული, რომ თქვენ პირისპირ მიიღოთ მონაწილეობა ამ საქმის რჩევაში და იმ რიცხვისათვის მობძანება ინებოთ.

თქვენს უკეთესად ამ საქმეს ვერ ვინ იცნობს, ვერ ვინა ჰგრძნობს და ვერ ვინ შეეწევა კეთილად წარმართვას. ეს არის მიზეზი, რომ მეც თქვენ მოგმართავთ და მხოლოდ თქვენ, სხვას კერძოობით არა ვის.

შეკრებილებამ ჯერ ეს საქმე უნდა გადასწყვიტოს და მერე კენჭს შეუდგეს. მაშა სადამე ბანკის საქმე იქნება პირველი საქმე ამ შეკრებილებისა. –

აწ თქვენ იცით.

წრფელის გულით და ერთგულებითა მსურს, რომ მარადის კურთხევით იხსენებოდეს თქვენს შთამომავლობაში თქვენი ბრწყინვალე სახელი.

თქვენის ბრწყინვალების უმორჩილესი მოსამსახურე
**დიმიტრი ყიფიანი**

7 აპრილი 1867.
ტფილისით.

## 155. ალექსანდრე ნიკოლაისადმი

მოწყალეო ხელმწიფეო,
ბარონო ალექსანდრე პავლეს ძევ,

თავადმა მინგრელსკიმ ს.-პეტერბურგის სამოქალაქო სასამართლოს პალატაში წარდგენილი მინდობილობით დამაკისრა მისი ადგილ-მამულის მთავარი მმართველის ფუნქცია და წარმოება ყველა იმ საქმისა, რომლებიც მის ინტერესებს უკავშირდება. თუმცა რწმუნებულების წერილში არაფერია ნათქვამი იმ უფლების შესახებ, რომელიც საქმის წარმოებისას მინდობილობის სხვა პირზე გადაცემას ითვალისწინებს. ასეთ ვითარებაში კი ჩემი მხრიდან მისი ინტერესების დაცვა შეუძლებელი ხდება ისეთ შემთხვევებში, როცა საქმის მსვლელობა ერთდროულად რამდენიმე ადგილას მიმდინარეობს, ან კიდევ – როცა ამა თუ იმ საპატიო მიზეზის გამო თუნდაც ერთ ადგილას არ შემიძლია გამოცხადება.

ამავე შინაარსის წერილს ვწერ თავად ნიკოლოზ დავითის ძესაც[1] და მაქვს კიდევაც დამატებითი უფლებამოსილების მიღების იმედი. მაგრამ იმდენად, რამდენადაც ამჟამად მისი ჰამბურგში ყოფნის გამო ამ საქმეს დაახლოებით ორი თვე მაინც დასჭირდება, ხომ არ ჩათვლის თქვენი აღმატებულება შესაძლებლად, განსაკუთრებული ვითარების გათვალისწინებით ხსენებული დამატებითი უფლებამოსილების მიღებამდე შეჩერდეს თავად მინგრელსკის ადგილ-მამულთან დაკავშირებული დავების წარმოება. თუ თქვენ ამ აზრს დაეთანხმებით, საჭირო იქნება მიმართვა სადაც ჯერ არს, რათა გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს დაუყოვნებლივ.

10 აპრილი 1867.

## 156. ალექსანდრე ნიკოლაისადმი

მოწყალეო ხელმწიფეო,
ბარონო ალექსანდრე პავლეს ძევ,

მისი უგანათლებულესობის, თავად მინგრელსკის, დაცული ადგილ-მამულის აღწერა, როგორც ჩანს, მე მომიწევს, რადგანაც მთავარი მმართველის ფუნქცია სწორედ მე მაქვს დაკისრებული. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ადგილ-მამულიდან, როგორც ეს თქვენი აღმატებულებისთვისაც არის ცნობილი, გამოკლებულია ზღვის სანაპიროები.[1] ეს კი მნიშვნელოვან სირთულეებს მიქმნის. მე, როგორც მისი უგანათლებულესობის საკუთრების ყოფილმა მეურვემ, დარწმუნებით ვიცი: შავი ზღვის სანაპიროზე, გარდა მაიორატიდან საგანგებო წესით ამოღებული ფოთისა და რედუტ-კალეს პორტებისა, მისი უგანათლებულესობის კერძო საკუთრებას წარმოადგენს: სანაპიროს მიმდებარე სოფლები, მთელს მის მამულში ერთადერთი საზამთრო საძოვრები, ტყიანი მონაკვეთები, ორივე ნაპირი მდინარეებისა, რომლებშიც თევზჭერა წარმოებს.

ამგვარ ვითარებაში აუცილებელი ხდება წინასწარი ახსნა-განმარტება, თუ სახელდობრ რა იგულისხმება ზღვის სანაპიროებში, რომლებიც არ არის შესული დაცული მამულის შემადგენლობაში: ზღვისა და მატერიკის შეერთების ხაზი? და, თუ ეს არა — მიწის ზოლის კონკრეტულად რა სიგანე მთელი სანაპიროს გასწვრივ?

ვბედავ, თქვენო აღმატებულებავ, უმორჩილესად გთხოვოთ პასუხი.

10 აპრილი 1867.

## 157. ნიკოლოზ დადიან-მინგრელსკისადმი

ძვირფასო თავადო,
ნიკოლოზ დავითის ძევ,

პეტერბურგიდან ჩემი გამომგზავრების წინ თქვენგან და კნეინასგან[1] სამი კონვერტი მივიღე: ორი ჩემს, ხოლო ერთი თავად

კონსტანტინეს[2] სახელზე. ეს კონვერტები მე და მისმა უგანათლებულესობამ მიმდინარე აპრილის 3 რიცხვში ერთად გავხსენით. წავიკითხეთ რწმუნებულების წერილები და აღმოჩნდა, რომ მათში არის მნიშვნელოვანი ხარვეზები, რომლებსაც თქვენი ინტერესების დაზარალება შეუძლია:

1. ჩემს სახელზე გაცემულ მინდობილობაში სიტყვაც არ არის ნათქვამი, რომ მთავარი მმართველის მოვალეობას თქვენი უგანათლებულესობა თავად კონსტანტინეს აკისრებს. ჩვენ რომ შესანიშნავი ურთიერთობა არა გვქონდეს, ორივეს შეგვიძლია, ერთიმეორეს არ მივცეთ დაკისრებული მოვალეობის შესრულების საშუალება, თუმცა ეს სირთულე ადვილად აღმოიფხვრება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

2. თქვენი ინტერესების დასაცავად შეიძლება საქმისწარმოება მიმდინარეობდეს ფოთში, ზუგდიდში, სენაკში, ორპირში, ლეჩხუმში. თქვენი რწმუნებით აღჭურვილი პირი ფიზიკურად ვერ შეძლებს ყველგან დასწრებას. აუცილებელია, მას შეეძლოს რწმუნებით აღჭურვილი ოთხი პირის მივლინება ოთხ ადგილას; ან კიდევ: ავადმყოფობის გამო ან სხვა რაიმე მიზეზით მას არც აქ, არც იქ და არც სხვაგან არ შეუძლია დასწრება. დაუსწრებლობა კი ნიშნავს საქმის წაგებას. მინდობილობებში ამის შესახებ არაფერი წერია.

3. მიმდინარეობს საგლეხო რეფორმა. საჭიროა, დაუყოვნებლივ დაიწყოს გლეხობისთვის ნადელებისა და დებულების ოქმების[3] გადაცემა. ამ საქმის გადადება არ შეიძლება და არც მოგვცემენ ამის უფლებას.

4. თვითონ ან, თქვენი არყოფნის შემთხვევაში, რწმუნებით აღჭურვილმა პირმა უნდა შეადგინოს თქვენი მაიორატის აღწერილობა, რომლის საფუძველზეც მმართველმა სენატმა საბოლოოდ უნდა დაგიმტკიცოთ მაიორატი.[4] ხელმძღვანელობა მალე მომთხოვს ასეთ აღწერილობას, მინდობილობაში კი არც ამის შესახებაა რამე ნათქვამი.

დასასრულ, გვიწესებთ ვადას 1 სექტემბრამდე, მაგრამ, თუ თქვენ ვერ შეძლებთ დროულად ჩამოსვლას და ჩამოხვალთ, ვთქ-

ვათ, 1 ოქტომბერს, სასამართლო წარმოების ბოლო ვადად კი დადგენილია სექტემბერი, ხოლო სასამართლოზე დაუსწრებლობა ნიშნავს საქმის წაგებას, აღმოჩნდება, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში ადგილზე არ გეყოლებათ საკუთარი წარმომადგენელი.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით – განსაკუთრებით, მე-2 პუნქტში აღნიშნულ სირთულეთა გამო – ჩვენ ორივემ რჩევისთვის ბარონ ალექსანდრე პავლეს ძეს[5] მივმართეთ და თავად გიორგი მუხრანსკისთან შეთანხმებით გადავწყვიტეთ:

1. წერილობით მოგმართოთ, რათა რაც შეიძლება მალე გამოგვიგზავნოთ დამატებითი მინდობილობა იმ პროექტის მიხედვით, რომელსაც ამ წერილთან ერთად გაახლებთ.

2. ჩემი სახელით უნდა მივმართო ბარონს სპეციალური ქაღალდით (რასაც ამჟამად დაუყოვნებლივ ვაკეთებ) და ვთხოვო, რომ თქვენგან დამატებითი მინდობილობის მიღებამდე გასცეს სამეგრელოში ყველა სადავო საქმის შეჩერების ბრძანება. დაპირება მიღებული გვაქვს, ოღონდ ერთი პირობით: თქვენ თქვენი მხრივ დამატებითი მინდობილობა უნდა გამოგზავნოთ სასწრაფოდ.

ყოველივე ამისთვის, ძვირფასო თავადო, საჭიროა უახლოეს ჩვენს საკონსულოში იკითხოთ, სად და როგორ არის შესაძლებელი ხსენებული მინდობილობის დამოწმება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს უნდა გაკეთდეს ბერლინის საკონსულოში და, თუ ამაზე ახლოს არის შესაძლებელი, კიდევ უფრო უკეთესი იქნება საქმისთვის. ყოველი შემთხვევისთვის, აუცილებელია საქმის დაჩქარება. შეიძლება თქვენ თვითონ მოგიწიოთ იქ წასვლა. გადაწყვიტეთ თვითონ, ოღონდ დააჩქარეთ, რათა მნიშვნელოვანი ზარალი და დანაკლისი აიცილოთ თავიდან.

თავადი კოსტანტინე დღესვე მიემგზავრება სამეგრელოში, რათა იქ თავისი რწმუნება წარადგინოს იმ ფორმით, რა ფორმითაც იგი არის გამოგზავნილი. რაც შეეხება თქვენს ჩამოსვლამდე მართვა-გამგეობის საკითხს, მე თავად კოსტანტინეს შევუთანხმდი, რომ ამჟამად არსებულ წესებში არავითარი ცვლილება არ უნდა შევიდეს. ხარჯებს რაც შეეხება: კნეინას მიერ 1858 წელს დამტკიცებული საშტატო ნუსხის მიხედვით ამ მიმართუ-

ლებით ასიგნებულია 6040 მან. წელიწადში, მეურვეობას კი 4120 მანეთზე მეტი არ დაუხარჯავს. მე დავპირდი, რომ გავცემდი 1920 მანეთის დამატების ნებართვას, თუკი იგი საამისო აუცილებლობას დაინახავს. განსაკუთრებით ეს ეხება საიმედო ტყისმცველთა დაქირავებას.

დარჩა კიდევ ერთი გარემოება, რომელზედაც უნდა გკითხოთ: რა გასამრჯელოს უნიშნავთ თავად კოსტანტინეს იმ შრომისათვის, რომელიც შემოდგომაზე თქვენს ჩამოსვლამდე უნდა გასწიოს? თვითონ იგი ფიქრობს, რომ ამ კითხვით თქვენი შეწუხება საჭირო არ არის.

დამატებითი მინდობილობა ორ ცალად რომ არ წეროთ, საკმარისი იქნება, თქვენ და კნეინამ ერთად მოაწეროთ ხელი და ეს ერთი ხელმოწერილი მინდობილობა ორად ჩაითვლება. თვითონ პროექტიც ამ გარემოების გათვალისწინებით არის შედგენილი.

ყველას გულწრფელად გისურვებთ ჯანმრთელობასა და სულიერ სიმშვიდეს.

თქვენი უგანათლებულესობის მორჩილი მოსამსახურე
**დიმიტრი ყიფიანი**

8/20 აპრილი 1867.

ზღვის სანაპიროებთან დაკავშირებული საქმეების მოწესრიგება[6] შესაძლებელია მაიორატის აღწერილობის შედგენისას და, ასე იქნება თუ ისე, ეს საკითხი უნდა გაირკვეს.

## 158. დიურანისადმი

ძვირფასო მონსენიორ დიურან,

მივიღე თქვენი 19 აპრილის წერილი და ერთადერთი პასუხი, რომელიც შემიძლია გაგცეთ, ისაა, რომ დღესვე მივწერ მონსე-

ნიორ სამეგრელოს მთავარს, რომელიც ამჟამად ჰამბურგში იმყოფება და, რა პასუხსაც მისი უდიდებულესობისგან მივიღებ, დაუყოვნებლივ შეგატყობინებთ.

თუ მისი უდიდებულესობის პასუხამდე ტფილისში ან სადმე სხვაგან ჩამოსვლა გნებავთ, მე ვერც ნებართვას მოგცემთ და ვერც დაგიშლით. ოღონდ, ამ მოგზაურობის ხარჯი თავად უნდა გასწიოთ.

არც ის ვიცი, მთავარი მოისურვებს თუ არა ამ მამულებში თქვენი საქმიანობის გაგრძელებას.

გულწრფელი სურვილებით...

29 აპრილი 1867.

## 159. ნიკოლოზ დადიან-მინგრელსკისადმი

გიგზავნით, თქვენო უგანათლებულესობავ, ჩემდამი ბ-ნი დიურანის წერილის ასლს და ჩემ მიერ მისთვის დღეს გაგზავნილ პასუხს.

აუცილებელია ვიცოდე თქვენი ნება – და რაც უფრო მალე, მით უკეთესი: გსურთ მისი დატოვება თქვენს ჩამოსვლამდე, თუ დავითხოვო ახლავე. – მხედველობაში იქონიეთ, რომ იგი იღებს წელიწადში 5000 ფრანკს. წელიწადი ამ თვეში გაუთავდა. თუ მომდევნო წელსაც დაიტოვებთ, კონტრაქტის მიხედვით, კიდევ 500 ფრანკი იქნება დასამატებელი.

თქვენი მამულის ხარჯი ისედაც დიდია. ხელმძღვანელობა ითხოვს თქვენი გლეხებისთვის სანადელო მიწების გაცემის დაწყებას. ჩვენ სხვებს უნდა მივცეთ მაგალითი. საქმე გაჩერებულია იმის გამო, რომ ველოდები თქვენგან დამატებით მინდობილობას, რომლის გარეშეც მე იქ ვერ გავემგზავრები. უჩემოდ კი საქმის დაწყება შეუძლებელია.[1]

[29 აპრილი 1867 წ.]

## 160. კონსტანტინე ნიჟარაძისადმი

საგანგებო განკარგულებამდე არ შეიძლება ბ-ნი დიურანისთვის ნებართვის მიცემა სადმე გასამგზავრებლად, თუ ეს კონტრაქტით არ იქნება გათვალისწინებული და არც ფული უნდა მისცეთ რაიმე სახის საყიდლისთვის.[1]

[29 აპრილი 1867 წ.]

## 161. კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს სახელმწიფო ქონების დეპარტამენტისადმი

ტფილისის გუბერნიის გორის მაზრის მემამულე,
ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი
**დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი**

ი თ ხ ო ვ ს

ბორჯომის მამულის ჩემს კუთვნილ მეათედ ნაწილზე სასამართლო დავა მაქვს ხაზინასთან.[1] საქმე ამჟამად კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს სახელმწიფო ქონების დეპარტამენტშია შესული. საქმის შემდგომი მსვლელობისთვის მჭირდება დამოწმებული ასლები:

ა) საგუბერნიო სტრიაფჩის[2] სასარჩელე განცხადებისა, რომლითაც 1832 წელს გორის სამაზრო სასამართლოში დაიწყო ხაზინის დავა თავად ავალოვების წინააღმდეგ ამ უკანასკნელთა ბორჯომის ხეობის მამულის თაობაზე; და

ბ) გადაწყვეტილებისა, რომელიც ამავე საქმეზე გორის სამაზრო სასამართლომ 1842 წლის 10 იანვარს მიიღო.

აქედან პირველი აქტი გორის სამაზრო სასამართლოდან გამოთხოვილია დეპარტამენტში, ხოლო ასლი მეორე აქტისა დეპარტამენტს უნდა ჰქონდეს წარმოებაში მიღებული, რადგანაც

იგი ტფილისის პალატის მთავარი სამმართველოს მიერ 1852 წლის 4 იანვარს სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სასამართლოშია წარდგენილი (№1).

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით გთხოვთ:

გასცეთ ჩემს სახელზე სათანადო წესით დამოწმებული ასლები და ამისთვის გადასაწერად წარმოგიდგენთ ***ექვს*** ცალ ორმოცი კაპიკის ღირებულების გერბიან ქაღალდს.

ტფილისი. 23 მაისი 1867 წლისა.

უნდა გადაეცეს კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს სახელმწიფო ქონების დეპარტამენტს.

წინამდებარე თხოვნა სიტყვასიტყვით გადაწერა .......[3]

მთხოვნელი ცხოვრობს ქალაქ ტფილისის მეოთხე ნაწილში.[4]

## 162. კონსტანტინე ორლოვსკისადმი

თავადაზნაურობის საგუბერნიო ყრილობამ მიმდინარე მაისის 6 რიცხვში ერთხმად დაადგინა, რომ ჩემ მიერ შეთავაზებულ საწყისებზე დაყრდნობით დააარსოს საზოგადოებრივი ბანკი. – ცალკეული საკითხების შესამუშავებლად, როგორებიცაა: წესდების შედგენა და ამოქმედება, უმაღლესად დამტკიცების გამოთხოვა, იმავე ყრილობამ 8 რიცხვში მიიღო კიდევ ერთი დადგენილება ხელმძღვანელობის წინასწარი ნებართვის საფუძველზე საგანგებო კომიტეტის შექმნის შესახებ.

ვითხოვთ რა ზემოაღნიშნულ ნებართვას, აქვე ვურთავთ ორივე დადგენილების ოქმების ასლებს, რომლებშიც ჩანს როგორც ბანკის საფუძვლები, ისე განზრახული კომიტეტის მთელი პირადი შემადგენლობა.[1]

მაქვს პატივი, უმორჩილესად გთხოვოთ შუამდგომლობა ხსენებული კომიტეტის შექმნაზე, ხოლო შედეგი შემატყობინოთ.

29 მაისი 1867.

## 163. ლევან ჩხეიძისადმი

მოწყალეო ხელმწიფეო, ლევან ვახტანგის ძევ,

ჩემი და ჩემი გაუყოფელი უფროსი ღვიძლის ძმის, აწ გარდაცვლილი ქაიხოსრო ივანეს ძე ყიფიანის, სახელზე უკანასკნელი კამერალური აღწერით ჩაწერილი არიან შორაპნის მაზრის ხორაგოულის უბნის შემდეგი სოფლების გლეხები: ***ზვარე*** – ბერიკა დათიკოს ძე თიკანაშვილი, მისი შვილი პავლე, მისი ძმისწულები: ბერიკა, გაბო, გიგოლა; – 2. თევდორე გოგილოს ძე თიკანაშვილი, მისი შვილი დომენტი, მისი ძმა პეტრე, მისი ძმისწული გლახა; ***ზედუბანი*** – სიმონ ლაზარეს ძე ბლუაშვილი,[1] მისი შვილები: ანდრია და ნიკო, მისი ძმა დათო, ამ დათოს შვილი ედიშერი, და მათი ძმისწულები: მიხეილი და პავლე, სულ ***თექვსმეტი*** სული მამრობითი სქესისა. აქვე ვურთავ გორის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლის[2] მიმდინარე მაისის 18 რიცხვის (№147) წერილობით მოწმობას იმის შესახებ, რომ ჩემი ზემოხსენებული ძმის, ქაიხოსროს, გარდაცვალების შემდეგ მთელი ჩვენი საგვარეულო მამული, მათ შორის, ზემოთ ჩამოთვლილი გლეხები, ამჟამად ჩემს მფლობელობაშია.

უმორჩილესად გთხოვთ, ჩემს სახელზე და დადგენილი წესით საიდანაც ჯერ არს გამოითხოვოთ სათანადო მოწმობა, რათა ზემოხსენებული გლეხებისგან მივიღო დადგენილი პირადი საბეგრო ანაზღაურება და ეს მოწმობა გაუგზავნოთ ჩემს რწმუნებულს ქუთაისში – ნიკოლოზ ვასილის ძე კოსტილევს. რასაც ამ საკითხის შესახებ გადაწყვეტთ, დავეთანხმები უდავოდ და სიტყვის შეუბრუნებლად.

თქვენდამი ნათესაური კეთილგანწყობითა და ერთგულებით,
ვშთები თქვენი უმორჩილესი მოსამსახურე...

მაისი 1867. ქ. ტფილისი

ეს რწმუნებულების წერილი ეკუთვნის
აზნაურ ლევან ვახტანგის ძე ჩხეიძეს.

## 164. ნიკოლოზ კოსტილევისადმი

მოწყალეო ხელმწიფეო,
ნიკოლოზ ვასილის ძევ,

ამასთან ლევან ვახტანგის ძე ჩხეიძის სახელზე გიგზავნით[1] სპეციალურ მინდობილობას, რომლითაც მიიღებთ მოწმობას სოფლებში, ზვარესა და ზედუბანში, მცხოვრები გლეხების, თიკანაშვილებისა და ბლუაშვილებისგან, სულ მამრობითი სქესის 16 სულისგან, პირადი გადასახადების სანაცვლო ანაზღაურებაზე ჩემი უფლების შესახებ.

უმორჩილესად გთხოვთ, ხსენებული მოწმობის საფუძველზე ჩემ ნაცვლად მიიღოთ ჩემდამი კუთვნილი თანხა, განსაზღვრული ნაწილი ამ თანხისა გამოაქვითინოთ სათავადაზნაურო კაპიტალის სასარგებლოდ, დანარჩენი კი გადმომცეთ პირადად. რასაც მოიმოქმედებთ, დავეთანხმები უდავოდ და სიტყვის შეუბრუნებლად.

თქვენდამი ნათესაური კეთილგანწყობით გიდასტურებთ
ერთგულებას თქვენი მორჩილი მოსამსახურე...
.

მაისი 1867.
ტფილისი.

წინამდებარე რწმუნებულების წერილი
ეკუთვნის მის მაღალშობილებას,
ნიკოლოზ ვასილის ძე კოსტილევს.

## 165. ნიკოლოზ დადიან-მინგრელსკისადმი

ძვირფასო თავადო,
ნიკოლოზ დავითის ძევ,

ამჟამად ქუთაისის მზეზე ვიხრუკები. აქ თქვენს საქმეებზე ჩამოვედი მას მერე, რაც თქვენგან დამატებითი მინდობილობა მივიღე.

ქუთაისში გადავეყარე M-r Durand-ს.[1] საუბრის შემდეგ მე მას ნება დავრთე, გაემგზავროს და თქვენს უგანათლებულესობას პირადად წარუდგინოს, თუ რა გააკეთა ერთი წლის განმავლობაში. მისივე სიტყვებით – და ამას სხვებიც ამბობენ – მან ბევრი იშრომა, შეკრიბა მნიშვნელოვანი ცნობები და შეადგინა ვრცელი წერილობითი მოსაზრება, თუ რა არის საჭირო და სასარგებლო თქვენთვის და მთელი მხარისთვის აგრონომიული ვითარების გასაუმჯობესებლად. მისი ეს მოსაზრება, მე ვფიქრობ, საფუძვლიანია, თუმცა მიმაჩნია, რომ უნდა მოეთათბიროს კერგორლეს,[2] რომელიც ასეთი საქმეების საუკეთესო მცოდნეა.[3]

რაც შეეხება 300 000 მანეთს, უკვე გწერდით, რომ ოქტომბრამდე, ანუ თქვენს ჩამოსვლამდე, ამ ფულის მიღებას ვერ შეძლებთ.

ოქტომბერში თქვენთან პირადად შეხვედრის მოლოდინში
ვშთები თქვენი უგანათლებულესობის უმორჩილესი
მოსამსახურე
**დიმიტრი ყიფიანი**

29 ივნისი 1867.
ქუთაისი

P. S. კნეინასა და კნიაჟნას ხელებზე ვაკოცებ, თავად ანდრიას მაგრად ვართმევ ხელს.[4]

## 166. კონსტანტინე დადიანისადმი

მოწყალეო ხელმწიფეო,
თავადო კონსტანტინე ლევანის ძევ,

მისი უგანათლებულესობა, ეკატერინა ალექსანდრეს ასული დადიანი და უგანათლებულესი თავადი ნიკოლოზ დავითის ძე მინგრელსკი 6 თებერვალს ს.-პეტერბურგის სამოქალაქო სასამართლოს პალატასა (წგნ. 27, №№90, 91) და 6/18 მაისს ფრანკფურტის გენერალურ საკონსულოში (№85) დამოწმებული წერილობითი რწმუნებულებით თავიანთ მამულებთან დაკავშირებით მანდობენ: ამჟამად მიმდინარე თუ მოსალოდნელ ყველა საქმეზე ნებისმიერი ხელმძღვანელი პირის სახელზე ან ნებისმიერ დაწესებულებაში თხოვნის, განმარტების, განცხადების შეტანას; სასამართლოზე სიტყვის წარმოთქმას; გადაწყვეტილებების მოსმენასა და დათანხმებას ან უარყოფას; კერძო, სააპელაციო ან საკასაციო წესით საქმეების უფრო მაღალ ინსტანციებში გადატანას მმართველი სენატის ჩათვლით; ხაზინის ან კერძო პირთა წინააღმდეგ სარჩელის აღძვრას; საჭიროების შემთხვევაში სხვა პირზე მინდობილობის გადაცემას; მინდობილობაგადაცემული პირისთვის საჭიროებისა და შესაძლებლობის მიხედვით ადგილზე მინდობილობის სხვა პირისთვის გადაცემის უფლებას.

ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობის მიერ მეორედ ვარ წინამძღოლად არჩეული[1] და ამ თანამდებობით განპირობებულმა ვალდებულებებმა შეიძლება ქუთაისის გუბერნიაში ხელი შემიშალოს მარწმუნებელთა მიერ დაკისრებული ზემოაღნიშნული საქმეების შესრულებაში. ამიტომაც, თქვენო უგანათლებულესობავ, უმორჩილესად გთხოვთ, იკისროთ: ამჟამად მიმდინარე თუ მოსალოდნელ ყველა საქმეზე ქუთაისის გუბერნიის ნებისმიერი ხელმძღვანელი პირის სახელზე ან ნებისმიერ დაწესებულებაში თხოვნის, განმარტების, განცხადების შეტანა; სასამართლოზე სიტყვის წარმოთქმა; გადაწყვეტილებების მოსმენა და დათანხმება ან უარყოფა; სააპელაციო ან კერძო წესით საქმეების ქუთაისის გუბერნიის დაწესებულებებსა და ხელმძღვანელ პირებთან წარდგენა; ზემოხსენებული საგუბერნიო დაწესებულებებისა თუ

ხელმძღვანელი პირებისგან მარწმუნებლებისთვის საზარალო გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, თუ საჭიროდ ჩათვლით, უფრო მაღალ ინსტანციაში მათი გასაჩივრება. ამასთანავე, უნდა მიიღოთ ამ გადაწყვეტილებების ასლები, გამომიგზავნოთ ისე, რომ არ გადააცილოთ კერძო, სააპელაციო თუ საკასაციო წესით საქმის უფრო მაღალ ინსტანციაში გადასატანად დაწესებულ ვადებს.

თუკი თქვენი უგანათლებულესობა საჭიროებისა და შესაძლებლობის მიხედვით გადაწყვეტს ალაგობრივად ამ მინდობილობის სხვა პირებისთვის გადაცემას, განიჭებთ ამის უფლებას და გთხოვთ, შემატყობინოთ: სახელდობრ ვის და რა საჭიროებისთვის გადაეცით საქმეების წარმოებისთვის აუცილებელი მინდობილობა. ყოველივე ამაზე გიცხადებთ ნდობას და, რასაც წინამდებარე მინდობილობის საფუძველზე კანონის ფარგლებში გადაწყვეტთ, დავეთანხმები უდავოდ და სიტყვის შეუბრუნებლად.

სრული პატივისცემითა და ერთგულებით თქვენი
უგანათლებულესობის უმორჩილესი მოსამსახურე
**დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი.**
ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი

1867 წლის 30 ივნისი.

წინამდებარე მინდობილობა ეკუთვნის გენერალ-მაიორს,
თავად კოსტანტინე ლევანის ძე დადიანს.
30 ივნისი 1867 წლისა.

## 167. ვლადიმერ ლევაშოვისადმი

ნამდვილი სამოქალაქო მრჩევლის, **ყიფიანის**

[მ ი მ ა რ თ ვ ა]

კავკასიის ხაზის 31-ე ბატალიონის უმცროსმა შტაბოფიცერმა, მაიორმა ჩერნიავსკიმ გამომიცხადა ნებაყოფლობითი

თანხმობა, რომ საკუთარ თავზე აიღებს 1866 წლის 1 დეკემბერს უმაღლესად დამტკიცებული დამატებითი წესების საფუძველზე ზუგდიდის მაზრაში თავად მინგრელსკის ყოფილი გლეხებისთვის ნადელების გამოყოფასთან, დებულების ოქმებსა და მამულის სამეურნეო აღწერასთან დაკავშირებულ სამუშაოებს.

ხსენებულ შტაბოფიცერს განათლება მიღებული აქვს სამთო-საინჟინრო კორპუსის ინსტიტუტში, საიდანაც გამოვიდა პირველი ხარისხის სპეციალისტის უფლებებით და ამის შემდეგ ექვსი წლის განმავლობაში სამოქალაქო ინჟინრის თანამდებობა ეკავა სახელმწიფო ქონების სამინისტროში. ასე რომ, განათლებითაც და პრაქტიკითაც მან იცის ინსტრუმენტული გადაღებით მიწების აზომვის საქმე.[1]

თქვენი ბრწყინვალების მიმდინარე ივნისის 2 რიცხვის №10 მოთხოვნის საფუძველზე მე, როგორც თავად მინგრელსკის ადგილ-მამულის მთავარი მმართველი,[2] გლეხებისთვის ნადელის გამოყოფასა და მამულის სამეურნეო აღწერილობის შედგენას უნდა შევუდგე დაუყოვნებლივ.

ვინაიდან როგორც პირველი, ისე მეორე საქმის აღსრულება ინსტრუმენტული გადაღებით მიწის აზომვასთან პირდაპირაა დაკავშირებული, ხოლო მარტო ზუგდიდის მაზრაში თავად მინგრელსკის დაქვემდებარებიდან გამოსული გლეხობა დაახლოებით 2000 კომლია, აღნიშნული საქმის მოგვარებას ერთ წელიწადზე ნაკლები არ დასჭირდება. ამიტომაც, მაქვს პატივი, უმორჩილესად გთხოვოთ, სამხედრო უწყების 1861 წ. 2 ივნისის №109 ბრძანების საფუძველზე გაატაროთ შესაბამისი ღონისძიება, რათა მაიორი ჩერნიავსკი ზემოხსენებული სამუშაოს ჩასატარებლად, დღიდან საქმის დაწყებისა, ერთი წლის ვადით გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან.

პირობას რაც შეეხება, წინამდებარე შუამდგომლობის დაკმაყოფილების შეტყობინებისთანავე ჩემსა და ჩერნიავსკის შორის

შეთანხმდება საბოლოო პირობა, რომელსაც დაუყოვნებლივ წარვუდგენ თქვენს ბრწყინვალებას.

ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი **ყიფიანი.**

30 ივნისი 1867 წლისა.
ქ. ქუთაისი

ჩემი მიმდინარე ივნისის 16 რიცხვის პასუხის დამატებად,[3] თქვენო ბრწყინვალებავ, მაქვს პატივი, მოგახსენოთ:

რადგანაც თავად მინგრელსკის მამულში მისი ყოფილი გლეხებისთვის ნადელების გამოყოფა, აგრეთვე, თავადის დაცული მამულის სამეურნეო აღწერილობის შედგენა უნდა დავიწყო დაუყოვნებლივ, აღნიშნული სამუშაოების შესრულებისას შესაძლებელი ხდება თქვენი ბრწყინვალების ჩემდამი მიმდინარე თვის 2 რიცხვის №10 მოთხოვნის აღსრულებაც; კერძოდ, ის ნადელი, რომლის გამოსყიდვის სურვილიც გლეხს ექნება, ვერ შევა თავად მინგრელსკის დაცული მამულის შემადგენლობაში, ხოლო ამ ნადელიდან გასულ წლებში მიღებული შემოსავალი, შემოსავალთა სრულიად ახალი წესების დამკვიდრების გამო, ვერ იქნება მხედველობაში მიღებული.

თუ თქვენი ბრწყინვალება გაიზიარებს საქმესთან დაკავშირებულ ამ გარემოებას, მაქვს პატივი, უმორჩილესად გთხოვოთ, დამდოთ პატივი და მაცნობოთ ამის შესახებ, რათა ზემოაღნიშნული საქმის წარმატებით დასრულებას არ შეხვდეს რაიმე სახის წინააღმდეგობა.

## 168. ეკსელბირტებისადმი

14 ივლისის წერილით ქვიშხეთიდან ვუპასუხე, რომ მზად ვარ, თავად მინგრელსკის მიერ ჩემს სახელზე გამოგზავნილი თამასუქის საფუძველზე გადავიხადო 2500 მანეთი. ეს თანხა შემიძლია

აქვე და დაუყოვნებლივ გადავცე თამასუქის წარმომდგენს. — ამ მოვალეობის ტფილისში შესრულებას ვერ შევძლებ სექტემბრამდე ან ოქტომბრამდე, რადგანაც ტფილისში აგენტი არა მყავს, ხოლო ამაზე ადრე აქედან წასვლის საშუალებას საქმეები არ მაძლევს.

[14 ივლისი 1867.]

## 169. ექსელბირტებისადმი

მოწყალეო ბატონებო,

თქვენი ა. წ. 18 ივლისის წერილის დამატებად იმისი შეტყობინებაც გინებებიათ, მსურს თუ არა, რომ ფოსტით გამოვგზავნო 2500 მანეთი, რომელსაც საფოსტო მომსახურების თანხა ჩამოეჭრება. საფოსტო ხარჯი ვერც თავად მინგრელსკის დააკლდება და არც მე მაწევს მისი გადახდის ვალდებულება. თუ ამ საქმისთვის ტფილისში მომიწევს ჩასვლა, საეჭვოა, საგზაო ხარჯმა და საფოსტო გადასახადმა სერიოზული განსხვავება მოგვცეს.

ველი რა თქვენს პასუხს,[1] უმორჩ. გთხოვთ...

21 ივლისი 1867.
ს. ქვიშხეთი

## 170. თბილისის მეექვსე სამიჯნე კომისიისადმი

მეექვსე სამიჯნე კომისიას,
მემამულის, ნამდვილი სამოქალაქო მრჩევლის,
**დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანის**

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გუშინ პატივი მხვდა წილად, კომისიის წინაშე განმეცხადებინა:

ადგილ-მამულის მეათედი ნაწილის თაობაზე, რომელიც ადრე თავად ავალოვებს ეკუთვნოდათ და ამჟამად ხაზინის მფლობელობაშია,[1] 1864 წელს ხაზინამ მომმართა შეთანხმების წინადადებით. – ოფიციალური მომართვა არ შეიცავდა პირობებს, რომელთა საფუძველზეც ეს შეთანხმება უნდა შემდგარიყო. ამიტომ იმავე წესით მივწერე, რომ არ შემიძლია პასუხის გაცემა მანამ, სანამ არ მეტყვიან, სახელდობრ რის დათმობას მოითხოვენ ჩემგან ხაზინის სასარგებლოდ. –

ამის შემდეგ ჩემსა და უშუალოდ ნამდვილ სამოქალაქო მრჩეველს, ბ-ნ ვიტეს, შორის შედგა საუბარი და მის სურვილს ვუპასუხე შემდეგი სიტყვებით: „ეს პროცესი მიმდინარეობს 1854 წლიდან. ჩემთვის დროც მეტად ძვირფასია და არსებობისთვის აუცილებელ საშუალებათა უკიდურესი საჭიროებაც მიდგას. ამიტომაც, თუკი საქმე ახლავე გადაწყდება და ჩემს კუთვნილ მამულს ნატურით გადმომცემენ, მზად ვარ, დავთმო მისი მესამედი, ხოლო, თუ ფულს გადამიხდიან, დავთმობ შეფასებული და დადგენილი ღირებულების არა უმეტეს მეოთხედს. თუკი საქმე ისევ გაჭიანურდება და ისევ მომიწევს სასამართლოში სიარული, ანუ ჩემ მიერ შეთავაზებული შეთანხმება არ შესრულდება ერთი წლის განმავლობაში, მაშინ დავიტოვებ უფლებას, უარი ვთქვა ასეთ შეთანხმებაზე“.[2] –

მას მერე გავიდა სამი წელიწადი. არავითარი შეთანხმება არ მომხდარა; პირიქით, გუშინ კომისიის წინაშე მომიწია სასამართლო პალატის მიერ აღიარებული ჩემი უფლების დაცვა და ამ უფლებას ვიცავდი მარტოდმარტო ხაზინის სამი აგენტის წინააღმდეგ.

გავუწიე რა, ერთი მხრივ, ანგარიში კომისიის თავმჯდომარის ჩემთვის არასახარბიელო მოსაზრებებს, ხოლო, მეორე მხრივ, მსურს რა თავი დავაღწიო ჩემთვის ამ მეტად სამძიმო, ხარჯიან და სადავიდარაბო საქმეს, დღეს კვლავ განვაცხადე თანხმობა პროცესის შეწყვეტაზე, თუკი დამიწესებენ ბ-ნი კომისიის თავმჯდომარის მიერ შემოთავაზებული ოდენობის შთამომავლობით

პენსიას ან ბორჯომის მამულის მეათედი ნაწილის სანაცვლოდ გადმომცემენ ხაზინის კუთვნილ და ჩემ მიერ მითითებულ თანაზომადი ღირებულების თავისუფალ ქონებას.

ამასთანავე, წინ მიდევს 1864 წლის წარუმატებელი მოლაპარაკებები და ამის საფუძველზე მეექვსე სამიჯნე კომისიას ვუცხადებ: თუკი ხაზინა არ ისარგებლებს ჩემთვის კომისიის თავმჯდომარის მიერ დღეს შემოთავაზებული შეთანხმებით და ***მიმდინარე თვის 25 რიცხვამდე*** არ მივიღებ შესაბამისი უწყების ოფიციალურ დადასტურებას, მაშინ მე ხსენებული 25 რიცხვიდან დაუყოვნებლივ და სრულად გავაუქმებ დღევანდელ შეთანხმებას. გარდა ამისა, შეთანხმებას ჩავთვლი გაუქმებულად იმ შემთხვევაშიც, თუ იგი მომავალი 1868 წლის იანვრამდე პრაქტიკულად არ იქნება აღსრულებული.

[6 აგვისტო 1867 წლისა]

## 171. სალომე [აბაშიძისადმი]

მოწყალეო ხელმწიფაო,
კნეინა სალომე ლევანოვნა!

კნიაზმა დიმიტრიმ[1] გუშინ თქვენი წიგნი გადმომცა და თქვენი მონდობილება აღსასრულებლად მიმიღია; თქვენის მონაწილეობის ანგარიშსაც და ფულსაც ამ დღეებში მოგართმევთ, თუ თქვენის მონაწილეობის ზომაზედ შემცთარი არა ვარ. –

მე ისე ვანგარიშობ, რომ სააბაშიოში,[2] გამოღმა ახალდაბას გარდა, თქვენი წილი იყოს მეთორმეტედი. უმორჩილესად გთხოვთ წერილითვე მაცნობოთ, სწორეთ ასე არის თუ არა, რომ თქვენ ეს ჩემი წიგნი გახლდეთ ჩემგან საბუთად, რომ თქვენის საკუთრების დაჩემებას მე არას ოდეს არ განვიზრახავ, და თქვენი წიგნი მე მქონდეს თქვენგან საბუთად, რომ მეტი არ მომეთხოვებოდეს.

ამას გარდა ესეც უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემს ხელში არის, ანუ მე ვარ მომვლელი სააბაშიოში მხოლოდ იმ მთისა, სადაც

თვით მეცა მაქვს მონაწილეობა; ესე იგი: მონასტერში, ქვიშხეთში, ტაშისკარში და გამოღმა ახალდაბაში. ამ უკანასკნელს სოფელში თქვენი წილი სავანლისათვის დაგითმიათ და მაშასადამე იქიდამ აღარა შეგხვდებათრა. დანარჩენი სამის სოფლის მთიდამ გერგებათ მეთორმეტედი ტყის შემოსავალი, სალბაში და შეშის ფასი.

ამ ანგარიშზედ თქვენი პასუხი მიბოძეთ და თქვენი მხვედრი წილი მაშინვე მოგერთმევათ. შარშან რაც თქვენი წილი კნიაზს ჯიბრაილს[3] მიღებული აქვს, იმასაც მოგახსენებთ.

თქვენის ბრწყინვალების...

15 აუგვისტო 1867.

## 172. გრიგოლ ორბელიანისადმი

მოწყალეო ხელმწიფეო,
თავადო გრიგოლ დიმიტრის ძევ!

ვაახლებ თქვენს ბრწყინვალებას თავადაზნაურობის ამა წლის საგუბერნიო ყრილობის 6 და 8 მაისის სხდომათა ბროშურის სახით დაბეჭდილ ოქმებს, რომელთა მიხედვითაც, თქვენო ბრწყინვალებავ, სათავადაზნაურო ბანკის წესდების შემმუშავებელი კომიტეტის[1] პრეზიდენტად ხართ არჩეული. – მაქვს პატივი, გაცნობოთ: 1. კომიტეტის სხდომა ნებადართულია დიდი მთავრის, მეფისნაცვლის მიერ;[2] 2. დროის შესახებ, თუ როდის შეძლებს კომიტეტი მუშაობის დაწყებას, თქვენი ბრწყინვალება ჩემგან მიიღებს სპეციალურ შეტყობინებას.

თქვენდამი ულრმესი პატივისცემითა და
სრული ერთგულებით, მაქვს პატივი,
ვიყო თქვენი უბრწყინვალესობის...

28 აგვისტო 1867 წ.

## 173. მიხეილ თუმანიშვილისადმი

მოწყალეო ხელმწიფეო,
თავადო მიხეილ ბირთველის ძევ!

თანდართული ბროშურიდან შეიტყობთ, რომ მიმდინარე წლის 6 მაისს თავადაზნაურობის საგუბერნიო ყრილობამ გადაწყვიტა სათავადაზნაურო ბანკის დაფუძნება, 8 მაისს კი წესდების პროექტის შესამუშავებლად ჩამოაყალიბა კომიტეტი,[1] რომლის მუდმივ წევრად თქვენი ბრწყინვალებაცაა არჩეული.

ახლახან მივიღე შეტყობინება, რომ კომიტეტის შექმნაზე დიდმა მთავარმა, მეფისნაცვალმა[2] თანხმობა განაცხადა და, ვინაიდან ვფიქრობ, ამას ის მოჰყვება, რომ მომავალი სექტემბრის ბოლოს ან ოქტომბრის დასაწყისში კომიტეტი დაარსდება, მაქვს პატივი, უმორჩილესად გთხოვოთ: თუ თქვენი ბრწყინვალება ვერ შეძლებს კომიტეტის მუშაობაში პირად მონაწილეობას,[3] იქნებ იმ დროისთვის წერილობით მაინც გამიზიაროთ თქვენი მოსაზრება საგუბერნიო ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძვლების შესახებ.

წრფელი პატივისცემითა და სრული ერთგულებით,
მაქვს პატივი, ვიყო თქვენი ბრწყინვალების
უმორჩილესი მოსამსახურე
**დიმიტრი ყიფიანი**

28 აგვისტო 1867 წ.

## 174. ნიკოლოზ გაგენტორნისადმი

მოწყალეო ხელმწიფეო,
ნიკოლოზ ქრისტიანის ძევ

იმის იმედით, რომ კეთილგანწყობით მიიღებთ ამ შუამდგომ-

ლობას, უმორჩილესად გთხოვთ, მოწყალეო ხელმწიფეო, ჩემს დროებით ვალდებულ გლეხს, ქვიშხეთში მცხოვრებ სოსია ქალიაშვილს, დაუბრუნოთ ბორჯომში დაკავებული მისი ტივი, თუ, ცხადია, იგი გადაიხდის დადგენილ ბაჟს. რაც შეეხება ქალიაშვილის მიმართ დვირისა და საკირის მოსახლის, სიმონ გელაშვილის, კერძო ხასიათის პრეტენზიას, ალბათ მართებულად ჩათვლით, იგი გადაგზავნოთ შესაბამის უწყებაში, რომელსაც, კანონის მიხედვით, ამგვარი პრეტენზიების განხილვის უფლება აქვს მინიჭებული, კერძოდ, ქვიშხეთის სასოფლო სასამართლოს.

24 სექტემბერი 1867.

## 175. ალექსანდრე ერისთავისადმი

მოწყალეო ხელმწიფეო,
თავადო ალექსანდრე შანშეს ძევ!

ჩემდამი თქვენი ბრწყინვალების გასული სექტემბრის 18 რიცხვის №51 წერილის საპასუხოდ, მაქვს პატივი, მოწყალეო ხელმწიფეო, გაცნობოთ: საჭიროა თავად ერისთოვებისთვის კომიტეტის სხდომის შეტყობინება,[1] რათა განხილულ იქნეს საკითხი, თუ რა შეღავათების გაწევა შეიძლება მათთვის ძირითადი კაპიტალის შედგენისას. ამიტომაც უმორჩილესად გთხოვთ, ჩემი სახელით მოიწვიოთ ისინი კომიტეტის სხდომაზე, რომელიც მხოლოდ მომავალი ნოემბრის დასაწყისში შეიძლება ჩატარდეს.

გთხოვთ, ერწმუნოთ თქვენდამი ჩემს
უღრმეს პატივისცემას...

16 ოქტომბერი 1867 წ.

## 176. ეკატერინე დადიანისადმი

25 ოკტომბერი 1867. ქვიშხეთით.

უმოწყალესო დედოფალო!

წლეულს თქვენი აქ მოუსვლელობა დიდად საწუხრათა მაქვს, ჯერ ამითი, რომ მიზეზი იყო თქვენი ავათმყოფობა, და მეორედ ამითი, რომ ატჩოტები მომზადებული მქონდა,[1] რომ ძველი წესი დროით გათავებულიყო და ახალი უფრო სამჯობინარად დაგეწყოთ, რადგან მე ისე მოქმედება აღარც შემიძლია და აღარც მომეკითხება, როგორც უწინ იყო. ჩემს სამეგრელოში მიუსვლელობას სწუხართ და უნდა გადაწყვეტილი მოგახსენოთ, რომ ახლა ჩემი იქ მისვლა სასარგებლო კი არა, უფრო სავნებელიც იქნება საქმეებისათვის. დროებითად ისევ შორიდამ ვსჯობივარ. რაც საქმეები სწარმოებს, იმას ჩვენის მხრით ცდა და მსვლელობა არ აკლდება და თავისს დროზედ გადასწყდება ყოველივე სიმართლისამებრ. სხვაზედ უფრო მსხვილი და უფრო დიდი საქმე ყმების განთავისუფლება არის, ესე იგი, მამულების მიზომა და ახალის გარდასახადის დაწესება. ამაზედ პირობითა ვართ შეკრული ორს საქმის მცოდნეს ჩინოვნიკებთან; იმათ უნდა გადუზომონ და უსტავნი გრამატები შეუდგინონ,[2] როგორც დაწესებული არის და ერთს წელიწადზედ უთუოთ უნდა გაათავონ საქმე, თორემ მთავრობა თვითან შეუდგება საქმეს და ახლა რომ კომლზედ ექვსი მანათი უნდა მივსცეთ, მთავრობა ათს მანათს მოგვთხოვს და ხარჯი ძალიან შორს წავა. კოსტანტინე[3] მწერს, ლუხვანოს და ორბელს იწყეს საქმე და კარგათ მიდისო. ზუგდიდის მაზრაში ერთსა აქვს მინდობილი, სანდო კაცს და სენაკისა და ლეჩხუმის მაზრაში მეორეს.

ჩემი განმეორებით აღრჩევის ამბავი[4] იმისთვის არა მოგახსენეთრა, რომ ჩემის სურვილის წინააღმდეგად მოხდა და არ მინდოდა ამაზედ ლაპარაკი. უეზდის მარშლებმა გამომიცხადეს საზოგადოობისაგან შემოთვლილი, რომ თუ შენ მარშლად არ აღმოერჩევი, ყველანი ბანკის უარს ვიტყვითო. ბანკის მოშლა დიდ

უბედურებად მიმაჩნია და ოღონდ ეს ნუ მოიშლება და მე ქვეყნის ჭირის სანაცვლო ვიყო. ამას უზივარ ახლა და ვამზადებ. ბანკის დაწესებაში იმერეთმა გვაჯობა: იქ ნახევარ მილიონამდის არის ფული შეკრებილი. ბატონს ნიკოსაც საკმაოდ გამოურიცხვენ ყმების სამსახურის სამაგიერო ფულიდამ ბანკისათვის, მაგრამ – დიდს ხომალდს დიდი ცურვა უნდაო ნათქვამია. – ახლა ისე არა მენატრებარა, როგორც თქვენი მალე და მშვიდობით მოსვლა.

თქვენი უერთგულესი **დიმიტრი ყიფიანი**

ბატონს ნიკოს და ჩემს მეგობარს ანდრიას გულითადს პატივისცემას მოვახსენებ. დაუფასებელს კნიაჟნა სალომეს ხელს ვაკოცებ ათასობით. – ჩემი ნინო უსაზღვროს პატივისცემას და ერთგულებას გიძღვნით. ჩემი არჩილი სწორეთ ისეთი მამაძაღლი რამ არის, რომ მართლა მოგეწონებათ, ნაბოლარი.[5]

## 177. კონსტანტინე დადიანისადმი

მოწყალეო ხელმწიფეო,
თავადო კონსტანტინე ლევანის ძევ,

გიგზავნით, თქვენო უგანათლებულესობავ, მინდობილობას თანამინდობილობის გაცემის უფლებით, რათა საშუალება გქონდეთ, მონაწილეობა მიიღოთ ამჟამად მიმდინარე თუ სამომავლო საქმეებში. თავს მოვალედ მივიჩნევ, დაგიდასტუროთ პირად საუბარში გამოთქმული სიტყვიერი თანხმობა, რომ თვითონ მისი უგანათლებულესობის, თავად მინგრელსკის, განკარგულებამდე მისი დაცული ადგილ-მამულისა და ანგარიშწარმოების საქმეები უნდა დარჩეს თქვენი უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ იმავე წესითა და პირადი შემადგენლობით, როგორც ეს მეურვეობის უკანასკნელ პერიოდში იყო. ამასთანავე, არ უნდა შეიცვალოს მართვა-გამგეობისთვის ასიგნებული თანხა – 6040

მან. წელიწადში. ამ თანხიდან შეგიძლიათ საკუთარი შეხედულებისამებრ დახარჯოთ 1900 მან., ანუ ის ოდენობა, რომელიც დანაზოგის სახით შედის ზემოაღნიშნულ ასიგნებულ თანხაში.

გაცნობებთ რა ამას თქვენ და თავად ნიჟარაძეს, მაქვს პატივი, დაგიდასტუროთ სრული პატივისცემა და ერთგულება.

თქვენი უგანათლებულესობის...

2 ნოემბერი 1867.
ქუთაისი

## 178. კონსტანტინე ნიჟარაძისადმი

მოწყალეო ხელმწიფეო,
თავადო კონსტანტინე დავითის ძევ,

გიგზავნით, თქვენო ბრწყინვალებავ, გასაცნობად და სახელმძღვანელოდ ასლს მისი ბრწყინვალების, თავად კონსტანტინე ლევანის ძე დადიანისადმი ამავე რიცხვით გაგზავნილი წერილისას, რომელიც თავად მინგრელსკის დაცული მამულის მართვა-გამგეობის წესსა და პირად შემადგენლობას ეხება.

გთხოვთ ერწმუნოთ თქვენდამი ჩემს პატივისცემასა და სრულ ერთგულებას.

[2 ნოემბერი 1867].

## 179. მიხეილ თუმანიშვილისადმი

თქვენს გუშინდელ წერილთან დაკავშირებით მხოლოდ ამის თქმა შემიძლია: გულწრფელად ვწუხვარ, რომ სამსახურებრივი საქმეების გამო არ შეგიძლიათ მონაწილეობის მიღება საბანკო კომიტეტის მუ-

შაობაში,[1] მით უმეტეს, ვიცი ამ საქმისადმი თქვენი კეთილშობილური გულშემატკივრობა. თუმცა არ შემიძლია არ ვაღიარო იმ საქმეების მნიშვნელობაც, რომელთა გამო უარის თქმა გიწევთ.

უღრმესი...

14 [დეკემბერი 1867.]

## 180. სოლომონ ანდრონიკაშვილისადმი

საბრალო ქალის მოტაცების ამბავი რომ მომივიდა, მაშინვე მქონდა გუბერნატორთან მოლაპარაკება[1] და წუხელისაც. რასწამს თქვენი ამ თვის 18-ის წიგნი მივიღე, მაშინვე ვნახე და განმეორებით დავაჯერე გული, რომ არა თუ ამგვარის საქმის შინაურულად გარიგებაში არ გაერევა, მტკიცედ ადგია იმ განზრახვას, რომ საქმე კანონთამებრ სასტიკად აწარმოვონ და ჯეროვანი სასჯელი არავის ასცილდეს, არც დამნაშავეთა და არც მონაწილეთ.

თქვენებრ მეც ვალად ვითვლი თვალის დევნებას და ყოველს მეცადინეობას, რომ ამგვარმა მრთელის საზოგადოობის შემაგინებელმა მოქმედებამ მაგალითებით ძირი არ გაიდგას და ჩვენი ღირსება არ შეარღვიოს.

თქვენის.....

20 დეკემბერი [18]67.

## 181. ალექსანდრე ნიკოლაისადმი

მოწყალეო ხელმწიფეო,
ბარონო ალექსანდრე პავლეს ძევ,

თავადი მინგრელსკი, რომლის შემოსავლებსაც მე განვაგებ, გასული ნოემბრის 8 რიცხვის წერილით მთხოვს, რომ ბიძამისს,

თავად დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძეს, აუცილებელი საჭიროების გამო მივცე ***თხუთმეტი ათასი*** მანეთი.[1]

ჩემთვის ამჟამად შეუძლებელია ამ თანხის თავმოყრა, ამასთანავე, ახლო მომავალში მომიწევს თვითონ თავად მინგრელსკისთვის გაგზავნა იმ 400 000 მანეთისა, რომელიც მას გლეხთა პირადი გადასახადების სანაცვლოდ უნდა აუნაზღაურონ. უმორჩილესად გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, შუამდგომლობას, რათა დიდმა მთავარმა, კავკასიის მეფისნაცვალმა დავით ჭავჭავაძის საჭიროებისათვის ჩემს სახელზე გამოყოს ***თხუთმეტი ათასი*** მანეთი. თანხა დაბრუნდება იმ ზემოაღნიშნული ანაზღაურებიდან, რომელიც თავადმა მინგრელსკიმ თავისი გლეხების გადასახადებისგან გათავისუფლების სანაცვლოდ უნდა მიიღოს.

უღრმესი...

21 დეკემბერი 1867.

## 1868

### 182. იული ვიტესადმი

მოწყალეო ხელმწიფეო,
იული თედორეს ძევ,

მას შემდეგ, რაც თქვენმა აღმატებულებამ 1864 წლის 16 ნოემბრის (№5550) მომართვით მკითხეთ და მეც იმავე თვის 22-ში გიპასუხეთ[1] ***ბორჯომის*** მამულთან დაკავშირებული ხაზინასთან ჩემი სასამართლო დავის შესახებ,[2] ეს საქმე, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ადგილიდან არ დაძრულა.

თუკი იმის აღიარებას ინებებთ, რომ ჩემი ამდენი ხნის დუმი-

ლი თუნდაც მცირეოდენ პატივისცემას იმსახურებს, თავს უფლებას მივცემ თქვენს აღმატებულებას უმორჩილესად ვთხოვო, დამდოს პატივი და ამ საქმის ამჟამინდელი ვითარება შემატყობინოს.

ისიც გაითვალისწინეთ, თქვენო აღმატებულებავ, რომ 16 წელიწადია, საკუთარი უფლების აღდგენას ველოდები, საქმე კი აგერ უკვე 6 წელიწადია სასამართლოს საშუალო და უმაღლეს ინსტანციებს შორის არის შეჩერებული.

ღრმა პატივისცემით... ·

22 იანვარი 1868.

## 183. ეგორ სტარიცკისადმი

მოწყალეო ხელმწიფეო,
ეგორ პავლეს ძევ

თუ შუამდგომლობა თქვენი აღმატებულების წინაშე უადგილოდ არ ჩამეთვლება, გთხოვთ ორიოდე სიტყვა მომახსენებინოთ გრიგოლ ყიფიანის შესახებ, რომელიც ქუთაისის საგუბერნიო მმართველობაში მსახურობს და ითხოვს ადგილს სასამართლო ნაწილში.

რამდენად მომზადებულია ამ სამსახურისთვის ახალგაზრდა კაცი, რომელსაც დამთავრებული აქვს გიმნაზია და რამდენიმე წელია საგუბერნიო მმართველობაში მუშაობს მაგიდისუფროსად, ჩემგან ამის შეფასება, რასაკვირველია, ზედმეტი იქნება. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ზნეობის მხრივ მას წუნი არ დაედება: მშვიდი ხასიათისაა, გაწონასწორებული და თავდაჭერილია, კარგად იცის რუსული და ქართული ენები და გრძნობა პატიოსნებისა – განსაკუთრებით, სამსახურის საქმეებში – ფრიად განვითარებული აქვს.

თუ ამ თვისებების გათვალისწინებით თქვენი აღმატებულება შესაძლებლად ჩათვლის მის შეყვანას მომრიგებელი მოსამართლის თანაშემწის კანდიდატთა სიაში, დარწმუნებული ვარ, იგი არც ამხანაგებს და არც შუამდგომელს უხერხულობას არ შეუქმნის.

ამას ყოველივეს მოგახსენებთ არა მხოლოდ იმისათვის, რომ მსურს დავეხმარო ახლობელ ადამიანს, არამედ იმ საქმის სასარგებლოდაც, რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობთ და რომელიც უმაღლეს ხარისხამდე ძვირფასია თითოეული ჩვენგანისათვის.

გთხოვთ ერწმუნოთ თქვენდამი ჩემს ღრმა პატივისცემასა
და სრულ ერთგულებას,
თქვენი აღმატებულების უმორჩილესი...

3 თებერვალი 1868.

### 184. ალექსანდრე ნიკოლაისადმი

მოწყალეო ხელმწიფეო,
ბარონო ალექსანდრე პავლეს ძევ

არ მინდოდა თქვენი შეწუხება, მაგრამ აუცილებლობა მაიძულებს, ბორჯომის მამულთან დაკავშირებული დავის გამო[1] მოგმართოთ უმორჩილესი თხოვნით.

ეს საქმე მთავარსამმართველოშია 1862 წლიდან. 1864 წლიდან იგი შეჩერებულია იმ განზრახვით, რომ დასრულდება შეთანხმებით, თუმცა შეთანხმება დღემდე არ ჩანს.

თუკი ამის მიზეზი თავად ავალოვთა ჩამოსვლის მოლოდინია, ისინი არც უნდა ჩამოვიდნენ, რადგანაც ვერ იქნებიან ჩემს საქმეში ჩართულები – მმართველი სენატის განკარგულებით, საქმე უნდა გაირჩეს ჩემსა და ხაზინას შორის, ავალოვების გარეშე.

უმორჩილესად გთხოვთ განკარგულებას, რომ შეთანხმება მოხდეს დროზე, ხოლო თუკი ეს შეუძლებელია, მაშინ საქმეს მიეცეს შემდგომი მსვლელობა.

გაითვალისწინეთ, რომ 16 წელიწადია, სასამართლოს მეშვეობით ჩემი უფლებების აღდგენას ველოდები.

ღრმა პატივისცემით...

14 თებერვალი 1868.

## 185. ეკატერინე დადიანისადმი

7 მარტი 1868. ტფილისით.

დიდი ხანია აღარცა რა მე მომიწერია თქვენთვის, მოწყალეო დედოფალო, და აღარცა რა თქვენგან მომსვლია. მე ეს მიზეზი მქონდა სხვათა შორის, რომ შობას დღეს გავსცივდი ძალიან და ორჯერ ისე გამაცივა, რომ აქამდისინ კიდევაც ვერ გამოვდივარ გარეთ. მოსაწერიც არა მქონდარა, ამის მეტი, რომ თქვენს ძმას დავითს რადგან ფული დიდად ეჭირვებოდა და მე არა გამაჩნდარა, რამდენიც გებძანებინათ ვისესხე და ჩავაბარე ისეთს დროს, რომ ქორწილს დაბრკოლება არა მისცემიარა.[1] მაგრამ მე რომ მაშინ ავათ ვიყავი და არც გარეთ გამოუსვლელობა შეიძლებოდა, მეორეთ გავსცივდი და უფრო დავემწყვდი სახლში.

ახლა ჩემი უმთავრესი სურვილი და ნატვრა ეს არის, რომ მობძანდეთ ალთქმისამებრ ამ გაზაფხულს და მიიღოთ თქვენი ყმა და მამული. მე ისე მოვუძლურდი და ისე მოვხუცდი, რომ სრულიად აღარაფრისთვის ვვარგივარ.

ამასთან შთადებული წიგნი მოლოზანმა მომიტანა გუშინ და მთხოვა თქვენ მოგართვათ.

კნიაჟნა სალომეს[2] ჩემი გამოგზავნილი წიგნები მიერთვა თუ არა, არ ვიცი.

ღმერთსა ვსთხოვ ერთობ თქვენს მშვიდობას და უვნებელობას.

წუხელის კოსტანტინემ (ჯავახოვმა) წაგვაკითხა თქვენი 14-ის იანვრის ბალის ამბავი მანდაურს გაზეთებში აღწერილი და დიდად ვისიამოვნეთ.

თქვენის უგანათლებულესობის უმორჩილესი მოსამსახურე
**დიმ. ყიფიანი**

## 186. ალექსანდრე ნიკოლაისადმი

მოწყალეო ხელმწიფეო,
ბარონო ალექსანდრე პავლეს ძევ

მივიღე თქვენი აღმატებულების ამა თვის 4 რიცხვის წერილი №747, რომელიც პასუხია ჩემი 14 თებერვლის თხოვნისა.[1] ჩემი თქვენდამი პატივისცემის საუკეთესო გამოხატულება, რასაკვირველია, ის იქნება, რომ წარმოგიდგინოთ ჭეშმარიტი ვითარება თქვენ მიერ დასმული ორი საკითხის შესახებ.

ის, რომ ბორჯომის მამულთან დაკავშირებული ჩემი დავა 1862 წლიდან მთავარსამმართველოშია გაჩერებული, ნაწილობრივ ჩემს, ნაწილობრივ კი თავად ავალოვების გამოუცხადებლობას ჰბრალდება.

მე მბრალდება იმიტომ, რომ შარშან საქმე მეექვსე სამიჯნე კომისიაში ***ჩემი სურვილით*** გაირჩა.[2] ავალოვებს კი ჰბრალდებათ იმიტომ, რომ, მიუხედავად გამოძახებისა, ჩემსა და ხაზინას შორის გამართული დავის გარჩევაზე არ ცხადდებიან და, თითქოს, მათი მონაწილეობის გარეშე შეთანხმების მიღწევა შეუძლებელია.

თუმცა: ჩემი დავის საქმეზე გადაწყვეტილება 1862 წელს იქნა მიღებული საშუალო სასამართლო ინსტანციაში და მას შემდეგ საქმე უმაღლესი ინსტანციის გზაზეა. სურვილი ამ საქმის ქვემო ინსტანციაში მოხვედრისა არ შეესაბამება მიღებულ წესებს და ამიტომ არსად და არასოდეს არც ზეპირად, არც წერილობით მე

ასეთი სურვილი არ გამომითქვამს. – მეექვსე სამიჯნე კომისია-ში განხილვა ამ საქმისა აი, რატომ მიმდინარეობდა: 1866 წელს შემატყობინეს, რომ ბორჯომის მამულში გამიჯვნითი სამუშა-ოები იყო დაგეგმილი. როგორც თანამფლობელი, ვალდებული ვიყავი ან თვითონ, ან ჩემი რწმუნებულის მეშვეობით მონაწი-ლეობა მიმეღო საზღვრების დადგენაში, ამასთანავე – გამომეყო მუშახელი. ეს ყველაფერი შესრულდა. საზღვრები დადგინდა და ამის შემდეგ, გასული წლის აგვისტოში, კომისია შეუდგა ყველა სხვა თანამფლობლის გაფრთხილებასა და მათი მონაკვეთების დადგენას. – ხაზინის მხრიდან უფლებამოსილმა პირმა კომისიის შეკითხვას უპასუხა, რომ მთელი ბორჯომის მამული ეკუთვნის მხოლოდ და მხოლოდ ხაზინას და სხვათა თანამფლობელობას საერთოდ არ ცნობს. – მაშინ მე განვაცხადე, რომ სასამართლო პალატის გადაწყვეტილებით აღიარებული ვარ თანამფლობ-ლად, წარვადგინე კიდევაც საბუთი და დავსძინე: საქმე მმართ-ველმა სენატმა უნდა განიხილოს-მეთქი. – ხაზინის მხრიდან უფ-ლებამოსილმა პირმა ჩემი ნათქვამი დაადასტურა და ამიტომაც სამიჯნე კომისიამ ველარ შეძლო საქმის განხილვა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩემს დავასთან დაკავშირებუ-ლი სასამართლო საქმე, როგორც ამაში დავრწმუნდი, მაშინ ხა-ზინის მხრიდან უფლებამოსილი პირის ხელში იყო, მე ვერ შევე-წინააღმდეგებოდი ***მის*** სურვილს, დავა სამიჯნე კომისიაში გან-ხილულიყო. ასე რომ, არავითარი საფუძველი არ არსებობს, მისი სურვილი ***მე*** მომეწეროს.

რაც შეეხება მეორე გარემოებას, დაისმის კითხვა: რატომ აკავშირებენ ამ საქმესთან თავად ავალოვებს? იმიტომ, რომ 1852 წელს მათ საკუთარ თავზე აიღეს ვალდებულება: „თუკი მომავალში ვინმეს ბორჯომის მამულზე პრეტენზია გაუჩნდე-ბა... საქმეს თვითონ მოაგვარებენ ხაზინის ჩაურევლად“. – მაგ-რამ სამოქალაქო საქმეთა სასამართლომაც, თვით მმართველმა სენატმაც, აღიარეს, რომ ჩემი პრეტენზია გამოცხადდა არა ***შემ-დეგ,*** არამედ გაცილებით ადრე – 1852 წლის გარიგებამდე. შესა-ბამისად, შეუძლებელია ჩემს უფლებასთან დაკავშირებით ავა-

ლოვების ზემოხსენებულ ვალდებულებას რაიმე მნიშვნელობა მიენიჭოს. ამიტომაც მმართველი სენატის განკარგულებით და-ვა უნდა წარმოებდეს ჩემსა და ხაზინას შორის ავალოვების გა-რეშე. არადა, გრძელდება საქმეში მათი ჩართვის მცდელობები.

წარმოგიდგინეთ რა ფაქტები მათი პირდაპირი შინაარსისა და მნიშვნელობის მიხედვით, თავს უფლებას ვაძლევ, განვაახ-ლო ჩემი ადრინდელი უმორჩილესი თხოვნა: თუკი შესაძლებე-ლია შეთანხმება, გამომეცხადოს უშუალოდ ხაზინის სურვილი და დავაჩქაროთ ეს შეთანხმება, თუ არადა, დაჩქარდეს საქმის გაგზავნა მმართველ სენატში. ამასთანავე, გთხოვთ მიიღოთ მხედველობაში, რომ არავითარ შემთხვევაში არ დავთანხმდე-ბი, ამ ჩემს საქმეში ჩართულნი იყვნენ ავალოვები, რომლებსაც არავითარი ბრალი არ მიუძღვით ჩემ წინაშე: ვერც ხაზინა, ვერც სხვა რომელიმე კერძო პირი მათგან 1852 წელს ვერ შეიძენდა მამულს, რომელიც მე 1848 წელს შევიძინე და, ამას გარდა, ჩემს უფლებას, გარდა ხაზინისა, არავინ შეხებია.

ღრმა პატივისცემითა და სრული ერთგულებით,
მაქვს პატივი, ვიყო თქვენი
აღმატებულების...

9 მარტი 1868.

## 187. პეტრე ლადინსკის ანდერძის აღმსრულებლებისადმი

მოწყალეო ბატონებო,
ნიკოლოზ ალექსანდრეს ძევ,
ივანე კარლის ძევ,
გრიგოლ დიმიტრის ძევ, –

გამოვხატავ მადლიერებას, რომ მატყობინებთ თქვენს მოქ-მედებებს, რომლებიც განსვენებული პეტრე ანტონის ძე ლა-

დინსკის ანდერძის თანდათანობით აღსრულებას შეეხება.[1] ჩემი მხრივ, ვადასტურებ, რომ თქვენი ეს მოქმედებები სავსებით შეესაბამება მოანდერძის ნებას. დარწმუნებული ვარ, ანდერძის დარჩენილი პუნქტებიც თავის დროზე ისევე ზუსტად შესრულდება, როგორც ეს აქამდე იყო, მიუხედავად იმისა, რომ მე, ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, მოკლებული ვარ საქმეში უშუალო მონაწილეობის შესაძლებლობას. – თქვენი გასული თებერვლის 6 რიცხვის №45 წერილის პასუხად,[2] მოწყალეო ბატონებო, მოგახსენებთ სრულ თანხმობას: პეტრესეული მამული გაიყიდოს თქვენი განზრახულების შესაბამისად, ანუ საჯარო ვაჭრობით უწყებებში სათანადო განცხადების გამოქვეყნების საფუძველზე.

ბრძანება განსვენებული პეტრე ანტონის ძის სამსახურიდან გასვლის შესახებ, მაქვს პატივი, ამ წერილთან ერთად დაგიბრუნოთ უკან.

რაც შეეხება ავეჯის სპარსულ შალითებს, ძალზე მეეჭვება, მათი ტფილისში გაყიდვა მომგებიანი იყოს. ამიტომაც უმჯობესი იქნება, შალითების აქ გადმოგზავნის ხარჯს თავი ავარიდოთ.

თქვენდამი ღრმა პატივისცემითა და ერთგულებით,
მაქვს პატივი, მოწყალეო ბატონებო,
ვიყო თქვენი...

15 მარტი 1868. ტფილისი.

## 188. გრიგოლ აპოსტოლოვისადმი

მოწყალეო ხელმწიფეო,
გრიგოლ დიმიტრის ძევ

ნიკოლოზ ივანეს ძე ნიკოლიჩმა იმდენი სიკეთე გამოიჩინა, რომ პირადად გამახარა თქვენი 28 იანვრის წერილითა[1] და თქვე-

ნი და ჩვენი საერთო ძვირფასი მეგობრების, ნიკოლოზ ალექსანდრეს ძისა და ივანე კარლის ძის,[2] სახელით გამოგზავნილი ამანათით.

გულითადი მადლობა ამ ყველაფრისთვის. გულწრფელად გისურვებთ ერთობლივ ყველას ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას.

ამ სურვილისგან დამოუკიდებლად, იმედი მაქვს თქვენი თავაზიანობისა, რომ ჩემს გულწრფელ მოკითხვას გადასცემთ მარია თედორეს ასულს.[3]

სრული ერთგულებით...

15 მარტი [1868 წ.]

## 189. [გრიგოლ დადიანისადმი]

ზეგ, კვირას, ანჩისხატში, წირვა რომ გამოვა, 11 საათზედ, პარაკლისი იქნება მთავრის ასულის სალომეს დაწინდვისათვის მადლობის შესაწირავად[1] და პირიღვთისას წინაშე შესავედრებელად.

ასე მოჰხსენდება მონათესავეთა მისთა.

[12 აპრილი 1868 წ.]

## 190. სალომე დადიან-მიურატის ნათესავებისადმი

კნიაჟნა სალომე დადიანის ასულის ნათესავთ მოვახსენებ, რომ ხვალინდელის-მაგიერად პარაკლისი[1] იქნება ***სამშაბათს,*** ამ თვის 16-ს.

**დიმიტრი ყიფიანი**

13 აპრილი [1868 წ.]

## 191. იული ვიტესადმი

მოწყალეო ხელმწიფეო,
იული თედორეს ძევ,

ხომ არ იქნებოდით, თქვენო აღმატებულებავ, იმდენად გულმოწყალე, რომ ნება დამრთოთ და გაგახსენოთ გუშინდელი დღე, რომელიც ბორჯომის მამულთან დაკავშირებული პროცესის[1] უკანასკნელ ვადად იყო დანიშნული?

ღრმა პატივისცემით... ··

4 მაისი 1868.

## 192. იული ვიტესადმი

მოწყალეო ხელმწიფეო,
იული თედორეს ძევ,

იმისათვის, რომ მოიძებნოს საფუძველი იმ მოლაპარაკებებისთვის, რომლებიც ამჟამად ჩემი ბორჯომის მამულის მეათედ ნაწილზე მიმდინარეობს[1] და ეს მოლაპარაკებები დასრულდეს მშვიდობიანი შეთანხმებით, გთხოვთ, დამდოთ პატივი და მიპასუხოთ – ჩათვლით თუ არა, რომ საკმარისად ზომიერია შემდეგი პირობები:

1. ***მოუწესრიგებელი*** ტყის[2] ყოველი 10 დესეტინიდან წელიწადში შეიძლება მოიჭრას 4 ხე და გაიცეს 4 კუბური საჟენი შეშა.

2. საბალახოებიდან, საძოვრებიდან და სათიბებიდან შეიძლება შემოვიდეს სულ მცირე 3 მანეთი მაინც ყოველი დესეტინიდან.

3. სახნავ-სათესი მიწებიდან, იმის გათვალისწინებით, რომ ახლომახლო ადგილებში ხორბლის მოსავალი სულ მცირე $2^{1}/_{2}$

კოდია (კოდი – 4 ფუთი), შეიძლება შემოვიდეს სულ მცირე 8 მან. ყოველი დესეტინიდან.

თუკი ჩათვლით შესაძლებლად, რომ ეს მონაცემები საფუძვლად დაედოს შეთანხმებას, მაშინ ანგარიშში არ ჩავაგდებ შემოსავალს არც საკარმიდამო მიწებიდან, არც თევზჭერიდან, არც ნადირობის უფლებიდან და, დასასრულ, არც მინერალური წყლებიდან, მიუხედავად იმისა, რომ ეს ყველაფერი კერძო მეურნეობისთვის ვერ იქნება მნიშვნელობას მოკლებული.

მოიღეთ მოწყალება და ნებისმიერ შემთხვევაში დააჩქარეთ თქვენი პასუხი, ამასთანავე, იმასაც გთხოვთ, რომ ჩემი ოჯახის ყოველდღიური საჭიროებებიც იქონიოთ მხედველობაში.

არ დაგიმალავთ, რომ, თუ საქმე კვლავ გაჭიანურდება, ჩემი პირობებიც ხელახლა შეიცვლება.

ჭეშმარიტი პატივისცემით...

14 მაისი 1868.

## 193. ალექსანდრე მურავიოვისადმი

მოწყალეო ხელმწიფეო,
ალექსანდრე ნიკოლოზის ძევ

თქვენი აღმატებულებისთვის ცნობილია, რომ 1864 წელს კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს დადგენილებით ხაზინასთან ბორჯომის მამულის მეათედ ნაწილთან დაკავშირებული ჩემი დავის[1] მშვიდობიანი მორიგებით დასრულება დაეკისრა აწ განსვენებულ ი. თ. ვიტეს გენერალ-მაიორ ზინოვიევთან ერთად.

ამ საქმის დაჩქარების თხოვნაზე ა. წ. 4 მარტის №747 წერილით მიპასუხა კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსმა, რომელიც საქმის გაჭიანურების მიზეზებს მეკითხებოდა.

მიზეზები მე განვმარტე მისი აღმატებულების, ბარონ ალექსანდრე პავლეს ძისთვის[2] იმავე წლის 9 მარტს გაგზავნილ წერილში[3] და კვლავ ვითხოვე საქმის დაჩქარება.

ზემოხსენებულ №747 წერილში დათქმული ვადის გასვლის თაობაზე 4 მაისის წერილით ვაცნობე აწ განსვენებულ ვიტეს,[4] რომელმაც იმავე დღეს წერილობითვე მიპასუხა: იგი ბორჯომის მამულთან დაკავშირებული საქმის შესახებ დაბრუნებისთანავე მოახსენებდა ბარონს და მის მიერ გაცემულ განკარგულებას შემატყობინებდა დაუყოვნებლივ.

13 მაისს აწ განსვენებულმა იული თედორეს ძემ პირადად გამომიცხადა, რომ ჩემი მხრიდან საჭირო იყო იმ პირობების წამოყენება, რომელთა საფუძველზეც შეთანხმების შესახებ მოლაპარაკებები დაიწყებოდა.

ჩემი პირობები მე მას შევატყობინე მეორე დღესვე, ე. ი. გასული მაისის 14-ში.[5] – ვიტეს გარდაცვალების შემდეგ საქმის წარმართვა თქვენს აღმატებულებას მოუწევს. გაახლებთ რა ამასთან ვიტესადმი 14 მაისის წერილის ასლს, მაქვს პატივი, უმორჩილესად გთხოვოთ, მისცეთ მას შესაბამისი მსვლელობა და, ამასთანავე, დამდოთ პატივი და შემატყობინოთ საქმის ვითარება.

უღრმესი პატივისცემით...

27 ივნისი 1868.

### 194. დუშეთის მაზრის თავადაზნაურობისადმი

ნებითა მისის იმპერატორებითის უმაღლესობის კავკასიის ნამესტნიკისათა[1] 15-სა მომავალსა ივლისსა იქნება დუშეთის ქალაქსა შინა განხსნა უეზდის კეთილშობილთ შეკრებილებისა ალმორჩევასა ზედა უეზდის წინამძღომელისა და დეპუტატისა კეთილ-შობილთ სადეპუტატო სობრანიისათვის,[2] მათის კანდიდატებითა.

ვაუწყებ ამაზედ უფალთ თავადთა და აზნაურთა დუშეთის უეზდისათა და ვრაცხ ვალდებულად აქვნდეთ მხედველობაში კანონის სტატ. 34, 35, 36, 37, 52, 54, 75, 77, 78, 80, 81, 82, 83, 84, 88, 94, 95, 96, 101, 102, 103, 135, 138, მესამე ტომისა და მეთხუთმეტისა ჰსჯულთა უგოლოვნისა და ისპრავიტელის სტატ.1959, 1961, 1965, 1966 და 1967, აღმორჩევის სამსახურსა ზედა.[3]

[3 ივლისი 1868].

## 195. კონსტანტინე დადიანისადმი

მოწყალეო ხელმწიფეო,
კნიაზო კოსტანტინე ლევანის ძე,

თქვენი წერილი, რომლითაც თქვენდა მონდობილის თანამდებობის აღსრულებას დრომდე და სხვა დაწყობილობამდე უარჰყოფთ, მომივიდა და პასუხად ამას მოგახსენებთ, რომ თანამდებობიდამ გადადგომაზედ სრული უფლება მიგიძლვისთ, მაგრამე თვით უგანათლებულესობა თქვენი მეთანხმება მაზედ, რომელ გადადგომას უნდა უსათუოდ წინაუძღოდეს ანგარიშის გაწმენდა მათ წინაშე, ვისგანაც მიღებული გქონდათ მონდობილობა.

რადგან სიტყვიერი აღხსნა საქმისა უადვილესი არის წერილით აღხსნაზედ, ამისგამო უმორჩილესად გთხოვთ აქ მობძანება ინებოთ და მეც გამასწორებინოთ ჩემი ანგარიში მათ წინაშე, რომელთაგან მონდობილი მე თქვენზედ გარდმოვილე.[1] ვჰგონებ არც ეს დამატება მიიღოთ ჩემგან საწყენად, რომ საქმის აღხსნა უმჯობესია დამდურებაზედ მახლობელთა შორის.

ნება მიბოძეთ, სრული იმედი ვიქონიო, რომ ამ ჩემის თხოვნის

უარის ყოფას არ ინებებთ და ჩემს უსიამოვნოებაში შეყვანას არ განიზრახავთ.

თქვენის უგანათლებულესობის უმორჩილესი
**დიმ. ყიფიანი**

3 აგვისტო 1868.
გორდი

## 196. კონსტანტინე დადიანისადმი

მოწყალეო ხელმწიფეო,
კნიაზო კოსტანტინე ლევანის ძე,

თავად მინგრელსკის მიერ თქვენთვის გადაცემულ მინდობილობაში, რომლითაც მისი უგანათლებულესობის ადგილ-მამულისა და ტყეების უშუალო მართვა-გამგეობა გეკისრებოდათ, როგორც მახსოვს, ნათქვამია, რომ ანგარიშგება უნდა წარადგინოთ ჩემი მეშვეობით.

გარდა ამისა, თქვენო უგანათლებულესობავ, ხელთა გაქვთ ჩემ მიერ საქმის საწარმოებლად გადაცემული კიდევ ერთი მინდობილობა.

ანგარიშები თქვენგან აქამდე არ მომსვლია. თავადი ნიკოლოზ დავითის ძე კი უკვე საკუთარ მამულში იმყოფება. ვინაიდან მის მშობელს, უგანათლებულეს კნეინას, როგორც ყოფილ მთავარ მეურვეს,[1] ჩემი სამეურვეო მმართველობის ანგარიში მე თვითონ უნდა წარვუდგინო,[2] მაქვს პატივი, მოწყალეო ხელმწიფეო, უმორჩილესად გთხოვთ, თქვენი ანგარიში თავად მინგრელსკის ჩემთვის გადმოუცემლად თვითონ წარუდგინოთ.

გთხოვთ ერწმუნოთ თქვენდამი...

9 აგვისტო 1868.
გორდი

## 197. ეკატერინე დადიანისადმი

უგანათლებულესო კნეინა
ეკატერინა ალექსანდრეს ასულო!

თქვენი და ყოფილი სამთავრო სახლის, ამჟამად კი თქვენი შვილის, უგანათლებულეს თავად მინგრელსკის დაცული ადგილ-მამულის, სამეურვეო მართვა-გამგეობის ანგარიშის წარმოსადგენად თქვენი უგანათლებულესობის მიერ გამოძახებულსა და ამა თვის 2 რიცხვში აქ ჩამოსულს თავადი ნიჟარაძე ადგილზე არ დამხვდა. იგი დღემდე თქვენი ოჯახის მნიშვნელოვანი ინტერესების დასაცავად ფოთში იმყოფება.

ჩემს სამეურვეო მართვა-გამგეობასთან დაკავშირებული ყველა საქმე, შემოსავალ-გასავლის ზონარგაყრილი წიგნი და სხვადასხვა სახის დოკუმენტები თავად ნიჟარაძის, როგორც მეურვეობის საქმეთა მმართველისა და ანგარიშების მწარმოებლის, ხელთაა. ერთი მხრივ, თქვენმა უგანათლებულესობამ, ცხადია, უნდა იცოდეს მეურვეობის საქმეების შესახებ და, მეორე მხრივ, არც მე შემიძლია, ჩემს სხვა საქმეებს არ დავუბრუნდე. ამიტომაც, მაქვს პატივი, თქვენს უგანათლებულესობას უმორჩილესად ვთხოვო: ამ ჯერზე მიიღეთ ფულის შემოსავალ-გასავლის ანგარიში, რომელიც პირადად ჩემთან, როგორც მეურვესთან, არის დაკავშირებული და ადგილობრივი სამეურვეო მართვა-გამგეობის ჩემს პერიოდს ეხება: 1859, 1860, 1861, 1862, 1863, 1864, 1865 და 1866 წლებისა, დაწყებული 1859 წლის 13 აპრილიდან, როცა მეურვედ დავინიშნე, დამთავრებული 1866 წლის 31 დეკემბრით, რადგანაც ამ თარიღიდან მე-4 დღეს ჩემი უფლება-მოვალეობები შეწყდა.[1] უკანასკნელი დღეების ანგარიშგება შევა იმ ანგარიშში, რომელსაც, როგორც სამეურვეო ადგილ-მამულის ყოფილი მმართველი, მოგვიანებით მოგართმევთ.

ამჯერად წარმოდგენილ ანგარიშში სხვათა შორის, გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ, თუ რა რჩება ნაღდი ფულის სახით:

მეურვეობის ანგარიშში ______________ 2 288 მან. 30 კაპ.
ადგილობრივი სამეურვეო მართვა-გამგეობის
ანგარიშში ______________ 1 2 031 მან. 50 კაპ.

გარდა ამისა, საკუთარ თავზე ვიღებ მეურვეობის ანგარიშში არსებული გასესხებული ფულის (თავისი პროცენტებით) გასტუმრებას. ეს ვალებია:[2]

კნეინა ნინა ავალოვისა ______________ 388 მან. 50 კაპ.
თავად ალექსანდრე ერისთოვისა ______________ 1049 – 95
პოლკოვნიკ სპირიდონ მაჭავარიანისა ______________ 431 – 60
ქვრივ ეკატერინე თურქისტანოვასი ______________ 437 – 50
და დეკანოზ რომან ბორისოვისა ______________ 503 – 10

ჩემზე დარჩა სულ – 17 130 მან. 45 კაპ.

ამჟამად ამ თანხის თქვენი უგანათლებულესობის სასარგებლოდ კანონიერი წესით ჩაბარება არ შემიძლია იმავე მიზეზით – აქ არ იმყოფება თავადი ნიჟარაძე, რომლის ხელშიცაა ყველა დოკუმენტი და ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ, მადროოთ არა უმეტეს ორი თვისა. თუ ამ ხნის განმავლობაში არ მოგართმევთ ამ თანხას ან ნაღდი ფულის, ან კანონით გათვალისწინებული სავალო ვალდებულების სახით,[3] ჩემი ამ განცხადების საფუძველზე შეგიძლიათ მოითხოვოთ საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილება.

რაც შეეხება ანგარიშებთან დაკავშირებულ და ზონარგაყრილ წიგნებში შეტანილ დოკუმენტებსა და მეურვეობის ორივე კანცელარიის საქმეებს, გთხოვთ მიიღოთ ისინი თქვენ თვითონ ან დაავალოთ ვინმეს, მიიღოს თავად ნიჟარაძისგან, რომელსაც თქვენი უგანათლებულესობის სურვილის შემთხვევაში დავავალებ, ეს ყველაფერი ჩააბაროს ჩემ გარეშე.

ამის შემდეგ თქვენს უგანათლებულესობას წარვუდგენ თქვენი ადგილ-მამულის მართვა-გამგეობის 1867 და მიმდინარე 1868

წლის ანგარიშს, რომელიც ახლო მომავალში ცალკე მოგერთმევათ.

კეთილინებეთ და მიიღეთ თქვენდამი ჩემი უღრმესი
პატივისცემის დადასტურება
**დიმიტრი ყიფიანი**

9 აგვისტო 1868 წ.
გორდი

## 198. კონსტანტინე ნიჟარაძისადმი

მოწყალეო ხელმწიფეო,
კონსტანტინე დავითის ძევ,

მის უგანათლებულესობას, კნეინა ეკატერინა ალექსანდრეს ასულს წარვუდგინე სამეგრელოს ყოფილი სამთავრო ოჯახის ადგილ-მამულის ჩემ მიერ გაწეული სამეურვეო მმართველობის შემოსავალ-გასავლის ანგარიში 1859, 1860, 1861, 1862, 1863, 1864, 1865 და 1866 წლებისა.[1] მისი უგანათლებულესობის ნებართვით გთხოვთ, რომ თქვენს ხელთ არსებული წიგნები, დოკუმენტები და ორივე კანცელარიის საქმეები მის უგანათლებულესობას წარუდგინოთ უშუალოდ ან იმ პირის მეშვეობით, რომელსაც ის დაგისახელებთ, ხოლო შესაბამისი ქვითრის მიღების შესახებ შემატყობინოთ დროულად.

9 აგვისტო 1868.
გორდი

## 199. ნიკოლოზ დადიან-მინგრელსკისადმი

მოწყალეო ხელმწიფეო,
თავადო ნიკოლოზ დავითის ძევ,

იმის გამო, რომ იმყოფებით საკუთარ მამულში, თქვენი უგანათლებულესობის მინდობილობები თქვენს ადგილ-მამულთან დაკავშირებულ საქმეთა წარმოების შესახებ თავისთავად ძaლადაკარგულად ითვლება.

მის უგანათლებულესობა თქვენს მშობელს, როგორც მთავარ მეურვეს, უკვე ჩავაბარე ჩემი მეურვეობის პერიოდის მართვა-გამგეობის შემოსავალ-გასავლის ანგარიში, კერძოდ, 1859, 1860, 1861, 1862, 1863, 1864, 1865 და 1866 წლებისა.[1] ამას გარდა, თქვენი უგანათლებულესობისთვის უნდა ჩამებარებინა საკუთრივ თქვენი რწმუნებულებით დაკისრებული ანგარიში 1867 და მიმდინარე 1868 წლებისა, თუმცა მე თვითონ არავითარი ანგარიში არ მიმიღია: ერთს, ჩემი რწმუნებულებითა და თქვენივე მინდობილობით აღჭურვილ პირს, კერძოდ, თქვენსავე ბიძას, კონსტანტინე ლევანის ძე დადიანს, ვწერ, რომ მან თავისი ანგარიში თქვენს უგანათლებულესობას უშუალოდ, ჩემ გარეშე, წარუდგინოს. ჩემი რწმუნებულებით აღჭურვილი მეორე პირი, თავადი ნიჟარაძე, როგორც ეს თქვენთვის ცნობილია, თქვენივე საქმეების გამო იმყოფება ფოთში და მისგან მოვითხოვე, რომ იქაური საქმეების დასრულების შემდეგ სასწრაფოდ წარმომიდგინოს ყველა საჭირო მონაცემი იმ ანგარიშის შესადგენად, რომელსაც თქვენს უგანათლებულესობას წარვუდგენ დაუყოვნებლივ. –

ჩემს ხელთ კიდევ რჩება ქაღალდები, რომელთაგან ზოგიერთი მოითხოვს თქვენს ყურადღებას, ზოგიერთი კი – თქვენსავე განკარგულებას. ამიტომაც თავს მოვალედ ვთვლი, ყველა ეს ქაღალდი თქვენს უგანათლებულესობას წარვუდგინო ანგარიშის შედგენამდე.

ეს ქაღალდებია:

1. სახელმწიფო მდივნის, ბარონ ნიკოლაის 1867 წლის 2/4 მაისის წერილი №1724 თქვენი ინტერესების სასამართლოს მეშვეობით დაცვის წესების შესახებ.

2. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის 1867 წლის 2 ივნისის მომართვა №10 დანართითურთ თქვენი დაცული მამულის კანონით მოთხოვნილი აღწერილობის შედგენის შესახებ.

3. მისივე ამა წლის 14/15 მარტის მომართვა (№97) იმის შესახებ, თუ რა პირობით გადასცემთ მიწის მოთხოვნილ ფართობს ზუგდიდს, რომელიც ქალაქად უნდა გარდაიქმნას.

4. იოანე ნათლისმცემლის უდაბნოს წინამძღვრის, არქიმანდრიტ მაკარის, წერილი ამა წლის 30 აპრილისა. ახლავს ჩემ მიერ დამოწმებული ასლი თქვენი ნეტარხსენებული მამის 1853 წლის 1 იანვრის წერილისა (№1), რომლის მიხედვითაც, იგი სანთლებისთვის უდაბნოს სწირავს ყოველწლიურ 30 მანეთს. არქიმანდრიტი ითხოვს ამ აღთქმის აღსრულებას. – წერილის დედანი მართლაც თქვენი მამის ხელითაა დაწერილი.

5. ბარონ ნიკოლაის მიერ ჩემ სახელზე გამოგზავნილი გასული ივლისის 5/12 რიცხვის წერილი №5473, რომლითაც იგი თქვენგან მოითხოვს, დანიშნოთ დეპუტატი თქვენი კუთვნილი საზღვაო სანაპიროების გეგმის შესამუშავებლად[2] და, ამასთანავე, იგი შეგახსენებთ, რომ აუცილებელია დაიწყოთ თქვენი მაიორატის აღწერილობის შედგენა.

გთხოვთ, თქვენო უგანათლებულესობავ,<br>ერწმუნოთ თქვენდამი ჩემს<br>სრულ პატივისცემას.

9 აგვისტო 1868.<br>გორდი

## 200. ეკატერინე დადიანისადმი

მოწყალეო ხელმწიფეო,
კნეინა ალექსანდრეს ასულო,

მიმდინარე აგვისტოს 9 რიცხვის წერილს,[1] რომლითაც თქვენს უგანათლებულესობას ჩემი მეურვეობის პერიოდის ანგარიში წარვუდგინე, მაქვს პატივი, დავუმატო შემდეგი: 1867 წლის ანგარიშით, ჩემს სახელზე დარჩენილი 17 130 მან., 45 კაპ. ჩავრიცხე შემოსავლების ნაწილში იმ თანხებთან ერთად, რომლებიც 1867 წ. 1 იანვრიდან 1868 წ. 1 აგვისტომდეა შემოსული. მთელი ამ თანხის ანგარიშს ამავე რიცხვით ვუგზავნი მის უგანათლებულესობას, თქვენს ვაჟს, თავად ნიკოლოზ დავითის ძეს.[2]

აქვე თქვენს უგანათლებულესობას ვაახლებ იმ დოკუმენტებს,[3] რომელთა შესახებ, მქონდა პატივი, თქვენთან ყოფნისას პირადად მომეხსენებინა.

უღრმესი პატივისცემით, მაქვს პატივი, ვიყო თქვენი
უგანათლებულესობის უმორჩილესი მოსამსახურე
**დიმიტრი ყიფიანი**

11 სექტემბერი 1868.
სოფ. ქვიშხეთი

## 201. ნიკოლოზ დადიან-მინგრელსკისადმი

მოწყალეო ხელმწიფეო,
თავადო ნიკოლოზ დავითის ძევ

მისი უგანათლებულესობის, თქვენი მშობელი დედისთვის ჩემ, როგორც თქვენი ადგილ-მამულის მეურვის, მიერ გასული აგვისტოს 9 რიცხვში ჩაბარებული ანგარიშის მიხედვით, ჩემზე რჩება 17 130 მან. და 45 კაპ.

იმ ანგარიშში, რომელსაც ახლა, როგორც თქვენი ადგილ-მამულის მმართველი, თქვენს უგანათლებულესობას ვაბარებ და რომელიც მოიცავს პერიოდს 1867 წ. 1 იანვრიდან მიმდინარე 1868 წ. 1 აგვისტომდე, ეს თანხა შემოსავლებში მაქვს შეტანილი.

ამ უკანასკნელ ანგარიშში ლიტერით ***ა,*** აგრეთვე, მასზე დართულ უწყისებსა (ლიტერები ***ბ*** და ***გ)*** და ცალკე წარმოდგენილ საანგარიშო მონაცემებში (ლიტერი ***დ)***, თქვენო უგანათლებულესობავ, სხვათა შორის დაინახავთ, რომ: 1. აქ მხოლოდ ის თანხაა შეტანილი, რომელიც ჩემს განკარგულებაში იყო. რაც შეეხება 21 120 მანეთს, რომელიც თქვენი ადგილ-მამულის ადგილობრივი მმართველობიდანაა შემოსული, ანგარიშგება მისმა ბრწყინვალებამ, თავადმა კონსტანტინე ლევანის ძემ, უნდა წარმოგიდგინოთ; და 2. იმ ფულიდან, რომელიც ახლა უნდა ჩაგაბაროთ, გთხოვთ, 5729 მან. და 50 კაპ. მიიღოთ ჩემს სახელზე გაცემული თამასუქების სახით, ხოლო რაც შეეხება 3734 მანეთსა და 23 კაპიკს, გთხოვთ, იგი გამოქვითოთ იმ 20%-დან, ზემოხსენებული 21 120 მანეთიდან რომ მერგება.[1]

ამით ვამთავრებ თქვენთან ანგარიშგებას. რაც შეეხება თქვენი ადგილ-მამულის სამეურვეო მმართველობასთან, ხოლო 1867 წ. 1 იანვრიდან მართვა-გამგეობასთან დაკავშირებულ ყველა საქმეს, ზონარგაყრილ წიგნებს, დოკუმენტებს, თქვენი მშობელი დედისა და თქვენთვის მათი ადგილზე ჩაბარება ჩემგან თავად ნიჟარაძეს აქვს დავალებული.

ახლა კი, სანამ ყველა ამ საქმეს გაეცნობოდეთ, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, მკაფიო წარმოდგენა შეგიქმნათ იმაზე, თუ რა მდგომარეობაშია ამჟამად თქვენი ადგილ-მამული.

1857 წელს შედგენილი საინვენტარო აღწერილობის მიხედვით, თქვენს ადგილ-მამულს თანხობრივად შეეძლო სულ რაღაც 6700 მან. მოეცა (ამაში არ შედიოდა ის პუნქტები, რომლებზედაც მეურვეობის უფლებამოსილება არ ვრცელდებოდა; მაგალითად: საქალაქო და სავაჭრო, აგრეთვე, რიონზე ცურვის მოსაკრებლები და სხვ.). დანარჩენ შემოსავალს წარმოადგენდა

საკლავი და პროდუქტები, რომლებიც ნატურალურ სამუშაოებს ხმარდებოდა შესაბამისი საჭიროების მიხედვით.

მეურვეობას თავისი მმართველობის პირველი 2 წლის განმავლობაში ხელთ არ ჰქონია არც საინვენტარო აღწერილობა,[2] არც სხვა მონაცემები თქვენი ადგილ-მამულის შემოსავლების შესახებ. თუ გავითვალისწინებთ სხვა ისეთ დაწესებულ ხარჯებს, როგორებიც იყო: მართვა-გამგეობისთვის საჭირო თანხა, პენსიები თუ შემწეობები, ყოველივე ამის შემდეგ სუფთა შემოსავლის სახით დარჩა 277 მან., ანუ წელიწადში 138 მან. 50 კაპ. –

ამის შემდეგ, ანუ 1859 წლიდან, ადგილ-მამულის შემოსავალმა თანდათანობით მატება დაიწყო. როგორც ეს მთავარი მეურვისთვის[3] ან თქვენთვის წარდგენილი ანგარიშებიდან და თამასუქებიდან ჩანს, დაწესებული თუ დაუწესებელი ხარჯების შემდეგ შემოსავლად გრჩებოდათ საშუალოდ 16 000 მან. წელიწადში.

მეურვეობის მიზანმიმართულმა მოქმედებებმა შედეგად ის მოიტანა, რომ შემოსავალი იზრდებოდა:

1861 წლიდან – 24-წლიანი იჯარიდან: 10 000 მან. წელიწადში.

1867 წლიდან – ერთდროულად ნაბოძები მილიონიდან ყოველწლიური სარგებელი: 50 000 მან.

საგლეხო დებულების ამოქმედების შემდეგ თქვენი ყოფილი გლეხების პირადი გადასახადების სანაცვლოდ გერგებათ დაახლოებით 375 000 მანეთი. ამ თანხიდან გექნებათ ხარჯი და საბოლოოდ დაგრჩებათ დაახლოებით 200 000 მანეთი, რამაც კანონიერი ყოველწლიური სარგებლის სახით შეიძლება მოგცეთ 12 000 მანეთი. თქვენი ყოფილი გლეხებისგან სანადელო გადასახადების სახით, ნაცვლად ზემოთ ხსენებული 16 000 მანეთისა, შემოგივათ არანაკლებ 63 000 მანეთისა წელიწადში. თქვენი ადგილ-მამულის დანარჩენმა თავისუფალმა ნაწილმა: ასეულ ათასობით დესეტინა ტყემ და მინდორ-ველმა, იმის მიხედვით, თუ როგორ დააყენებთ თქვენი ადმინისტრაციის მიერ განხორციელებულ მართვა-გამგეობას, შეიძლება მოგცეთ, უფრო სწორად – უნდა მოგცეთ კიდევ ამდენივე თანხა, ანუ 63 000 მანეთი.

ასე და ამგვარად, თქვენი წლიური შემოსავლის რიცხობრივი გამოხატულებაა:

1857-დან 1859-მდე – 138 მან. 50 კაპ.

1859-დან 1861-მდე – 16 000 მან.

1861-დან 1867-მდე – 26 000 მან.

1867-დან საგლეხო დებულების ამოქმედებამდე – 76 000 მან.

ამ დღიდან მოკიდებული თქვენ უნდა მიიღოთ არანაკლებ 200 000 მანეთისა წელიწადში.

ასეთია ფინანსური მდგომარეობა მამულისა, რომელსაც მეურვეობა გაბარებთ. 1859 წელს კი სამეგრელოს მმართველი[4] უმაღლეს ხელისუფლებას არწმუნებდა: შეუძლებელია, თქვენი მამულის მთელი შემოსავალი 16 000 მანეთზე მეტი იყოსო.

ახლა შევხედოთ საქმის იურიდიულ მხარეს...

მეურვეობას დახვდა მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი პროცესები,* რომლებიც ჯერ კიდევ თქვენი მშობლების დროს იყო დაწყებული და რომლებზედაც ან გადაწყვეტილება არ იყო მიღებული, ან გადაწყვეტილება არ იყო აღსრულებული.

სამეურვეო მმართველობის პირველ ორ წელიწადში არამარტო წარმოიშვა ბევრი ახალი პროცესი, არამედ მოხდა თქვენი საკუთრების ხელყოფა იქაც კი, სადაც ყოველგვარი ასეთი ხელყოფა თითქოს შეუძლებელი უნდა ყოფილიყო; მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ განარჯიის მუხურის მამული, ზუგდიდის რიყე, თვითონ ზუგდიდის მიწები, რომლებითაც აზნაური ხვიტიები სარგებლობდნენ. –

კიდევ უფრო მეტი პროცესი წარმოიშვა შემდგომ წლებში. ამის უმთავრესი მიზეზი კი ის იყო, რომ თქვენი ოჯახი ითვლებოდა სამეგრელოდან სამუდამოდ მოშორებულად და ***ყველას*** ასე ეგონა: უფრო ჰუმანური იქნებოდა, თქვენი მამულები დარჩენოდათ კერძო პირებს და არა – ხაზინას, როგორც ეს, ასე ამბობენ, მოხდა გურიაში, სადაც სამთავრო, ანუ სახაზინო არ დარჩა არაფერი ან – თითქმის არაფერი.

---

* იგულისხმება *სასამართლო* პროცესები. **თ. ჯ.**

ასე და ამგვარად, მეურვეობა აღმოჩნდა აუცილებლობის წინაშე, არა მხოლოდ ახალ-ახალი პროცესებით დაეცვა თქვენი საკუთრების უფლება, არამედ ბრძოლა გამოეცხადებინა იმ იდეის წინააღმდეგ, რომელიც ისე იყო გამჯდარი ხალხის შეგნებაში, რომ მას მხარს უჭერდნენ თვით ოფიციალურ წრეებშიც კი.

ამ იდეამ, რომლის შინაარსსაც კარგად გამოხატავს ფრანგული ანდაზა: Les absents ont tort,* სამეგრელოში წარმოშვა ორი მხარე: ერთ მხარეს აღმოჩნდა თქვენი მეურვეობა, რომელსაც წარმოადგენდა ერთი პირი,[5] ხოლო მეორე მხარეს – მთელი ლაშქარი, მსურველები ან ხელშემწყობნი თქვენი ადგილ-მამულის მიტაცებისა. ამ მეორე მხარეს იყო ჩინოვნიკობის უმრავლესობა, თუ ყველა არა.[6]

მაგრამ მეურვეობა იბრძოდა: იბრძოდა კერძო თუ ოფიციალური პირების წინააღმდეგ, იბრძოდა, მიუხედავად მუქარებისა, პირადი შეურაცხყოფისა, უფლებების ხელყოფისა და არ წაუგია არც ერთი პროცესი. პირიქით, მოიგო ისეთი მნიშვნელოვანი პროცესები, რომლებიც უკავშირდებოდა, მაგალითად: ფაქუშს, თურჩუს, თეკლათს, სალიპარტიანოს, ოცარცეს და ა. შ. და ა. შ.

ყველა ამ პროცესის წარმართვისთვის მეურვეობას ჰქონდა კანონიერი უფლება, შეთანხმებოდა შუამავლებს ან ვექილებს, ანუ შეეძლო გაეკეთებინა ის, რისი გარდაუვალი აუცილებლობის წინაშეც ამიერიდან უკვე თქვენ დადგებით და უნდა მისცეთ კიდევაც მათ ჰონორარი, რომლის ოდენობა, ჩვეულებრივ, დავის ღირებულების ათი პროცენტით განისაზღვრება, თუმცა მეურვეობა ყველა ამ პროცესს წარმართავდა თვითონ და ამით თქვენი მამულის საქმეებთან დაკავშირებით დაზოგა არა ერთი და ორი ათობით ათასი მანეთი.

ამასთანავე, მეურვეობას უნდა დაეძლია ის წინააღმდეგობები, რომლებსაც თანამდებობრივი პირებისგან აწყდებოდა და, თავის მხრივ, იძულებული იყო, ფორმალური წესით გაეპროტესტებინა განკარგულებები: სამეგრელოს ადგილობრივი მმართვე-

---

* ვინც არ ესწრება, ის ცდება. **თ. ჯ**

ლებისა, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორებისა და თვით მთავარმმართველობისაც კი. გარდა ამისა, უნდა გაბათილებულიყო ის შეხედულება, რომელიც გამომდინარეობდა ზემოთ ნახსენები იდეისგან და უშუალო ურთიერთობებში მეურვეს აყენებდა უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში. ასეთ ვითარებაში მას მთელი თავისი ძალისხმევა იქითკენ უნდა მიემართა, რომ შეგენარჩუნებინათ საკუთრების უფლება, რაც მეურვეობამ სრულად შეძლო კიდევაც. მაგრამ იმისათვის, რომ თქვენს სამეურნეო საქმეებში დაემკვიდრებინა მართვის რაციონალური წესები, ჩაეტარებინა თუნდაც ტყეებისა და ველ-მინდვრების ექსპლორაცია, საამისოდ მეურვეობას არავითარი შესაძლებლობა აღარ შერჩა.

ასეთ ვითარებაში თქვენი შემოსავალი რომ არ კლებულობდა, არამედ იზრდებოდა, ამას მეურვეობა ნაწილობრივ უმადლის განსვენებული სახლთუხუცესის – თავად დავით ჩიქოვანის, მისი შემცვლელის – თავად არჩილ დადიანის, ყოფილი მეორე სახლთუხუცესის – თავად დათა ჩიქოვანისა და მათთან მოსამსახურე ყველა პირის უაღრეს კეთილსინდისიერებასა და თქვენი ინტერესებისადმი სრულ ერთგულებას. საფუძველთა საფუძველი წარმატებისა კი ის იყო, რომ მე შევძელი ადგილზე თქვენი მეურნეობის მართვა-გამგეობის სათავეში დამეყენებინა თავადი კონსტანტინე ნიჟარაძე. ძირითადად მას უნდა უმადლოდეს მეურვეობა ანგარიშგების სიცხადესა და სიზუსტეს, აგრეთვე, ადგილზევე საქმეებისა და პროცესების წარმატებით წარმართვას.

მართალია, ამ საქმიდან თავადი ნიჟარაძე ნაწვალები და დაზარალებული გამოვიდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ: იგი თავს მშვიდად გრძნობს იმის შეგნებით, რომ თავისი დანიშნულება შეასრულა კეთილსინდისიერად.

ყოველივე ამის მოხსენება, თავადო, იმიტომ ჩავთვალე საჭიროდ, რომ თქვენ ან ის, ვისაც თქვენი საქმეების წარმოებას მიანდობთ, საფუძვლიანად იყოთ გარკვეული მეურვეობის საქმიანობაში. ამისი უკიდურესი აუცილებლობის წინაშე კი თქვენ დგახართ არა იმიტომ, რომ მეურვეობის საქმიანობა შეაფასოთ, არამედ იმიტომ, რომ იცოდეთ, თუ როგორ უნდა მოიქცეთ ამის შემდეგ.

თუ თქვენ დაიწყებთ თქვენი დაცული ადგილ-მამულის მართვა-გამგეობას ისე, რომ წინასწარ არ შეისწავლით, თუ რა აქვს გაკეთებული მეურვეობას, ვერ დაგიმალავთ შიშს, რომ დაუშვებთ შეცდომებს, რომლებიც მძიმედ დააწვება თქვენსავე შეგნებას და მეტ-ნაკლები სიმძიმით დააწვება თქვენს სამომავლო ინტერესებსაც.

ამასთანავე, მაქვს პატივი...

11 სექტემბერი 1868.
ქვიშხეთი

## 202. ნიკოლოზ დადიან-მინგრელსკისადმი

მოწყალეო ხელმწიფეო,
თავადო ნიკოლოზ დავითის ძევ

გორდში ჩემი ყოფნისას მითხარით, რომ განზრახული გაქვთ, მეწვიოთ იმ მაღალ სტუმრებთან ერთად, რომლებსაც ელოდებით.

მე ვიქნებოდი უაღრესად ბედნიერი, თქვენთვის აგრერიგად ძვირფას ადამიანებთან ერთად ჩემთან მეხილეთ, თუმცა ასეთი სასიხარულო ამბავი უღრმესი სინანულის გრძნობით უნდა ავირიდო, რადგანაც მოკლებული ვარ ასეთი სტუმრების ღირსეულად დახვედრის შესაძლებლობას. ჩვენში კი, მოგეხსენებათ, ადამიანს ურჩევნია მოკვდეს, ვიდრე სტუმრებს საკადრისი მასპინძლობა ვერ გაუწიოს.

ნება მიბოძეთ იმედი ვიქონიო, რომ თანაგრძნობით მოეკიდებით იმ გულწრფელობას, რა გულწრფელობითაც ამას ყოველივეს მოგახსენებთ.

[11 სექტემბერი 1868 წ.].

## 203. ეკატერინე დადიანისადმი

მოწყალეო დედოფალო,
კნეინა ეკატერინა ალექსანდრეს ასულო,

თქვენი უგანათლებულესობის მიმდინარე სექტემბრის 2 რიცხვის წერილი №3,[1] როგორც ჩანს, იმის გამო, რომ ტფილისში გაგზავნილი, აქ 18 რიცხვში მივიღე. ამასობაში ის სავალო ვალდებულებები, რომელთა შესახებაც მწერთ, 11 რიცხვში გავუგზავნე მის უგანათლებულესობას, თავად მინგრელსკის. იქვე მივაწერე, თუ რა გზებით უნდა მიიღოს ჩემ ნაცვლად ვალის გადახდევინების უფლება.

გაცნობებთ რა ამას, მაქვს პატივი, დაგიდასტუროთ თქვენი უგანათლებულესობისადმი ჩემი უღრმესი პატივისცემა და სრული ერთგულება.

თქვენი უგანათლებულესობის...

20 სექტემბერი 1868.
ქვიშხეთი

## 204. გრიგოლ დადიანისადმი

უძვირფასესო კნიაზო გრიგოლ ლევანისძეო!

საწუხრად მაქვს, რომ აქამომდე ქვიშხეთს ვარ და საოჯახო საქმეებმა ნება არ მომცეს წამოსვლისა, მაგრამ მაქვსკი იმედი ამ ორს დღეზედ დავადგე ქალაქის გზას. – დავით ჭავჭავაძის საქმისას რომ მკითხავთ,[1] ასე გახლავთ, რომ რაც მე, ოპეკუნს, ვალად დამედვა 1867-ის იანვრის 1-მდე, დაბოლოებულის ანგარიშით, ის შევიტანე იმ 1867-ის და ამ 1868-ის ანგარიშში ჩემგან მიღებულად სხვათაცა ჩემ მიერ მიღებულთა ფულთა შორის და

ამ წლების ანგარიში წარვუდგინე მისს უგანათლებულესობას კნიაზს მინგრელსკის, ნიჟარაძის ხელით, სეკტემბრის 11-ს.[2] აქედამ ადვილად იგულისხმებთ, რომ პასუხი უნდა მომეკითხებოდეს მე მხოლოდ ამ უკანასკნელის ანგარიშის განხილვის შემდგომად,[3] და ჩემზედაც მხოლოდ ის ვალი უნდა რჩებოდეს, რომელიც დასასრულის ანგარიშით დარჩება.

ვჰგონებ ასე იყოს, და იმედი მაქვს მოკლეს დროში სიტყვიერადაც მოგახსენოთ.

მე და ჩემი ნინო უსაზღვროს პატივისცემას მოვახსენებთ უგანათლებულესს თქვენს კნეინას.[4]

თქვენის უგანათლებულესობის უმორჩილესი
და უერთგულესი
**დიმიტრი ყიფიანი**

6 ნოემბერი 1868.

## 205. სიღნაღის მაზრის თავადაზნაურობისადმი

ნებართვითა მისის იმპერატორებითის უმაღლესობისა კავკასიის ნამესტნიკისათა[1] ქ. სიღნაღსაშინა უნდა მოხდეს 25 მომავალსა ნოემბერსა კეთილ შობილთ აღრჩევა სიღნაღის უეზდის კეთილშობილთ წინამძღომლის თანამდებობასა ზედა.[2]

ამისთვის განუცხადებ რა სიღნაღის უეზდის კეთილშობილთა, უმორჩილესად ვთხოვ ყოველთა გაქმნდეთ მხედველობასა შინა შემდგომნი მუხლნი ჰსჯულთა მესამე ტომისა, აღრჩევის სამსახურსა ზედა: 34, 35, 36, 37, 52, 54, 74, 75, 77, 78, 80, 81, 82, 83, 84, 85, 94, 95, 96, 101, 102, 103, 105 და 138; და XV ტომისა სჯულთა სისხლის სამართლისათა: 1959, 1961, 1966 და 867.

[7 ნოემბერი 1868].

## 206. ეკატერინე დადიანისადმი

მოწყალეო დედოფალო,
კნეინა ეკატერინა ალექსანდრეს ასულო,

სოფლიდან დაბრუნებულს პატივი მერგო, აქ დამხვედროდა თქვენი უგანათლებულესობის მიერ მიმდინარე თვის 3 რიცხვში გამოგზავნილი წერილი.[1]

ამ წერილის პასუხს ვერ მოგწერთ სახელდობრ იმის გამო, რომ გულწრფელად მსურს, როგორმე შევინარჩუნო ჩემი თქვენდამი ღრმა და განუზომელი პატივისცემა. ამიტომაც უმორჩილესად გთხოვთ, დაავალოთ თქვენი ნდობით აღჭურვილ პირს, რომ მან მიიღოს ჩემი პასუხი როგორც ამ წერილზე, ისე თქვენი ვაჟიშვილის მამულების მართვა-გამგეობასთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებსა თუ მოთხოვნებზე, რომლებიც შეიძლება მომავალში წამოიჭრას.

გთხოვთ ერწმუნოთ თქვენდამი ჩემს...

13 ნოემბერი 1868.

# შენიშვნები და კომენტარები

# ტექსტისათვის

წინამდებარე ტომში შესულია დიმიტრი ყიფიანის ოფიციალური და საქმიანი წერილები (1860-1868; *წერილებში* იგულისხმება წერილობითი მიმართვის ყველა ფორმა: განცხადება, თხოვნა, ახსნა-განმარტება, მოხსენებით ბარათი და სხვ.).

ტომში წარმოდგენილი 206 წერილიდან პირველად ქვეყნდება 182 ტექსტი.

ტექსტები დალაგებულია ქრონოლოგიური პრინციპით. მომდევნო ტომში გაგრძელდება ამავე ტიპის (ოფიციალური და საქმიანი) წერილების ბეჭდვა. ბოლო ტომი კი დაეთმობა კერძო ხასიათის წერილებსა და წერილებს ოჯახის წევრებისადმი.

პასპორტში ვუთითებთ მონაცემებს:

ა) ***ხელნაწერის დაცულობის შესახებ*** [კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ხეც), გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი (ქლსმ), საქართველოს ეროვნული არქივი (სეა), ზუგდიდის დადიანების სასახლეთა სახელმწიფო ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ლიტერატურული არქივი (ზსიამ. ლ. ა.)].

ბ) ***პუბლიკაციას („ნაბეჭდი“),*** მიუხედავად იმისა, გამოქვეყნდა თუ არა იგი ავტორის სიცოცხლეში (წინამდებარე ტომში შესული არც ერთი ტექსტი ავტორის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა). იმ შემთხვევაში, როცა ხელთ გვაქვს ორივე (ბეჭდური და ხელნაწერი) ვერსია, ტექსტს ვბეჭდავთ ხელნაწერზე დაყრდნობით. თუ პასპორტში მითითებული არ არის ***„ნაბეჭდი“,*** ეს იმას ნიშნავს, რომ ***ტექსტი ხელნაწერის საფუძველზე წინამდებარე გამოცემაში იბეჭდება პირველად***.

გ) ***თარიღს.*** თუ ტექსტი დაუთარიღებელია ან ნაწილობრივაა დათარიღებული (მითითებულია მხოლოდ თვე და რიცხვი, ან მხოლოდ თვე, ან მხოლოდ დაწერის წელი), ასეთ შემთხვევაში, ჩვენ მი-

ერ დადგენილ მონაცემს ვსვამთ კვადრატულ ფრჩხილებში, ხოლო აუცილებელ განმარტებას ვიძლევით შენიშვნებსა და კომენტარებში. ***თუ ავტორს თარიღთან ერთად ტექსტის დაწერის ადგილიც აქვს მითითებული, პასპორტში ვუთითებთ ორივე მონაცემს.***

დ) ***ხელმოწერას.*** თუ ტექსტი არაავტოგრაფული და ხელმოუწერელია, შენიშვნებსა და კომენტარებში ვუთითებთ, თუ რატომ მივაკუთვნებთ მას დიმ. ყიფიანს.

ტომში შესული ტექსტების უმრავლესობა რუსულ ენაზეა. ისინი თარგმნილია ჩვენ მიერ, გარდა ორიოდე გამონაკლისისა და გამონაკლის შემთხვევებში მთარგმნელს ვუთითებთ პასპორტშივე ან შენიშვნებში. რაც შეეხება ქართულ ენაზე დაწერილ ტექსტებს, მათ, ცხადია, ახასიათებთ ავტორისეული გრამატიკულ-ორთოგრაფიული თუ სხვა ენობრივი თავისებურებები:

დიმ. ყიფიანი 1860-იანი წწ. ბოლომდე იყენებდა ძველ, ე. წ. ფუნქციადაკარგულ, ასოებს (ჱ, ჲ, ჳ, ჴ, ჵ; აგრეთვე – ჷ). იგი მიიჩნევდა, რომ ეს ასოები ქართულ ენას მოქნილობასა და მუსიკალობას სძენდა, თუმცა საბოლოოდ დაემორჩილა ილია ჭავჭავაძის (ზოგადად – თერგდალეულთა) მიერ განხორციელებულ ცნობილ რეფორმას და 1870-იანი წლებიდან ამ ასოებს, გარდა გამონაკლისებისა, აღარ ხმარობდა. წინა (I-VII) ტომებში ჩვენ ძველი ასოები ამოღებული გვაქვს და სიტყვები ახალი სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვითაა მოცემული. იგივე ვითარებაა წინამდებარე ტომშიც.

დიმ. ყიფიანის ნაწერებში ხშირად გვხვდება პარალელური ფორმები (არცთუ იშვიათად – ერთსა და იმავე ტექსტში). მაგალითად: *საზოგადოება/საზოგადოობა, ბატონყმობა/ბატონ-ყმობა/ბატონ ყმობა, თვე/თთვე, ბრძანება/ბძანება, მანეთი/მანათი, ამბავი/ანბავი* და სხვ.; ასეთ შემთხვევებში (და ზოგადადაც) უარს ვამბობთ ე. წ. ენობრივი უნიფიკაციის პრინციპზე და დიმ. ყიფიანის მართლწერასა და პუნქტუაციას ვტოვებთ უცვლელად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აშკარაა ლაფსუს კალამი ან კორექტურული ხარვეზი. ამასთანავე, ***გახსნილი გვაქვს ქარაგმები:*** ღ[მერ]თმა, ღ[ვ]თის, რ[ომელ]თაც და სხვ.

ტომს ვურთავთ შემოკლებათა განმარტებებს, პირთა ანოტირე-

ბულ და გეოგრაფიულ სახელთა საძიებლებს. კომენტარებში არ ვიძლევით მონაცემებს ტექსტში ნახსენებ პირთა შესახებ (გარდა ცალკეული აუცილებლობისა, როცა ესა თუ ის პირი ნახსენებია: ან მხოლოდ სახელით, ან მხოლოდ გვარით, ან ინიციალით/ინიციალებით, ან კიდევ, როცა კონტექსტი მოითხოვს აუცილებელ განმარტებას). მონაცემები პირთა შესახებ გაგვაქვს პირთა ანბანურ-ანოტირებულ საძიებელში. ამით თავი ავარიდეთ ხშირ გამეორებას, მნიშვნელოვნად განიტვირთა სამეცნიერო აპარატი და, ვფიქრობთ, მკითხველისთვისაც გაცილებით უფრო მოსახერხებელი უნდა იყოს, პირთა შესახებ მონაცემები აქა-იქ კი არ ეძებოს, არამედ ნახოს ანბანურ რიგზე დალაგებულ პირთა ანოტირებულ საძიებელში.

გეოგრაფიული სახელები საძიებელში არ შეგვაქვს ორ შემთხვევაში: ა) წიგნებისა თუ პერიოდიკის გამოცემის ადგილი (თბილისი, თფილისი, ტფილისი, Тифлис, Москва...); ბ) როცა ესა თუ ის გეოგრაფიული სახელი პერიოდული გამოცემის სახელწოდებადაა გამოყენებული („ივერია“, „Кавказ“ და სხვ.).

## 1860

### 1. თბილისის სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეთა სასამართლო პალატისადმი
(გვ. 17-24)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №549. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1860 წ. 29 იანვარი. ტფილისი. ხელმოუწერელი.

თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია (რუსულ ენაზე): „წარდგენილია 1860 წ. 29 იანვარს“.

[1] (გვ. 17) **„გამაბათილებელი განმარტება“** – დედანში: Опровержение.

[2] (გვ. 17) **„ხაზინასთან ბორჯომის მამულთან დაკავშირებულ სასამართლო დავას ეხება“** – 1848 წელს დიმ. ყიფიანმა საკუთარი, აგრეთვე, თავისი ძმის, ქაიხოსროს, სახელით ზურაბ ავალიშვილისგან ბორჯომის ხეობაში ავალიშვილების გაუყოფელი ადგილ-მამულის მეათედი ნაწილი შეიძინა. 1852 წელს ავალიშვილების მამული ხაზინის ხელში გადავიდა, და ხაზინა, თავის მხრივ, ყიფიანების მიერ შეძენილ ნაწილსაც დაეუფლა. ამას მოჰყვა დიმ. ყიფიანის ხანგრძლივი სასამართლო დავა ხაზინასთან. 1871 წელს ეს ადგილ-მამული (დიმ. ყიფიანის წილის ჩათვლით) კავკასიის მეფისნაცვალს, მიხეილ ნიკოლოზის ძეს, გადაეცა. დავა უკვე მეფისნაცვლის ბორჯომის ადგილ-მამულის გამგებლობასთან გაგრძელდა და იმით დასრულდა, რომ დიმ. ყიფიანმა დათმო თავისი ბორჯომის წილი და სანაცვლოდ მიწები ჩუმათელეთში, ფონაში, წიფასა და იტრიაში მიიღო. ამ მიწების გადაცემის, გამიჯვნისა თუ გაფორმების პროცესმა დიმ. ყიფიანის ახალ-ახალი უკმაყოფილებანი და დავები წარმოშვა და სხვ. (საკითხის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ. ყიფიანი 2023, წერილები №№21, 22, 26, 27, 29, 30, 33, 43, 88, 89, მათზე დართული შენიშვნები და კომენტარები; აგრეთვე, აქვე, წერილები №№6, 33, 89, 133, 161, 170, 182, 184, 186, 191-193).

[3] (გვ. 18) **„...1859 წლის 3 აპრილის ბრძანებულებით (№1181) და აღარ ექვემდებარება განხილვას“** – *ბრძანებულება №1181-ის* შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 453.

[4] (გვ. 21) **„1858 წლის 8 სექტემბრის კერძო საჩივრის მეოთხე პუნქტში მაქვს განმარტებული“** – აქ ნახსენები *განმარტების* შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 199-200.

## 2. გორის მაზრის სასამართლოსადმი
(გვ. 24-28)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №646. ავტოგრაფი. ასლი. რუსულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1860 წ. 12 მარტი. ტფილისი. ხელმოუწერელი.

[1] (გვ. 24) **„გამაბათილებელი პასუხი“** – დედანში: Возражение.

[2] (გვ. 25) **„ივანე კანდინოვის განმარტებას მის მიერ ჩემგან ნასესხები ათას ოცდაათი მანეთის შესახებ“** – 1850 წლის 15 და 20 მარტს ქ. გორის მცხოვრებმა სტეფანე ივანეს ძე კანდინოვმა* დიმ. ყიფიანისგან სამი წლის ვადით საერთო ჯამში 1030 მანეთი ისესხა, შემდეგ კი სცადა, ვალის გადახდისგან თაღლითური გზებით აერიდებინა თავი (სასამართლოს წარუდგინა დიმ. ყიფიანის ნაყალბევი ხელწერილი, თითქოს ვალი გამსესხებელს დაუბრუნა და სხვ.; საკითხის შესახებ იხ. ყიფიანი 2023, წერილები №№87, 95). კანდინოვის ვალთან დაკავშირებული სასამართლო დავა წლების გან-

---

***** *კანდინოვის* სახელი და მამის სახელი (როგორც ეს ადრე გვაქვს აღნიშნული. იხ. ყიფიანი 2023: 463) ოფიციალურ, მათ შორის, გორისა და თბილისის სასამართლოებისა და პეტერბურგში არსებული მმართველი სენატის მასალებში სხვადასხვაგვარად წერია; კერძოდ, 1858 წლის ჩათვლით – ***სტეფანე ივანეს ძე კანდინოვი,*** ხოლო 1859 წლიდან – ***ივანე სტეფანეს ძე კანდინოვი*** [ორივეს კოლეგიის რეგისტრატორის (Коллежский регистратор) ჩინი აქვს]. ჩვენი აზრით, ამ ფაქტს შეიძლება ასეთი ახსნა მოეძებნოს: შესაძლოა, 1858-1859 წწ. მიჯნაზე სტეფანე კანდინოვის ვალი მის შვილზე, ივანე კანდინოვზე, გადასულიყო.

მავლობაში გრძელდებოდა. იმ ფრაგმენტული სურათის მიხედვით, რომლის აღდგენის საშუალებასაც ჩვენს ხელთ არსებული საარქივო მასალა იძლევა, როგორც ჩანს, საქართველოში ეს საქმე დიმ. ყიფიანმა მოიგო, თუმცა ივ. კანდინოვმა დავა სააპელაციო წესით პეტერბურგში, მმართველ სენატში, გადაიტანა. დაცულია იმპერატორ ალექსანდრე II-ის განკარგულება ამ საქმის შესახებ (მმართველი სენატის ყველა გადაწყვეტილებას ფორმალურად იმპერატორი ამტკიცებდა). მმართველმა სენატმა დარღვევები აღმოაჩინა საქმის წარმოებაში, კერძოდ, ექსპერტების მიერ დიმ. ყიფიანის ხელმოწერის შედარებასთან დაკავშირებულ პროცედურაში. მმართველი სენატი 1867 წლის 11 დეკემბრის განკარგულებით თბილისის საოლქო სასამართლოს (იმ დროს თბილისის სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეთა სასამართლო პალატა უკვე გაუქმებულია) სთხოვს დიმ. ყიფიანის ხელმოწერის თავიდან შედარებასა და თვითონ ხელმოწერის ასლის გაგზავნას (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №651. ასლი. ფ. 2). თბილისის საოლქო სასამართლო, თავის მხრივ, 1869 წლის 5 თებერვალს იმპერატორის განკარგულების საპასუხოდ იღებს დადგენილებას, ხოლო 1869 წლის 16 აპრილს ამ თავისი დადგენილების ასლს დიმ. ყიფიანს უგზავნის გასაცნობად:

„მმართველი სენატი ტფილისის საოლქო სასამართლოს უგზავნის მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის, სრულიად რუსეთის თვითმპყრობლის განკარგულებას. მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის განკარგულებით მმართველმა სენატმა მ ო ი ს მ ი ნ ა: ექსპედიციის (*ექსპედიცია* აქ დაწესებულების განყოფილებას ნიშნავს – თ. ჯ.) მოხსენება იმის შესახებ, რომ მმართველი სენატის 1867 წლის 11 დეკემბრის (№1921) განკარგულებით ტფილისის ყოფილ სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეთა სასამართლო პალატას გამოეგზავნა საქმე დიმ. ყიფიანის ხელმოწერის შედარების შესახებ. ამასთანავე, პალატას დაევალა საქმის ოქმი ზემოაღნიშნულ ხელმოწერასთან ერთად გაეგზავნოს მმართველ სენატს, თუმცა პატაკი განკარგულების აღსრულების შესახებ დღემდე არ არის წარმოდგენილი. დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

მმართველი სენატის №1921 განკარგულების აღსრულების მიზნით ტფილისის საოლქო სასამართლოს აღნიშნული განკარგულება გაეგზანოს დაუყოვნებლივ. 1869 წლის 5 თებერვალი.

16 აპრილი 1869 წლისა“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №652. ასლი. რუსულ ენაზე. ფ. 1).

თბილისის სასამართლო პალატის გადაწყვეტილების ასლს (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №651) თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია (რუსულ ენაზე): „ეს დადგენილება პოლიციამ 1869 წლის 30 აპრილს გამაცნო“.

ამ სასამართლო დავის გაგრძელებისა და დასრულების შესახებ ჩვენთვის ხელმისაწვდომ მასალაში არაფერი ჩანს.

[3] (გვ. 26) **„გადახდის ხელწერილზე დართული ხელმოწერა ჩემს ნამდვილ ხელმოწერას შეუდარონ“** – ივ. კანდინოვმა გორის მაზრის სასამართლოს წარუდგინა დიმ. ყიფიანის ხელწერილი, თითქოს ვალის ამღებმა ეს ვალი დაუბრუნა. დიმ. ყიფიანი ამტკიცებდა, რომ მთლიანად ეს ხელწერილი და მასზე ხელმოწერაც ნაყალბევი იყო (საკითხის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 221-223).

[4] (გვ. 27) **„ბ-ნ მუსხელოვთან დაკავშირებით აცილების კანონიერი მიზეზი მაქვს მე და არა კანდინოვს“** – გორის პოლიციის საქმისმწარმოებელ მუსხელოვის (მუსხელიშვილის) აცილების შესახებ დიმ. ყიფიანი გორის მაზრის სასამართლოსთვის 1859 წ. 23 მაისს წარდგენილ განცხადებაში წერს: „მაქვს კანონიერი საფუძველი, ერთ-ერთ მათგანს, ბ-ნ მუსხელოვს, მივცე აცილება და მიზეზები მან თვითონ იცის, მაგრამ, მიუხედავად ჩვენ შორის არსებული ზოგიერთი გაუგებრობისა, ზოგადად იგი მიმაჩნია კეთილსინდისიერ ადამიანად და მისი ჩემდამი აშკარა მტრობაც რომ მქონდეს შემჩნეული, მაშინაც კი სასამართლო საქმეებსა და ბოროტმოქმედებათა გამოაშკარავებისას მის სინდისს ვენდობი“ (ყიფიანი 2023: 222-223).

[5] (გვ. 27) **„პოდოროჟკო არ აღზრდილა ჩემი სიმამრის ოჯახში“** – ა) *პოდოროჟკო:* გორის მაზრის მოსამართლე (1850-იანი წწ.) ***პეტრე თედორეს ძე პოდოროჟკო*** (1859 წ. „კავკაზსკი კალენდარში“ იგი

ამ თანამდებობაზეა ნახსენები და, ვინაიდან წინამდებარე წერილში დიმ. ყიფიანი ამბობს: პოდოროჟკო ცოცხალი აღარააო, მაშასადამე, იგი ან 1859 წ. ბოლოს, ან 1860 წ. დასაწყისში გარდაცვლილა); ბ) *ჩემი სიმამრი:* იგულისხმება ***იაგორ (გიორგი) გაბრიელის (გლახას) ძე ჭილაშვილი,*** თვალსაჩინო ფიგურა 1820-1830-იანი წწ. საქართველოს ადმინისტრაციულ-მმართველობით ცხოვრებაში (ი. ჭილაშვილის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ.: ქსე 1987: 399; ყიფიანი 2021: 351-352).

## 3. ალექსანდრე ბარიატინსკისადმი
(გვ. 28-29)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №266. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1860 წ. 2 ივნისი. ცარსკოე-სელო. ხელმოუწერელი.*

თხოვნის ადრესატის, კავკასიის მეფისნაცვალ *ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკის,* შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 393-394.

[1] (გვ. 28) **„გადავწყვიტეთ, ტფილისში დავაარსოთ უძრავი ქონების სააქციო-საკრედიტო კომპანია“** – წესდების პროექტი კავკასიისა და ამიერკავკასიის მხარეში უძრავი ქონების სააქციო-საკრედიტო კომპანიისა, რომელსაც დიმ. ყიფიანის წინამდებარე თხოვნა ეხება, იხ. ყიფიანი 2018: 203-212. დიმ. ყიფიანის მცდელობა კომპანიის დაარსებისა დამთავრდა წარუმატებლად [მიზეზების შესახებ იხ. ალ. ონიკაშვილის 1860 წ. 22 ივლისის წერილი (თბილისიდან ცარსკოე-სელოში) დიმ. ყიფიანისადმი (ყიფიანი 2018: 446-447)].

---

***** ესა და შემდგომი ორი წერილი ვასილ ინსარსკისა და ალექსანდრე ონიკაშვილისადმი ჩვენ სრულად გვაქვს გამოყენებული სააქციო-საკრედიტო კომპანიის დიმ. ყიფიანისეული პროექტის კომენტარებში (ყიფიანი 2018: 443-446), თუმცა, სხვა მასალაში რომ არ ჩაიკარგოს, ისინი წინამდებარე ტომში ცალკე ერთეულებად შეგვაქვს.

## 4. ვასილ ინსარკისადმი
(გვ. 29-30)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №266. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1860 წ. 2 ივნისი. ც[არსკოე]-სელო. **ხელმოწერა:** Д. Кипиани.

თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია (რუსულ ენაზე): „ბ-ნ ინსარსკის".

ადრესატის, კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორის (1857-1862), *ვასილ ანტონის ძე ინსარსკის* (1814-1882), შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 430-431.

[1] (გვ. 29) **„შემოგთავაზებთ ერთ მნიშვნელოვან წამოწყებას"** – იგულისხმება თბილისში უძრავი ქონების სააქციო-საკრედიტო კომპანიის დაარსება (იხ. წერილი №3 და მისი კომენტარი).

[2] (გვ. 30) **„დამფუძნებელთა რიგებში მივიღოთ კიდევ ერთი (არა უმეტეს!) წევრი"** – ის, ვისთვისაც *კიდევ ერთი წევრობა* შეუთავაზებიათ, უნდა იყოს თბილისის დეპუტატთა საკრებულოს წევრი *ირაკლი კონსტანტინეს ძე მუხრანბატონი,* თუმცა მას უარი უთქვამს: „ირაკლიმ უარი სთქვა, რადგანაც იმედი არა აქვს, რომ სასარგებლო იყოს", – სწერს 1860 წ. 22 ივლისს ალ. ონიკაშვილი თბილისიდან ცარსკოე-სელოში დიმ. ყიფიანს (ყიფიანი 2018: 447).

## 5. ალექსანდრე ონიკაშვილისადმი
(გვ. 30-31)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №266. ავტოგრაფი. გადათეთრებული. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1860 წ. 2 ივნისი. ცარსკოე-სელო. **ხელმოწერა:** Д. Кипиани.

ახლავს დიმ. ყიფიანის ავტოგრაფული მინაწერი (რუსულ ენაზე): „მის კეთილშობილებას, ა. ნ. ონიკოვს".

წერილის ადრესატია ***ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ონიკაშვილი*** (გარდ. 1885), მწიგნობრისა და კალიგრაფის, ნიკოლოზ ონიკაშვილის (მეტსახელად *კიკოლა დიაკვნის)*, შვილი (ნიკ. ონიკაშვილის შესახებ იხ.: მეფარიშვილი 1971: 192-236; ბერძნიშვილი 1983: 124; მენაბდე 1995: 64-75). ალ. ონიკაშვილი იყო ძმა გრ. ორბელიანის ლექსის ადრესატის – დიმიტრი ონიკაშვილისა (ორბელიანი 1959: 63-64). ალ. ონიკაშვილისა და მისი კიდევ ერთი ძმის, სოლომონის, სახელები, როგორც შეთქმულებთან განდობილი პირებისა, გვხვდება 1832 წლის შეთქმულების მასალებში (გოზალიშვილი 1935: 229, 288-289, 305; გოზალიშვილი 1970: 92, 173, 517, 579). ალ. ონიკაშვილი იყო დიმ. ყიფიანის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით დაარსებული „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ დამფუძნებელი წევრი (ჯოლოგუა 2022ა: 43-45), აგრეთვე, დამფუძნებელი წევრი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა“ (ნანიტაშვილი... 2004: 142). იგი თავის ძმასთან, სოლომონთან, ერთად მონაწილეობდა ჩრდილოეთ კავკასიაში შამილის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლებში (ორბელიანი 1936: 252); 1847 წელს წევრია იმ ჯგუფისა (მაკარ ორბელიანი, იაკინთე ალექსი-მესხიშვილი, ალექსანდრე თუმანიშვილი), რომელსაც ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა გამოცემა აქვს განზრახული (ალექსიევ-მესხიევი 1893). ალ. ონიკაშვილი იყო ბიბლიოფილი, თუმცა მისი ბიბლიოთეკა (ხელნაწერები, ძველი ქართული ნაბეჭდი წიგნები) გაანიავეს მემკვიდრეებმა, რომელთაგან ერთ-ერთს „ფუთობით მიუყიდნია ერთ ვიღაც მედუქნისათვის, რომელსაც დაუხევია ხელნაწერები და წიგნები და პარკები გაუკეთებია მათგან... ვახტანგ მეფისგან გამოცემული „ვეფხვის ტყაოსანი“-ს ფურცლები სულ ქუჩაში ეყარა“ (მწყემსი 1887: 13). 1850-1860-იან წწ. ალექსანდრე ონიკაშვილი პეტერბურგში მყოფი ეკატერინე დადიანის გარემოცვის წევრი იყო. დიმ. ყიფიანის მიერ თავისი მეუღლის – ნინო ჭილაშვილ-ყიფიანისთვის პეტერბურგიდან და ცარსკოე-სელოდან ამ პერიოდში გამოგზავნილ წერილებში (ქლსმ. №№14779-14782-ხ და შმდ.) არაერთხელ გვხვდება სახელი ალ. ონიკაშვილისა, რომელთანაც 1860 წ. შემოდგომიდან დიმ. ყიფიანს უკვე გაფუჭებული აქვს ურთიერთობა [ქლსმ. №№14811-ხ,

14813-ხ; ყიფიანი 2018: 442-443; ალ. ონიკაშვილის წერილები დიმ. ყიფიანისადმი იხ. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №№1555-1558. ფ. 7; იქვეა (№№1560-1562. ფ. 5) სოლომონ ონიკაშვილის კერძო ხასიათის უთარიღო წერილები დიმ. ყიფიანისადმი].

[1] (გვ. 30) **„გადმოგცემთ... უძრავი ქონების სააქციო-საკრედიტო კომპანიის წესდების პროექტს“** – წესდების პროექტის შესახებ იხ. წერილი №3 და მისი კომენტარი.

[2] (გვ. 31) **„ერთი მე უკვე დაგისახელეთ, ხოლო მეორის ვინაობაზე ჩემგან დასახელებული პირი და თქვენ ერთმანეთში უნდა შეთანხმდეთ“** – *ჩემგან დასახელებული პირი:* იგულისხმება ვასილ ინსარსკი (იხ. წერილი №4), *მეორე* კი უნდა იყოს *ირაკლი მუხრანბატონი* (იხ. წერილი №4-ის კომენტ. 2).

[3] (გვ. 31) **„წარუდგინეთ ბ-ნ კავკასიის მეფისნაცვალს“** – იგულისხმება ალ. ბარიატინსკი (იხ. წერილი №3).

## 6. თბილისის სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეთა სასამართლო პალატისადმი
(გვ. 31-32)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №550. ავტოგრაფი. ასლი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1860 წ. 18 ივნისი. ცარსკოე-სელო. **ხელმოწერა:** Д. Кипиани.

დიმ. ყიფიანი, როგორც სამეგრელოს სამთავრო ოჯახის ადგილმამულებისა და ქონების მეურვე, ეკატერინე დადიანის დაჟინებული თხოვნით 1860-იან წწ. პეტერბურგში რამდენჯერმე – მათ შორის, პირველად 1860-1861 წწ. – იმყოფებოდა [თბილისიდან 1860 წ. მარტის ბოლოს გავიდა, პეტერბურგში ვლადიკავკაზის, სტავროპოლის, ხარკოვისა და მოსკოვის გავლით 17 აპრილს ჩავიდა (იხ. მისი წერილები მეუღლისადმი. ქლსმ. №№14777-1479), იქიდან კი სამშობლოში 1861 წ. მაისში დაბრუნდა: „ტფილისში მაისში ჩამოვედი“

– სწერს 1861 წ. 14 ოქტომბერს დიმ. ყიფიანი ალ. ბარიატინსკის (იხ. აქვე, გვ. 51). ამიტომ უგზავნის იგი პალატას თავის განცხადებას რუსეთიდან.

[1] (გვ. 32) **„ხაზინის წინააღმდეგ ... ყველა მოთხოვნა“** – საკითხის შესახებ იხ. წერილი №1.

[2] (გვ. 32) **„ქალაქ ცარსკოე-სელოში, ბაგრატიონის სახლში“** – იგულისხმება გენერალ-ლეიტენანტ *პეტრე რომანის ძე ბაგრატიონის* (1818-1876) სახლი (Усадьба П. Р. Багратиона) ცარსკოე-სელოში (ამჟამად ქ. პუშკინი), კერძოდ, მის სამხრეთ ნაწილში – სოფიაში. 1860 წ. 4 მაისს დიმ. ყიფიანი მეუღლეს, ნინო ჭილაშვილ-ყიფიანს, პეტერბურგიდან თბილისში სწერს: „[პეტერბურგში] სააგარაკო ფაციფუცი აქვთ შემდგარი და უკვე გადადიან კიდევაც. სამ-ოთხ დღეში ჩვენც ცარსკოე-სელოში გადავდივართ და იქ წერილები ამ მისამართზე უნდა მომწერო: ***ცარსკოე-სელო. თავად ბაგრატიონის სახლი*** (ქლსმ. №14781-ხ. ფ. 2). იმავე წლის 22 მაისს კი დიმ. ყიფიანი უკვე ცარსკოე-სელოდან სწერს მეუღლეს: „პეტერბურგიდან აქ 15 მაისს ჩამოვედი – თ-დ ბაგრატიონის აგარაკზე, იქ, სადაც კნეინა [ეკატერინე დადიანი] ცხოვრობს. იგი თავისი ყველა შვილითა და მოსამსახურეებით ქვედა სართულზეა. თავადი კოსტანტინე [დადიანი], მე და ნიკოს [დადიანის] აღმზრდელი ვცხოვრობთ ზედა სართულზე, სადაც სასადილო ოთახი და სამლოცველოცაა“ (ქლსმ. №14783-ხ. ფ. 1).

## 7. ალექსი კრუზენშტერნისადმი
(გვ. 32)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №744. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1860 წ. 30 აგვისტო. ცარსკოე-სელო. ხელმოუწერელი.

თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია (რუსულ ენაზე): „მის აღმატებულებას, ა. ფ[ედოროვიჩ] კრუზენშტერნს“.

ადრესატის, ამიერკავკასიის მხარის მთავარსამმართველოს უფროსის (1858-1863), *ალექსი თედორეს ძე კრუზენშტერნის* (1813-1887), შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 395-396.

[1] (გვ. 32) **„მეფისნაცვლის...“** – იგულისხმება კავკასიის მეფისნაცვალი (1856-1862) *ალექსანდრე ბარიატინსკი.*

[2] (გვ. 32) **„ვლადიმერ პეტრეს ძისგან...“** – იგულისხმება „კავკასიის კომიტეტის“ ხელმძღვანელი (1860-1865) *ვლადიმერ ბუტკოვი* („კავკასიის კომიტეტის“ შესახებ იხ. ყიფიანი 2017: 335-336).

[3] (გვ. 32) **„წმ. ანას I ხარისხის ორდენის ნიშნები“** – წმ. ანას I ხარისხის ორდენი დიმ. ყიფიანს ორჯერ: 1860 წ. 30 აგვისტოსა და 1864 წ. 8 ნოემბერს ებოძა (დიმ. ყიფიანისთვის ნაბოძები ამ და სხვა სახელმწიფო ჯილდოების, მათ შორის, წმ. ანას II ხარისხის ორდენების, შესახებ იხ. ყიფიანი 2020: 354).

[4] (გვ. 32) **„ალექსანდრე ივანეს ძის...“** – იგულისხმება *ალ. ბარიატინსკი.*

## 8. გიორგი [მუხრანბატონისადმი]

(გვ. 33-35)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №693. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1860 წ. აგვისტო. [ცარსკოე-სელო]. ხელმოუწერელი.

ტექსტში ადრესატის მხოლოდ სახელი და მამის სახელია აღნიშნული. ე. კელენჯერიძე დასაბუთების გარეშე მიუთითებს, რომ ეს არის *გიორგი მუხრანბატონი (გიორგი ბაგრატიონ-მუხრანსკი)* [იხ. დიმიტრი ყიფიანის პირადი არქივის აღწერილობა, შედგენილი ე. კელენჯერიძის მიერ (გვ. 84). ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სამკითხველო დარბაზი]. ეს მოსაზრება სწორი ჩანს. საქმე ის არის, რომ გ. მუხრანბატონი ამ დროს იყო კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს სასამართლო საქმეთა (ანუ იურიდიული) დე-

პარტამენტის დირექტორი (კავკაზსკი კალენდარ 1860: 5) და მთავარსამმართველოს უფროს ა. კრუზენშტერნთან გაგზავნილი ოფიციალური მიმართვები მის ხელში გადიოდა. მასვე უნდა შეედგინა ან მის ხელში ხვდებოდა ა. კრუზენშტერნის პასუხებიც. ამას გარდა, გ. მუხრანბატონსა და დიმ. ყიფიანს ახლო პირადი და, რაც მთავარია, სამსახურებრივი კავშირები ჰქონდათ – ორივე მეფისნაცვლის საბჭოს წევრი იყო (კავკაზსკი კალენდარ 1860: 7).

წერილში არც დაწერის ადგილია მითითებული, თუმცა ეს ***ცარსკოე-სელო*** იქნებოდა იმდენად, რამდენადაც დიმ. ყიფიანი 1860 წ. 15 მაისიდან (იხ. აქვე, გვ. 310) იმავე წლის 29 ოქტომბრამდე (ქლსმ. №14807-ხ) ცარსკოე-სელოში იმყოფებოდა და იქიდან გზავნიდა პირად თუ საქმიან წერილებს საქართველოში.

ადრესატის, *გიორგი კონსტანტინეს ძე მუხრანბატონის (ბაგრატიონ-მუხრანსკის, მუხრანსკის)* (1821-1877) შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 465-466.

[1] (გვ. 33) **„გარდა თავადისა...“** – იგულისხმება მეფისნაცვალი *ალექსანდრე ბარიატინსკი.*

[2] (გვ. 33) **„ალექსი თედორეს ძისთვისაც...“** – იგულისხმება *ალექსი კრუზენშტერნი.*

[3] (გვ. 33) **„პასუხს პირდაპირ მის აღმატებულებას გავუგზავნი“** – აქ ნახსენები *პასუხი* იხ. აქვე, წერილი №9.

[4] (გვ. 33) **„განსხვავებები, ასე ვთქვათ, პარალაქსური“** – დედანში: „...разность, так сказать, параллактическая“. სიტყვიდან *„პარალაქსი“* (გადახრა), რომელიც ძირითადად გამოიყენება ასტრონომიაში (მაგალითად, „დღე-ღამის პარალაქსი“ – კუთხე, რომლითაც მნათობის ცენტრიდან დედამიწის რადიუსი გამოჩნდებოდა). აქ: „განსხვავებები... კოსმოსური მასშტაბისა“.

[5] (გვ. 33) **„ეკატერინე ალექსანდრეს ასულის...“** – *ეკატერინე დადიანი.*

[6] (გვ. 34) **„აქ გაქურდეს ჩვენი წინამძღოლი“** – *წინამძღოლი:* იგულისხმება ქართლ-კახეთის (თბილისის გუბერნიის) თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი“) (1857-1864) *ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანი.*

[7] (გვ. 34) **„გარკვეულ დრომდე ამ თემის დაყენებაც კი არ შეიძლება!“** – *გარკვეულ დრომდე:* დიმ. ყიფიანი იმას გულისხმობს, რომ სამეგრელოს მთავარი ნიკო დადიანი ამ დროს მცირეწლოვანი იყო, იმყოფებოდა დედის, ეკატერინე დადიანის, მეურვეობის ქვეშ და მოკლებული იყო დამოუკიდებელ გადაწყვეტილებათა მიღების უფლებას [მთავარი სრულწლოვანი (20 წლისა) 1867 წ. 4 იანვარს გახდა].

[8] (გვ. 34) **„ამჟამად საუბარია მხოლოდ საკუთრებაზე და ამ შემთხვევაში თქვენ დადიანს აქვეითებთ რომელიმე ქოჩაქიძის დონემდე“** – ა) *ქოჩაქიძე:* თავადური გვარეულობა სამეგრელოში; ბ) ხელისუფლება ნიკო დადიანის ადგილ-მამულსა და ქონებას განიხილავდა არა როგორც მთავრის, არამედ როგორც კერძო მემამულის საკუთრებას. დიმ. ყიფიანი კი საპირისპიროს ამტკიცებდა, რომ ეს სამთავრო საკუთრება იყო და არა – კერძო მემამულისა. კავკასიის ხელისუფლებასთან ზოგადად და, კერძოდ, სამეგრელოს მმართველებთან (ჯერ ნიკ. კოლიუბაკინთან, შემდეგ კი მის შემცვლელ მიხ. კოლიუბაკინთან) დიმ. ყიფიანის შეტაკებების ძირითადი მიზეზი სწორედ ეს იყო (საკითხის შესახებ იხ. ჯორჯაძე 1989: 446-453).

## 9. ალექსი კრუზენშტერნისადმი
(გვ. 35-36)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №745. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1860 წ. 3 სექტემბერი. [ცარსკოე-სელო]. ხელმოუწერელი.

დაწერის ადგილის (ცარსკოე-სელოს) შესახებ იხ. აქვე, გვ. 312.

ადრესატის, ამიერკავკასიის მხარის მთავარსამმართველოს უფროსის (1858-1863), *ალექსი თედორეს ძე კრუზენშტერნის,* შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 395-396.

[1] (გვ. 35) **„თავადმა გიორგი კონსტანტინეს ძემ...“** – იგულისხმება *გიორგი კონსტანტინეს ძე მუხრანბატონი* [იხ. წინა (№8) წერილი].

[2] (გვ. 35) **„თავადს...“** – იგულისხმება მეფისნაცვალი ალ. *ბარიატინსკი.*

[3] (გვ. 36) **„საკითხი პირდაპირაა დაკავშირებული მეურვის მოვალეობებთან“** – დიმ. ყიფიანი, როგორც სამეგრელოს მცირეწლოვანი მთავრის, ნიკო დადიანის, ადგილ-მამულისა და ქონების მეურვე, პეტერბურგში სამეგრელოს სამთავრო სახლის ინტერესების დასაცავად იყო ჩასული, რაც თავისთავად კავკასიის ხელისუფლებასა და პირადად ალ. ბარიატინსკისთან მწვავე დაპირისპირებას ნიშნავდა (საკითხის შესახებ იხ.: ყიფიანი 2020: 208-209; ჯორჯაძე 1989: 446-453; საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: 63-68, 76-77 და სხვ. აგრეთვე: აქვე, გვ. 313).

[4] (გვ. 36) **„ეკატერინე ალექსანდრეს ასულზე მეტადაც...“** – იგულისხმება *ეკატერინე დადიანი.*

## 10. ალექსანდრე ბარიატინსკისადმი
(გვ. 36-37)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №695. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1860 წ. 8 სექტემბერი. ც[არსკოე]-ს[ელო]. ხელმოუწერელი.

ტექსტს თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია (რუსულ ენაზე): „თავად ა. ი. ბარიატინსკის“.

ადრესატის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 393-394.

[1] (გვ. 37) **„მეურვედ დანიშნული ვარ თქვენ მიერ“** – მეურვის მოვალეობას ეკატერინე დადიანის თხოვნა-ვედრების შემდეგ დიმ. ყიფიანი საბოლოოდ ალ. ბარიატინსკის დავალებით დათანხმდა (იხ. ყიფიანი 2020: 204-206).

[2] (გვ. 37) **„არ განვიცდიდე სინდისის ქენჯნას ან სამსახურის საქმეების გამო, ან სამეურვეო ვალდებულებების აღსრულებისას“** – სამეგრელოს მთავრის, ნიკო დადიანის, სრულწლოვანებამდე (1867

წ. 4 იანვარი) დიმ. ყიფიანმა მაინც ვერ დააღწია თავი მისი ადგილ-მამულისა და ქონების მეურვეობას [ამ თარიღიდან მოკიდებული 1868 წ. 1 აგვისტომდე იგი ნიკო დადიანის (აწ უკვე დადიან-მინგრელსკის) საკუთრების მმართველი და მისი ინტერესების დამცველი (ვექილი) იყო (ყიფიანი 2020: 12)]; მანამდე კი, 1862 წლის ივნისში, „სამეგრელოს საქმეში“ კავკასიის ხელისუფლების ნების წინააღმდეგ წასვლის გამო ალ. ბარიატინსკიმ დიმ. ყიფიანი მეფისნაცვლის საბჭოს წევრობიდან და, საერთოდ, სახელმწიფო სამსახურიდან დაითხოვა (საკითხის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ. ყიფიანი 2018: 424-425).

## 11. გრიგოლ ორბელიანისადმი
(გვ. 37-40)

**ხელნაწერი:** ხეც. გრიგოლ ორბელიანის არქ., საქ. №688. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **ნაბეჭდი:** დიმიტრი ყიფიანის რამდენიმე პირადი წერილი. პუბლიკაცია მოამზადა თ. ჯოლოგუამ. ჟ. „კლდეკარი“, 1993, №1, გვ. 222-225. **თარიღი:** 1860 წ. 8 ოქტომბერი. ცარსკოე-სელო. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

დაცულია წერილის ავტოგრაფული შავი, რომელიც გადათეთრებული ვერსიისგან არაარსებითი მნიშვნელობის სწორებებით განსხვავდება. მეტ-ნაკლები მნიშვნელობის შინაარსობრივი სხვაობებია ტექსტის შავის ბოლო ნაწილში, რომელიც ავტორს გადახაზული აქვს: „აქ ყოფნა ყოვლად ყოვლითურთ წინააღმდეგია ჩემის სურვილისა და ღვთის გულისათვის მირჩიეთ რამე, თვალი ამიხსენით. თუ ჩემი სამსახური გნებავთ, გამომიყვანეთ ამ მდგომარეობისაგან, რომელშიაც თვითან ნამესტნიკის ნებითა ვარ ჩავარდნილი და არა ჩემის ნებითა; თუ არა გნებავთ, ეს მაინც მიბძანეთ, რომ მამაპაპური ჩოხა ჩავიცვა და როგორც ჩემი უფროსი ძმები ჰსცხოვრობენ, მეც, იმათმა უმცროსმა, ისე ვიცხოვრო. – სწორეთ გამიჭირდა საქმე და თქვენ გევედრებით სახსნელს რჩევასა“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №775. ფ. 2).

იქვეა დაცული გრ. ორბელიანის პასუხი (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1564. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 3), რომელიც თავის დროზე ჩვენ მიერ გამოქვეყნდა კუპიურებით (ორბელიანი 2001: 244-246). წერილს აქ ვიმოწმებთ სრულად (ძველ, ე. წ. ფუნქციადაკარგულ, ასოებს ვცვლით თანამედროვე დაწერილობით):

„მოწყალეო ხელმწიფევ,
დიმიტრი ივანიჩ!

დანაშაული მაქვს და მომიტევეთ, რომ აქამომდის ვერ მოგართვი პასუხი პირველისა თქვენის წერილისაც, რომ ეხლა მივიღე მეორეცა და დავჰშთი ასე პირშავად წინაშე თქვენსა. რა ვჰქნა, ვერ გავნემენცდი: ჰაი დღეს, ჰაი ხვალ, და დღეებიკი მირბიან; მაგრამ ახლაკი პუნკტებით მომირთმევია პასუხი.

1) თქვენისა დაბრუნებისათვის: ნამესტნიკი სხვაგვარად ვერ მოიწერებოდა მთავრინას ეკატერინასთან თუ არა ისრე, როგორც მოეწერა თქვენდა გიორგის მუხრანსკისა; ამიტომ რომ თქვენი ოპეკუნობა და მანდ წასვლა მოხდა ორსავ მხრის სურვილითა, ესე იგი, ეკატერინასი და ნამესტნიკისა; და თუ მთავრინას დაუკითხავად აქედამ დაებარებინეთ, მაშინ წინააღმდეგობასავით გამოჩნდებოდა ესე, და ამ გვარს მოქმედებას, რა საკვირველია, მოერიდებოდა ნამესტნიკი. – და რაცა საკუთრივ შეეხება თქვენსა აქ დაბრუნებასა, როგორც ვჰხედავ და მესმის, მერწმუნეთ, არავისი საწყენი არ იქმნება და არცა ვისიმე ჰაზრი შეცვლილა თქვენზე და იმავე პატივისცემით და მინდობით მიგიღებენ, რომლისაცა მარადის იყავით და ხართცა ღირსი.

2) თქვენი ოპეკუნობიდამ გამოსვლაცა ეგრეთვე დამოკიდებულია მთავრინაზედ, რომელიცა თუ კი სხვას დაჰნიშნავს ოპეკუნად, ნამესტნიკი რად იტყვის უარსა? ამ შემთხვევაში აი რას გირჩევთ: რა საკვირველია, მთავრინასა ძალიან გაუჭირდება და ვერც იპოვნის თქვენისთანა ოპეკუნსა, მაგრამ რა გამოვიდა? ნამესტნიკი ხომ თავის ჰაზრს არ შესცვლის, თქვენცა, თქვენის მხრით, მაგრად ჰსდგეხართ თქვენს დაწყობილებაზედ შემოსავლისა და ხალხის

მოვლისათვის; მაშასადამე ესრეთის საქმის მდგომარეობისაგან რა დაიბადება უსიამოვნების მეტი? ჩემის ფიქრით, მგონია, უმჯობესი იყოს, რომ ეკატერინამ აღმოირჩიოს სხვა ვინმე ოპეკუნად და თქვენ დაბრუნდეთ თქვენს სამშობლოს ქვეყანაში, რომელსაცა დიდად ეჭირება თქვენისთანა კაცნი, და სადაც სხვაგვარად უფრო შეეწევით მაგ საქმესა, ვიდრე მაგგვარს ოპეკუნობაში. – ეს საკუთრივ ჩემი ჰაზრია და რჩევა, და მგონიაცა არ ვიყო შემცდარი.

3) მთავრინას ეკატერინას საქმე ადრევე წამოვიდა და აქამდის უნდა კიდეც მოსვლოდათ. – სწორედ მოგახსენოთ, მაგდენი არაფერი შეიცვალა უწინდელზედ მის სასარგებლოდ, და მგონია ამით უფრო გაძნელდა, დაიხლართა ეს საქმე.

4) საბრალო ივანე ბაგრატიონის ისე უდროოდ და ისე ფუჭად დამიწებისათვის რა გითხრათ? გული ჩამწყდა, რა შევიტყვე სიკვდილი მისი. მიყვარდა ძმასავით, შვილსავით და თავის დროზედ ბრწყინვით გამოჩნდებოდაცა მხნეობით, გონებით, გულით, ჰსწავლით. ჩვენსა მხედრობასა მოაკლდა ჩინებული ღენერალი (სინამდვილეში ივ. ბაგრატიონი პოლკოვნიკის ჩინით გარდაიცვალა – თ. ჯ.); მაგრამ რა გაეწყობა წყეულს ბედსა, რომელიცა ესრეთ მოუღალავად ჰსდევნის ბაგრატიონთა! – პოლკი ჩაბარდა სრულებით და რა საკვირველია, რომ, პახოდობისაგამო, არ იყო იმისთანა მდგომარეობაში, როგორცა ადგილობრივ მყოფი პოლკი, მაგრამ ნაკლულოვანება, როგორც ისმის, არა იყორა, და ამისათვის ნუ ჰსწუხს კნიაზი პეტრე, და ნუცა მისთვის, რაიცა მოუწერია მის დედას ნამესტნიკთანა. –

აქაური ამბები: დიდი მშვიდობიანობა არის კახეთში და მთლად დაღესტანში, მხოლოდ ჩაჩანშიკი ბენოის სოფლისანი, ტყეებში განბნეულნი, ავაზაკობენ აქა იქ. – ევდაკიმოვიც წავიდა ყუბანის ობლასტში და იქიდამ ფილიპსონი მოვიდა აქა ნაჩალნიკად ღლავნის შტაბისა დროებით, ვიდრე მოვა კარცოვი. ზოტოვი გახდება ღენერალ-კვარტმეისტრად და ლიმანოვსკი დეჟურნის ღენერალად; მირსკი პომოშნიკად ევდაკიმოვისა, ასე რომ, შემდეგ შეიქნება ნაჩალნიკად ყუბანის ობლასტისა. სოსიკო ორბელიანი მიიღებს დაღისტანსკის პეხოტნის პოლკსა; ალექსანდრე თუმანოვმა ხომ მიიღო ადრევე პოლკი და დიახ მოწონებულადცა ჰკამანდობს პოლკსა.

ჩვენს სოვეტშიაცა – ღმერთმან მაღირსოს იქ მალე თქვენი ნახვა – დიდი ბაასი გვაქვს ***მეჟევანიეზედ;*** მგონია, სტარიცკის პროექტი მიიღონ.

ჩემი რძალი ვარინკა დაბრუნდა ბერლინიდამ სრულიად მორჩენილის თვალებითა.

დიდად გამოჩენილი ქორწილი აქვს კიკო ჩოლაყაევსა, რომელიცა დაინიშნა ვახვახოვის ქალზე, მეტად ლამაზზე.

ჩვენი ოპერა ვერ არის კარგად: წაახდინეს უცხვირპირო პევიცებმა.

ჯერ ნამესტნიკსაც არ დაუწყვია ხუთშაბათობა და ვატარებთ დროსა აქა იქ ბაღებში, სადაც დაგვმზერის ბრწყინვალე, ფირუზის ფერი ცა; მშვენიერებაა! ალექსანდრე ონიკოვიც ამ დროს წამოვიდა, და ისე როგორღაც უეცრად, რომ ვერცკი ვნახე.

დღეს, ხვალ, მოველით სპარსეთის ელჩსა, პეტერბურღში მომავალსა.

ტელეგრაფი გაგვიკეთდა ფოთამდის, და ამ დღით ველაპარაკებით ქუთაისსა.

სწორედ ამ მინუტში მოგვივიდა სამწუხარო ამბავი: საწყალი ელენა, ყაფლანის (ორბელიანის – თ. ჯ.) ქალი (ორბელიან-ჩიჯავაძე – თ. ჯ.), რომელიცა გათხოვდა წლეულს, გარდაცვლილა ქუთაისს მშობიარობაზედ. – ოჰ, რა შემაწუხა ამ წყეულმა ამბავმა. ყმაწვილი ქალი მშვენიერებით სავსე, განჰქრა უდროოდ.

ილიკო ჩოლაყაშვილი და მისი ცოლი ელენა მოვიდნენ მშვიდობიანად; ეგრეთვე მოვიდნენ ოღლაბჟიო და მისი ცოლი ტასო.

ჩემს მწყალობელს, თვალის ჩინს, ეკატერინას უმდაბლესად ხელს კოცნას მოვახსენებ; მის შვილებს დავჰკოცნი.

ამ ჟამად ეს იკმარეთ და გავათაოთ, და ღმერთმან მაღირსოს თქვენი ***აქ*** ხილვა მშვიდობიანად და მალე.

თქვენი უმორჩილესი და მარადის ერთგული მოსამსახურე
**გრიგოლ ორბელიანი**

31 ოკდომ[ბერი] 1860.
თბილისი“.

დიმ. ყიფიანისა და მისი წერილის ადრესატის, *გრიგოლ ორბელიანის,* ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 447-448.

[1] (გვ. 37) **„თქვენთან განმეორებით წიგნის მოწერა დიდათა მსურდა“** — წინამდებარე ტექსტამდე გრიგოლ ორბელიანისადმი დიმ. ყიფიანის მხოლოდ ერთი წერილი გვაქვს ხელთ, მიწერილი გორიდან თბილისში 1858 წლის 28 აპრილს (იხ. ყიფიანი 2023: 193-195). რაც შეეხება *საკუთრივ პეტერბურგიდან* დიმ. ყიფიანის მიერ გრ. ორბელიანისათვის გამოგზავნილ პირველ წერილს, მისი დაცულობის საკითხი (თუ საერთოდ არის მოღწეული) ჩვენ ვერ გამოვარკვიეთ. იგივე ვითარებაა, სხვათა შორის, დიმ. ყიფიანის მიერ გრ. ორბელიანისთვის 1862 წელს გაგზავნილ ორ წერილთან დაკავშირებით: „თქვენი ორი წერილი მებოძა და მრცხვენის, რომ აქამომდის ვერ გიპასუხეთ“ — სწერს 1862 წელს გრ. ორბელიანი დიმ. ყიფიანს თბილისიდან ჩვენთვის გაურკვეველ მისამართზე (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1565. ფ. 1; ორბელიანი 2001: 248). აქ ნახსენები *ორი წერილის* შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით.

[2] (გვ. 38) **„მიანბო თავისი მწუხარება კარგის ძმის მოშლაზედ“** — *ძმა:* იგულისხმება გენერალ-ლეიტენანტისა და მეცნიერის (ფიზიკოსის, ქიმიკოსის) *პეტრე რომანის (რევაზის) ძე ბაგრატიონის,* ძმა ***ივანე ბაგრატიონი*** (1824-1860), სამხედრო პირი (პოლკოვნიკი), „კავკასიის ომის“ მონაწილე, სევერსკის დრაგუნთა პოლკის მეთაური (პოლკთან ერთად იმყოფებოდა ყუბანის მხარეში). ივ. ბაგრატიონი ყაჩაღებმა გაძარცვის მიზნით (ოფიციალური ვერსიაა) ადაღუმისა და ყირიმის ციხესიმაგრეებს შორის გზაზე მოკლეს 1860 წლის 7 ივნისს (აქტები 1904: III). დაკრძალეს ყირიმის ციხესიმაგრეში.

როგორც ჩანს, ივ. ბაგრატიონს კულტურული ინტერესებიც ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში, 1853 წ. მას მონაწილეობა აქვს მიღებული თემირხანშურაში გამართულ თეატრალურ წარმოდგენებში (ორბელიანი 1937: 56; სხვათა შორის, თეატრალური ინტერესები ჰქონდა პეტრე და ივანე ბაგრატიონების მამასაც, გენერალ-ლეიტენანტ რომან (რევაზ) ბაგრატიონს, რომლის ოჯახშიც (თბილისში) 1820-1830-იან წწ. თეატრალური წარმოდგენები იმართებოდა (რუსულ ენაზე; რ. ბაგრატიონის სალონის შესახებ იხ. ბალახაშვი-

ლი 1940: 91-99; გერსამია 1950: 20-24)]. ივ. ბაგრატიონთან შეხვედრები აღწერილი აქვს ალ. დიუმას თავის „კავკასიაში“ (დიუმა 1970: 106-107, 151-158, 163, 173-175; „ეს იყო ქართველი თავადიშვილის ჭეშმარიტი ტიპი, მამაცი, ქველი, გულუხვი, სტუმართმოყვარე, პოეტური სულისა და წარმოსადეგი გარეგნობის კაცი“, – ასე ახასიათებს ალ. დიუმა ივ. ბაგრატიონს).

[3] (გვ. 38) **„დედისაგან...“** – იგულისხმება *ანა სიმონ ივანოვის ას. ბაგრატიონი,* მეუღლე რომან (რევაზ) ბაგრატიონისა, დედა პეტრე (1818-1876) და ივანე (1824-1860) ბაგრატიონებისა, მასპინძელი მეუღლის ინიციატივით შექმნილი ოჯახური სალონისა, რომელშიც თეატრალური წარმოდგენები, აგრეთვე, ლიტერატურული და მუსიკალური საღამოები იმართებოდა. გარდაიცვალა 1875 წ. პეტერბურგში, იქვეა დაკრძალული.

[4] (გვ. 38) **„ნამესტნიკთან...“** – იგულისხმება *ალ. ბარიატინსკი.*

[5] (გვ. 39) **„გიორგი მუხრანსკი მწერს...“** – დიმ. ყიფიანისადმი გიორგი კონსტანტინეს ძე მუხრანბატონის წერილის შესახებ იხ. აქვე, გვ. 33-35.

[6] (გვ. 40) **„...იმ საქმეს, მანამდისინ ოპეკუნად ვიმყოფები, ყოვლის ჩემის შეძლებით რომ არ გამოვესარჩლო, არ შეიძლება“** – საკითხის შესახებ იხ. აქვე, გვ. 313, 314, 314-315.

## 12. პეტრე დირინისადმი
(გვ. 40-43)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №716. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1860 წ. 18 ოქტომბერი. ცარსკოე-სელო. ხელმოუწერელი.

თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია (რუსულ ენაზე): „ბ-ნ დირინს“.

პირველ გვერდზე ეკატერინე დადიანის მინაწერია (რუსულ ენაზე): „თანახმა ვარ. კნ. ე. დადიანი“.

ადრესატის შესახებ სარწმუნო ცნობები ვერ მოვიპოვეთ.

## 1861

### 13. [ალექსი კრუზენშტერნისადმი]
(გვ. 43-45)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №152. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1861 წ. აგვისტო. ხელმოუწერელი.

ტექსტში ადრესატის (მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსი) სახელი და გვარი არ არის მითითებული, თუმცა დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ეს არის *ალექსი თედორეს ძე კრუზენშტერნი:* ა) ამ დროს მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსი სწორედ იგია (იხ. შესაბამისი წლების „კავკაზსკი კალენდარ"); ბ) დიმ. ყიფიანის წინამდებარე მოხსენებითი ბარათი პასუხია მისდამი ა. კრუზენშტერნის 1861 წ. 6 ივლისის მიმართვისა (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №151).

ადრესატის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 395-396.

### 14. ალექსანდრე ბარიატინსკისადმი
(გვ. 45-52)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №696. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 6. **თარიღი:** 1861 წ. 14 ოქტომბერი. ზუგდიდი. ხელმოწერა: Димитрий Кипиани.

ტექსტს თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია (რუსულ ენაზე): „თავად ა. ი. ბარიატინსკის, 14 ოქტომბერს 1861. ზუგდიდიდან". ბოლოში მისივე მინაწერია (რუსულ ენაზე): „საგანგებო წერილითურთ გაეგზავნა ა. თ. კრუზენშტერნს".

ალ. ბარიატინსკის უკმაყოფილების მიზეზი, რომლის გამოც მას დიმ. ყიფიანის სამსახურიდან დათხოვნა სურდა, იყო სამეგრელოს მცირეწლოვანი მთავრის, ნიკო დადიანის, უფლებრივი საკითხის

დაცვა. ხელისუფლებას სამეგრელოს სამთავროს გაუქმება ჰქონდა გადაწყვეტილი და ამიტომ იგი მთავრის ადგილ-მამულსა და ქონებას განიხილავდა, როგორც კერძო მემამულის საკუთრებას, დიმ. ყიფიანი კი, როგორც ნიკო დადიანის ადგილ-მამულისა და ქონების მეურვე, არა კერძო პირის, არამედ მთავრის უფლებებს იცავდა და ამ მიმართულებით მოქმედებდა კიდევაც (საკითხის შესახებ იხ. აქვე, გვ. 313; ვრცლად იხ. დიმ. ყიფიანის წერილები ა. კრუზენშტერნისადმი – ყიფიანი 2023: 230-243, 246-297). 1860-1861 წწ. დიმ. ყიფიანი ამ საქმეზე იმყოფებოდა პეტერბურგში, მიიღო მონაწილეობა საქმის განხილვაში „კავკასიის კომიტეტში", შეხვდა იმპერატორ ალექსანდრე მეორესაც და იქაც და იქაც თავისი სიმართლე დაამტკიცა.

რაც შეეხება დიმ. ყიფიანისა და მეფისნაცვლის სამსახურებრივ ურთიერთობას, მიუხედავად იმისა, რომ ალ. ბარიატინსკი 1861 წ. 10 აგვისტოს ა. კრუზენშტერნს სწერდა: „ყიფიანი ვერ დარჩება საბჭოს წევრად. შესთავაზეთ მას ჩემი სახელით, სამსახური კავკასიის გარეთ შეარჩიოს" (ზისერმანი 1891: 58), მან, როგორც ჩანს, გაითვალისწინა დიმ. ყიფიანის არგუმენტები; ყოველ შემთხვევაში, დატოვა იგი მეფისნაცვლის საბჭოს წევრის თანამდებობაზე. მოგვიანებით კი, 1862 წლის ივნისში, იმჟამად საზღვარგარეთ (დრეზდენში) მყოფმა ალ. ბარიატინსკიმ ურჩი ხელქვეითი იქიდანვე დაითხოვა საბჭოს წევრობიდან (საერთოდ სახელმწიფო სამსახურიდან), ხოლო მის ადგილას ეგორ სტარიცკი დანიშნა [იხ. დიმ. ყიფიანის „მემუარები" – ყიფიანი 2020: 209; „ყიფიანს შეუძლია ეძებოს სამსახური სადაც მოისურვებს, მაგრამ სანამ მე კავკასიაში ვარ, იგი იქ სამსახურს ვერ იშოვის", – სწერს ალ. ბარიატინსკი ალექსი კრუზენშტერნს (ზისერმანი 1891: 61); უფრო ვრცლად საკითხის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ.: ყიფიანი 2018: 424-425; ყიფიანი 2023: 394; ბოროზდინი 1934: 324-328; აგრეთვე, აქვე: 1862 წ. 24 და 28 მაისის წერილები ა. კრუზენშტერნისადმი №№26, 29), 1862 წ. 14 ივნისისა ეკატერინე დადიანისადმი (წერილი №31), 1863 წ. 5 ივლისისა პეტრე ლადინსკისადმი (წერილი №60).

ადრესატის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 393-394.

[1] (გვ. 45) **„ალექსი თედორეს ძემ...“** – იგულისხმება *ალექსი კრუ-ზენშტერნი.*

[2] (გვ. 46) **„სამეგრელოში მთავრის ქონების აღწერისთვის პირველად მგზავნიდით...“** – სამეგრელოს სამთავრო ოჯახის მამულებისა და ქონების აღწერის მიზნით სამეგრელოშივე, აგრეთვე, ლეჩხუმსა და ქვემო (სადადიანო) სვანეთში დიმ. ყიფიანის მიმოსვლის შესახებ იხ. მისი „დღიური 1857-1858 წლებისა“ (ყიფიანი 2020: 79-118).

[3] (გვ. 46) **„შევძელი, მთავრის მეუღლე იმდენად დამემშვიდებინა...“** – ეკატერინე დადიანის *დამშვიდების* მიზნით მისი და დიმ. ყიფიანის დიალოგი იხ. ყიფიანი 2020: 82-84.

[4] (გვ. 46) **„მან თავისი ძმები და მე დაგვასახელა“** – *ძმები:* ძმა ეკატერინე დადიანისა იყო *დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძე,* ხოლო *ბარონი ალ. ნიკოლაი* იყო მათი *სიძე* (დის, სოფიო ჭავჭავაძის, მეუღლე). ალ. ნიკოლაისა და დ. ჭავჭავაძის მეურვეობა ხანმოკლე და წარუმატებელი აღმოჩნდა და ამის შემდეგ მათ ნაცვლად ეკატერინე დადიანის დაჟინებული თხოვნითა და ალ. ბარიატინსკის დავალებით 1859 წ. აპრილში დიმ. ყიფიანი დაინიშნა (მოკლე ისტორია საკითხისა, მოთხრობილი თვითონ დიმ. ყიფიანის მიერ, იხ. ყიფიანი 2020: 12-13).

[5] (გვ. 47) **„მეურვეობაზე უარს ვამბობდი. პატივი მქონდა... სამი მიზეზი მომეხსენებინა“** – ალ. ბარიატინსკისთან აქ ნახსენებ დიალოგს დიმ. ყიფიანი იმოწმებს თავის „მემუარებში“ (ყიფიანი 2020: 204-206).

[6] (გვ. 48) **„დიდი საქმე აღასრულეთ“** – როგორც ჩანს, აქ დიმ. ყიფიანი 1859 წ. აგვისტოში ალ. ბარიატინსკის მიერ შამილის დატყვევებას გულისხმობს (ისტორია შამილის დატყვევებისა იხ. ზისერმანი 1890: 283-296).

[7] (გვ. 49) **„შეიტანეთ იგი კომიტეტში...“** – იგულისხმება *„კავკასიის კომიტეტი“,* რომლის შესახებაც იხ. ყიფიანი 2017: 335-336.

[8] (გვ. 51) **„პეტერბურგიდან წამოსვლამდე ერთი დღით ადრე ... წარვმდგარიყავი ხელმწიფე იმპერატორის წინაშე“** – დიმ. ყიფიანს, როგორც ზემოთ ითქვა (გვ. 309), პეტერბურგში ***1861 წ.*** მაისამდე მოუწია დარჩენა. მანამდე კი, ***1860 წ.*** 1 მაისს, დიმ. ყიფიანი ალექ-

სანდრე მეორეს ცარსკოე-სელოში შეხვდა. ამის შესახებ იგი იმავე 1860 წ. 4 მაისს მეუღლეს, ნინო ჭილაშვილ-ყიფიანს, თბილისში სწერს: „1 მაისს, კვირადღეს, ცარსკოე-სელოში წილად მხვდა ხელმწიფესთან წარდგომის ბედნიერება...“ (ქლსმ. №14781-ხ. ფ. 1).

## 15. ნიკოლოზ დემენტიევისადმი
(გვ. 52)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №715. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **ნაბეჭდი:** ლ. კობახიძე. დიმიტრი ყიფიანის უცნობი წერილი. ჟ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1971, №3, გვ. 49 [გამოქვეყნებულია დედნის (რუსულ) ენაზე]. **თარიღი:** 1861 წ. 23 ნოემბერი. ხელმოუწერელი.

დიმ. ყიფიანი 1860-იან წწ. ხელმძღვანელობდა სცენისმოყვარეთა წრეს. ანტონ ფურცელაძე იგონებს: „ჩვენი გამოუცდელი ბიჭუნებისგან დიმიტრი ყიფიანმა ნამდვილი მსახიობები შექმნა. ამასთანავე, მათ სულის სიმხნევე და გაბედულებაც ჩაუნერგა. მსახიობთა ძველი სიმორცხვისა კვალიც აღარ დარჩა; ტექსტის სრულფასოვნად გაგება და ათვისებაც ისწავლეს... მოამზადა რა სათანადოდ მსახიობები, მან ჩვენი თხოვნის გარეშეც მოგვიხერხა სცენაზე თამაშის ნებართვა. – სპექტაკლმა (იხ. აქვე, კომენტ. №1 – თ. ჯ.) ბრწყინვალედ ჩაიარა. თეატრი გადაჭედილი იყო. თბილისის მთელმა მაღალმა საზოგადოებამ აქ მოიყარა თავი. ოჯახებით იყვნენ მოსულნი მეფისნაცვლის მთელი ამალა, გუბერნატორი ორლოვსკი, წარჩინებული ვაჭრები და მოქალაქენი (Мокалаки). ბევრმა საერთოდ ვერ იშოვა ბილეთი და გარეთ დარჩა... – სპექტაკლი საერთო აღფრთოვანებით დამთავრდა“ (ფურცელაძე 2007: 72-73; დიმ. ყიფიანის თეატრალური მოღვაწეობის შესახებ იხ.: გერსამია 2011: 125-136; ყიფიანი 2016: 29-30).

წერილის ადრესატია თბილისის გიმნაზიის დირექტორი (1861-1862 წწ.) ***ნიკოლოზ ტიმოთეს ძე დემენტიევი*** (გარდ. 1893 წ. შემ-

დეგ), რომელიც ჯერ კიდევ 1820-იანი წლებიდან რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში [„მე იმას მეხუთე კლასში დაუხვდი“ – წერს მასზე თავის „მემუარებში“ დიმ. ყიფიანი და იქვე იძლევა ნ. დემენტიევის ლაკონიურ დახასიათებას: „კეთილ-გონიერი და ყოვლად მოსაწონი მოწაფეთათვის“ (ყიფიანი 2020: 143)]. დიმ. ყიფიანის შვილის, ნიკოლოზ ყიფიანის, ცნობით, სწორედ ნ. დემენტიევის რჩევით მიუღიათ თავის დროზე (1830-იანი წწ.) დიმ. ყიფიანი თბილისის გიმნაზიის მასწავლებლად (ყიფიანი 1894: 73). იმავე ნიკ. ყიფიანის მიხედვით, შემდგომში ნ. დემენტიევი და დიმ. ყიფიანი მეგობრები გახდნენ ერთმანეთისა (ყიფიანი 1894: 87).

იონა მეუნარგია ნ. დემენტიევზე წერს: „ამან კარგად იცოდა თავისი ხელობა და მისმა შეგირდებმა – მათ შორის [ნიკოლოზ] ბარათაშვილმა – ჩინებულად ისწავლეს რუსული ენა... მეტადრე კარგად კითხულობდა თურმე ეს მასწავლებელი მიცკევიჩის ლექსს „ფარისს“, რუსულად ნათარგმნს“ (მეუნარგია 1954ა: 195). იმავე ი. მეუნარგიას ცნობით, ნ. დემენტიევი 1893 წელს ცოცხალია და თბილისში ცხოვრობს (მეუნარგია 1954ა: 195).

[1] (გვ. 52) **„წარმოადგინეს ორი ქართული პიესა“** – *ორი... პიესა:* იგულისხმება გ. ერისთავის „გაყრა“ და ზ. ანტონოვის „მე მინდა კნეინა გავხდე“, რომლებიც თბილისელმა სცენისმოყვარეებმა 1861 წ. 16 ნოემბერს წარმოადგინეს. სპექტაკლის შესახებ ა. ფურცელაძე „ცისკარში“ წერდა (ვიმოწმებთ შემოკლებულად): „16-ს გიორგობის თვეს იყო წარმოდგენა ქართულს ენაზედ ორის პიესისა: „გაყრა“ თ[ავად] გ. ერისთავისა და „მინდა კნეინა გავხდე“ ზ. ანტონოვისა, კეთილშობილთ პირთაგან, საზოგადო სარგებლობისათვის, ტფილისის დიდს თეატრში და საზოგადოების კმაყოფილებაც თქვენ უკეთ მოგეხსენებათ... მინდა წარუდგინო საზოგადოებას ფულის ანგარიში, რომელიც ავიღეთ... ფული მოგროვდა სამოცდა სამი თუმანი და ოთხი მანათი; აქედამ თეატრის სამზადისზედ დაიხარჯა თხუთმეტი თუმანი და ოთხი მანათი; დანაშთენი – ორმოცდა რვა თუმანი წარდგენილ იქმნა შესაწევნელად ტფილისის გიმნაზიისა, რომ სიმრთელისათვის სავარჯიშო გიმნასტიკა გაიმართოს, ვისაც სწავლისათვინ

სიღარიბისაგან ფულის მიცემა არ შეუძლია, ფული აღარ მოეთხოვებოდეთ...“ (ფურცელაძე 1861: 370-371; კობახიძე 1971: 49).

[2] (გვ. 52) **„გთხოვთ გამოიყენოთ იგი შემომწირველთა სურვილისამებრ“** – დაცულია ნ. დემენტიევის 1861 წ. 12 დეკემბრის საპასუხო წერილი დიმ. ყიფიანისადმი – სპექტაკლის შემოსავალი, 480 მან., რომელიც თქვენივე წერილის თანდართვით გამოგვიგზავნეთ, მივიღეთ და შემომწირველთა სურვილისამებრ ასე გავანაწილეთ: ერთი ნაწილით სატანვარჯიშო მოწყობილობებს შევიძენთ და ამ საქმეზე დახარჯული ფულის ზუსტ ანგარიშს პირადად თქვენ წარმოგიდგენთ, დანარჩენი თანხით კი ხელმოკლე მოსწავლეებს სწავლის ქირას გადავუხდით, ამ მოსწავლეების სიას ჯერ ტფილისის სამოქალაქო გუბერნატორს წარვუდგენთ დასამტკიცებლად, მერე თქვენც გაახლებთ, დახარჯული ფულის ანგარიშს შემომწირველთაც გავუგზავნით და გაზეთ „კავკაზის“ მეშვეობით საზოგადოებასაც გავაცნობთო (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ. საქ. №1299).

## 16. ალექსი კრუზენშტერნისადმი
(გვ. 53)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №259. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1861 წ. 7 დეკემბერი. ხელმოუწერელი.

დიმ. ყიფიანი ამ დროს არის კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი (1857-1862 წწ.) და თბილისის გიმნაზიის საპატიო მზრუნველი (1852-1864 წწ.; დაინიშნა 1851 წ. 31 დეკემბერს). შესაბამისად, მისი მონაწილეობა სასწავლო ოლქის დებულების პროექტის განხილვაში ამ გარემოებებით იქნებოდა განპირობებული (ა. კრუზენშტერნის 1861 წ. 26 აგვისტოს მიმართვა, რომლის პასუხიცაა დიმ. ყიფიანის წინამდებარე ტექსტი, იხ. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ. საქ. №258. ფ. 2).

ადრესატის, ამიერკავკასიის მხარის მთავარსამმართველოს უფროსის (1858-1863), *ალექსი თედორეს ძე კრუზენშტერნის,* შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 395-396.

## 17. ლუი ალომისადმი
(გვ. 53-54)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №666. ავტოგრაფი. შავი. ფრანგულ ენაზე (თარგმნა ც. ბიბილეიშვილმა). ფ. 1. **თარიღი:** 1861 წ. 30 ნოემბერი. ტფილისი. ხელმოუწერელი.

ტექსტს თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია: „À Monsignor Louis Alleaume" („მონსენიორ ლუი ალომს").

დაცულია ლუი ალომის 1861 წ. 22 ოქტომბრის, იმავე წლის 29 ნოემბრისა და 1862 წ. 11 მარტის წერილები დიმ. ყიფიანისადმი (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №884-886. ფრანგულ ენაზე. ფ. 3).

საკითხი *ადრესატის* ვინაობისა და საქმის გარემოებების შესახებ სპეციალურ კვლევას მოითხოვს.

## 1862

## 18. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 54-55)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1797. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **ნაბეჭდი:** ნ. აბულაძე. დიმიტრი ყიფიანი და სამეგრელოს სამთავრო. // დიმიტრი ყიფიანისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „დიმიტრი ყიფიანი და საქართველო" (კონფერენციის მასალები. დეკემბერი, 2021 წელი). ხაშური: 2022, გვ. 6-7 (გამოქვეყნებულია მცირეოდენი შემოკლებებით). **თარიღი:** 1862 წ. 26 თებერვალი. **ხელმოწერა:** დიმ. ყიფიანი.

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 54) **„იმ წიგნით უნდა გთხოვოთ ოპეკუნობიდამ განთავისუფლება"** – რამდენიმე დღეში ასეთი *წიგნის* გაგზავნა დიმ. ყიფიანმა გადაიფიქრა (იხ. წერილი №19).

[2] (გვ. 54-55) **„სამსახურიდამ უნდა გამოვიდე ... ჩემის წიგნის პასუხს მოველი, რომელიც ოკტომბერში მივსწერე“** – *სამსახურიდან გამოსვლისა* და მასთან დაკავშირებული გარემოებების შესახებ იხ. აქვე, დიმ. ყიფიანის 1861 წ. 14 ოქტომბრის (№14) წერილი ალ. ბარიატინსკისადმი და მასზე დართული შენიშვნები და კომენტარები.

## 19. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 56)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1868. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** [1862 წ.] 5 მარტი. **ხელმოწერა:** დიმიტრი.

წერილში დაწერის მხოლოდ თვე და რიცხვია მითითებული. 1862 წლით თარიღდება ეკატერინე დადიანისადმი გაგზავნილი წინა, 1862 წ. 26 თებერვლის, წერილის მიხედვით.

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 56) **„წარსრულის ფოჩტით რომ მოგწერეთ...“** – ეკატერინე დადიანისადმი *„წარსრულის ფოჩტით“* გაგზავნილი წერილი იხ. აქვე, გვ. 54-55.

## 20. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 56-58)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1798. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ (ნაწილობრივ რუსულ და ფრანგულ) ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1862 წ. 16 მარტი. ტფილისი. ხელმოუწერელი (ბოლო აბზაცი არშიაზე მჭიდროდ და წვრილადაა ნაწერი და ხელის მოსაწერი ადგილი არ არის დარჩენილი).

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 56) **„ჩემი მეორე წიგნიცა, რომლითაც გაცნობეთ, დათხოვნის ქაღალდს აღარ გიგზავნით მეთქი"** – იგულისხმება დიმ. ყიფიანის 1862 წ. 5 მარტის წერილი ეკატერინე დადიანისადმი (იხ. წერილი №19; საკითხის შესახებ იხ. აგრეთვე, წერილი №18).

[2] (გვ. 56-57) **„თქვენს ძმას დავითს მოეწეროს რაღაცა და პეტერბურღიდამ ჩემს ცოლის დას ლიზასა"** – ა) *დავითი:* დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძე, ძმა ეკატერინე დადიანისა; ბ) *ლიზა:* ელისაბედ იაგორის (გიორგის) ას. ჭილაშვილ-ნაზოროვა, და დიმ. ყიფიანის მეუღლის, ნინო ჭილაშვილ-ყიფიანისა.

[3] (გვ. 57) **„პაპის ნალაპარაკევი..."** – ?

[4] (გვ. 57) **„მანანასთვის მოგეწერათ"** – იგულისხმება *მანანა ორბელიანი.*

[5] (გვ. 57) **„არჩილისას მწერთ..."** – იგულისხმება სამეგრელოს სამთავრო სახლის სახლთუხუცესი (1866 წლიდან) *არჩილ დადიანი,* სოფ. ნოქალაქევის (ნაქალაქევის) მკვიდრი, სამეგრელოს მთავარ ლევან V დადიანთან (1791-1846) დაახლოებული პირი და მისი მრჩეველი (ა. დადიანის შესახებ იხ.: ბოროზდინი 1934: 241-242; ყიფიანი 2023: 245, 476-479).

[6] (გვ. 57) **„დეპუტატად სოვეტში მიხაილ ერისთავის დანიშვნაზედ მოგწერეთ"** – თუ რომელი *„სოვეტის"* (საბჭოს) წევრად უნდა დანიშნულიყო *მიხეილ ერისთავი,* ეს ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში არ ჩანს [გურული თავადი *მიხეილ ქაიხოსროს ძე ერისთავი* თავის დროზე იყო თვალსაჩინო მოღვაწე დასავლეთ საქართველოში. იგი, სხვათა შორის, იყო მძახალი დიმ. ყიფიანისა – მამა ნიკოლოზ (ნიკო) დიმიტრის ძე ყიფიანის მეუღლის, ანასტასია (ტასო) ერისთავ-ყიფიანისა. მიხ. ერისთავის, ა. ერისთავ-ყიფიანისა და დიმ. ყიფიანთან მათი ურთიერთობის შესახებ იხ.: საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: 10, 256, 270-271; ყიფიანი 2019: 82-87, 97; ყიფიანი 2021: 414-415].

[7] (გვ. 57) **„M-me მერდერი"** – ეკატერინე დადიანის მეგობარი და მისი გარემოცვის წევრი *ევდოკია გაბრიელის ას. მერდე-*

*რი* (ქალიშვილობის გვარი – *ანენკოვა),* რომელსაც დიმ. ყიფიანი რუსეთში (პეტერბურგში, ცარსკოე-სელოში) ყოფნისას ხშირად ხვდებოდა და რომლის სახელსაც იგი ეკატერინე დადიანისადმი გაგზავნილ წერილებში ხშირად ახსენებს. ევდოკია ანენკოვა-მერდერი იყო მეუღლე იმპერატორ ალექსანდრე II-სთან დაახლოებული პირის, კათოლიკური სარწმუნოების გენერალ-ლეიტენანტისა და გენერალ-ადიუტანტის, *პეტრე კარლის ძე მერდერისა.* ევდოკია მერდერი პეტერბურგის არისტოკრატიულ წრეებში ცნობილი იყო თავისი არაორდინარული ხასიათითა და მანერებით. დიმ. ყიფიანს მერდერთან არ ჰქონია, მეტი რომ არა ვთქვათ, გულგრილი და სასხვათაშორისო დამოკიდებულება, თუმცა იმავე წერილების მიხედვით, მათი ურთიერთობა არ გასცილებია ე. წ. პლატონურ საზღვრებს.

[8] (გვ. 58) **„ნიკოს, ანდრიას... სალომეს მხურვალეს გულით მოკითხვას მოვახსენებ"** – იგულისხმებიან ეკატერინე დადიანის შვილები: ***ნიკოლოზ (ნიკო) დადიან-მინგრელსკი*** (ნ. დადიან-მინგრელსკისა და დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ. ყიფიანი 2023: 408-409), ***ანდრია დადიანი*** (ანდრია დადიანის შესახებ იხ.: გიორგაძე 1972; გიორგაძე 2004; გიორგაძე 2012: 251; ჩხეიძე 2011: 66-69; გურგენიძე 2014; კიკნაძე 2020: 53-56; აგრეთვე, ყიფიანი 2020: 389; ყიფიანი 2021: 372, 374) და ***სალომე დადიან-მიურატი*** [ხეც-ში, დიმ. ყიფიანის არქივში (№№1294, 1295) დაცულია ს. დადიან-მიურატის ორი წერილი დიმ. ყიფიანისადმი (იხ. საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: 324); სალომე დადიან-მიურატის, მისი ოჯახისა და შთამომავლობის შესახებ იხ. კიკნაძე 2020: 34-53). ამ დროს ცოცხალი აღარ არის კიდევ ერთი შვილი ეკატერინე დადიანისა, ***თამარი*** [გარდ. 1859 წ. პეტერბურგში (იხ.: მახათაძე 1967: 194-197); მკვლევარი ლ. კიკნაძე თამარის გარდაცვალების თარიღად 1860 წელს მიუთითებს (იხ. კიკნაძე 2020: 17, 24); 1860 წელს ასახელებს იონა მეუნარგიაც – მეუნარგია 1957: 178].

[9] (გვ. 58) **„ჩემი ნინო..."** – იგულისხმება მეუღლე დიმ. ყიფიანისა, *ნინო ჭილაშვილ-ყიფიანი.*

## 21. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 58-63)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1799. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ (ნაწილობრივ რუსულ) ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1862 წ. 9 აპრილი. ტფილისი. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 59) **„კოლუბაკინების მეგობრებს...“** – იგულისხმებიან ძმები *ნიკოლოზ და მიხეილ კოლიუბაკინები,* რომლებიც სხვადასხვა დროს სამეგრელოს მმართველები იყვნენ, ცდილობდნენ სამთავროს გაუქმებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნას და ამ ნიადაგზე განუწყვეტელი შეტაკებები ჰქონდათ დიმ. ყიფიანთან (საკითხის შესახებ იხ.: ჯორჯაძე 1989: 446-453; აგრეთვე: ყიფიანი 2023: 339-340, 405-406). *„კოლუბაკინების მეგობრებში“* მათი მხარდამჭერები იგულისხმებიან.

[2] (გვ. 59) **„ვეტყვი ისაკსაც, რომ იმასთან მოკითხვას მაბარებთ“** – ჩვენი აზრით, ეს უნდა იყოს გენერალი და საზოგადო მოღვაწე („ქშწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი) *ისააკ (ისაკ) შიოშის ძე თუმანიშვილი,* რომელიც თბილისის არისტოკრატიულ და ინტელექტუალურ წრეებში ტრიალებდა (ახლო მეგობრობა აკავშირებდა ნიკოლოზ ბარათაშვილთან, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანებთან, ლევან მელიქიშვილთან, დიმიტრი ყიფიანთან, დავით ჭავჭავაძესთან და სხვ.) და, შეუძლებელია, ნაცნობობა არ ჰქონოდა ეკატერინე დადიანთან (ი. თუმანიშვილის შესახებ იხ.: გოგიტიძე 2018: 123; ბერძნიშვილი 1983: 43; საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: 337).

[3] (გვ. 59) **„ზოგს თქვენი ერთგული ჰქვია და ბოროზდინს უმეგობრდებიან“** – *კორნილი ბოროზდინი,* როგორც სახელმწიფო მოხელე და ხელისუფლების წარმომადგენელი, სამეგრელოს სამთავრო სახლის უფლებებთან დაკავშირებით ეკატერინე დადიანთან (და

დიმ. ყიფიანთანაც) მწვავედ იყო დაპირისპირებული და ეს დაპირისპირება ვრცლად არის ასახული მის წიგნში „სამეგრელო და სვანეთი“ (ბოროზდინი 1934).

[4] (გვ. 60) **„სულ იმ კაცის მოთმინება მახსოვს ... ვერიდები ყოველსავე გულის მიმტაცებელსაო“** – დიმ. ყიფიანი, როგორც ითქვა (გვ. 329-330) გულგრილი არ იყო ე. მერდერის მიმართ და *„იმ კაცში“* იგი საკუთარ თავს უნდა გულისხმობდეს.

[5] (გვ. 60) **„თქვენის შვილების...“** – ეკატერინე დადიანის *შვილების* შესახებ იხ. აქვე, გვ. 330.

[6] (გვ. 61) **„როზმორდუკიც დიაღ არ არის სანდო კაცი“** – ფრანგი *ჟანტი დე როზმორდუკი* ზუგდიდში აბრეშუმის ძაფსახვევი ქარხნის მფლობელი იყო და, შესაბამისად, საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა ეკატერინე დადიანთან (ყიფიანი 2020: 108-109). ძნელია დარწმუნებით თქმა, თუ რა მიზეზით უწოდებს დიმ. ყიფიანი მას *არასანდო კაცს.* ის კი დადასტურებულად ცნობილია, რომ სამეგრელოში ომერ-ფაშას შემოჭრის შემდეგ როზმორდუკი ერთხანს ოსმალთა სამსახურში იდგა (როზმორდუკის, მისი საწარმოს, ომერ-ფაშასთან მისი ურთიერთობის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ. ყიფიანი 2020: 108, 374-375).

[7] (გვ. 61) **„აბასტუმნის გაცემა სულმთლად მოიწადინა მმართველმა“** – ა) *აბასთუმანი:* სამეგრელოს მთავართა კუთვნილი სოფელი ზუგდიდთან ახლოს; ბ) *მმართველი:* სამეგრელოს მმართველი (1857-1858 და 1861-1862 წწ.) *ნიკოლოზ კოლიუბაკინი.*

[8] (გვ. 61) **„კნიაზთან რომ წიგნი მოგიწერიათ და ნახვაც განგიზრახავთ იმისი...“** – *კნიაზში* მეფისნაცვალი ალ. ბარიატინსკი იგულისხმება. ხოლო რაც შეეხება *კნიაზის* ნახვას, ამ დროს იგი თავის მომავალ მეუღლესთან, ელისაბედ (ლიზიკო) ორბელიანთან, ერთად ევროპაში მოგზაურობდა (იხ. აქვე, კომენტ. 10) და ევროპაშივე მყოფ ეკატერინე დადიანს იგი იქ უნდა ენახა [ევროპაში ალ. ბარიატინსკისა და ეკატერინე დადიანის გზები არაერთხელ გადაკვეთილა. მაგალითად, 1861 წ. 14 ივლისს ეკატერინე დადიანი დრეზდენიდან სწერს დიმ. ყიფიანს: „ბარიატინსკი ვერ ვნახე დრეზდენში, შეკედლებული არის თავის სადგომში და არავის არ უშვებენ მას-

თან. ამბობენ, ისე ავად არ არისო, როგორც ხმა არის დაყრილი...“ (ჭილაია 1969: 446-447)].

[9] (გვ. 62) **„ქიში და შამათი გავუკეთე-მეთქი ... ამის მსგავსი წერილი არც მისთვის, არც სხვისთვის არასოდეს არ მიმიწერია“** – დიმ. ყიფიანის მიერ თითქოსდა ნათქვამი: ალ. ბარიატინსკის *„ქიში და შამათი გავუკეთე“*, სხვადასხვა ვარიაციით საზოგადოებაშიც გავრცელებულა. ანტონ ფურცელაძე იგონებს:

> „აჯობა რა ყოვლისშემძლე თავად ბარიატინსკის – იმპერატორ ალექსანდრე II-ის პირად მეგობარს! – ყიფიანმა გაუფრთხილებლობა გამოიჩინა და თავის მიამიტ მეუღლეს მოსწერა: ბარიატინსკის „შამათი გავუკეთეო“. ცოლმა კი თავისი გულუბრყვილობით ეს ამბავი ქვეყანას მოსდო, ხოლო ნაცნობ-მეგობრებს ქმრის წერილს აკითხებდა კიდევაც. მიაღწია თუ არა ამ ამბავმა თ-დ ბარიატინსკის ყურამდე, დანამდვილებით არაა ცნობილი, მაგრამ ის კი ცნობილია, რომ ყიფიანი თ-დ მინგრელსკის საქმის გამო დაითხოვეს სამსახურიდან...“ (ფურცელაძე 2007: 77).

[10] (გვ. 62) **„თქვენმა ს ა ს ი ძ ო მ“** – იგულისხმება *ალ. ბარიატინსკი.* დიმ. ყიფიანი მას, ვფიქრობთ, ადვილად შესამჩნევი ირონიით, ეკატერინე დადიანის, დედით ორბელიანის, *ს ა ს ი ძ ო ს* იმიტომ უწოდებს, რომ კავკასიის მეფისნაცვალს მხურვალე რომანი ჰქონდა ელისაბედ (ლიზა, ლიზიკო) დიმიტრის ას. ორბელიანთან, რომელიც ალ. ბარიატინსკიმ მოსტაცა საკუთარ ადიუტანტსა და ელ. ორბელიანის კანონიერ მეუღლეს, ვლადიმერ დავიდოვს. ალ. ბარიატინსკი იმ დროს, როცა დიმ. ყიფიანის წინამდებარე წერილი იწერებოდა, თავის სატრფოსთან ერთად ევროპაში (გერმანია, საფრანგეთი, ესპანეთი...) მოგზაურობდა, ხოლო ელისაბედ ორბელიანის ოფიციალური განქორწინება ვლ. დავიდოვთან და ჯვრისწერა ალ. ბარიატინსკისთან მოგვიანებით, 1863 წლის შემოდგომაზე, მოხდა (საკითხის შესახებ იხ.: ყიფიანი 2020: 414-415; ერისთავი 2022: 127-129, 288; ბოროზდინი 1934: 322 და სხვ.).

[11] (გვ. 62) **„უმაღლეს პირთან...“** – იგულისხმება იმპერატორი ალექსანდრე II.

[12] (გვ. 62) **„ჩემს ოპეკუნობისაგან დათხოვნის წიგნს რომ აგ-რე შეუწუხებიხართ, ახლა ხომ გული დამშვიდებული გაქვთ“** – საკითხის შესახებ იხ. აქვე, წერილები ეკატერინე დადიანისადმი №№18, 20.

## 22. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 63-64)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1800. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1862 წ. 11 მაისი. ტფილისი. **ხელმოწერა:** დ. ყიფიანი.

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 63) **„სოფიოს გარდაცვლის ანზავმა მე შემაწუხა“** – იგულისხმება უმცროსი და ეკატერინე დადიანისა და მეუღლე ბარონ ალ. ნიკოლაისა *სოფიო ალექსანდრეს ას. ჭავჭავაძე,* რომელიც 1862 წლის გაზაფხულზე კიევში გარდაიცვალა [1861 წელს ალ. ნიკოლაი სასწავლო ოლქის მზრუნველად მსახურობდა კიევში, საიდანაც 1862 წ. დასაწყისში პეტერბურგში სახალხო განათლების მინისტრის მოადგილედ და ცენზურის მთავარსამმართველოს წევრად გადაიყვანეს. მან დროებით თავისი ორსული მეუღლე და მცირეწლოვანი ქალიშვილი მარიამი (მაკა; შემდგომში მეუღლე გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძისა) კიევშივე დატოვა, სადაც სოფიო მძიმე მშობიარობიდან რამდენიმე დღეში, 1862 წ. 18 მარტს, გარდაიცვალა]. სოფიო ჭავჭავაძე-ნიკოლაი დაკრძალულია ვიბორგში, მეუღლის საგვარეულო სამარხში (ს. ჭავჭავაძე-ნიკოლაის შესახებ იხ.: გრიშაშვილი 1952: 459-462; ბალახაშვილი 1966: 160-162, 246-247; კიკნაძე 2020: 109-110). დიმ. ყიფიანი სამშობლოს მოწყვეტილ ეკატერინე დადიანს *მრავალწამებულ დედოფალს,* უნდა ვიფიქროთ, იმიტომ უწოდებს, რომ სოფიოს გარდაცვალებამდე ორიოდე წლით ადრე მას პეტერ-

ბურგში მცირეწლოვანი ქალიშვილი, თამარი, გარდაეცვალა (იხ. აქვე, გვ. 330).

[2] (გვ. 64) **„ქართლმაც და კახეთმაც მე მომახვიეს ეს საქმე“ –** იგულისხმება საგლეხო რეფორმის (ბატონყმობის გაუქმების) პროექტის შედგენა, რომელიც დიმ. ყიფიანმა ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის თხოვნით იკისრა (იმუშავა 1862-1863 წწ.; დაასრულა 1863 წ. აპრილში). დიმ. ყიფიანისეული პროექტის შესახებ არჩილ ჯორჯაძე წერს: „მას (დიმ. ყიფიანს – თ. ჯ.) ასულდგმულებდა ორი აზრი, – ერთის მხრით იგი აღფრთოვანებული იყო ადამიანის თავისუფლების იდეით, მეორეს მხრით, ამ დიდი იდეის განხორციელება ისე უნდოდა, რომ არ შერყეულიყო სოციალური წყობილების მშვიდობიანობა და მემამულენი ძალიან არ დაზარალებულიყვნენ. უფლებრივი თავისუფლება, ხოლო ეკონომიური დამოკიდებულება – აი ფორმულა დ. ყიფიანის პროექტისა“ (ჯორჯაძე 1989ა: 442; საკითხის შესახებ, დიმ. ყიფიანის მიერ შედგენილი ტექსტი პროექტისა, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ. ყიფიანი 2018: 128-200, 306-392, 416-441, 463-471; დიმ. ყიფიანის სიტყვა წარმოთქმული 1864 წ. 26 მაისს საგლეხო რეფორმის შემმუშავებელი კომიტეტის სხდომაზე იხ. ყიფიანი 2021: 20-27). უნდა ითქვას, რომ ქართლ-კახეთში საგლეხო რეფორმის პროექტის შემუშავებისთვის მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძის წარდგინებით იმპერატორმა ალექსანდრე II-მ დიმ. ყიფიანი 1864 წ. 17 აპრილს დაწესებული ოქროს მედლით დააჯილდოვა (ჯილდო მიიღო 1865 წ. მაისში – ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №30. ფ. 1). 1864 წ. 8 ნოემბერს დიმ. ყიფიანი რეფორმის განხორციელებაში შეტანილი წვლილისთვის წმ. ანას I ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა (ყიფიანი 29: ფ. 80).

## 23. ივანე ანდრონიკაშვილისადმი
(გვ. 64-65)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №668. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 3. **ნაბეჭდი:** ელ. აბრამიშვილი. დ. ყიფი-

ანისა და გრ. ორბელიანის რამდენიმე უცნობი წერილი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მ ო ა მ ბ ე. III. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. 1961, გვ. 156; დიმიტრი ყიფიანი – 200. პროექტის ავტორი და კრებულის შემდგენელი ბ. კობაძე. თბილისი: სვეტი. 2014, გვ. 840-841. **თარიღი:** 1862 წ. 16 მაისი. ტფილისი. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

ტექსტს თავზე უცნობი (უნდა ვიფიქროთ, ივ. ანდრონიკაშვილის) ხელით აწერია (რუსულ ენაზე): „მიღებულია 20 მაისს 1862“.

***იბეჭდება დედნიდან.***

წერილი ეხება საგლეხო რეფორმას (ბატონყმობის გაუქმებას), რომლის პროექტის შედგენა ქართლ-კახეთის თავადაზნაურობამ დიმ. ყიფიანს დააკისრა (საკითხის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ. აქვე, გვ. 335.

ადრესატის, გენერალ-ლეიტენანტ *ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილის* (1798-1868), შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 352-353.

[1] (გვ. 65) **„14 კითხვა მომირთმევია“** – *14 კითხვა*, რომლებიც დიმ. ყიფიანმა ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის წარმომადგენლებს (მათ შორის, ივ. ანდრონიკაშვილს) გაუგზავნა და საგლეხო რეფორმის შესახებ საკუთარი მოსაზრებების მიწოდება სთხოვა, იხ. აქვე, გვ. 86-89. ბოლო ვერსია იმავე კითხვებისა იხ. ყიფიანი 2018: 306-307. ადრესატთა (ივ. მუხრანბატონი, ივ. ანდრონიკაშვილი, კ. მამაცაშვილი და სხვ.) პასუხები იხ. ყიფიანი 2018: 307-392.

[2] (გვ. 65) **„თქვენის მოძმეებისა...“** – აქ, როგორც ჩანს, დიმ. ყიფიანი *ნათესაობას* გულისხმობს („მოძმე: ბიძაშვილი და მისთანანი“ – ორბელიანი 1965: 517).

[3] (გვ. 65) **„იქ ახლოს მექმნება ამ ზაფხულს ბინა“** – იგულისხმება *ქვიშხეთი.*

## 24. მიხეილ თუმანიშვილისადმი
(გვ. 65-66)

**ხელნაწერი:** ხეც. მიხეილ თუმანიშვილის არქ., საქ. №1002. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 1. **ნაბეჭდი:** მიხ. ხელთუბნელი. სალიტერატურო-საზოგადოებრივი წარსულიდან (მიხეილ თუმანიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა). თბილისი: ფედერაცია. 1938, გვ. 80-81. **თარიღი:** 1862 წ. 16 მაისი. ტფილისი. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

წერილი ეხება საგლეხო რეფორმის (ბატონყმობის გაუქმების) საკითხს (იხ. აქვე, გვ. 335).

***იბეჭდება დედნიდან.***

წერილის ადრესატია მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელე, საიდუმლო მრჩეველი (Тайный советник), საზოგადო მოღვაწე, პოეტი, მთარგმნელი, ჟურნალისტი, თეატრალური კრიტიკოსი, ეთნოგრაფი, ნ. ბარათაშვილის გიმნაზიისდროინდელი მეგობარი, გიმნაზიელთა ხელნაწერი ჟურნალის „Цветок Тифлисской гимназии" („ტფილისის გიმნაზიის ყვავილი") თაოსანი და მთავარი ორგანიზატორი ***მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილი (თუმანოვი)*** (1818-1875), რომელთანაც დიმ. ყიფიანს ხანგრძლივი მეგობრობა და თანამშრომლობა აკავშირებდა [მ. თუმანიშვილი იყო დიმ. ყიფიანის ინიციატივითა და მეთაურობით დაარსებული „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის" (1842-1848) დამფუძნებელი წევრი და ერთ-ერთი დირექტორი (დიმ. ყიფიანსა და ზ. ფალავანდიშვილთან ერთად)]. მ. თუმანიშვილის მამა, ბირთველ თუმანიშვილი (თუმანოვი), მონაწილე იყო 1832 წლის შეთქმულებისა. საგამომძიებლო კომისიამ იგი გაათავისუფლა სასჯელისგან, თუმცა დაუწესეს „სასტიკი მეთვალყურეობა" [ბერძნიშვილი 1983: 40; შეთქმულების წევრი იყო მიხეილის ძმაც – გიორგი ბირთველის ძე თუმანიშვილი (ორბელიანი 2023ᵇ: 491-492)]. მიხეილ თუმანიშვილის შესახებ, აგრეთვე, ლიტერატურა მასზე იხ. ჯოლოგუა 2022ᵃ: 38-39.

[1] (გვ. 66) **„14 კითხვა მომირთმევია“** – *14 კითხვის შესახებ* იხ. აქვე, გვ. 336.

[2] (გვ. 66) **„იქ ახლოს მექნება ამ ზაფხულს ბინა“** – იგულისხმება *ქვიშხეთი.*

## 25. ალექსანდრე დავითის ძე [ორბელიანისადმი]
(გვ. 66-69)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №771. ავტოგრაფი. შავი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **ნაბეჭდი:** შ. ჩხეტია. საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში. თბილისი: საქართველოს სსრ შსს საარქივო სამმართველო. 1950, გვ. 118-119. უთარიღო. ხელმოუწერელი.

***დათარიღებულია*** შ. ჩხეტიას მიერ: „[წერილი] შინაარსის მიხედვით, შედგენილია 1862 წლის მაისის თვეში 1 რიცხვის შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს მაისის 23-ისა: მაისის 24 ყიფიანმა, როგორც ჩანს მისი წერილიდან კრუზენშტერნისადმი (იხ. აქვე, გვ. 69-70 – თ. ჯ.), უარი განაცხადა საგლეხო რეფორმაში მონაწილეობაზე თანამდებობიდან მისი გადაყენების გამო. ამ საბუთის დაწერის დროს კი დ. ყიფიანმა, ცხადია, არაფერი არ იცოდა სამსახურიდან გადაყენების შესახებ. ადრესატის გვარი (ორბელიანი) საბუთში აღნიშნული არ არის – გამორკვეულია სხვა საბუთების მიხედვით“ (ჩხეტია 1950: 119). ***ადრესატის*** საკითხი შ. ჩხეტიას მიერ სწორად არის გამორკვეული: წერილი, მისი შინაარსის მიხედვით, გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლისადმია გაგზავნილი, წინამძღოლი კი ამ დროს ალ. დ. ორბელიანია.

ხელნაწერს თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია: „Не состоялось“ („არ შედგა“). **იბეჭდება დედნიდან.**

იმ საკითხის შესახებ, რომელსაც წინამდებარე წერილი ეხება (საგლეხო რეფორმის პროექტი), იხ. აქვე, გვ. 335.

წერილის ადრესატია გენერალ-მაიორი („კავკასიის“ ომის მონაწილე), თბილისის გუბერნიის (ქართლ-კახეთის) თავადაზნაურობის წინამძღოლი (1857-1864) ***ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანი*** (გარდ. 1869), რომელიც სიცოცხლის ბოლო წლებში იყო იმპერატორ ალექსანდრე II-ის ფლიგელ-ადიუტანტი, ცხოვრობდა პეტერბურგში, ხოლო გარდაიცვალა იალტაში 1869 წლის დეკემბერში (მისი და იმავე დღეებში თბილისში გარდაცვლილი *ალექსანდრე* ***ვახტანგის ძე*** *ორბელიანის* ნეკროლოგები იხ. მნათობი 1869: 9-12). ალ. დ. ორბელიანი მშობლებთან, მანანა და დავით ორბელიანებთან, ერთად დაკრძალულია კუმისის წმ. სამების ეკლესიაში, ორბელიანთა საგვარეულო აკლდამაში (ჯოლოგუა 2022ა: 142-143; მანანა და დავით ორბელიანების ეპიტაფიები იხ. ლოლაშვილი 1980: 104).

[1] (გვ. 68) **„სიღნახის უეზდის მარშალმა...“** – *სიღნაღის უეზდის* (მაზრის) თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი“) ამ დროს არის პოდპოლკოვნიკი *სოლომონ ივანეს ძე ანდრონიკაშვილი* (კავკაზსკი კალენდარ 1861: 339)

[2] (გვ. 68) **„თელავის მარშალმა...“** – იგულისხმება თელავის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი“) შტაბსკაპიტანი (შემდგომში გენერალ-მაიორი) *იოსებ რევაზის ძე ჯორჯაძე* (კავკაზსკი კალენდარ 1861: 339).

## 26. ალექსი კრუზენშტერნისადმი
(გვ. 69-70)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №747. უცნობი ხელით ნაწერი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **ნაბეჭდი:** შ. ჩხეტია. საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში. თბილისი: საქართველოს სსრ შსს საარქივო სამმართველო. 1950, გვ. 120. **თარიღი:** 1862 წ. 24 მაისი. ხელმოუწერელი.

შ. ჩხეტიას მიხედვით, „დედანი დაცულია [საქართველოს სახელმწიფო] არქივში (ფონ. 28, საქ. 5530, ფურ. 1)“. იქვე პუბლიკატორი იმოწმებს დედნის არშიაზე მინაწერს (რუსულ ენაზე): „თავად გრ. დიმ. (ორბელიანის – თ. ჯ.) აზრით, იმ მიზეზთა გამო, მეფისნაცვლისთვის რომ არის ცნობილი, ფორმალურად უნდა შევთავაზოთ: ან სამეფისნაცვლოს გარეთ მოძებნოს სამსახური, ან გამოგზავნოს თხოვნა გადადგომის შესახებ“ (ჩხეტია 1950: 120; ჩვენ ამ დედანს, მიუხედავად დაცულობის მითითებისა, ვერ მივაკვლიეთ).

წერილი ეხება ალ. ბარიატინსკის მიერ მეფისნაცვლის საბჭოს წევრობიდან და, საერთოდ, სახელმწიფო სამსახურიდან დიმ. ყიფიანის დათხოვნას (იხ. აქვე, გვ. 321-322).

ადრესატის, ამიერკავკასიის მხარის მთავარსამმართველოს უფროსის (1858-1863), *ალექსი თედორეს ძე კრუზენშტერნის,* შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 395-396.

[1] (გვ. 70) **„დაუყოვნებლივ ვიხსნი სამეგრელოს მთავრის ქონების მეურვისა და ტფილისის საგუბერნიო გიმნაზიის საპატიო მზრუნველის უფლებამოსილებებს“** – დიმ. ყიფიანმა არაერთხელ სთხოვა როგორც ალ. ბარიატინსკისა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებს, ისე ეკატერინე დადიანს, გაეთავისუფლებინათ სამეგრელოს მცირეწლოვანი მთავრის ადგილ-მამულისა და ქონების მეურვეობის მძიმე ტვირთისგან, მაგრამ ეკატერინე დადიანის ხვეწნა-მუდარის შემდეგ მას ყოველ ჯერზე ამ თხოვნის უკან წაღება უწევდა. რაც შეეხება თბილისის გიმნაზიის საპატიო მზრუნველის (Почетный попечитель) თანამდებობას, დიმ. ყიფიანი თავადაზნაურობის მიერ გიმნაზიის მზრუნველად არჩეული იყო 1851 წლიდან (დაამტკიცეს 1851 წ. 31 დეკემბერს, პრაქტიკულად საქმეს 1852 წ. იანვრიდან შეუდგა). მიუხედავად სახელმწიფო სამსახურიდან დათხოვნისა, იმავე თავადაზნაურობის თხოვნით, დიმ. ყიფიანი გიმნაზიის მზრუნველად 1864 წლამდე დარჩა (სამ-სამწლიანი ვადით აირჩიეს ოთხჯერ. საკითხის, მათ შორის, მზრუნველის უფლება-მოვალეობების შესახებ იხ. ყიფიანი 2020: 234-235; ჯოლოგუა 2002: 201-203).

## 27. ივანე ანდრონიკაშვილისადმი
(გვ. 70)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №669. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 1. **ნაბეჭდი:** ელ. აბრამიშვილი. დ. ყიფიანისა და გრ. ორბელიანის რამდენიმე უცნობი წერილი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მ ო ა მ ბ ე. III. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. 1961, გვ. 157; დიმიტრი ყიფიანი – 200. პროექტის ავტორი და კრებულის შემდგენელი ბ. კობაძე. თბილისი: სვეტი. 2014, გვ. 841. **თარიღი:** 1862 წ. 24 მაისი. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

ტექსტს თავზე უცნობი (უნდა ვიფიქროთ, ივ. ანდრონიკაშვილის) ხელით აწერია (რუსულ ენაზე): „მიღებულია 31 მაისს 1862“.

***იბეჭდება დედნიდან.***

[1] (გვ. 70) **„მონდობა ბატონყმობის საქმისა ვაითუ კნიაზმა ნამესტნიკმა იწყინოს და ამითი საქმესაც ევნოს“** – ა) *მონდობა ბატონყმობის საქმისა.* იგულისხმება საგლეხო რეფორმის პროექტი (იხ. აქვე, გვ. 335); ბ) *ვაითუ კნიაზმა ნამესტნიკმა იწყინოს.* მეფისნაცვალ (ნამესტნიკ) ალ. ბარიატინსკის ამ დროს დიმ. ყიფიანის სამსახურიდან დათხოვნა ჰქონდა გადაწყვეტილი (იხ. აქვე, გვ. 321-322).

[2] (გვ. 70) **„ამ თთვის 16-ის წიგნით რომ დარიგებასა გკითხავდით“** – იხ. წერილი №23.

## 28. მიხეილ თუმანიშვილისადმი
(გვ. 71)

**ხელნაწერი:** ხეც. მიხეილ თუმანიშვილის არქ., საქ. №1003. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 1. **ნაბეჭდი:** მიხ. ხელთუბნელი. სალიტერატურო-საზოგადოებრივი წარსულიდან (მიხეილ

თუმანიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა). თბილისი: ფედერაცია. 1938. **თარიღი:** 1862 წ. 24 მაისი. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

იმეორებს იმავე თარიღით ივ. ანდრონიკაშვილისთვის გაგზავნილ წერილს (იხ. წერილი №27). **იბეჭდება დედნიდან.**

ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 337.

## 29. ალექსი კრუზენშტერნისადმი
(გვ. 71-72)

**ნაბეჭდი**: შ. ჩხეტია. საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში. თბილისი: საქართველოს სსრ შსს საარქივო სამმართველო. 1950, გვ. 121. **თარიღი:** 1862 წ. 28 მაისი. **ხელმოწერა:** Димитрий Кипиани.

საკითხის შესახებ იხ. აქვე, გვ. 321-322.

ადრესატის, ამიერკავკასიის მხარის მთავარსამმართველოს უფროსის (1858-1863), *ალექსი თედორეს ძე კრუზენშტერნის,* შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 395-396.

[1] (გვ. 71) **„მეფისნაცვლის წერილის იმ მონაკვეთში, თქვენ რომ გამომიგზავნეთ“** – მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკის 1862 წ. 26 აპრილის წერილის მონაკვეთი, რომელიც ა. კრუზენშტერნმა დიმ. ყიფიანს იმავე წლის 23 მაისს გაუგზავნა, იხ. ჩხეტია 1950: 120.

[2] (გვ. 71) **„გრიგოლ დიმიტრის ძეს...“** – იგულისხმება *გრიგოლ ორბელიანი,* რომელიც მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკის საზღვარგარეთ ყოფნის გამო მის მოვალეობას ასრულებდა. გამოქვეყნებულია გრ. ორბელიანის 1862 წ. 31 მაისის მიმართვა პეტერბურგში „კავკასიის კომიტეტისადმი“ თანამდებობიდან დიმ. ყიფიანის გათავისუფლებაზე უმაღლესი ნებართვის გამოთხოვის შესახებ (ჩხეტია 1950: 121), აგრეთვე, გრ. ორბელიანისადმი „კავკასიის კომიტეტის“ 1862 წ. 22 ივნისის მიმართვა, რომელშიც ნათქვამია: „თქვენი

ბრწყინვალების ყოვლადუქვეშევრდომილესი მიმართვის საფუძველზე ხელმწიფე იმპერატორმა ყოვლადმოწყალედ ბრძანა: კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი, ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი ყიფიანი გათავისუფლდეს თანამდებობიდან და, საერთოდ, [სახელმწიფო] სამსახურიდან საკუთარი სურვილით, ხოლო [საბჭოს წევრის] მუნდირის ტარების უფლება შეუნარჩუნდეს. უმაღლესი ბრძანება მმართველ სენატს აღსასრულებლად გადაეცა ა. წ. 21 ივნისს“ (ჩხეტია 1950: 121-122). თვითონ დიმ. ყიფიანი თავს სამსახურიდან არა *საკუთარი სურვილით გასულად*, არამედ *გაძევებულად* მიიჩნევდა (იხ. აქვე, მისი 1863 წ. 5 ივლისის წერილი პეტრე ლადინსკისადმი).

## 30. სოლომონ [ანდრონიკაშვილისადმი]

(გვ. 72)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №675. უცნობი ხელით გადაწერილი ასლი. ქართულ ენაზე. ფ. 1. **ნაბეჭდი:** ელ. აბრამიშვილი. დ. ყიფიანისა და გრ. ორბელიანის რამდენიმე უცნობი წერილი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მ ო ა მ ბ ე. III. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. 1961, გვ. 158; დიმიტრი ყიფიანი – 200. პროექტის ავტორი და კრებულის შემდგენელი ბ. კობაძე. თბილისი: სვეტი. 2014, გვ. 843. **თარიღი:** 1862 წ. 8 ივნისი. ქუთაისი. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

ტექსტს თავზე აწერია – „Копио“ (ასლი). ***იბეჭდება ხელნაწერიდან***.

წერილში ***ადრესატის*** მხოლოდ სახელი და მამის სახელია (სოლომონ ივანიჩ) მითითებული. გვარის გამოსარკვევად შეიძლება მოვიშველიოთ ის გარემოება, რომ იმ პირთა შორის, რომლებთანაც დიმ. ყიფიანს საგლეხო რეფორმასთან დაკავშირებულ საკითხებზე მიმოწერა ჰქონდა, ამ სახელისა და მამის სახელისა მხოლოდ *სო-*

*ლომონ ივანეს ძე ანდრონიკაშვილია.* ამასთანავე, ს. ანდრონიკაშვილს შეეძლო *„უეზდის მაგიერად“* (მაზრის სახელით) ელაპარაკა, რადგანაც იგი სიღნაღის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი იყო [გუბერნიაში შემავალი სხვა მაზრების წინამძღოლები იმ დროს იყვნენ: თბილისისა – *ზაქარია (ზაალ) დავითის ძე ბარათაშვილი,* თელავისა – *იოსებ რევაზის ძე ჯორჯაძე,* გორისა – *ალექსანდრე შანშეს ძე ერისთავი).* დასაბუთების გარეშე ადრესატად სოლომონ ივანეს ძე ***ანდრონიკაშვილია*** მითითებული ე. კელენჯერიძის აღწერილობაშიც (იხ. დიმიტრი ყიფიანის პირადი არქივის აღწერილობა, შედგენილი ე. კელენჯერიძის მიერ (გვ. 82). ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სამკითხველო დარბაზი].

პოლკოვნიკი ***სოლომონ ივანეს ძე ანდრონიკაშვილი*** იყო ძმა თბილისის გუბერნის თავადაზნაურობის წინამძღოლის (1870-1878), რევაზ ანდრონიკაშვილისა. თვითონ იგი კი სიღნაღის მაზრის თავადაზნაურობას წინამძღოლობდა 1848-1866 წლებში. ამის თაობაზე ს. ანდრონიკაშვილი 1862 წ. წერს: „1848 წელს ამომარჩია სიღნაღის უეზდის კეთილშობილთ საზოგადოებამ თავისს წინა-მძღვრად, რომლის თანამდებობაში აქამდინ ვიმყოფები“ (ანდრონიკაშვილი 1862: 56). ს. ანდრონიკაშვილსა და მის მეუღლეს, *ნინო სოლომონის ას. ჩოლოყაშვილს,* ბაკურციხეში, საკუთარ მამულში, ჰქონდათ მდიდარი და მრავალფეროვანი მეურნეობა, აბრეშუმის ფაბრიკა თავისი თუთის პლანტაციებითა და სხვ.; ხეც-ში (დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №№916-926) დაცულია ს. ანდრონიკაშვილის ბარათები დიმ. ყიფიანისადმი, მიწერილი 1861-1867 წწ.; 1869 წელს დიმ. ყიფიანი ნინო ჩოლოყაშვილს საჩუქრად უგზავნის თავის ბროშურას „სამეგრელოს მთავრის სახლი და დიმიტრი ყიფიანი“ (ყიფიანი 2021: 188).

სოლომონ ანდრონიკაშვილისა და მისი სამეურნეო საქმიანობის შესახებ იხ.: ანდრონიკაშვილი 1862: 53-60; აბრამიშვილი 1968: 152-156 [აქ ავტორს შეცდომით აქვს მითითებული (და ჩვენც – წინა ტომებში გამეორებული) ს. ანდრონიკაშვილის გარდაცვალების თარიღი (1871; უნდა იყოს: 1868) და „მარშლობის“ წლები (1847-1871; უნდა იყოს: 1848-1866).

## 31. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 73-78)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1801. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 3. **თარიღი:** 1862 წ. 14 ივნისი. ქუთაისი. ხელმოუწერელი (ფურცლებსა და არშიებზე იმდენად მჭიდროდაა ნაწერი, რომ ხელის მოსაწერი ადგილი არ არის დარჩენილი).

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

**ტექსტში გამოყენებული რუსული სიტყვები ნიშნავს** (მოგვყავს ანბანური რიგით):

**ატჩოტი** – *Отчёт:* ანგარიში, ანგარიშგება.

**ვოპროსები** – *Вопрос:* კითხვა.

**ოკრუგი** – *Округ:* ოლქი.

**ოკრუჟნი უპრავლენიე** – *Окружное управление:* საოლქო მმართველობა.

**პოპეჩიტელობა** – *Попечительство:* მზრუნველობა (მზრუნველის თანამდებობა).

**სეკრეტარი** – *Секретарь:* მდივანი.

**სოვეტი** – *Совет:* საბჭო.

**უეზდი** – *Уезд:* მაზრა.

[1] (გვ. 73) **„არ ვიცი, სად მოგწეროთ"** – ეკატერინე დადიანი ამ დროს შვილებითა და ამალით საზღვარგარეთ (პარიზში) იმყოფებოდა.

[2] (გვ. 73) **„კოლუბაკინს..."** – სამეგრელოს მმართველი *ნიკოლოზ კოლიუბაკინი,* რომელთანაც (ისევე, როგორც მის ძმასთან, მიხეილ კოლიუბაკინთან) დიმ. ყიფიანს სამეგრელოს სამთავრო სახლის უფლებებთან დაკავშირებით განუწყვეტელი შეტაკებები ჰქონდა (ყიფიანი 2023: 339-340, 404-405).

[3] (გვ. 73) **„ჭილაევს..."** – *მიხეილ (მიშელ) ჭილაშვილი (ჭილაევი, ჩილაევი, ჩილიაევი),* სამეგრელოს მმართველი 1862-1865 წწ. (ამ თა-

ნამდებობაზე ნიკ. კოლიუბაკინი შეცვალა), საიდუმლო მრჩეველი (Тайный советник), დიმ. ყიფიანის ცოლისძმა, კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორის (1851-1856), მიხ. შჩერბინინის, სიძე (მეუღლე *მარიამ მიხეილის ას. შჩერბინინასი.* შთამომავლობა არ დარჩენიათ). მიხ. ჭილაშვილი პეტერბურგში დაიბადა, იქვე მიიღო იურიდიული განათლება. 1840-იანი წლებიდან კი საქართველოში მოღვაწეობდა (მეფისნაცვლის საგანგებო დავალებათა აღმასრულებელი, სამეგრელოს მმართველი, მეფისნაცვლის საბჭოს წევრი, კავკასიის საბაჟო-საკარანტინო სამმართველოს უფროსი...). მონაწილეობდა კულტურულ ღონისძიებებში (გ. ერისთავის „გაყრის" 1850 წ. 2/14 იანვრის ისტორიულ წარმოდგენაში შეასრულა გაბრიელის როლი, ითამაშა (მიხეილის როლი) იმავე გ. ერისთავის „დავაში" (გერსამია 1950: 58-59, 70), იყო კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების წევრი და სხვ.). დაცულია მისი 1861-1863 წწ. წერილები დიმ. ყიფიანისადმი (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №№1771-1778). გარდაიცვალა თბილისში, დაკრძალულია მამაპაპისეულ მილახვრიანთკარში.

[4] (გვ. 74) **„მებატონეთ საზოგადოობა უნდა შეკრებილიყო ბატონყმობისათვის ... მრთელმა გუბერნიამ მარტო მე მომანდო ეს საქმე"** – იგულისხმება საგლეხო რეფორმის (ბატონყმობის გაუქმების) პროექტი, რომლის შედგენა ქართლ-კახეთის თავადაზნაურობამ დიმ. ყიფიანს დააკისრა (საკითხის შესახებ იხ. აქვე, გვ. 335).

[5] (გვ. 74) **„ვოპროსების წერას მოუნდი"** – იგულისხმება ის კითხვები, რომლებიც დიმ. ყიფიანმა ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის წარმომადგენლებს დაუგზავნა (იხ. აქვე, 336).

[6] (გვ. 74) **„მომივიდა კრუზენშტერნის წიგნი ... სტარიცკი დაჰნიშნეთ მის ადგილსო"** – ა. კრუზენშტერნის 1862 წ. 23 მაისის *წიგნი* (წერილი) დიმ. ყიფიანისადმი იხ. ჩხეტია 1950: 120.

[7] (გვ. 74) **„მეორეს დღეს მივსწერე ... ოპეკუნობასაც მეთქი"** – იხ. წერილი №26.

[8] (გვ. 74) **„მეორეს დღეს საზოგადოობას ვაცნობე ... პატიოსნების ვალად ვრაცხ უარის ყოფასა მეთქი"** – იხ. წერილები №№27, 28.

[9] (გვ. 75) **„მენგრელიის სოვეტში..."** – იგულისხმება *სამეგრელოს მმართველობის საბჭო,* რომელიც დავით დადიანის გარდაცვალე-

ბის (1853) შემდეგ შეიქმნა, ხოლო 1857 წ. მის საფუძველზე ალ. ბარიატინსკიმ ახალი საბჭო შექმნა (საბჭოს, აგრეთვე მისი თავდაპირველი და მომდევნო შემადგენლობების შესახებ იხ. ყიფიანი 2020: 358-359).

10 (გვ. 75) **„ორივე სახუცესები აქ იყვნენ მაშინ, დათიკაც და დათაც"** – ამ დროს სამეგრელოში ორი *სახუცესი* (სახლთუხუცესი) იყო: ნიკოლოზ დადიანისა და სამთავრო სახლისა – ***დავით ოტიას ძე ჩიქოვანი*** და ეკატერინე დადიანისა – ***დავით (დათიკა) სალიკის ძე ჩიქოვანი.***

11 (გვ. 75) **„ამასთანავე გიგზავნით"** – მელიტონ დადიანის წიგნი ეკატერინე დადიანისადმი, რომელიც ჩვენს ხელთ არა გვაქვს, დიმ. ყიფიანმა ადრესატს მოგვიანები (18 ივნისს) გაუგზავნა (იხ. მომდევნო წერილი №32).

12 (გვ. 75-76) **„ჯეროვანის ქრთამით მეც მებოძოსო"** – *ქრთამი* აქ *საზღაურს (გასამრჯელოს)* ნიშნავს („ქრთამი: ... გასამრჯელო საქმის გარიგების ან რაიმე სამსახურის გაწევისთვის" – ქეგლ 1962: 358).

13 (გვ. 76) **„არჩილს ცოლი მოუკვდა"** – *არჩილი:* იგულისხმება *არჩილ დადიანი* (მის შესახებ იხ. აქვე, გვ. 329).

14 (გვ. 76) **„რაც ირაკლის ეძლეოდა..."** – *ირაკლი:* იგულისხმება თავდაპირველად ეკატერინე დადიანის მდივანი, შემდეგ კი სამთავრო ოჯახის მამულებისა და ქონების მოურავი (მმართველი) *ირაკლი ლორთქიფანიძე* (მის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 426-427).

15 (გვ. 76) **„კოსტანტინე ნიჟარაძე, რომელსაც დიდი ხანია ვიცნობ, რადგან სიძეა ჩემი"** – კონსტანტინე ნიჟარაძეს ცოლად ჰყავდა დიმ. ყიფიანის ბიძაშვილი *ეფემია (ფეფენა) დავითის ას. ყიფიანი* (იხ. კოტე ყიფიანის მიერ შედგენილი „აზნაურთ ყიფიანების ჩამომავლობის შტო". სთმკქმ. კოტე ყიფიანის არქ., №1469 (1)].

16 (გვ. 76) **„განმრჩობლებული"** – გაორკეცებული („მრჩობლი: ორი, გინა ორკეცი" – ორბელიანი 1965: 524).

17 (გვ. 77) **„ჩემს სოფელში"** – იგულისხმება *ქვიშხეთი.*

18 (გვ. 78) **„ნიკოს, ანდრიას და სალომეს..."** – დავით და ეკატერინე დადიანების შვილები (იხ. აქვე, გვ. 330).

[19] (გვ. 78) **„ეს არის ეხლა მომივიდა კოსტანტინეს წიგნი“** – *კოსტანტინე:* იგულისხმება *კონსტანტინე ლევანის ძე დადიანი,* ეკატერინე დადიანის მაზლი, რომელიც ხანგამოშვებით პეტერბურგსა და საზღვარგარეთ თან ახლდა თავის რძალს.

[20] (გვ. 78) **„მელიტონ იყო კიდევ ჩემთან და იხვეწება, 2000 მანათით მიმსახურეთო და ნუ ჩამომართმევთ ჩიჩუას მამულსო“** – მელიტონ დადიანის საქმე მორიგებით ვერ დასრულდა და მოგვიანებით დავას ოფიციალური ხასიათი მიეცა (იხ. აქვე, გვ. 114).

## 32. ეკატერინე დადიანისადმი

(გვ. 78-79)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1802. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1862 წ. 18 ივნისი. ქუთაისი. **ხელმოწერა:** დ. ყიფიანი.

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 78) **„მელიტონის წიგნი დამრჩა გამოუგზავნელად“** – ავტორს მხედველობაში აქვს *მელიტონ დადიანის* წერილი ეკატერინე დადიანისადმი (იხ. აქვე, გვ. 75).

[2] (გვ. 78) **„არჩილმა დიდად იწყინა თანამდებობიდამ დათხოვნა“** – იგულისხმება *არჩილ დადიანი,* რომელიც სამეგრელოს სამთავრო სახლის სახლთუხუცესი იყო 1866 წლიდან (ყიფიანი 2023: 476-479), თუმცა ძნელია დარწმუნებით თქმა, თუ რა თანამდებობა ეკავა მას წინამდებარე წერილის დაწერის დროს. დიმ. ყიფიანი ეკატერინე დადიანს 1862 წ. 14 ივნისს სწერს (იხ. წერილი №31): არჩილ დადიანი მეუბნება, „რაც ირაკლის (ლორთქიფანიძეს – თ. ჯ.) ეძლეოდა, მეც რათ არ მეძლევაო“. ირაკლი ლორთქიფანიძე კი 1857-1859 წწ. სამეგრელოს სამთავრო ოჯახის მამულებისა და ქონების მოურავი (მმართველი) იყო (ყიფიანი 2023: 426). უნდა ვიფიქროთ, არჩილ დადიანსაც ეს თანამდებობა უნდა სჭეროდა.

[3] (გვ. 79) **„აწერია ... ნადობა და მუშაობა“** – იგულისხმება საგადასახადო ვალდებულებები (ნადობის შესახებ იხ. ერისთავი 1927: 95).

[4] (გვ. 79) **„სამიოდ დღეზედ ჩემს სოფელში ამოვიდე და იქ მექნება მოლოდინი თქვენის ამბისა, – სურამს“** – *ჩემს სოფელში* იგულისხმება *ქვიშხეთი,* ხოლო რაც შეეხება *სურამს,* ქვიშხეთიდან უახლოესი ფოსტა, სადაც წერილების მიღება შეიძლებოდა, სურამი იყო.

## 33. კონსტანტინე ორლოვსკისადმი
(გვ. 79-81)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №777. უცნობი ხელით ნაწერი (დიმ. ყიფიანის ავტოგრაფული ხელმოწერით). შავი. რუსულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1862 წ. 9 ივლისი. ქვიშხეთი. **ხელმოწერა:** Д. Кипиани.

ტექსტი ეხება დიმ. ყიფიანის ბორჯომის მამულს (საკითხის შესახებ იხ. აქვე, გვ. 17-24). მასში ადრესატის მხოლოდ სახელი და მამის სახელია მითითებული, თუმცა თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია (რუსულ ენაზე): „ტფილისის სამოქალაქო გუბერნატორს“. თბილისის სამოქალაქო გუბერნატორი კი ამ დროს არის *კონსტანტინე ორლოვსკი.*

წერილის ადრესატი, როგორც ითქვა, არის ***კონსტანტინე ივანეს ძე ორლოვსკი*** (1810-1876), ეროვნებით პოლონელი (დაიბადა და გაიზარდა ბესარაბიაში), საიდუმლო მრჩეველი (Тайный советник); საქართველოში ჩამოვიდა 1834 წელს, დარჩენილი სიცოცხლე გაატარა კავკასიაში და აქვე, თბილისში, გარდაიცვალა. სხვადასხვა დროს მსახურობდა მთავარსამმართველოს კანცელარიაში, იყო ერევნის მაზრის მოსამართლე, ერევნის გუბერნატორის მრჩეველი... 1860 წ. დაინიშნა თბილისის სამოქალაქო გუბერნატორად და ამ თანამდებობაზე გარდაიცვალა 1876 წ. 8 მარტს [დროება 1876; დაკრძა-

ლულია თბილისშივე, კათოლიკურ სასაფლაოზე (კავკაზ 1876)]. კ. ორლოვსკისა და დიმ. ყიფიანს მრავალი წლის სამსახურებრივი და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ. შვილი დიმ. ყიფიანისა, ნიკოლოზ ყიფიანი, იგონებს: „მახსოვს, გუბერნატორი ორლოვსკი, რაკი რამე ძნელი საგანი შეხვდებოდა თავის გუბერნატორობაში, მოადგებოდა ხოლმე მამა-ჩემს. თვითონ ძალიან ჭკუიანი და ძალიან გამჭრიახი, ყოვლისფერში გამოცდილი იყო ორლოვსკი (რუსულად რომ იტყვიან – Человек тонкого ума), მაგრამ მაინც უყვარდა თავისი აზრები, თავის საწადელები და პროექტები გაეზიარებია დიმ. ყიფიანისათვის“ (ყიფიანი 1894: 87).

კ. ორლოვსკი იყო დამფუძნებელი წევრი დიმ. ყიფიანის ინიციატივით დაარსებული „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკისა“ (1842-1848 წწ.; იხ. ჯოლოგუა 2022ა: 48-49).

[1] (გვ. 80) **„იძულებულნი გახდნენ, შთამომავლობითი ქონება ჩალის ფასად გაეყიდათ“** – ავალოვებმა თავიანთი ბორჯომის ხეობის ვრცელი მამული ჩალის ფასად იმიტომ გაყიდეს, რომ 1830-იანი წლებიდან გალატაკებულნი იყვნენ, ზოგიერთი მათგანი კი ვალებსაც ვერ ისტუმრებდა (იხ. ყიფიანი 2023: 74-76).

## 34. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 81-83)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1803. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1862 წ. 11 აგვისტო. სოფ. ქვიშხეთი. **ხელმოწერა:** დ. ყიფიანი.

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

**ტექსტში გამოყენებული რუსული სიტყვები ნიშნავს:**
**პამიატნიკი** – *Памятник:* ძეგლი.

**სვიტა** – *Свита:* ამალა.

**სუმმა** – *Сумма:* თანხა.

[1] (გვ. 81) **„ინტერლაკიდამ...“** – ქალაქი *ინტერლაკენი* შვეიცარიაში.

[2] (გვ. 81) **„კოსტანტინეს უნდა მივმართო ხოლმე“** – *კოსტანტინე:* ეკატერინე დადიანის მაზლი *კონსტანტინე ლევანის ძე დადიანი* (იხ. აქვე, გვ. 348).

[3] (გვ. 82) **„წლევანდელის ბოჭვის ბორჯი არის შემოდგომა“** – *ბოჭვის ბორჯი:* გადასახადების აკრეფის ვადა [„**ბორჯი:** ...ჯერი, რიგი, ვადა“ (ქეგლ 1950: 1109)].

[4] (გვ. 82) **„ბარატ-ს...“** – ალ. ბარიატინსკი.

[5] (გვ. 82) **„ჩემი სამსახურიდამ გამოგდების მიზეზი რაღა იყო, რატომ არა ჰკითხეთ“** – დიმ. ყიფიანის სახელმწიფო სამსახურიდან *„გამოგდების“* შესახებ იხ. აქვე, გვ. 321-322.

[6] (გვ. 82) **„ეს საქმე მე მაქვს მონდობილი და ამითი საქმესაც ევნოს და უარი მომიხსენებია მეთქი“** – ა) *საქმე:* იგულისხმება საგლეხო რეფორმის პროექტი (იხ. აქვე, გვ. 335); ბ) *უარი მომიხსენებია მეთქი* (იხ. წერილი №27).

[7] (გვ. 83) **„ხელმწიფის მობძანების დროს...“** – 1861 წლის სექტემბერში ალექსანდრე II-მ კავკასიაში (მათ შორის, დასავლეთ საქართველოში) იმოგზაურა (22 სექტემბერს ჩავიდა სოხუმში, 23-ში – ფოთში, 24-ში – ქუთაისში, 26-ში კი ეს მხარე ფოთიდან ზღვით დატოვა). ამ მოგზაურობისას მას კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელთან, გრ. ორბელიანთან, ერთად ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი ნიკ. კოლიუბაკინიც ახლდა (კავკაზ 1861). ა. ბერჟეს მიხედვით, ცხენისწყალზე ალექსანდრე II „ნავებისგან მოწყობილი ხიდით“ გადასულა (ბერჟე 2021: 68).

[8] (გვ. 83) **„პამიატნიკი დავადგმევინე ვასილიევს ოც და ათ თუმნად“** – ა) *პამიატნიკი დავადგმევინე:* იგულისხმება სამეგრელოს მთავრის, დავით დადიანის, საფლავის *ძეგლი,* რომელიც ეკატერინე დადიანმა პეტერბურგში ჩამოასხმევინა და სამეგრელოში გამოგზავნა (იხ. ყიფიანი 2021: 36, 315); ბ) *ვასილიევი:* ქუთაისის საგუ-

ბერნიო არქიტექტორი (1849 წლიდან) ***ვასილ ვასილის ძე ვასილიევი*** (იხ. „კავკაზსკი კალენდარ“ 1849 წლისა და შმდ.).

[9] (გვ. 83) **„არჩილს და დათა ჩიქოანს...“** – სამეგრელოს სამთავრო სახლისა და ეკატერინე დადიანის სახლთუხუცესები არჩილ დადიანი და დავით (დათა) ჩიქოვანი (იხ. აქვე, გვ. 329, 347, 348).

[10] (გვ. 83) **„ბატონს რომ უბძანებია...“** – იგულისხმება ალ. ბარიატინსკი.

[11] (გვ. 83) **„ნიკოს, ანდრიას და სალომეს...“** – ეკატერინე დადიანის შვილები (იხ. აქვე, გვ. 330).

[12] (გვ. 83) **„დიმიტრის...“** – ?

[13] (გვ. 83) **„ამ გაჭრელებულმა წიგნმა თვალები არ აგიჭრელოთ“** – ავტორს ფურცელზე ადგილი არ დარჩენია და ფრაზის *„ამაზედ ნუღარ ჰსწუხართ“* შემდეგ დარჩენილი ნაწილი ტექსტისა არშიებზეა ნაწერი.

## 35. მიხეილ თუმანიშვილისადმი
(გვ. 83-85)

**ნაბეჭდი**: პ. გელეიშვილი. ილია ჭავჭავაძე, როგორც პოეტი და პუბლიცისტი. თბილისი: 1914, გვ. 102-105; შ. ჩხეტია. საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში. თბილისი: საქართველოს სსრ შსს საარქივო სამმართველო. 1950, გვ. 125-126. **თარიღი:** 1862 წ. 23 აგვისტო. სოფ. ქვიშხეთი. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

წერილი ეხება საგლეხო რეფორმის პროექტს (იხ. აქვე, გვ. 335).

გადმოგვაქვს შ. ჩხეტიას პუბლიკაცია [პუბლიკატორის მიერ მითითებული მისამართი (ფონდი 6. საქ., №9, ფ. 113-114) სწორი არ არის. იქ ასეთი ხელნაწერი არ იძებნება].

ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 337.

[1] (გვ. 84) **„თვით საქმეს არა ჰვნებიყო რა...“** – ეხება ალ. ბარია-ტინსკის მიერ დიმ. ყიფიანის დათხოვნას სამსახურიდან. საგლეხო რეფორმის, ამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმის, სათავეში მეფისნაცვლის მიერ შერისხული დიმ. ყიფიანის ყოფნას შეიძლებო-და თვითონ ამ საქმისთვის მიეყენებინა ზიანი.

[2] (გვ. 84) **„ივლისში...“** – პ. გელეიშვილის პუბლიკაციაში: „თფი-ლისში...“ [„თფილისში სიღნაღის უეზდის მებატონეთაგან ქალალდი მომივიდა...“ (გელეიშვილი 1914: 103)].

[3] (გვ. 84) **„გუბერნიის მარშალს...“** – იგულისხმება *ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანი.*

[4] (გვ. 84) **„კნიაზსა გრიგოლ დიმიტრის-ძეს...“** – იგულისხმება *გრიგოლ ორბელიანი,* რომელიც მეფისნაცვლის საბჭოს თავმჯდო-მარე იყო და იმ დროს ალ. ბარიატინსკის საზღვარგარეთ ყოფნის გამო მის მოვალეობას ასრულებდა.

## 36. მიხეილ თუმანიშვილისადმი
(გვ. 85)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №336. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **ნაბეჭდი**: შ. ჩხეტია. საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში. თბილისი: საქართველოს სსრ შსს საარქივო სამმართველო. 1950, გვ. 128. **თარიღი:** 1862 წ. 25 სექტემ-ბერი. ხელმოუწერელი.

ხელნაწერს თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია (რუსულ ენაზე): „გადაეცა თავად მიხ. ბირთ. თუმანოვს“.

წერილი ეხება საგლეხო რეფორმის პროექტს (იხ. აქვე, გვ. 335).

მიხ. თუმანიშვილის 1862 წ. 13 ოქტომბრის პასუხი მე-8 პუნქტის შესახებ იხ. ჩხეტია 1950: 130-133.

ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 337. **იბეჭდება დედნიდან.**

[1] (გვ. 85) **„მემამულეებს „პრიკაზისა“ რომ მართებთ“** – *„პრიკაზი“:* მიხ. ვორონცოვის ინიციატივით დაარსებული საკრედიტო დაწესებულება (საადგილმამულო ბანკი) „Закавказский приказ общественного призрения“ („ამიერკავკასიის საზოგადოებრივი სამზრუნველო დაწესებულება“. შემოკლებულად – „პრიკაზი“), რომელიც იმპერატორ ნიკოლოზ I-ის მიერ დამტკიცდა 1848 წ. მაისში, პრაქტიკულ საქმიანობას კი 1849 წ. 1 თებერვლიდან შეუდგა („პრიკაზის“ შესახებ იხ.: ყიფიანი 2017: 232; ვრცლად – გუგუშვილი 1956: 265-307).

## 37. ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანისადმი
(გვ. 86-89)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №772. უცნობი ხელით ნაწერი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 3. **ნაბეჭდი**: პ. გუგუშვილი. ქართული ჟურნალისტიკა (საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის). თბილისი: სახელგამი. 1941, გვ. 397-398; შ. ჩხეტია. საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში. თბილისი: საქართველოს სსრ შსს საარქივო სამმართველო. 1950, გვ. 128-130. **თარიღი:** 1862 წ. 7 ოქტომბერი. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

შ. ჩხეტიას წინამდებარე წერილი გამოქვეყნებული აქვს, როგორც ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ტექსტი (ჩხეტია 1950: 128-129). სინამდვილეში ეს ერთი ტექსტია: ა) ძირითადი ნაწილი (უშუალოდ წერილი) და დანართი (14 კითხვა და დასკვნითი ნაწილი).

დიმ. ყიფიანის იმავე შინაარსის წერილი, მიწერილი კონსტანტინე მამაცაშვილისადმი, იხ. გელეიშვილი 1914: 106-107 (იქვე მოსდევს კ. მამაცაშვილის პასუხი); მიხ. თუმანიშვილის 1862 წ. 13 ოქტომბრის პასუხი მე-8 პუნქტის შესახებ იხ. ჩხეტია 1950: 130-133.

წერილი ეხება საგლეხო რეფორმის პროექტს (იხ. აქვე, გვ. 35).

ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 339.

## 38. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 89-90)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1804. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1862 წ. 30 ოქტომბერი. ზუგდიდი. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 89) **„ვაითუ საწყენად დარჩენიყო თქვენს მწყალობელს მეგობარს და მწყალობელს ბატონს“** – *ბატონს:* იგულისხმება *ალ. ბარიატინსკი. „მწყალობელი“* აქ ირონიულადაა ნათქვამი, რადგან ალ. ბარიატინსკი ყოველმხრივ ცდილობდა სამეგრელოს სამთავრო სახლის უფლებათა დაკნინებასა და შემდეგ – გაქრობას, დიმ. ყიფიანი კი რამდენიმე თვის დათხოვნილი ჰყავდა სამსახურიდან (იხ. აგრეთვე, აქვე, 1862 წ. 11 აგვისტოს წერილი ეკატერინე დადიანისადმი №34).

[2] (გვ. 90) **„მავალე“** – ასეა დედანში! ნიშნავს *მევალეს.*

[3] (გვ. 90) **„ნიკოს, ანდრიას და სალომეს...“** – ეკატერინე დადიანის შვილები (მათ შესახებ იხ. აქვე, გვ. 330).

## 39. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 90-91)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1805. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ბოლონაკლული. **თარიღი:** 1862 წ. 5 ნოემბერი. ზუგდიდი.

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 91) **„გიორგი ბატონიშვილის მეტს...“** – იგულისხმება *გიორგი ნიკოლოზის („დიდი ნიკოს“) ძე დადიანი.*

[2] (გვ. 91) **„პეტრეც აქ არის ახლა"** – იგულისხმება *პეტრე დადიანი,* ძმა გიორგი დადიანისა.

[3] (გვ. 91) **„ნათლიები ვართ [.....]"** – წერილი, როგორც ზემოთ ითქვა, ბოლონაკლულია.

## 40. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 91-92)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1806. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1862 წ. 20 ნოემბერი. ზუგდიდი. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 91) **„ამ ფოჩტით უგზავნი ბარონ ფინოს 5000 მანათს"** – საფრანგეთის კონსულის, *ანტუან დე ფინოსადმი,* დიმ. ყიფიანის მიმართვა იხ. აქვე, მომდევნო (№41) წერილი.

[2] (გვ. 91) **„პეტრე ... მოსურნე არის, რომ გამობრუნდეს, მაგრამ გამიხსენებენო, ეს აშინებს"** – *პეტრე:* იგულისხმება *პეტრე ნიკოლოზის („დიდი ნიკოს") ძე დადიანი,* რომელიც ძმებთან (გიორგისთან, ბესარიონთან) ერთად თავიდან ოპოზიციაში ედგა დავით დადიანსა და, შესაბამისად, სამთავრო ოჯახსაც (ბოროზდინი 1934: 76, 81).

## 41. ანტუან დე ფინოსადმი
(გვ. 92-93)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №799. ავტოგრაფი. შავი. ფრანგულ ენაზე (თარგმნა ც. ბიბილეიშვილმა). ფ. 1. **თარიღი:** 1862 წ. 20 ნოემბერი. ხელმოუწერელი.

თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია (რუსულ ენაზე): „ბარონ ფინოს“.

წერილის ადრესატია ბარონი ***ანტუან დე ფინო***, საფრანგეთის კონსული თბილისში 1856-1870-იან წწ. (ფინოს შესახებ იხ.: დიუმა 1970: 102, 251, 266-267, 293-296; კავკასიის ფრანგული... 2018: 46, 47, 61, 76, 128, 145).

დაცულია ბარონ ფინოს ორი პასუხი დიმ. ყიფიანისადმი, მიწერილი თბილისიდან (დიმ. ყიფიანი ამ დროს ზუგდიდში იმყოფებოდა): 1862 წ. 8/20 დეკემბრისა (ფ. 1; ფრანგულ ენაზე) და 1863 წ. 18 იანვრისა (ფ. 1; ფრანგულ ენაზე).

[1] (გვ. 92) **„5000 მანეთი ქ-ნი დადიანის ცნობილი ვალის დასაფარავად“ –** ა) *5000 მანეთი:* ბარონ ფინოსათვის ამ თანხის გაგზავნის შესახებ დიმ. ყიფიანი ეკატერინე დადიანს იმავე დღეს ატყობინებს (იხ. წერილი №40); ბ) *ვალის დასაფარავად:* უნდა ვიფიქროთ, აქ ის ***ვალი*** იგულისხმება, რომელიც ეკატერინე დადიანს ვინმე *ბიჟუტიესგან* ჰქონია აღებული (იხ. აქვე, 1862 წ. 30 ოქტომბრის წერილი №40).

## 42. დავით ოტიას ძე ჩიქოვანისადმი
(გვ. 93-95)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1855. ავტოგრაფი. ასლი. რუსულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1862 წ. 27 ნოემბერი. **ხელმოწერა:** Кипиани.

ტექსტს თავზე დიმ. ყიფიანის ხელითვე აწერია: Копия с предложения, данного от Опеки депутату с ея стороны в Мингрельском совете Князю Чикоани от 27 Ноября 1862, за №152 [ასლი იმ წინადადებებისა, რომლებიც მეურვეობამ სამეგრელოს საბჭოში თავის დეპუტატს, თავად ჩიქოვანს, გადასცა 1862 წლის 27 ნოემბერს, №152].

ტექსტში ადრესატის მხოლოდ გვარია მითითებული (Князь Чикоани). ეს რომ ***დავით ოტიას ძე*** *ჩიქოვანია*, ირკვევა ეკატერინე დადიანისადმი დიმ. ყიფიანის 1862 წ. 14 ივნისის წერილით (№31): „ჩვენის მხრით დეპუტატად მენგრელიის სოვეტში, თქვენის ნებისამებრ, განვაწესე სახუცესი დავით“ [„მენგრელიის სოვეტისა“ (სამეგრელოს მმართველობის საბჭოსა) და მისი იმდროინდელი შემადგენლობის შესახებ იხ. კავკაზსკი კალენდარ 1862: 343].

ადრესატი ***დავით ოტიას ძე ჩიქოვანი (ჩიქოანი)*** იყო სამეგრელოს მთავარ ნიკოლოზ (ნიკო) დადიანისა და სამთავრო ოჯახის სახლთუხუცესი.

[1] (გვ. 93) **„სამეგრელოში მცხოვრებთაგან, გარდა მთავრისა, არავის არც ჰქონია და არც მოეპოვება საკუთრება“** – კავკასიის მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკისადმი ეკატერინე დადიანის 1857 წლის 19 აგვისტოს წერილი, რომელიც ჩვენს ხელთ არა გვაქვს, სამეგრელოში მწვავე უკმაყოფილების მიზეზად იქცა და ამის შესახებ დიმ. ყიფიანი ეკატერინე დადიანს არაერთხელ სწერს (იხ. აქვე, 1862 წ. 4, 11 და 31 დეკემბრისა და 1863 წ. 7 იანვრის წერილები №№43, 44, 47, 48).

[2] (გვ. 95) **„დედანს ქართულ ენაზე ხელს აწერს...“** – *ქართული დედანი* ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში არ აღმოჩნდა.

## 43. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 95-97)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1807. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ (ნაწილობრივ რუსულ) ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1862 წ. 4 დეკემბერი. ზუგდიდი. **ხელმოწერა:** დიმიტრი.

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 96) **„საზოგადოობა ამიყაყანდა ... საკუთრება მთავარს გარდა სრულიად არა ვის ჰქონოდეს და არცა ვის ჰქონდეს“** – სა-

კითხის შესახებ იხ. აქვე, დიმ. ყიფიანის წერილი დავით ჩიქოვანისადმი №42.

[2] (გვ. 97) **„ამას წინეთ 5000 მანათი არ გაუგზავნე ფინოს...“** – *ანტუან დე ფინოსადმი* დიმ. ყიფიანის წერილი იხ. აქვე, №41.

[3] (გვ. 97) **„ნიკოს, ანდრიას და სალომეს...“** – ეკატერინე დადიანის შვილები, რომელთა შესახებ იხ. აქვე, გვ. 330.

[4] (გვ. 97) **„ძვირფასსა და მშვენიერ მეგობარს გულწრფელად ვართმევ ხელს“** – იგულისხმება *ევდოკია მერდერი* (იხ. აქვე, გვ. 329-330).

## 44. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 97-98)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1808. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1862 წ. 11 დეკემბერი. ხელმოუწერელი.

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 98) **„ვითარცა უმთავრესმა ოპეკუნშამ“** – ეკატერინე დადიანი თავისი შვილის, მცირეწლოვანი მთავრის, ნიკოლოზ დადიანის, მთავარი მეურვე („ოპეკუნშა“) იყო. დიმ. ყიფიანი კი მეურვე იყო ნიკოლოზ დადიანის ადგილ-მამულისა და ქონებისა.

[2] (გვ. 98) **„ჩემს 27 ნოემბრის №152 ქაღალდში...“** – იგულისხმება დიმ. ყიფიანის, როგორც მეურვის, *ქაღალდი* (წინადადებები) დავით ოტიას ძე ჩიქოვანისადმი (იხ. წერილი №42).

## 45. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 98-100)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1810. ავტოგრაფი. დედანი. რუსულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1862 წ. 18 დეკემბერი. ხელმოწერა: Димитрий Кипиани.

ტექსტი დაწერილია მეურვეობის ოფიციალურ ქაღალდზე: „Высочайше установленная Опека над имуществом малолетнего Владетеля Мингрелии“ (№163)“ [„სამეგრელოს მცირეწლოვანი მთავრის ქონებაზე უმაღლესად დაწესებული მეურვეობა“].

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

### 46. მიხეილ თუმანიშვილისადმი
(გვ. 100-101)

**ხელნაწერი:** ხეც. მიხეილ თუმანიშვილის არქ., საქ. №1004. ავტოგრაფი. დედანი. რუსულ ენაზე. ფ. 2. **ნაბეჭდი:** პ. გელეიშვილი. ილია ჭავჭავაძე, როგორც პოეტი და პუბლიცისტი. თბილისი: 1914, გვ. 105-106; მიხ. ხელთუბნელი. სალიტერატურო-საზოგადოებრივი წარსულიდან (მიხეილ თუმანიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა). თბილისი: ფედერაცია. 1938, გვ. 81-82; შ. ჩხეტია. საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში. თბილისი: საქართველოს სსრ შსს საარქივო სამმართველო. 1950, გვ. 133-134. **თარიღი:** 1862 წ. 30 დეკემბერი. ზუგდიდი. **ხელმოწერა:** Димитрий Кипиани.

წერილის თემა ეხება საგლეხო რეფორმის პროექტს (იხ. აქვე, გვ. 335).

ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 337.

[1] (გვ. 100) **„ჩემ მიერ 16 მაისს გაგზავნილ კითხვებზე“** – იგულისხმება *14 კითხვა,* რომლებიც დიმ. ყიფიანმა თავადაზნაურობის წარმომადგენლებს დაუგზავნა (იხ. აქვე, გვ. 86-89, 336).

[2] (გვ. 101) **„კრიზისმა მშვიდობიანად ჩაიარა“** – უნდა ვიფიქროთ, დიმ. ყიფიანი აქ გულისხმობს თავადაზნაურობის შეშფოთებას საგლეხო რეფორმის (ბატონყმობის გაუქმების) მოსალოდნელი შედეგებით.

[3] (გვ. 101) **„ჩვენში ელექტრონული დენის ყველა პირველწყაროსთან დგახართ“** – მიხ. თუმანიშვილი, გარდა იმისა, რომ სახელისუფლებო და საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრში ტრიალებდა, იმ დროს, როცა წინამდებარე წერილი იწერებოდა, კავკასიის მეფისნაცვალთან არსებული ამიერკავკასიის სამოქალაქო მოწყობის დროებითი განყოფილების წევრიც იყო (კავკაზსკი კალენდარ 1861: 336) და, შესაბამისად, ქვეყანაში მიმდინარე არსებითად ყველა პროცესის საქმის კურსში იქნებოდა.

## 47. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 101-102)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1809. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1862 წ. 31 დეკემბერი. ზუგდიდი. **ხელმოწერა:** დიმ. ყიფიანი.

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 101) **„კოსტანტინეს...“** – იგულისხმება *კონსტანტინე დადიანი.*

[2] (გვ. 101) **„ბარიატინსკის გამოცვლას...“** – კავკასიის მეფისნაცვალი ალ. ბარიატინსკი მისმა სიყრმის მეგობარმა ალექსანდრე II-მ თანამდებობიდან 1862 წ. დეკემბერში გადააყენა. მიზეზი გადაყენებისა იყო სკანდალი, რომელიც მთელს იმპერიაში გახმაურდა: ალ. ბარიატინსკიმ თავის ადიუტანტს, პოლკოვნიკ ვლადიმერ დავიდოვს, ცოლი – *ელისაბედ (ლიზა) დიმიტრის ას. ორბელიანი* – წაართვა და თვითონ დაქორწინდა მასზე (იხ. აქვე, გვ. 333).

[3] (გვ. 102) **„ქაღალდი გამოგიგზავნეთ ... შფოთი ჩამოაგდო აქაურს საზოგადოობაში“** – საკითხის შესახებ იხ. აქვე, გვ. 358).

[4] (გვ. 102) **„გიორგიმ, პეტრემ და ბახვამ...“** – *გიორგი, პეტრე დადიანები* და დადიანთა სამთავრო ოჯახის მოურავი *ბახვა ფაღავა* იგულისხმებიან.

[5] (გვ. 102) **„კოსტ. გაბ. და გიგო ფაღ.“** – *კონსტანტინე, გაბრიელ* და *გიგო ფაღავები* ეკატერინე დადიანის ოპოზიციას წარმოადგენდნენ. ამათგან *გიგო (გრიგოლ) ფაღავა* თვალსაჩინო ფიგურა იყო XIX ს. II ნახევრის სამეგრელოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში (იხ. ყიფიანი 2021: 428). თავადი ფაღავები, ეკატერინე დადიანის მომხრეებიცა და მოწინააღმდეგეებიც, ძირითადად სოფ. ბანძის მკვიდრნი იყვნენ (მათ შესახებ იხ. ბოროზდინი 1934: 248-255, 283-289).

[6] (გვ. 102) **„გრიგოლთანაც უნდა იქონიოთ შესაბამი მიწერ-მოწერა“** – უნდა იგულისხმებოდეს ეკატერინე დადიანის მაზლი, გენერალი *გრიგოლ ლევანის ძე დადიანი,* რომელთანაც ეკატერინეს წინააღმდეგობრივი ურთიერთობა ჰქონდა (მთავარ დავით დადიანის გარდაცვალების შემდეგ სამეგრელოს მართვა-გამგეობასთან დაკავშირებით გრ. დადიანს ეკატერინე დადიანთან, როგორც სამეგრელოს დროებით მმართველთან და მცირეწლოვანი მთავრის, ნიკო დადიანის, რეგენტთან მწვავე კონფლიქტი ჰქონდა (მეუნარგია 1954ბ: 317-318; ბოროზდინი 1934: 82), თუმცა სიცოცხლის ბოლოს ისინი გულითადი მეგობრული გრძნობებით იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი).

[7] (გვ. 102) **„გრიგოლ ტარიელიჩის საქმეზედ...“** – გრიგოლ ტარიელის ძე დადიანის საქმის შესახებ იხ. წერილი №45.

[8] (გვ. 102) **„განსვენებულს დავითს...“** – სამეგრელოს მთავარი *დავით დადიანი.*

[9] (გვ. 102) **„ველიკი კნიაზს მომავალის იანვრის დამლევისათვის ელიან ტფილისში“** – *ველიკი კნიაზი:* კავკასიის მეფისნაცვალი, დიდი მთავარი *მიხეილ ნიკოლოზის ძე,* რომელიც მეფისნაცვლად დაინიშნა 1862 წ. დეკემბერში, პრაქტიკულად კი ამ თანამდებობაზე მუშაობას 1863 წლის მარტიდან შეუდგა [თბილისში თავისი ამალით 1863 წ. 16 მარტს შემოვიდა (იხ. კავკაზ 1863)].

[10] (გვ. 102) **„ნიკოს, ანდრიას და ანგელოზებრს სალომეს...“** – ეკატერინე დადიანის შვილები (იხ. აქვე, გვ. 330).

## 1863

### 48. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 103-105)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1811. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1863 წ. 7 იანვარი. ზუგდიდი. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 103) **„ჩემი ცოლის ძმაც...“** – იგულისხმება *მიხეილ (მიშელ) ჭილაშვილი,* რომელიც ძმების, ნიკოლოზ (1857, 1861-1862) და მიხეილ (1858-1861) კოლიუბაკინების შემდეგ იყო სამეგრელოს მმართველი (1862-1865) და გულმოდგინედ აგრძელებდა წინამორბედთა პოლიტიკას – სამეგრელოს სამთავროს უფლებრივ დასუსტებას მისი საბოლოოდ გაუქმების მიზნით (მ. ჭილაშვილზე იხ. აქვე, გვ. 345-346).

[2] (გვ. 103) **„ბარიატინსკისაგან მოთინთლვას მაინც უნდა მიმხდარიყავით“** – *მოთინთლვა* აქ ნიშნავს *ცბიერებას* [„მოთინთლვა – მლიქვნელობა, სიცბიერე“ (გრიშაშვილი 1997: 156)].

[3] (გვ. 103) **„ქაღალდი გამოჰქექეს, 1857-ის წიგნი და სწორეთ შერყეული იყო საზოგადოობა, მე რომ იმ ქაღალდის განმარტება არ შემეტანა“** – საკითხის შესახებ იხ. აქვე, გვ. 93-95, 358.

[4] (გვ. 103) **„კავკასკი კომიტეტში...“** – *კავკასიის კომიტეტი:* პეტერბურგში არსებული სპეციალური უწყებათაშორისი ორგანო (1840-1882). იგი განიხილავდა ისეთ საკითხებს, რომელთა გადაწყვეტა აღემატებოდა როგორც კავკასიის ხელისუფლების, ისე იმპერიის ცალკეულ სამინისტროთა უფლებამოსილებას (უფრო ვრცლად კავკასიის კომიტეტის შესახებ იხ. ყიფიანი 2017: 335-336).

[5] (გვ. 104) **„ველიკი კნიაზის მობძანებაზედაც დიდად გამოადგებოდით თქვენს საქმეს“** – *ველიკი კნიაზი:* დიდი მთავარი *მიხეილ ნი-*

*კოლოზის ძე,* რომელიც კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობაზე 1862 წ. დეკემბერში დაინიშნა, თბილისში კი 1863 წ. 16 მარტს შემოვიდა (კავკაზ 1863).

[6] (გვ. 104) **„საჭმელ-სასმელზედ მაფთხილებენ, არა შემოგაპარონ რაო"** – სავარაუდო საფრთხის შესახებ ერთ არასრულად დათარიღებულ წერილში (22 აგვისტო; წელი არ არის მითითებული) გორდში მყოფ დიმ. ყიფიანს კონსტანტინე ნიჟარაძეც აფრთხილებს – ქუთაისის გუბერნიის პროკურორმა ლევან ქორქაშვილმა დამიბარა და მითხრაო: „შევიტყეო დიდის საიდუმლოთი, ვითომც მენგრელებს ქონდეს განზრახვა თქვენის სიკვდილისა და მერმეთ იმაზედ ბუნტის აშენებაო, თუმცა მაინცა და მაინც არ შემიძლიანო ეგ დამტკიცებით თქმა, რომ მართალი იყოსო" (სრულად წერილი იხ. ყიფიანი 2020: 321-322).

## 49. ივანე ანდრონიკაშვილისადმი
(გვ. 105-106)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №670. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 1. **ნაბეჭდი:** ელ. აბრამიშვილი. დ. ყიფიანისა და გრ. ორბელიანის რამდენიმე უცნობი წერილი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მ ო ა მ ბ ე. III. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნირებათა აკადემიის გამომცემლობა. 1961, გვ. 157; დიმიტრი ყიფიანი – 200. პროექტის ავტორი და კრებულის შემდგენელი ბ. კობაძე. თბილისი: სვეტი. 2014, გვ. 842. **თარიღი:** 1863 წ. 8 იანვარი. ზუგდიდი. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

წერილი ეხება საგლეხო რეფორმის საკითხს (იხ. აქვე, გვ. 335).

ადრესატის, გენერალ-ლეიტენანტ *ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილის,* შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 352-353.

ივ. ანდრონიკაშვილსა და დიმ. ყიფიანს ათეული წლების განმავლობაში ჰქონდათ გულითადი და ერთმანეთის პატივისცემაზე აგებული ურთიერთობა. დაცულია ივ. ანდრონიკაშვილის 1862-1868 წწ. წერილები დიმ. ყიფიანისადმი (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ. საქ. №№899-905), რომელთაგან საილუსტრაციოდ ერთს დავიმოწმებთ:

„მოწყალეო ხელმწიფევ,
დიმიტრი ივანიჩ

5 დეკემბრიდამ მივიღე თქვენი წერილი იმნაირი, როგორიც შეშვენის პატიოსნებით განათლებულს კაცს. გმადლობთ, დიდად გმადლობთ, რომ ყოველს შემთხვევაში ჭეშმარიტად ჩვენის საზოგადოებისათვის მზრუნველი ხართ და იმედიც მაქვს ახლანდელს შეკრებილებაში (იგულისხმება ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის საგუბერნიო ყრილობა, რომელიც 1864 წლის თებერვალში ჩატარდა — თ. ჯ.) მათგან დაინახოთ საზოგადო თქვენი პატივისცემა.

31 დეკემბერს ჩემს რძალს მეოთხე ვაჟი ეყოლა. ამით მაინც მოხედა ღმერთმან გაოხრებულს ოჯახს. ჩემი არჩილის სახელი მაინც იქნება ჩემს სიცოცხლეში.

თქვენი აღმატებულების უერთგულესი მეგობარი
თ. **იოანე ანდრონიკაშვილი**

12-ს იანვრის 1864-ს.

ს. ქოდალა“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №902; აქ ნახსენებ არჩილზე, ივ. ანდრონიკაშვილის დაღუპულ შვილზე, იხ. ცისკარი 1864: 81-86).

[1] (გვ. 105) **„24-ს მაისს რომ უარი მოგახსენეთ...“** — იხ. წერილი №27.

[2] (გვ. 105) **„გამიწყრა კნიაზი ბარიატინსკი და გამომაგდო სამსახურიდამ“** — ალ. ბარიატინსკის მიერ დიმ. ყიფიანის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ იხ. აქვე, გვ. 321-322, 342-343.

[3] (გვ. 105) **„აქამომდე მოკითხულს პასუხებს მოველი“** – იგულისხმება 14 კითხვა, რომლებიც დიმ. ყიფიანმა ქართლ-კახეთის თავადაზნაურობას (მათ შორის, ივ. ანდრონიკაშვილსაც) გაუგზავნა (იხ. აქვე, გვ. 64-65, 336).

## 50. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 106-108)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1812. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ (ნაწილობრივ რუსულ) ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1863 წ. 22 იანვარი. ზუგდიდი. **ხელმოწერა:** დიმიტრი.

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 106) **„ველიკი კნიაზისათვის ჩემს საქმეზედ ზაპისკის შავი გამიკეთე და გამომიგზავნეო“** – ა) *ველიკი კნიაზი (დიდი მთავარი):* იგულისხმება კავკასიის მეფისნაცვალი (1862-1881) *მიხეილ ნიკოლოზის ძე*.

[2] (გვ. 106) **„კოსტანტინეს ველიკი კნეინასა...“** – ? [გამორიცხული არ არის, აქ იგულისხმებოდეს დიდი მთავარი *კონსტანტინე ნიკოლოზის ძე* (ძმა მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძისა) და მისი მეუღლე, დიდი მთავრინა (Великая княгиня) *ალექსანდრა იოსების ასული,* თუმცა ამ უკანასკნელთან ეკატერინე დადიანის მიმოწერის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით).

[3] (გვ. 107) **„პეტრე გამობრუნდა მეთქი...“** – იგულისხმება *პეტრე დადიანი.*

[4] (გვ. 107) **„ბახვა ფ-ს...“** – *ბახვა ფაღავა,* ეკატერინე დადიანის ერთგული თავადი.

[5] (გვ. 107) **„გიორგი ბატონიშვილის მეტი ვერა ვინ ჰსჯობია მათ“** – *გიორგი ბატონიშვილი:* იგულისხმება *გიორგი დადიანი,* ნიკოლოზ დადიანის („დიდი ნიკოს“) ძე, აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის, მიხეილ (ჰამუთ-ბეი) შარვაშიძის, სიმამრი.

[6] (გვ. 107) **„ჭყონდიდლად აკურთხეს ბესარიონ ჩიჩუა“** – ხობის მონასტრის არქიმანდრიტი *ბესარიონი (ჩიჩუა)* ჭყონდიდლად აკურთხეს 1863 წ. 1 იანვარს. გარდაიცვალა იგი 1864 წ. 15 დეკემბერს, მარტვილში, 54 წლისა (სასულიერო მახარებელი 1865: 199-200; ხელიძე 1865: 128-129).

[7] (გვ. 107) **„ველიკი კნიაზს ტფილისში მოელიან ფებერვლის დამლევს“** – კავკასიის მეფისნაცვლად დანიშნული *დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე* თბილისში 1863 წ. 16 მარტს შემოვიდა (კავკაზ 1863).

[8] (გვ. 107) **„ველიკი კნეინას...“** – იგულისხმება მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძის მეუღლე, დიდი მთავრინა (Великая княгиня) *ოლგა თეოდორეს ასული.*

[9] (გვ. 108) **„ბატონს ნიკოს, ანდრიას და ანგელოზებრს სალომეს...“** – ეკატერინე დადიანის შვილები (იხ. აქვე, გვ. 330).

## 51. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 108)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1813. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1863 წ. 12 თებერვალი. ზუგდიდი. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 108) **„ბატონ-ყმობის საქმე, როგორც მოგეხსენებათ, მე მახვევია“** – საკითხის შესახებ იხ. აქვე, გვ. 335.

[2] (გვ. 108) **„ველიკი კნიაზს მოელიან მარტის 15-ს“** – *„ველიკი კნიაზი“ (დიდი მთავარი),* კავკასიის მეფისნაცვალი მიხეილ ნიკოლოზის ძე თბილისში ამალითურთ 1863 წ. 16 მარტს შემოვიდა (იხ. კავკაზ 1863).

[3] (გვ. 108) **„მომირთმევია წიგნი ფარნაოზისა“** – უნდა იგულისხმებოდეს *ფარნაოზ გიორგის ძე გელოვანი,* სამეგრელოს სამმართ-

ველო საბჭოს წევრი (1850-იანი წწ.). ფ. გელოვანი, როგორც ქუთაისის ვიცე-გუბერნატორისა და სამეგრელოს მმართველის, ნიკ. კოლიუბაკინის, წარმომადგენელი, დიმ. ყიფიანს თან ახლდა ლეჩხუმსა და ქვემო (სადადიანო) სვანეთში სამეგრელოს სამთავრო ოჯახის ქონების ინვენტარიზაციისას [იხ. დიმ. ყიფიანის „დღიური 1857-1858 წლებისა" (ყიფიანი 2020: 90, 95, 97, 98)].

## 52. ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანისადმი
(გვ. 108-109)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №773. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1863 წ. 9 მარტი. **ხელმოწერა:** Д. К.

ტექსტს თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია (რუსულ ენაზე): „მის ბრწყინვალებას, თავ. ა. დ. ორბელიანს, ბ-ნ გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლს".

ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 339.

[1] (გვ. 108) **„მისი იმპერატორობითი უმაღლესობის ... მიხეილ ნიკოლოზის ძის..."** – მიხეილ ნიკოლოზის ძე საიმპერატორო სახლის წევრი (იმპერატორ ალექსანდრე II-ის ძმა) იყო, ამიტომაც მის ტიტულატურაში *იმპერატორობითი უმაღლესობაც* შედიოდა.

[2] (გვ. 108) **„დასახვედრად ... კომიტეტმა** ***ასი*** **მანეთის დადება დამაკისრა"** – დამკვიდრებული წესით, ახალდანიშნულ მეფისნაცვლებს თავადაზნაურობა საზეიმო შეხვედრებს უწყობდა, საამისოდ წინასწარ ემზადებოდა და ხარჯსაც თვითონ სწევდა (მიხეილ ნიკოლოზის ძის წინამორბედის, ალ. ბარიატინსკის, ჩამოსვლასთან დაკავშირებული ზეიმის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 114-118). რაც შეეხება მიხეილ ნიკოლოზის ძის თბილისში შემოსვლას, ეს ამბავი წინამდებარე წერილის დაწერიდან ერთ კვირაში (16 მარტს) მოხდა (იხ. კავკაზ 1863; თავადაზნაურობის მიერ 20 მარტს გამართული

საზეიმო ნადიმისა და იქ წარმოთქმული სიტყვების შესახებ იხ. დუნკელ-ველინგი 1863).

[3] (გვ. 109) **„უსამსახუროდ დატოვებული...“** – ალ. ბარიატინსკის მიერ დიმ. ყიფიანის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ იხ. აქვე, გვ. 321-322, 342-343.

## 53. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 109-111)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1814. ავტოგრაფი. დედანი. რუსულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1863 წ. 5 აპრილი. ტფილისი. **ხელმოწერა:** Димитрий Кипиани.

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 109) **„დაკავებული ვარ საგლეხო საკითხით“** – იხ. აქვე, გვ. 335.

[2] (გვ. 110) **„თქვენგან მოთხოვნილი წერილის შავის გამოგზავნა არ შემიძლია“** – დიმ. ყიფიანს მხედველობაში აქვს შავი ვარიანტი მიმართვისა („ზაპისკისა“), რომელიც ეკატერინე დადიანს მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძისთვის საზღვარგარეთიდან თბილისში უნდა გამოეგზავნა (იხ. წერილი №50).

[3] (გვ. 110) **„დროზე თუ ჩავიდა თქვენი მოძღვარი?“** – იგულისხმება *თევდორე (თედო) ხოშტარია*, ეკატერინე დადიანის კარის მღვდელი, შვილების აღმზრდელი და მდივანი. იგი თან ახლდა პეტერბურგში „მიწვეულ“ ეკატერინე დადიანს (იხ. მისი „მოგონებები“: ჭუმბურიძე 2004-2005: 146-153). ამის შემდეგ დაბრუნდა სამეგრელოში, მერე კი ისევ ეკატერინე დადიანთან, იმჟამად უკვე პარიზში მყოფთან, დაბრუნდა (პარიზში ჩავიდა 1863 წ. მარტის პირველ რიცხვებში). ამის შესახებ თვითონ თევდორე ხოშტარია წერს: „მომივიდა პარიჟიდან მთავრინას წერილი და ცალკე მთავრის მამულზე მყოფ

აპეკუნს დიმიტრი ივანიჩს ყიფიანს, რომ თუ მე ვისურვებდი წასვლას, გავესტუმრებინე საჭირო ფულით და ბილეთით საზღვარგარეთ პარიჟში და ისიც იყო ჩემი სურვილის გამოცხადების შემდეგ დამასაგზლა დიმიტრი ივანიჩმა ფულით და საჭირო საგზაო ბაშფორთით“ (ჭუმბურიძე 2004-2005: 153-154; ს. ჭილაიას ბიოგრაფიულ რომანში „ეკატერინე ჭავჭავაძე“ რამდენიმე მონაკვეთი ეთმობა თ. ხოშტარიას (ჭილაია 1969: 373-374, 459-473, 661).

[4] (გვ. 111) **„ევდოკია გაბრიელის ასულს...“** – იგულისხმება *ევდოკია მერდერი* (იხ. აქვე, გვ. 329-330).

## 54. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 111-112)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1815. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1863 წ. 22 აპრილი. ტფილისი. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 111) **„წიგნი მოგწერეთ ველიკი კნიაზის მოკითხვით“** – *„ველიკი კნიაზი“ (დიდი თავადი):* იგულისხმება მეფისნაცვალი *მიხეილ ნიკოლოზის ძე.*

[2] (გვ. 111) **„მიშელს რომ მოუხსენებია...“** – *მიშელი:* იგულისხმება დიმ. ყიფიანის ცოლისძმა, სამეგრელოს მმართველი (1862-1865) *მიხეილ (მიშელ) ჭილაშვილი (ჩილაევი, ჩილიაევი),* რომელიც თავგამოდებით ემსახურებოდა ხელისუფლების მიზანს – სამეგრელოს სამთავრო სახლის უფლებრივ დაკნინებას სამთავროს გაუქმების მიზნით, რის გამოც მასსა და დიმ. ყიფიანს შორის მწვავე უკმაყოფილება იყო ჩამოვარდნილი.

[3] (გვ. 112) **„ბატონ-ყმობის საქმეს უზივარ“** – იგულისხმება საგლეხო რეფორმის პროექტი (იხ. აქვე, გვ. 335).

[4] (გვ. 112) **„ივანე მუხ.“** – გენერალ-ლეიტენანტი *ივანე მუხრანბატონი (ბაგრატიონ-მუხრანსკი, მუხრანსკი),* რომელიც იყო მეუღლე ეკატერინე დადიანის მულის, ნინო ლევანის ას. დადიან-მუხრანბატონისა [ნინო მუხრანბატონის (ბაგრატიონ-მუხრანსკის) ხსოვნას შესანიშნავი წერილი-ნეკროლოგი უძღვნა ი. ჭავჭავაძემ (ჭავჭავაძე 1955: 236-240)].

[5] (გვ. 112) **„თქვენი ძმა“** – იგულისხმება ***დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძე,*** რომელთანაც დიმ. ყიფიანს წლების განმავლობაში ახლო მეგობრობა აკავშირებდა, თუმცა დავითი კატეგორიული წინააღმდეგი იყო საგლეხო რეფორმის დიმ. ყიფიანისეული პროექტისა.

[6] (გვ. 112) **„თქვენი ბიძაშვილი ალექსანდრე ღუბ. მარშალი“** – *ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანი,* თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი“) 1857-1864 წწ.

[7] (გვ. 112) **„ნიკო ჭავჭ. ქალაქის უეზდის სუდია“** – აქ ნახსენები *ნიკო ჭავჭ.* არის *ნიკოლოზ (ნიკო) დიმიტრის ძე ჭავჭავაძე,* რომელიც 1860-იანი წწ. დასაწყისში იყო თბილისის მაზრის მოსამართლე („სუდია“), შემდეგ კი: თბილისის სამოქალაქო გუბერნატორის მოადგილე (1865-1867), თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე (1867 წლიდან), თბილისის სასამართლო პალატის თავმჯდომარე (1878 წლიდან). 1890-იან წწ., როგორც კერძო პირმა, კახეთის რკინიგზის მშენებლობის უფლება მოიპოვა, თუმცა მალე (1903 წ.) ამ საქმის დაუსრულებლად გარდაიცვალა (ბიოგრაფიული ცნობები ნიკ. დ. ჭავჭავაძეზე იხ. ცნობის ფურცელი 1903). დაკრძალულია თბილისში, იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის გალავანში (იხ. ოჯახის სამგლოვიარო განცხადება – „ივერია“. 1903. №64).

[8] (გვ. 112) **„ბატონს ნიკოს, ანდრიას და სალომეს...“** – ეკატერინე დადიანის შვილები (იხ. აქვე, გვ. 330).

## 55. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 112-113)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1816. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1863 წ. 13 მაისი. ტფილისი. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 112) **„წუხელის ბალი იყო მუშტეიდის ბაღში ველიკი კნიაზისა და კნეინასათვის“** – *ველიკი კნიაზი და კნეინა:* იგულისხმებიან კავკასიის მეფისნაცვალი, დიდი მთავარი (Великий князь) *მიხეილ ნიკოლოზის ძე* და მისი მეუღლე *ოლგა თეოდორეს ასული.*

[2] (გვ. 113) **„ამ დღეებში კნ. მირსკი ვნახე“** – *კნ[იაზი] მირსკი:* ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი (1863-1867) *დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკი.*

[3] (გვ. 113) **„ჭილაევს თურმე ემდურიანო...“** – *ჭილაევი:* სამეგრელოს მმართველი (1862-1865) *მიხეილ (მიშელ) ჭილაშვილი (ჩილაევი, ჩილიაევი).*

[4] (გვ. 113) **„უწინაც არა გვქონია ისეთი, კოლუბაკინის ხელში“** – *კოლუბაკინი:* სამეგრელოს მმართველი 1858-1861 წწ. *მიხეილ კოლიუბაკინი,* ძმა ნიკოლოზ კოლიუბაკინისა (დიმ. ყიფიანი, როგორც მეურვე, პირველად სწორედ მიხ. კოლიუბაკინის მმართველობისას წააწყდა მწვავე წინააღმდეგობას, მათ შორის, გადასახადების აკრეფის წესშიც).

[5] (გვ. 113) **„ნიკ. კოლ. ესალმება აქაურობას და სენატორად განწესებული, პეტერბურღს მიბძანდება“** – *ნიკ. კოლ.:* იგულისხმება სამეგრელოს მმართველი (1857, 1861-1862) *ნიკოლოზ კოლიუბაკინი,* რომელიც ამ თანამდებობიდან გადააყენეს იმის გამო, რომ 1862 წ. გაზაფხულზე გენერალ ალ. გაგარინის მკვლელობის გამო ქუთაისში დახვრეტილი კონსტანტინე (მურზაყან) დადიშქელიანის ქვრივს, რუსუდან შარვაშიძე-დადიშქელიანს, მეუღლის ნეშტის არქიელის გორაზე, წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში, გადასვენების უფლება მისცა. ნიკ. კოლიუბაკინი საერთოდ გაიწვიეს კავკასიიდან, შეაწყვეტინეს სამხედრო კარიერა, მისცეს სენატორის ფორმალური თანამდებობა და ამით მოიშორეს თავიდან. სიცოცხლის დარჩენილი წლები მან მოსკოვში გაატარა და თავი ლიტერატურულ შრომას მიუძღვნა (საკითხის შესახებ იხ. ყიფიანი 2020: 373-374).

[6] (გვ. 113) **„ბარონის აქ განწესებაზედ დიდი ხანია ლაპარაკობენ“** – *ბარონი:* იგულისხმება ეკატერინე დადიანის სიძე (სოფიო ალექსანდრეს ას. ჭავჭავაძის მეუღლე) ბარონი *ალექსანდრე ნიკოლაი.* როგორც ჩანს, ნიკ. კოლიუბაკინის გადაყენების შემდეგ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორისა და სამეგრელოს მმართველის თანამდებობაზე ბარონ ალ. ნიკოლაის დანიშვნის შესახებ ხმები იყო გავრცელებული, თუმცა ეს ხმები არ გამართლდა და გენერალ-გუბერნატორად *დიმ. სვიატოპოლკ-მირსკი,* ხოლო სამეგრელოს მმართველად *მიხეილ ჭილაშვილი* დაინიშნენ.

[7] (გვ. 113) **„ბატონყმობის საქმისათვის კახეთში ვიყავ“** – 1863 წ. აპრილ-ივნისში თბილისის გუბერნიის მაზრებში (თბილისი, გორი, სიღნაღი, თელავი) ადგილობრივი თავადაზნაურობის შეკრებებზე სისტემატურად ტარდებოდა დიმ. ყიფიანის მიერ შედგენილი საგლეხო რეფორმის (ბატონყმობის გაუქმების) პროექტის განხილვა და ამ განხილვებში, როგორც მომხსენებელი, პროექტის ავტორიც მონაწილეობდა (დოკუმენტური მასალა საკითხის შესახებ იხ. ჩხეტია 1950: 280-290). ამ საქმეზე საკუთრივ *კახეთის* თავადაზნაურობის ყრილობები გაიმართა: სიღნაღში 27 აპრილს, ხოლო თელავში 30 აპრილს (ჩხეტია 1950: 280-283).

[8] (გვ. 113) **„დავითს გარდა...“** – იგულისხმება *დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძე,* ძმა ეკატერინე დადიანისა.

## 56. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 114-115)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1817. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1863 წ. 20 ივნისი. ტფილისი. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 114) **„აქაურს სოვეტში...“** –იგულისხმება სამეგრელოს მმართველობის *საბჭო („სოვეტი“)*, რომლის შესახებაც იხ. აქვე, გვ. 346-347.

[2] (გვ. 114) **„გიორგი ჩიჩუას ყმა და მამულისა, რომელიც მელიტონს უჭირავს“** – საკითხის შესახებ იხ. აქვე, გვ. 75-76, 78.

[3] (გვ. 114) **„ნაღენერალღუბერნატრალიცა...“** – უნდა იგულისხმებოდეს *ნიკოლოზ კოლიუბაკინი,* ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი 1861-1862 წწ.

[4] (გვ. 114) **„ჩემს სოფელში ვაპირებ წასვლასა“** – ქვიშხეთი იგულისხმება.

[5] (გვ. 114) **„ჩემი ცოლის ძმა არის იქ მმართველათა“** – იგულისხმება *მიხეილ (მიშელ) ჭილაშვილი* (იხ. აქვე, გვ. 370).

[6] (გვ. 115) **„ბარონი რომ მოვა, ვნახავ“** – იგულისხმება *ბარონი ალ. ნიკოლაი,* რომლის *მოსვლის* შესახებ იხ. აქვე, გვ. 373.

[7] (გვ. 115) **„ბატონს ნიკოს, ანდრიას და სალომეს...“** – ეკატერინე დადიანის შვილები (იხ. აქვე, გვ. 330).

[8] (გვ. 115) **„ჩემი ნინო...“** – მეუღლე დიმ. ყიფიანისა, *ნინო ჭილაშვილ-ყიფიანი.*

## 57. ჯონ ე. გოვენისადმი
(გვ. 115-116)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №701. ავტოგრაფი. შავი. ფრანგულ ენაზე (თარგმნა ც. ბიბილეიშვილმა). ფ. 1. **თარიღი:** 1863 წ. 10/22 ივნისი. ტფილისი. ხელმოუწერელი.

ტექსტს თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია: „ À Monsieur le Colonel John E. Gowen. Odessa“ [„პოლკოვნიკ ჯონ ე. გოვენს. ოდესა“].

დაცულია პოლკოვნიკ ჯონ ე. გოვენის 1863 წ. 2/14 მაისის წერილი დიმ. ყიფიანისადმი (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1095. ფრანგულ ენაზე. ფ. 2).

საკითხი *ადრესატის* ვინაობისა და საქმის გარემოებების შესახებ მოითხოვს სპეციალურ კვლევას.

[1] (გვ. 115) **„დაკავებული ვიყავი ჩემი ქვეყნისთვის მეტად მნიშვნელოვანი საქმით"** – აქ დიმ. ყიფიანი, უნდა ვიფიქროთ, გულისხმობს საგლეხო რეფორმას (ბატონყმობის გაუქმებას), რომლის პროექტიც თვითონ ეკუთვნოდა.

[2] (გვ. 116) **„შპალები"** – დედანში: ***Sleepers***.

## 58. თბილისის გუბერნიის მაზრების თავადაზნაურობის წინამძღოლებისადმი
(გვ. 116-117)

**ნაბეჭდი:** შ. ჩხეტია. საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში. თბილისი: საქართველოს სსრ შსს საარქივო სამმართველო. 1950, გვ. 294. **თარიღი:** 1863 წ. 22 ივნისი. ხელმოუწერელი.

წერილი ეხება დიმ. ყიფიანის მიერ შედგენილ საგლეხო რეფორმის პროექტსა (იხ. აქვე, გვ. 335) და მის განხილვას თავადაზნაურობის სამაზრო ყრილობებზე (იხ. აქვე, გვ. 373).

[1] (გვ. 116) **„თბილისის გუბერნიის მაზრების თავადაზნაურობის წინამძღოლებისადმი"** – თბილისის გუბერნიის მაზრების წინამძღოლები („მარშლები") ამ დროს არიან: თბილისისა – *ზაქარია (ზაალ) დავითის ძე ბარათაშვილი*, გორისა – *ალექსანდრე შანშეს ძე ერისთავი*, თელავისა – *იოსებ რევაზის ძე ჯორჯაძე*, სიღნაღისა – *სოლომონ ივანეს ძე ანდრონიკაშვილი* (იხ. კავკაზსკი კალენდარ 1863: 310).

[2] (გვ. 116) **„გუბერნატორს გადავცე..."** – იგულისხმება თბილისის სამოქალაქო გუბერნატორი *კონსტანტინე ორლოვსკი* (იხ. წერილი №59).

## 59. კონსტანტინე ორლოვსკისადმი
(გვ. 117-120)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №778. უცნობი ხელით ნაწერი პირი. რუსულ ენაზე. ფ. 2. **ნაბეჭდი:** შ. ჩხეტია. საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში. თბილისი: საქართველოს სსრ შსს საარქივო სამმართველო. 1950, გვ. 294-296. **თარიღი:** 1863 წ. 1 ივლისი. **ხელმოწერა:** Димитрий Кипиани.

საკითხი ეხება საგლეხო რეფორმას (იხ. აქვე, გვ. 335).
ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 349-350.

**ვიმეორებთ შ. ჩხეტიას პუბლიკაციას.**

[1] (გვ. 117) **„თავადაზნაურობამ, რომელმაც სამაზრო ყრილობებზე ხელი მოაწერა ჩემ მიერ შედგენილ გეგმას...“** – ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის მიერ ჩატარებულ ყრილობებზე, მონაწილეებსა და სხვ. იხ. ჩხეტია 1950: 280-290.

[2] (გვ. 117) **„საქმე დიდ მთავარს წარედგინოს“** – *დიდი მთავარი:* კავკასიის მეფისნაცვალი (1862-1881) *მიხეილ ნიკოლოზის ძე.*

[3] (გვ. 118) **„გუბერნიის წინამძღოლი“** – იგულისხმება *ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანი.*

[4] (გვ. 118) **„თელავის მაზრის წინამძღოლმა“** – იგულისხმება *იოსებ რევაზის ძე ჯორჯაძე.*

[5] (გვ. 118) **„გენერალ-ადიუტანტს, თავად ორბელიანსა და მისი უდიდებულესობის ამალის წევრს, გენერალ-მაიორს, თავად ჭავჭავაძეს“** – იგულისხმებიან *გრიგოლ ორბელიანი* და იმპერატორის ფლიგელ-ადიუტანტი (1853 წლიდან) *დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძე.*

[6] (გვ. 119) **„22 ივნისს მივმართე მაზრების თავად-აზნაურთა წინამძღოლებს“** – აქ ნახსენები მიმართვა იხ. წერილი №58.

[7] (გვ. 119) **„მიზეზი, ალბათ, ზაქათალის ოლქში არსებული არეული ვითარებაა“** – იგულისხმება ზაქათალის 1863 წ. ივნისის აჯან-

ყება *ჰაჯი-მურთუზის* მეთაურობით (მიზეზები აჯანყებისა იყო მიწისა და საგადასახადო რეფორმები, აგრეთვე, იქ გავრცელებული ხმები საქართველოში საგლეხო რეფორმის განზრახვის შესახებ).

## 60. პეტრე ლადინსკისადმი
(გვ. 120-122)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №763. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 2. **ნაბეჭდი:** შ. ჩხეტია. საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში. თბილისი: საქართველოს სსრ შსს საარქივო სამმართველო. 1950, გვ. 296-297 (რუსულ ენაზე). **თარიღი:** 1863 წ. 5 ივლისი. ხელმოუწერელი.

წერილის ადრესატია ამიერკავკასიის სამოქალაქო ნაწილის უფროსი 1845-1847 წწ., გენერალ-ლეიტენანტი ***პეტრე ანტონის ძე ლადინსკი*** (1784-1865), დიმ. ყიფიანის თანამოსამსახურე და ერთგული მეგობარი, ეთნიკური უკრაინელი [დიმ. ყიფიანი თავის „მემუარებში“ მას „მალოროსიელს“ უწოდებს (ყიფიანი 2020: 211)]. პ. ლადინსკისა და დიმ. ყიფიანთან მისი ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 329-330.

**გადმოგვაქვს შ. ჩხეტიას პუბლიკაცია.**

[1] (გვ. 121) **„თავად ბარ-ის გულისწყრომამ სამსახური კი დამაკარგვინა“** – ა) *ბარ-ი:* მეფისნაცვალი ალ. ბარიატინსკი; ბ) *სამსახურის დაკარგვის* შესახებ იხ. აქვე, გვ. 321-322.

[2] (გვ. 121) **„გლეხთა საქმე უკვე წარედგინა უფროსობას. ჩემს ნაშრომს ხელი მოაწერა 539-მა მემამულემ; არ მოაწერა რვამ“** – გლეხთა საქმისა (საგლეხო რეფორმის) და მისი პროექტის ხელმომწერთა შესახებ იხ. აქვე, გვ. 117-120, 335.

[3] (გვ. 122) **„ხვალ სოფელში მივემგზავრები“** – იგულისხმება სოფ. *ქვიშხეთი.*

## 61. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 122-123)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1818. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1863 წ. 11 ივლისი. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 122) **„ჩემი ცოლის ძმისა...“** – იგულისხმება *მიხეილ (მიშელ) ჭილაშვილი (ჩილაევი, ჩილიაევი),* სამეგრელოს მმართველი 1862-1865 წწ.

[2] (გვ. 123) **„ღვთით ბარონი რომ მოვა...“** – *ბარონი:* ალ. ნიკოლაი, რომლის სამეგრელოში ჩასვლის *(„განწესების“)* შესახებ იხ. აქვე, გვ. 113, 372.

[3] (გვ. 123) **„გიორგი მუხ-სკის ხელიდამ არ გამოიხსნა საქმეები“** – *გიორგი მუხ-სკი:* იგულისხმება *გიორგი კონსტანტინეს ძე მუხრანბატონი (მუხრანსკი),* რომელიც ამ დროს მეფისნაცვლის საბჭოს წევრი (კავკაზსკი კალენდარ 1863: 305) და სასამართლოს საქმეთა დეპარტამენტის დირექტორია (კავკაზსკი კალენდარ 1863: 303) და სამეგრელოს სამთავროსთან მიმართებით ხელს უწყობს სახელისუფლებო პოლიტიკას, მიმართულს სამთავრო სახლის უფლებათა დაკნინებისა და საბოლოოდ სამთავროს გაუქმებისკენ.

[4] (გვ. 123) **„კოსტანტინეს ნახვა დიდად მიამა; ახლა ბორჯომს არის გრიგოლთან“** – *კოსტანტინე* და *გრიგოლი:* ეკატერინე დადიანის მაზლები: *კონსტანტინე და გრიგოლ ლევანის ძე დადიანები.*

[5] (გვ. 123) **„ბატონს ნიკოს, ანდრიას და სალომეს...“** – ეკატერინე დადიანის შვილები (იხ. აქვე, გვ. 330).

[6] (გვ. 123) **„ჩემი მეგობარი ევდუქსია“** – იგულისხმება *ევდოკია მერდერი* (იხ. აქვე, გვ. 329-330).

## 62. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 123-125)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1819. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1863 წ. 11 ნოემბერი. ხელმოუწერელი.

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 124) **„ბარონი ვნახე ქალაქს“** – იგულისხმება *ალ. ნიკოლაი.*

[2] (გვ. 124) **„დიდს კნიაზს...“** – იგულისხმება კავკასიის მეფისნაცვალი (ნამესტნიკი), დიდი მთავარი *მიხეილ ნიკოლოზის ძე.*

[3] (გვ. 124) **„გამოსარჩლება ჩემს დამოკიდებულებას არ დასწამოსო“** – ბარონი ალ. ნიკოლაი ეკატერინე დადიანის *სიძე* (დის, სოფიო ჭავჭავაძის, მეუღლე) იყო და ეკატერინე დადიანისადმი *გამოსარჩლება* მას ალბათ ნეპოტიზმად ჩაეთვლებოდა.

[4] (გვ. 124) **„რაც პეტერბურღში სვიმონოვმა დაგიწერათ“** – *სვიმონოვი:* მომდევნო (№63) წერილში დიმ. ყიფიანი *სემენოვს* წერს. ეს არის *ვასილ სემიონოვი,* თვალსაჩინო მოხელე 1840-იანი წწ. კავკასიაში, რომელიც, 1852 წელს სამსახურიდან გასული, პეტერბურგში ცხოვრობდა და 1860-იან წწ. ეკატერინე დადიანს გარკვეულ საფასურად ოფიციალური მიმართვების შედგენაში ეხმარებოდა.

[5] (გვ. 124) **„ცოტა რამ მაინც დარჩეს მთავარს“** – *მთავარი:* იგულისხმება *ნიკოლოზ (ნიკო) დადიანი.*

## 63. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 125)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1822. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1863 წ. 25 ნოემბერი. ქუთაისი. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 125) **„ამ ქაღალდის შავი ამასთანვე მომირთმევია“** – იქვეა (ზსიამ. ლ. ა. №1822) დაცული აქ ნახსენები *ქაღალდის შავი,* რომელიც სამეგრელოს სამთავრო სახლის მამულებისა და ქონების იმჟამინდელი მოურავის (მმართველის), ირაკლი ლორთქიფანიძის, სამხედრო სამსახურს ეხება. ეკატერინე დადიანის მიმართვის ადრესატია ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი *დიმ. სვიატოპოლკ-მირსკი* (1863 წ. დეკემბრით დათარიღებული ეს მიმართვა სრულად იხ. ყიფიანი 2023: 426-427).

[2] (გვ. 125) **„აღარც ფინო არის თავისს ადგილს“** – *ფინო:* საფრანგეთის კონსული *ანტუან დე ფინო.* როგორც ჩანს, დიმ. ყიფიანი საფრანგეთში (პარიზში) მყოფ ეკატერინე დადიანს მანამდე ფულს ფინოს ხელით უგზავნიდა.

[3] (გვ. 125) **„კოსტანტინეს ვალისა და სემენოვის ვალის საქმეზედ“** – *კონსტანტინე დადიანისა* და *ვასილ სემიონოვის* ***ვალების*** შესახებ იხ. წერილი №64.

## 64. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 126-127)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1820. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ (ნაწილობრივ რუსულ) ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1863 წ. 18/30 ნოემბერი. ქუთაისი. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

**ტექსტში გამოყენებული რუსული სიტყვები ნიშნავს**:
**ზალოგი** – *Залог:* გირაო.
**ზაპისკა** – *Записка:* ჩანაწერი, წერილი, განმარტებითი ბარათი (აქ: ოფიციალური ახსნა-განმარტებითი მიმართვა).

**რაზრეშენიე** – *Разрешение:* ნებართვა, უფლების მინიჭება.

**რასხოდი** – *Расход:* გასავალი, ხარჯი.

[1] (გვ. 126) **„ბატონ-ყმობის საქმის გამო...“** – იგულისხმება *საგლეხო რეფორმა* (ბატონყმობის გაუქმება), რომლის პროექტი დიმ. ყიფიანმა შეადგინა (საკითხის შესახებ იხ. აქვე, გვ. 335).

[2] (გვ. 126) **„ახლანდელი ნამესტნიკი“** – იგულისხმება დიდი მთავარი *მიხეილ ნიკოლოზის ძე.*

[3] (გვ. 126) **„კოსტანტინესა ჰმართებს...“** – იგულისხმება *კონსტანტინე დადიანი,* მაზლი ეკატერინე დადიანისა.

[4] (გვ. 127) **„კნიაჟნა სალომე ... ბატონს ნიკოს და ანდრიას...“** – ეკატერინე დადიანის შვილები (იხ. აქვე, გვ. 330).

## 65. ეკატერინე დადიანისადმი

(გვ. 127-128)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1821. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1863 წ. 6 დეკემბერი. ქუთაისი. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 128) **„აქაურს წმ. ნინოს ზავედენიეში თქვენის ხარჯით აღარა ვინ იზრდება“** – *წმ. ნინოს ზავედენიე:* იგულისხმება ქუთაისის წმ. ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელი, რომელიც, წესდების მიხედვით, „კეთილი ცოლებისა და ოჯახის კარგი დედების მოსამზადებლად“ დაარსდა 1847 წ. (დახურული პანსიონითურთ) და დროთა განმავლობაში დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან კულტურულ-საგანმანათლებლო კერად იქცა (სასწავლებლის შესახებ იხ. თავზიშვილი 1974: 266-267).

## 1864

### 66. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 128-129)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1823. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1864 წ. 3 იანვარი. ქუთაისი. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 128) **„ზაპისკას რომ ვადგენ ნამესტნიკისათვის ჩვენის საქმეების მოსახსენებელად...“** – *ნამესტნიკისათვის* (მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძისთვის) განკუთვნილ *ზაპისკას* (ახსნა-განმარტებით მიმართვას), რომელსაც დიმ. ყიფიანი ეკატერინე დადიანისათვის გაგზავნილ ამ, აგრეთვე, წინა და მომდევნო წერილებში, ახსენებს, ის ბედი ეწია, რომ მისი განხილვა მეტისმეტად გაჭიანურდა, 1866 წლის ივლისამდე გაგრძელდა და საბოლოოდ „ყოვლად უმართლო და უსაფუძვლო“ შედეგით დასრულდა (იხ. წერილები №140, 141). დაცულობა *ზაპისკის* ტექსტისა ჩვენ ვერ გამოვარკვიეთ და, შესაბამისად, იგი არ არის შეტანილი წინამდებარე გამოცემაში.

[2] (გვ. 129) **„კოლუბაკინები. ერთი ძლივს მოვიცილეთ თავიდამ და მეორე კი ჯერ ისევ აქ არის, ბაქოში გუბერნატორად“** – *კოლუბაკინები:* სამეგრელოს მმართველები, ძმები *ნიკოლოზ* (1857, 1861-1862) და *მიხეილ* (1858-1861) *კოლიუბაკინები.* ამათგან ნიკ. კოლიუბაკინი კავკასიიდან 1862 წ. გაიწვიეს (იხ. აქვე, გვ. 372), ხოლო რაც შეეხება მიხ. კოლიუბაკინს, იგი ბაქოს გუბერნატორი იყო 1863 წ. ნოემბრიდან 1872 წ. იანვრამდე (გარდაიცვალა ამ თანამდებობაზე ბაქოშივე, იქვეა დაკრძალული).

[3] (გვ. 129) **„ელიზბარ ბატონიშვილმა თქვენი ჭირი წაიღო“** – იგულისხმება *ელიზბარ გიორგის ძე დადიანი,* მთავარი ფიგურა ეკა-

ტერინე დადიანის მიმართ ოპოზიციურად განწყობილ ჯგუფში (ე. დადიანის შესახებ იხ. ბოროზდინი 1934: 76-78, 237-240).

[4] (გვ. 129) **„კოსტანტინეს ამბავიც...“** – *კონსტანტინე დადიანი* (ეკატერინე დადიანის მაზლი) იგულისხმება.

## 67. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 129-131)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1824. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1864 წ. 11 იანვარი. ქუთაისი. ხელმოუწერელი (ტექსტის ბოლო მონაკვეთი არშიებზე წვრილად და მჭიდროდაა ნაწერი და ეტიკეტით გათვალისწინებული გამოსამშვიდობებელი სიტყვებისთვის ადგილი არ არის დარჩენილი).

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

**ტექსტში გამოყენებული რუსული სიტყვები ნიშნავს**:

**ზაპისკა** – *Записка:* ჩანაწერი, წერილი, განმარტებითი ბარათი (აქ: ოფიციალური ახსნა-განმარტებითი მიმართვა).

**მეჟევანიე** – *Межевание:* გამიჯვნა (აქ: მიწებისა).

**ოპეკა** – *Опека:* მეურვეობა.

**სუდებნი დეპარტამენტი** – *Судебный департамент:* სასამართლო დეპარტამენტი.

[1] (გვ. 129) **„ზაპისკა შევადგინე ... მოსახსენებლად ნამესტნიკის წინაშე“** – აქ ნახსენები *ზაპისკის* შესახებ იხ. აქვე, გვ. 382.

[2] (გვ. 130) **„ხელმწიფის გარდაწყვეტილება აღსრულებაში იყოს მოყვანილი, ან ერთი, ან მეორე“** – *ხელმწიფის* (ალექსანდრე II-ის) *გარდაწყვეტილებების* შესახებ იხ. აქვე, გვ. 164-165.

[3] (გვ. 130) **„მე იმისთვის გამომიძახეს სამსახურიდამ“** – *გამოძახება* აქ ნიშნავს ალ. ბარიატინსკის მიერ დიმ. ყიფიანის დათხოვნას სამსახურიდან (საკითხის შესახებ იხ. აქვე, გვ. 321-322, 342-343.

[4] (გვ. 130) **„მოსამსახურეების გამოგზავნა კოსტანტინემ მიიღო თავისს თავზედ“** – *კონსტანტინე:* იგულისხმება ეკატერინე დადიანის მაზლი *კონსტანტინე ლევანის ძე დადიანი.*

[5] (გვ. 130) **„ველ. კნიაზმა...“** – იგულისხმება კავკასიის მეფისნაცვალი, დიდი მთავარი (Великий князь) *მიხეილ ნიკოლოზის ძე.*

## 68. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 131-133)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1825. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1864 წ. 21 თებერვალი. ტფილისი. ხელმოუწერელი (ტექსტი ფურცლის ბოლომდე მჭიდროდაა ნაწერი და ეტიკეტით გათვალისწინებული გამოსამშვიდობებელი სიტყვებისთვის ადგილი არ არის დარჩენილი).

წერილი ძირითადად ეხება მნიშვნელოვან მოვლენას – 1864 წლის 16 თებერვალს ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის მიერ ***აზნაურ*** დიმ. ყიფიანის არჩევას საკუთარ წინამძღოლად [„მარშლად“; აქამდე ამ პოსტზე მხოლოდ უმაღლესი არისტოკრატიის წარმომადგენლებს ირჩევდნენ (გარსევან ჭავჭავაძე, კონსტანტინე ივანეს ძე მუხრანბატონი, დიმიტრი თამაზის (თომას) ძე, ივანე თამაზის (თომას) ძე, ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანები)]. „მარშლად“ არჩევას დიმ. ყიფიანი უფრო ვრცლად ეხება თავის „მემუარებში“ (იხ. ყიფიანი 2020: 255-261, 450-461; საკითხის ისტორია, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ.: საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: 20-24, 79-82, 126-127, 215-229; ჯორჯაძე 1989: 453-457; ხუნდაძე 1936: 88-95; უთურაშვილი 1989: 92-97).

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 131) **„ზაპისკა რომ თეთრად გადავაწერინე...“** – *ზაპისკის* (ახსნა-განმარტებითი მიმართვის) შესახებ, რომელიც მეფისნაც-

ვალ მიხეილ ნიკოლოზის ძისთვის იყო განკუთვნილი, იხ. აქვე, გვ. 382.

[2] (გვ. 131) **„კიდევ მომივიდა მარშლისაგან დეპეშა“** – *მარშალი:* იგულისხმება ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი“) 1857-1864 წწ. *ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანი.*

[3] (გვ. 132) **„გიორგი რომანიჩი“** – *გიორგი რევაზის (რომანის, რომანოზის) ძე ერისთავი.* დიმ. ყიფიანისადმი ელიზბარ ერისთავის 1864 წ. 4 იანვრის წერილის მიხედვით, გავრცელებული ყოფილა ხმები, თითქოს გ. რ. ერისთავს თვითონ უნდოდა „მარშლობა“: „გიორგი რომანიჩსაც მისთვის თურმე უნდა [„მარშლობა“], მაგრამ მე არა მჯერა... უეჭველია, არ მოინდომებს“ (ჯოლოგუა 1997: 166).

[4] (გვ. 132) **„გამოვიდა 171 კენჭი თეთრი და 5 შავი“** – სხვადასხვა წყარო მომხრეთა და წინააღმდეგთა შესახებ ოდნავ განსხვავებულ ცნობებს იძლევა: ალ. ნიკოლაის მიერ პეტერბურგში გაგზავნილი მოხსენება – მომხრე 172, წინააღმდეგი 7 (ჩხეტია 1950: 01); მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძის მიმართვა „კავკასიის კომიტეტისადმი“ – მომხრე 171, წინააღმდეგი – 7 (ჩხეტია 1950: 316).

[5] (გვ. 132) **„ბარონმა კი მკითხა, ოპეკუნობას რას უზამო და მე უპასუხე, თუ სოვეტის ჩლენობა ვერ მიშლიდა...“** – ა) *ბარონი:* იგულისხმება *ალ. ნიკოლაი;* ბ) *სოვეტის ჩლენობა [საბჭოს წევრობა]:* დიმ. ყიფიანი მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკის საბჭოს წევრი იყო 1857-1862 წწ.

[6] (გვ. 132) **„წინააღმდეგნი ამასა ცდილობენ, რომ არ დამამტკიცონ“** – არჩევნების მეორე დღესვე (17 თებერვალს) გრ. ორბელიანმა და ივ. მუხრანბატონმა მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძეს წარუდგინეს მოხსენებითი ბარათი, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო სამსახურიდან დათხოვნილი დიმ. ყიფიანის არჩევა ხელს ვერ შეუწყობდა დაქსაქსული და ურთიერთდაპირისპირებული თავადაზნაურობის გაერთიანებას და, გარდა ამისა, თვითონ ყრილობა ჩატარებული იყო კანონის დარღვევით. მათ ამ ბარათს დაურთეს თავადაზნაურობის იმ 66 წარმომადგენლის სია, რომლებიც წინააღმდეგნი იყვნენ დიმ. ყიფიანისა და ითხოვდნენ „მარშლად“ გენე-

რალ-ლეიტენანტ რევაზ ანდრონიკაშვილის არჩევას. საქმის გარკვევა და პეტერბურგისთვის ანგარიშის წარდგენა დაევალა ბარონ ალ. ნიკოლაის, რომელმაც დაწერა და 1864 წ. 28 თებერვლის თარიღით უმაღლეს ხელისუფლებას პეტერბურგში გაუგზავნა ვრცელი მოხსენება, რომელიც მეტად საყურადღებო დოკუმენტია ზოგადად XIX ს. საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიისათვის. ალ. ნიკოლაის მოხსენებით ირკვევა, რომ ხელისუფლებას დიმ. ყიფიანთან დაკავშირებით სხვა საკითხიც აწუხებდა, კერძოდ ის, რომ გავრცელებული ხმებით იგი ფარული ავტონომისტი იყო. ალ. ნიკოლაის დასკვნით, იგი ამას ვერ დაადასტურებდა, თუმცა ვერც უარყოფდა. ხოლო რაც შეეხება არჩევნების შედეგს, მომხსენებლის შეხედულებით, შედეგი ძალაში უნდა დარჩენილიყო, რადგან: ა) თავადაზნაურობის „წინამძღოლი შეიძლება იყოს მარტოოდენ შუამავალი თავის წოდებასა და ხელისუფლებას შორის, რათა ამ უკანასკნელმა ესა თუ ის წყალობა გაიღოს და ვერავითარ შემთხვევაში იგი (წინამძღოლი) ვერ გახდება რაიმე პოლიტიკური ორგანიზმის მეთაური“; და ბ) „წინამძღოლის თანამდებობაზე მის (დიმ. ყიფიანის – თ. ჯ.) დაუმტკიცებლობას შეუძლია ფარული ოპოზიციის შექმნა და ეს ოპოზიცია მოიპოვებს ბ-ნი ყიფიანის ყველა ამომრჩევლის თანაგრძნობას“ [ალ. ნიკოლაის ტექსტი დედნის (რუსულ) ენაზე იხ.: ჩხეტია 1950: 01-012; თარგმანი შენიშვნებითა და კომენტარებით – საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: 215-229; შემოკლებული ვერსია – ყიფიანი 2020: 455-461].

1864 წ. 15 მარტს ალექსანდრე II-მ დიმ. ყიფიანი დაამტკიცა „მარშლის“ თანამდებობაზე (ყიფიანი 29: ფ. 82) და ამით ეს ისტორია დასრულდა კიდევაც.

[7] (გვ. 133) **„დამოჟნის ფული რომ გეძლეოდათ...“** – *დამოჟნის ფული:* საბაჟო შემოსავალი.

[8] (გვ. 133) **„ქუთაისის წ. ნინას ზავედენიეს დაუთმეთ...“** – *ქუთაისის წ[მ.] ნინოს ზავედენიის* (სასწავლებლის) შესახებ იხ. აქვე, გვ. 381.

## 69. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 133-134)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1826. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ (ნაწილობრივ რუსულ) ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1864 წ. 13 მარტი. ტფილისი. **ხელმოწერა:** დ. ყიფიანი.

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 133) **„ჩემი ზაპისკის განსახილავად ბარონმა კარგად მოჰკიდა ხელი“** — ა) *ზაპისკის* (ახსნა-განმარტებითი მიმართვის) შესახებ იხ. აქვე, გვ. 382; ბ) *ბარონი:* იგულისხმება *ალ. ნიკოლაი.*

[2] (გვ. 133) **„მიხაილ იეგორიჩს და მისს სახლობას თავი კი დაუღწევიათ...“** — იგულისხმებიან სამეგრელოს მმართველი 1862-1865 წწ. *მიხეილ იაგორის (გიორგის) ძე ჭილაშვილი* და მისი მეუღლე *მარიამ შჩერბინინა* (მათ შესახებ იხ. აქვე, გვ. 345-346).

[3] (გვ. 134) **„ჩემი დამტკიცებისა ჯერ არა არის რა“** — საკითხის შესახებ იხ. აქვე, გვ. 385-386.

[4] (გვ. 134) **„დღეს შევუდექით კიდევ ბატონყმობის საქმის შინჯვას“** — იგულისხმება საგლეხო რეფორმა (ბატონყმობის გაუქმება), რომლის პროექტი დიმ. ყიფიანის მიერ იყო შედგენილი (იხ. აქვე, გვ. 335).

[5] (გვ. 134) **„ევდოკია გაბრიელის ასულს“** — იგულისხმება *ევდოკია მერდერი* (იხ. აქვე, გვ. 329-330).

## 70. მიხეილ თუმანიშვილისადმი
(გვ. 134-135)

**ხელნაწერი:** ხეც. მიხეილ თუმანიშვილის არქ., საქ. №1005. ავტოგრაფი. დედანი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1864 წ. 18 მაისი. **ხელმოწერა:** Д. Кипиани.

წერილი ეხება საგლეხო რეფორმას, რომლის პროექტიც დიმ. ყიფიანმა შეადგინა (იხ. აქვე, გვ. 335). ხიზანთა საკითხს ამ პროექტში განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება [ტექსტი პროექტისა იხ. ყიფიანი 2018: 133-192; საჯარო სიტყვა (1864 წ. მაისი) საგლეხო რეფორმის შემმუშავებელი კომიტეტის სხდომაზე იხ. ყიფიანი 2021: 20-27]. დიმ. ყიფიანი ცდილობდა ფენათა ინტერესების შეხამებას: ერთი მხრივ, გლეხს უნდა მინიჭებოდა თავისუფლება, მიწა კი რჩებოდა მემამულეს, ხოლო, მეორე მხრივ, გლეხი უნდა გადაეყვანათ ხიზნის მდგომარეობაში, ანუ მას ეცხოვრა მემამულის კუთვნილ მამულში, მიწა შეთანხმებული პირობებით აეღო იჯარით და ამით ერჩინა თავი. ს. ხუნდაძის განმარტებით, დიმ. ყიფიანს საკითხი ესმოდა ასე: „მართალია, გლეხს არ ექნება საკუთრებად მიწა, მაგრამ ფაქტიურად მის განკარგულებაში იქნება მემამულის მიწა მოსახმარად განსაზღვრული გადასახადის დაწესებით და გლეხი ეკონომიურადაც და იურიდიულადაც მიკრული იქნება მიწაზე. ამიტომ დიმ. ყიფიანი აყენებს წინადადებას, რომ ბატონყმური წყობილების მოსპობის შემდეგ ქართველი გლეხობა გადაყვანილი ყოფილიყო ხიზანთა მდგომარეობაზე“ (ხუნდაძე 1936: 143). სხვათა შორის, ამით დიმ. ყიფიანი იმასაც ცდილობდა, რომ არ გაჩენილიყო უმიწაწყლო ფენა, რაც ამ ფენის გაპროლეტარების რეალურ საფრთხეს შეიცავდა (ხუნდაძე 1936: 144).

1860-იან წწ., საგლეხო რეფორმის განხორციელებისას, ამ საკითხის სამართლებრივი მოგვარება ვერ მოხერხდა და პრობლემამ მომდევნო ათწლეულებშიც შეინარჩუნა სიმწვავე. რაც შეეხება საკუთრივ დიმ. ყიფიანს, იგი სიცოცხლის ბოლომდე იდგა თავის პოზიციაზე (იხ. მის მიერ 1884 წ. 17 მაისს დაწერილი და ჟურნალ „იურიდიჩესკოე ობოზრენიეში“ გამოქვეყნებული წერილი „ხიზანთა საკითხი“ – ყიფიანი 2017: 106-113).

ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 337.

## 71. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 135-136)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1827. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ (ნაწილობრივ რუსულ) ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1864 წ. 22 მაისი. ტფილისი. **ხელმოწერა:** დ. ყიფიანი.

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 135) **„4-ს ფებერვალს ბარონს ჩვენს საქმეებზედ ზაპისკა მივეცი“** – ა) *ბარონი:* იგულისხმება *ალ. ნიკოლაი;* ბ) *ზაპისკის* (ახსნა-განმარტებითი ბარათის) შესახებ იხ. აქვე, გვ. აქვე, გვ. 382.

[2] (გვ. 135) **„სპრავკებს თხოვილობენ...“** – *სპრავკები:* ცნობები.

[3] (გვ. 135) **„აქ ბატონ-ყმობის საქმის შინჯვა ძალიან გაცხარებულია“** – იგულისხმება საგლეხო რეფორმა, რომლის პროექტი დიმ. ყიფიანის მიერ იყო შედგენილი (იხ. აქვე, გვ. 335).

[4] (გვ. 135) **„რაც გააჩნდა, ყოველივე დაეწვა“** – დიმ. ყიფიანი გულისხმობს დადიანთა ზუგდიდის სასახლის დაწვას. სამეგრელოს მმართველი მიხეილ (მიშელ) ჭილაშვილი მეუღლითურთ ამ სასახლეში იდგა და ყველაფერი, რაც მას თან ჰქონდა, ამ ხანძარს შეეწირა (იხ. წერილი №69).

[5] (გვ. 136) **„ჩემი ნინო...“** – მეუღლე დიმ. ყიფიანისა, *ნინო ჭილაშვილ-ყიფიანი.*

[6] (გვ. 136) **„ბატონს ნიკოს, კნიაჟნა სალომეს და ანდრიას...“** – ეკატერინე დადიანის შვილები (იხ. მათზე აქვე, გვ. 330).

[7] (გვ. 136) **„ევდუკია“** – *ევდოკია მერდერი* (იხ. აქვე, გვ. 329-330).

## 72. მიხეილ ნიკოლოზის ძისადმი
(გვ. 136-137)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №278. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1864 წ. ივნისი. ხელმოუწერელი.

ტექსტზე დიმ. ყიფიანის მინაწერია (რუსულ ენაზე): „გადაეცა 9 ივნისს“.

რუსეთის იმპერიის თითქმის ნახევარსაუკუნოვანი (1817-1864 წწ.) ომი ჩრდილოეთ კავკასიის დასამორჩილებლად დასრულდა 1864 წლის 21 მაისს (კავკაზ 1846ა). იმავე წლის 8 ივნისის ღამეს მეფისნაცვალი, დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე ბრძოლის ველიდან თბილისში დაბრუნდა, 9 ივნისს კი გაიმართა ზეიმი, რომელსაც თავადაზნაურობის დეპუტაციაც ესწრებოდა. ზეიმზე დიმ. ყიფიანმა, როგორც ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის წინამძღოლმა, სიტყვით მიმართა დიდ მთავარს. სიტყვა ზუსტად იმეორებს წინამდებარე ტექსტს (ზეიმის შესახებ, აგრეთვე, დიმ. ყიფიანის მიმართვა მეფისნაცვლისადმი იხ. კავკაზ 1864ბ).*

წერილის ადრესატია კავკასიის მეფისნაცვალი და ჯარების სარდალი (1862-1881 წწ.) ***მიხეილ ნიკოლოზის ძე***, რომანოვთა საიმპერატორო ოჯახის წევრი (დიდი მთავარი – ძე ნიკოლოზ პირველისა, ძმა ალექსანდრე მეორესი. ამიტომაც იყო მის ტიტულატურაში *მისი იმპერატორობითი უმაღლესობა)*, გენერალ-ფელდმარშალი, გენერალ-ფელდცეიხმაისტერი, რუსეთის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე (1881-1905; კავკასიის მეფისნაცვლობიდან ოფიციალურად გათავისუფლდა 1881 წ. 23 ივლისს, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ კი მანამდე, 14 ივლისს, დაინიშნა. 1905 წ. გადადგა პოსტიდან, თუმცა სიკვდილამდე დარჩა სახელმწიფო საბჭოს საპატიო თავმჯდომარედ). გარდაიცვალა 1909 წ. 18 დეკემბერს საფრანგეთში (ნიცაში). მეუღლესთან, ოლგა თეოდორეს ასულთან, ერთად დაკრძალულია პეტერბურგში, პეტრე-პავლეს ტაძარში.

მიხეილ ნიკოლოზის ძესთან ურთიერთობას დიმ. ყიფიანი არაერთხელ ეხება თავის ავტობიოგრაფიულ ნაწერებში (იხ. ყიფიანი 2020: 34-45, 129, 272...).

---

* სამწუხაროდ, ჩვენ ეს სიტყვა გამორჩენილი გვაქვს წინამდებარე გამოცემის VI ტომში, რომელშიც დიმ. ყიფიანის საჯარო სიტყვებია შესული.

[1] (გვ. 137) **„დაამკვიდროთ მოქალაქეობა“** – დედანში: „...водворить гражданственность“.

## 73. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 137-138)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1828. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1864 წ. 12 ივნისი. ტფილისი. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

**ტექსტში გამოყენებული რუსული სიტყვები ნიშნავს**:

**ველიკი კნიაზი** – *Великий князь:* დიდი მთავარი (ტიტული, რომელიც საიმპერატორო ოჯახის წევრებს ენიჭებოდა).

**ზაკლადნოი** – *Закладной:* საგირავნო (გირაოს მიცემის დამადასტურებელი ქაღალდი).

**ზაპისკა** – *Записка:* ჩანაწერი, წერილი, განმარტებითი ბარათი (აქ: ოფიციალური ახსნა-განმარტებითი მიმართვა).

**კნიღა** – *Книга:* წიგნი [აქ შემოსავალ-გასავლის წიგნი (დავთარი) იგულისხმება].

**ობიასნენია** – *Объяснение:* ახსნა-განმარტება.

**სპრავკა** – *Справка:* ცნობა.

[1] (გვ. 137) **„მიზეზი ისევ ის ბატონყმობის საქმე გახლდათ ... და ახლა იწერება“** – იგულისხმება დიმ. ყიფიანის მიერ მომზადებული საგლეხო რეფორმის პროექტის (იხ. აქვე, გვ. 335) საბოლოო ვერსიის დამუშავება პეტერბურგში წარსადგენად.

[2] (გვ. 137-138) **„როდესაც დამტკიცება გამოვიდა ... ყველამ გადმიხადა ვიზიტი და ამათ კი ჯერაც არ გადუხდიათ“** – საუბარია კონფლიქტზე, რომელიც თავადაზნაურობის წინამძღოლად („მარშლად“) დიმ. ყიფიანის არჩევისას მოხდა (იხ. აქვე, გვ. 131-133, 385-386).

[3] (გვ. 138) **„კოსტანტინეს რომ ცამეტი ათას მანათამდის ჰმართებს ... სვიმონოვის თამასუქები რომ მიყრია და კნიღებში კი არ მიწერია, ამას რა უყოთ?“** – *კონსტანტინე დადიანსა* და *ვასილ სვიმონოვზე (სემიონოვზე)* გაცემული ვალების შესახებ იხ. აქვე, გვ. 126-127.

[4] (გვ. 138) **„მე რომ ფებერვალში ბარონს ზაპისკა მივეცი“** – მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძის მისამართით დაწერილი და მთავარსამმართველოს უფროსისთვის, ბარონ ალ. ნიკოლაისთვის, *მიცემული ზაპისკის* შესახებ იხ. აქვე, გვ. 382.

[5] (გვ. 138) **„ბატონს ნიკოს, კნიაჟნა სალომეს და კნიაზს ანდრიას...“** – ეკატერინე დადიანის შვილები (იხ. აქვე, გვ. 330).

[6] (გვ. 138) **„ჩემი ნინო...“** – დიმ. ყიფიანის მეუღლე *ნინო ჭილაშვილ-ყიფიანი.*

[7] (გვ. 138) **„ჩემი უფროსი შვილის გასტუმრებას ვაპირებ პეტერბურღის უნივერსიტეტში“** – დაცულია დიმ. ყიფიანის ხელით დაწერილი მოწმობა (ადრესატი მითითებული არ არის):

> „მ ო წ მ ო ბ ა. – ვადასტურებ, რომ ამ მოწმობის წარმომდგენი, ჩემი 18 წლის ვაჟიშვილი ნიკოლოზ ყიფიანი, ჩემ მიერ გასტუმრებულია ს.-პეტერბურგში იქაურ უნივერსიტეტში მოსაწყობად. – დამოწმებულია ჩემ მიერვე საკუთარი ხელმოწერითა და გერბიანი ბეჭდით. ტფილისის გუბერნიის გორის მაზრის სოფ. ქვიშხეთი. 12 ივნისი 1864. – [დიმიტრი ყიფიანი]. ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი, ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №71. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1).

მოგვიანებით, 1864 წ. 21 სექტემბერს, დიმ. ყიფიანი ეკატერინე დადიანს სწერს: „ჩემი უფროსი შვილი ახლა პეტერბურღში არის; უნივერსიტეტის ეგზამენს ვერ მიუსწრო და მომავალის წლის აუგვისტომდინ გარეთ უნდა იყოს. მაქვს იმედი, რომ თქვენს ყურადღებასა და მფარველობას არ მოაკლებთ“ (აქვე, გვ. 149).

ნიკოლოზ (ნიკო) ყიფიანი პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა 1867-1869 წწ., თუმცა სტუდენტთა პოლიტიკურ (მათ შორის, არალეგალურ) მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის დააპატიმრეს, ხანგრძლივი დაკითხვების შემდეგ გარიცხეს უნივერსიტეტიდან, აუკრძალეს რუსეთის დედაქალაქებში (მოსკოვი, პეტერბურგი) ცხოვრება და ადმინისტრაციული წესით დააბრუნეს საქართველოში (იხ. რატიანი 1984: 167-201, 231, 234-235, 241-244).

## 74. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 139)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1829. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1864 წ. 6/18 ივლისი. ტფილისი. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 139) **„ბატონი ნიკო და ანდრია...“** – ეკატერინე დადიანის შვილები (იხ. აქვე, გვ. 330).

[2] (გვ. 139) **„ჩემი ნინო...“** – დიმ. ყიფიანის მეუღლე *ნინო ჭილაშვილ-ყიფიანი.*

[3] (გვ. 139) **„ტფილისში დავრჩი იმავე ბატონ-ყმობის საქმის მიზეზით“** – *ბატონყმობის საქმის* შესახებ იხ. აქვე, გვ. 335).

[4] (გვ. 139) **„წამოველ პეტერბურღს და მთელს წელიწადს დავრჩი“** – დიმ. ყიფიანი ეკატერინე დადიანის საქმეებზე რუსეთში (პეტერბურგი, ცარსკოე-სელო) 1860 წ. 17 აპრილიდან 1861 წ. მაისამდე იმყოფებოდა (იხ. აქვე, გვ. 309-310).

[5] (გვ. 139) **„ზაპისკა შევიტანე ჩვენის საქმეებისა“** – *ზაპისკის* შესახებ იხ. აქვე, გვ. 382.

## 75. კონსტანტინე ორლოვსკისადმი
(გვ. 140-142)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №779. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 4. **თარიღი:** 1864 წ. 24 ივლისი. **ხელმოწერა:** Д. Кипиани.

ტექსტს თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია (რუსულ ენაზე): „გუბერნატორს“.

ყიფიანების კარის ეკლესია (ამჟამად ქვიშხეთის მაცხოვრის აღდგომის დედათა მონასტერი), რომელსაც წინამდებარე წერილი ეხება და რომლის აგების საქმე მიზეზთა გამო გაჭიანურდა, 1870 წელს (ან ახლო ხანებში) დასრულდა (ვრცლად საკითხის შესახებ იხ. ჯოლოგუა 2022[ბ]: 183-186).

ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 349-350.

[1] (გვ. 140) **„ბელოი II“** – თბილისელი არქიტექტორი *ევგენი ბელოი,* რომელიც შვილი იყო გუბერნიის არქიტექტორის, *ტიმოთე ბელოისა* [ამიტომაც უწოდებდნენ მას ბელოი II-ს (ან ბელოი 2-ს); მამა-შვილის შესახებ იხ. ბერიძე 1963: 164-166].

[2] (გვ. 140) **„მაღალუსამღვდელოეს ეგზარქოსს წარედგინება“** – იგულისხმება საქართველოს ეგზარქოსი (1858-1877) *ევსევი* (ილინსკი). დაცულია ევსევის მიმართვა დიმ. ყიფიანისადმი. ეგზარქოსი დიმ. ყიფიანს აუწყებს, რომ ეკლესიის გეგმა დამტკიცებულია:

> „თქვენო აღმატებულებავ,
> მოწყალეო ხელმწიფეო!
>
> გიბრუნებთ, თქვენო აღმატებულებავ, იმ ეკლესიის ჩემ მიერ დამტკიცებულ გეგმას, რომელიც სოფელ ქვიშხეთში წმ. გიორგი მთაწმინდლის სახელზე უნდა აშენდეს. ამასთანავე ნებას გრთავთ, შეაკეთოთ ძველი და დაზიანებული ხის ეკლესია იმავე სოფელში. – მაქვს პატივი, დავუდასტურო თქვენს აღმატებულებას წრფელი პატივისცემა და სრული ერთგულება.

**ევსევი არქიეპისკოპოსი,** საქართველოს ეგზარქოსი

4 ივნისი 1869 წელი. ქ. ტფილისი“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №597. ფ. 1. რუსულ ენაზე).

[3] (გვ. 140) **„შესწიროს იმ თანხიდან, რომელიც გლეხობის კერძო გადასახადების სანაცვლოდ იქნება ასიგნებული“** – საუბარია იდეაზე, რომელიც საბოლოოდ თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის დაარსებით დასრულდა (უფრო ვრცლად იდეისა და მისი განხორციელების გზების შესახებ იხ. წერილი №79).

[4] (გვ. 141) **„თქვენთვის ცნობილია ჩემი ბორჯომის მამულის საქმე“** – *ბორჯომის მამულის საქმის* შესახებ იხ. აქვე, გვ. 302.

[5] (გვ. 142) **„ცნობილ პირთა გასახარად უარი ვთქვა წინამძღოლობაზე“** – *ცნობილი პირები:* იგულისხმებიან ის პირები (გრ. ორბელიანი, ივ. მუხრანბატონი და სხვ.), რომლებიც წინააღუდგნენ თავადაზნაურობის წინამძღოლად დიმ. ყიფიანის არჩევას (იხ. აქვე, გვ. 131-133).

## 76. ევგენი ბელოისადმი
(გვ. 142-143)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №779. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 2. უთარიღო. ხელმოუწერელი.

თარიღდება [1864 წ. 24 ივლისი] კ. ორლოვსკისადმი წინა (№75) წერილის მიხედვით.

ტექსტს თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია (რუსულ ენაზე): „ბელოის“. მეორე ნაწილს („ნება მიბოძეთ, გთხოვოთ ზოგი რამ...“) დიმ. ყიფიანისვე ხელით თავზე აწერია (რუსულ ენაზე): „სპეციალური მინაწერი“.

ქვიშხეთის ეკლესიის შესახებ იხ. აქვე, გვ. 394.

წერილის ადრესატია ***ევგენი ბელოი,*** არქიტექტორი და მხატვარი, საგუბერნიო არქიტექტორის (1830-1860-იანი წწ.), ტიმოთე ნიკიტას ძე ბელოის შვილი, თბილისის საქალაქო არქიტექტორი 1878-1898 წწ. (1866 წლიდან სწავლობდა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში; ე. ბელოის შესახებ იხ. ბერიძე 1963: 164-165).

[1] (გვ. 142) **„მივმართავ ბ-ნ სამოქალაქო გუბერნატორს, მოგავლინოთ ჩემს მამულში"** – სამოქალაქო გუბერნატორ *კ. ორლოვსკისადმი* დიმ. ყიფიანის მიმართვა იხ. წერილი №75.

## 77. კონსტანტინე ორლოვსკისადმი
(გვ. 143)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №779. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1864 წ. 25 ივლისი. ხელმოუწერელი.

საბუთში მითითებულია დაწერის *თვე და რიცხვი* [25 ივლისი], თუმცა არ არის მითითებული დაწერის *წელი.* თარიღდება [1864 წ.] ტექსტის მონაცემის საფუძველზე: „გუშინდელი წერილის საფუძველზე...". *გუშინდელი* კი არის დიმ. ყიფიანის 1864 წ. 24 ივლისის წერილი კ. ორლოვსკისადმი (იხ. წერილი №75)

ტექსტს თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია (რუსულ ენაზე): „გუბერნატორს".

ქვიშხეთის *ეკლესიის* შესახებ იხ. აქვე, გვ. 394.

ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 349-350.

## 78. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 144)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1830. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1864 წ. 22 აგვისტო. სოფ. ქვიშხეთი. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

## 79. თბილისის გუბერნიის მაზრების თავადაზნაურობის წინამძღოლებისადმი
(გვ. 145-147)

**ხელნაწერი**: სეა. ფონდი 214. აღწ. I. საქ. №3366. ფ. 4-5. ავტოგრაფი. შავი. ქართულ ენაზე. **ნაბეჭდი**: დიმიტრი ყიფიანის წერილებიდან. გაზ. „საქართველო". 16.I, 1916. №11; შ. ჩხეტია. საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში. თბილისი: საქართველოს სსრ შსს საარქივო სამმართველო. 1950, გვ. 322-324; ს. ხუნდაძე. დიმიტრი ყიფიანი. თბილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1936, გვ. 155-156; Грузия в период буржуазных реформ (1862-1872). Под редакцией Ш. К. Чхетия. Т. I. Ч. II. Тбилиси: Архивное управление при совете министров Грузинской ССР. 1960, გვ. 768-770. **თარიღი:** 1864 წ. 31 აგვისტო. ხელმოუწერელი.

ტექსტს სათაურად დიმ. ყიფიანის ხელით აწერია: „უეზდის მარშლებს". იქვეა მისივე მინაწერი: „ტფილისისას – №171; გორისას – №174; სიღნახისას – №173; თელავისას – №172". ეს არის სტანდარტული ტექსტი ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის სამაზრო წინამძღოლების, აგრეთვე, გავლენიანი წევრებისთვის გასაგზავნად (იხ. წერილი №80). ხეც-ში (დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №270. ავტოგრაფი. შავი. ქართულ ენაზე. უთარიღო. ხელმოუწერელი. ფ. 4) დაცულია იგივე ტექსტი (ორ ცალად), რომელიც სეა-ში დაცულისგან მხოლოდ მცირეოდენი, არაარსებითი ხასიათის პუნქტუაციურ-ორთოგრაფიული სწორებებით განსხვავდება.

აქ სეა-ში დაცული ვერსია გადმოგვაქვს.

საკითხი ეხება საზოგადოებრივი ბანკის დაარსებას (საბოლოოდ ეს იდეა, როგორც ცნობილია, თბილისის სათავადაზნაურო-საად-

გილმამულო ბანკის დაარსებით დაგვირგვინდა). ამ საკითხზე თავადაზნაურობისადმი დიმ. ყიფიანის კიდევ ერთი, ამჯერად საჯარო, მიმართვა (1864 წ. 9 ნოემბრისა) გამოქვეყნდა ივ. კერესელიძის „ცისკარში“ (1864, №11) და იმავე წელს ცალკე ბროშურადაც დაიბეჭდა (ტექსტი მიმართვისა შენიშვნებითა და კომენტარებით იხ. ყიფიანი 2017: 36-38, 238-242; იქვე გვაქვს მცირეოდენი შემოკლებებით დამოწმებული თბილისის გუბერნიის მაზრების წინამძღოლებისადმი დიმ. ყიფიანის წინამდებარე მიმართვა).

[1] (გვ. 145) **„ინსტიტუტშიაც ირიცხება ოთხმოცდა ათზედ უმეტესი“** – *ინსტიტუტი:* იგულისხმება ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტი (1840-1918), დახურული ტიპის ქალთა საშუალო სასწავლებელი პანსიონით (ინსტიტუტის შესახებ იხ. თავზიშვილი 1974: 265-266).

[2] (გვ. 145) **„ველიკი კნიაზის ბალისა, ნასლედნიკის სადილისა, სახლის ქირისა, სადაც ჩვენი კენჭი მიდიოდა“** – ა) *ველიკი კნიაზის* [დიდი მთავრის] თბილისში შემოსვლასთან დაკავშირებული *ბალის* შესახებ იხ. აქვე, ალ. დ. ორბელიანისადმი 1863 წ. 9 მარტის წერილი №52 და მისი კომენტ. 2; ბ) *ნასლედნიკის* [ტახტის მემკვიდრის] *სადილი:* ?; გ) *სახლის ქირისა...:* თავადაზნაურობის შეკრებები, სადაც კენჭისყრებიც იმართებოდა ხოლმე, ტარდებოდა ივ. კ. მუხრანბატონის თბილისის სასახლეში (გოლოვინის, ამჟამად რუსთაველის, პროსპექტზე), კომერციული მიზნით მოწყობილ დარბაზში (1921 წ. ეს შენობა დაიწვა).

[3] (გვ. 146) **„ბევრი მოგვეცემა თუ ცოტა, ხელმწიფე იმპერატორის წყალობის ზომაზედ არის დამოკიდებული“** – ალექსანდრე II-ს დავალებით ცენტრალურმა ხელისუფლებამ შეიმუშავა და 1864 წ. 13 ოქტომბერს გამოაქვეყნა „მთავარი დებულება“, რომლის თანახმადაც თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობას გლეხთა განთავისუფლების საკომპენსაციოდ ორი მილიონი მანეთი გამოეყო (ვრცლად საკითხის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ. თელია 1989: 14-31).

[4] (გვ. 146) **„დაწესებას შევადგენ და თავის დროზედ გაგაშინ-**

**ჯებთ“** – დიმ. ყიფიანის 1867 წ. მაისის შემაჯამებელი შეხედულებები სათავადაზნაურო ბანკის შესახებ იხ. ყიფიანი 2018: 213-244, 448-451.

[5] (გვ. 147) **„ჩემის ძმების ოჯახს შეხვდება“** – დიმ. ყიფიანის *ძმების* შესახებ (ქაიხოსრო, გიორგი; კიდევ ერთი ძმა დიმ. ყიფიანისა – იოსები, ამ დროს გარდაცვლილია, თუმცა ჰყავს მემკვიდრე) იხ. საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: 240-242 [აქ ქაიხოსრო ყიფიანის გარდაცვალების წლად მითითებულია 1869 წელი, რაც შეცდომაა. სინამდვილეში იგი 1866 წ. ოქტომბერში გარდაიცვალა (იხ. წერილი №147)].

[6] (გვ. 147) **„............................“** – აქ დატოვებულია ადგილი ადრესატის სახელისა და გვარის ჩასაწერად (ტექსტი, როგორც ზემოთ აღინიშნა, სტანდარტულია და რამდენიმე პირისთვის იყო განკუთვნილი).

## 80. ივანე ანდრონიკაშვილისადმი
(გვ. 148)

**ხელნაწერი:** სეა. ფონდი 214. აღწ. I. საქ. №3366. ფ. 6. ავტოგრაფი. შავი. ქართულ ენაზე. უთარიღო. ხელმოუწერელი.

ტექსტი ***თარიღდება*** (1864 წ. 31 აგვისტო) თბილისის გუბერნიის მაზრების თავადაზნაურობის წინამძღოლებისადმი დიმ. ყიფიანის 1864 წ. 31 აგვისტოს მიმართვის საფუძველზე (იხ. წერილი №79), რომლის *პირიც*, როგორც წინამდებარე წერილიდან ირკვევა, დიმ. ყიფიანს ივ. ანდრონიკაშვილისთვის გაუგზავნია („...მომირთმევია პირი უეზდის მარშლებთან“).

საბუთს თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია (რუსულ ენაზე): „სიღნ[აღის] მაზრა. სოფ. ქოდალა“ და უზის ნომერი (№175).

იქვეა ავტოგრაფული ჩამონათვალი თავადაზნაურობის წარმომადგენლებისა, რომლებსაც დიმ. ყიფიანმა მიმართვის პირები გაუგზავნა:

*„ამ **გვარივე:***
კნიაზს დიმიტრი თამაზის ძეს ორბელიანს. – №179.
– გიორგი რომანიჩს ერისთავს. – №180.
– რევაზ ივანოვიჩს ანდრონიკოვს. – №176.
– დავით ალექსანდრეს ძეს ჭავჭავაძეს. – №178.
– რამაზ დიმიტრის ძეს თარხან-მოურავოვს. – №181.
– დიმიტრი ივანიჩს აფხაზოვს. – №182.
მისს ალმ. იაკინთე დიმიტრის ძეს ალექსეევს მესხიევს. – №183.
– ზახარ სტეფანიჩს ავთანდილოვს. – №184.
– კონსტანტინე ქაიხოსროს ძეს მამაცოვს. – №185.
– გაბრიელ ივანიჩს ყორღანოვს. – №186".

ადრესატის, გენერალ-ლეიტენანტ *ივანე ანდრონიკაშვილის,* შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 352-353.

## 81. გრიგოლ ორბელიანისადმი
(გვ. 148-149)

**ხელნაწერი**: სეა. ფონდი 214. აღწ. I. საქ. №3366. ავტოგრაფი. შავი. ქართულ ენაზე. ფ. 6. **ნაბეჭდი**: დიმიტრი ყიფიანის წერილებიდან. გაზ. „საქართველო". 16.I, 1916. №11; შ. ჩხეტია. საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში. თბილისი: საქართველოს სსრ შსს საარქივო სამმართველო. 1950, გვ. 322; Грузия в период буржуазных реформ (1862-1872). Под редакцией Ш. К. Чхетия. Т. I. Ч. II. Тбилиси: Архивное управление при совете министров Грузинской ССР. 1960, გვ. 770-771. **თარიღი:** 1864 წ. 31 აგვისტო. ხელმოუწერელი.

საბუთს თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია: „კნიაზს გრიგოლ დიმიტრის ძეს ორბელიანს" და უზის ნომერი (№177).

იგივე ტექსტი დაცულია ხეც-ში (დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №766. ავტოგრაფი. შავი. ქართულ ენაზე. უთარიღო. ხელმოუწერელი. ფ. 1). იგი სეა-ში დაცულისგან მხოლოდ ორიოდე, არაარსებითი ხასი-

ათის პუნქტუაციურ-ორთოგრაფიული სწორებით განსხვავდება. აქ გადმოგვაქვს სეა-ში დაცული ხელნაწერი. მისი ფოტოპირი გამოქვეყნებული აქვს იოველ ასათიანს (ასათიანი 1979: 40).

წერილში ასახულია დიმ. ყიფიანის პირველი ნაბიჯი გრ. ორბელიანთან შესარიგებლად მას მერე, რაც გრ. ორბელიანი არა მარტო დაუპირისპირდა ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის წინამძღოლად („მარშლად“) *აზნაურ* დიმ. ყიფიანის არჩევას, არამედ საპროტესტო სიტყვით გამოსვლისას შეურაცხყოფა მიაყენა მას – ანტონ ფურცელაძის მიხედვით, კენჭისყრის წინ გრ. ორბელიანმა თქვა: „საქართველო მაშინ დაიღუპა, როცა მე და წვიმიტიძე ერთმანეთს შეგვასწორეს!“ (საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: 81). უნდა ვიფიქროთ, გრ. ორბელიანზე იმოქმედა დიმ. ყიფიანის წინამდებარე მიმართვამ. ყოველ შემთხვევაში, თანდათანობით ადრინდელი მეგობრული და საქმიანი ურთიერთობა აღდგა, მათ შორის, სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკთან დაკავშირებითაც [1867 წ. 6 მაისს ბანკის წესდების შესადგენად შეიქმნა საგანგებო („განსაკუთრებითი“) „კომიტეტი“, რომლის საპატიო პრეზიდენტად არჩეულ იქნა გრ. ორბელიანი, ხოლო თავმჯდომარედ – დიმ. ყიფიანი (დროება 1867ა)]. მოგვიანებით კი, 1879 წ. 15 მაისს, როცა „ქშწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელ ყრილობაზე გრ. ორბელიანს „საზოგადოებისა“ და მისი გამგეობის თავმჯდომარეობა შესთავაზეს, ყრილობის ოქმის მიხედვით, მან იქ მყოფებს ამ სიტყვებით მიმართა:

> „დიდათა ვწუხვარ, ჭეშმარიტად, რომ უარი უნდა განგიცხადოთ. ეს საქმე ისეთი დიდი და მძიმე საქმეა, რომ საზოგადოების თავმჯდომარეცა და იმის მმართველობაც განუწყვეტელ შრომაში უნდა იყვნენ, რომ ეს ღვთიური საქმე კეთილად წარიმართოს. მე ყოველთვის მზადა ვარ, რითაც კი შემიძლია საზოგადოებას ვემსახურო, მაგრამ ეს ჯაფა რომ ვიკისრო, არც სიმრთელე მაძლევს ნებას და არც თვითონ საქმის გამოცდილება მაქვს საკმარისი. ამ მიზეზებით გთხოვთ, მე გამანთავისუფლოთ და თავმჯდომარეობა ისევ იმასა ვთხოვოთ, ვინც თავიდანვე ამ საქმეს ადგია“, – და ხელი მიიშვირა დიმიტრი ყიფიანზედ. მაშინ ყრილობამ ერთხ-

> მად დიმიტრი ყიფიანი აირჩია საზოგადოებისა და მისი გამგეობის თავმჯდომარედ. დ. ყიფიანი დაჯდა თავმჯდომარის სკამზედ...“ (გოდერიძე 1978: 17).

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ. ყიფიანი 2023: 447-448.

[1] (გვ. 148) **„მაგრამ რაც მოჰხდა, მოჰხდა“** – დიმ. ყიფიანი გულისხმობს გრ. ორბელიანისა და არისტოკრატიის სხვა თვალსაჩინო წევრების მძაფრ პროტესტს დიმ. ყიფიანის „მარშლად“ არჩევის წინააღმდეგ (იხ. აქვე, გვ. 131-133, 384-386; აგრეთვე, გვ. 137-138).

[2] (გვ. 148) **„უეზდის მარშლებთან ჩემის მიწერილობისა...“** – იგულისხმება დიმ. ყიფიანის მიმართვა მაზრების თავადაზნაურობის წინამძღოლებისადმი (იხ. წერილი №79).

## 82. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 149)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1831. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1864 წ. 21 სექტემბერი. სოფ. ქვიშხეთი. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 149) **„კოსტანტინეს ამბავი...“** – იგულისხმება *კონსტანტინე დადიანი.*

[2] (გვ. 149) **„მაცნობეთ, პიერსისაგან ხუთასი თუმანი მოგივიდათ თუ არა“** – პიერსისგან (პირსისგან) ხუთასი თუმნის *მისვლის* შესახებ იხ. წერილი №84.

[3] (გვ. 149) **„ბარონისაგან კი ჩემის ფებერვალში შეტანილის ზაპისკისა ჯერ არა ვიცირა“** – *ბარონისა* (ალ. ნიკოლაის) და *ზაპისკის*

(ახსნა-განმარტებითი მიმართვის) შესახებ იხ. აქვე, გვ. 126, 128-129, 382.

[4] (გვ. 149) **„...მათ შორის არჩილიც“** – *არჩილ დადიანი* იგულისხმება.

[5] (გვ. 149) **„ჩემი უფროსი შვილი ახლა პეტერბურღში არის; უნივერსიტეტის ეგზამენს ვერ მიუსწრო“** – *უფროსი შვილისა* (ნიკ. ყიფიანის) და *უნივერსიტეტის ეგზამენის* (გამოცდის) შესახებ იხ. აქვე, გვ. 138, 392-393.

## 83. პეტრე სობოლშჩიკოვისადმი
(გვ. 150)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №296. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1864 წ. 29 ოქტომბერი. ხელმოუწერელი.

ეს არის პასუხი „კავკასიის სამედიცინო საზოგადოების“ თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის, პეტრე სობოლშჩიკოვის, 1864 წ. 23 ოქტომბრის მიმართვაზე დიმ. ყიფიანისადმი:

„კავკასიის სამედიცინო საზოგადოებამ განსაკუთრებული სიამოვნებით მოისმინა მდივნის განცხადება იმის თაობაზე, რომ თქვენ სურვილი გაქვთ, მონაწილეობა მიიღოთ ჩვენს საქმეებში. მიმდინარე წლის 16 ოქტომბრის სხდომაზე საზოგადოებამ მიგიღოთ თავის წევრ-კორესპონდენტად“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №296; დიმ. ყიფიანის წინამდებარე პასუხის შავი მიწერილია აღნიშნული მიმართვის მეორე გვერდზე).

იქვეა (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №№297, 298) დაცული საბუთები შემოწირული 100 მანეთის მიღებისა და „საზოგადოების“ მადლობის შესახებ, აგრეთვე, შემოწირულების ქვითარი.

„კავკასიის სამედიცინო საზოგადოება“ თბილისში დაარსდა 1864 წ. (პეტერბურგში დაამტკიცეს იმავე წლის 5 აპრილს). იგი მიზ-

ნად ისახავდა კავკასიაში მედიცინის განვითარებას [ორგანიზაცია, პრაქტიკა, ცოდნის გავრცელება, კვლევები... ჰქონდა პერიოდული გამოცემები და სხვ. (იხ. შენგელია... 2018: 442)].

წერილის ადრესატია ***პეტრე ივანეს ძე სობოლშჩიკოვი*** (1811-1874), კავკასიის სამედიცინო სამმართველოს უფროსი (1862-1870; იხ. შესაბამისი წლების „კავკაზსკი კალენდარ"), მედიცინის დოქტორი (დამთავრებული ჰქონდა პეტერბურგის სამედიცინო-ქირურგიული აკადემია), ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი (Действительный статский советник), მედიცინის სფეროში კვლევების ავტორი, „კავკასიის სამედიცინო საზოგადოების" (1864-1917) ერთ-ერთი დამფუძნებელი და ორგანიზატორი. კავკასიაში მოღვაწეობდა 1840-1870 წწ.

[1] (გვ. 150) **„წევრ-კორესპონდენტების რიგებში"** – *დედანში:* „...в число своих членов соревнователей".

[2] (გვ. 150) **„თანახმად წესდების მე-18 პარაგრაფისა"** – „კავკასიის სამედიცინო საზოგადოების" წესდების მე-18 პარაგრაფში წერია:

„პირი, რომელიც „საზოგადოებას" ერთდროულად შემოსწირავს არანაკლებ 100 მანეთს ან იკისრებს, ყოველწლიურად შემოიტანოს არანაკლებ 20 მანეთი, იღებს წევრ-კორესპონდენტის (Член соревнователь) წოდებას. – ***შენიშვნა:*** გარდა ფულადი შემოწირულებისა, „საზოგადოება" მისი ნებისმიერი წევრისა და გარეშე პირებისგან იღებს ყოველგვარ შემონატანს ბიბლიოთეკისა და კოლექციისთვის" [იხ. „საზოგადოების" წესდება (კავკაზ 1864Გ; გაზეთიდან ამონაბეჭდის ერთი ეგზემპლარი დაცულია დიმ. ყიფიანის არქივში (№295)].

## 84. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 150-151)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1832. ავტოგრაფი. დედანი. რუსულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1864 წ. 30 ოქტომბერი. ტფილისი. **ხელმოწერა:** Д. Кипиани.

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 150) **„პეტერბურგში იაგორას გაგზავნის შესახებ ... ალბათ უკვე გზაშია“** – ა) *იაგორა:* შინამოსამსახურე (ფარეში), რომლის სამეგრელოდან პეტერბურგში გაგზავნასაც ეკატერინე დადიანი დიმ. ყიფიანისგან ითხოვდა; ბ) *ალბათ უკვე გზაშია:* იაგორა არც იმ დროს და არც შემდეგ ხან სიცივის შიშით, ხანაც ავადმყოფობის მომიზეზებით პეტერბურგში არ წასულა, რის გამოც 1865 წლის თებერვალში მას ჯამაგირის *მოჭრით* ემუქრებიან (იხ. ეკატერინე დადიანისადმი დიმ ყიფიანის 1864 წ. 20 და 27 ნოემბრისა და 11 დეკემბრის, აგრეთვე, 1865 წ. 12 თებერვლის წერილები), 1866 წ. 19 ოქტომბერს კი დიმ. ყიფიანი ეკატერინე დადიანს სწერს: „იაგორამ წამოსვლისა ცივი უარი შემოგვითვალა“.

[2] (გვ. 151) **„ესტაფეტა დამაწიეს“** – *ესტაფეტა:* საგანგებო ფოსტა, რომელიც შიკრიკებს დაჰქონდათ.

[3] (გვ. 151) **„საქმე კეთილად წარიმართება და, თუ უსიამოვნებები მაინც მოხდება, ეს უსიამოვნებები იქნება უმნიშვნელო“** – თბილისში (საერთოდ, საქართველოში) საგლეხო რეფორმის (ბატონყმობის გაუქმების) გამოცხადებას არავითარი გართულება არ მოჰყოლია. ამის შესახებ მოგონებაში „გლეხთა განთავისუფლება და დიმიტრი ყიფიანი“ ანონიმი ავტორი წერს:

> „ისე იყო შეშინებული [მეფისნაცვალი] მიხეილ ნიკოლოზის ძე, რომ თავის სასახლის სახურავზე ავიდა თავის ცოლ-შვილით და იქიდან უცქეროდა ხალხის მოძრაობას, ღრიანცელსა და უზომო მხიარულებას. მე, ამ სტრიქონების დამწერი, სხვა ჩემ ტოლებს შორის ვიყავი ქუჩაში სასახლის წინ და ჩემი თვალითა ვნახე მიხეილ ნიკოლოზის ძე სასახლის სახურავზე... – რუსეთში სუყველას უკვირდა, რომ საქართველოში ამ „ველურმა“ ქართველობამ სიხარულით ჩაატარა ყმების განთავისუფლება მონობისაგან და არავითარი წინააღმდეგობა არ გამოუჩენია, როგორც მოხდა რუსეთის ზოგიერთს გუბერნიაში“ (სახალხო გაზეთი 1911).

[4] (გვ. 151) **„გულწრფელი მოკითხვა ძვირფას თავადებსა და კნიაჟნას“** – იგულისხმებიან ეკატერინე დადიანის შვილები: ნიკოლოზ, ანდრია და სალომე დადიანები (იხ. აქვე, გვ. 330).

[5] (გვ. 151) **„ევდოკია გაბრიელის ასულს...“** – იგულისხმება *ევდოკია მერდერი* (იხ. აქვე, გვ. 329-330).

## 85. ივანე და ვასილ ყიფიანებისადმი
(გვ. 151-152)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №600. ავტოგრაფი. ასლი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1864 წ. 13 ნოემბერი. ხელმოუწერელი.

იქვეა (ფ. 2-3) საბუთის პირი, გადაწერილი უცნობი ხელით, დიმ. ყიფიანის ავტოგრაფული ხელმოწერით.

## 86. ზაქარია (ზაალ) [ბარათაშვილისადმი]
(გვ. 152-153)

**ხელნაწერი:** სეა. ფონდი 214. აღწ. I. საქ. №3366. ფ. 15-16. უცნობი ხელით ნაწერი (დიმ. ყიფიანის ავტოგრაფული ხელმოწერით). შავი. რუსულ ენაზე. **თარიღი:** 1864 წ. 19 ნოემბერი. **ხელმოწერა:** Димитрий Кипиани.

ტექსტი დაწერილია თბილისის გუბერნიის წინამძღოლის უგერბო ქაღალდზე და უზის ნომერი (№234).

საბუთში ადრესატის მხოლოდ სახელი და მამის სახელია *(ზაქარია დავითის ძე)* მითითებული. თვითონ წერილის მიხედვით, იგი ეგზავნება თბილისის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლს, ამ დროს კი თბილისის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი“)ზაქარია *(ზაალ) დავითის ძე ბარათაშვილია.*

ფურცლის წინა გვერდის არშიაზე იმავე (უცნობი) ხელით მინაწერია:

„გორის წინამძღოლს – 400 ეგზ. (№235).

სიღნაღისას – 200 ეგზ. (№207).

თელავისას – 200 ეგზ. (№236)“.

წერილის ადრესატია ***ზაქარია (ზაალ) დავითის ძე ბარათაშვილი*** (1816-1875), 1860-იან წწ. თბილისის *მაზრის* თავადაზნაურობის წინამძღოლი (ითვლებოდა თბილისის *გუბერნიის* თავადაზნაურობის წინამძღოლის მოადგილედ), ძმა ალექსანდრე („პუპლია“) ვახტანგის ძე ორბელიანის მეუღლის, ეკატერინე (კატინა) ბარათაშვილ-ორბელიანისა. ზ. ბარათაშვილის შვილის, დავით ბარათაშვილის, ნეკროლოგში ზაქარია დახასიათებულია, „ვითარცა უდიდესი და გამოჩენილი მემამულე ტფილისისა და ბორჩალოს მაზრაში“ (ივერია 1901).

[1] (გვ. 152) **„გიგზავნით რა ... თავადაზნაურობისადმი ჩემი მიმართვის 300 ეგზემპლარს“** – *მიმართვა:* იხ. წერილი №79.

[2] (გვ. 153) **„სამაზრო ყრილობაზე საკითხის განხილვისას“** – ბანკის დაარსების საკითხზე საგანგებო სამაზრო ყრილობები ჩატარდა: 1864 წ. 17 დეკემბერს გორში, 1865 წ. 15 იანვარს თბილისში, 28 იანვარს სიღნაღსა და 2 თებერვალს თელავში (იხ. წერილი №102).

## 87. ალექსანდრე ნიკოლაისადმი
(გვ. 153-161)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №203. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 6. **თარიღი:** 1864 წ. 20 ნოემბერი. ხელმოუწერელი.

საბუთს თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია (რუსულ ენაზე): „მთავარსამმართველოს უფროსს“. მეორე (ბოლო) ნაწილს – მისივე ხელით (რუსულ ენაზე): „საგანგებო (Особый) წერილი“.

ვითარება თავად თარხანოვებისა და მათი დის, კნეინა აბაშიძის, საქმისა, რომელსაც წინამდებარე წერილი ეხება, ჩვენ ვერ გამოვარკვიეთ.

ადრესატის, *ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაის,* შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ. ყიფიანი 2023: 365-368.

[1] (გვ. 153) **„ტფილისის სამოქალაქო გუბერნატორმა..."** – იგულისხმება *კონსტანტინე ორლოვსკი,* თბილისის სამოქალაქო გუბერნატორი 1860-1876 წწ.

[2] (გვ. 154) **„ჩვენთვის ამ მძიმე წუთებში"** – უნდა ვიფიქროთ, დიმ. ყიფიანი აქ გულისხმობს საგლეხო რეფორმის (ბატონყმობის გაუქმების) პრაქტიკული განხორციელებისას წარმოქმნილ პრობლემებს (შთამომავლობითი საკუთრების გაყოფა-განაწილება, მამულების გამიჯვნა და სხვ.).

[3] (გვ. 155) **„ვიშუამდგომლო დარღვევაზე აგებული გარიგების გაუქმებაზე"** – დიმ. ყიფიანის შუამდგომლობა განპირობებული იყო იმით, რომ იგი ამ დროს თავადაზნაურობას საკუთარ წინამძღოლად ჰყავდა არჩეული, წინამძღოლს კი უფლება არ ჰქონდა, ჩარეულიყო კერძო პირთა (მიუხედავად მათი სოციალური სტატუსისა) სასამართლო საქმეებში.

## 88. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 161-162)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1833. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1864 წ. 20 ნოემბერი. ტფილისი. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 161) **„მიხაილ იეგორიჩი"** – სამეგრელოს მმართველი 1862-

1865 წწ. *მიხეილ იაგორის (გიორგის) ძე ჭილაშვილი* (იხ. აქვე, გვ. 345-346, 363).

[2] (გვ. 162) **„ნიჟარაძე აი რას მწერს თქვენი იაგორასას: „თქვენი წიგნი გაუგზავნე და მეც მივსწერე კოსტანტინესო...“** – ა) *ნიჟარაძე:* სამეგრელოს სამთავროს საქმეთა მმართველი (1860-იანი წწ.) *კონსტანტინე ნიჟარაძე;* ბ) *იაგორა:* ეკატერინე დადიანის მოსამსახურე (იხ. აქვე, გვ. 405); გ) *კოსტანტინე:* მაზლი ეკატერინე დადიანისა *კონსტანტინე ლევანის ძე დადიანი.*

[3] (გვ. 162) **„პისმოვოდიტლისათვის...“** – საქმისმწარმოებელი (Письмоводитель).

[4] (გვ. 162) **„ბატონს ნიკოს, ანდრიას და კნიაჟნა სალომეს...“** – ეკატერინე დადიანის შვილები (იხ. აქვე, გვ. 330).

## 89. იული ვიტესადმი
(გვ. 162-163)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №722. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1864 წ. 22 ნოემბერი. ხელმოუწერელი.

ტექსტს თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია (რუსულ ენაზე): „სახელმწიფო ქონების დეპარტამენტის დირექტორს“.

ტექსტი ეხება დიმ. ყიფიანის ბორჯომის მამულს (საკითხის შესახებ იხ. აქვე, გვ. 17-24, 302).

წერილის ადრესატია გერმანული წარმოშობის (კურლანდიიდან) სახელმწიფო მოხელე ***იული თედორეს ძე ვიტე*** [Юлий Федорович Витте] (1814-1868), ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი (Действительный статский советник), კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს სახელმწიფო ქონების დეპარტამენტის დირექტორი (1857-1868), „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების“ პრეზიდენტი [1860-იანი წწ.; ამ დროს „საზოგადოების“

ვიცე-პრეზიდენტი იყო დიმ. ყიფიანი, რომელიც ი. ვიტეს გარდაცვალების შემდეგ ახალ არჩევნებამდე ასრულებდა პრეზიდენტის მოვალეობას. 1869 წ. თებერვალში „საზოგადოების“ პრეზიდენტად ალ. ნიკოლაი აირჩიეს, ვიცე-პრეზიდენტად კი ისევ დიმ. ყიფიანი დარჩა (ყიფიანი 2017: 231)]. ი. ვიტე იყო რუსეთის ისტორიაში ცნობილი სახელმწიფო მოღვაწისა და რეფორმატორის, მინისტრთა კომიტეტისა (1903-1906) და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის (1905-1906), მრავალტომიანი და უაღრესად საინტერესო მემუარების ავტორის, *სერგეი ვიტეს,* მამა (სხვათა შორის, სერგეი ვიტე თბილისში იყო დაბადებული და გაზრდილი და აქვე დაამთავრა გიმნაზია).

[1] (გვ. 162) **„ა. თ. 16 რიცხვის (№5550) წერილზე“** – იული ვიტეს აქ ნახსენები წერილი იხ. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1357. ფ. 1.

## 90. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 163-165)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1834. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ (ნაწილობრივ რუსულ) ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1864 წ. 27 ნოემბერი. ტფილისი. **ხელმოწერა:** დ. ყიფიანი.

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 164) **„ჩემი შვილი მოგწონებიათ“** – იგულისხმება *ნიკოლოზ (ნიკო) ყიფიანი,* რომელიც ამ დროს პეტერბურგშია და უნივერსიტეტში შესასვლელად ემზადება (იხ. აქვე, გვ. 392-393).

[2] (გვ. 164) **„ვლ. პეტ-ს“** – იგულისხმება *ვლადიმერ პეტრეს ძე ბუტკოვი* „კავკასიის კომიტეტის“ ხელმძღვანელი 1860-1865 წწ. („კავკასიის კომიტეტის“ შესახებ იხ. ყიფიანი 2017: 335-336).

[3] (გვ. 164) **„მე თითქმის რვა წელიწადს ვიყავ ამ საქმეში“** – დიმ. ყიფიანი, ათვლის წერტილად, როგორც ჩანს, იღებს 1857 წელს, რო-

ცა იგი ალ. ბარიატინსკის დავალებით გრ. ორბელიანთან ერთად ბატონყმობის გაუქმებისთვის ნიადაგის მომზადებაზე მუშაობდა (იხ.: ყიფიანი 2020: 200-201; ყიფიანი 2023: 448).

[4] (გვ. 164) **„ჯილდოსათვის სულ არ მიფიქრია და იმიტომაც სხვებს ყველას მეტი მოუვიდა ჩემზედ"** – *ჯილდოს* შესახებ დიმ. ყიფიანი თავის „მემუარებში" წერს: „8 ნოემბერს 1864 წ. მივიღე [წმ.] ანას პირველი ხარისხის ორდენი გვირგვნით... ყველაზე ნაკლები ჯილდო მე მომცეს" (ყიფიანი 2020: 261).

[5] (გვ. 164) **„თქვენი იაგორას ამბავი..."** – *იაგორა:* ეკატერინე დადიანის მოსამსახურე (იხ. აქვე, გვ. 405).

[6] (გვ. 164) **„...თებერვლის 4-ს შეტანილის ზაპისკისა"** – *ზაპისკის* შესახებ იხ. აქვე, გვ. 126, 128-129, 382.

[7] (გვ. 164) **„აცენკის შედგენას ჩემის დასწრებით"** – *აცენკა* (Оценка): შეფასება, ფასის დადება, ღირებულების განსაზღვრა.

[8] (გვ. 165) **„ამის გამო იგი გააძევეს სამსახურიდან. მან ეს ამბავი უღრმესი მოწიწებითა და რიდით გადაიტანა"** – ა) *იგი:* დიმ. ყიფიანი აქ საკუთარ თავს გულისხმობს; ბ) *გააძევეს სამსახურიდან:* დიმ. ყიფიანის სამსახურიდან *გაძევების* შესახებ იხ. აქვე, გვ. 321-322; გ) ალ. ბარიატინსკის მიერ დიმ. ყიფიანის სამსახურიდან დათხოვნას სუბორდინაციისა და უფლებამოსილების წესით ხელი იმპერატორმა ალექსანდრე II-მ მოაწერა. ამიტომაც წერს ***მონარქისტი*** დიმ. ყიფიანი: სასჯელი *მოწიწებითა* და *რიდით* გადავიტანეო.

## 91. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 165-166)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1835. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1864 წ. 11 დეკემბერი. ტფილისი. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 165) **„პაკეტს ჩემის შვილის სახელზედვე გიგზავნით“** – *ჩემი შვილი: ნიკოლოზ (ნიკო) ყიფიანი* (იხ. აქვე, გვ. 392-393).

[2] (გვ. 165) **„ამასთან ორი ქაღალდი მოგერთმევათ ჩემი“** – აქ ნახსენები *ორი ქაღალდი* იხ. წერილები №№92, 93.

[3] (გვ. 166) **„თქვენმა იაგორამ დააპირა წამოსვლა“** – *იაგორას* შესახებ იხ. აქვე, გვ. 405.

[4] (გვ. 166) **„მიხაილ იეგორიჩი დანიშნეს აქ სოვეტის ჩლენად ... ლაპარაკობენ, ან იზუმსკი იქნება, ან ვლასტოვიო“** – ა) *მიხაილ იეგორიჩი: მიხეილ (მიშელ) ჭილაშვილი* (იხ. აქვე, გვ. 345-346), რომელიც 1865 წ. სამეგრელოს მმართველის თანამდებობიდან კავკასიის მეფისნაცვლის *სოვეტის ჩლენად* (საბჭოს წევრად) დააწინაურეს; ბ) მ. ჭილაშვილის შემდეგ იმავე 1865 წ. სამეგრელოს მმართველად *გიორგი კონსტანტინეს ძე ვლასტოვი* დაინიშნა (კავკაზსკი კალენდარ 1865: 25).

[5] (გვ. 166) **„ანდრეევსკის ცოლის ძმისას“** – *ანდრეევსკი:* მიხ. ვორონცოვის პირადი ექიმი *ერასტი ანდრეევსკი,* რომლის მეუღლე იყო *ბარბარე თუმანიშვილი,* პოეტისა და მწიგნობრის, *გიორგი ევნატეს ძე თუმანიშვილის* ასული, *ალექსანდრე გიორგის ძე თუმანიშვილის* და, გ. ერისთავის „გაყრის“ 1850 წ. 2/14 იანვრის ისტორიული სპექტაკლის მონაწილე (ბ. თუმანიშვილ-ანდრეევსკაიაზე იხ. ასათიანი 1940: 105; ბერძნიშვილი 1980: 134; გერსამია 1950: 58; ერისთავი 1878; მიქაძე 1962: 36-37; წერეთელი 1958: 79-85; ხუციშვილი 1961: 16). ერასტი ანდრეევსკის თანამედროვენი ახასიათებენ თავხედ და ანგარებიან პიროვნებად, რომელიც ბოროტად სარგებლობდა მიხ. ვორონცოვის ნდობით (იხ. ასათიანი 1940: 104-105; ბერძნიშვილი 1980: 133-134; ორბელიანი 2023ᵃ: 86).

[6] (გვ. 166) „ხუთას **ორმოც და ათი თუმანი მეძლეოდა ... ახლა რომ ას ორმოცზედ დამაყენეს“** – დიმ. ყიფიანი აღნიშნავს სხვაობას იმ ხელფასსა, მეფისნაცვლის საბჭოს წევრად ყოფნისას რომ იღებდა და სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ დანიშნულ პენსიას შორის (იხ. ყიფიანი 2020: 249).

## 92. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 167)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1838. უცნობი ხელით ნაწერი (დიმ. ყიფიანის ავტოგრაფული ხელმოწერით). დედანი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1864 წ. 12 დეკემბერი. ტფილისი. **ხელმოწერა:** Димитрий Кипиани.

ტექსტი დაწერილია მეურვეობის ოფიციალურ ქაღალდზე („Высочайше установленная Опека над имуществом малолетнего Владетеля Мингрелии"), უზის ნომერი (№51) და მითითებულია ადრესატი (რუსულ ენაზე): „მის უგანათლებულესობას, კნეინა ე. ა. დადიანს".

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

## 93. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 167-168)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1837. უცნობი ხელით ნაწერი (დიმ. ყიფიანის ავტოგრაფული ხელმოწერით). დედანი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1864 წ. 12 დეკემბერი. ტფილისი. **ხელმოწერა:** Димитрий Кипиани.

ტექსტი დაწერილია მეურვეობის ოფიციალურ ქაღალდზე, უზის ნომერი (№52) და მითითებულია ადრესატი (რუსულ ენაზე): „მის უგანათლებულესობას, კნეინა ე. ა. დადიანს".

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 167) **„კაპიტალური და პროცენტიანი ფულის სახით"** – *დედანში:* „...капитальных и процентных денег".

## 94. ივანე ანდრონიკაშვილისადმი
(გვ. 168)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №671. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1864 წ. 12 დეკემბერი. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

ადრესატის, გენერალ-ლეიტენანტ *ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილის* (1798-1868), შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 352-353.

[1] (გვ. 168) **„მერე მანდ მომიხდება მოსვლა თქვენის ბრძანებისამებრ“** – საქმე ეხება ბანკის დასაარსებლად გორში, თბილისში, სიღნაღსა და თელავში ჩასატარებელ სამაზრო ყრილობებს (საბოლოოდ ყრილობათა ჩატარების თარიღები მცირეოდენ შეიცვალა – იხ. წერილი №102).

[2] (გვ. 168) **„ზალდასტანიშვილების საქმესაც...“** – ?

## 95. კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს სასამართლოს საქმეთა დეპარტამენტისადმი
(გვ. 169-172)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1853. ავტოგრაფი. ასლი. რუსულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1864 წ. 28 დეკემბერი. **ხელმოწერა:** Д. Кипиани.

1865 წ. 20 მარტს დიმ. ყიფიანი ბარონ ალ. ნიკოლაის სწერს, რომ წინამდებარე მიმართვის პასუხი არ მიუღია (იხ. წერილი №106).

[1] (გვ. 169) **„1857 წლის საინვენტარო აღწერა“** – სანამ 1857 წ. პეტერბურგში „მიწვეული“ ეკატერინე დადიანი შვილებითა და ამალით იქ გაემგზავრებოდა, საჭირო გახდა სამეგრელოს სამთავრო სახლის უძრავ-მოძრავი ქონების ინვენტარიზაცია, რაც ალ. ბარიატინსკის დავალებით დიმ. ყიფიანმა ჩაატარა [საკითხის შესახებ იხ.

დიმ. ყიფიანის „დღიური 1857-1858 წლებისა“ და მასზე დართული შენიშვნები და კომენტარები (ყიფიანი 2020: 79-118, 355-385)].

## 1865

### 96. ივანე ანდრონიკაშვილისადმი
(გვ. 172)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №672. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1865 წ. 16 იანვარი. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

ადრესატის, გენერალ-ლეიტენანტ *ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილის* (1798-1868), შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 352-353.

[1] (გვ. 172) **„ტფილისის შეკრებილება გუშინ ამითი გათავდა“** – იგულისხმება ბანკის დაარსების თაობაზე თბილისის მაზრის თავადაზნაურობის შეკრება 1865 წ. 15 იანვარს (იხ. აქვე, გვ. 182).

### 97. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 173)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1839. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1865 წ. 22 იანვარი. ტფილისი. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 173) **„ვნახე თქვენი პორტრეტი“** – იგულისხმება ეკატერინე დადიანის ცნობილი პორტრეტი, შესრულებული გერმანელი მხატ-

ვრის, ფრანც ვინტერჰალტერის მიერ. ასლები პორტრეტისა ეკატერინე დადიანმა საქართველოში უხვად გამოგზავნა (იხ. აქვე, გვ. 175-176).

[2] (გვ. 173) **„თებერვლის 4-ს შესრულდება წელიწადი, რაც შევიტანე და განმეორებითა ვჰსთხოვ პასუხს"** – იგულისხმება მეფისნაცვალ ნიკოლოზ მიხეილის ძისადმი დიმ. ყიფიანის მიერ წარდგენილი ახსნა-განმარტებითი მიმართვა (იხ. აქვე, გვ. 382).

[3] (გვ. 173) **„გრიგოლმა, ტერეზიამ და მე ბატონს ნიკოს 4 იანვარს დეპეშა მივსწერეთ"** – ა) *გრიგოლი:* მაზლი ეკატერინე დადიანისა, გენერალი *გრიგოლ დადიანი* (მწერლობაში „კოლხიდელის" ფსევდონიმით ცნობილი); ბ) *ტერეზია:* მეუღლე გრიგოლ დადიანისა, *ტერეზია მამია V გურიელის ასული;* გ) *ნიკო:* შვილი ეკატერინე დადიანისა, სამეგრელოს მთავარი *ნიკოლოზ (ნიკო) დადიანი* (4 იანვარი იყო დაბადების დღე ნიკოლოზ დადიანისა და, უნდა ვიფიქროთ, აქ ჩამოთვლილი პირები დეპეშით მას დაბადების დღეს მიულოცავდნენ).

[4] (გვ. 173) **„ჩემს შვილზედ..."** – იგულისხმება *ნიკოლოზ (ნიკო) ყიფიანი,* რომელიც ამ დროს პეტერბურგშია და უნივერსიტეტში შესასვლელად ემზადება (იხ. აქვე, გვ. 392-393).

## 98. ივანე ანდრონიკაშვილისადმი
(გვ. 174)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №673. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1865 წ. 22 იანვარი. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

ადრესატის, გენერალ-ლეიტენანტ *ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილის* (1798-1868), შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 352-353.

საკითხი ეხება ბანკის დასაარსებლად სიღნაღში ჩატარებულ 1865 წ. 28 იანვრის სამაზრო ყრილობას (იხ. აქვე, გვ. 183). კახეთის

(სიღნაღი, თელავი) ყრილობების შესახებ დიმ. ყიფიანი 12 თებერვალს ეკატერინე დადიანს სწერს: „იანვრის 24-დამ ამ თვის 5-ამდინ კახეთს გახლდი. სიღნახისა და თელავის უეზდის პომეშჩიკები (მემამულეები – თ. ჯ.) ერთხმად დაეთანხმნენ ჩემს ჰაზრსა სათავადაზნაურო ბანკის შედგენაზედ. უმეტესად თავგამოდებულნი იყვნენ ამაზედ – სიღნახში ივან მალხაზიჩი (ანდრონიკაშვილი – თ. ჯ.) და თელავში დავით (ჭავჭავაძე; ძმა ეკატერინე დადიანისა – თ. ჯ.)" (იხ. აქვე, გვ. 175).

## 99. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 174-176)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1840. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1865 წ. 12 თებერვალი. ტფილისი. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 174) **„ბარონსა ვჰსთხოვ"** – *ბარონი ალ. ნიკოლაი* იგულისხმება.

[2] (გვ. 174) **„თუ ეს ის იაგორა არ არის"** – *იაგორა:* ეკატერინე დადიანის შინამოსამსახურე (იხ. აქვე, გვ. 405).

[3] (გვ. 175) **„ნიჟარაძეს მივსწერე"** – იგულისხმება სამეგრელოს სამთავროს საქმეთა მმართველი (1860-იანი წწ.) *კონსტანტინე ნიჟარაძე*

[4] (გვ. 175) **„ჩემს შვილსა ვსწერ"** – იგულისხმება *ნიკოლოზ (ნიკო) ყიფიანი.*

[5] (გვ. 175) **„სახლში მეტად ბრწყინვალე სანთელი გინთიათ"** – იგულისხმება ეკატერინე დადიანის ქალიშვილი *სალომე დადიანი.*

[6] (გვ. 175) **„უეზდის პომეშჩიკები"** – მაზრის მებატონეები (მემამულეები).

[7] (გვ. 175) **„სიღნაღში ივან მალხაზიჩი და თელავში დავით“** – ა) *ივან მალხაზიჩი:* გენერალი *ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილი;* ბ) *დავით:* ძმა ეკატერინე დადიანისა, *დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძე.*

[8] (გვ. 175) **„მაკო ჰგავს საკურველად თქვენს სალომეს“** – *მაკო:* იგულისხმება *მარიამ (კაკო,* დიმ. ყიფიანთან – *მაკო) დავითის ას. ჭავჭავაძე,* შემდგომ მეუღლე ზაქარია გულბაათის ძე ჭავჭავაძისა (იქორწინეს 1869 წ.).

[9] (გვ. 175) **„თქვენს პორტრეტს იქაც დაჰხარიან“** – აქ ნახსენები *პორტრეტის* შესახებ იხ. აქვე, გვ. 173.

[10] (გვ. 176) **„გიორგი, პეტრე და ბახვა“** – ეკატერინე დადიანის ერთგული თავადები: *გიორგი, პეტრე დადიანები* და *ბახვა ფაღავა* (დადიანთა სამთავრო ოჯახის მოურავი).

[11] (გვ. 176) **„კნეინა ანნა ილინიშნას დაბარება უნდა მოგახსენოთ“** – *ანნა ილინიშნა:* დავით ჭავჭავაძის მეუღლე *ანა ილია ბატონიშვილის ას. ბაგრატიონ-გრუზინსკაია (გრუზინსკაია).*

[12] (გვ. 176) **„თელავში ქალების სასწავლებელი იხსნება“** – იგულისხმება თელავში 1865 წ. დაარსებული წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელი, რომლის დაარსებაშიც ანა ბაგრატიონ-გრუზინსკაიამ განმსაზღვრელი მნიშვნელობის მონაწილეობა მიიღო (კიკნაძე 2020: 58).

[13] (გვ. 176) **„ჩლენობა“** – წევრობა.

[14] (გვ. 176) **„რომანის ცოლის და ნატალია“** – ა) *რომანი: რომან (რამან) დავითის ძე ჭავჭავაძე;* ბ) *[რომანის] ცოლი: მარიამ (მაია) იაკობის ას. ბარათაშვილ-ჭავჭავაძე;* გ) *ნატალია: ნატალია იაკობის ას. ბარათაშვილ-ჭავჭავაძე,* მეუღლე იოსებ (სოსიკო) სიმონის ძე ჭავჭავაძისა.

[15] (გვ. 176) **„ბატონს ნიკოს, ანდრიას და მნათობს სალომეს“** – ეკატერინე დადიანის შვილები (იხ. აქვე: გვ. 330).

## 100. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 176-177)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1841. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1865 წ. 19 თებერვალი. ტფილისი. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 176) **„დათიკა სახუცესი გარდაცვლილა“** – *დათიკა სახუცესი:* ეკატერინე დადიანის სახლთუხუცესი *დავით (დათიკა) სალიკის ძე ჩიქოვანი.*

[2] (გვ. 176) **„განსვენებულმა გაგარინმა, 1857-ში რომ გორდს გახლდით“** – ა) *გაგარინი:* ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი (1857 წ.) *ალექსანდრე გაგარინი,* კონსტანტინე (მურზაყან) დადიშქელიანის მიერ მოკლული; ბ) *გორდში* დიმ. ყიფიანი და ალ. გაგარინი ერთმანეთს 1857 წ. 13 ოქტომბერს შეხვდნენ (ყიფიანი 2020: 87).

[3] (გვ. 177) **„კახეთში მგზავრობამ მაწყინა“** – *კახეთში მგზავრობის* შესახებ იხ. წერილი №99.

[4] (გვ. 177) **„ბარონის ხელშია ესეცა“** – *ბარონი ალ. ნიკოლაი* იგულისხმება.

[5] (გვ. 177) **„ჩემი ბორჯომის მამულისათვის ბევრი ფული მერგება ხაზინიდამ“** – *ბორჯომის მამულის* შესახებ იხ. აქვე, გვ. 302.

## 101. სალომე დავითის ას. ჭავჭავაძისადმი
(გვ. 177-180)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №858. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1865 წ. 24 თებერვალი. ხელმოუწერელი.

იქვეა დაცული სალომე ჭავჭავაძის 1865 წ. 21 თებერვლის წერილი, რომლის პასუხიცაა დიმ. ყიფიანის წინამდებარე ტექსტი (ვიმოწმებთ სრულად):

„21 თებერვალი 1865 წ. წინანდალი.

განსაკუთრებული სიამოვნებით ვასრულებ ჩემს დაპირებას, დიდად პატივცემულო დიმიტრი ივანეს ძევ, და აღგიწერთ, თუ როგორი წარმატებით ჩაიარა ჩვენმა პიესებმა. – თქვენ სავსებით მართალი ბრძანდებოდით, როცა ამბობდით, რომ ამ საქმეს ბედნიერი დასასრული ექნებოდა და, მართლაც, თითოეული მსახიობის თამაში იყო სავსებით დამაკმაყოფილებელი. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი სარა დავითის ასულმა ჭირვეული ქალის როლში. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ ვერბინმა (პირველმა საქმრომ) მას საკმარისად ვერ აუბა მხარი. აი, რატომ მოხდა ეს: ბ-მა დობროვოლსკიმ, რომელმაც ბ-ნი ტრანჟი შეცვალა და ვერბინის როლის თამაში თავის თავზე აიღო, რაღაც გაუთვალისწინებელ გარემოებათა გამო მოულოდნელად უარი თქვა როლის შესრულებაზე. უნდა მოგახსენოთ, რომ ეს მოხდა წარმოდგენის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე. შეიქმნა მძიმე ვითარება. გადავწყვიტეთ, მხოლოდ მთის სული (დედანში: Горный дух – თ. ჯ.) წარმოგვედგინა, თუმცა, საბედნიეროდ, თელავში აღმოჩნდა გომბორიდან აქ შემთხვევით ჩამოსული ოფიცერი, რომელმაც გაჭირვებიდან ჩვენი გამოხსნა იკისრა. რასაკვირველია, მას საკმარისი დრო არ ჰქონდა როლის შესასწავლად, თუმცა თავისი გამბედაობითა და სუფლიორის დახმარებით მოახერხა, საკმაოდ მარჯვედ წარმოეთქვა ფრაზები პიესიდან. აღარაფერს ვამბობ სემენინზე. ის იყო შესანიშნავი და იმდენად ნატურალური, რომ, მგონი, კულისებში რამდენიმე ბოთლი გასკდა. – მთის სულს ახალგაზრდა თავადი ლევან ჯანდიეროვი თამაშობდა. ითამაშა სავსებით დამაკმაყოფილებლად და, საერთოდ, თითოეული როლი შესრულდა ჩინებულად, თუმცა ყველას მაინც გრეტხენმა აჯობა. პროლოგში სანდრო ძალზე საყვარელი იყო. ელვა და ჭექა-ქუხილი შაკორს არ გამოუვიდა, თუმცა ეს ხარვეზი მან თავისი დეკორაციებით გამო-

ასწორა. საერთოდ სცენა მშვენივრად იყო მოწყობილი. პუბლიკა იმდენად აღფრთოვანდა, რომ გამეორება მოგვთხოვეს. შემოსავალმა მთლიანად 350 მან. შეადგინა. იმედი გვაქვს, დიმიტრი ივანეს ძევ, არ დაგვიწყებიათ თქვენი დაპირება, გვეწვიოთ სააღდგომოდ (დედანში: „...к Святой“, რაც აღდგომას უნდა ნიშნავდეს – თ. ჯ.). გთხოვთ მუშაობას ქართულ პიესაზე, ოღონდ არა მთის სულზე, რომელიც, მართალი გითხრათ, უკვე მობეზრებულიც გვაქვს; აგრეთვე, იქნებ შეგვირჩიოთ რუსული პიესა და გამოგვიგზავნოთ წინასწარ. ისიც მიაწერეთ, თუ რომელი როლის თამაშს ისურვებდით თქვენ თვითონ. – ჩამობრძანდით აუცილებლად. დაგელოდებით მოუთმენლად და გიცხადებთ, რომ თქვენს დაუსწრებლად ხელს არ მოვკიდებთ არაფერს. სცენა საგულდაგულოდ გვაქვს შენახული. – ნუ დაიზარებთ და ჩემი გულწრფელი მოკითხვა გადაეცით ნინა იაგორის ასულს, ხოლო თქვენ, დიმიტრი ივანეს ძევ, გთხოვთ ერწმუნოთ თქვენდამი ჩემს სრულ პატივისცემას.

**სალომე ჭავჭავაძე**

P. S. დედა, მამა და ჩვენები ყველანი მავალებენ, როგორც ნინა იაგორის ასულს, ასევე თქვენ გადმოგცეთ მათი მეგობრული მოკითხვა. დედა დიდ მადლობას მოგახსენებთ მისი დავალების შესრულებისათვის“ [ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1770. ავტოგრაფი. დედანი. რუსულ ენაზე. ფ. 2; წერილს თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია (რუსულ ენაზე): „მივიღე და ვუპასუხე 24 თებერვალს“].

როგორც ვხედავთ, ს. ჭავჭავაძის წერილი და დიმ. ყიფიანის პასუხი ეხება ორი პიესისგან შემდგარ სპექტაკლს, რომელიც სცენისმოყვარეებს თელავში 1865 წ. თებერვალში დაუდგამთ. ჩვენ არ ვიცით, თუ რომელია ეს პიესები (მათი ავტორები წერილებში არ არიან მითითებულნი. ერთ-ერთი პერსონაჟი, კერძოდ, „ფროილაინ გრეტხენი“ გვიბიძგებს ფრთხილი ვარაუდისკენ, რომ, გამორიცხული არ არის, ერთი პიესა „ფაუსტის“ რომელიღაც ვერსია იყოს). ასეა თუ ისე, საკითხი სპეციალურ კვლევას მოითხოვს იმდენად, რამდენა-

დაც ეს ფაქტი საინტერესოა როგორც დიმ. ყიფიანის თეატრალური მოღვაწეობის უფრო სრულად წარმოდგენისათვის (დიმ. ყიფიანის თეატრალური მოღვაწეობის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ. ყიფიანი 2016: 29-30), ისე – და, რაც მთავარია – თელავის თეატრალური ცხოვრების ისტორიისათვის.

წერილის ადრესატია ***სალომე დავითის ას. ჭავჭავაძე*** (1848-1919), შვილიშვილი პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძისა, მეუღლე საიდუმლო მრჩევლის (Тайный советник) მაქსიმილიან ალექსანდრეს ძე ფონ დერ ოსტენ-საკენისა (იქორწინეს 1868 წ.; ნ. მაჭარაშვილის მიხედვით, მ. ოსტენ-საკენი დაკრძალულია მთაწმინდაზე (მაჭარაშვილი 1895: 61), თუმცა არ ჩანს, კონკრეტულად სად დაკრძალეს იგი – მამადავითის ეკლესიაში, თუ მის გალავანში. სალომე ჭავჭავაძე გარდაიცვალა 1919 წლის 2 ივნისს პეტერბურგში (პეტროგრადში).

[1] (გვ. 178) **„როგორ კითხულობდა იგი ჩემთან თავის როლს“** – დიმ. ყიფიანი 1865 წ. 24 იანვრიდან 5 თებერვლამდე იმყოფებოდა კახეთში, აქედან ბოლო ექვსი დღის განმავლობაში – წინანდალში, დავით ჭავჭავაძის ოჯახში (იხ. აქვე, გვ. 175). როგორც ჩანს, სწორედ ამ დღეებში ატარებდა იგი სცენისმოყვარეებთან რეპეტიციებს.

[2] (გვ. 179) **„კნეინა ელენემ...“** – ეს უნდა იყოს *ელენე ჭავჭავაძე,* ასული დავით ჭავჭავაძისა.

[3] (გვ. 179) **„მინდოდა სანდროს ხილვა შვილიშვილის როლში“** – *სანდრო:* შვილი დავით ჭავჭავაძისა – *ალექსანდრე (სანდრო) ჭავჭავაძე.*

[4] (გვ. 179) **„კნეინა თამარისა...“** – სავარაუდოდ, *თამარ ჭავჭავაძე,* ასული დავით ჭავჭავაძისა.

[5] (გვ. 179) **„კნეინა მაიკოსი...“** – აქ გადაშლილია: „Марью Давидовну“, რაც გვაფიქრებინებს, რომ იგულისხმება დავით ჭავჭავაძის კიდევ ერთი ასული – *მარიამ ჭავჭავაძე,* რომელიც საერთოდ ცნობილია *„კაკოს“* მეტსახელით, თუმცა ერთგან მას დიმ. ყიფიანი *მაკოს* სახელითაც იხსენიებს (იხ. აქვე, გვ. 175).

[6] (გვ. 179) **„სერიოზულად ვიყავი ავად“** – თავისი ამ ავადმყოფობის შესახებ დიმ. ყიფიანი ეკატერინე დადიანსაც სწერდა: „კახეთში მგზავრობამ მაწყინა და ეს ერთი კვირა არის შინიდამ გარეთ ველარ გამიხედავს შეუძლებლობის მიზეზით“ (აქვე, გვ. 177). მოგვიანებით კი, 12 მარტს, იმავე ეკატერინე დადიანს სწერს: „კახეთიდამ დაბრუნებული ავათ გავხდი და სამს კვირას ველარც გარეთ გამოვიხედე, ველარც საქმეს მოვჰკიდე ხელი“ (წერილი №103).

[7] (გვ. 180) **„დასრულება საქმეებისა, რომელსაც სამსახური მაკისრებს“** – *საქმეები:* იგულისხმება ბანკის დასაარსებლად დიმ. ყიფიანის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით მიმდინარე საქმეები; ბ) *სამსახური:* იგულისხმება *საზოგადოებრივი* სამსახური [*სახელმწიფო* სამსახურიდან ამ დროს დიმ. ყიფიანი რამდენიმე წლის დათხოვნილია (იხ. აქვე, გვ. 321-322)].

[8] (გვ. 180) **„კნეინა ანა ილიას ასულს...“** – *ანა ილია ბატონიშვილის ას. ბაგრატიონ-გრუზინსკაია (გრუზინსკაია).*

[9] (გვ. 180) **„დავით ალექსანდრეს ძეს...“** – *დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძე.*

## 102. კონსტანტინე ორლოვსკისადმი
(გვ. 180-186)

**ხელნაწერი:** სეა. ფონდი 214. აღწ. I. საქ. №3366. ფ. 35-40. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. **თარიღი:** 1865 წ. 10 მარტი. ხელმოუწერელი.

ტექსტი დაწერილია თბილისის გუბერნიის წინამძღოლის უგერბო ქაღალდზე. უზის ნომერი (№46).

თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია (რუსულ ენაზე): „ბატონ ტფილისის სამოქალაქო გუბერნატორს“. თბილისის სამოქალაქო გუბერნატორი კი ამ დროს *კონსტანტინე ივანეს ძე ორლოვსკია.*

ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 349-350.

[1] (გვ. 180) **„მისი იმპერატორობითი უმაღლესობის...“** – როგორც ზემოთაც გვაქვს ნათქვამი (გვ. 368), კავკასიის მეფისნაცვალი მიხეილ ნიკოლოზის ძე იყო საიმპერატორო სახლის წევრი (ალექსანდრე II-ის ძმა) და ამიტომ მის ტიტულატურაში *იმპერატორობითი უმაღლესობაც* შედიოდა.

[2] (გვ. 181) **„გამოექვითოს იმ ფულიდან, რომელსაც გამოსასყიდი ოპერაციის შედეგად მიიღებს“** – *გამოსასყიდი ოპერაცია* [Выкупная операция]: სახელმწიფო-საკრედიტო ოპერაცია, რომელიც რუსეთის ხელისუფლებამ ბატონყმობის გაუქმებასთან დაკავშირებით დააწესა. ითვალისწინებდა გამოსყიდვის გზით სანადელო მიწების გლეხთა საკუთრებაში გადასვლის ხელშეწყობას.

[3] (გვ. 183) **„თავადმა ჭავჭავაძემ...“** – იგულისხმება *დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძე.*

[4] (გვ. 184) **„მონიჭებული ანაზღაურება მათ უკიდურესი გაჭირვების დასაძლევად სჭირდებათ“** – ამას ხელნაწერში მოსდევს ჩამონათვალი, რომელიც დიმ. ყიფიანის მიერვე არის გადახაზული: „ესენია: 18 პირი თავად ერისთოვთა, 11 პირი თავად ციციანოვთა, 2 თავად ამილახვაროვთა, 2 თავად ფალავანდოვთა, თითო-თითო თავადების: ავალოვების, ბაგრატიონ-დავიდოვების, ჯავახოვების, მაღალოვებისა და დიასამიძეების საგვარეულოებიდან“.

[5] (გვ. 185) **„ტფილისის მაზრიდან ორმა...“** – დასახელებული, თუმცა გადახაზულია ორი პირი: „თავადები: ნიკოლოზ ბებუთოვი და ლუარსაბ ჩოლაყაევი“.

[6] (გვ. 186) **„ვიწყებ მუშაობას წესდების პროექტსა და მოგებული თანხის განაწილების წესებზე“** – ბანკის ხასიათის, მისი წესდებისა და სხვ. გარემოებების შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ. ყიფიანი 2018: 213-244, 448-453.

## 103. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 186-187)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1842. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ

(ნაწილობრივ რუსულ) ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1865 წ. 12 მარტი. ტფილისი. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 186) **„კახეთიდამ დაბრუნებული ავათ გავხდი"** – კახეთში დიმ. ყიფიანის ყოფნისა და შემდეგ მისი ავადმყოფობის შესახებ იხ. აქვე, გვ. 175-176, 177, 179.

[2] (გვ. 186) **„თუ მემკვიდრის ქორწილისათვის მარშლები დაგვიბარეს..."** – *მემკვიდრე:* იგულისხმება რუსეთის საიმპერატორო ტახტის მემკვიდრე *ნიკოლოზ ალექსანდრე II-ის ძე,* რომელიც 1864 წ. სექტემბერში დაინიშნა დანიელ პრინცესა დაგმარზე, თუმცა ქორწილამდე, 1865 წ. აპრილში, გარდაიცვალა. 1866 წ. 28 ოქტომბერს დაგმარზე (ქორწინების შემდეგ – მარია თედორეს ას.) იქორწინა ალექსანდრე II-ის მომდევნო ვაჟმა, შემდგომ იმპერატორმა ალექსანდრე III-მ.

[3] (გვ. 187) **„პირები ჟურნალისა და მოვალეების სიისა მომივიდა"** – საკითხის შესახებ იხ. აქვე, გვ. 102.

[4] (გვ. 187) **„ბატონს ნიკოს, ანდრიას და შეუდარებელს სალომეს"** – ეკატერინე დადიანის შვილები (იხ. აქვე: გვ. 330).

[5] (გვ. 187) **„ჩემს ძვირფას მეგობარს..."** – იგულისხმება *ევდოკია მერდერი* (იხ. აქვე, გვ. 329-330).

## 104. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 187-189)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1843. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1865 წ. 15 მარტი. ტფილისი. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

**ტექსტში გამოყენებული რუსული სიტყვები ნიშნავს:**
**დოკლადი –** *Доклад:* მოხსენება.
**სუდებნი –** *Судебный:* სასამართლო.
**სუმმა –** *Сумма:* თანხა.

[1] (გვ. 188) **„28 დეკემბერს მე პასუხი შევიტანე"** – იგულისხმება დიმ. ყიფიანის 1864 წ. 28 დეკემბრის მიმართვა კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს სასამართლოს საქმეთა დეპარტამენტისადმი (იხ. წერილი №95).

[2] (გვ. 188) **„აღრეულობისა და მოხდენილის ცვლილებების მიზეზით"** – *აღრეულობაში* იგულისხმება სამეგრელოს გლეხთა 1856-1857 წწ. აჯანყება უტუ მიქავას საერთო ხელმძღვანელობით. აჯანყებას ის *ცვლილებები* მოჰყვა, რომ ხელისუფლებამ სამეგრელოში ჯარი შეიყვანა და იქ თავისი ფაქტობრივი მმართველობა დაამყარა.

[3] (გვ. 189) **„კოსტანტინე თქვენს მოსვლამდის ითხოვს აბასტუმნის სასახლეში დამაყენეთო"** – ა) *კოსტანტინე:* მაზლი ეკატერინე დადიანისა, *კონსტანტინე ლევანის ძე დადიანი;* ბ) *აბასტუმნის სასახლე:* სამეგრელოს მთავრების სასახლე სამეგრელოს სოფ. აბასთუმანში (ზუგდიდთან ახლოს).

## 105. კონსტანტინე ორლოვსკისადმი
(გვ. 189)

**ხელნაწერი:** სეა. ფონდი 214. აღწ. I. საქ. №3366. ფ. 52. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. **თარიღი:** 1865 წ. 15 მარტი. ხელმოუწერელი.

ტექსტი დაწერილია თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის უგერბო ქაღალდზე და უზის ნომერი (№48).

ტექსტს თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია (რუსულ ენაზე): „სამოქალაქო გუბერნატორს". თბილისის სამოქალაქო გუბერნატორი კი იმ დროს *კონსტანტინე ივანეს ძე ორლოვსკია.*

მიმართვას დართული აქვს ზემოხსენებული სამოცდაერთი პირის სია (რუსულ ენაზე): პოლკოვნიკი, თავადი ზურაბ ავალიშვილი (Авалов), თავადი ქაიხოსრო სოლოღაშვილი (Солагов), აზნაურები: პაატა გიორგის ძე, ზაქარია ივანეს ძე, ალექსანდრე დავითის ძე, მიხეილ სოლომონის ძე გოგნიაშვილები (Гогниевы), თავადი მიხეილ პაატას ძე საგინაშვილი (Сагинов) და სხვ.

ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 349-350.

[1] (გვ. 189) **„თქვენდამი ა. თ. 10 რიცხვის მიმართვის...“** – *10 რიცხვის მიმართვა* იხ. აქვე, წერილი №102.

## 106. ალექსანდრე ნიკოლაისადმი
(გვ. 190)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1856. უცხო ხელით ნაწერი. ასლი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1865 წ. 20 მარტი. **ხელმოწერა:** Д. Кипиани.

საბუთს თავზე უცნობი ხელით აწერია (რუსულ ენაზე): „ბარონ ნიკოლაისადმი მეურვის წარდგინება. 1865 წ. 20 მარტისა, №31“.

ადრესატის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ. ყიფიანი 2023: 365-368.

[1] (გვ. 190) **„1864 წლის 4 თებერვალს წარდგენილ ბარათში (№7) გადმოცემული მქონდა ჩემი საჩივარი და პროტესტი“** – აქ ნახსენები *ბარათი* ჩვენთვის ხელმისაწვდომ საბუთებში არ აღმოჩნდა.

[2] (გვ. 190) **„მთავარი მეურვისთვის...“** – იგულისხმება *ეკატერინე დადიანი,* რომელიც იყო სამეგრელოს მცირეწლოვანი მთავრის, ნიკოლოზ (ნიკო) დადიანის, მთავარი მეურვე (Главная опекунша). დიმ. ყიფიანი იყო ნიკოლოზ დადიანის *მამულისა და ქონების* მეურვე (Опекун).

[3] (გვ. 190) **„იმავე დეკემბრის 28-ში ორი პუნქტის შესახებ წარვადგინე ჩემი ახსნა-განმარტება“** – იგულისხმება დიმ. ყიფიანის 1864 წ. 28 დეკემბრის მიმართვა კავკასიის მეფისნაცვლის მთავარ-

სამმართველოს სასამართლოს საქმეთა დეპარტამენტისადმი (იხ. წერილი №95).

## 107. კონსტანტინე ორლოვსკისადმი
(გვ. 190-191)

**ხელნაწერი:** სეა. ფონდი 214. აღწ. I. საქ. №3366. ფ. 54. უცნობი ხელით ნაწერი. ასლი. რუსულ ენაზე. **თარიღი:** 1865 წ. 29 მარტი. ხელმოუწერელი.

ტექსტი დაწერილია თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის უგერბო ქაღალდზე და უზის ნომერი (№58).

თავზე უცნობი ხელით აწერია (რუსულ ენაზე): „ქ. ტფილისის სამოქალაქო გუბერნატორს".

ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 349-350.

[1] (გვ. 190) **„თქვენდამი მიმდინარე მარტის 10 რიცხვის მიმართვის (№46) დამატებად..."** – 10 მარტის მიმართვა იხ. აქვე, წერილი №102.

## 108. კონსტანტინე ორლოვსკისადმი
(გვ. 191)

**ხელნაწერი:** სეა. ფონდი 214. აღწ. I. საქ. №3366. ფ. 55. უცნობი ხელით ნაწერი. ასლი. რუსულ ენაზე. **თარიღი:** 1865 წ. 9 აპრილი. ხელმოუწერელი.

ტექსტი დაწერილია თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის უგერბო ქაღალდზე და უზის ნომერი (№58).

თავზე უცნობი ხელით აწერია (რუსულ ენაზე): „ქ. ტფილ[ისის] სამოქ[ალაქო] გუბერ[ნატორს]".

ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 349-350.

[1] (გვ. 191) **„თქვენდამი 10 მარტის მიმართვის (№46) დამატებად...“** – *10 მარტის მიმართვა* იხ. აქვე, წერილი №102.

## 109. კონსტანტინე ორლოვსკისადმი
(გვ. 191)

**ხელნაწერი:** სეა. ფონდი 214. აღწ. I. საქ. №3366. ფ. 56. უცნობი ხელით ნაწერი. ასლი. რუსულ ენაზე. **თარიღი:** 1865 წ. 13 აპრილი. ხელმოუწერელი.

ტექსტი დაწერილია თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის უგერბო ქაღალდზე და უზის ნომერი (№67).

თავზე უცნობი ხელით აწერია (რუსულ ენაზე): „ქ. ტფილ[ისის] სამოქ[ალაქო] გუბერ[ნატორ]ს“.

ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 349-350.

[1] (გვ. 191) **„თქვენდამი გასული მარტის 10 რიცხვის მიმართვის (№46) დამატებად...“** – *10 მარტის მიმართვა* იხ. აქვე, წერილი №102.

## 110. კონსტანტინე ორლოვსკისადმი
(გვ. 192)

**ხელნაწერი:** სეა. ფონდი 214. აღწ. I. საქ. №3366. ფ. 57. უცნობი ხელით ნაწერი. ასლი. რუსულ ენაზე. **თარიღი:** 1865 წ. 16 აპრილი. ხელმოუწერელი.

ტექსტი დაწერილია თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის უგერბო ქაღალდზე და უზის ნომერი (№69).

თავზე უცნობი ხელით აწერია (რუსულ ენაზე): „ქ. ტფილ[ისის] სამოქ[ალაქო] გუბერ[ნატორ]ს“.

ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 349-350.

[1] (გვ. 192) **„თქვენდამი გასული მარტის 10 რიცხვის მიმართვის (№46) დამატებად...“** – *10 მარტის მიმართვა* იხ. აქვე, წერილი №102.

## 111. კონსტანტინე ორლოვსკისადმი
(გვ. 192-193)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №279. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 2. **ნაბეჭდი**: Грузия в период буржуазных реформ (1862-1872). Под редакцией Ш. К. Чхетия. Т. I. Ч. II. Тбилиси: Архивное управление МВД Грузинской ССР. 1960, გვ. 783-784**. თარიღი:** 1865 წ. 17 აპრილი. ხელმოწერა: Д. Кипиани.

ტექსტი დაწერილია თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის გერბიან ქაღალდზე და უზის ნომერი (№72). შ. ჩხეტიას პუბლიკაცია ზუსტად მიჰყვება ავტოგრაფის შავს.

ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 349-350.

[1] (გვ. 192) **„ამა წლის 10 მარტის წერილობითი მიმართვა №46-ის...“** – *10 მარტის მიმართვა* იხ. აქვე, წერილი №102.

## 112. მემამულეებისთვის გლეხთა პირადი გადასახადების სანაცვლო ანაზღაურების გამცემი თბილისის კომისიისადმი
(გვ. 194)

**ხელნაწერი:** სეა. ფონდი 214. აღწ. I. საქ. №3366. ფ. 61. უცნობი ხელით ნაწერი. ასლი. რუსულ ენაზე. **თარიღი:** 1865 წ. 30 აპრილი. ხელმოუწერელი.

დაწერილია თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის უგერბო ქაღალდზე. უზის ნომერი (№78).

ტექსტს იქვე მოსდევს: ა) დიმ. ყიფიანის შეტყობინება სამოქალაქო გუბერნატორ კ. ორლოვსკისადმი კომისიისთვის სიის გაგზავნის შესახებ (ფ. 61-62); ბ) ტექსტში ნახსენები ანბანურ რიგზე დალაგებული სია (ფ. 63-77).

[1] (გვ. 194) **„ანაზღაურების გამცემ ტფილისის კომისიას"** – მემამულეებისთვის გლეხთა პირადი გადასახადების სანაცვლო ანაზღაურების გაცემა-განაწილების წესები იხ. ჩხეტია 1950: 470-477.

[2] (გვ. 194) **„ბ-ნი სამოქალაქო გუბერნატორის..."** – იგულისხმება *კონსტანტინე ივანეს ძე ორლოვსკი,* თბილისის სამოქალაქო გუბერნატორი 1860-1876 წწ.

## 113. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 194-196)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1844. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ (ნაწილობრივ რუსულ) ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1865 წ. 3 მაისი. ტფილისი. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 194) **„მადერაზედ რამდენისამე ხნის ყოფნა ძალიან საჭირო იყოს ნიკოსათვის"** – *მადერა:* ეს უნდა იყოს *მადეირა,* პოპულარული კურორტი პორტუგალიაში; ბ) *ნიკო:* სამეგრელოს მთავარი *ნიკოლოზ (ნიკო) დადიანი.*

[2] (გვ. 194) **„ბარონს ქაღალდით ვჰკითხე ... ზაპისკას რა შეუდგა, გთხოვთ მაცნობოთ მეთქი"** – ა) *ბარონი: ალ. ნიკოლაი,* რომელიც იმ დროს მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსია; ბ) *„ზაპისკის"* [ახსნა-განმარტებითი მიმართვის] შესახებ იხ. აქვე, გვ. 382.

[3] (გვ. 195) **„კავკასკი კომიტეტში წარვადგინეთო“** – *კავკასკი კომიტეტის* [Кавказский комитет] შესახებ იხ. აქვე, გვ. 363.

[4] (გვ. 195) **„ბოჭვა იმ წლიდამ არის დაყენებული და მიწერ მოწერა ამაზედ შემდგარი არის 1857-დამ“** – საკითხის შესახებ იხ. წერილი №104.

[5] (გვ. 195) **„აბასტუმნის სასახლისა ... ჩააბაროს კოსტანტინეს სიითა“** – *კოსტანტინე: კონსტანტინე ლევანის ძე დადიანი* (საკითხის შესახებ იხ. აქვე, გვ. 189).

[6] (გვ. 195) **„ახალი სახლთუხუცესის დაყენებას ... სრულებით საჭიროდ არა ვჰპოვებ“** – *ახალი სახლთუხუცესის დაყენების* საჭიროება წარმოშვა ეკატერინე დადიანის სახლთუხუცესის, *დავით (დათიკა) სალიკის ძე ჩიქოვანის (ჩიქოანის)*, გარდაცვალებამ 1865 წ. 4 თებერვალს (იხ. წერილი №100).

[7] (გვ. 196) **„მშვენიერი მეგობარი“** – იგულისხმება *ევდოკია მერდერი* (იხ. აქვე, გვ. 329-330).

## 114. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 196-197)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1845. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1865 წ. 21 მაისი. ტფილისი. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 196) **„გარდასახადის საქმე კავკასკი კომიტეტს ისე გადაუწყვეტია“** – *კავკასკი კომიტეტის* [Кавказский комитет] შესახებ იხ. აქვე, გვ. 363.

[2] (გვ. 196) **„ვისაც მუშაობა მართებს და ცხენის ჩაბმა“** – *მუშაობა, ცხენის ჩაბმა:* გლეხებზე დაკისრებული ბეგრის სახეობები (მათი რაობის შესახებ იხ. წერილი №95).

[3] (გვ. 196) **„პროტესტის შეტანას ვაპირებ“** – დიმ. ყიფიანმა აქ ნახსენები *პროტესტი* წერილობით მთავარსამმართველოს უფროსს, ალ. ნიკოლაის, წარუდგინა (იხ. წერილი №117).

[4] (გვ. 196) **„მენგრელიაში გარდასახადი იბოჭება წარსრულის წლისა და 1857-იდამ აღარ მობოჭილა, მმართებლობის მიზეზით“** – საკითხის შესახებ იხ. წერილი №104.

[5] (გვ. 197) **„კოსტანტინეს წიგნიც იქ გამოგიგზავნეთ“** – *კოსტანტინე:* ეკატერინე დადიანის მაზლი *კონსტანტინე ლევანის ძე დადიანი.*

[6] (გვ. 197) **„ბატონს ნიკოს, სალომეს და ანდრიას...“** – ეკატერინე დადიანის შვილები (იხ. აქვე: გვ. 330).

## 115. მიხეილ თუმანიშვილისადმი
(გვ. 197)

**ხელნაწერი:** ხეც. მიხ. თუმანიშვილის არქ., საქ. №292. ავტოგრაფი. დედანი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1865 წ. 22 მაისი. **ხელმოწერა:** Димитрий Кипиани.

ტექსტი დაწერილია თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის გერბიან ქაღალდზე და უზის ნომერი (№107). თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია (რუსულ ენაზე): „მის ბრწყინვალებას, თავად მ. ბ. თუმანოვს, ბატონ ნამდვილ სამოქალაქო მრჩეველსა და კავალერს“.

ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 337.

[1] (გვ. 197) **„მთავარსამმართველოს უფროსის წერილისა...“** – კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსი ამ დროს არის ბარონი *ალ. ნიკოლაი.*

[2] (გვ. 197) **„ეხება თავადაზნაურობის 16 აპრილის ყოვლადუქვეშევრდომილეს ადრესზე მისი უმაღლესობის კეთილმოწყალე პასუხს“** – ა) *ადრესი:* დიმ. ყიფიანს მხედველობაში აქვს ქართველი

თავადაზნაურობის სახელით მის მიერვე შედგენილი და ზეპირადაც წარმოთქმული სამძიმრის ადრესი დიდი მთავრისა და ტახტის მემკვიდრის, *ნიკოლოზ ალექსანდრე II-ის ძის,* გარდაცვალების გამო (თვითონ *ადრესი* და მასთან დაკავშირებული გარემოებები იხ. ყიფიანი 2021: 28, 307-308); ზ) *მისი უმაღლესობა:* იგულისხმება კავკასიის მეფისნაცვალი (1862-1881) *მიხეილ ნიკოლოზის ძე.*

## 116. თბილისის ხაზინისადმი
(გვ. 198)

**ხელნაწერი:** სეა. ფონდი 214. აღწ. I. საქ. №3366. ფ. 80. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. **თარიღი:** 1865 წ. 1 ივნისი. ხელმოუწერელი.

მიმართვა დაწერილია თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის უგერბო ქაღალდზე. უზის ნომერი (№125).

[1] (გვ. 198) **„უქვითავს ფულის სტანდარტული კურსის მიხედვით“** – *დედანში:* „...удерживает ходячею монетою“.

[2] (გვ. 198) **„გასცემს სერიებით“** – *სერია* [Серия]: სახაზინო ფასიანი ქაღალდის კატეგორია (ბილეთი), ჩვეულებრივ – საპროცენტო სარგებლით.

## 117. ალექსანდრე ნიკოლაისადმი
(გვ. 198-201)

**ხელნაწერი:** ზსიამ. №30024 (ლ. ა. №1854). უცნობი ხელით ნაწერი. ასლი. რუსულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1865 წ. 3 ივნისი. ხელმოუწერელი.

მიმართვის ფორმა და ადრესატი ტექსტში ასეა მითითებული: Копия с предоставления Опекуна господину начальнику главного

управления Наместника Кавказского от 3 июня 1865 г. за №62 [ასლი მეურვის 1865 წ. 3 ივნისის მიმართვისა ბატონ კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსისადმი. №62]. კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსი კი ამ დროს არის ბარონი *ალექსანდრე ნიკოლაი.*

წინამდებარე ტექსტი არის ის *„პროტესტი“*, რომლის *„შეტანასაც“* ეკატერინე დადიანისადმი 1865 წ. 21 მაისის წერილის მიხედვით, დიმ. ყიფიანი აპირებდა (იხ. წერილი №114).

ადრესატის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 365-368.

[1] (გვ. 198) **„ა) მოთხოვნა მუშაობისა ... ბ) ბატონის ცხენის გამოკვება და მეჯინიბის შენახვა“** – იგულისხმება ბეგრის სახეობები: *მუშაობა* და *ცხენის ჩაბმა* (მათი რაობის შესახებ იხ. წერილი №95).

[2] (გვ. 200) **„მეურვეობას არ ჰქონდა არც ადგილ-მამულის აღწერილობა და არც – სახელმძღვანელო წესები. ერთიცა და მეორეც მხოლოდ 1859 წლისთვის მოხერხდა“** – სამეგრელოს მთავრის ადგილ-მამულისა და ქონების *აღწერილობისა* და *სახელმძღვანელო წესების* შესახებ იხ.: დიმ. ყიფიანის „დღიური 1857-1858 წლებისა“ (ყიფიანი 2020: 79-118) და მისივე წერილები ალექსი კრუზენშტერნისადმი (ყიფიანი 2023: 246-297).

## 118. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 201-202)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1846. უცნობი ხელით ნაწერი დიმ. ყიფიანის ავტოგრაფული ხელმოწერით. დედანი. რუსულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1865 წ. 3 ივნისი. **ხელმოწერა:** Димитрий Кипиани.

პირველ გვერდზე მითითებულია ადრესატი (რუსულ ენაზე): „მის უგანათლებულესობას, კნეინა ე. ა. დადიანს“. წერილს უზის ნომერი (№60).

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 201) **„სოფელ ჭყვიშში...“** – *ჭყვიში:* სადადიანო სოფელი რაჭაში (დღევანდელი ზედა ჭყვიში ამბროლაურის მუნიციპალიტეტში).

## 119. გორის მაზრის მემამულეებისათვის მათი ყოფილი გლეხების პირადი გადასახადების სანაცვლო ანაზღაურების გამცემი სამაზრო კომისიისადმი
(გვ. 202-203)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №618. უცნობი ხელით ნაწერი, ნასწორები დიმ. ყიფიანის მიერ. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1865 წ. 28 ივნისი. სოფ. ქვიშხეთი. **ხელმოწერა:** Кайхосро и Димитрий Ивановы сыновья Кипиани.

[1] (გვ. 203) **„სათავადაზნაურო კაპიტალის ანგარიშზე ჩაირიცხოს“** – აქ ნახსენები *კაპიტალის* შესახებ იხ. წერილი №102.

[2] (გვ. 203) **„მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს მფლობელობაში...“** – გარდა ქვიშხეთისა, ქაიხოსრო და დიმ. ყიფიანებს გლეხები ჰყავდათ იმერეთშიც (ზედუბანი, ზვარე...) (იხ. წერილი №163).

## 120. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 204)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1847. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1865 წ. 5 ივლისი. სოფ. ქვიშხეთი. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 204) **„არც ბარონს უნდა ემდუროდეთ“** – *ბარონი:* იგულისხმება *ალექსანდრე ნიკოლაი.*

[2] (გვ. 204) **„ახლანდელი მენგრელიის მმართველი“** – იგულისხმება *გიორგი კონსტანტინეს ძე ვლასტოვი,* რომელიც სამეგრელოს მმართველი იყო 1865-1868 წწ. [ამ თანამდებობაზე მიხეილ (მიშელ) ჭილაშვილი შეცვალა]. დაცულია გ. ვლასტოვის 1865 წ. 30 ოქტომბრის წერილი დიმ. ყიფიანისადმი (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1359. რუსულ ენაზე. ფ. 2; ეხება არჩილ დადიანსა და კონსტანტინე ნიჟარაძეს).

[3] (გვ. 204) **„პროტესტი შევიტანე“** – იგულისხმება დიმ. ყიფიანის მიმართვა ბარონ ალ. ნიკოლაისადმი (წერილი №117).

[4] (გვ. 204) **„ზუგდიდისა და მურის სასახლეების დაწვა და ტბის დარღვევა“** – ა) *ზუგდიდის სასახლის დაწვის* შესახებ იხ. წერილი №69; ბ) *მურის სასახლის დაწვის* შესახებ იხ. წერილი №113; გ) [მურის] *ტბის დარღვევის* შესახებ იხ. წერილი №88.

[5] (გვ. 204) **„ბატონს ნიკოს, ანდრიას და კნიაჟნა სალომეს...“** – ეკატერინე დადიანის შვილები (იხ. აქვე, გვ. 330).

## 121. ვასილ ვასილის ძისადმი
(გვ. 205)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №720. უცნობი ხელით ნაწერი. ასლი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1865 წ. 6 ივლისი. სოფ. ქვიშხეთი. **ხელმოწერა:** Димитрий Кипиани.

ადრესატის ვინაობა (გვარი, თანამდებობა) ვერ გამოვარკვიეთ.

## 122. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 206-207)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1848. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1865 წ. 12 ივლისი. სოფ. ქვიშხეთი. **ხელმოწერა:** დ. ყიფიანი.

წერილი დაზიანებულია, ამასთანავე, თხელ ქაღალდზეა ნაწერი და მელანი წინა გვერდიდან უკანაზე და პირიქით არის გადასული. ცალკეული სიტყვები თუ ფრაზები ძნელად ან სულ არ იკითხება.

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 206) **„მომავალის 1867 წლის იანვრის 4-მდის“** – 1867 წ. 4 იანვარს სამეგრელოს მთავარი ნიკოლოზ (ნიკო) დადიანი სრულწლოვანი (20 წლისა) ხდებოდა და სამთავროს დამოუკიდებლად მართვის უფლება ენიჭებოდა, თუმცა მან ამ უფლებით არ ისარგებლა და იმავე დღეს, რა დღესაც სრულწლოვანი გახდა, ალექსანდრე II-ს სამთავროს გაუქმებისა და იქ რუსეთის უშუალო მართვა-გამგეობის შემოღების შესახებ მოხსენება წარუდგინა (ტექსტი მოხსენებისა იხ. ყიფიანი 2017: 262-263; საკითხის შესახებ იხ. აქვე, წერილი №148).

[2] (გვ. 206) **„მე რომ პროტესტი შევიტანე...“** – *პროტესტი:* იგულისხმება დიმ. ყიფიანის მიმართვა ბარონ ალ. ნიკოლაისადმი (წერილი №117).

[3] (გვ. 206) **„ადგილ მამულის გარდა [...]“** – აქ ერთი სიტყვა არ იკითხება.

[4] (გვ. 206) **„სახლთხუცესი რომ გარდიცვალა...“** – იგულისხმება ეკატერინე დადიანის სახლთუხუცესი *დავით (დათიკა) სალიკის ძე ჩიქოვანი (ჩიქოანი)* (იხ. წერილი №100).

[5] (გვ. 206) **„ფული შემოვიდა, იმისს [...]** – აქ რამდენიმე სიტყვა არ იკითხება.

[6] (გვ. 206) **„მიწა უბოძეთ ხოფის წყლის პირზედ“** – *ხოფის წყალი:* მდინარე *ხობისწყალი* (ადრინდელ წყაროებში ხობი ასე იხსენიება: *ხოფი, ხოპი).*

[7] (გვ. 207) **„ელიზბარ ბატონიშვილის ქვრივს...“** – ელიზბარ ბატონიშვილის (დადიანის; გარდ 1863) *ქვრივი* გვარად *წულუკიძე* იყო (იხ. ბოროზდინი 1934: 237).

[8] (გვ. 207) **„ჭილაევმა 300 მანათი პენსია მოუტანინა“** – ა) *ჭილაევი:* სამეგრელოს მმართველი 1862-1865 წწ. *მიხეილ (მიშელ) ჭილაშვილი;* ბ) *პენსია მოუტანინა:* პენსია დაუნიშნა (უბოძა).

[9] (გვ. 207) **„ათი ქცევა მიწა მიეცეს სამოდეთ“** – *სამოდეთ:* სიტყვიდან – *მოდი,* რაც ნიშნავს საბატონო მამულით სარგებლობის გადასახადს და შეადგენს შემოსავლის მეათედს (ერისთავი 1927: 110). ***წაკითხვა:*** მოდის გადახდის პირობით.

## 123. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 207-208)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1849. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ (ნაწილობრივ რუსულ) ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1865 წ. 16 აგვისტო. სოფ. ქვიშხეთი. **ხელმოწერა:** დიმ. ყიფიანი.

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 208) **„ამ ჩემს პროტესტს თუ შეუდგა ახალი გადაწყვეტილობა“** – *პროტესტი:* იგულისხმება დიმ. ყიფიანის მიმართვა ბარონ ალ. ნიკოლაისადმი (იხ. წერილი №117).

[2] (გვ. 208) **„პრიკაზში თუ შევიტანე...“** – *პრიკაზის* შესახებ იხ. აქვე, გვ. 354.

[3] (გვ. 208) **„თუ სერიებზედ დავსცვალე...“** – *სერიების* შესახებ იხ. აქვე, გვ. 434.

[4] (გვ. 208) **„კოსტანტინე და მისი მეუღლე...“** – *კონსტანტინე ლევანის ძე დადიანი* (მაზლი ეკატერინე დადიანისა) და მისი მეუღლე *მაია გიორგის ას. დადიანი.*

[5] (გვ. 208) **„ოტპუსკი უნდა გამოვითხოვო“** – *ოტპუსკი* (Отпуск): შვებულება.

[6] (გვ. 208) **„დიდი ხნის უნახავ მეგობარს“** – იგულისხმება *ევდოკია მერდერი* (იხ. აქვე, გვ. 329-330).

[7] (გვ. 208) **„ბატონს ნიკოს, ანდრიას და კნიაჟნა სალომეს...“** – ეკატერინე დადიანის შვილები (იხ. აქვე, გვ. 330).

## 124. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 209)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1850. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1865 წ. 22 აგვისტო. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 209) **„ახლა სახლთუხუცესის დანიშვნა საჭიროდ ჩნდება“** – 1865 წ. დასაწყისში გარდაიცვალა ეკატერინე დადიანის სახლთუხუცესი *დავით (დათიკა) სალიკის ძე ჩიქოვანი* (წერილი №100). როგორც ჩანს, აქ მისი მონაცვლის დანიშვნაზეა საუბარი.

[2] (გვ. 209) **„არჩილ ბატონიშვილი დაინიშნოს“** – *არჩილ ბატონიშვილი: არჩილ დადიანი,* რომელიც 1866 წ. გაზაფხულზე ეკატერინე დადიანის სახლთუხუცესად დაინიშნა (საკითხის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 476-479).

## 125. თბილისის სამაზრო ხაზინისადმი
(გვ. 209-210)

**ხელნაწერი:** სეა. ფონდი 214. აღწ. I. საქ. №3366. ფ. 84. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. **თარიღი:** 1865 წ. 11 ოქტომბერი. ხელმოუწერელი.

მიმართვა დაწერილია თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის უგერბო ქალალდზე. უზის ნომერი (№175).

[1] (გვ. 210) **„თანხა გადაიყვანოთ სერიებში“** – *სერიის* შესახებ იხ. აქვე, გვ. 434.

## 126. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 210-212)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1851. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1865 წ. 21 ოქტომბერი. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 210) **„ოტპუსკი ვითხოვე“** – *ოტპუსკი* (Отпуск): შვებულება.

[2] (გვ. 210) **„ამ თვის 1 რიცხვამდინ გვერგო 74 875 р.“** – წერილში საუბარია იმ თანხაზე, რომელსაც დიმ. ყიფიანი გასული წლების გადასახადების ანგარიშში ითხოვდა (იხ. წერილი №117).

[3] (გვ. 210) **„იმას და იმის პრისიაჟნებს“** – *პრისიაჟნი* (Присяжный) ზოგადად *ნაფიცს* ნიშნავს (ნაფიცი მოსამართლე, ნაფიცი ვექილი...), თუმცა ასე ხაზინის დაბალი რანგის შტატიანი თანამშრომლებიც იწოდებოდნენ.

[4] (გვ. 211) **„სერიებზედ დაცვლა ვამჯობინე“** – *სერიის* შესახებ იხ. აქვე, გვ. 434.

[5] (გვ. 211) **„კოსტანტინესი ნიჟარაძეს მივსწერე, რომ ათასი მანათი მიართვას“** – *კოსტანტინე: კონსტანტინე დადიანი,* ეკატერინე დადიანის მაზლი; ბ) *ნიჟარაძე:* სამთავროს საქმეთა მმართველი (1860-იანი წწ.) *კონსტანტინე ნიჟარაძე.*

[6] (გვ. 211) **„ანნა ილინიშნასი ბარონმა მითხრა ქალაქს...“** – ა) *ანნა ილინიშნა: ანა ილია ბატონიშვილის ას. ბაგრატიონ-გრუზინსკაია (გრუზინსკაია),* ეკატერინე დადიანის რძალი (ძმის, დავით ჭავჭავაძის, მეუღლე); ბ) *ბარონი:* იგულისხმება *ალ. ნიკოლაი,* ეკატერინე დადიანის სიძე (დის, სოფიო ჭავჭავაძის, მეუღლე).

[7] (გვ. 211) **„კნეინა მანანასაც...“** – იგულისხმება *მანანა ორბელიანი.*

## 127. ამიერკავკასიის სახაზინო პალატისადმი
(გვ. 212-213)

**ხელნაწერი:** სეა. ფონდი 214. აღწ. I. საქ. №3366. ფ. 85-86. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. **თარიღი:** 1865 წ. 7 ნოემბერი. ხელმოუწერელი.

მიმართვა დაწერილია თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის უგერბო ქაღალდზე. უზის ნომერი (№199).

[1] (გვ. 212) **„არ დარჩეს ნამატის გარეშე“** – იგულისხმება *საპროცენტო ნამატი.*

[2] (გვ. 213) **„გადაყვანილ იქნეს სერიებში“** – *სერიის* შესახებ იხ. აქვე, გვ. 434.

[3] (გვ. 213) **„ჩემი მიმდინარე 11 ნოემბრის ... სესხად გამოტანილი 321 მანეთისა და 50 კაპიკის გამოკლებით“** – ტექსტს დართული აქვს გვიანდელი მინაწერი (უცნობი ხელით, რუსულ ენაზე): „ეს ფული თავადაზნაურობის დეპუტატთა 1866 წ. 29 ოქტომბრის (№519) მიმართვის საფუძველზე დაუბრუნდა ტფილისის სამაზრო ხაზინას“.

## 128. იული ვიტესადმი
(გვ. 213-214)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №723. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1865 წ. 26 ნოემბერი. ხელმოუწერელი.

საბუთს თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია (რუსულ ენაზე): „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების“ პრეზიდენტს“. ბოლოში მითითებულია ადრესატი (რუსულ ენაზე): „მის აღმატებულებას, ი. თ. ვიტეს, ბ-ნ „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების“ პრეზიდენტს“.

ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 409-410.

[1] (გვ. 213) **„თევზის ხელოვნურად მოშენებას მივყო ხელი"** – თევზის მოშენებისადმი დიმ. ყიფიანის ინტერესს მემუარულ ლიტერატურაშიც ვხვდებით: „ერთხელ გადასწყვიტა თევზის მოშენება. გამოიწერა ქვირითი ზუთხისა და შეუდგა შესაფერი შენობის აგებას ზვრის თავში, დიდი წყაროს გვერდით, რომელ წყაროსაც უნდა ესაზრდოებინა თევზი. შენობა დამთავრდა, მოვიდა სანატრელი ქვირითიც, მაგრამ საუბედუროდ გზაში წამხდარიყო და იმოდენა ხარჯმა და შრომამ სულ ამაოდ ჩაიარა" (ყიფიანი 2007: 119), „მშვენიერ ეზოში გაკეთებული ჰქონდა მშვენიერი აუზი, შიგ მუდამ მტკვრის თევზით. აქვე გამოყვანილი იყო დიდებული წყარო, რომლის ნაკადულიც გამოდიოდა საციებელ ოთახში და მიდიოდა აუზში" (ტატიშვილი 2007: 179).

მოგვიანებით, 1882 წ. მარტიდან, დიმ. ყიფიანი „რუსეთის თევზის მოშენებისა და თევზჭერის საზოგადოების" წევრი ხდება (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №787. ფ. 1). დაცულია მისი 1883 წ. 20 ივნისის წერილი ამ საზოგადოების გამგეობისადმი, რომლის მიხედვითაც, დიმ. ყიფიანს სურს ფარგის (Судак), ორაგულის (Лосось), ღლაბუტას (Налим), ცქვრინისა (Стрелядь) და სიგის (Сиг) მოშენება და გამგეობას ეკითხება: რა რჩევას მომცემთ და ხარჯი რამდენი იქნებაო (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №586. ფ. 1).

[2] (გვ. 214) **„მაქვს პატივი, ამ „საზოგადოების" წევრი ვიყო მისი დაარსების დღიდანვე"** – „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებისა" (1850-1918) და მის საქმიანობაში დიმ. ყიფიანის მონაწილეობის (მმართველი საბჭოს წევრი, ვიცე-პრეზიდენტი, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი) შესახებ, მისი შეხედულებები „საზოგადოების" მიზნებსა და პრაქტიკულ საქმიანობაზე, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ. ყიფიანი 2017: 22-33, 230-232.

[3] (გვ. 214) **„საგანგებო აუცილებლობის გამო მომავალი წლის აპრილამდე მოშორებული ვიქნები ჩვენს მხარეს"** – *საგანგებო აუცილებლობა:* იგულისხმება დიმ. ყიფიანის პეტერბურგში (იქიდან კი პარიზში) გამგზავრება სამეგრელოს სამთავროს საქმეებთან და-

კავშირებული გარემოებების გამო [მომდევნო – 1865 წ. 21 დეკემბრის – წერილს დიმ. ყიფიანი ი. ვიტეს უკვე პეტერბურგიდან სწერს (იხ. წერილი №129); იხ. აგრეთვე, წერილები ეკატერინე დადიანისადმი №№131, 132, 135)].

[4] (გვ. 214) **„დაურთოს მიმართვა ჩვენი თანაწევრის, ალექსანდრე პეტრეს ძე მაქსიმოვიჩისადმი“** – *ალექსანდრე პეტრეს ძე მაქსიმოვიჩი* (კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე) ამ პერიოდში იმავდროულად არის „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების“ საბჭოს წევრი (კავკაზსკი კალენდარ 1864: 59).

## 129. იული ვიტესადმი
(გვ. 215-216)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №724. ავტოგრაფი. ასლი. რუსულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1865 წ. 21 დეკემბერი. ხელმოუწერელი.

საბუთს თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია (რუსულ ენაზე): „ასლი წერილისა იული თედორეს ძე ვიტესადმი. 21 დეკემბერი 1865. ს.-პეტერბურგიდან“.

ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 409-410.

[1] (გვ. 215) **„გასული ნოემბრის 28-ში გამოგზავნილი წერილისთვის...“** – ეს *წერილი* საქმეებში არ ჩანს.

## 1866

## 130. რიჩარდისადმი
(გვ. 216-217)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №785. ავტოგრაფი.

შავი. ფრანგულ ენაზე (თარგმნა ც. ბიბილეიშვილმა). ფ. 1. **თარიღი:** 1866 წ. 17 თებერვალი-1 მარტი. ხელმოუწერელი.

დაცულია ***რიჩარდის*** (ფრანგული გვარია) წერილები დიმ. ყიფიანისადმი, გამოგზავნილი მარსელიდან 1866-1867 წწ. (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №№1601-1605; ფრანგულ ენაზე, ფ. 5).

## 131. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 218)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1863. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1866 წ. 5/17 მაისი. პარიზი. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 218) **„მე დღესაც აქ გახლავარ"** – *აქ* (პარიზში) დიმ. ყიფიანი ეკატერინე დადიანსა და მის შვილებთან ერთად 1866 წ. იანვრის დამდეგიდან (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №811) იმავე წლის 19 მაისამდე იმყოფებოდა (იხ. აქვე, წერილი №132). ამ პერიოდში მან იქაურ გაზეთში („L'Evenement") გამოაქვეყნა მცირე წერილი ეკატერინე დადიანის შესახებ (თვითონ წერილი და მასთან დაკავშირებული გარემოებები იხ. ყიფიანი 2017: 50-51, 257-261). უნდა ითქვას, რომ პარიზში დიმ. ყიფიანის მიერ გაწეული ხარჯი მოგვიანებით ნ. დადიან-მინგრელსკიმ სასამართლო დავის საგნად აქცია (ყიფიანი 2021: 49-50).

[2] (გვ. 218) **„თითქმის აღარავინ მინახავს, ზუბალოვსა და შარლვილს გარდა"** – ა) *ზუბალოვი:* ეს უნდა იყოს *იოსებ გიორგის (იაგორის) ძე ზუბალაშვილი,* რომელთანაც დიმ. ყიფიანს მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა (იხ. ყიფიანი 2017: 344-347); ბ) *შარლვილის* ვინაობა ვერ გამოვარკვიეთ.

[3] (გვ. 218) **„მგონია ეგზამენში გამოვდგე“** – *ეგზამენი* (Экзамен): გამოცდა.

[4] (გვ. 218) **„ბატონს მთავარს... ანდრიას... სალომეს“** – ეკატერინე დადიანის შვილები (იხ. აქვე, გვ. 330).

## 132. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 218-219)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1862. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1866 წ. 7/19 მაისი. პარიზი. **ხელმოწერა:** დიმიტ-რი ყიფიანი.

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 218) **„ჟერამეკმა გამომიხსნა განსაცდელისაგან“** – *ჟერა-მეკი:* ეკონომოსი (მნე) ლუვრის სასტუმროში, რომელშიც დიმ. ყი-ფიანი პარიზში ყოფნისას ცხოვრობდა. ჟერამეკთან დაკავშირებით დიმ. ყიფიანი საინტერესო ამბავს იხსენებს თავის „მემუარებში“ (იხ. ყიფიანი 2020: 280-283).

[2] (გვ. 219) **„ნიკოს, ანდრიას და სალომეს...“** – ეკატერინე დადია-ნის შვილები (იხ. აქვე, გვ. 330).

## 133. თბილისის მეექვსე სამიჯნე კომისიისადმი
(გვ. 219)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №556. კოტე ყიფიანის ხელით ნაწერი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1866 წ. 5 ივნისი. ხელმოუწერელი.

[1] (გვ. 219) **„მაქვს უფლება ბორჯომის იმ მამულის ნაწილზე, რო-მელიც ხაზინის მიერ თავად ავალოვებისგან არის შეძენილი“** – სა-კითხის შესახებ იხ. წერილი №1 და მასზე დართული კომენტ. 2.

## 134. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 220-221)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1861. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1866 წ. 15 ივნისი. ტფილისი. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 220) **„სერიის ბილეთები"** – *სერიის* შესახებ იხ. აქვე, გვ. 434.

[2] (გვ. 220) **„ყოველს პაჩკაზედ..."** – *პაჩკა* (Пачка): შეკვრა.

[3] (გვ. 220) **„კავკაზსკი კომიტეტის გარდაწყვეტილობის..."** – *კავკაზსკი კომიტეტის* შესახებ იხ. აქვე, გვ. 363.

[4] (გვ. 220) **„ბარონის..."** – იგულისხმება *ალ. ნიკოლაი.*

[5] (გვ. 220 **„ჩემი ნინო ... არჩილ ისეთი ბიჭი დამახვედრა..."** – ა) *ნინო:* მეუღლე დიმ. ყიფიანისა, *ნინო ჭილაშვილ-ყიფიანი;* ბ) *არჩილი:* დიმ. ყიფიანის ვაჟიშვილი, რომელიც 1866 წ. 20 იანვარს (დიმ. ყიფიანის პარიზში ყოფნისას) ქვიშხეთში დაიბადა [იხ. მეუღლის 1866 წ. 5 თებერვლის წერილი დიმ. ყიფიანისადმი ქვიშხეთიდან პარიზში (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1833. ფ. 2)]. 1870-იან წწ. არჩილი გარდაცვლილი ჩანს: „[თბილისის] გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლობიდან გადადგომის შემდეგ ყიფიანს ზედიზედ არაერთი უბედურება დაატყდა თავს: დაკარგა უსაყვარლესი შვილი, არაჩვეულებრივად ლამაზი არჩილი..." (ფურცელაძე 1912; ფურცელაძე 2007: 76)]. არჩილი დაკრძალეს თბილისში, მთაწმინდაზე, მამადავითის ეკლესიის გალავანში. გარდა არჩილისა, მცირეწლოვანებაში გარდაიცვალა და მთაწმინდაზე დაიკრძალა დიმ. ყიფიანის კიდევ ორი მცირეწლოვანი შვილი: ალექსი და ბარბარე [სთმკქმ. კ. ყიფიანის არქ., №1469 (1); ბარბარეს პორტრეტი, ფანქრით დახატული თვითონ დიმ. ყიფიანის მიერ, იხ. სთმკქმ. კ. ყიფიანის არქ., №1500 (1). ახლავს კოტე ყიფიანის მინაწერი: „მამი ჩემის დახატული ჩემი და

ბაბალე“]. 1887 წ., როცა ქართველი საზოგადოება კატეგორიულად ითხოვდა სტავროპოლში მოკლული დიმ. ყიფიანის არა ქვიშხეთში, არამედ თბილისში, მთაწმინდაზე, დაკრძალვას, მათ ეს მოთხოვნა ხელისუფლების წინაშე ნათესავების პირით ასე დააყენეს – მამა შვილების გვერდით უნდა დაიკრძალოსო [იხ.: ანტონ ლორთქიფანიძის წერილი ელენე ყიფიან-ლორთქიფანიძისადმი: „თელი ჩვენებურობა აღელვებულია და თხოულობს, რომ უსათუოდ ქალაქშიდ დაიმარხოსო წმინდა დავითზედ, სადაც შენი ძმა აჩიკო არის დამარხული. *მთელი ჩვენი ინტელიგენცია დაბეჯითებით მოითხოვს. ამტკიცებენ* (დედანში კურსივით აღნიშნული სიტყვები რუსულადაა – თ. ჯ), ეს სახალხო საქმე არიო. ამაზედ უნდა თავი გამოვიდოთო და მანიფესტაციებიც მზადდება“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №64. ფ. 2; საშვილიშვილო მოკავშირე... 1997: 86); აგრეთვე, დიმ. ყიფიანის ნათესავების თხოვნა ხელისუფლებისადმი: „დიმიტრი ყიფიანის ნათესავთა სთხოვეს მთავრობას ნება-რთვა დასაფლავებისა მთაწმინდაში, მამა დავითის ეკკლესიის გალავანში, სადაც ასაფლავია შვილები განსვენებულისა“ (ივერია 1887; საშვილიშვილო მოკავშირე... 1997: 87-88).

[6] (გვ. 221 **„ბატონს ნიკოს ... ანდრიას ... კნიაჟნა სალომეს“** – ეკატერინე დადიანის შვილები (იხ. აქვე, გვ. 330).

## 135. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 221-223)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1860. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1866 წ. 13/25 ივნისი. ტფილისი. **ხელმოწერა:** დიმიტრი.

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 221) **„პარიჟიდამ სწორეთ 36 საათზედ გიახელით ვენას“** – პარიზში დიმ. ყიფიანის ყოფნის შესახებ იხ. აქვე, გვ. 445.

[2] (გვ. 221) **„ლადინსკის ანდერძის ამბავი შევიტყე ... დაუნიშნავარ... დუშეპრიკაშჩიკათ“** – ა) *ლადინსკის ანდერძის* შესახებ იხ. წერილები №144, 149, 187, 188; ბ) *დუშეპრიკაშჩიკი* (Душеприказчик): ანდერძის აღმსრულებელი.

[3] (გვ. 221) **„კნ. არჩილმა ჩამომისწრო“** – *კნ[ია ზი] არჩილი: არჩილ დადიანი,* სამეგრელოს სამთავრო სახლის სახლთუხუცესი 1860-იანი წწ.

[4] (გვ. 221) **„ვასილიევი ქუთაისს არ დამხვდა“** – *ვასილიევი:* ქუთაისის საგუბერნიო არქიტექტორი. იხ. აქვე, გვ. 351-352.

[5] (გვ. 222) **„ბარონი“** – იგულისხმება *ალ. ნიკოლაი.*

[6] (გვ. 222) **„4-ის იანვრის მოცდა ყოვლად უანგარიშო იქნებაო“** – 1867 წ. *4 იანვარს* ნიკოლოზ (ნიკო) დადიანი სრულწლოვანი (ოცი წლისა) ხდებოდა და ამის შემდეგ სამეგრელოს სამთავროს მართვას უნდა შესდგომოდა (საკითხის შესახებ იხ. აქვე, გვ. 438.

[7] (გვ. 222) **„ნიკო თვითან მივიდეს...“** – *ნიკო:* იგულისხმება *ნიკოლოზ (ნიკო) დადიანი,* რომელიც ამ დროს ფორმალურად ჯერ კიდევ სამეგრელოს მთავარია.

[8] (გვ. 222) **„მანდეთკენ გამობრუნებას ზამთრისათვის აღარა დაუშლისრაო“** – *მანდეთკენ:* როცა წინამდებარე წერილი იწერებოდა, ნიკო დადიანი დედასა და და-ძმასთან ერთად საზღვარგარეთ (კერძოდ, ჰამბურგში) იმყოფებოდა (იხ. წერილი №131).

[9] (გვ. 222) **„მმართებლობის პირი და ამასთან ძმა იმათიო“** – ა) *მმართებლობის პირი:* ბარონი ალ. ნიკოლაი ამ დროს კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსია; ბ) *ძმა იმათი:* ალ. ნიკოლაი იყო ეკატერინე დადიანის სიძე (დის, სოფიო ჭავჭავაძის, მეუღლე).

[10] (გვ. 223) **„კენჭის საქმე ყოვლითურთ კანონიერს წესზედ დააყენონ“** – *კენჭი:* უნდა იგულისხმებოდეს უმაღლესად დამტკიცებული წესდების საფუძველზე თბილისის მმართველობის ხმოსანთა საარჩევნო კენჭისყრა, რომელიც 1866 წ. 1 დეკემბერს ჩატარდა (იხ. დროება 1866).

[11] (გვ. 223) **„ვაპირებ ოცი ათასი მანათის მორთმევას სერიებით“** – *სერიის* შესახებ იხ. აქვე, გვ. 434.

[12] (გვ. 223) **„ბატონს ნიკოს, ანდრიას და სალომეს...“** – ეკატერინე დადიანის შვილები (იხ. აქვე, გვ. 330).

## 136. კონსტანტინე ორლოვსკისადმი
(გვ. 223)

**ხელნაწერი:** სეა. ფონდი 214. აღწ. I. საქ. №3366. ფ. 93. ავტოგრაფი. ასლი. რუსულ ენაზე. **თარიღი:** 1866 წ. 30 ივნისი. ხელმოუწერელი.

ტექსტი დაწერილია თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის უგერბო ქაღალდზე და უზის ნომერი (№123).

საკითხი ეხება თავადაზნაურობის კაპიტალის შედგენას საზოგადოებრივი ბანკის დაარსების მიზნით (ვრცლად იხ. წერილი №102).

ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 349-350.

[1] (გვ. 223) **„1864 წ. 27 ოქტომბრის №209 მიმართვაშია აღნიშნული“** – *№209 მიმართვა* ჩვენთვის ხელმისაწვდომ მასალებში არ აღმოჩნდა.

## 137. იული ვიტესადმი
(გვ. 224-225)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №725. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1866 წ. 8 ივლისი. ქვიშხეთი. ხელმოუწერელი.

საბუთს თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია (რუსულ ენაზე): „კავ[კასიის] ს[ოფლის] მეურ[ნეობის] საზო[გადოების] პრეზიდენტს“.

ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 409-410.

[1] (გვ. 224) **„საზოგადოების“** – იგულისხმება *„კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოება“* (იხ. აქვე, გვ. 443).

[2] (გვ. 244) **„ცქვრინის განაყოფიერებული ქვირითი ჩამოტანილიც იქნებოდა...“** – საკითხის შესახებ იხ. წერილი №128.

[3] (გვ. 224) **„ველოდები ბ-ნ ვართანოვს აგვისტოს დამდეგისთვის“** – დაცულია ალ. ვართანოვის 1866 წ. 18 აგვისტოს წერილი (თბილისიდან ქვიშხეთში). წერილის ავტორი ადრესატს ატყობინებს, რომ მისი მივლინების საქმეს ბიუროკრატიული ბარიერები ეღობება, არ აძლევენ მგზავრობის ფულს და დასძენს: ორი კვირაა, პასუხს ველოდები და პასუხი კი არ ჩანსო (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1352. ფ. 1).

## 138. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 225-226)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1859. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1866 წ. 18 ივლისი. ქვიშხეთი. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

ხელნაწერი ძლიერ დაზიანებულია, ქაღალდი გახუნებულია, აქა-იქ ამოგლეჯილია. შესაბამისად, ცალკეული სიტყვებისა და რამდენიმე ფრაზის წაკითხვა ვერ მოხერხდა. ამასთანავე, ტექსტი თხელ ქაღალდზეა ნაწერი და მელანი ერთი გვერდიდან მეორეზეა გადასული, რაც ართულებს ნაწერის წაკითხვას.

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 225) **„თუ მანდაურმა ომიანობამ არ დააბრკოლა“** – უნდა ვიფიქროთ, *მანდაურ ომში* იგულისხმება ავსტრია-პრუსიის 1866 წ. ომი, რომელიც დიდად მნიშვნელოვანი ეტაპი იყო გერმანიის გაერთიანებისათვის ბრძოლაში.

[2] (გვ. 225) **„ჩვენი ფრანცუზი“** – ? (სავარაუდოდ, დადიანების სამთავრო ტყეების იჯარადარი იგულისხმება).

[3] (გვ. 225) **„ძვირფასს ლაფიტს...“** – *ლაფიტი:* ფრანგული წითელი ღვინო ბორდოს ტიპისა (ხელნაწერი, როგორც ზემოთ ითქვა, დაზიანებულია და არ იკითხება, თუ ვინ არის ის *„ფრანცუჟენკა“*, რომლის მანერებსა და ტაქტს დიმ. ყიფიანი იწუნებს).

[4] (გვ. 226) **„ბატონს ნიკოს, ანდრიას და სალომეს...“** – ეკატერინე დადიანის შვილები (იხ. აქვე, გვ. 330).

[5] (გვ. 226) **„ნათლია-ბატონს კნეინა მანანას, და ჩემს ქალბატონს კნეინა ანასტასიას ხელს კოცნას მოვახსენებ“** – ა) *მანანა... ანასტასია:* იგულისხმებიან *მანანა ორბელიანი* და მისი ქალიშვილი *ანასტასია (ტასო) ორბელიან-გაგარინა,* რომლებიც 1866 წ. ზაფხულში საზღვარგარეთ (სავარაუდოდ პარიზში) იმყოფებოდნენ (ორბელიანი 2018: 97, 323). უნდა ვიფიქროთ, შემდეგ ისინი გერმანიაში ეკატერინე დადიანს ესტუმრნენ [1866 წლის მაისის პირველი რიცხვებიდან იმავე წლის შემოდგომის ჩათვლით (ყოველ შემთხვევაში, შუა სექტემბრამდე მაინც) ეკატერინე დადიანი ჰამბურგში ცხოვრობდა (იხ. მისი ჰამბურგიდან გამოგზავნილი წერილები დიმ. ყიფიანისადმი (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №№1232-1237)]; ბ) რა სახის *ნათლია* იყო მანანა ორბელიანი დიმ. ყიფიანისა (მისი რომელიმე შვილისა?), ეს ჩვენ ვერ გამოვარკვიეთ (მანანა ორბელიანისა და დიმ. ყიფიანთან მისი ურთიერთობის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ.: ჯოლოგუა 2022ბ: 136-144; საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: 303-304).

## 139. ელიზბარ ერისთავისადმი
(გვ. 226)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №621. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1866 წ. 9/21 ივლისი. ხელმოუწერელი.

მიმართვაში ადრესატის სახელი და გვარი მითითებული არ არის, თუმცა ამ დროს (1850-1860-იან წწ.) გორის მაზრის უფროსი არის

***ელიზბარ შანშეს ძე*** (ზოგიერთ რუსულ წყაროში ***Елизбар Павлович***) ***ერისთავი*** (იხ. შესაბამისი წლების „კავკაზსკი კალენდარ“).

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ. ყიფიანი 2023: 449-450.

[1] (გვ. 226) **„იქნება დღიური სახნავ-სათესი მიწა“** – ოდენობა *დღიურისა* (მიწის საზომი ერთეულისა) არ არის მითითებული (ტექსტი შავია. ე. ერისთავისთვის გაგაზავნილ დედანში *დღიურის* ოდენობა მითითებული იქნებოდა).

[2] (გვ. 226) **„დროულად წარვუდგინო მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლს“** – [გორის] *მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი* ამ დროს არის ძმა ელიზბარ ერისთავისა, *ალექსანდრე შანშეს ძე ერისთავი* (იხ. შესაბამისი წლების „კავკაზსკი კალენდარ“).

## 140. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 227)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1858. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1866 წ. 25 ივლისი. ქვიშხეთი. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

ხელნაწერი ბოლონაკლულია. იგი ძლიერ დაზიანებულია. მთელი რიგი სიტყვებისა და ფრაზებისა არ იკითხება.

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 227) **„ომიანობა მეტად აგვიანებს ფოჩტას“** – ამ დროს ეკატერინე ცხოვრობდა ჰამბურგში (იხ. აქვე, გვ. 218). იმ დროს კი ევროპაში ავსტრია-პრუსიის 1866 წ. ომი მიმდინარეობდა.

[2] (გვ. 227) **„ინჟენერს ნიკურს და ვერჟეს რომ მთავრისათვის წიგნი მოუწერიათ“** – ა) *ნიკური და ვერჟე:* სავარაუდოდ, პირები, რომ-

ლებსაც დადიანების სამთავრო ტყეების იჯარადრობა სურდათ; ბ) *მთავარი:* ნიკოლოზ (ნიკო) დადიანი (1867 წლიდან – დადიან-მინგრელსკი). დაცულია ეკატერინე დადიანის მიერ დიმ. ყიფიანისადმი 1866 წ. 14 ივნისს ჰამბურგიდან გამოგზავნილი წერილი (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1234. ფ. 1), რომელშიც ვკითხულობთ: „გუშინ ამ ფრანცუზების (ვინაობა არ არის მითითებული – თ. ჯ.) წიგნი მოუვიდა ჩემს ნიკოს [ნიკ. ყიფიანს – თ.ჯ.], რომლის პერევოდს (თარგმანს – თ. ჯ.) გიგზავნით. მე ჩემის ფიქრით მგონია, ჩვენი საქმე არ იყოს და არც შეგვიძლიან ჩვენ ოცის წლით მიცემა. მაინც გიგზავნით, რომ წაიკითხოთ და თქვენი აზრი შემომითვალოთ“.

[3] (გვ. 227) **„იმ ფრანცუზის გამოგდებაც მალე მომიხდეს“** – *ფრანცუზი:* სავარაუდოდ, დადიანების სამთავრო ტყეების იჯარადარი.

[4] (გვ. 227) **„მეორე არჩილ ეს გაგვიჩნდა“** – *არჩილი:* უნდა იგულისხმებოდეს *არჩილ დადიანი,* რომელიც ამ დროს რამდენიმე თვის დანიშნული იყო ეკატერინე დადიანის სახლთუხუცესად და, კონტექსტის მიხედვით, უნდა ვიფიქროთ, მაღალ ხელფასს ითხოვდა [მსგავსი პრეტენზია მას ადრეც ჰქონია (იხ. აქვე, გვ. 348)].

[5] (გვ. 227) **„ბარონს რომ შარშანწინ დიდი ზაპისკა მივეცი ... მაგრამ რა პასუხი? ყოვლად უმართლო და უსაფუძვლო“** – ა) *ბარონი:* იგულისხმება *ალექსანდრე ნიკოლაი;* ბ) *ზაპისკის* შესახებ იხ. აქვე, გვ. 382.

## 141. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 228-229)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1857. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1866 წ. 28 ივლისი-1 აგვისტო. ქვიშხეთი. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 228) **„არხიტექტორმა გამომიარა და თქვენი სასახლის ამბავი მიამბო“** – ა) *არქიტექტორი:* იგულისხმება *ვასილ ვასილიევი,* ქუთაისის საგუბერნიო არქიტექტორი; ბ) *სასახლე:* იგულისხმება დადიანების *ზუგდიდის სასახლე,* რომელიც 1864 წ. მარტში დაიწვა (იხ. წერილი №69).

[2] (გვ. 228) **„თითქმის აქაც“** – ქვიშხეთი იგულისხმება.

[3] (გვ. 228) **„ცარსკი სელოში შეიძლება პირის პირ ნახვა და მოხსენება, როგორ ინებებს“** – იგულისხმება *პირისპირ ნახვა* იმპერატორ ალექსანდრე მეორისა, ხოლო *მოხსენება* უნდა შეხებოდა იმას, თუ როგორ წარიმართებოდა ნიკოლოზ (ნიკო) დადიანისა და მისი სამთავროს ბედი მას შემდეგ, რაც სამეგრელოს მცირეწლოვან მთავარს 1867 წლის 4 იანვარს სამთავროს დამოუკიდებლად მართვისთვის აუცილებელი ასაკი (20 წელი) შეუსრულდებოდა (იხ. აქვე, გვ. 438).

[4] (გვ. 228-229) **„ჩემს დიდს შარშანწინდელს ზაპისკაზედ...“** – *ზაპისკის* შესახებ იხ. აქვე, გვ. 382.

[5] (გვ. 229) **„ნამესტნიკმა კენჭისათვის 1 დეკემბერი დანიშნა ვადათ“** – *კენჭი:* უნდა იგულისხმებოდეს თბილისის მმართველობის ხმოსანთა საარჩევნო კენჭისყრა, რომელიც 1866 წ. 1 დეკემბერს ჩატარდა (იხ. დროება 1866).

## 142. ნიკოლოზ გულკევიჩისადმი
(გვ. 229)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1099. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1866 წ. 4 აგვისტო. ხელმოუწერელი.

ეს არის მოკლე ვერსია ნ. გულკევიჩისადმი გაგზავნილი პასუხისა. იგი დიმ. ყიფიანს მიწერილი აქვს გულკევიჩის მიერ პეტერბურგიდან გამოგზავნილ 1866 წ. 14 ივლისის წერილზე. ნ. გულკევიჩი დიმ. ყიფიანს სთხოვს, შეახსენოს კონსტანტინე დადიანს, რომ მას

გადასახდელი აქვს ფრებელიუსის ვალი (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1099. დედანი. რუსულ ენაზე. ფ. 2).

წერილის ადრესატია ***ნიკოლოზ ვასილის ძე გულკევიჩი*** (1817-1876), საიდუმლო მრჩეველი (Тайный советник), სახელმწიფო მდივანი (Статс-секретарь). 1850-1870-იან წწ. საიმპერატორო კანცელარიაში მსახურობდა საქმეთა მმართველად, აგრეთვე, განაგებდა კავკასიისა და ციმბირის კომიტეტებს.

## 143. ქვიშხეთის მამასახლისისა და მოსამართლეებისადმი
(გვ. 229-230)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №595. ავტოგრაფი. ასლი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1866 წ. 24 აგვისტო. ქვიშხეთი. **ხელმოწერა:** დიმ. ყიფიანი.

ტექსტს თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია: „ამის პასუხად 24 აუგვისტოს 1866 მივეცი ეს წერილი“.

იქვეა (საქ. №595, ფ. 1r) ქვიშხეთის მამასახლისისა და მოსამართლეების 1866 წ. 13 ივლისის წერილი, რომლის პასუხიცაა დიმ. ყიფიანის წინამდებარე ტექსტი (მოგვყავს სრულად):

„მის აღმატებულებას, გორის უეზდის მებატონეს,
უფალს დეისტვიტელნი სტატსკის სოვეტნიკს,
**დიმიტრი იოვანეს ძეს ყიფიანს. –**
ქვიშხეთის სოფლის სუდიებისაგან და მამასახლისისაგან

თ ხ ო ვ ნ ა

საჭიროება ითხოვს ქვიშხეთის სოფლის სასამართლოსათვის დაიდგას კანცელარია და ნაობახტი, რომლისათვისაც ადგილი არა გვაქვს და არც ხე-ტყე ნაობახტისათვის; ამისთვის უმორ-

ჩილესათ ვთხოვთ თქვენს აღმატებულებას გვათხოვოთ ამ საჭიროებისთვის სამოსახლო ადგილი, სადაც თითონ თქვენ დაინახოთ სამჯობინაროთ, და ნებაც გვიბოძოთ, ნაობახტისათვის რაც დაგვჭირდეს ხე-ტყე, მოვჭრათ თქვენს მამულში, რომელზედაც ვდებთ პირობას, როდისაც მოითხოვოთ თქვენი ადგილი, ვალდებული ვიქმნებით ყოვლის უმიზეზოთ გადვიტანოთ შენობა და თქვენი მამული უკანვე ჩაგაბაროთ. –

**მიქელა სილაძე**
**პავლე გიგიტაშვილი**
და მამასახლისი **გიორგი ქურდაძე.**
რათგანაც ამათ წერა არ იცოდენ,
ამითი თხოვნით ხელს ვაწერ
**თადეოზ რატიევი.**

13 ივლისს 1866 წელსა.
ს. ქვიშხეთს".

## 144. გრიგოლ აპოსტოლოვისადმი
(გვ. 231)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №929. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. უთარიღო. ხელმოუწერელი.

ეს არის დიმ. ყიფიანის მინაწერი (პასუხის მოკლე ვერსია) *გრიგოლ დიმიტრის ძე აპოსტოლოვის* წერილის დედანზე, რომელიც ქერჩიდან *1866 წ. 8 აგვისტოს* არის გამოგზავნილი (წერილს ***ვათარიღებთ*** ამ მონაცემზე დაყრდნობით).

1865 წ. 26 ნოემბერს ფეოდოსიის მაზრის სოფ. პეტროვკაში გარდაიცვალა დიმ. ყიფიანის დიდი ხნის მეგობარი, სამსახურიდან გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი *პეტრე ანტონის ძე ლადინსკი*

(მასზე და დიმ. ყიფიანთან მისი ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 329-330). პ. ლადინსკიმ სიკვდილის წინ თავისი ანდერძის აღმსრულებლად ოთხ პირს შორის დიმ. ყიფიანიც დაასახელა (იხ. წერილი №135). დაცულია მიმოწერა ანდერძის აღმსრულებლებს (დიმ. ყიფიანი, გრ. აპოსტოლოვი, ივ. პოზერნი, ნიკ. ანტონოვიჩი) შორის და სხვა დოკუმენტური მასალა (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №№928-932, 1393, 1929).

გრ. აპოსტოლოვი თავის ზემოხსენებულ 1866 წ. 8 აგვისტოს წერილში დიმ. ყიფიანს ატყობინებს, რომ მან და ნიკ. ანტონოვიჩმა ფეოდოსიაში გაყიდეს პ. ლადინსკის ნივთები (მათ შორის, კარეტა) და გაისტუმრეს ლადინსკის ვალები. ამასთანავე, უგზავნის ანდერძის ასლს (ასლი ანდერძისა იხ. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1929. ფ. 3-16).

[1] (გვ. 231) **„აქვე ვურთავ პ. ა-ს ატესტატს“** – ა) *პ. ა.:* პეტრე ლადინსკის ინიციალებია; ბ) *ატესტატი:* აქ *ნამსახურობის სიას* უნდა ნიშნავდეს.

## 145. ნიკოლოზ დადიან-მინგრელსკისადმი
(გვ. 231)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1864. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1866 წ. 4 ოქტომბერი. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

წერილის ადრესატია ***ნიკოლოზ (ნიკო) დავითის ძე დადიანი*** (1867 წლიდან – დადიან-მინგრელსკი), სამეგრელოს მთავარი 1853 წლიდან 1867 წლის 4 იანვრამდე, როცა სრულწლოვანებას (20 წელს) მიღწეულმა სამთავრო უშუალო მართვა-გამგებლობაში გადასცა რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ს (ტექსტი იხ. ყიფიანი 2017: 262-263). დიმ. ყიფიანი იყო ნ. დადიანის მამულებისა და ქონების *მეურვე* 1859 წ. 13 აპრილიდან 1867 წ. 4 იანვრამდე, ხოლო 1867 წ. 4 იანვრიდან 1868 წ. 1 აგვისტომდე – მისი მამულებისა და ქონე-

ბის *მმართველი* და ვექილი (ყიფიანი 2020: 12). მოგვიანებით ეკატერინე და ნიკო დადიანებს გაუჩნდათ პრეტენზიები დიმ. ყიფიანთან მის მიერ წარდგენილ ანგარიშებთან დაკავშირებით, ეს ამბავი სასამართლო პროცესებით გაგრძელდა და 1880-იან წწ. დიმ. ყიფიანსა და ნ. დადიან-მინგრელსკის შორის მორიგებით დასრულდა (საკითხის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ. ყიფიანი 2021: 313-314). ნ. დადიან-მინგრელსკი გარდაიცვალა პეტერბურგში, დაკრძალულია მარტვილის ტაძარში (ნ. დადიან-მინგრელსკის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ. საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: 295-296; მის და მისი შთამომავლობის შესახებ იხ. კიკნაძე 2020: 25-53).

[1] (გვ. 231) **„ძმა მყავს ისე ავათ...“** – იგულისხმება *ქაიხოსრო ყიფიანი,* რომელიც წინამდებარე წერილის დაწერიდან რამდენიმე დღეში გარდაიცვალა (იხ. წერილი №147).

[2] (გვ. 231) **„ბარონს ველიკი კნიაზთან მოუწერია ჩემი დათხოვნა“** – ა) *ბარონი:* ალ. ნიკოლაი; ბ) *ველიკი კნიაზი* [დიდი მთავარი]: კავკასიის მეფისნაცვალი *მიხეილ ნიკოლოზის ძე;* გ) *დათხოვნა:* ამ წერილის დაწერიდან სამ თვეში (1867 წ. 4 იანვარს) ნიკოლოზ (ნიკო) დადიანი სრულწლოვანი ხდებოდა და, შესაბამისად, დიმ. ყიფიანის მეურვეობის ვადაც იწურებოდა. შესაძლოა, აქ სწორედ ამ *დათხოვნაზე* იყოს საუბარი.

## 146. თბილისის სამაზრო ხაზინისადმი
(გვ. 232)

**ხელნაწერი:** სეა. ფონდი 214. აღწ. I. საქ. №3366. ფ. 98. ავტოგრაფი. დედანი. რუსულ ენაზე. **თარიღი:** 1866 წ. 18 ოქტომბერი. თბილისი. **ხელმოწერა:** Д. Кипиани.

მიმართვა დაწერილია თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის გერბიან ქაღალდზე და უზის ნომერი (№169).

[1] (გვ. 232) **„სათავადაზნაურო კაპიტალის სასარგებლოდ...“** – *სათავადაზნაურო კაპიტალის* შესახებ იხ. წერილი №102.

## 147. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 232-233)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1865. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1866 წ. 19 ოქტომბერი. ტფილისი. ხელმოუწერელი.

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 232) **„საყვარელი ძმა დავმარხე“** – იგულისხმება *ქაიხოსრო ყიფიანი*, უფროსი ძმა დიმ. ყიფიანისა (ქ. ყიფიანის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 361-362).

[2] (გვ. 232) **„მომივიდა რაზრეშენიე მანდ წამოსვლისა“** – იგულისხმება *ნებართვა* (Разрешение) დიმ. ყიფიანის გამგზავრებისა პეტერბურგში, სადაც ნიკო დადიანის სრულწლოვანებასთან დაკავშირებით მისი და სამეგრელოს სამთავროს ბედი უნდა გადაწყვეტილიყო.

[3] (გვ. 233) **„სასახლისას რას ბძანებთ“** – იგულისხმება დადიანების ზუგდიდის სასახლე, რომელიც 1864 წ. მარტში დაიწვა (იხ. წერილი №69).

[4] (გვ. 233) **„იაგორამ წამოსვლისა ცივი უარი შემოგვითვალა“** – *იაგორა:* მოსამსახურე, რომლის სამეგრელოდან პეტერბურგში გაგზავნასაც ეკატერინე დადიანი დიმ. ყიფიანისგან ითხოვდა (იხ. აქვე, გვ. 405).

## 148. პავლე გაგარინისადმი
(გვ. 233-237)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №461. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 26-28. **თარიღი:** 1866 წ. 27 ნოემბერი. ხელმოუწერელი.

ტექსტი ამოღებული გვაქვს საქმიდან „Процесс с князем Николаем Мингрельским на 50 т[ысяч] р[ублей] с % с 4 января 1867" [„პროცესი თავად ნიკოლოზ მინგრელსკისთან 50 ათასი მანეთის შესახებ პროცენტებით 1867 წ. 4 იანვრიდან"]. აქ ნახსენები *პროცესისა* და მასთან დაკავშირებული გარემოებების შესახებ იხ. ყიფიანი 2021: 34-57.

საბუთს თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია (რუსულ ენაზე): „წარედგინა პირადად პ. პ. გაგარინს 1866 წ. 27 ნოემბერს", რაც იმაზე მეტყველებს, რომ დიმ. ყიფიანი, როგორც ნიკო დადიანის ადგილ-მამულისა და ქონების მეურვე, ამ დროს პეტერბურგშია [იქიდან საქართველოში 1867 წ. მარტში დაბრუნდა (იხ. ყიფიანი 2020: 122)].

წერილის ადრესატია ***პავლე პავლეს ძე გაგარინი*** (1789-1872), თვალსაჩინო ფიგურა XIX ს. რუსეთის მმართველობით სისტემაში, იმპერიის მინისტრთა კაბინეტისა (1864-1872) და კავკასიის საქმეთა კომიტეტის (1865-1872) თავმჯდომარე, ნამდვილი საიდუმლო მრჩეველი (Действительный тайный советник), 1860-იანი წწ. სასამართლო რეფორმის (სასამართლო სისტემის ლიბერალიზაციის) აქტიური მომხრე და მონაწილე.

[1] (გვ. 233) **„ოღონდ კი ხელმწიფე იმპერატორის საწადელი აღსრულდეს"** – დიმ. ყიფიანს მხედველობაში აქვს სამეგრელოს სამთავროს რუსეთის პირდაპირ და უშუალო მართვა-გამგეობაში გადაცემა, რაც აღსრულდა კიდევაც (იხ. აქვე, გვ. 438).

[2] (გვ. 233) **„უფლებები სახელმწიფოებრივი აქტით არის განმტკიცებული"** – იგულისხმება სამეგრელოს (ოდიშის) მთავარ გრიგოლ

*კაციას ძე დადიანის* მიერ 1803 წ. შემუშავებული და 1804 წ. იმპერატორ ალექსანდრე I-ის მიერ დამტკიცებული მფარველობითი ხელშეკრულება, რომლითაც ოდიშის სამთავრო რუსეთის იმპერიაში შეზღუდული ავტონომიის უფლებით შევიდა.

[3] (გვ. 235) **„გამოსაღებისა და ბეგრის...“** – დედანში: „...податей и повинностей“.

[4] (გვ. 235) **„საერობო მოსაკრებელი“** – დედანში: „...земский сбор“.

## 149. გრიგოლ აპოსტოლოვისადმი
(გვ. 237)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №928. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. უთარიღო. ხელმოუწერელი.

ეს არის დიმ. ყიფიანის მინაწერი (პასუხის მოკლე ვერსია) *გრიგოლ დიმიტრის ძე აპოსტოლოვის* მიერ 1866 წ. 12 ივნისს ქერჩიდან გამოგზავნილ წერილზე. ამ უკანასკნელი წერილით გრ. აპოსტოლოვი დიმ. ყიფიანს ატყობინებს: ქერჩში თქვენი ყოფნისას გთხოვეთ (ქერჩში დიმ. ყიფიანის ყოფნის შესახებ იხ. წერილი №135), რომ თბილისში დაბრუნების შემდეგ მოგენახათ მდიდარი ადამიანი, რომელიც შეიძენდა პეტრე ლადინსკის ორდენებსა (მათ შორის, სპარსეთის ლომისა და მზის ორდენს) და ავეჯს. გთხოვთ, ეს ორდენები ნიჟნი-ნოვგოროდში გაუგზავნოთ ივან კარლის ძე პოზერნს, რათა ისინი ნოვგოროდის ბაზრობაზე (ярмарка) გაყიდოს. იქნებ თბილისში გეგულებოდეთ მდიდარი ადამიანი, რომელიც ლადინსკის ფეოდოსიის სახლს იყიდისო (საკითხის შესახებ იხ. აქვე, გვ. 457-458).

ტექსტს ***ვათარიღებთ*** (1866 წ. ნოემბერი) მისივე მონაცემის მიხედვით („1866-ის 7 ნოემბერს წერილი და ნივთები გადავეცი...“).

ტექსტში ნახსენები პირები არიან: ა) ***ზურაბ დავითის ძე ასლამაზოვი*** – კოლეგიის მრჩეველი (Коллежский советник), თავადაზნაურობის თბილისის დეპუტატთა საკრებულოს მდივანი; ბ) ***მამუ-***

***კა (მაკარ) თამაზის (თომას) ძე*** (დედანში: *М. Ф[омич])* ***ორბელიანი*** (მ. ორბელიანის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ.: ავალიანი 1967: 91-94; ბერძნიშვილი 1983: 153-154; საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: 304-306).

## 150. პავლე გაგარინისადმი
(გვ. 237-238)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №441. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1866 წ. 28 დეკემბერი. **ხელმოწერა:** Д. Кипиани.

ტექსტს თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია (რუსულ ენაზე): „მის ბრწყინვალებას, პავლე პავლეს ძე გაგარინს" და დართული აქვს ტექსტში ნახსენები *ორი შენიშვნა* (Две заметки: „О княгине Е. А. Дадиани" [„მთავრის მეუღლე ე. ა. დადიანის შესახებ"] და „О князе Николае Дадиани" [„თავად ნიკოლოზ დადიანის შესახებ"]). ისინი შენიშვნებითა და კომენტარებით გამოქვეყნებულია წინამდებარე გამოცემის VI ტომში (ყიფიანი 2021: 128-131, 371-374) და ამიტომ აქ არ ვიმეორებთ.

ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 461.

## 1867

## 151. ნიკოლოზ დადიან-მინგრელსკისადმი
(გვ. 238-239)

**ხელნაწერი**: ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №755. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1867 წ. 14 იანვარი. ხელმოუწერელი.

ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 458-459.

[1] (გვ. 238) **„მზად ვარ ჩემი ამ დანაპირების შესასრულებლად“** – მას შემდეგ, რაც 1867 წ. 4 იანვარს ნიკოლოზ (ნიკო) დადიანი სრულწლოვანი გახდა და სამეგრელოს სამთავრო ალექსანდრე II-ს უშუალო მართვა-გამგეობაში გადასცა, დიმ. ყიფიანს ამოეწურა მეურვეობის ვადა და ამის შემდეგ, 1867 წ. 4 იანვრიდან 1868 წ. 1 აგვისტომდე, იგი ნ. დადიანის (უკვე დადიან-მინგრელსკის) მამულებისა და ქონების მმართველი და ვექილი იყო (იხ. აქვე, გვ. 458-459).

[2] (გვ. 238) **„გადმოგცეთ მინდობილობის პროექტი“** – პროექტი მინდობილობისა საქმეში არ დევს.

## 152. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 239)

**ხელნაწერი:** ქლსმ. №14753-ხ. ავტოგრაფი. ასლი. ქართულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1867 წ. 23 იანვარი. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 239) **„მამულის განმგეობა რომ მე ვიკისრო ... ამაზედ ყოველივე ზრუნვა უნდა დაუტევოთ“** – მოგვიანებით დიმ. ყიფიანი მაინც დათანხმდა ნ. დადიან-მინგრელსკის *მამულის* მართვა-გამგეობას (იხ. წერილი №166; საკითხის შესახებ იხ. ყიფიანი 2020: 15-21).

## 153. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 239-241)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1869. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1867 წ. 3 აპრილი. ტფილისი. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 239-240) **„პეტერბურღიდამ 23 დღე ვიარე მრავალნაირის გაჭირვებით"** – *მრავალნაირის გაჭირვებით* მგზავრობა პეტერბურგიდან სამშობლომდე (კერძოდ, გზის მონაკვეთი მდ. დონიდან დუშეთამდე) დიმ. ყიფიანს აღწერილი აქვს თავის 1867 წ. დღიურში (იხ. ყიფიანი 2020: 119-122).

[2] (გვ. 240) **„ანგარიშის გასასწორებელი კნიღები"** – *კნიღა* (Книга): *წიგნი* (აქ: ანგარიშგების დავთარი).

[3] (გვ. 240) **„ბარონმაც და თვით ველიკი კნიაზმაც თქვენის მოსვლისა მიბრძანეს"** – ა) *ბარონი:* ალ. ნიკოლაი; ბ) *ველიკი კნიაზი* [დიდი მთავარი]: კავკასიის მეფისნაცვალი (1862-1881) *მიხეილ ნიკოლოზის ძე;* გ) *თქვენის მოსვლისა:* იგულისხმება ეკატერინე დადიანისთვის უფლების მიცემა, პეტერბურგიდან სამეგრელოში დაბრუნებულიყო.

[4] (გვ. 240) **„ზღვის პირის საქმე ბარონმა ამით გააადვილა"** – *ზღვის პირის საქმის* შესახებ იხ. წერილი №156.

[5] (გვ. 240) **„მენგრელიის კნიაზმა"** – *ნიკოლოზ დადიან-მინგრელსკი* იგულისხმება.

[6] (გვ. 240) **„დღეს სამი პაკეტი მომივიდა..."** – *სამ პაკეტზე* (კონვერტებზე) იხ. წერილი №157.

[7] (გვ. 240) **„მე ატჩოტს უნდა მივჰყო ხელი"** – *ატჩოტი* (Отчёт): ანგარიში, ანგარიშგება (დიმ. ყიფიანის მიერ ეკატერინე და ნიკო დადიანებისთვის სხვადასხვა წლებსა თუ საბოლოოდ წარდგენილი ანგარიშების შესახებ იხ. მისი: „სამეგრელოს მთავრის სახლი და დიმიტრი ყიფიანი" (ყიფიანი 2020: 11-33), „სიტყვა თქმული 1871 წლის 9 აპრილს თბილისის საოლქო სასამართლოში ნიკოლოზ დადიან-მინგრელსკის სარჩელთან დაკავშირებით" (ყიფიანი 2021: 34-57), აგრეთვე, ამ უკანასკნელზე დართული შენიშვნები და კომენტარები.

[8] (გვ. 240) **„აპეკას როგორ აუკლიხართ და როგორ დაურბევიხართ"** – როგორც ზემოთ ითქვა (გვ. 459), ეკატერინე და ნიკო და-

დიანებს პრეტენზიები ჰქონდათ დიმ. ყიფიანის, როგორც *აპეკუნის* (მეურვის), მიერ წარდგენილ ანგარიშებთან დაკავშირებით და ეს პრეტენზიები სასამართლო დავების საგნად იქცა.

[9] (გვ. 241) **„ოტიას მეოხებით იქნება, ჩერბაჩ-ოღლუსი თუ სხვა ვისიმე მეოხებით“** – *ოტიასა* და *ჩერბაჩ-ოღლუს* ვინაობა ვერ გამოვარკვიეთ.

[10] (გვ. 241) **„თქვენს შვილებს“** – ეკატერინე დადიანის *შვილების* შესახებ იხ. აქვე, გვ. 330.

## 154. ივანე ანდრონიკაშვილისადმი
(გვ. 241-242)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №674. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1867 წ. 7 აპრილი. ტფილისი. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

ადრესატის, გენერალ-ლეიტენანტ *ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილის* (1798-1868), შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 352-353.

[1] (გვ. 241) **„პეტერბურღში მცოდნე კაცებთან მქონდა ლაპარაკი ჩვენის ბანკის საქმეზედ“** – თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის წესდების შედგენაში დიმ. ყიფიანს დაეხმარნენ პეტერბურგელი ფინანსისტები ი. ჟუკოვსკი და ნ. ვოდოვი (საკითხის შესახებ იხ.: ჯორჯაძე 1989: 497-500; ხუნდაძე 1936: 163; თელია 1989: 26-28; ასათიანი 1994: 83-87; უთურაშვილი 1989: 104).

[2] (გვ. 242) **„ჩვენს შეკრებილებას მოჰხსენდეს, რომელიც ამ აპრილის 24-ს უნდა გაიხსნას“** – თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის ყრილობა *(„შეკრებილება“),* რომელმაც ბანკის წესდების შესამუშავებლად საგანგებო („განსაკუთრებითი“) კომიტეტი აირჩია, ჩატარდა 1867 წ. 4-8 მაისს. „კომიტეტის“ ერთ-ერთ საპატიო წევრად წინამდებარე წერილის ადრესატი ივ. ანდრონიკაშვილიც აირჩიეს (ყრილობის ანგარიში იხ. დროება 1867[ა]).

## 155. ალექსანდრე ნიკოლაისადმი
(გვ. 243)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №766. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1867 წ. 10 აპრილი. ხელმოუწერელი.

ადრესატისა და დიმ. ყიფიანთან მისი ურთიერთობის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ. ყიფიანი 2023: 365-368.

[1] (გვ. 243) **„წერილს ვწერ თავად ნიკოლოზ დავითის ძესაც“** – აქ ნახსენები წერილი *ნიკოლოზ დავითის ძე* [დადიან-მინგრელსკისადმი] იხ. წერილი №157.

## 156. ალექსანდრე ნიკოლაისადმი
(გვ. 244)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №766. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1867 წ. 10 აპრილი. ხელმოუწერელი.

ადრესატისა და დიმ. ყიფიანთან მისი ურთიერთობის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ. ყიფიანი 2023: 365-368.

[1] (გვ. 244) **„ამ მამულიდან ... გამოკლებულია ზღვის სანაპიროები“** – დაცულია ნ. დადიან-მინგრელსკის 1867 წ. 9 იანვრის წერილი კავკასიის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის – პავლე გაგარინისადმი, გადაწერილი დიმ. ყიფიანის ხელით (რუსულ ენაზე; ვიმოწმებთ შემოკლებულად): „დიდად ვშიშობ, რომ ნათქვამმა, ჩემს დაცულ მამულში არ იყოს შეტანილი ზღვის სანაპიროები, ადგილზე არ გამოიწვიოს გაუგებრობა და ამით არ შეილახოს ჩემი კერძო საკუთრების უფლება. იმისათვის, რომ ჩემს ადგილ-მამულს არ გამოაკლდეს ზღვის სანაპირო ტერიტორია და მდინარეები, რომლებიც

ზღვას ერთვის, გარდა რიონის შესართავისა ფოთში და ხოპისა (ხობისწყლისა – თ. ჯ.) რედუტ-კალესთან, საჭიროა გამოიცეს მკაფიო განმარტება: ზღვის სანაპიროებში იგულისხმება არა ზღვის მიმდებარე სავარგულები (угодья), არამედ საკუთრივ ზღვის სანაპირო ხაზი (линия морских вод), რათა არ მოიშალოს ამ ხაზზე არსებული სახმელეთო მიმოსვლა" (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ. საქ., №446. ფ. 1). საბოლოოდ, ალექსანდრე II-ის განკარგულების საფუძველზე რუსეთის მმართველმა სენატმა ნ. დადიან-მინგრელსკის მაიორატი სწორედ ამ ფორმით დაამტკიცა: „თავადს ნიკოლოზს დარჩეს ადგილ-მამული, რომელიც იმას სამეგრელოში ეკუთვნის ახლანდელის განსაზღვრით, ზღვის კიდეებსა და რუსის მმართებლობისაგან გაკეთებულს პორტებს გარდა" (დროება 1867ბ).

## 157. ნიკოლოზ დადიან-მინგრელსკისადმი
(გვ. 244-247)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №756. ავტოგრაფი. ასლი. რუსულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1867 წ. 8/20 აპრილი. **ხელმოწერა:** Димитрий Кипиани.

ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 458-459.

[1] (გვ. 244) **„კნეინასგან..."** – იგულისხმება *ეკატერინე დადიანი.*

[2] (გვ. 245) **„კონსტანტინეს..."** – იგულისხმება *კონსტანტინე დადიანი.*

[3] (გვ. 245) **„დებულების ოქმების..."** – დედანში: Уставная грамота (1861 წ. 19 თებერვალს მიღებული სპეციალური დებულება, რომელიც ბატონყმობის გაუქმების შემდეგ იმპერიის ფარგლებში დროებით ვალდებულ გლეხებთან დაკავშირებულ სანადელო და საბეგრო პირობებს აწესრიგებდა).

[4] (გვ. 245) **„მმართველმა სენატმა საბოლოოდ უნდა დაგიმტკიცოთ მაიორატი"** – ალექსანდრე II-ის 1867 წ. 4 იანვრის განკარგუ-

ლების საფუძველზე მმართველი სენატის მიერ ნიკოლოზ დადიან-მინგრელსკისთვის მაიორატის დასამტკიცებელი ტექსტი იხ. დრო-ება 1867ბ.

[5] (გვ. 246) **„ბარონ ალექსანდრე პავლეს ძეს...“** – იგულისხმება *ალ. ნიკოლაი.*

[6] (გვ. 247) **„ზღვის სანაპიროებთან დაკავშირებული საქმეების მოწესრიგება“** – საკითხის შესახებ იხ. აქვე, გვ. 467-468.

## 158. დიურანისადმი

(გვ. 247-248)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №717. ავტოგრაფი. შავი. ფრანგულ ენაზე (თარგმნა ც. ბიბილეიშვილმა). ფ. 1. **თარიღი:** 1867 წ. 29 აპრილი. ხელმოუწერელი.

დაცულია დიურანის (Durand) 1866 წ. წერილები დიმ. ყიფია-ნისადმი (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №№1304-1308. ფრანგულ ენაზე. ფ. 9), რომელთაგან ერთ-ერთზე დიმ. ყიფიანის ავტოგრა-ფული მინაწერია (რუსულ ენაზე): „ბ-ნი დიურანი, ინჟინერ-აგ-რონომი, რომელიც თან ჩამოვიყვანე სამეგრელოს ტყეებისა და მინდვრების ექსპლორაციისათვის, ამჟამად იმყოფება ზუგდიდში და თავისი წიგნების გარეშე თავს ისე გრძნობს, თითქოს უხელფე-ხოდ იყოს დარჩენილი. დ. ყიფიანი“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1305).

დიურანის შესახებ იხ. წერილი №165.

## 159. ნიკოლოზ დადიან-მინგრელსკისადმი

(გვ. 248)

**ხელნაწერი**: ხეც. დიმ. ყიფიანის არქივი. საქმე №717. ავტოგრა-ფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. უთარიღო. ხელმოუწერელი.

ტექსტს თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია (რუსულ ენაზე): „თავად მინგრელსკის“.

***ვათარიღებთ*** *(1867 წ. 29 აპრილი)* დიმ. ყიფიანის წერილით დიურანისადმი, რომელიც ამავე რიცხვითაა დათარიღებული და რომელსაც მოსდევს ნ. დადიან-მინგრელსკისადმი დიმ. ყიფიანის წინამდებარე წერილის შავი (ვითვალისწინებთ აგრეთვე თვითონ წერილის მონაცემსაც – „...ჩემ მიერ მისთვის დღეს გაგზავნილ პასუხს“).

ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 458-459.

[1] (გვ. 248) **„უჩემოდ კი საქმის დაწყება შეუძლებელია“** – ამ ფრაზას მოსდევს წერილის ბოლო მონაკვეთი, რომელიც ავტორის მიერ გადახაზულია: „გლეხების გათავისუფლებისთვის შემოდგომაზე გერგებათ დაახლოებით 375 ათასი მანეთი. ამ თანხიდან საგლეხო რეფორმას დასჭირდება ხარჯი – დაახლოებით 20 ათასი. ამის შემდეგ გლეხებს უნდა მისცეთ თავ-თავიანთი ნადელების გამოსყიდვის უფლება, 12 ქცევა ან 4 დესეტინა თითოეულ კომლზე. აქედან მიიღებთ კიდევ დაახლოებით 1 200 000 მანეთს“.

## 160. კონსტანტინე ნიჟარაძისადმი
(გვ. 249)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №717. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. უთარიღო. ხელმოუწერელი.

ტექსტს თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია (რუსულ ენაზე): „თავად ნიჟარაძეს“.

***ვათარიღებთ*** დიურანისადმი დიმ. ყიფიანის *1867 წ. 29 აპრილის* წერილით, რომელსაც იქვე მოსდევს დიმ. ყიფიანის წერილები ნ. დადიან-მინგრელსკისა (იხ. წერილი №159) და კ. ნიჟარაძისადმი.

წერილის ადრესატია ***კონსტანტინე დავითის ძე ნიჟარაძე,*** სამეგრელოს სამთავროს საქმეთა მმართველი (1860-იანი წწ.), ტიტულარუ-

ლი მრჩეველი (Титулярный советник), „ქშწ-კგ საზოგადოების“ წევრი (1879 წლიდან), დიმ. ყიფიანის ბიძაშვილის, ეფემია (ფეფენა) დავითის ას. ყიფიანის მეუღლე. 1863 წ. 22 ივლისს დიმ. ყიფიანი თავის მეუღლეს, ნინო ჭილაშვილ-ყიფიანს, ქვიშხეთიდან თბილისში სწერს: „გუშინწინ მეწვია კონსტ. ნიჟარაძე, ავადმყოფი, იმერული სიცხეებისგან არაქათგამოცლილი. დღეს კი ისეა ღონეზე მოსული, რომ ხარს შეჭამს. 15 რიცხვში ფეფენამ ვაჟიშვილი გაუჩინა“ (ქლსმ. №14861-ხ. ფ. 1).

[1] (გვ. 249) **„...არც ფული უნდა მისცეთ რაიმე სახის საყიდლისთვის“** – მოგვიანებით, 1867 წ. ზაფხულში, დიმ. ყიფიანი ქუთაისში შემთხვევით შეხვდება დიურანს და ურჩევს, გაემგზავროს ნ. დადიან-მინგრელსკისთან და პირადად მას წარუდგინოს თავისი მუშაობის ანგარიში (იხ. წერილი №165).

## 161. კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს სახელმწიფო ქონების დეპარტამენტისადმი
(გვ. 249-250)

**ხელნაწერი**: ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №558. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1867 წ. 23 მაისი. ტფილისი. ხელმოუწერელი.

[1] (გვ. 249) **„ბორჯომის მამულის ... მეათედ ნაწილზე სასამართლო დავა მაქვს ხაზინასთან“** – საკითხის შესახებ იხ. აქვე, გვ. 302.

[2] (გვ. 249) **„საგუბერნიო სტრიაფჩის...“** – *სტრიაფჩი* (Стряпчий): სასამართლო მოხელე [„ვაქილი, მეოხი, მოსაქმე ანუ მოლაპარაკე სხვის მაგიერად სასამართლოში“ (ჩუბინაშვილი 1973: 529)].

[3] (გვ. 250) **„სიტყვასიტყვით გადაწერა .......“** – აქ ადგილი თავისუფალია.

[4] (გვ. 250) **„მთხოვნელი ცხოვრობს ქალაქ ტფილისის მეოთხე ნაწილში“** – ჩვენი მონაცემებით, ამ დროს დიმ. ყიფიანი ჯერ კიდევ კუკიაზე, გენერალ ივ. მარკოზოვის, სახლში ცხოვრობს.

## 162. კონსტანტინე ორლოვსკისადმი
(გვ. 250)

**ხელნაწერი:** სეა. ფონდი 214. აღწ. I. საქ. №3366. ფ. 107. ავტოგ-რაფი. შავი. რუსულ ენაზე. თარიღი: 1867 წ. 29 მაისი. ხელმოუწე-რელი.

მიმართვა დაწერილია თბილისის გუბერნიის წინამძღოლის უგერბო ქაღალდზე და უზის ნომერი (№106). თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია (რუსულ ენაზე): „გუბერნატორს".

ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 349-350.

[1] (გვ. 250) **„განზრახული კომიტეტის მთელი პირადი შემადგენ-ლობა" –** ბანკის წესდების შემმუშავებელი საგანგებო („განსაკუთ-რებითი") კომიტეტის *პირადი შემადგენლობა* (საპატიო პრეზიდენ-ტი გრ. ორბელიანი, თავმჯდომარე დიმ. ყიფიანი, საპატიო წევრები: ივ. ანდრონიკაშვილი, ლ. მელიქიშვილი, მიხ. ლორის-მელიქოვი, გ. მუხრანბატონი, აგრეთვე, მუდმივი („ნიადაგი") წევრები: გ. რ. ერის-თავი, ივ. მუხრანბატონი, რ. ანდრონიკაშვილი და სხვ.) იხ. დროება 1867[ა] (სხვათა შორის, თელავის მაზრიდან ყრილობამ კომიტეტის მუდმივ წევრებად თავადებიდან ილია ჭავჭავაძე, ხოლო აზნაურე-ბიდან დიმიტრი მგალობლიშვილი აირჩია).

## 163. ლევან ჩხეიძისადმი
(გვ. 251)

**ხელნაწერი**: ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №853. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1867 წ. მაისი (რიცხვი არ არის მითითებული). ტფილისი. ხელმოუწერელი.

მიმართვის ადრესატია *ლევან ვახტანგის ძე ჩხეიძე*, შორაპნის მაზრის ხარაგაულის (ხაროგოულის) უბნის უფროსი (1860-იანი წწ.;

იხ. კავკაზსკი კალენდარ 1866: 25), რომელთანაც დიმ. ყიფიანს, წინამდებარე მიმართვის მიხედვით, გარდა საქმიანი ურთიერთობისა, ნათესაური კავშირიც ჰქონია.

[1] (გვ. 251) **„სიმონ ლაზარეს ძე ბლუაშვილი“** – ზედუბნელი გლეხის, *სიმონ ბლუაშვილის,* შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 77-78, 351.

[2] (გვ. 251) **„გორის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლის...“** – იგულისხმება *ალექსანდრე შანშეს ძე ერისთავი,* გორის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი 1844-1880 წწ.

## 164. ნიკოლოზ კოსტილევისადმი
(გვ. 252)

**ხელნაწერი**: ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №738. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1867 წ. მაისი (რიცხვი არ არის მითითებული). ტფილისი. ხელმოუწერელი.

საკითხის შესახებ იხ. წერილი №163.

ადრესატია სამართლის კანდიდატი ***ნიკოლოზ პავლეს ძე კოსტილევი,*** სამართლისმცოდნეობის მასწავლებელი ქუთაისის საგუბერნიო გიმნაზიაში [1860-იანი წწ.; 1870-1880-იან წწ. მსახურობდა ყუბანის სამხედრო გიმნაზიის ინსპექტორად (იხ. შესაბამისი წლების „კავკაზსკი კალენდარ“)]. იგი იყო დიმ. ყიფიანის ბიძაშვილის, ეფემია (ფეფენა) დავითის ას. ყიფიანისა და კონსტანტინე ნიჟარაძის სიძე [მათი ქალიშვილის, მარიამ (მაშა, მაშენკა) ნიჟარაძის, მეუღლე]. ნ. კოსტილევი, როგორც ოჯახის ახლობელი და ნათესავი, არაერთხელაა ნახსენები დიმ. ყიფიანის წერილებში მეუღლისადმი.

[1] (გვ. 252) **„ამასთან გიგზავნით...“** – როგორც ჩანს, წინამდებარე ტექსტი დართული ჰქონდა ნ. კოსტილევისადმი დიმ. ყიფიანის წერილს, თუმცა ასეთი წერილი საქმეებში არ ჩანს.

## 165. ნიკოლოზ დადიან-მინგრელსკისადმი
(გვ. 253)

**ხელნაწერი**: ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №757. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1867 წ. 29 ივნისი. ქუთაისი. **ხელმოწერა:** Димитрий Кипиани.

ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 458-459.

[1] (გვ. 253) **„ქუთაისში გადავეყარე M-r Durand-ს"** – *M[onsigno]r Durand-ის* (დიურანის) შესახებ იხ. წერილები №158-160.

[2] (გვ. 253) **„კერგორრლეს..."** – ვინაობა ვერ გამოვარკვიეთ.

[3] (გვ. 253) **„ასეთი საქმეების საუკეთესო მცოდნეა"** – ამ სიტყვებს მოსდევს მონაკვეთი, რომელიც ავტორს გადახაზული აქვს: „ახლა ველოდები თავად კონსტანტინეს (დადიანს – თ. ჯ.), რათა გადავცე მინდობილობა იმ სახით, რა სახითაც მე იგი მივიღე. ამის შემდეგ კი შევუდგები თქვენი მამულების მართვა-გამგეობასთან დაკავშირებული თანხობრივი და სხვა საქმეების ანგარიშის შედგენას".

[4] (გვ. 253) **„კნეინასა და კნიაჟნას ხელებზე ვაკოცებ. თავად ანდრიას მაგრად ვართმევ ხელს"** – ა) *კნეინა:* ეკატერინე დადიანი; ბ) *კნიაჟნა:* სალომე დადიანი (შემდგომ დადიან-მიურატი); ბ) *ანდრია:* ანდრია დადიანი.

## 166. კონსტანტინე დადიანისადმი
(გვ. 254-255)

**ხელნაწერი**: ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №461. უცნობი ხელით გადაწერილი პირი. რუსულ ენაზე. ფ. 30-31. **თარიღი:** 1867 წ. 30 ივნისი. **ხელმოწერა:** Димитрий Иванович Кипиани.

ტექსტი ამოღებული გვაქვს საქმიდან „Процесс с князем Николаем Мингрельским на 50 т[ысяч] р[ублей] с % с 4 января

1867“ [„პროცესი თავად ნიკოლოზ მინგრელსკისთან 50 ათასი მანეთის შესახებ პროცენტებით 1867 წ. 4 იანვრიდან“]. აქ ნახსენები *პროცესისა* და მასთან დაკავშირებული გარემოებების შესახებ იხ. ყიფიანი 2021: 34-57.

თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია (რუსულ ენაზე): „მინდობილობა თავად კ. ლ. დადიანს“. დართული აქვს: ა) სასამართლოს ოფიციალური; ბ) დიმ. ყიფიანის ავტოგრაფული მინაწერები:

„ა) ათას რვაას სამოცდაშვიდი წლის ოცდაათ ივნისს წინამდებარე მინდობილობა ნამდვილი სამოქალაქო მრჩევლის, **დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანის,** ხელმოწერით დასამოწმებლად წარედგინა ქუთაისის საგუბერნიო სასამართლოს და შესაბამისი რეზოლუციის შემდეგ დედნის სახით შეტანილ იქნა წიგნში – №150, რასაც საგუბერნიო სასამართლო ადასტურებს ბეჭდით.

მრჩეველი **ისარლოვი.**

მდივანი **მესხი.**

[...]*

ბ) დამატების სახით უგანათლებულეს თავად კოსტანტინე ლევანის ძე დადიანსა და თავად კოსტანტინე დავითის ძე ნიჟარაძეს გავუგზავნე გორის სამაზრო სასამართლოს მიერ 21 აგვისტოს (№71) დამოწმებული შემდეგი შინაარსის მინდობილობა: „...ბატონყმური ვალდებულებების გაუქმების გამო ვდგავართ თავად მინგრელსკის გლეხებისთვის ნადელებისა და დებულების ოქმების გადაცემის გადაუდებელი საჭიროების წინაშე. ამასთანავე, მხედველობაშია მისაღები, რომ ხსენებული საჭიროება ერთდროულად ეხება სამეგრელოს სამივე მაზრას, რომლებშიც ხსენებული გლეხები სახლობენ. ჩემთვის გადმოცემული მინდობილობის, აგრეთვე, ჩემ სახელზე მისი უგანათლებულესობის, ეკატერინა ალექსანდრეს ას. ჭავჭავაძისა და უგანათლებულეს თავად ნიკოლოზ დავითის ძე დადიანის მიერ ჩემ სახელზე დაწერილი და ფრანკფურტის გე-

* გვარი ვერ ამოვიკითხეთ. – **თ. ჯ.**

ნერალური საკონსულოს მიერ 6/18 მაისს დამოწმებული წერილის საფუძველზე უფლებას განიჭებთ, მოწყალეო ბატონებო, ქუთაისის გუბერნიის ზუგდიდის, სენაკისა და ლეჩხუმის მაზრებში მისი უგანათლებულესობის, დავით დადიანის, ყოფილი გლეხებისთვის განკუთვნილი ნადელების დარიგებასა და მამულების მფლობელის სახელით დებულების ოქმების გადაცემას შეუდგეთ დაუყოვნებლივ. ეს ყველაფერი უნდა გაკეთდეს მიწისმზომლებთან დაკავშირებით ჩემ მიერ შემუშავებული პირობების მიხედვით. შეგიძლიათ იმოქმედოთ ერთობლივად ან ცალ-ცალკე, საჭიროების ან სარგებლიანობის მიხედვით, შეგიძლიათ გადასცეთ ამგვარივე უფლება სხვა პირებს ერთობლივად ან ცალ-ცალკე. როგორც თქვენი, ისე თქვენი რწმუნებულების ანგარიშები, გთხოვთ, წარმომიდგინოთ მე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ თავადი მინგრელსკი საკუთარი მამულების მართვა-გამგეობას თვითონ უშუალოდ შეუდგება, ამგვარი ანგარიშები წარუდგინოთ მის უგანათლებულესობას ან იმ პირს, ვისაც იგი დაასახელებს.

რასაც წინამდებარე მინდობილობის საფუძველზე კანონის ფარგლებში გადაწყვეტთ, დავეთანხმები უდავოდ და სიტყვის შეუბრუნებლად“.

წერილის ადრესატია ***კონსტანტინე*** (შინაურობაში ***წიწა) ლევანის ძე დადიანი*** (1819-1889), გენერალ-ლეიტენანტი (დამთავრებული ჰქონდა პეტერბურგის პაჟთა კორპუსი), ალექსანდრე II-ის ფლიგელ-ადიუტანტი (მონაწილეობდა „კავკასიის“, რუსეთ-ოსმალეთის 1853-1856 და 1877-1878 წწ. ომებში), სამეგრელოს მმართველი საბჭოს წევრი 1850-იან წწ. (ყიფიანი 2020: 358-359), საზოგადო მოღვაწე („ტფილისის კერძო ბიბლიოთეკისა“ და „ქშწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი), შვილი სამეგრელოს მთავარ ლევან V დადიანისა (1791-1846); სიცოცხლის ბოლო წლებში სენაკის მაზრაში მსახურობდა მომრიგებელ შუამავლად.

კ. დადიანსა და დიმ. ყიფიანს თავიდან ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ, თუმცა ეს ურთიერთობა გააფუჭა ვალმა, რომელიც კ. დადიანმა დიმ. ყიფიანს ვერ დაუბრუნა და საქმე 1882 წ.

ზუგდიდის სასამართლოს მიერ კონსტანტინე დადიანის ქონების დაყადაღებამდე მივიდა (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №№505-509). კ. დადიანის შესახებ იხ.: ავალიანი 1967: 117-119; გოგიტიძე 2012: 252-253; ჯოლოგუა 2022ᵇ: 29-30; ყიფიანი 2016: 424.

[1] (გვ. 254) **„მეორედ ვარ წინამძღოლად არჩეული"** – თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლად დიმ. ყიფიანი მეორედ 1867 წ. 4-6 მაისის ყრილობაზე აირჩიეს (კერძოდ, 6 მაისის სხდომაზე; ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა და სხვ. გარემოებები იხ. 2021: 32-33, 310-312).

## 167. ვლადიმერ ლევაშოვისადმი
(გვ. 255-257)

**ხელნაწერი**: ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №461. უცნობი ხელით გადაწერილი პირი. რუსულ ენაზე. ფ. 32-33. **თარიღი:** 1867 წ. 30 ივნისი. ქუთაისი. **ხელმოწერა:** Кипиани.

ტექსტი ამოღებულია საქმიდან „Процесс с князем Николаем Мингрельским на 50 т[ысяч] р[ублей] с % с 4 января 1867" [„პროცესი თავად ნიკოლოზ მინგრელსკისთან 50 ათასი მანეთის შესახებ პროცენტებით 1867 წ. 4 იანვრიდან"]. აქ ნახსენები *პროცესისა* და მასთან დაკავშირებული გარემოებების შესახებ იხ. ყიფიანი 2021: 34-57.

თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია (რუსულ ენაზე): „გრაფ ლევაშოვს". საბუთში მითითებული არ არის ადრესატის *სახელი,* თუმცა ეს იქნება გრაფი *ვლადიმერ ლევაშოვი,* რომელიც ამ დროს იყო ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი და პირდაპირ ეხებოდა სამეგრელოსთან დაკავშირებული საქმეები.

მიმართვის ადრესატი, ***ვლადიმერ ვასილის ძე ლევაშოვი*** (1834-1898), იყო გენერალ-ლეიტენანტი, გრაფი. 1860-იან წწ. იგი ამი-

ერკავკასიის მხარის სამოქალაქო მოწყობის დროებითი განყოფილების მმართველია, 1867 წლიდან ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანამდებობაზეა გადაყვანილი, თუმცა ამხილეს ქართული ეკლესია-მონასტრების ძარცვაში და საზოგადოების მძაფრი უკმაყოფილების გამო ხელისუფლება იძულებული გახდა, 1874 წ. იგი კავკასიიდან გაეწვია (უთურაშვილი 1989: 207). 1874 წ. ვლ. ლევაშოვი ოდესაში ქალაქის უფროსად (Градоначальник) დანიშნეს.

დაცულია კონსტანტინე ნიჟარაძის 1868 წ. 19 აპრილის წერილი დიმ. ყიფიანისადმი, რომლის მიხედვითაც, ვლ. ლევაშოვის აზრით, ეკატერინე დადიანი, როცა იგი სამშობლოში დაბრუნდებოდა, სამეგრელოში კი არა, ქუთაისში უნდა წასულიყო (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1535. ფ. 2).

დიმ. ყიფიანი ლევაშოვს *ქართველთმოძულედ* მიიჩნევდა. მოგვიანებით, 1881 წელს, იგი წერდა: „იყვნენ და, შესაძლებელია, ჩვენ შორის დღესაც მოიპოვებიან სხვადასხვა ჯურის ქართველთმოძულეები. ისეთებიც გვინახავს, რომლებსაც არც დაუმალავთ, რომ დასანახავად ვერ გვიტანენ, მაგალითად: არა ერთი და ორი ბართოლომეი, უსლარები, ლევაშოვები...“ (ყიფიანი 2017: 89).

[1] (გვ. 256) **„იცის ინსტრუმენტული გადაღებით მიწების აზომვის საქმე“** – *ინსტრუმენტული გადაღება (მონაცემის გადატანა;* დედანში: „..с измерением и инструментального съёмкою земель“): მიწების გამიჯვნისთვის, აგრეთვე, საადგილმამულო დავებისთვის საჭირო დოკუმენტი.

[2] (გვ. 256) **„მინგრელსკის ადგილ-მამულის მთავარი მმართველი“** – საკითხის შესახებ იხ. აქვე, გვ. 464.

[3] (გვ. 257) **„ივნისის 16 რიცხვის პასუხის დამატებად“** – დიმ. ყიფიანის *ივნისის 16 რიცხვის პასუხი*, ისევე, როგორც ამ მიმართვაში ნახსენები *მიმდინარე თვის 2 რიცხვის №10 მოთხოვნა* ლევაშოვისა, ჩვენთვის ცნობილ საქმეებში არ ჩანს.

## 168. ექსელბირტებისადმი
(გვ. 257-258)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1349. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. ფ. 1. უთარიღო. ხელმოუწერელი.

ეს არის მოკლე ვერსია დიმ. ყიფიანის პასუხისა ძმები ექსელბირტების (Братья Эксельбирты) მიერ თბილისიდან ქვიშხეთში 1867 წ. 11 ივლისს გაგზავნილ წერილზე (დიმ. ყიფიანის ტექსტი მიწერილია იქვე, ექსელბირტების წერილზე). ექსელბირტების წერილი კი ეხება დიმ. ყიფიანის მიერ 2500 მანეთის გადახდას ნ. მინგრელსკის მიერ აღებული ვალის ანგარიშში (ოდესის სავაჭრო სახლმა Масс и K⁰ გადმოგვიგზავნა ჰამბურგიდან მიღებული გზავნილი, რომლის მიხედვითაც, ამის წარმომდგენს ნ. მინგრელსკის ვალის ანგარიშში ხსენებული თანხა უნდა გადასცეთო. ექსელბირტებს აინტერესებთ, თანახმაა თუ არა დიმ. ყიფიანი, გადაიხადოს თანხა და ვის მიმართონ მის მისაღებად).

ტექსტი ***თარიღდება*** (1867 წ. 14 ივლისი) მასშივე მოცემული მონაცემის მიხედვით („14 ივლისის წერილით ქვიშხეთიდან ვუპასუხე...“).

ადრესატების შესახებ სარწმუნო მონაცემები ვერ მოვიპოვეთ [ჩვენთვის ამ გვარისა ცნობილია მხოლოდ მ. გ. ექსელბირტი, რომელსაც „კავკაზსკი კალენდარში“ გამოქვეყნებული აქვს სტატია: „О промышленной и торговой деятельности Закавказского края“ (კავკაზსკი კალენდარ 1868: 37-54; იმავე წელს ბროშურის სახით გამოქვეყნდა სტატიის ამონაბეჭდი (ექსელბირტი 1868)]. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, ექსელბირტები ნ. დადიან-მინგრელსკის მევალის ადვოკატები უნდა იყვნენ (გამსესხებლის ვინაობა საბუთებში არ ჩანს).

## 169. ექსელბირტებისადმი
(გვ. 258)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1350. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1867 წ. 21 ივლისი. ქვიშხეთი. ხელმოუწერელი.

ეს არის პასუხი ძმები ეკსელბირტების (Братья Эксельбирты) 1867 წ. 18 ივლისის წერილზე (დიმ. ყიფიანის წინამდებარე პასუხის შავი მიწერილია იქვე, ეკსელბირტების წერილზე). ეკსელბირტები დიმ. ყიფიანს ატყობინებენ: არა გვაქვს საშუალება, ნ. მინგრელსკის თამასუქის გასანაღდებლად ქვიშხეთში ვინმე გამოვგზავნოთო.

საკითხის შესახებ იხ. დიმ. ყიფიანისადმი ეკსელბირტების წინა (№168) წერილი.

[1] (გვ. 258) **„ველი რა თქვენს პასუხს“** – დაცულია ეკსელბირტების 1867 წ. 26 ივლისის *პასუხი* (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1351), გაგზავნილი თბილისიდან ქვიშხეთში (ვიმოწმებთ შემოკლებულად): „თავადმა მინგრელსკიმ ვალდებულება აიღო, რომ 2500 მანეთს გადაიხდიდა ტფილისში. შესაბამისად, მან ეს ფული უნდა გადაიხადოს იმ ადგილას, რომელიც თამასუქზეა მითითებული და, თუ ეს რაიმე სირთულეებთან არის დაკავშირებული, ეს სირთულეები გამსესხებელს ვერ შეეხება. ყოველ შემთხვევაში, ფულის გამოგზავნის ხარჯი გაცილებით ნაკლები იქნება, ვიდრე ის ხარჯი, რომელიც გამსესხებლის პროტესტს მოჰყვება... ამიტომაც ველოდებით თქვენს პასუხს ფულთან ერთად...“

მასალებში არც გამსესხებლის ვინაობა ჩანს და არც ის, თუ როგორ დამთავრდა ეს საქმე.

## 170. თბილისის მეექვსე სამიჯნე კომისიისადმი
(გვ. 258-260)

**ხელნაწერი**: ხეც. დიმ. ყიფიანის არქივი. საქმე №560. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 3. უთარიღო. ხელმოუწერელი.

***თარიღდება*** (1867 წ. 6 აგვისტო) ქვემოთ დამოწმებული II ჩანაწერით, რომელშიც ნათქვამია: „იმავე [1867 წ. აგვისტოს] 6 რიცხვში, საღამოს, სამიჯნე კომისიაში შემდეგი ქაღალდი შევიტანე“, და ამას უშუალოდ მოსდევს წინამდებარე ტექსტი განცხადებისა.

განცხადებას წინ უძღვის დიმ. ყიფიანის ორი ავტოგრაფული ჩანაწერი (ორივე რუსულ ენაზე):

I.

**არსი VI სამიჯნე კომისიაში გამართული კამათისა**

**ჩემი უფლების წინააღმდეგ:**

ხაზინის მიერ უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი, კოლეგიის მრჩეველი ***ბილერი*** შემდეგი არგუმენტებით უარყოფდა ჩემს უფლებას:

1. თავად ზურაბ ავალოვს არა ჰქონია წილი ბორჯომის მამულში და ამიტომ ვერც იმის უფლება ექნებოდა, გაეყიდა ამ მამულის ნაწილი.

2. მფლობელობაში შესვლის ქაღალდი ბ-ნი ყიფიანის სახელზე შედგენილი და გაცემულია არასწორად, რადგანაც:

ა) სამაზრო სასამართლოს 1848 წლის მაისსა თუ ივნისში მფლობელობაში შეყვანის შესახებ წერილობითი ბრძანება უნდა გაეცა ორი – ხიდისთავისა და სურამის – საუბნო მოსამართლის სახელზე, ყიფიანი კი მხოლოდ სურამის მოსამართლის მიერ არის მფლობელობაში შეყვანილი.

ბ) ნაცვლად იმისა, რომ ხსენებული ქაღალდი გაცემულიყო ადგილზე, ქაღალდი გაიცა სურამში.

გ) მფლობელობაში შეყვანის შესახებ ბორჯომის სოფლების მამასახლისებისთვის უნდა შეეტყობინებინათ წერილობითა და ხელმოწერების თანდართვით და, ნაცვლად იმისა, რომ ეს შეტყობინება მამასახლისებთან დარჩენილიყო, იგი აღმოჩნდა ყიფიანის ხელში.

იგივე არგუმენტები მოჰყავდათ ბ-6 გაგენტორნსა და გენერალ ზინოვიევს. გაგენტორნმა მფლობელობაში შეყვანის ფურცელი გამოაცხადა ***ნაყალბევად,*** თუმცა სიტყვა უკან წაიღო.

**ჩემი განმარტებები:**

ყველაფერი, რაც ჩემი უფლების წინააღმდეგ შეიძლება ითქვას, უკვე განხილულია სასამართლო პალატის მიერ და მხედველობაშია

მიღებული გადაწყვეტილების მიღებისას. შესაბამისად, რაც აქ ითქ-ვა, არადროულია, თუმცა მაინც ვიტყვი:

1. იმავე ზურაბ ავალოვმა 1852 წელს ხაზინას მიჰყიდა თავისი წილი. რატომ არ შეეძლო მას ეს წილი 1848 წელს ჩემთვის მოეყიდა?

2. მფლობელობაში შეყვანის ქაღალდის შესახებ დავა-კამათი შეიძლებოდა ამ ქაღალდის გაცემიდან მხოლოდ 2 წლის განმავლო-ბაში. გასულია თითქმის 19 წელი, თუმცა, დავუშვათ, არც დროის ხანგრძლივობას მივანიჭეთ მნიშვნელობა:

ა) როცა სამაზრო სასამართლომ მფლობელობაში ჩემი შეყვა-ნის შესახებ განკარგულება გასცა, ნაწილი ბორჯომისა – მტკვრის მარჯვენა სანაპირო – მიეკუთვნებოდა ხიდისთავის უბანს, ხოლო მარცხენა სანაპირო – სურამს. მფლობელობაში მხოლოდ სურამის მოსამართლემ იმიტომ შემიყვანა, რომ 1848 წლის ნოემბერში, რო-ცა მფლობელობაში შემიყვანეს, გორის მაზრის ახალი საუბნო-ად-მინისტრაციული დანაწილების მიხედვით, მთელი ბორჯომი შევიდა სურამის უბანში.

ბ) თუ მფლობელობაში შეყვანის ქაღალდი ჟურნალში შეტანი-ლია და დანომრილია სურამში, სადაც საუბნო მოსამართლის რეზი-დენცია მდებარეობდა, რანაირად შეიძლება ითქვას, რომ მფლობე-ლობაში შეყვანის ფაქტი არ მომხდარა ადგილზე?

გ) შეტყობინების ჩემთვის გადმოცემა სავსებით ბუნებრივია, რადგან ის ადასტურებს არა მამასახლისების, არამედ ***ჩემს უფლებას.***

II.

1867 წლის 5 აგვისტოს გამოძახებული ვიყავი მე-6 სამიჯნე კო-მისიაში, რომლის მუშაობაში ბორჯომის მამულის საზღვრების დადგენისას ჩემი რწმუნებული ივ. ზაქ. ყიფიანიც მონაწილეობდა. კომისია განიხილავდა ბორჯომის მამულის მეათედ ნაწილზე ჩემი უფლების საკითხს. – ხაზინის მიერ უფლებამოსილებით აღჭურვი-ლი პირი, ბ-ნი ბილერი, ბორჯომის მამულის მმართველი, ბ-ნი გა-გენტორნი და ბორჯომის მმართველობის უფროსი, გენერალი ზი-ნოვიევი უარყოფდნენ ჩემს უფლებას. მე მათი ყველა ჩვენება უკუ-ვაგდე და წარვადგინე სახელმწიფო ქონების დეპარტამენტის მიერ

გაცემული სასამართლო პალატის გადაწყვეტილების, აგრეთვე, ნასყიდობისა და მფლობელობაში შესვლის ქაღალდების ასლები.

6 აგვისტოს, დილით, კომისიის თავმჯდომარე მეწვია და მითხრა – ყველა ლეგალური უფლება თქვენ გეკუთვნითო, თუმცა მაინც მშვიდობიანი მორიგების აუცილებლობაში მარწმუნებდა: ან უნდა მიმეღო შთამომავლობითი პენსია, 1000 მან. წელიწადში, მოკიდებული 1852 წლიდან, ან კიდევ მიმეღო ხაზინის კუთვნილი თანაზომადი ღირებულების თავისუფალი მამული, შერჩეული ჩემ მიერ.

იმავე 6 რიცხვში, საღამოს, სამიჯნე კომისიაში შემდეგი ქაღალდი შევიტანე:“*

[1] (გვ. 259) **„ადგილ-მამულის მეათედი ნაწილის თაობაზე, რომელიც ... ამჟამად ხაზინის მფლობელობაშია“** – საკითხის შესახებ იხ. აქვე, გვ. 302.

[2] (გვ. 259) **„დავიტოვებ უფლებას, უარი ვთქვა ასეთ შეთანხმებაზე“** – იხ. აგრეთვე, წერილი №89.

## 171. სალომე [აბაშიძისადმი]
(გვ. 260-261)

**ხელნაწერი**: ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №664. ავტოგრაფი. შავი. ქართულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1867 წ. 15 აგვისტო. ხელმოუწერელი.

წერილს თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია: „პირი“, თუმცა სინამდვილეში ეს შავად ნაწერი ტექსტია. ადრესატის გვარი მითითებული არ არის, თუმცა იგი უდავოდ ***აბაშიძეა,*** რაც დასტურდება სალომე (შაშიკო) ლევანის ას. აბაშიძისადმი დიმ. ყიფიანის მიერ 1869 წ. 20 ივლისის წერილით (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №665. ფ.

* როგორც ზემოთ ითქვა, ამ სიტყვებს უშუალოდ მოსდევს სამიჯნე კომისიისადმი დიმ. ყიფიანის წინამდებარე განცხადება.

1), რომელშიც საერთო ტყეზეა საუბარი, აგრეთვე, სალომე აბაშიძის წერილებით დიმ. ყიფიანისადმი (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №№868-875).

[1] (გვ. 260) **„კნიაზმა დიმიტრიმ...“** – ეს უნდა იყოს ძმა სალომე აბაშიძისა – *დიმიტრი ლევანის ძე აბაშიძე* (იხ. ყიფიანი 2021: 210). დაცულია დიმ. აბაშიძის 1857-1866 წწ. წერილები დიმ. ყიფიანისადმი, რომლებშიც წერილების ავტორი ადრესატს ფულს სთხოვს სესხად (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №№860-863; აგრეთვე იქვე, საქ. №634).

[2] (გვ. 260) **„სააბაშიოში...“** – თავად აბაშიძეების ისტორიული ტერიტორია ქართლში, ბორჯომის ხეობაში (ქვიშხეთი, ტეზერი, ტაშისკარი...). სწორედ ამ ტერიტორიაზე იყო დიმ. ყიფიანის მამა, აზნაური ივანე (ქოჩო) ყიფიანი, აბაშიძეების მოურავად, სანამ მათთან მწვავე კონფლიქტის გამო სოფ. მერეთში გადასვლა მოუწევდა (იხ. ყიფიანი 2023: 306-307).

[3] (გვ. 261) **„კნიაზს ჯიბრაილს...“** – იგულისხმება *ჯიბრაილ აბაშიძე,* დიმ. ყიფიანის მოწილე სააბაშიო ტერიტორიის ტყეებში (იხ. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №№606, 607, 613, 866, 876).

## 172. გრიგოლ ორბელიანისადმი
(გვ. 261)

**ხელნაწერი:** სეა. ფონდი 214. აღწ. I. საქ. №3366. ფ. 110. უცნობი ხელით ნაწერი. ასლი. რუსულ ენაზე. **თარიღი:** 1867 წ. 28 აგვისტო. ხელმოუწერელი.

ტექსტი დაწერილია თბილისის გუბერნიის წინამძღოლის უგერბო ქაღალდზე, უზის ნომერი (№179) და მითითებულია ადრესატი (რუსულ ენაზე): „მის ბრწყინვალებას, თ-დ გ. დ. ორბელიანს“.

იქვეა (გვ. 110-112) ანალოგიური (სტანდარტული) შეტყობინებები სხვადასხვა პირისადმი (ივ. ანდრონიკაშვილი, გ. რ. ერისთავი, რ. ი. ანდრონიკაშვილი) ბანკის დამაარსებელი კომიტეტის წევრე-

ბად მიწვევის შესახებ, აგრეთვე, სიები თავადაზნაურობის იმ წარმომადგენლებისა, რომლებიც ბანკის წესდების შედგენაში მონაწილეობისთვის იყვნენ მიწვეულნი.

დიმ. ყიფიანისა და წერილის ადრესატის, გრ. ორბელიანის, ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 447-448.

[1] (გვ. 261) **„ბანკის წესდების შემმუშავებელი კომიტეტის...“** – კომიტეტის შესახებ იხ. აქვე, გვ. 472.

[2] (გვ. 261) **„დიდი მთავრის, მეფისნაცვლის მიერ“** – იგულისხმება კავკასიის მეფისნაცვალი (1862-1881) *მიხეილ ნიკოლოზის ძე.*

## 173. მიხეილ თუმანიშვილისადმი
(გვ. 262)

**ხელნაწერი**: ხეც. მიხეილ თუმანიშვილის არქ., საქ. №378. ავტოგრაფი. დედანი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1867 წ. 28 აგვისტო. **ხელმოწერა:** Димитрий Кипиани.

ტექსტი დაწერილია თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის გერბიან ქაღალდზე და უზის ნომერი (№194). თავზე ორი მინაწერია (ორივე რუსულ ენაზე): ა) დიმ. ყიფიანისა: „მის ბრწყინვალებას, თ-დ მ. ბ. თუმანოვს“; ბ) მიხ. თუმანიშვილისა: „მივიღე 1 სექტემბერს 1867 წ.“.

ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 337.

[1] (გვ. 262) **„ჩამოაყალიბა კომიტეტი“** – *კომიტეტის* შესახებ იხ. აქვე, გვ. 472.

[2] (გვ. 262) **„დიდმა მთავარმა, მეფისნაცვალმა...“** – იგულისხმება *მიხეილ ნიკოლოზის ძე.*

[3] (გვ. 262) **„ვერ შეძლებს კომიტეტის მუშაობაში პირად მონაწილეობას...“** – მიხ. თუმანიშვილმა მართლაც ვერ შეძლო კომიტეტის მუშაობაში პირადი მონაწილეობა (იხ. წერილი №179).

## 174. ნიკოლოზ გაგენტორნისადმი
(გვ. 262-263)

**ხელნაწერი**: ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №700. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1867 წ. 24 სექტემბერი. ხელმოუწერელი.

საბუთს თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია (რუსულ ენაზე): „ბ-ნ გაგენტორნს“.

იქვეა (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1058. ფ. 2) დიმ. ყიფიანისადმი ნ. გაგენტორნის მიერ 1867 წ. 25 სექტემბერს ბორჯომიდან გაგზავნილი პასუხი: „დიდი სიამოვნებით შევასრულებდი თქვენს თხოვნას, მაგრამ ბორჯომის ტყეებში ჩემი ნებართვით ტივი არავისთვის არ ჩამოურთმევიათ. უფრო მეტიც, ქვიშხეთელი გლეხის, სოსია ქალიაშვილის, სახელი არ ჩანს იმათ შორის, ვინც ან მორების მოჭრის ნებართვა მიიღო, ან ბაჟი გადაიხადა. არც აქაურების გამოკითხვამ მოგვცა რაიმე შედეგი... ესღა შემიძლია მოგახსენოთ: თუ გაირკვა, რომ ჩვენმა სასოფლო სასამართლომ ან მისი გადაწყვეტილებების აღმსრულებელმა პირებმა თქვენს პროტეჟეს მართლაც ჩამოართვეს ტივი, საქმე დაუყოვნებლივ გაირჩევა და გადაწყდება თქვენი მითითების გათვალისწინებით“.

მიმართვის *ადრესატი* ***ნიკოლოზ ქრისტიანის ძე გაგენტორნი*** (Николай Христианович Гагенторн) 1860-იან წწ. იყო ბორჯომის სახაზინო მამულის მმართველი (იხ. აქვე, გვ. 482).

## 175. ალექსანდრე ერისთავისადმი
(გვ. 263)

**ხელნაწერი:** სეა. ფონდი 214. აღწ. I. საქ. №3366. ფ. 116. უცნობი ხელით ნაწერი. შავი. რუსულ ენაზე. **თარიღი:** 1867 წ. 16 ოქტომბერი. ხელმოუწერელი.

ტექსტი დაწერილია თბილისის გუბერნიის Y თავადაზნაურობის წინამძღოლის უგერბო ქაღალდზე, უზის ნომერი (№239), მითითებულია ადრესატი (რუსულ ენაზე): „მის ბრწყინვალებას, თ-დ ა. შ. ერისთოვს, ბ-ნ გორის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლს“.

იქვეა დაცული ალ. ერისთავის 1867 წ. 18 სექტემბრის ოფიციალური წერილი დიმ. ყიფიანისადმი (რუსულ ენაზე):

„თქვენო აღმატებულებავ,
დიმიტრი ივანეს ძევ!

თქვენი გასული აგვისტოს 28 რიცხვის წინადადების (№209) პასუხად, მაქვს პატივი, უღრმესი პატივისცემით გაცნობოთ, რომ ამა თვის ბოლოს მე თავად ჩამოვალ ტფილისში ბანკის გასახსნელად დაარსებული კომიტეტის სხდომაზე დასასწრებად. ჩემი აზრით, ზედმეტი არ იქნება დავსძინო: ხომ არ ინებებთ სხდომის შესახებ შევატყობინოთ იმ ერისთოვებს, რომლებსაც მონაწილეობა არ მიუღიათ ბანკის სასარგებლო შემოწირულებებში.

თქვენდამი გულწრფელი პატივისცემითა და სრული
ერთგულებით, მაქვს პატივი, ვიყო თქვენი
უმორჩილესი მოსამსახურე
**ალექსანდრე ერისთოვი**

18 სექტემბერი 1867 წ.“ (სეა. ფონდი 214. აღწ. I. საქ. №3366. ფ. 116).

ალ. ერისთავის წერილს დართული აქვს (ფ. 115) „სია თავად ერისთოვებისა, რომლებსაც მონაწილეობა არ მიუღიათ ბანკის სასარგებლო შემოწირულებებში“ [სია და დიმ. ყიფიანის მინაწერები რუსულ ენაზეა]:

„პოლკოვნიკი, თავადი ელიზბარ პავლეს ძე ერისთოვი.*

პოლკოვნიკი, თავადი გრიგოლ ივანეს ძე ერისთოვი.

პოდპოლკოვნიკი, თავადი გრიგოლ პავლეს ძე ერისთოვი. [გასწვრივ დიმ. ყიფიანის მინაწერი: „დავით ლუარსაბის ძე ხომ არა?“]

თავადი დავით რევაზის ძე ერისთოვი.

თავადი დავით ივანეს ძე ერისთოვი.

თავადი ლუარსაბ ბიძინას ძე ერისთოვი. [გასწვრივ დიმ. ყიფიანის მინაწერი: „იგი შეიძლება მოწვეულ იქნეს, როგორც მამამისის რწმუნებული. თვითონ აქვს თუ არა ხმის უფლება, არ ვიცი“].

თავადი გიორგი დიმიტრის ძე ერისთოვი.

თ-დი ესტატე მირმანოზის ძე ერისთოვი. [გასწვრივ დიმ. ყიფიანის მინაწერი: „როგორც მახსოვს, მას ორივე ოქმზე აქვს ხელი მოწერილი, ყოველ შემთხვევაში, ესწრებოდა ყრილობას“].

თ-დი რევაზ ლუარსაბის ძე ერისთოვი.

თავადი კონა მირმანოზის ძე ერისთოვი“.

სიის ბოლოს დიმ. ყიფიანის მინაწერია: „რატომ არ უნდა მოვიწვიოთ რევაზ შალვას ძე?“

წერილის ადრესატია ***ალექსანდრე შანშეს ძე ერისთავი*** (1812-1883), პოლკოვნიკი, ფლიგელ-ადიუტანტი, გორის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი (1844-1880), ელიზბარ ერისთავის (1809-1871) ძმა; ჰქონდა კულტურული ინტერესები – 1844 წ. იგი ხელს აწერს საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სალიტერატურო-სამეცნიერო, სახელოვნებო და საგანმანათლებლო ყოველთვიური ჟურნალ „სინათლის“ პროგრამას (ბერძნიშვილი 1980: 82; გორის მაზრაში მცხოვრებ მოღვაწეთა განზრახვა ჟურნალის დაარსებისა ვერ განხორციელდა). მეუღლესთან, მართა სოლოღაშვილთან (1825-1856) და 1878 წ. პარიზში გარდაცვლილ 28 წლის ვაჟიშვილთან, გიორგისთან, ერთად დაკრძალულია იკორთაში, ქსნის ერის-

* ელიზბარ შანშეს ძე ერისთავი რუსულ წყაროებში (მაგალითად, „კავკასიის კალენდარში“) ზოგჯერ ***პავლეს*** ძედ (Елизбар Павлович) არის ნახსენები. ანალოგიური ვითარება გვაქვს ელიზბარის ძმის, *გრიგოლ შანშეს ძე* (Григорий Павлович) *ერისთავის,* შემთხვევაშიც.

თავთა საგვარეულო სამარხში (მეგრელიძე 1997: 56-57; ერისთავი 2022: 173-175).

[1] (გვ. 263) **„კომიტეტის სხდომის შეტყობინება“** – *კომიტეტის* შესახებ იხ. აქვე, გვ. 472.

## 176. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 264-265)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1870. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1867 წ. 25 ოქტომბერი. ქვიშხეთი. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 264) **„ატჩოტები მომზადებული მქონდა“** – *ატჩოტის* (Отчёт: ანგარიში, ანგარიშგება) შესახებ იხ. აქვე, გვ. 465.

[2] (გვ. 264) **„უსტავნი გრამატები შეუდგინონ“** – *უსტავნი გრამატების* (დებულების ოქმების) შესახებ იხ. აქვე, გვ. 468.

[3] (გვ. 264) **„კოსტანტინე...“** – ძნელი სათქმელია, აქ რომელი *კოსტანტინე* იგულისხმება: ***დადიანი***, თუ ***ნიჟარაძე.***

[4] (გვ. 264) **„ჩემი განმეორებით აღრჩევის ამბავი“** – იგულისხმება თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის მიერ საკუთარ წინამძღოლად („მარშლად“) დიმ. ყიფიანის ხელმეორედ არჩევა 1867 წ. 6 მაისს (იხ. დროება 1867ა).

[5] (გვ. 265) **„ბატონს ნიკოს ... მართლა მოგეწონებათ, ნაზოლარი“** – წერილის ამ მონაკვეთში ნახსენები პირები არიან: ა) *ნიკო, ანდრია, სალომე* – ეკატერინე დადიანის შვილები (იხ. აქვე, გვ. 330); ბ) ნინო – მეუღლე დიმ. ყიფიანისა *ნინო ჭილაშვილ-ყიფიანი; არჩილი* – მცირეწლოვანი ვაჟიშვილი დიმ. ყიფიანისა (არჩილის შესახებ იხ. აქვე, გვ. 447-448).

## 177. კონსტანტინე დადიანისადმი
(გვ. 265-266)

**ხელნაწერი**: ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №461. უცნობი ხელით გადაწერილი პირი. რუსულ ენაზე. ფ. 36. **თარიღი:** 1867 წ. 2 ნოემბერი. ქუთაისი. ხელმოუწერელი.

ტექსტი ამოღებულია საქმიდან „Процесс с князем Николаем Мингрельским на 50 т[ысяч] р[ублей] с % с 4 января 1867“ [„პროცესი თავად ნიკოლოზ მინგრელსკისთან 50 ათასი მანეთის შესახებ პროცენტებით 1867 წ. 4 იანვრიდან“]. აქ ნახსენები *პროცესისა* და მასთან დაკავშირებული გარემოებების შესახებ იხ. ყიფიანი 2021: 34-57.

ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 476-477.

## 178. კონსტანტინე ნიჟარაძისადმი
(გვ. 266)

**ხელნაწერი**: ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქმე №461. უცნობი ხელით გადაწერილი პირი. ფ. 36. უთარიღო. ხელმოუწერელი.

ტექსტი ამოღებულია საქმიდან „Процесс с князем Николаем Мингрельским на 50 т[ысяч] р[ублей] с % с 4 января 1867“ [„პროცესი თავად ნიკოლოზ მინგრელსკისთან 50 ათასი მანეთის შესახებ პროცენტებით 1867 წ. 4 იანვრიდან“]. აქ ნახსენები *პროცესისა* და მასთან დაკავშირებული გარემოებების შესახებ იხ. ყიფიანი 2021: 34-57.

***თარიღდება*** (1867 წ. 2 ნოემბერი) კონსტანტინე დადიანისადმი გაგზავნილი წინა (№177) წერილის მიხედვით (წინამდებარე წერილი იქვე მოსდევს კ. დადიანისადმი გაგზავნილ ტექსტს და ორივე ეს ტექსტი ერთ ფურცელზეა ნაწერი).

ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 470-471.

## 179. მიხეილ თუმანიშვილისადმი
(გვ. 266-267)

**ხელნაწერი:** სეა. ფონდი 394. აღწ. I. საქ. №1772. ფ. 69. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. **თარიღი:** 14 [დეკემბერი 1867 წლისა]. ხელმოუწერელი.

ეს არის პასუხი მიხ. თუმანიშვილის *1867 წლის 13 დეკემბრის* წერილზე, რომლითაც იგი დიმ. ყიფიანს ატყობინებს: სამსახურის საქმეების გამო, სამწუხაროდ, საბანკო კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობა არ შემიძლიაო (სეა. ფონდი 394. აღწ. I. საქ. №1772. ფ. 69. ავტოგრაფი. დედანი. რუსულ ენაზე).

ტექსტს თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია: „[პასუხი] 14 რიცხვში". ამ მონაცემებზე დაყრდნობით წერილს ***1867 წ. 14 დეკემბრით ვათარიღებთ.*** რაც შეეხება *სამსახურს,* რომლის გამოც მიხ. თუმანიშვილი *საბანკო კომიტეტის* მუშაობაში მონაწილეობაზე უარს ამბობს, იგი ამ დროს არის საგლეხო რეფორმასთან დაკავშირებით შექმნილი გლეხთა მოწყობის სპეციალური კომიტეტის კანცელარიის მმართველი.

ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 337.

[1] (გვ. 266-267) **„საბანკო კომიტეტის მუშაობაში..."** – *საბანკო კომიტეტის* შესახებ იხ. წერილი №173.

## 180. სოლომონ ანდრონიკაშვილისადმი
(გვ. 267)

**ხელნაწერი**: ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №924. ავტოგრაფი. შავი. ქართულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** [18]67 წ. 20 დეკემბერი. ხელმოუწერელი.

ტექსტი მიწერილია დიმ. ყიფიანისადმი სოლომონ ანდრონიკაშვილის წერილის ავტოგრაფულ დედანზე. ს. ანდრონიკაშვილის წერილს ვიმოწმებთ სრულად:

„თქვენო აღმატებულებავ!
მოწყალეო ხელმწიფევ!
დიმიტრი ივანიჩ!

რა საკვირველია, თქვენ ეხლა შეტყობილი გექნებათ ეს საერთო უბედური, საზიზღარი და კაცობრივობის დამამდაბლებელი და ქართველთ შორის უმაგალითო შემთხვევა. – სრულის რაზბონიკურის შეიარაღებულის ხელით, საშუალ სოფელთა, შუადღისას დახვედრა და გამოგლეჯა დედის გულისაგან შვილისა. – ამაზედ რა საკვირველია სწარმოებს გამოძიება და ყველაფერი ცხადდება და აშკარავდება, к уличению презренных преступников [საზიზღარი დამნაშავეების გამოსააშკარავებლად].

ეხლა მითხრეს, რომ მითომც მოეწეროთ გუბერნატორისათვის დამნაშავის მხრიდან, რომ საქმის მდგომარეობის მიხედვით, для предупреждения несчастных происшествий [უბედურ შემთხვევათა თავიდან ასაცილებლად], თითონ მობრძანდნენ და შინაურულად გაათაონ საქმე. – მე უნდა მოგახსენოთ, რომ საზოგადოდ глубоко сочувствуют этому семейству и глубоко оскорблены все столь преступным действиям кн. Андроникова [ღრმა თანაგრძნობას გამოხატავენ ამ ოჯახის მიმართ და უაღრესად შეურაცხყოფილნი არიან თ-დ ანდრონიკოვის ასეთი დანაშაულებრივი საქციელით] და ერთი მხოლოდ სამართლიანი და სასტიკი დასჯა ამისი დაამშვიდებს ამათ და არა შინაურულად საქმის გათავება და არცა შესაძლებელი არის, რომ დათანხმდენ ამაზედ და ამისთვის გაცნობებთ რა ამასა, მე საჭიროდ ვხედავ, რომ თუ კოსტანტინ ივანიჩი (ორლოვსკი – თ.ჯ.) შერიგებისათვის წამოვა, предупредите их [გააფრთხილეთ ისინი], რომ არ დაჰყაბულდებიან შინაურულად ამ საქმის დაბოლოებაზედ. –

სხვებრ უღრმესის ერთგულებით დავშთები თქვენი
უმორჩილესი მოსამსახურე
თ. **სოლომან ანდრონიკაშვილი**

18-ს დეკემბერს 1867-ს“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №924. ფ. 1).

დანაშაულისა და დამნაშავის ვინაობის შესახებ ვიგებთ გრ. ორბელიანის 1868 წ. 22 თებერვლის წერილიდან ბარბარე (ვარვარა) ბაგრატიონ-ორბელიანისადმი: „დავით ანდრონ[იკაშვილ]ის უვარგისი ვაჟი შეიარაღებულის ხალხით თავს დაესხა კნეინა აბაშიძეს, შინ რომ ჰბრუნდებოდა სოფ: გურჯაანიდამ, მოსტაცა ქალიშვილი, წაიყვანა იგი გიგო მაყაევის – მარუცას ქმრის – სახლში და იქ ნამუსი აჰხადა. ატყდა ერთი აყალმაყალი; სიღნაღ: უეზდის მთელი თავადობა ალაზნის ტყეებს შეესია საძაგელი დამნაშავის მოსაძებნადა; კაცებმა დააპირეს გადაეწვათ და გაენადგურებინათ დავით ანდრ[ონიკაშვილ]ის სახლ-კარი, მაგრამ ამ დროს ადგილობრივმა უფროსობამ, რომელმაც მოასწრო დასახმარებლად მოსვლა, როგორღაც შეაჩერა სახლის განადგურება. ახლა დავითი საძაგელს ვაჟთან და ქალიშვილთან ერთად, რომელიც ასევე ბრალდებულია, დაპატიმრებული ჩამოიყვანეს თბილისს და ამ დღეებში დაიწყება მათზედ ახალი, სამართლიანი, საჯარო სასამართლო“ (ორბელიანი 2018: 179-180).

დავით ანდრონიკაშვილის, მისი *უვარგისი ვაჟისა* და სხვათა საქმის გამოძიებამ, აგრეთვე, სასამართლო პროცესმა 1868 წ. დეკემბრამდე გასტანა, იმავე წლის 2 დეკემბერს კი „დროებაში“ გამოქვეყნდა თბილისის სასამართლო-სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება:

„თავადი სიმონ ანდრონიკოვი, 19-ის წლისა, დამნაშავე კნ[ეინა] ანნა აბაშიძის მოტაცებაში, რომელიც არის 16-ის წლისა, რომ ამითი წაუხდინოს ქალს სახელი და გარდა ამისა ქალის ძალდატანებისათვის სისხლის სამართლის წარმოების 766 მუხლის ძალით უნდა ჩამოერთოს ყოველი ხარისხი და ქონება, გაიგზავნოს მადნის სათხრელად ოთხის წლით, და შემდეგ ვადის შესრულებისა დასახლდეს

თავის სიცოცხლეში ციმბირში. იმისი მამა, დავით ანდრონიკოვი, 59 წლისა, რომელსაც ხელი შეეწყო თავისი შვილისათვის ქალის მოტაცებაში, რომ ამითი გაუტეხოს ქალს სახელი, დასამშვიდებელს სახლში ჩასმის მაგიერათ, უნდა ჩაჯდეს ციხეში რვა თვე. იმისი და, მარიამ ანდრონიკოვისა, 25 წლისა, რომელსაც აგრეთვე ხელი შეეწყო თავისი ძმისათვის, რომ ქალი ძალით მოიტაცოს, დასამშვიდებელ სახლის მაგიერ, უნდა ჩაჯდეს ორის თვით ციხეში. თავადი გრიგოლ მაყაშვილი, 38 წლისა, რომელსაც შეეფარებინა ანდრონიკოვი მოტაცებულის ქალითა, რომ ამითი წაუხდინოს ქალს სახელი, იმავე სისხლის სამართლის კანონების 766 მუხლის ძალით, უნდა ჩაჯდეს ციხეში ექვსის თვით. კნეინა ანასტასია მაყაევისა, 60 წლისა, რომელსაც აბრალებდნენ შეფარებას სიმონ ანდრონიკოვისას და გარდა ამისა ნების მიცემას ქალის ძალდაუტანებლათ, გამართლებული არის. ამავე დაბრალებიდგან გამართლებულია ეკატერინე მაყაევისა, 23 წლისა. სასამართლოს ხარჯი გადაიხადოს სიმონ ანდრონიკოვმა და თუ იმან ვერ გადაიხადა, მაშინ დანარჩენი უნდა დაედვათ დავით ანდრონიკოვსა, მარიამ ანდრონიკოვისასა და გრიგოლ მაყაევსა თანასწორ ნაწილებად" (დროება 1868ა).

ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 344.

[1] (გვ. 267) **„გუბერნატორთან მოლაპარაკება"** – იგულისხმება თბილისის სამოქალაქო გუბერნატორი (1860-1876) *კონსტანტინე ივანეს ძე ორლოვსკი.*

## 181. ალექსანდრე ნიკოლაისადმი

(გვ. 267-268)

**ხელნაწერი**: ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №767. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1867 წ. 21 დეკემბერი. ხელმოუწერელი.

თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია (რუსულ ენაზე): „ბარონ ნიკოლაის“. იქვეა დიმ. ყიფიანის გვიანდელი ავტოგრაფული მინაწერი (რუსულ ენაზევე): „კნეინა დადიანის დეპეშა და თავად მინგრელსკის წერილი 30 დეკემბერს კონსტანტინე ივ. ორლოვსკიმ გამომართვა“.

ადრესატის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 365-368.

[1] (გვ. 268) **„დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძეს ... მივცე *თხუთმეტი ათასი* მანეთი“** – დავით ჭავჭავაძისთვის სესხად მიცემული 15 000 მანეთი შემდეგ დიმ. ყიფიანსა და ეკატერინე დადიანს შორის დავის საგნად იქცა (იხ. ყიფიანი 2020: 28, 30, 33; აგრეთვე: აქვე, გვ. 271, 508-509, 512).

## 1868

### 182. იული ვიტესადმი
(გვ. 268-269)

**ხელნაწერი**: ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №726. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1868 წ. 22 იანვარი. ხელმოუწერელი.

თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია (რუსულ ენაზე): „ი. თ. ვიტეს“.

ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 409-410.

[1] (გვ. 268) **„1864 წლის 16 ნოემბრის (№5550) მომართვით მკითხეთ და მეც იმავე თვის 22-ში გიპასუხეთ“** – ა) აქ ნახსენები *მომართვა* იხ. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1357. ფ. 2); ბ) ვიტესადმი დიმ. ყიფიანის 1864 წ. 22 ნოემბრის *პასუხი* იხ. წერილი №89.

[2] (გვ. 268) **„ხაზინასთან ჩემ მიერ *ბორჯომის* მამულთან დაკავშირებული სასამართლო დავის შესახებ“** – დიმ. ყიფიანს მხედველობა-

ში აქვს მის მიერ 1848 წ. ზურაბ ავალიშვილისგან ნაყიდ მამულთან დაკავშირებული სასამართლო დავა (საკითხის შესახებ იხ. აქვე, გვ. 302).

## 183. ეგორ სტარიცკისადმი
(გვ. 269-270)

**ხელნაწერი**: ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №794. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1868 წ. 3 თებერვალი. ხელმოუწერელი.

პირველ გვერდზე დიმ. ყიფიანის გვიანდელი მინაწერია (რუსულ ენაზე): „აი, ჩემი ერთი უკიდურესად არსებითი (капитальнейший) და ყოვლად გაუაზრებელი (нелепейший) შეცდომათაგანი. 12 მაისი 1879“.

დიმ. ყიფიანის შუამდგომლობამ, როგორც ჩანს, გაჭრა, ყოველ შემთხვევაში 1869 წლიდან *გრიგოლ ივანეს ძე ყიფიანი* ქუთაისის საოლქო სამომრიგებლო სასამართლოს მდივანია (კავკაზსკი კალენდარ 1869: 37).

წერილის ადრესატია ***ეგორ პავლეს ძე სტარიცკი*** (1825-1899), ნამდვილი საიდუმლო მრჩეველი (Действительный тайный советник), რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი (1879 წლიდან), სენატორი, თბილისის სასამართლო პალატის თავმჯდომარე, კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი [1862 წელს, როცა დიმ. ყიფიანი საბჭოდან დაითხოვეს, მის ადგილზე ე. სტარიცკი დანიშნეს (იხ. ყიფიანი 2020: 209)]. ე. სტარიცკი მნიშვნელოვანი ფიგურა იყო 1860-იან წწ. კავკასიის მხარის სასამართლო რეფორმების შემუშავებისა და პრაქტიკული განხორციელების პროცესში. სიცოცხლის ბოლო წლებში იყო რუსეთის სახელმწიფო საბჭოს საკანონმდებლო დეპარტამენტის თავმჯდომარე და კოდიფიკაციის განყოფილების მმართველი. 1890 წლიდან საცხოვრებლად გადავიდა მშობლიურ პოლტავაში. გარდაიცვალა იქვე 1899 წ. 31 მაისს.

## 184. ალექსანდრე ნიკოლაისადმი
(გვ. 270-271)

**ხელნაწერი**: ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №768. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1868 წ. 14 თებერვალი. ხელმოუწერელი.

თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია (რუსულ ენაზე): „მთავარსამმართველოს უფროსს, ბარონ ნიკოლაის".

ადრესატის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 365-368.

[1] (გვ. 270) **„ბორჯომის მამულთან დაკავშირებული დავის გამო..."** – აქ ნახსენები *დავის* შესახებ იხ. აქვე, გვ. 302.

## 185. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 271-272)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1871. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1868 წ. 7 მარტი. ტფილისი. **ხელმოწერა:** დიმ. ყიფიანი.

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 271) **„თქვენს ძმას დავითს ... ვისესხე და ჩავაბარე ისეთს დროს, რომ ქორწილს დაბრკოლება არა მისცემიარა"** – ა) დავით ჭავჭავაძისთვის მიცემული *სესხის* შესახებ იხ. აქვე, გვ. 495; ბ) *ქორწილი:* უნდა იგულისხმებოდეს *სალომე დავითის ას. ჭავჭავაძის* დაქორწინება მაქსიმილიან ოსტენ-საკენზე [1868 წ. იანვარი; „14 იანვ. იქნება სალომეს (ჭავჭავაძის – თ. ჯ.) ქორწილი წინანდალში. მამობილ-დედობილი იქნებიან ბარონი ნიკოლაი და კნ. გაგარინა" – სწერს გრ. ორბელიანი 1868 წ. 8 იანვარს თავის რძალს, ბარბარე (ვარვარა) ბაგრატიონ-ორბელიანს (ორბელიანი 2018: 173)]

[2] (გვ. 271) **„კნიაჟნა სალომეს...“** – *სალომე დადიანი* (შემდგომში *დადიან-მიურატი)*, შვილი ეკატერინე დადიანისა.

## 186. ალექსანდრე ნიკოლაისადმი
(გვ. 272-274)

**ხელნაწერი**: ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №769. უცნობი ხელით გადათეთრებული. რუსულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1868 წ. 9 მარტი. ხელმოუწერელი.

დიმ. ყიფიანის ხელით მითითებულია ადრესატი (რუსულ ენაზე): „მის აღმატებულებას, ბარონ ა. პ. ნიკოლაის“.

საკითხი ეხება დიმ. ყიფიანის დავას ხაზინასთან (იხ. აქვე, გვ. 302).

ადრესატის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 365-368.

[1] (გვ. 272) **„პასუხია ჩემი 14 თებერვლის თხოვნისა“** – *14 თებერვლის თხოვნა* იხ. წერილი №184.

[2] (გვ. 272) **„შარშან საქმე მეექვსე სამიჯნე კომისიაში *ჩემი სურვილით* გაირჩა“** – აქ ნახსენები *გარჩევის* შესახებ იხ. წერილი №170 და მასზე დართული შენიშვნები და კომენტარები.

## 187. პეტრე ლადინსკის ანდერძის აღმსრულებლებისადმი
(გვ. 274-275)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1929. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 17. **თარიღი:** 1868 წ. 15 მარტი. ტფილისი. ხელმოუწერელი.

ტექსტის ბოლოში დიმ. ყიფიანის ხელითვე მიწერილია ადრესატთა ვინაობა (რუსულ ენაზე): „გენერალ ლადინსკის ანდერძის

აღმსრულებლებს, ბატონებს: ***ნ. ა. ანტონოვიჩს, ი. კ. პოზერნს, გ. დ. აპოსტოლოვს“.***

გარდა დიმ. ყიფიანის წინამდებარე და მომდევნო (გრ. აპოსტოლოვისადმი) წერილებისა, საქმეში დევს აგრეთვე დიმ. ყიფიანის მიერ ანდერძიდან ამოკრებილი პუნქტები (ფ. 1-2), პ. ლადინსკის ანდერძის პირი (ფ. 3-16) და „განსვენებული გენერალ ლადინსკის ანდერძის აღმსრულებელთა მოქმედებების მოკლე რეესტრი“ (ფ. 23).

[1] (გვ. 275) **„პეტრე ანტონის ძე ლადინსკის ანდერძის თანდათანობითი აღსრულებისკენაა მიმართული“** – პ. ლადინსკის ანდერძისა და მასთან დაკავშირებული გარემოებების შესახებ იხ. აქვე, წერილები №№135, 144, 149, 188, აგრეთვე, მათზე დართული შენიშვნები და განმარტებები.

[2] (გვ. 275) **„თქვენი გასული თებერვლის 6 რიცხვის №45 წერილის პასუხად...“** – აქ ნახსენები *წერილი* იხ. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №931. ფ. 2. (ხელს აწერენ: ნ. ანტონოვიჩი, ივ. პოზერნი, გრ. აპოსტოლოვი).

## 188. გრიგოლ აპოსტოლოვისადმი
(გვ. 275-276)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1929. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 18. **თარიღი:** [1868 წ.] 15 მარტი. ხელმოუწერელი.

ტექსტში მხოლოდ დაწერის რიცხვი და თვეა (15 მარტი) მითითებული. ***თარიღდება*** ([1868 წ.] 15 მარტი) პ. ლადინსკის ანდერძის აღმსრულებლებისადმი წინა (№187) წერილის მიხედვით (ეს წერილები საქმეში ერთ ქაღალდზე, ერთმანეთის მიყოლებითაა ნაწერი).
საკითხის შესახებ იხ. აქვე, წინა (№187) წერილი და მასზე დართული შენიშვნები და კომენტარები.

[1] (გვ. 275) **„თქვენი 28 იანვრის წერილითა...“** – დაცულია გრ. აპოსტოლოვის 1868 წ. 28 იანვრის წერილი, რომლის მიხედვითაც, ანდერძის აღმსრულებლები დიმ. ყიფიანს საჩუქრად პ. ლადინსკის ნაქონ სპარსული ნაკეთობის ჯოხს (უნდა ვიფიქროთ: *ხელჯოხს)* უგზავნიან: „...определили послать Вам на память палку персидской отделки, оставшиеся после смерти генерала Ладинского“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №930. ფ. 1).

[2] (გვ. 276) **„ნიკოლოზ ალექსანდრეს ძისა და ივანე კარლის ძის...“** – პეტრე ლადინსკის ანდერძის აღმსრულებლები: *ნიკოლოზ ანტონოვიჩი* და *ივანე პოზერნი* (იხ. წერილი №187).

[3] (გვ. 276) **„გულწრფელ მოკითხვას გადასცემთ მარია თედორეს ასულს“** – *მარია თედორეს ასული* (Мария Федоровна), უნდა ვიფიქროთ, წერილის ადრესატის, გრ. აპოსტოლოვის, მეუღლეა.

## 189. [გრიგოლ დადიანისადმი]
(გვ. 276)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1125. ავტოგრაფი. შავი. ქართულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** [1868 წ. 12 აპრილი]. ხელმოუწერელი.

ადრესატის ვინაობა (გრიგოლ დადიანი) და თარიღი (1868 წ. 12 აპრილი) დგინდება დიმ. ყიფიანისადმი გრ. დადიანის წერილით, რომელსაც აქვე სრულად ვიმოწმებთ (დიმ. ყიფიანის წინამდებარე ტექსტი შავად მინაწერია გრ. დადიანის ხსენებულ წერილზე):

> „საყვარელო დიმიტრი, ამისთვის მე თვით მინდოდა მოსვლა და მოლაპარაკება შენთან. – ზეგ დაბადება არის ველიკი კნიაზის ნიკოლაი მიხაილიჩის და, თუ შეიძლება, სამშაბათისათვის გადავზდვათ ეს საქმე. მეც მანემდის გნახავ. – შენი გრიგოლ დადიანი. 12 აპრილი“ (დიმ. ყიფიანმა ეს თხოვნა გაითვალისწინა. იხ. მომდევნო, №190, წერილი).

წერილის ადრესატია ***გრიგოლ ლევანის ძე დადიანი*** (1814-1901), შვილი სამეგრელოს მთავრ ლევან V დადიანისა, საზოგადო და სამხედრო მოღვაწე, ქველმოქმედი, გენერალ-ადიუტანტი და ინფანტერიის გენერალი, „ქშწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, მონაწილეობდა 1880 წ. დაარსებული „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობაში... პრესაში („ცისკარი“, „დროება“, „შრომა“ და სხვ.) აქვეყნებდა ლექსებსა თუ გალექსილ იგავ-არაკებს (უმეტესწილად „კოლხიდელის“ ფსევდონიმით). გარდაიცვალა ქუთაისში. დაკრძალულია მარტვილის საკათედრო ტაძარში (გრ. დადიანის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ. ყიფიანი 2017: 348-349; აგრეთვე, ჯოლოგუა 2022: 289-294; დიმ. ყიფიანის წერილი „გრიგოლ დადიანის იამბიკო“ იხ. ყიფიანი 2017: 145-146).

გრ. დადიანსა და დიმ. ყიფიანს მრავალწლიანი მეგობრობა აკავშირებდათ. შვილი დიმ. ყიფიანისა, ნიკ. ყიფიანი, წერს: „ხშირად მოვიდოდა ხოლმე თ. გრიგოლ დადიანი, რომელიც სთხზავდა მშვენიერს ლექსებს და აბეჭდინებდა „ცისკარში“. თავის თხზულებებს აწერდა „კოლხიდელი“. სანამ დააბეჭდვინებდა ახალ შეთხზულ ლექსსა, უეჭველად უნდა წაეკითხა დიმიტრი ყიფიანისათვის. ხშირად დავსწრებივარ (ბავშვი რომ ვიყავი), რომ „კოლხიდელი“ უკითხავდა თავის ლექსებს „ბაქარ ქართლელსა“ (დიმ. ყიფიანის ფსევდონიმია – თ. ჯ.) და მახსოვს, ხშირად რჩევა და სჯა ჰქონდათ ამ ორს მეგობარს, – როგორ სჯობია ამა და ამ აზრის ან სურათის გამოხატვაო“ (ყიფიანი 1894: 86).

[1] (გვ. 276) **„მთავრის ასულის სალომეს დაწინდვისათვის მადლობის შესაწირავად“** – *სალომე:* სამეგრელოს მთავრის, დავით დადიანის, ასული, რომელმაც 1868 წ. 13 მაისს იქორწინა საფრანგეთის საიმპერატორო ოჯახის წევრზე – აშილ მიურატზე. ამის თაობაზე „დროებაში“ ვკითხულობთ: „იმპერატორი ნაპოლეონის ბიძაშვილის შვილის (სინამდვილეში აშილ მიურატი დის შვილიშვილი იყო ნაპოლეონ III-ისა – თ. ჯ.) პრინცის ახილ მურატისა და სამეგრელოს განსვენებულის მთავრის ასულის სალომე დადიანის ქორწილი იყო მაისის 1 (13) ნაშუადღევის პირველ საათზე. ჯვარის წერა აღსრულდა

ტულერის კარის ეკკლესიაში ფრანცუზის იმპერატორის და მისის მეუღლის თანადასწრებით“ (დროება 1868[ბ]; იხ. აგრეთვე, დროება 1868[გ]; კიკნაძე 2020: 35).

## 190. სალომე დადიან-მიურატის ნათესავებისადმი
(გვ. 276)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1125. ავტოგრაფი. შავი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** [1868 წ.] 13 აპრილი. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

ბოლოში დართული აქვს დიმ. ყიფიანის გვიანდელი (პარაკლისის შემდგომი) მინაწერი:

„პარაკლისს დაესწრნენ: გრიგოლ დადიანი; კნ. თამარ ერისთავისა; კნ. მარიამ ჭავჭავ.; კნ. მანანა ერისთავი დარიკოთურთ; კნიაჟნა ნინა ამილახვრ.; — კნეინა ელენე ერისთავი; — კნეინ. სალომე აფხაზ. მეუღლით და ძითურთ; — კნ. ჯავახოვისა[,] კონსტანტინე; კნ. მართა ავალოვისა.

არ მობრძანებულან: არა ვინ კნ. ნინა მუხრანსკის სახლიდამ. —
მანანა ორბელ. —
ბარბარე საგინოვისა. —
კნ. იოსებ დავით. თარხანოვი.
ბარონი [ალ. ნიკოლაი]“.

[1] (გვ. 276) **„პარაკლისი...“** — იხ. აქვე, წერილი №189.

## 191. იული ვიტესადმი
(გვ. 277)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №727. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1868 წ. 4 მაისი. ხელმოუწერელი.

თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია (რუსულ ენაზე): „ნამდვილ სამოქალაქო მრჩეველს, ი. თ. ვიტეს“.

დიმ. ყიფიანის წინამდებარე წერილზე ი. ვიტეს პასუხის შესახებ იხ. წერილი №193.

ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 409-410.

[1] (გვ. 277) **„ბორჯომის მამულთან დაკავშირებული პროცესის...“** – აქ ნახსენები *პროცესის* შესახებ იხ. აქვე, გვ. 302.

## 192. იული ვიტესადმი
(გვ. 277-278)

**ხელნაწერი**: ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №728. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1868 წ. 14 მაისი. ხელმოუწერელი.

თავზე დიმ. ყიფიანის ხელითვე აწერია (რუსულ ენაზე): „ბ-ნ ნამდვილ სამოქალაქო მრჩეველ ვიტეს“.

ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 409-410.

[1] (გვ. 277) **„ბორჯომის მამულის მეათედ ნაწილზე მიმდინარეობს...“** – საკითხის შესახებ იხ. აქვე, გვ. 302.

[2] (გვ. 277) ***„მოუწესრიგებელი ტყის...“*** – დედანში: Неустроенный лес.

## 193. ალექსანდრე მურავიოვისადმი
(გვ. 278-279)

**ხელნაწერი**: ხეც. დიმ. ყიფიანის არქივი. საქმე №761. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1868 წ. 27 ივნისი. ხელმოუწერელი.

ტექსტს თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია (რუსულ ენაზე): „გენერალ-მაიორ ალ. ნიკ. მურავიოვს“.

წერილის ადრესატია ***ალექსანდრე ნიკოლოზის ძე მურავიოვი,*** რომელსაც 1860-იან წწ. გენერალ-მაიორის ჩინი აქვს და 1868 წლიდან კავკასიაში სახელმწიფო ქონების, ტყეების, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის სამმართველოში მსახურობს (იხ. შესაბამისი წლების „კავკაზსკი კალენდარ“).

[1] (გვ. 278) **„ბორჯომის მამულის მეათედ ნაწილთან დაკავშირებული ჩემი დავის...“** – საკითხის შესახებ იხ. აქვე, გვ. 302.

[2] (გვ. 279) **„ბარონ ალექსანდრე პავლეს ძისთვის...“** – იგულისხმება *ალ. ნიკოლაი,* რომელიც ამ დროს კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსია.

[3] (გვ. 279) **„იმავე წლის 9 მარტს გაგზავნილ წერილში...“** – იხ. აქვე, წერილი №186.

[4] (გვ. 279) **„4 მაისის წერილით ვაცნობე აწ განსვენებულ ვიტეს“** – იხ. აქვე, წერილი №191.

[5] (გვ. 279) **„გასული მაისის 14-ში“** – იხ. აქვე, წერილი №192.

## 194. დუშეთის მაზრის თავადაზნაურობისადმი
(გვ. 279-280)

**ნაბეჭდი**: თფილისის გუბერნიის კეთილ-შობილთ წინამძღოლისამიერ. „დროება“, 21.VI (3.VII), 1868, №25. დაუთარიღებელი. ხელმოუწერელი.

ა) ტექსტი, როგორც პუბლიკაციის სათაურიდან ჩანს, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლს ეკუთვნის, თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი“) კი ამ დროს ***დიმიტრი ყიფიანია;*** ბ) ვათარიღებთ (1868 წ. 3 ივლისი) პირველნაბეჭდის მიხედვით („დროების“ მოცემული ნომრის გამოცემის დღედ ორი თარიღია მი-

თითებული: 21 ივნისი და 3 ივლისი. პირველი მონაცემი ძველი სტილია, მეორე კი – ახალი სტილი). მანამდე [„დროება“, 14 (26).VI, გამოქვეყნდა განცხადების შემოკლებული ვერსია, ხოლო მომდევნო დღეებში (№№26-28) გამეორებულია წინამდებარე ვერსია].

[1] (გვ. 279) **„კავკასიის ნამესტნიკისათა...“** – იგულისხმება კავკასიის მეფისნაცვალი (ნამესტნიკი) *მიხეილ ნიკოლოზის ძე (რომანოვი).*

[2] (გვ. 279) **„უეზდის წინამძღომელისა და დეპუტატისა კეთილშობილთ სადეპუტატო სობრანიისათვის“** – აქ ნახსენებ შეკრებაზე დუშეთის ახალაღდგენილი (1867 წ.) მაზრის (უეზდის) თავადაზნაურობის წინამძღოლად აირჩიეს *დავით ლუარსაბის ძე ერისთავი* (კავკაზსკი კალენდარ 1869: 27), ხოლო რაც შეეხება თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს (სობრანიის) დუშეთის წარმომადგენლს, ეს ადგილი ერთხანს ვაკანტური იყო, ხოლო 1871 წლიდან დეპუტატი *ზურაბ ზაალის (ზაქარიას) ძე გედევანიშვილი* ხდება (კავკაზსკი კალენდარ 1871: 26).

[3] (გვ. 280) **„ჰსჯულთა უგოლოვნისა და ისპრავიტელის სტატ. ... აღმორჩევის სამსახურსა ზედა“** – სისხლის სამართლისა და [მართლმსაჯულების] აღსრულების კანონთა მუხლები (სტატიები) არჩევითი თანამდებობების შესახებ.

## 195. კონსტანტინე დადიანისადმი
(გვ. 280-281)

**ხელნაწერი**: ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №712. ავტოგრაფი. პირი. ქართულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1868 წ. 3 აგვისტო. გორდი. **ხელმოწერა:** დიმ. ყიფიანი.

ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 476-477.

[1] (გვ. 280) **„გამასწორებინოთ ჩემი ანგარიში მათ წინაშე, რომელთაგან მონდობილი მე თქვენზედ გარდმოვიღე“** – ა) *მათ წინაშე:* იგუ-

ლისხმებიან ეკატერინე დადიანი და ნიკოლოზ დადიან-მინგრელს-კი; ბ) *თქვენზედ გარდმოვიღე:* დიმ. ყიფიანის მიერ მინდობილობის კ. დადიანისთვის გადაცემის შესახებ იხ. წერილები №№166, 177.

## 196. კონსტანტინე დადიანისადმი
(გვ. 281)

**ხელნაწერი**: ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №713. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1868 წ. 9 აგვისტო. გორდი. ხელ-მოუწერელი.

თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია (რუსულ ენაზე): „თავად კონსტ. დადიანს".

ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 476-477.

[1] (გვ. 281) **„უგანათლებულეს კნეინას, როგორც ყოფილ მთავარ მეურვეს"** – იგულისხმება ეკატერინე დადიანი, რომელიც იყო *მთა-ვარი მეურვე* მცირეწლოვანი მთავრის, ნიკოლოზ დადიანისა (დიმ. ყიფიანი იყო ნ. დადიანის *ადგილ-მამულისა და ქონების* მეურვე).

[2] (გვ. 281) **„ანგარიში მე თვითონ უნდა წარვუდგინო"** – აქ ნახსე-ნები *ანგარიში* იხ. აქვე, მომდევნო წერილი ეკატერინე დადიანისად-მი (№197).

## 197. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 282-284)

**ხელნაწერი**: ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №707. უცნობი ხელით გადაწერილი პირი. რუსულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1868 წ. 9 აგვისტო. გორდი. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

საბუთის პირველ ფურცელზე დიმ. ყიფიანის ხელით წერია: „Второй процесс с Князем Мингрельским по званию управляющего

его имением с 4 окт. 1869“ [„მეორე პროცესი თავად მინგრელსკის-თან, მისი მამულის მმართველის წოდებით, 1869 წ. 4 ოქტომბრიდან“] და მასში, გარდა წინამდებარე ტექსტისა, შედის დიმ. ყიფიანის კიდევ ერთი წერილი ეკატერინე დადიანისადმი (1869 წ. 18 თებერვლის თა-რიღით), რომელიც მორიგ ანგარიშგებას წარმოადგენს (გამოქვეყ-ნდება შემდეგ ტომში). პირველ გვერდზე მითითებულია ადრესატის ვინაობა (რუსულ ენაზე): „მის უგანათლებულესობას, კნეინა ე. ა. და-დიანს“.

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 282) **„მე-4 დღეს ჩემი უფლება-მოვალეობები შეწყდა“** – 1867 წ. 4 იანვარს ნიკოლოზ დადიანი სრულწლოვანი გახდა, ამით სამეურვეო ვადა ამოიწურა და დიმ. ყიფიანის, როგორც ნ. დადიანის ადგილ-მამულისა და ქონების *მეურვის,* უფლებამოსილება თავის-თავად შეწყდა (საკითხის შესახებ იხ. აქვე, გვ. 438).

[2] (გვ. 283) **„ეს ვალებია...“** – აქ ნახსენები *ვალების* შესახებ იხ. ყიფიანი 2020: 22, 27-28, 32.

[3] (გვ. 283) **„თუ ... არ მოგართმევთ ამ თანხას ან ნაღდი ფულის, ან კანონით გათვალისწინებული სავალო ვალდებულების სახით...“** – საკითხის შესახებ იხ. წერილი №200.

## 198. კონსტანტინე ნიჟარაძისადმი
(გვ. 284)

**ხელნაწერი**: ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №713. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1868 წ. 9 აგვისტო. გორდი. ხელ-მოუწერელი.

თავზე დიმ. ყიფიანის ხელითვე აწერია (რუსულ ენაზე): „თავად ნიჟარაძეს“.

ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 470-471.

[1] (გვ. 284) **„შემოსავალ-გასავლის ანგარიში ... 1866 წლებისა“ –** საკითხის შესახებ იხ. წერილი №197.

## 199. ნიკოლოზ დადიან-მინგრელსკისადმი
(გვ. 285-286)

**ხელნაწერი**: ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №713. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1868 წ. 9 აგვისტო. გორდი. ხელ-მოუწერელი.

თავზე დიმ. ყიფიანის ხელითვე აწერია (რუსულ ენაზე): „თავად მინგრელსკის“.

ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 458-459.

[1] (გვ. 285) **„ანგარიში, კერძოდ, 1859 ... 1866 წლებისა“ –** საკითხის შესახებ იხ. წერილი №197.

[2] (გვ. 286) **„თქვენი კუთვნილი საზღვაო სანაპიროების გეგმის შესამუშავებლად“ –** ნ. დადიან-მინგრელსკის *კუთვნილი საზღვაო სანაპიროების* შესახებ იხ. აქვე, გვ. 244, 467-468.

## 200. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 287)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1872. ავტოგრაფი. დედანი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1868 წ. 11 სექტემბერი. სოფ. ქვიშხეთი. **ხელ-მოწერა:** Димитрий Кипиани.

დაცულია წერილის შავიც (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №461. ფ. 34), რომელსაც იქვე (ფ. 34-35) მოსდევს დიმ. ყიფიანისადმი ეკა-ტერინე დადიანის 1868 წ. 3 ნოემბრის წერილი (ავტორი ადრესატს სწერს: დავით ჭავჭავაძისთვის სესხად მიცემული 15 000 მან. მე-

ურვეობისაგან მორჩენილი და თქვენს ხელთ არსებული ფულიდან გადაიხადეთ, დანარჩენი თანხა კი მე გამომიგზავნეთო (საკითხის შესახებ იხ. აქვე, გვ. 267-268, 495)].

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 287) **„მიმდინარე აგვისტოს 9 რიცხვის წერილს...“** – იხ. წერილი №197.

[2] (გვ. 287) **„ვუგზავნი მის უგანათლებულესობას, თქვენს ვაჟს, თავად ნიკოლოზ დავითის ძეს“** – იხ. წერილი №201.

[3] (გვ. 287) **„ვაახლებ იმ დოკუმენტებს...“** – აქ ნახსენები *დოკუმენტების* რაობა ჩვენ ვერ გამოვარკვიეთ.

## 201. ნიკოლოზ დადიან-მინგრელსკისადმი

(გვ. 287-293)

**ხელნაწერი**: ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №758. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 6. **თარიღი:** 1868 წ. 11 სექტემბერი. ქვიშხეთი. ხელმოუწერელი.

თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია (რუსულ ენაზე): „თავად მინგრელსკის“.

ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 458-459.

[1] (გვ. 288) **„...ზემოხსენებული 21 120 მანეთიდან რომ მერგება“** – ამ და ქვემოთ ნახსენები რიცხობრივი მონაცემების შესახებ იხ. აგრეთვე, ყიფიანი 2020: 22-27.

[2] (გვ. 289) **„2 წლის განმავლობაში ხელთ არ ჰქონია არც საინვენტარო აღწერილობა...“** – მართალია, დიმ. ყიფიანმა სამეგრელოს სამთავრო სახლის უძრავ-მოძრავი ქონების ინვენტარიზაცია 1857 წ. ჩაატარა (იხ. ყიფიანი 2020: 79-118), მაგრამ ხელისუფლების მიერ მისი განხილვა და დამტკიცება გაჭიანურდა.

[3] (გვ. 289) **„მთავარი მეურვისთვის...“** – იგულისხმება *ეკატერინე დადიანი.*

[4] (გვ. 290) **„სამეგრელოს მმართველი...“** – იგულისხმება *მიხეილ კოლიუბაკინი.*

[5] (გვ. 291) **„თქვენი მეურვეობა, რომელსაც წარმოადგენდა ერთი პირი“** – *ერთი პირი:* აქ დიმ. ყიფიანი საკუთარ თავს გულისხმობს.

[6] (გვ. 291) **„ჩინოვნიკობის უმრავლესობა, თუ ყველა არა“** – ამ ფრაზას მოსდევს მონაკვეთი, რომელიც ავტორს გადახაზული აქვს:

> „ეს რომ უთანასწორო ბრძოლა იყო, ამას ერთი ასეთი მაგალითითაც დაინახავთ: ერთ-ერთი ჩინოვნიკი, გამოიყენა რა თავისი ძალაუფლება, დაეუფლა თქვენს მამულს. კერძოდ, თავადი მელიტონ დადიანი დაეპატრონა თავად გიორგი ჩიჩუას მამულს, რომელიც ჯერ კიდევ რუსული მმართველობის შემოღებამდე სავსებით კანონიერად იყო თქვენს საკუთრებას მიერთებული. ეს საქმე არა ერთხელ და ორჯერ განიხილებოდა ადმინისტრაციული წესით და ეს არის ერთადერთი პროცესი, რომელსაც მეურვეობა მიიჩნევს დროებით წაგებულად. დროებით-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ხსენებული ჩინოვნიკის თვითნებობა მხოლოდ ადმინისტრაციული წესითაა განხილული და მის შედეგს სასამართლო პროცესზე ვერ მიენიჭება ვერავითარი მნიშვნელობა, რადგანაც სამართალი თქვენს მხარესაა და ყველა თქვენი ლეგალური უფლება თავის დროზე იქნა გაცხადებული“.

## 202. ნიკოლოზ დადიან-მინგრელსკისადმი
(გვ. 293)

**ხელნაწერი**: ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №758. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 6. **თარიღი:** [1868 წ. 11 სექტემბერი. ქვიშხეთი]. ხელმოუწერელი.

თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია (რუსულ ენაზე): „თავად მინგრელსკის“.

ტექსტს თარიღი არ უზის. ***თარიღდება*** (1868 წ. 11 სექტემბერი) ნ. დადიან-მინგრელსკისადმი წინა (№201) წერილის მიხედვით [საბუთში მეორე (წინამდებარე) წერილი მოსდევს პირველს].

ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 458-459.

## 203. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 294)

**ხელნაწერი**: ხეც. დიმ. ყიფიანის არქივი. საქმე №708. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1868 წ. 20 სექტემბერი. ხელმოუწერელი.

თავზე დიმ. ყიფიანის ხელითვე აწერია (რუსულ ენაზე): „კნეინა დადიანს“.

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 294) **„თქვენი უგანათლებულესობის მიმდინარე სექტემბრის 2 რიცხვის წერილი №3“** – აქ ნახსენები *წერილი* (გამოგზავნილია გორდიდან) იხ. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1244 (უცნობი ხელით ნაწერი. რუსულ ენაზე. ფ. 1).

## 204. გრიგოლ დადიანისადმი
(გვ. 294-295)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1250. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1868 წ. 6 ნოემბერი. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 501.

[1] (გვ. 294) **„დავით ჭავჭავაძის საქმისას რომ მკითხავთ...“** – იგულისხმება ეკატერინე დადიანის ძმის, დავით ჭავჭავაძის, მიერ დიმ. ყიფიანისთვის ვალად ფულის გამორთმევა, რამაც მოგვიანებით ეკატერინე დადიანსა და დიმ. ყიფიანს შორის მორიგი უკმაყოფილება წარმოშვა (იხ. აქვე, გვ. 495). დაცულია დიმ. ყიფიანისადმი კონსტანტინე ნიჟარაძის 1868 წ. 18 ნოემბრის წერილი: „დედოფალმან მითხრა, რომ ჩვენ დიმიტრი ივანიჩისათვის სრულებით არ მოგვიწერიაო, რომ ვალი აიღეთ და ისთე მიეცით კნიაზს დავით ჭავჭავაძეს ფულებიო, არამედ შემოსავლისაგან მიეცითაო, და თუ რომ არ იყოსო, მაშინ უნდა ჩვენთვის შეეტყობინებინაო. ამის მიზეზით მე არა მსურსაო, რომ ჩემს ნიკოს ეხლა ის ფულები გამოურიცხონო, არამედ უნდა დაკმაყოფილდესო იმ ფულებისაგან, რომელიც ოპეკის განკარგულებაშიდ იყოო და ეგ ვალები თვითონ გარდახდევინოსო და მან დააკმაყოფილოსო. აგრე მივსწერე ბარონ ნიკოლაისაცაო...“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1544. ფ. 1).

[2] (გვ. 295) **„ანგარიში წარვუდგინე ... სეკტემბრის 11-ს“** – *11 სექტემბრის* ანგარიში იხ. აქვე, წერილი №201.

[3] (გვ. 295) **„პასუხი უნდა მომეკითხებოდეს ... განხილვის შემდგომად“** – აქვე, პირველ კომენტარში, მითითებულ წერილში კ. ნიჟარაძე დიმ. ყიფიანს სწერს: „თქვენგან გამოგზავნილი ატჩოტები (ანგარიშები – თ. ჯ.) და წიგნები მიუტანე ნიკოს და მან დედოფალს მიუტანა. წაკითხვით მაშინ არც ერთს წაუკითხავთ... მე მოვახსენე, რომ როსპისკები (ხელწერილები – თ. ჯ.) და ვექსილები მიიღეთ, რომელიც მაგ ატჩოტთან არის გამოგზავნილი და კვიტანცია (ქვითარი – თ. ჯ.) რომ გაუგზავნოთ მეთქი. ნიკომ მითხრა, რომ ეგ დედიჩემის საქმე არისაო და მაზედ მიმაპირა“. იქვეა დიმ. ყიფიანის მინაწერი (რუსულ ენაზე): „1868 წ. 3 დეკემბერს თავად ნიჟარაძეს თანდართულ ანგარიშთან ერთად გადასახდელად გავუგზავნე თავად კონსტ. დადიანის, პოლკოვნიკ [სპირიდონ] მაჭავარიანის, ბ-ნი სერჟპუტოვსკისა და დეკანოზ რომან ბორისოვის სავალო ვალდებულებები“.

[4] (გვ. 295) **„თქვენს კნეინას...“** – იგულისხმება გრ. დადიანის მეუღლე *ტერეზია მამია V გურიელის ასული* (ტერეზია გურიელ-დადიანის შესახებ იხ. ყიფიანი 2016: 398-399).

## 205. სიღნაღის მაზრის თავადაზნაურობისადმი
(გვ. 295)

**ნაბეჭდი**: გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა თფილისის ღუბერნიის კეთილ-შობილთ წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელისა. „დროება“, 1. XI, 1868, №44. დაუთარიღებელი. ხელმოუწერელი.

ა) განცხადება, როგორც პუბლიკაციის სათაურიდან ჩანს, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლისაა, თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი“) კი ამ დროს ***დიმიტრი ყიფიანია***;

ბ) ვათარიღებთ (1868 წ. 1 ნოემბერი) პირველნაბეჭდის მიხედვით. ტექსტი გამეორებულია მომდევნო ნომრებში („დროება“, 1868, №№45-47).

[1] (გვ. 295) **„კავკასიის ნამესტნიკისათა...“** – იგულისხმება კავკასიის მეფისნაცვალი (ნამესტნიკი) *მიხეილ ნიკოლოზის ძე.*

[2] (გვ. 295) **„სიღნაღის უეზდის კეთილშობილთ წინამძღომლის თანამდებობასა ზედა“** – აქ ნახსენებ შეკრებაზე სიღნაღის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლად („მარშლად“) აირჩიეს *ალექსანდრე ზაალის ძე აბაშიძე* (კავკაზსკი კალენდარ 1869: 27), 1870-იან წწ. სიღნაღის „მარშალი“ ჯერ *დავით ივანეს ძე ვაჩნაძეა*, შემდეგ კი – *ზაქარია ივანეს ძე ვაჩნაძე* (კავკაზსკი კალენდარ 1870: 26 და შმდ. წლებისა).

## 206. ეკატერინე დადიანისადმი
(გვ. 296)

**ხელნაწერი**: ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №709. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1868 წ. 13 ნოემბერი. ხელმოუწერელი.

ადრესატისა და მასთან დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2023: 407-409.

[1] (გვ. 296) **„მიმდინარე თვის 3 რიცხვში გამოგზავნილი წერილი“** – 1868 წ. 3 ნოემბერს ქუთაისიდან გაგზავნილ ამ წერილში ეკატერინე დადიანი გამოხატავს უკმაყოფილებას დიმ. ყიფიანის მოქმედებების გამო და მასვე აკისრებს მეურვეობის მიერ გასესხებულ ფულზე პასუხისმგებლობას (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1245. დედანი. რუსულ ენაზე. ფ. 1). დიმ. ყიფიანი თავის ბროშურაში „სამეგრელოს მთავრის სახლი და დიმიტრი ყიფიანი“ იმოწმებს ეკატერინე დადიანის წერილის თარგმანს, პუნქტობრივად განიხილავს ტექსტს და დაასკვნის: „ფულების გასესხება ნება კი არა, ვალდებულება იყო ჩემი. ზოგიერთი წვრილი ვალი, მაგალითად: კნ[ეინა] ავალიშვილისა; კნ[იაზ] ალ. ერისთავისა; დეკანოზის რომანოზ ბორისოვისა, მაჭავარიანისა, თურქისტანიშვილისა, მე ჩემს შესახვედრს წილში ჩავიგდე; და დანარჩენი, 17 130 მან. და კოპ., რომელზედაც მთავრინა იწერება, გასესხებულია არათუ ჩემის ნებით ანუ უფლებით, უმეტესი ნაწილი თვით მთავრინას სურვილით, ნებით, ანუ დამტკიცებით; და თუ მისს უგანათლებულესობას ეს გარემოება დავიწყებული აქვს, ადვილად მოვეხმარები ამის მოგონებაზედ“ (ყიფიანი 2020: 28-32; იხ. აგრეთვე, აქვე, წერილი №197).

# ᲓᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲐᲜᲘ


**აბრამიშვილი 1968:** აბრამიშვილი ა. ლიტერატურული წერილები. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1968.

**აბრამიშვილი 1961:** აბრამიშვილი ელ., დ. ყიფიანისა და გრ. ორბელიანის რამდენიმე უცნობი წერილი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მ ო ა მ ბ ე. III. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. 1961.

**ავალიანი 1967:** ავალიანი გ. რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან (ქართველი მხედართმთავრები რუსეთის არმიაში). თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1967.

**ალექსიევ-მესხიევი 1893**: ალექსიევ-მესხიევი ნ. შესახებ ბ. ნ. ბარათაშვილის ძეგლის დადგმისა. „ივერია“, 22.VI, 1893, №130.

**ანდრონიკაშვილი 1862:** თ. სოლომონ ანდრონიკოვის წერილები. „გუთნის-დედა“. 1862, №7.

**ასათიანი 1940**: ასათიანი ლ. ცხოვრება აკაკი წერეთლისა. თბილისი: ფედერაცია. 1940.

**ასათიანი 1979:** ასათიანი ი. თბილისის ქართული საადგილმამულო ბანკის დაარსება (1864-1875 წწ.). თბილისი: მეცნიერება. 1979.

**ასათიანი 1994:** ასათიანი ი. ილია ჭავჭავაძე და თბილისის ქართული საადგილმამულო ბანკი. თბილისი: მეცნიერება. 1994.

**აქტები 1904**: Акты, собранные Кавказской археографической комиссиею. Т. XII. Тифлис: Типография канцелярии Главноначальствующего гражданскою частью на Кавказе. 1904.

**ბალახაშვილი 1940:** ბალახაშვილი ი. ლიტერატურული წრეები და სალონები საქართველოში (XIX საუკუნის პირველი ნახევარი). თბილისი: საბლიტგამი. 1940.

**ბალახაშვილი 1966:** ბალახაშვილი ი. გრიბოედოვი და ნინო ჭავჭავაძე. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1966.

**ბერიძე 1963:** ბერიძე ვ. თბილისის ხუროთმოძღვრება. II (1801-1917 წლები). თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1963.

**ბერჟე 2021:** ადოლფ ბერჟეს მოგზაურობა სამეგრელოში 1862 წელს. თარგმნა გ. ანთელავამ. წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო ბ. ხორავამ. თბილისი: პეგასი. 2021.

**ბერძნიშვილი 1980:** ბერძნიშვილი მაქს. მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის. I. თბილისი: მეცნიერება. 1980.

**ბერძნიშვილი 1983**: ბერძნიშვილი მაქს. მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის. II. თბილისი: მეცნიერება. 1983.

**ბოროზდინი 1934:** ბოროზდინი კ. სამეგრელო და სვანეთი. 1854-1861. მოგონებანი. თარგმნილი თ. სახოკიას მიერ. [ტფილისი]: სახელმწიფო გამომცემლობა. 1934.

**გრიშაშვილი 1997**: გრიშაშვილი ი. ქალაქური ლექსიკონი (საარქივო მასალა). გამოსაცემად მოამზადა რ. კუსრაშვილმა. თბილისი: სამშობლო. 1997.

**გელეიშვილი 1914:** გელეიშვილი პ. ილია ჭავჭავაძე, როგორც პოეტი და პუბლიცისტი. თბილისი: 1914.

**გერსამია 1950**: გერსამია ს. გიორგი ერისთავის თეატრი. თბილისი: სახელგამი. 1950.

**გერსამია 2011:** გერსამია ს. დიმიტრი ყიფიანი და ქართული თეატრი. // საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი (მასალები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის). შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვა, ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თ. ჯოლოგუამ. III. თბილისი: ნეკერი. 2011.

**გიორგაძე 1972:** გიორგაძე თ. თამაშობს ანდრია დადიანი. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1972.

**გიორგაძე 2004:** გიორგაძე თ. რაინდული სულის მოჭადრაკე (წერილები ანდრია დადიანზე). თბილისი: [ცოდნა]. 2004.

**გიორგაძე 2012:** გიორგაძე თ. დადიანი ანდრია დავითის ძე. // საქართველო. ენციკლოპედია. [ტ.] 2. თბილისი: 2012.
**გოგიტიძე 2012:** გოგიტიძე მ. დადიანი კონსტანტინე ლევანის ძე. // საქართველო. ენციკლოპედია. [ტ.] 2. თბილისი: 2012.
**გოგიტიძე 2018:** გოგიტიძე მ. თუმანიშვილი ისააკ შიოს (სოლომონის) ძე. // საქართველო. ენციკლოპედია. [ტ.] 4. თბილისი: 2018.
**გოდერიძე 1978:** გოდერიძე ლ. მასალები ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ისტორიისათვის (1879-1900). „საისტორიო მოამბე". 37-38. 1978.
**გოზალიშვილი 1935:** გოზალიშვილი გ. 1832 წლის შეთქმულება. ტ. I. ტფილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1935.
**გოზალიშვილი 1970:** გოზალიშვილი გ. 1832 წლის შეთქმულება. ტ. II. თბილისი: მერანი. 1970.
**გრიშაშვილი 1952:** გრიშაშვილი ი. ალექსანდრე ჭავჭავაძის უმცროსი ქალის აკლდამა ვიბორგში. // ი. გრიშაშვილი. ლიტერატურული ნარკვევები. თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა. 1952.
**გუგუშვილი 1956**: გუგუშვილი პ. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. ტ. II. თბილისი: სახელგამი. 1956.
**გურგენიძე 2014:** გურგენიძე დ. ანდრია დადიანი: ცილისწამებიდან ჭეშმარიტებამდე. თბილისი: საქართველოს მაცნე. [2013].
**დიუმა 1970:** დიუმა ალ. კავკასია (მოგზაურობის შთაბეჭდილებანი). თარგმანი ფრანგულიდან თ. ქიქოძისა. რედაქცია, შესავალი წერილი და შენიშვნები ა. გაწერელიასი. თბილისი: მერანი. 1970.
**დროება 1866:** ტფილისის საქალაქო ამორჩევაზედ. „დროება", 2(14).XII, 1866, №40; 9(21).XII, 1866, №41.
**დროება 1867ა:** ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის შეყრილობაზედ. „დროება". 19(31).V, 1867, №20.
**დროება 1867ბ:** უქაზები მმართებელის სენატისადმი. „დროება". 27.I, 1867, №4.
**დროება 1867გ:** კეთილ-შობილთ კენჭის-ყრაზედ ტფილისის გუბერნიაში. „დროება" 16(28).VI, 1867, №24; 23.VI(5.VII), 1867, №25.

**დროება 1868ა:** შინაური ცნობანი („მოკლე გარდაწყვეტილება თბილისის სამოსამართლო პალატისა...“). 13(25). XII, 1868, №50.

**დროება 1868ბ:** ფრანცია („იმპერატორი ნაპოლეონის...“). „დროება“, 24.V(5.VI), 1868, №21.

**დროება 1868გ:** სხვა და სხვა ამბავი („ახილ მურატის ჯვარის წერა...“). „დროება“, 10 (22).V, 1868, №19.

**დროება 1876:** დღიური („გუშინწინ, მარტის 8-ს...“). „დროება“, 10.III, 1876, №25.

**დუნკელ-ველინგი 1863:** Дункель-Веллинг Н. „Тифлис, 19-го марта...“. „Кавказ“. 28.III, 1863. №25.

**ექსელბირტი 1868:** Эксельбирт М. О промышленной и торговой деятельности Закавказского края. Тифлис: 1868.

**ერისთავი 1878**: Еристов Д. Мои воспоминания о семействе Андреевских (1860-1868 гг.), „Тифлисский вестник“, 1878, N66-67.

**ერისთავი 1927:** ერისთავი რ. ბატონყმობა სამეგრელოში. // ბოროზდინი კ., ერისთავი რაფ., მურიე. ბატონყმობა სამეგრელოში. თარგმანი და წინასიტყვაობა თ. სახოკიასი. ტფილისი: გამომცემელი ერმოლაოზ წულაია. 1927.
https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/201508
(07.08.2024)

**ერისთავი 2022:** ერისთავი ე. მემუარები. გამოსაცემად მოამზადა, რუსული ტექსტები თარგმნა და სამეცნიერო აპარატი დაურთო მ. ცერცვაძემ. თბილისი: არტანუჯი. 2022.

**ზისერმანი 1890**: Зиссерман А. Д. Фельдмаршал князь Александр Иванович Барятинский. 1815-1879. т. II. Москва: 1890.

**ზისერმანი 1891**: Зиссерман А. Д. Фельдмаршал князь Александр Иванович Барятинский. 1815-1879. т. III. Москва: 1891.

**თავზიშვილი 1974**: თავზიშვილი გ. სახალხო განათლება და პედაგოგიკური იდეები მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში. // გ. თავზიშვილი. რჩეული ნაწერები. ტ. I. ი. ბოცვაძის რედაქციით. თბილისი: განათლება. 1974.

**თელია 1989:** თელია ა. ქართული სათავადაზნაურო ბანკი და ილია ჭავჭავაძე. თბილისი: განათლება. 1989.

**ივერია 1887:** ახალი ამბავი („დიმიტრი ყიფიანის ნათესავთა...“). „ივერია“, 3.XI, 1887, №229.

**ივერია 1901:** ახალი ამბავი („6 იანვარს, საღამოს ექვს საათზედ ტფილისში გარდაიცვალა...“). „ივერია“, 9.I, 1901, №6.

**კავკაზ 1861:** Высочайшее путешествие Государя Императора по Кавказу. „Кавказ“. 5.X, 1861. №78.

**კავკაზ 1863:** Кавказская летопись („Тифлис, марта 17-го...“). „Кавказ“. 17.III, 1863. №22.

**კავკაზ 1864**[ა]: Кавказская летопись. Известие о последних военных действиях на западном Кавказе. „Кавказ“. 11/23.VI, 1864, №44.

**კავკაზ 1864**[ბ]: Кавказская летопись. Тифлис. 9-го июня. „Кавказ“. 18/30.VI, 1864, №46.

**კავკაზ 1864**[გ]**:** Устав Кавказского медицинского общества. „Кавказ“. 4/16.VI, 1864, №42.

**კავკაზ 1876:** Кавказская летопись („10-ого марта происходила печальная церемония...“). „Кавказ“. 12/24.III, 1876. №31.

**კავკასიის ფრანგული... 2018:** კავკასიის ფრანგული დღიური. პროექტის ხელმძღვანელი რ. თურნავა. თბილისი: მწიგნობარი. 2018.

**კალანდაძე 1985:** კალანდაძე ალ. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია. ტ. III. თბილისი: განათლება. 1985.

**კიკნაძე 2020:** კიკნაძე ლ. ალექსანდრე ჭავჭავაძის შთამომავლობა. თბილისი: კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. 2020.

**კობახიძე 1971:** კობახიძე ლ. დიმიტრი ყიფიანის უცნობი წერილი. „საბჭოთა ხელოვნება“, 1971, №3.

**ლოლაშვილი 1980:** ლოლაშვილი ი. 20 წელი გიორგი ლეონიძესთან. თბილისი: მერანი. 1980.

**მაჭარაშვილი 1895**: მაჭარაშვილი ნ. აღწერა მთა-წმიდის ეკკლესიისა და წმ. დავითის ცხოვრებისა. ტფილისი: 1895.

**მახათაძე 1967:** მახათაძე ნ. ქართული კულტურის კერა პეტერბურგში (XVIII-XIX სს.). თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1967.

**მეგრელიძე 1997:** მეგრელიძე ი. სიძველეები ლიახვის ხეობაში (პატარა ლიახვის, ფრონის, ფაწისა და ჯეჯორის ხეობები). წგნ. II. თბილისი: სამშობლო ფორტე. 1997.

**მენაბდე 1995:** მენაბდე დ. ქართულ-რუსული კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან. „მაცნე“ (ელს), 1995, №1-4.

**მეუნარგია 1954ა**: მეუნარგია ი. ცხოვრება და პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა. // ი. მეუნარგია. ქართველი მწერლები. სოლ. ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვითა და შენიშვნებით. I. თბილისი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა. 1954.

**მეუნარგია 1954ბ**: მეუნარგია ი. გრიგოლ დადიანი (კოლხიდელი). // ი. მეუნარგია. ქართველი მწერლები. სოლ. ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვითა და შენიშვნებით. I. თბილისი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა. 1954.

**მეუნარგია 1957:** მეუნარგია ი. დავით დადიანი და მისი დრო. // ი. მეუნარგია. ქართველი მწერლები. II. შედგენილი ს. ცაიშვილის მიერ, მისივე რედაქციით, წინასიტყვითა და შენიშვნებით. თბილისი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა. 1957.

**მეფარიშვილი 1971**: მეფარიშვილი ლ. რუს და ქართველ ხალხთა კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან (ნ. ონიკაშვილის მოგზაურობა თბილისიდან პეტერბურგამდე). „საისტორიო მოამბე“. 25-26. 1971.

**მიქაძე 1962**: მიქაძე გ. გიორგი თუმანიშვილი. // კრბ. „ძველი ქართული მწერლობის საკითხები (I. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. 1962).

**მნათობი 1969:** ნეკროლოგი. „მნათობი“, 1969, [№11-12] (ნოემბერი-დეკემბერი).

**მწყემსი 1887**: ახალი ამბები და შენიშვნები („ამ ორის წლის წინად...“). „მწყემსი“, 1887, №21.

**ნანიტაშვილი... 2004**: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. თანამედროვეთა მოგონებები. შემდგე-

ნელი ლ. ნანიტაშვილი. წინასიტყვაობა, რედაქცია, ბიბლიოგრაფია და შენიშვნები, სახელთა საძიებელი ს. ხუციშვილისა. თბილისი: რჩეული. 2004.
**ორბელიანი 1936:** ორბელიანი გრ. წერილები (1832-1850). ა. გაწერელიას რედაქციით და შენიშვნებით. კ. გორდელაძის წინასიტყვაობით. ტ. I. ტფილისი: სახელმწიფო გამომცემლობა. 1936.
**ორბელიანი 1937:** ორბელიანი გრ. წერილები (1851-1859). ა. გაწერელიას რედაქციით და შენიშვნებით. ტ. II. ტფილისი: სახელმწიფო გამომცემლობა. 1937.
**ორბელიანი 1959**: ორბელიანი გრ. დიმიტ[რი] ონ[იკაშვილ]ის დარდები. // გრ. ორბელიანი. თხზულებათა სრული კრებული. ა. გაწერელიასა და ჯ. ჭუმბურიძის შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით. თბილისი: საბჭოთა მწერალი. 1959.
**ორბელიანი 1965**: ორბელიანი ს.-ს. ლექსიკონი ქართული. // ს.-ს. ორბელიანი. თხზულებანი (ოთხ ტომად). ტ. $IV_1$. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ი. აბულაძემ. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1965.
**ორბელიანი 2001**: გრიგოლ ორბელიანის ორი ბარათი დიმიტრი ყიფიანისადმი. პუბლიკაცია მოამზადა თ. ჯოლოგუა. „მწიგნობარი – 01“. თბილისი: 2001.
**ორბელიანი 2018:** ორბელიანი გრ. [წერილები]. // XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. VIII [გრ. ორბელიანი (ნაწ. VII)]. ტომის რედაქტორები: ქ. გიგაშვილი, მ. ნინიძე. თბილისი: უნივერსალი. 2018.
**ორბელიანი 2023ა:** ორბელიანი ალ., ვარანცოვთან ჩემი დაბეზღება. // ალ. ორბელიანი. თხზულებათა სრული კრებული (ხუთ ტომად). რ. ჩხეიძის მთავარი რედაქტორობით. ტ. III (ტომი გამოსაცემად მოამზადეს, სამეცნიერო აპარატი, შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთეს რ. ჩხეიძემ და ნ. ვახანიამ). თბილისი: სამშობლო. 2023.
**ორბელიანი 2023ბ:** ორბელიანი ალ. თხზულებათა სრული კრებული (ხუთ ტომად). რ. ჩხეიძის მთავარი რედაქტორობით. ტ. V (ტომის შემდგენელნი თ. ჯოლოგუა და ჯ. გაბოძე. თ. ჯოლოგუას შე-

ნიშვნებით, კომენტარებითა და საძიებლებით). თბილისი: შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუ-ტი. 2023.

**რატიანი 1984:** რატიანი პ. თერგდალეულთა რევოლუციური მოღვა-წეობის ისტორიიდან. // პ. რატიანი. რჩეული ნაწერები (სამ ტო-მად). ტ. I. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1984.

**სასულიერო მახარებელი 1865:** უწყება მიცვალებულთა-თვის. „სა-ქართველოს სასულიერო მახარებელი“. 1865, №1 (იანვარი).

**საქართველო 1916:** დიმიტრი ყიფიანის წერილებიდან. გაზ. „საქარ-თველო“. 16.I, 1916. №11.

**საშვილიშვილო მოკავშირე... 1997:** საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი (მასალები XIX საუკუნის ქართული საზოგა-დოებრივი აზრის ისტორიისათვის). შეადგინა, გამოსაცემად მო-ამზადა, რუსული ტექსტები თარგმნა, წინასიტყვა, ბიბლიოგრა-ფიული შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თ. ჯოლოგუამ. I. თბილისი: ლომისი. 1997.

**საშვილიშვილო მოკავშირე... 2007:** საშვილიშვილო მოკავშირე – დი-მიტრი ყიფიანი... II. თბილისი: ზეკარი. 2007.

**სახალხო გაზეთი 1911:** გლეხთა განთავისუფლება და დიმიტრი ყი-ფიანი. „სახალხო გაზეთი“. 19.II, 1911, №236.

**ტატიშვილი 2007:** ტატიშვილი გ. მოგონებანი. // საშვილიშვილო მო-კავშირე – დიმიტრი ყიფიანი... II. თბილისი: ზეკარი. 2007

**უთურაშვილი 1989:** უთურაშვილი ი. დიმიტრი ყიფიანი. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1989.

**ფურცელაძე 1861:** ფურცელაძე ა. უფალო რედაკტორო! „ცისკარი“, 1861, №12.

**ფურცელაძე 1912**: Пурцеладзе А. Наши общественные дела и участие в них Вахтанга Тулаева. „Закавказская речь“, 1912, №132.

**ფურცელაძე 2007:** ფურცელაძე ა. ჩვენი საზოგადოებრივი საქმეე-ბი და მათში ვახტანგ თულაშვილის მონაწილეობა (ნაწყვეტები). // საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი (მასალები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის).

შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვა, ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თ. ჯოლოგუამ. II. თბილისი: ზეკარი. 2007.

**ქეგლ 1950:** ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. ტ. I. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. 1950.

**ქეგლ 1962:** ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. ტ. VII. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. 1962.

**ქსე 1987:** ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 11. თბილისი: 1987.

**ყიფიანი 29**: დიმ. ყიფიანის ნამსახურობის სია [1831-1864 წწ.]. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №29.

**ყიფიანი 1894:** ყიფიანი ნიკ. დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება. „მოამბე“, 1894, №4. [განყ.] X.

**ყიფიანი 2007:** ყიფიანი ნ. მოგონებანი (ნაწყვეტი). // საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი... II. თბილისი: ზეკარი. 2007.

**ყიფიანი 2014:** დიმიტრი ყიფიანი – 200. პროექტის ავტორი და კრებულის შემდგენელი ბ. კობაძე. თბილისი: სვეტი. 2014.

**ყიფიანი 2016:** ყიფიანი დიმ. თხზულებანი (ათ ტომად). ტ. I. შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თ. ჯოლოგუამ. თბილისი: არტანუჯი. 2016.

**ყიფიანი 2017:** ყიფიანი დიმ. თხზულებანი (ათ ტომად). ტ. II. შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თ. ჯოლოგუამ. თბილისი: ეროვნული ბიბლიოთეკის გამომცემლობა. 2017.

**ყიფიანი 2018:** ყიფიანი დიმ. თხზულებანი (ათ ტომად). ტ. III. შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თ. ჯოლოგუამ. თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. 2018.

**ყიფიანი 2019:** ყიფიანი დიმ. თხზულებანი (ათ ტომად). ტ. III. შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, შენიშვნები, კომენტარები და

საძიებლები დაურთო თ. ჯოლოგუამ. თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. 2019.

**ყიფიანი 2020:** ყიფიანი დიმ. თხზულებანი (ათ ტომად). ტ. V. შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თ. ჯოლოგუამ. თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. 2020.

**ყიფიანი 2021:** ყიფიანი დიმ. თხზულებანი (ათ ტომად). ტ. VI. შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თ. ჯოლოგუამ. თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. 2021.

**ყიფიანი 2023:** ყიფიანი დიმ. თხზულებანი (ათ ტომად). ტ. VII. შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო თ. ჯოლოგუამ. თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. 2023.

**შენგელია... 2018:** შენგელია რ., ჩიხლაძე ნ. კავკასიის სამედიცინო საზოგადოება. // საქართველო. ენციკლოპედია. [ტ.] 4. თბილისი: 2018.

**ჩუბინაშვილი 1973**: ჩუბინაშვილი ნ. რუსულ-ქართული ლექსიკონი. ალ. ღლონტის რედაქციითა და წინასიტყვაობით. II. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1973.

**ჩხეიძე 2011:** ჩხეიძე რ. ქართული დუელიანა. თბილისი: 2011.

**ჩხეტია 1950:** ჩხეტია შ. საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში. თბილისი: საქართველოს სსრ შსს საარქივო სამმართველო. 1950.

**ცისკარი 1864:** „კახეთიდგან მივიღეთ ორი ქადაგება თავადის არჩილ იოანეს ძის ანდრონიკოვის გარდაცვალებაზედ...“ „ცისკარი“. 1864. №1.

**ცნობის ფურცელი 1903:** ახალი ამბავი („17 მარტს ტფილისში უეცრად გარდაიცვალა თავ. ნ. დ. ჭავჭავაძე...“). „ცნობის ფურცელი. 19.III, 1903. №2101.

**წერეთელი 1958**: წერეთელი ა. ჩემი თავგადასავალი. // ა. წერეთელი თხზულებათა სრული კრებული (თხუთმეტ ტომად). გ. აბზიანიძის საერთო რედაქტორობით. ტ. VII. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1958.

**ჭავჭავაძე 1955:** ჭავჭავაძე ი. ნინო ბაგრატიონი. // ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული (ათ ტომად). პ. ინგოროყვას რედაქტორობით. თბილისი: საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა. 1955.

**ჭილაია 1969:** ჭილაია ს. ეკატერინე ჭავჭავაძე. თბილისი: ნაკადული. 1969.

**ჭუმბურიძე 2004-2005:** ჭუმბურიძე მ. თედო ხოშტარიას მოგონებები. „საისტორიო მოამბე“. №79-80. 2004-2005.

**ხელთუბნელი 1938:** ხელთუბნელი მიხ. სალიტერატურო-საზოგადოებრივი წარსულიდან (მიხეილ თუმანიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა). თბილისი: ფედერაცია. 1938.

**ხელიძე 1865:** Хелидзе Г. Некролог. „საქართველოს სასულიერო მახარებელი“. 1865, №1 (იანვარი).

**ხუნდაძე 1936:** ხუნდაძე სიმ. დიმიტრი ყიფიანი. ტფილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1936.

**ხუციშვილი 1961**: ქართველ მოღვაწეთა ნეკროპოლი. შეადგინა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ს. ხუციშვილმა. წგნ. I. თბილისი: საქართველოს სსრ წიგნის პალატის გამოცემა. 1961.

**ჯოლოგუა 1997**: ჯოლოგუა თ. ელიზბარ ერისთავის ბარათი დიმიტრი ყიფიანისადმი. // „ელიზბარ ერისთავი“ (კრებულის შემდგენელ-რედაქტორი რ. ჩხეიძე). თბილისი: ლომისი. 1997.

**ჯოლოგუა 2002**: ჯოლოგუა თ. დიმიტრი ყიფიანი (1830-1860 წლები). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2002.

**ჯოლოგუა 2022ა:** ჯოლოგუა თ. ტფილისის კერძო ბიბლიოთეკა (1842-1848). // თ. ჯოლოგუა. ნარკვევები. ლიტერატურული პორტრეტები. პუბლიკაციები. თბილისი: არტანუჯი. 2022.

**ჯოლოგუა 2022ბ:** ჯოლოგუა თ. ყიფიანთა ქვიშხეთის კარის ეკლესიის ისტორიისათვის. // დიმიტრი ყიფიანისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „დიმიტრი ყიფიანი და საქართველო“ (კონფერენციის მასალები. დეკემბერი, 2021). ხაშური: ხაშურის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანება. ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. 2022.

**ჯოლოგუა 2022ა:** ჯოლოგუა თ. შეთქმული ქალები. მანანა ორბელიანი. // თ. ჯოლოგუა. ნარკვევები. ლიტერატურული პორტრეტები. პუბლიკაციები. თბილისი: არტანუჯი. 2022.
**ჯორჯაძე 1989**: ჯორჯაძე ა. დიმიტრი ყიფიანი (ცხოვრების, აზროვნების და მოღვაწეობის მატიანე). // ა. ჯორჯაძე. წერილები. შემდგენელი ა. ბაქრაძე. თბილისი: მერანი. 1989.

# შემოკლებანი

**ა. თ.** – ამა თვის.
**არქ.** – არქივი.
**აღწ.** – აღწერილობა.
**გაზ.** – გაზეთი.
**განყ.** – განყოფილება.
**დ.** – დაბა.
**დეისტ. სტ. სოვ.** – დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი (ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი; Действительный статский советник).
**ეგზ.** – ეგზემპლარი.
**ელს** – ენისა და ლიტერატურის სერია.
**ზსიამ. ლ. ა.** – ზუგდიდის დადიანების სასახლეთა სახელმწიფო ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი. ლიტერატურული არქივი.
**თ (თავ., თ-დი)** – თავადი.
**ინტერნ.** – ინტერნეტი.
**იხ.** – იხილე.
**კ. (კაპ.)** – კაპიკი.
**კნ.** – კნიაზი/კნეინა.
**კომენტ.** – კომენტარი.
**კრბ.** – კრებული.
**მ. (მან.)** – მანეთი.
**მ-მ** – მადამ.
**ნაწ.** – ნაწილი.
**პერს.** – პერსონაჟი.
**ჟ.** – ჟურნალი.
**საქ.** – საქმე.
**სახელგამი** – სახელმწიფო გამომცემლობა.
**სეა** – საქართველოს ეროვნული არქივი.

**სთმკქმ** – საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმი – ხელოვნების სასახლე.
**სსრ** – საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.
**სტატ.** – სტატია (მუხლი ტექსტისა).
**ფ.** – ფურცელი.
**ფსევდ.** – ფსევდონიმი.
**ქ.** – ქალაქი.
**ქეგლ** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი.
**ქლსმ** – გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი.
**ქსე** – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.
**ქშწ-კგ საზოგადოება** – ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.
**შმდ.** – შემდეგ, შემდგომი.
**შსს** – შინაგან საქმეთა სამინისტრო.
**წგნ.** – წიგნი.
**წმ.** – წმინდა.
**ხეც** – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

**ДСС** (**Д.С.С.**) – Действительный статский советник (ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი).
**К** (коп.) – Копейка (კაპიკი).
**Р** (руб.) – Рубль (რუბლი/მანეთი).
**Ч.** – Часть (ნაწილი).

**M-lle** – Mademoiselle (მადმუაზელ; საფრანგეთსა და ზოგ სხვა ქვეყანაში: გაუთხოვარი ქალი ან მისდამი მიმართვა).
**M-me** – Madame (მადამ; საფრანგეთსა და ზოგ სხვა ქვეყანაში: გათხოვილი ქალი ან მისდამი მიმართვა)
**Mr** – Mister (mister; მამაკაცი ან მისდამი მიმართვა ინგლისურენოვან საზოგადოებაში).
**r** – რექტო [წიგნის ან ხელნაწერის წინა (კენტი) გვერდი].
**v** – ვერსო [წიგნის ან ხელნაწერის უკანა (ლუწი) გვერდი].

# საძიებლები

## პირთა

### ა

**აბაშიძე** (ქალიშვილობის გვარი **თარხნიშვილი)** – 154, 408
**აბაშიძე ალექსანდრე** – სიღნაღის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი (1868-1869 წწ.) – 531
**აბაშიძე ანა** (დაბ. 1852) – კახელი თავადიშვილი – 493
**აბაშიძე დიმიტრი** – ქართლელი თავადი (გორის მაზრიდან) – 260, 484
**აბაშიძე სალომე (შაშიკო)** – დიმ. ყიფიანის მოწილე სააბაშიო ტერიტორიის ტყეებში – 14, 260, 483, 484
**აბაშიძე ჯიბრაილ** – დიმ. ყიფიანის მოწილე სააბაშიო ტერიტორიის ტყეებში – 261, 484
**აბაშიძეები** – თავადური საგვარეულო იმერეთში, ქართლში, კახეთსა და აჭარაში – 484
**აბზიანიძე გიორგი** (1907-1976) – ლიტერატურათმცოდნე, ძირითადად იკვლევდა XIX ს. ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიას – 524
**აბრამიშვილი ანდრია (ანდრო)** (1910-1983) – ფილოლოგი, იკვლევდა ლენინგრადის (ამჟამად პეტერბურგის) სიძველეთსაცავებში დაცულ ქართულ მასალას. 1975 წლიდან მოღვაწეობდა საქართველოში – 344, 515
**აბრამიშვილი ელისო** – ფილოლოგი, ტექსტოლოგი – 335, 341, 343, 364, 515

**აბულაძე ილია** (1901-1968) – ქართველოლოგი, არმენოლოგი, პალეოგრაფი, ლექსიკოგრაფი – 521

**აბულაძე ნანა** – ფილოლოგი, დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის საგანმანათლებლო პროექტების კურატორი – 327

**აბხაზი დიმიტრი (1813-1868)** – კახელი (კარდანახიდან) თავადი, ალექსანდრე (კოხტა) აბხაზის (1838-1913) მამა – 400

**აბხაზი სალომე** – ეკატერინე დადიანის ოჯახის ახლობელი – 502

**ავალიანი გიორგი** – ისტორიკოსი – 463, 477, 515

**ავალიშვილები** – ქართლელი თავადები, ბორჯომის ხეობის მემამულეები – 17-20, 79, 80, 163, 219, 249, 259, 270, 272-274, 302, 350, 424, 446

**ავალიშვილი ზურაბ** (გარდ. 1853) – ქართლელი თავადი, ბორჯომის ხეობის მემამულე – 18-20, 302, 481, 482, 496

**ავალიშვილი ზურაბ დიმიტრის ძე** (1818-1884) – ქართლელი თავადი, გენერალი (1865 წ. პოლკოვნიკია) – 427

**ავალიშვილი (ავალოვისა) მართა** – ეკატერინე დადიანის ოჯახის ახლობელი – 502

**ავალიშვილი ნინო (ნინა)** – ეკატერინე დადიანის ოჯახის მოვალე – 283, 514

**ავთანდილოვი (ავთანდილაშვილი) ზაალ (ზაქარია)** (1813-დაახლ. 1868) – ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი (Действительный статский советник), 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (გადაასახლეს ქ. პერმში), კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს საქმეთა მმართველი (1865 წლიდან), თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის დამფუძნებელი კომიტეტის წევრი (1867) – 400

**აკოფოვი სტეფანე** – იაკობ ზუბალაშვილის (1792-1864) სიძე, ქუთაისში კათოლიკური ეკლესიის მშენებელთა კომიტეტის წევრი (1850-იანი წწ.) – 99

**ალექსანდრა იოსების ასული** (ქალიშვილობაში – პრინცესა **ალექსანდრა საქსენ-ალტენბურგელი)** (1839-1891) – დიდი მთავრის,

კონსტანტინე ნიკოლოზის ძის (1827-1892), მეუღლე, მისტიკოსი და სპირიტუალისტი – 366

**ალექსანდრე I** (1777-1825) – რუსეთის იმპერატორი 1801-1825 წწ. – 462

**ალექსანდრე II** (1818-1881) – რუსეთის იმპერატორი (1855-1881) – 304, 322-324, 330, 333, 335, 339, 351, 361, 368, 383, 386, 390, 398, 411, 424, 438, 455, 458, 464, 468, 476

**ალექსანდრე III** (1845-1894) – რუსეთის იმპერატორი (1881-1894) – 425

**ალექსანდრე ივანეს ძე** – იხ. **ბარიატინსკი ალექსანდრე**

**ალექსანდრე პავლეს ძე** – იხ. **ნიკოლაი ალექსანდრე**

**ალექსანდროვა** – 40

**ალექსი თედორეს ძე** – იხ. **კრუზენშტერნი ალექსი**

**ალექსი-მესხიშვილი (ალექსიევ-მესხიევი) იაკინთე** (1805-1878) – ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი (Действительный статский советник). სხვადასხვა დროს: ახალციხის, ქუთაისის, თელავის მაზრების უფროსი, თბილისის გენერალ-გუბერნატორის კანცელარიის მმართველი. გარდაიცვალა სოფ. ჭალაში (გორის მაზრა). დაკრძალულია სამთავისის ტაძარში – 308, 400

**ალექსი-მესხიშვილი (ალექსიევ-მესხიევი) ნიკოლოზ (ნიკო)** (1840-1908) – პუბლიცისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, სახელმწიფო მოხელე (1870-იანი წლებიდან მაზრის უფროსი იყო ახალციხეში, თიანეთში, დუშეთში), ი. ჭავჭავაძის სტუდენტობისდროინდელი მეგობარი (რუსულ ენაზე თარგმნა და გამოსცა ილიას „ქვათა ღაღადი“), გაზეთ „კვალის“ ოფიციალური რედაქტორ-გამომცემელი (1903-1904; ფაქტობრივი რედაქტორი – ნოე ჟორდანია). გარდაიცვალა სოფ. ჭალაში (გორის მაზრა). დაკრძალულია სამთავისის ტაძრის გალავანში – 515

**ალომი ლუი** – სამეგრელოს სამთავრო ოჯახის იჯარადარი – 7, 53, 327

**ამილახვარი ნინო** – ეკატერინე დადიანის ოჯახის ახლობელი – 502

**ამილახვრები** – ქართლის თავადური საგვარეულო – 424

**ანა** (წმ.) – მარიამ ღვთისმშობლის დედა. რუსეთში დაარსებული იყო წმ. ანას ორდენი, რომელსაც როგორც სახელმწიფო, ისე სამხედრო დამსახურებისთვის ანიჭებდნენ – 32, 311, 335, 411

**ანა ილიას ასული** – იხ. **ბაგრატიონ-გრუზინსკაია ანა**

**ანდრეევსკაია ბარბარე** – იხ. **თუმანიშვილ-ანდრეევსკაია ბარბარე**

**ანდრეევსკი ერასტი** (1809-1872) – მედიცინის დოქტორი, ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი (Действительный статский советник), კავკასიის მეფისნაცვალ მიხ. ვორონცოვის პირადი ექიმი. გარდაიცვალა ოდესაში, იქვეა დაკრძალული – 166, 412

**ანდრია** – იხ. **დადიანი (დადიან-მინგრელსკი) ანდრია**

**ანდრონიკაშვილი არჩილ** (1833-1863) – გენერალ ივანე ანდრონიკაშვილის (1798-1868) ვაჟი, სამხედრო პირი. განსაკუთრებით ისახელა თავი ბაშკადიკლარის ცნობილ ბრძოლაში (1853 წ.). დაკრძალულია ქოდალოში, ანდრონიკაშვილთა საგვარეულო აკლდამაში – 365, 524

**ანდრონიკაშვილი დავით** (დაბ. 1810) – კახელი თავადი – 493, 494

**ანდრონიკაშვილი ივანე (იოანე)** (1798-1868) – გენერალ-ლეიტენანტი, თბილისის სამხედრო გუბერნატორი და გუბერნიის სამოქალაქო ნაწილის მმართველი (1849-1856), ელენე ერეკლე II-ის ასულის (1753-1784) შვილიშვილი. 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (ვერ დაუმტკიცეს და გაათავისუფლეს). გარდაიცვალა მშობლიურ სოფ. ქოდალოში, იქვეა დაკრძალული – 8-11, 13, 64, 70, 105, 148, 168, 172, 174, 175, 241, 335, 336, 341, 342, 364-366, 399, 400, 414-418, 466, 472, 484

**ანდრონიკაშვილი მარიამ** (დაბ. 1842) – კახელი თავადიშვილი, დავით ანდრონიკაშვილის (დაბ. 1810) ას. – 494

**ანდრონიკაშვილი რევაზ** (1818-1877) – გენერალ-ლეიტენანტი, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი (1870-1877), ი. ჭავჭავაძის ცნობილი „გამოცანების“ ერთ-ერთო ადრესატი („ულვაშსრული, მელოტია...“). დაკრძალულია თბილისში, ქაშვეთის ეკლესიაში – 344, 386, 400, 472, 484

**ანდრონიკაშვილი ნინო** – იხ. **ჩოლოყაშვილ-ანდრონიკაშვილი ნინო**

**ანდრონიკაშვილი სიმონ** (1849-1919) – კახელი თავადი, დავით ანდრონიკაშვილის (დაბ. 1810) ძე – 492-494

**ანდრონიკაშვილი სოლომონ** (1812-1868) – პოლკოვნიკი, სიღნაღის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი“) (1848-1866). დაკრძალულია სოფ. ბაკურციხის ეკლესიაში – 8, 14, 72, 267, 339, 343, 344, 375, 491-493, 515

**ანენკოვა ევდოკია** – იხ. **მერდერი ევდოკია**

**ანთელავა გიორგი** – თურქოლოგი, ლიტერატორი, მთარგმნელი – 516

**ანნა ილინიშნა** – იხ. **ბაგრატიონ-გრუზინსკაია ანა**

**ანტონოვი ზურაბ** (1820-1854) – დრამატურგი, თეატრალური მოღვაწე – 325

**ანტონოვიჩი ნიკოლოზ** – პეტრე ლადინსკის ანდერძის ერთ-ერთი აღმსრულებელი – 274, 276, 458, 499, 500

**აპოსტოლოვი გრიგოლ** – პეტრე ლადინსკის ანდერძის ერთ-ერთი აღმსრულებელი – 12, 14, 231, 237, 274, 275, 457, 462, 499, 500

**არჩილი (არჩილ ბატონიშვილი)** – იხ. **დადიანი არჩილ**

**ასათიანი იოველ** (1907-2002) – მეცნიერი-ეკონომისტი, XIX ს. ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიის მკვლევარი – 401, 466, 515

**ასათიანი ლევან** (1900-1955) – ლიტერატურათმცოდნე. ძირითადად იკვლევდა XIX ს. სალიტერატურო პროცესებს. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში – 412, 515

**ასლამაზოვი ზურაბ** – თავადაზნაურობის თბილისის დეპუტატთა საკრებულოს მდივანი (1860-იანი წწ.) – 237, 462

**აუგე** – 166

**აფხაზი (აფხაზოვი)** – იხ. **აბხაზი**

**ბ**

**ბაგრატიონები** – საქართველოს სამეფო დინასტია – 317

**ბაგრატიონი** (ქალიშვილობის გვარი – **ივანოვა) ანა** (1799-1875) – რომან (რევაზ) ბაგრატიონის (1778-1834) მეუღლე – 320

**ბაგრატიონი ივანე** (1824-1860) – სამხედრო პირი (პოლკოვნიკი), რომან (რევაზ) ბაგრატიონის (1778-1834) ძე, „კავკასიის ომის“ მონაწილე, ყაჩაღთა მიერ მოკლული 1960 წ. 7 ივნისს – 38, 317, 319, 320

**ბაგრატიონი ნინო** – იხ. **მუხრანბატონი ნინო**

**ბაგრატიონი პეტრე** (1818-1876) – გენერალ-ლეიტენანტი, მეცნიერი (ფიზიკოსი, ქიმიკოსი), ტვერისა (1862-1868) და ბალტიისპირა ქვეყნების (ოსტზეი) გუბერნატორი (1870-1876). დაკრძალულია პეტერბურგში, „ვოსკრესენსკის ნოვოდევიჩის“ მონასტერში – 32, 37, 38, 310, 317, 319, 320

**ბაგრატიონი რომან (რევაზ)** (1778-1834) – გენერალ-ლეიტენანტი, პეტრე ბაგრატიონის (1765-1812) ძმა. დაკრძალულია თბილისში, მამადავითის ეკლესიაში – 319, 320

**ბაგრატიონ-გრუზინსკაია ანა** (1828-1905) – საზოგადო მოღვაწე, ილია ბატონიშვილის (1790-1854) ას., დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძის (1818-1884) მეუღლე, შამილთან ტყვედ ნამყოფი (1854-1855 წწ.) – 176, 180, 211, 418, 423, 441

**ბაგრატიონ-გრუზინსკაია ბარბარე (ვარვარა)** (1804-1870) – ბაგრატ ბატონიშვილის (1776-1841) ასული, გენერალ-ლეიტენანტ დიმიტრი თამაზის (თომას) ძე ორბელიანის (1797-1868) მეუღლე – 173

**ბაგრატიონ-გრუზინსკაია თამარ** – იხ. **გრუზინსკაია (ბაგრატიონ-გრუზინსკაია) თამარ**

**ბაგრატიონ-დავითაშვილები (ბაგრატიონ-დავიდოვები)** – ქართლის თავადური საგვარეულო – 424

**ბაგრატიონ-მუხრანსკი (მუხრანსკი)** – იხ. **მუხრანბატონი**

**ბაგრატიონ-ორბელიანი ბარბარე** – იხ. **ორბელიანი ბარბარე (ვარინკა, ვარვარა)**

**ბალახაშვილი იაკობ** (1910-1982) – ფილოლოგი. ძირითადად იკვლევდა XIX ს. ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების ისტორიას – 319, 334, 515, 516

**ბარათაშვილი დავით** (1842-1901) – ქველმოქმედი, საზოგადო მოღვაწე, ზაქარია (ზაალ) ბარათაშვილის (1816-1875) ძე, ი. ჭავჭავაძესთან დაახლოებული პირი, სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტში (1860-იანი წწ.), განჯიდან ნ. ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენების ერთ-ერთი ორგანიზატორი, თბილისის საბჭოს ხმოსანი, „ქშწ-კგ საზოგადოების" დამფუძნებელი წევრი. გარდაიცვალა თბილისში, დაკრძალეს მთაწმინდაზე, მამადავითის გალავანში (საფლავი დაკარგულია) – 407

**ბარათაშვილი ზაქარია (ზაალ)** (1816-1875) – თბილისის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი") 1860-იან წწ. – 10, 119, 120, 152, 344, 375, 406, 407

**ბარათაშვილი ივანე** – ქართლელი თავადი, იუნკერი (1865 წ.) – 182

**ბარათაშვილი ლევან (ლეონიდე)** (1826-1873) – ისტორიკოს სულხან ბარათაშვილის (1821-1866) ძმა, გორის ქალაქისთავი (1860-იანი წწ.), მთარგმნელი, ნიკოლოზ ბარათაშვილის სიძე (მეუღლე ნინო ბარათაშვილისა) – 182

**ბარათაშვილი ნიკოლოზ** (1817-1845) – პოეტი, წევრი თბილისის გიმნაზიის მოწაფეთა იმ ჯგუფისა, რომელიც 1835-1836 წწ. უშვებდა ხელნაწერ ჟურნალს „Цветок Тифлисской гимназий" („თბილისის გიმნაზიის ყვავილი"), „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის" (1842-1848) დამფუძნებელი წევრი – 308, 325, 331, 337, 515, 520

**ბარათაშვილ-ორბელიანი ეკატერინე (კატინა)** (1807-1873) – ალექსანდრე ვახტანგის ორბელიანის (1802-1869) მეუღლე. დაკრძალულია თბილისის სიონის ტაძარში, მეუღლის გვერდით – 407

**ბარათაშვილ-ჭავჭავაძე მარიამ (მაია, მაიკო)** (1816-1903) – რომან (რამან, რამაზ) ჭავჭავაძის (1806-1888) მეუღლე – 418

**ბარათაშვილ-ჭავჭავაძე ნატალია** (1821-1874) – იოსებ (სოსიკო) ჭავჭავაძის (1824-1860) მეუღლე – 176, 418

**ბარატინსკი ალექსანდრე** – იხ. **ბარიატინსკი ალექსანდრე**

**ბარბარე ბატონიშვილი** – იხ. **ბაგრატიონ-გრუზინსკაია ბარბარე (ვარვარა)**

**ბართოლომეი (ბარტოლომეი) ივანე** (1813-1870) – გენერალ-ლეიტენანტი, ენათმეცნიერი, არქეოლოგი, ეთნოგრაფი, ნუმიზმატი (საქართველოდან გატანილი მდიდარი ნუმიზმატური კოლექცია გადასცა ერმიტაჟს). გარდაიცვალა თბილისში, დაკრძალულია სოლოლაკის ამაღლების ეკლესიაში – 478

**ბარ-ი** – იხ. **ბარიატინსკი ალექსანდრე**

**ბარიატინსკაია ელისაბედ (ლიზიკო)** – იხ. **ორბელიან-ბარიატინსკაია ელისაბედ (ლიზიკო)**

**ბარიატინსკი ალექსანდრე** (1815-1879) – გენერალ-ფელდმარშალი, კავკასიის მეფისნაცვალი და მთავარსარდალი 1856-1862 წწ. – 7, 28, 32, 36, 45, 82, 101, 103, 105, 106, 121, 306, 309-312, 314, 315, 320-323, 328, 332, 333, 340-342, 347, 351-353, 355, 358, 361, 363, 365, 368, 369, 377, 383, 385, 411, 414

**ბაქარ ქართლელი** – დიმ. ყიფიანის ფსევდონიმი – 501

**ბაქრაძე აკაკი** (1928-1999) – ლიტერატურათმცოდნე, ისტორიკოსი, ლიტერატურული-, თეატრალური- და კინოკრიტიკოსი, პუბლიცისტი – 526

**ბებუთოვი (ბებუთაშვილი) ვასილ** (1791-1858) – ინფანტერიის გენერალი, ანდრია პირველწოდებულის ორდენის კავალერი, ამიერკავკასიის მხარის სამოქალაქო სამმართველოს უფროსი და მთავარსამმართველოს საბჭოს თავმჯდომარე (1847-1856). დაკრძალულია თბილისში, ხოჯავანქის სასაფლაოზე – 172

**ბებუთოვი ნიკოლოზ (ნიკოლა)** (1839-1904) – სამხედრო პირი, გენერალ-მაიორი (მიენიჭა 1894 წ.), ვასილ ბებუთოვის (1791-1858), ვაჟი, რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წწ. ომის მონაწილე – 172, 424

**ბელოი ევგენი** (**ბელოი II;** დაბ. 1842) – არქიტექტორი და მხატვარი, ტიმოთე ნიკიტას ძე ბელოის (დაბ. 1805/1806) შვილი, თბილისის საქალაქო არქიტექტორი 1870-1890-იან წწ. – 10, 140, 142, 143, 233, 394-396

**ბელოი ტიმოთე** (დაბ. 1806) – თბილისის საგუბერნიო არქიტექტორი 1830-1860-იან წწ. (კავკასიაში მოღვაწეობდა 1827 წლიდან) – 233, 394, 396

**ბერიძე ვახტანგ** (1914-2000) – ხელოვნების ისტორიკოსი, აკადემიკოსი – 394, 396, 516
**ბერჟე ადოლფ** (1828-1886) – ისტორიკოსი, ლიტერატორი, „კავკასიის არქეოგრაფიულ კომისიის“ თავმჯდომარე, 1851 წლიდან გარდაცვალებამდე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა თბილისში; დაკრძალულია თბილისშივე, კუკიის სასაფლაოზე – 351, 516
**ბერძნიშვილი მაქსიმე** (1889-1967) – ისტორიკოსი, სოციალისტ-ფედერალისტი – 308, 331, 337, 412, 463, 488, 516
**ბესარიონ ჭყონდიდელი (ჩიჩუა)** (1810-1864) – ხობის მონასტრის არქიმანდრიტი, ჭყონდიდელი 1863-1864 წწ. – 107, 123, 367
**ბიბილეიშვილი ცისანა** – მკვლევარი, მთარგმნელი – 327, 356, 374, 445, 469
**ბილერი ედუარდ** – კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს სახელმწიფო ქონების დეპარტამენტის საგანგებო დავალებათა ჩინოვნიკი (1860-იანი წწ.) – 481, 482
**ბიჟუტიე** – ეკატერინე დადიანის მევალე – 90, 357
**ბლუაშვილები** – იმერელი გლეხები (სოფ. ზედუბანიდან) – 252
**ბლუაშვილი ანდრია** – იმერელი გლეხი (სოფ. ზედუბანიდან) – 251
**ბლუაშვილი დათო** – იმერელი გლეხი (სოფ. ზედუბანიდან) – 251
**ბლუაშვილი ედიშერ** – იმერელი გლეხი (სოფ. ზედუბანიდან) – 251
**ბლუაშვილი მიხეილ** – იმერელი გლეხი (სოფ. ზედუბანიდან) – 251
**ბლუაშვილი ნიკო** – იმერელი გლეხი (სოფ. ზედუბანიდან) – 251
**ბლუაშვილი პავლე** – იმერელი გლეხი (სოფ. ზედუბანიდან) – 251
**ბლუაშვილი სიმონ** – იმერელი გლეხი (სოფ. ზედუბანიდან) – 251, 473
**ბორისოვი რომანოზ (რომან)** – დეკანოზი, მცხეთელი საეკლესიო გლეხის, პეტრე ბორისოვის, შვილი. მარტვილის სასულიერო სასწავლებლის პედაგოგი და ზედამხედველი (1830-1840-იანი წწ.) – 283, 512, 514
**ბოროზდინი კორნილი** (1828-1896) – მწერალი, მემუარისტი, საქართველოში მსახურობდა 1853-1867 წწ. დაკრძალულია პეტერბურგში – 59, 322, 329, 331-333, 356, 362, 383, 438, 516, 518

**ბოცვაძე იოსებ** (1914-1981) – ფილოლოგი, XIX ს. ქართული ლიტ-ერატურისა და ჟურნალისტიკის ისტორიის მკვლევარი – 518

**ბუტკოვი ვლადიმერ** (1818-1881) – სახელმწიფო მდივანი (Статс-секретарь), პეტერბურგში არსებული „კავკასიის კომიტეტის“ საქმეთა მმართველი (1845 წლიდან) და ხელმძღვანელი (1860-1865) – 32, 164, 311, 410

## გ

**გაბოძე ჯულიეტა** – ფილოლოგი, ტექსტოლოგი, ქართული ლიტერ-ატურის ისტორიის მკვლევარი – 521

**გაბრიელი** (პერს.) – 346

**გაგარინა (გაგარინა ანასტასია)** – იხ. **ორბელიან-გაგარინა ანასტა-სია (ტასო)**

**გაგარინი ალექსანდრე** (1801-1857) – ქუთაისის სამხედრო გუბერ-ნატორი (1857), მანანა ორბელიანის სიძე [ანასტასია (ტასო) ორბელიანის (1926-1907) მეუღლე]. ენერგიულად მოქმედებდა სვანეთის სამთავროს გაუქმებისთვის, რის გამოც მთავარმა კონსტანტინე დადიშქელიანმა მოკლა – 176, 372, 419

**გაგარინი პავლე** (1789-1872) – რუსეთის იმპერიის მინისტრთა კაბი-ნეტისა (1864-1872) და კავკასიის საქმეთა კომიტეტის (1865-1872) თავმჯდომარე – 13, 233, 237, 461, 463, 467

**გაგენტორნი ნიკოლოზ** – ბორჯომის სახაზინო მამულის მმართვე-ლი (1860-იანი წწ.) – 14, 262, 481, 482, 486

**გამაზოვი საარუნი გრიგოლ** – თბილისელი აზნაური, მათე გამაზო-ვის (1812-1893) ძმა – 192

**გამაზოვი საარუნი მათე** (1812-1893) – მწერალი, დიპლომატი, ორიენტალისტი, საიდუმლო მრჩეველი (Тайный советник). დაკრძალულია პეტერბურგში, სმოლენსკის სომხურ სასაფ-ლაოზე – 192

**გამაზოვი საარუნი ნიკოლოზ** (1826-1876) – მათე გამაზოვის (1812-1893) ძმა, არქიტექტორი – 192

**გამყრელიძე** – კახელი აზნაური (თელავის მაზრიდან) – 183
**გაწერელია აკაკი** (1910-1994) – ლიტერატურათმცოდნე, მწერალი. დიდი ამაგი დასდო XIX ს. ქართველ მწერალთა (ნ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი...) თხზულებების (მათ შორის, ეპისტოლური მემკვიდრეობის) შესწავლისა და გამოცემის საქმეს – 517, 521
**გეგელოვი გიორგი** – სასულიერო პირი (დეკანოზი) – 99
**გედევანიშვილი ზურაბ** – დუშეთის მაზრის წარმომადგენელი თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოში (1870-იანი წწ.) – 505
**გელაშვილი სიმონ** – ბორჯომის ხეობაში მცხოვრები გლეხი – 263
**გელეიშვილი პეტრე** (1870-1938) – საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი (სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან). ბოლშევიკურ რეპრესიების მსხვერპლი (დახვრიტეს 1938 წ. 17 მარტს) – 352-354, 360, 516
**გელოვანი ფარნაოზ** – ლეჩხუმელი თავადი, სამეგრელოს სამმართველო საბჭოს წევრი (1850-იანი წწ.) – 108, 367, 368
**გერსამია სერგო** (1892-1969) – თეატრმცოდნე – 320, 324, 346, 412, 516
**გიგაშვილი ქეთევან** – მკვლევარი (ენათმეცნიერი, ტექსტოლოგი...) – 521
**გიგიტაშვილი პავლე** – ქვიშხეთის მოსამართლე (1860-იანი წწ.) – 457
**გიორგაძე თენგიზ** (1925-2012) – მოჭადრაკე, ქართული ჭადრაკის ისტორიკოსი – 330, 516, 517
**გიორგი** – ეკატერინე დადიანის შინამოსამსახურე (ფარეში) – 174
**გიორგი** (წმ.) (დაახლ. 275-303) – კაპადოკიელი დიდმოწამე, საქართველოს მფარველი წმინდანი – 372
**გიორგი ბატონიშვილი** – იხ. **დადიანი გიორგი**
**გიორგი კონსტანტინეს ძე** – იხ. **მუხრანბატონი (ბაგრატიონ-მუხრანსკი, მუხრანსკი) გიორგი**
**გიორგი მთაწმინდელი** (გიორგი *ათონელი)* (1009-1065) – სასულიერო მოღვაწე, მწერალი, მთარგმნელი, ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვარი (1044-1056). დაკრძალულია იქვე – 394

**გიორგი რომანიჩი** – იხ. **ერისთავი გიორგი რევაზის (რომანის, რომანოზის) ძე**
**გლაზერი** – მაღაზიის მფლობელი თბილისში (1860-იანი წწ.) – 143
**გოგია რევაზ** – 4
**გოგიტიძე მამუკა** – ისტორიკოსი, მკვლევარი – 331, 477, 517
**გოგნიაშვილი ალექსანდრე** – აზნაური – 427
**გოგნიაშვილი ზაქარია** – აზნაური – 427
**გოგნიაშვილი მიხეილ** – 427
**გოგნიაშვილი პაატა** – აზნაური – 427
**გოდერიძე ლამარა** – XIX ს. საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების მკვლევარი – 402, 517
**გოვენი ჯონ** – სამეგრელოს სამთავრო ოჯახის კუთვნილი ტყეების იჯარადარი, პოლკოვნიკი – 9, 115, 374
**გოზალიშვილი გიორგი** (1900-1988) – ისტორიკოსი, ავტორი წიგნისა „1832 წლის შეთქმულება“ (ტ. I-III. თბ.: 1935-1976) – 308, 517
**გოლიცინი** – რუსი თავადი – 215
**გოლოვინი ევგენი** (1782-1858) – საქართველოს მთავარმართებელი (1837-1842) – 398
**გომარელი ზაქარია** – ქვიშხეთელი გლეხი – 203
**გომარელი თედო** – ქვიშხეთელი გლეხი – 203
**გომარელი იორდანე (გიორგი)** – ქვიშხეთელი გლეხი – 203, 205
**გომარელი სიმონ** – ქვიშხეთელი გლეხი – 203
**გომარელი სოსია** – ქვიშხეთელი გლეხი – 203
**გორდელაძე კოტე** (1900-1937) – სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის დირექტორის მოადგილე, ნაციონალ-უკლონიზმისა და ტროცკიზმის ბრალდებით დახვრიტეს 1937 წ. 26 ივნისს – 521
**გრეტხენი** (პერს.) – 179, 420, 421
**გრიბოედოვა ნინო** – იხ. **ჭავჭავაძე-გრიბოედოვა ნინო**
**გრიბოედოვი ალექსანდრე** (1795-1829) – პოლონური წარმოშობის (გრჟიბოვსკი) რუსი მწერალი და დიპლომატი, ნინო ალექსანდრეს ას. ჭავჭავაძის (1812-1857) მეუღლე. დაკრძალულია თბილისში, მთაწმინდაზე – 516

**გრიგოლ დიმიტრის ძე (I)** – იხ. **აპოსტოლოვი გრიგოლ**
**გრიგოლ დიმიტრის ძე (II)** – იხ. **ორბელიანი გრიგოლ**
**გრიგოლ კაციას ძე დადიანი** (1770-1804) – ოდიშის (სამეგრელოს) მთავარი (1788-1804), მეუღლე ნინო გიორგი XII-ის ასულისა (1772-1847) – 461-462
**გრიშაშვილი იოსებ** (1889-1965) – პოეტი, ლიტერატურათმცოდნე, ლექსიკოგრაფი, ბიბლიოფილი – 334, 363, 516, 517
**გრუზინსკაია ანა** – იხ. **ბაგრატიონ-გრუზინსკაია ანა**
**გრუზინსკაია (ბაგრატიონ-გრუზინსკაია) თამარ** (1852-1933) – ასული დავით ჭავჭავაძისა (1818-1884), მეუღლე ირაკლი (ერეკლე) გრუზინსკისა (ბაგრატიონ-გრუზინსკისა; 1827-1882); ბავშვობაში შამილთან ტყვედ ნამყოფი, „ქშწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი. ცოლ-ქმარი დაკრძალულია მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში – 179, 422
**გრუზინსკაია ბარბარე (ვარვარა) ბაგრატ ბატონიშვილის ას. – იხ. ბაგრატიონ-გრუზინსკაია ბარბარე (ვარვარა)**
**გრუზინსკაია ბარბარე (ვარინკა) ილია ბატონიშვილის ას.** – იხ. **ორბელიანი ბარბარე (ვარინკა)**
**გუგუშვილი პაატა** (1905-1987) – ეკონომისტი, სოციოლოგი, ქართული წიგნისა და ჟურნალისტიკის ისტორიის მკვლევარი, აკადემიკოსი – 354, 517
**გუდაძე თევდორე** – ქვიშხეთელი გლეხი – 203
**გულკევიჩი ნიკოლოზ –** (1817-1876), საიდუმლო მრჩეველი (Тайный советник), სახელმწიფო მდივანი (Статс-секретарь) – 12, 229, 455, 456
**გურგენიძე დავით** – საერთაშორისო დიდოსტატი საჭადრაკო კომპოზიციაში, ეტიუდისტი, მკვლევარი – 330, 517
**გურიელ-დადიანი ტერეზია** (1825-1871) – მამია V გურიელის (1789-1826) ასული, გრიგოლ დადიანის (1814-1901) მეუღლე. დაკრძალულია მარტვილის ტაძარში – 173, 416, 512

## დ

**დ. ყ.** – 109; იხ. აგრეთვე, **ყიფიანი დიმიტრი**

**დაგმარი** – იხ. **მარია თედორეს ას.**

**დადიანები (დადიანი)** – სამეგრელოს სამთავრო ოჯახი – 105, 133, 299, 313, 362, 389, 418, 451, 454, 455, 460, 527

**დადიანი ალექსანდრე** – მეგრელი თავადი, სიკო ჩიქოვანის სიძე – 177

**დადიანი (დადიან-მინგრელსკი) ანდრია** (1850-1910) – სამეგრელოს მთავრის, დავით დადიანის (1813-1853), ძე, გენერალ-ლეიტენანტი, მოჭადრაკე და ჭადრაკის მეცენატი. დამთავრებული ჰქონდა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1890-იანი წლებიდან ცხოვრობდა კიევში, იქვე გარადაიცვალა, დაკრძალულია მარტვილის მონასტერში – 78, 83, 90, 97, 102, 108, 112, 115, 123, 127, 136, 138, 139, 162, 176, 187, 197, 204, 208, 218-220, 223, 226, 236, 253, 265, 330, 347, 352, 355, 359, 362, 367, 371, 374, 378, 381, 389, 392, 393, 406, 409, 418, 425, 433, 437, 439, 446, 448, 450, 452, 474, 489, 516, 517

**დადიანი არჩილ** – სამეგრელოს სამთავრო სახლის სახლთუხუცესი (1860-იანი წწ.) – 57, 76, 78, 83, 99, 149, 209, 221, 227, 292, 329, 347, 348, 352, 403, 437, 440, 449, 454

**დადიანი ბესარიონ** – მეგრელი თავადი, ნიკოლოზ (ნიკო) დადიანის („დიდი ნიკოს“; დაახლ. 1764-1834) შვილი – 356

**დადიანი გიორგი** – მიხეილ (ჰამუთ-ბეი) შარვაშიძის (1806-1866) სიმამრი, ნიკოლოზ (ნიკო) დადიანის („დიდი ნიკოს“; დაახლ. 1764-1834) შვილი – 91, 102, 107, 176, 355, 356, 362, 366, 418

**დადიანი გრიგოლ კაციას ძე** – იხ. **გრიგოლ კაციას ძე დადიანი**

**დადიანი გრიგოლ ლევანის ძე** (1814-1901) – გენერალ-ადიუტანტი, ინფანტერიის გენერალი, პოეტი, სამეგრელოს მთავარ ლევან V დადიანის (1791-1846) ძე – 14, 15, 62, 102, 123, 173, 276, 294, 362, 378, 416, 500-502, 511, 512, 520

**დადიანი გრიგოლ ტარიელის ძე** – სამეგრელოს მთავრის, დავით დადიანის, ნდობით აღჭურვილი პირი (მას ებარა მთავრის ოჯახისა და სასახლის უსაფრთხოების დაცვა) – 98-100, 102, 362

**დადიანი დავით** – იხ. **დავით დადიანი**

**დადიანი ეკატერინე** – იხ. **ეკატერინე დადიანი**

**დადიანი ელიზბარ** (გარდ. 1863) – მეგრელი თავადი, 1850-იანი წწ. სამეგრელოში რუსული ორიენტაციის ჯგუფის მეთაური, დაპირისპირებული იყო მთავრის ოჯახთან. სამეგრელოს საბჭოს წევრი – 129, 207, 382, 438

**დადიანი თამარ** (1853-1859) – სამეგრელოს მთავრის, დავით დადიანის, ასული. გარდაიცვალა პეტერბურგში – 330, 335

**დადიანი კონსტანტინე** (1819-1889) – ეკატერინე დადიანის მაზლი (სამეგრელოს მთავარ დავით დადიანის ძმა), გენერალ-ლეიტენანტი, „ქშწ-კ საზოგადოების" დამფუძნებელი წევრი. გარდაიცვალა ზუგდიდში – 13, 14, 78, 81, 101, 123, 125, 126, 129, 130, 138, 149, 162, 195, 197, 208, 211, 240, 241, 245-247, 254, 255, 264-266, 280, 281, 285, 288, 310, 348, 351, 361, 378, 380, 381, 383, 384, 392, 402, 409, 426, 432, 433, 439, 440, 455, 468, 474-477, 489, 490, 502, 505, 506, 512, 517

**დადიანი ლევან** – იხ. **ლევან V დადიანი**

**დადიანი მაია** (1833-1922) – კონსტანტინე დადიანის (1819-1889) მეუღლე – 439

**დადიანი მელიტონ** – მეგრელი თავადი, თავად გიორგი ჩიჩუას სიძე – 75, 78, 114, 347, 348, 374, 510

**დადიანი ნიკოლოზ (ნიკო) გიორგის ძე** *(„დიდი ნიკო")* (დაახლ. 1764-1834) – ისტორიკოსი, დიპლომატი, გენერალ-მაიორი, 1804 წლიდან – სამეგრელოს უმაღლესი საგამგებლო საბჭოს წევრი. სამეგრელოს სამთავროს მსაჯულთუხუცესი (მდივანბეგთუხუცესი). დაკრძალულია მარტვილის ტაძარში – 366

**დადიანი ნინო** – იხ. **მუხრანბატონი ნინო**

**დადიანი პეტრე** (1808/1813-1884) – სამეგრელოს საბჭოს წევრი, ნიკოლოზ (ნიკო) დადიანის („დიდი ნიკოს"; დაახლ. 1764-1834) შვილი – 91, 102, 107, 176, 356, 362, 366, 418

**დადიანი ტერეზია** – იხ. **გურიელ-დადიანი ტერეზია**

**დადიან-მინგრელსკი ნიკოლოზ (ნიკო) [დავითის ძე]** (1847-1903) – სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი (1867 წ. იანვარში ნებაყ-

ოფლობით თქვა უარი მთავრის უფლებებზე), ბიბლიოფილი, „ქშწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი. გარდაიცვალა პეტერბურგში, დაკრძალულია მარტვილის ტაძარში – 12, 13, 15, 34, 58, 61, 78, 83, 90, 97, 102, 103, 104, 108, 112, 115, 123, 127, 136, 138, 139, 162, 173, 176, 187, 194, 201, 204, 208, 219, 220, 222, 223, 226, 228, 231, 233, 237, 238, 241, 243, 244, 248, 253, 254, 256-258, 265-268, 281, 282, 285, 287, 293-295, 310, 313-315, 321, 322, 330, 333, 347, 352, 355, 358, 359, 362, 367, 371, 374, 378, 379, 381, 389, 392, 393, 406, 409, 416, 418, 425, 427, 431, 437-439, 445, 446, 448-450, 452, 454, 455, 458-461, 463-471, 474-480, 489, 490, 495, 506-512

**დადიან-მიურატი სალომე** (1848-1913) – დავით და ეკატერინე დადიანების ქალიშვილი, ნაპოლეონ ბონაპარტის დის შვილიშვილის, პრინც აშილ მიურატის (1847-1895), მეუღლე. გარდაიცვალა პარიზში, დაკრძალულია იქვე – 14, 58, 73, 83, 90, 97, 102, 108, 112, 115, 123, 127, 136, 138, 162, 175, 176, 187, 197, 204, 208, 218, 219, 221, 223, 226, 265, 271, 276, 330, 347, 352, 355, 359, 362, 367, 371, 374, 378, 381, 389, 392, 406, 409, 417, 418, 425, 433, 437, 439, 446, 448, 450, 452, 474, 489, 498, 501, 502

**დადიშქელიანი კონსტანტინე (მურზაყან)** – იხ. **კონსტანტინე (მურზაყან) დადიშქელიანი**

**დადიშქელიანი (შარვაშიძე-დადიშქელიანი) რუსუდან (ადილხე, ადილხან)** (1828-1866) – სვანეთის მთავრის, კონსტანტინე დადიშქელიანის, მეუღლე. ღვიძლი და აფხაზეთის სამთავრო სახლის წევრის, გრიგოლ შარვაშიძისა – 372

**დავიდოვი ვლადიმერ** (1816-1886) – ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი, პოლკოვნიკი, ელისაბედ ორბელიანის (1835-1899) პირველი მეუღლე. გარდაიცვალა პარიზში, დაკრძალულია მონმარტრის სასაფლაოზე – 57, 333, 361

**დავით დადიანი** (1813-1853) – სამეგრელოს მთავარი 1846-1853 წწ. (1840-1846 წწ. თანამმართველი მამასთან, ლევან V დადიანთან, ერთად); გენერალ-მაიორი. გარდაიცვალა გორდის სასახლეში.

დაკრძალულია მარტვილის ტაძარში – 98, 99, 102, 167, 346, 351, 356, 362, 476, 520

**დავითი** (წმ.) – ასურელი მამა, დავითგარეჯის მონასტრის დამაარსებელი, მასვე მიეწერება თბილისის მამადავითისა და ქაშვეთის ეკლესიების დაარსება – 519

**დავითი (დავით ალექსანდრეს ძე)** – იხ. **ჭავჭავაძე დავით**

**დარიკო** – ეკატერინე დადიანის ოჯახის ახლობელი – 502

**დგებუაძე ნიკო** – თავადი, ზუგდიდის სამთავრო სახლის მოურავი 1850-იან წწ. – 91

**დემენტიევი ნიკოლოზ** (გარდ. 1893 წ. შემდეგ) – რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ჯერ თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, შემდეგ – გიმნაზიაში, თბილისის გიმნაზიის დირექტორი 1861-1862 წწ. – 7, 52, 324-326

**დიასამიძეები** – ქართლელი თავადები – 424

**დიმიტრი** – უცნობი პირი – 83, 352

**დიმიტრი ვახტანგის ძე** – 57

**დირინი პეტრე** – დიმ. ყიფიანის წერილის ადრესატი – 7, 40, 320

**დიუმა ალექსანდრე** (მამა) (1802-1870) – ფრანგი მწერალი – 320, 357, 517

**დიურანი** – ინჟინერი, აგრონომი – 13, 247-249, 253, 469-471, 474

**დობროვოლსკი** – სცენისმოყვარე – 420

**დუნკელ-ველინგი ნიკოლოზ** – მწერალი, ჟურნალისტი, გაზეთ „კავკაზის" თანამშრომელი (1850-1860 წწ.) – 369, 518

## ე

**ევდოკია (ევდოკია გაბრიელის ას.)** – იხ. **მერდერი ევდოკია**

**ევდოკიმოვი (ევდაკიმოვი) ნიკოლოზ** (1804-1873) – გენერალ-ლეიტენანტი, გრაფი, 1860 წლიდან მეთაურობდა ყუბანში განლაგებულ რუსულ ჯარებს – 317

**ევდუკია (ევდუქსია)** – იხ. **მერდერი ევდოკია**

**ევსევი** *(ილინსკი)* (1809-1879) – საქართველოს ეგზარქოსი (1858-

1877). 1877 წ. დეკემბერში ტვერისა და კიშინიოვის მთავარეპის-კოპოსად გადაიყვანეს – 394, 395
**ეკატერინე ალექსანდრეს ასული (ეკატერინა ალექსანდროვნა) –** იხ. **ეკატერინე დადიანი**
**ეკატერინე დადიანი** (1816-1882) – სამეგრელოს უკანასკნელი დედოფალი. „ქშწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი. გარდაიცვალა გორდში. დაკრძალულია მარტვილის ტაძარში – 8-15, 33, 36, 41, 48, 54, 56, 58, 61, 63, 73, 78, 81, 89-95, 97, 98, 101, 103, 106, 108, 109, 111, 112, 114, 122, 123, 125-129, 131, 133, 135, 137, 139, 144, 149, 150, 161, 163, 165, 167, 173, 174, 176, 186, 187, 194, 196, 201, 204, 206, 207, 209, 210, 218, 220, 221, 225, 227-229, 232, 238, 239, 254, 264, 271, 282, 284, 287, 294, 296, 308-310, 312-314, 316-318, 320, 322, 323, 327-334, 340, 345, 347, 348, 350-352, 355-359, 361-363, 366, 367, 369-371, 373, 374, 378-384, 387, 389, 391-393, 396, 402, 404-406, 408, 409, 411, 413-419, 423-427, 431, 432, 435-437, 439, 440, 441, 444-454, 459, 460, 463-466, 468, 474, 475, 478, 489, 495, 497, 498, 506-508, 510-514, 525
**ექსელბირტები** – 13, 257, 258, 479, 480
**ექსელბირტი მ.** – 479, 518
**ელიზბარ ბატონიშვილი** – იხ. **დადიანი ელიზბარ**
**ერისთავები** – ქართლის თავადური საგვარეულო – 263, 424, 487-489
**ერისთავი ალექსანდრე** – ეკატერინე დადიანის ოჯახის მოვალე – 283, 514
**ერისთავი ალექსანდრე შანშეს ძე** (1812-1883) – გორის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი 1844-1880 წწ., ელიზბარ ერი-სთავის (1809-1871) ძმა. დაკრძალულია იკორთაში – 14, 263, 344, 375, 453, 473, 486-488
**ერისთავი გიორგი ალექსანდრეს ძე** (1850-1878) – ალექსანდრე შანშეს ძე ერისთავის (1812-1883) შვილი. გარდაიცვალა 1878 წ. 12 სექტემბერს პარიზში. დაკრძალულია იკორთაში – 488

**ერისთავი გიორგი დავითის ძე** (1813-1864) – მწერალი, პროფესიული ქართული თეატრის (1850) პირველი ხელმძღვანელი, ჟურნალ „ცისკრის“ (1852-1853) რედაქტორ-გამომცემელი, 1832 წლის შეთქმულების აქტიური წევრი. დაკრძალულია იკორთაში – 325, 346, 412, 516

**ერისთავი გიორგი დიმიტრის ძე** – ქართლელი თავადი (გორის მაზრიდან) – 488

**ერისთავი (ერისთოვი) გიორგი რევაზის (რომანის, რომანოზის) ძე** (1812-1891) – გენერალ-ლეიტენანტი, ერეკლე II-ის შვილიშვილი (ანასტასია ბატონიშვილის ძე), მონაწილეობდა პოლონეთის აჯანყების ჩახშობაში (მათ შორის, ვარშავის აღებაში); 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (გადაასახლეს არხანგელსკში); 1852 წ. იყო კავკასიის ხაზის კაზაკთა ჯარის ატამანი და მართავდა თერგისა და ყუბანის მხარეს (მეტსახელად „ატამანს“ ეძახდნენ); 1858-1861 წწ. იყო ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი... ქველმოქმედი და კულტურტრეგერი. დაკრძალულია სოფ. ოძისში – 132, 385, 400, 472, 484

**ერისთავი გრიგოლ ივანეს (იოანეს) ძე** (1819-1876) – გვარდიის პოლკოვნიკი, დაკრძალულია იკორთაში – 488

**ერისთავი გრიგოლ პავლეს ძე** – იხ. **ერისთავი გრიგოლ შანშეს ძე**

**ერისთავი გრიგოლ შანშეს ძე** (1814-1888) – პოლკოვნიკი, ელიზბარ ერისთავის (1809-1871) ძმა, პოლონელ ალექსანდრა ვოლსკაიას (დაბ. 1826) მეუღლე. დაკრძალულია იკორთაში – 488

**ერისთავი დავით გიორგის ძე** (1847-1890) – მწერალი, ჟურნალისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, გიორგი ერისთავის (1813-1864) შვილი; გაზ. „კავკაზის“ რედაქტორი (1882-1884). გადმოაკეთა ფრანგი დრამატურგის, ვ. სარდუს, პიესა „სამშობლო“ („Patrie“), რომლის დადგმას შთამბეჭდავი რეზონანსი მოჰყვა. დაკრძალეს თბილისში, კალოუბნის ეკლესიის გალავანში (1930-იან წწ. ეკლესიის დანგრევის შემდეგ მთაწმინდაზე გადაასვენეს) – 518

**ერისთავი დავით ივანეს ძე** – ქართლელი თავადი – 488

**ერისთავი დავით ლუარსაბის ძე** (1814-1889) – სახელმწიფო მრჩევ-

ელი (Статский советник), დუშეთის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი“) 1860-1870-იან წწ. – 488, 505

**ერისთავი დავით რევაზის ძე** – ქართლელი თავადი – 488

**ერისთავი ელენე** (1815-1888) – ლუარსაბ ორბელიანის (1794-1835) ასული, პოლკოვნიკ ზაქარია ერისთავის (1814-1850) მეუღლე – 502

**ერისთავი ელიზბარ** (1809-1871) – გენერალ-მაიორი, 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მეთაური (ფინეთში გაგზავნეს რიგით ჯარისკაცად), 1850-1860-იან წწ. იყო გორის მაზრის უფროსი. დაკრძალულია გორში (საფლავი დაკარგულია) – 12, 226, 385, 452, 453, 488, 525

**ერისთავი ელისაბედ** (1864-1949) – ელიზბარ ერისთავის (1809-1871) ასული, მემუარისტი – 333, 489, 518

**ერისთავი ესტატე** – ქართლელი თავადი, მანანა ორბელიანის ძმა – 488

**ერისთავი თამარ** – ეკატერინე დადიანის ოჯახის ახლობელი – 502

**ერისთავი იაკობ (კონა)** (1817-1896) – მირმანოზ ერისთავის ძე, მანანა ორბელიანის ძმა, კოლორიტული პიროვნება და თავის დროზე სახელგანთქმული მოჯირითე – 488

**ერისთავი კონა** – იხ. **იაკობ (კონა) ერისთავი**

**ერისთავი ლუარსაბ** – ქართლელი თავადი – 488

**ერისთავი მანანა** – ეკატერინე დადიანის ოჯახის ახლობელი – 502

**ერისთავი მართა** – იხ. **სოლოღაშვილი მართა**

**ერისთავი მიხეილ** (1817-1870) – გურული თავადი, ჩაის კულტურის პიონერი საქართველოში (გორაბერეჟოულში), დიმ. ყიფიანთან დაახლოებული პირი და მისი მძახალი (ნიკო ყიფიანის სიმამრი). გაურკვეველი მიზეზით მოკლეს საკუთარ სახლში. ემიგრაციაში (პარიზში) გარდაცვლილი მიხ. ერისთავის (1855-1932) მამა – 57, 329

**ერისთავი რაფიელ** (1824-1901) – მწერალი, ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი, ლექსიკოგრაფი, გამომცემელი, საზოგადო მოღვაწე, „ქშწ-კგ საზოგადოების“ პირველი გამგეობის წევრი, „ქართუ-

ლი დრამატიული საზოგადოების“ თავმჯდომარე (1884-1886), „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის ერთ-ერთი ინიციატორი (1882); ქუთაისის გუბერნატორის საგანგებო დავალებათა მოხელე (1855-1857), ზუგდიდის ოლქის (შემდგომში – მაზრის) უფროსი (1857-1867). დაკრძალეს მშობლიურ სოფ. ქისტაურში, საიდანაც 1938 წ. თელავში, ერეკლე II-ის სასახლის გალავანში, გადაასვენეს – 349, 439, 518

**ერისთავი რევაზ ლუარსაბის ძე** (1812-1881) – ნიკოლოზ ბარათაშვილის სიძე [ეკატერინე ბარათაშვილის (1821-1853) მეუღლე]. დაკრძალულია ოძისში – 488

**ერისთავი რევაზ შალვას ძე** (1828-1899) – ანასტასია ერეკლე II-ის ას. ბატონიშვილის (1763-1838) შვილიშვილი, მწერალი (პოეტი, მთარგმნელი), „ქშწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, პოლკოვნიკი, გორის მაზრის უფროსი, ადრესატი ი. ჭავჭავაძის კრიტიკული წერილსა „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდგან „შეშლილის“ თარგმნაზედა“. დაასაფლავეს გორის „სობოროს“ გალავანში (ბოლშევიკების მიერ „სობოროს“ დანგრევის შემდეგ საფლავი დაიკარგა) – 488

**ერისთავ-ყიფიანი ანასტასია (ტასო) მიხეილის ას.** – იხ. **ყიფიანი ანასტასია (ტასო)**


## ვ

**ვლ. პეტ.** – იხ. **ბუტკოვი ვლადიმერ**

**ვარანცოვი** – იხ. **ვორონცოვი მიხეილ**

**ვართანოვი ალექსანდრე** (გარდ. 1874) – აგრონომი, ჟურნალისტი, „გუთნის-დედის“ თანარედაქტორი ანტონ ფურცელაძესთან ერთად (1873-1874 წწ.) – 224, 451

**ვარინკა** – იხ. **ორბელიანი ბარბარე (ვარინკა)**

**ვასილ ვასილის ძე** – დიმ. ყიფიანის წერილის ადრესატი – 12, 205, 437

**ვასილ ოსიფიჩი** – იხ. **ბებუთოვი (ბებუთაშვილი) ვასილ**

**ვასილიევი ვასილ** – მხატვარი, ქუთაისის საგუბერნიო არქიტექტორი (1849 წლიდან) – 83, 221, 351, 352, 449, 455
**ვაჩნაძე დავით** – სიღნაღის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი – 513
**ვაჩნაძე ზაქარია** – კახელი მემამულე, სიღნაღის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი – 513
**ვახანია ნინო** – ლიტერატურათმცოდნე, ძირითადად იკვლევს XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიასთან დაკავშირებულ პრობლემატიკას – 521
**ვახვახიშვილ-ჩოლოყაშვილი მელანია** – ნიკოლოზ (კიკო) ჩოლოყაშვილის (1828-1903) მეუღლე – 318
**ვახტანგ VI** (1675-1737) – ქართლის გამგებელი (ჯანიშინი) (1703-1714), ქართლის მეფე (1716-1724), პოეტი, მეცნიერი. თბილისში პირველი სტამბის დამაარსებელი. მისი თაოსნობით შეიქმნა სამართლის წიგნთა კრებული, რისთვისაც „სჯულმდებელი“ ეწოდა. გარდაიცვალა ასტრახანში. დაკრძალულია იქვე, ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში – 94, 234
**ვერბინი** (პერს.) – 420
**ვერჟე** – კომერციული ინტერესები ჰქონდა სამეგრელოში – 227, 453
**ვინტერჰალტერი ფრანც ქსავერი** (1805-1873) – მხატვარი, პოპულარული პორტრეტისტი XIX ს. ევროპის უმაღლეს არისტოკრატიულ წრეებში – 416
**ვიტე იული** (1814-1868) – კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს სახელმწიფო ქონების დეპარტამენტის დირექტორი (1857-1868), სერგეი ვიტეს (1849-1915), მამა – 10, 12, 14, 162, 213, 215, 224, 259, 268, 277-279, 409, 410, 442, 444, 450, 495, 502-504
**ვიტე სერგეი** (1849-1915) – სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, ფინანსისტი, მემუარისტი, რუსეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე 1905-1906 წწ. (1906 წ. ნებაყოფლობით დატოვა სახელმწიფო სამსახური). გარდაიცვალა პეტერბურგში. და-

კრძალულია იქვე, ალექსანდრე ნეველის ლავრის წმ. ლაზარეს სასაფლაოზე – 410

**ვლადიმერ პეტრეს ძე** – იხ. **ბუტკოვი ვლადიმერ**

**ვლასტოვი გიორგი** (1827-1899) – სახელმწიფო მოღვაწე, ბიბლეისტი, მთარგმნელი, საიდუმლო მრჩეველი (Тайный советник), სამეგრელოს მმართველი (1865-1868), სტავროპოლისა (1868-1872) და ქუთაისის (1874-1878) გუბერნატორი. გარდაიცვალა პეტერბურგში, დაკრძალულია ალექსანდრე ნეველის ლავრაში – 166, 204, 412, 437

**ვოდოვი ნიკოლოზ** (გარდ. 1879) – რუსი ფინანსისტი, თვალსაჩინო ფიგურა რუსეთის „საიმპერატორო დამოუკიდებელ ეკონომიკურ საზოგადოებაში" – 466

**ვორონცოვი მიხეილ** (1782-1856) – გენერალ-ფელდმარშალი, საფრანგეთის საოკუპაციო კორპუსის მეთაური (1814-1818), კავკასიის მეფისნაცვალი („ნამესტნიკი") და ცალკე კორპუსის მთავარსარდალი (1844-1854; კავკასიის მართვას პრაქტიკულად 1845 წლის გაზაფხულიდან შეუდგა). გარდაიცვალა ოდესაში; მეუღლესთან, ელისაბედ ბრანიცკაია-ვორონცოვასთან, ერთად იქვე, მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესიაშია დაკრძალული – 18, 19, 80, 354, 412, 521

## ზ

**ზალდასტანიშვილები** – 168, 414

**ზაქარია** – სცენისმოყვარე – 179

**ზინოვიევი** – გენერალი, ბორჯომის სახაზინო მამულების მმართველი (1860-იანი წწ.) – 278, 481, 482

**ზისერმანი არნოლდ** (1824-1897) – გერმანული წარმოშობის რუსი სამხედრო ისტორიკოსი, მემუარისტი, კავალერიის პოლკოვნიკი; 1842 წლიდან მსახურობდა კავკასიაში (თბილისში), „კავკასიის ომის" მონაწილე. 1889 წლიდან ცხოვრობდა საკუთარ მამულში, ტულის გუბერნიაში, სადაც ტრაგიკულად დაიღუპა – 322, 323, 518

**ზოტოვი პავლე** (1824-1879) – გენერალ-ლეიტენანტი, ინფანტერიის გენერალი, კავკასიის არმიის გენერალ-კვარტმაისტერი (1860-იან წწ.) – 317

**ზუბალაშვილი (ზუბალოვი) იაკობ** (1792-1864) – ქართველი მრეწველი, კომერსანტი და მეცენატი – 98, 99

**ზუბალაშვილი იოსებ** (გარდ. 1881) – კომერსანტი და მეცენატი, ცნობილი მეცენატის, ნიკოლოზ ზუბალაშვილის (1821-1898) ძმა; ახალგაზრდობიდანვე ცხოვრობდა ევროპაში, გარდაიცვალა ვენაში – 218, 445


## თ

**თ. ჯ.** – 290, 291, 304, 317, 318, 324, 335, 338, 340, 348, 365, 386, 417, 420, 421, 448, 454, 468, 474, 475, 497, 501, 512; იხ. აგრეთვე: **ჯოლოგუა თამაზ**

**თავზიშვილი გიორგი** (1902-1963) – ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში – 381, 398, 518

**თარხან-მოურავი (თარხნიშვილი) იოსებ** (1819-1878) – გენერალ-ლეიტენანტი, მნიშვნელოვანი ფიგურა ე. წ. „ყირიმისა" (1853-1856) და „კავკასიის" ომებში, გენერალ-ლეიტენანტ კონსტანტინე დავითის ძე თარხან-მოურავის (1811-1869) ძმა – 502

**თარხან-მოურავი (თარხნიშვილი) რამაზ (რომან)** (1806-1866) – გენერალ-ლეიტენანტი, ცნობილი ფიზიოლოგის, ივ. თარხნიშვილის (1846-1908), მამა, რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829, 1853-1856 წწ. და „კავკასიის" ომების მონაწილე, ნუხის გენერალ-გუბერნატორი (1860-1864). გარდაიცვალა თბილისში, დაკრძალულია ქართლის სოფ. ახალქალაქში – 400

**თარხნიშვილები (თარხანოვები)** – ქართლელი თავადები – 154-157, 408

**თელია ავთანდილ** – მკვლევარი, ავტორი წიგნისა „ქართული სათავადაზნაურო ბანკი და ილია ჭავჭავაძე" (თბ.: 1989) – 398, 466, 518

**თიკანაშვილები** – იმერელი გლეხები (სოფ. ზვარედან) – 252

**თიკანაშვილი ბერიკა** – იმერელი გლეხი (სოფ. ზვარედან) – 251
**თიკანაშვილი ბერიკა დათიკოს ძე** – იმერელი გლეხი (სოფ. ზვარე-დან) –251
**თიკანაშვილი გაბო** – იმერელი გლეხი (სოფ. ზვარედან) – 251
**თიკანაშვილი გიგოლა** – იმერელი გლეხი (სოფ. ზვარედან) – 251
**თიკანაშვილი გლახა** – იმერელი გლეხი (სოფ. ზვარედან) – 251
**თიკანაშვილი დომენტი** – იმერელი გლეხი (სოფ. ზვარედან) – 251
**თიკანაშვილი თევდორე** – იმერელი გლეხი (სოფ. ზვარედან) – 251
**თიკანაშვილი პავლე** – იმერელი გლეხი (სოფ. ზვარედან) – 251
**თიკანაშვილი პეტრე** – იმერელი გლეხი (სოფ. ზვარედან) – 251
**თულაშვილი ვახტანგ** (1834-1910) – თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, „ქშწ-კგ საზოგადოების" ერთ-ერთი დამაარსებელი (1904 წლიდან – საპატიო წევრი), მნიშვნელოვანი ფიგურა ქართული კულტურის აღორძინების პროცესში (ჟურნალისტიკა, თეატრი, სასტამბო-საგამომცემლო საქმე და სხვ.) – 522
**თუმანიშვილი ალექსანდრე** (1821-1872) – გენერალ-ლეიტენანტი, გენერლების, გიორგი (1856-1918) და კონსტანტინე (1862-1933) თუმანიშვილების, მამა – 166, 308, 317, 412
**თუმანიშვილი (თუმანოვი) ბირთველ** (1760-1836) – ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის მდივანი, მიხ. თუმანიშვილის (1818-1875) მამა, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (გაათავისუფლეს, თუმცა მეთვალყურეობა დაუწესეს) – 337
**თუმანიშვილი (თუმანოვი) გიორგი ბირთველის ძე** (გარდ. 1832 წ. შემდეგ) – მიხ. თუმანიშვილის (1818-1875) ძმა, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე, თუმცა ვერ დაუმტკიცეს და გაათავისუფლეს – 337
**თუმანიშვილი გიორგი ეგნატეს ძე** (1774-1837) – პოეტი, მწიგნობარი, კალიგრაფი, „ვეფხისტყაოსნის" ინტერპოლატორი, გიორგი XII-ის მდივან-მწიგნობარი – 412, 520
**თუმანიშვილი (თუმანოვი) ისაак (ისაკ)** (1803-1880) – გენერალ-ლეიტენანტი, „ქშწ-კგ საზოგადოების" დამფუძნებელი წევრი – 59, 331, 517

**თუმანიშვილი (თუმანოვი) მიხეილ ბირთველის ძე** (1818-1875) – სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, მწერალი, ჟურნალისტი. დაკრძალულია თბილისში, ხოჯავანქის სომხურ სასაფლაოზე – 8-10, 14, 65, 71, 83, 85, 100, 134, 197, 262, 266, 337, 341, 342, 352-354, 360, 361, 387, 433, 485, 491, 525

**თუმანიშვილი (თუმანოვი) მიხეილ იოსების ძე** – სახელმწიფო მოხელე, ქუთაისის საგუბერნიო სასამართლოს თავმჯდომარე (1860-იანი წწ.) – 120

**თუმანიშვილ-ანდრეევსკაია ბარბარე** (1819-1893) – ერასტ ანდრეევსკის (1809-1872) მეუღლე, ოდესის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების წევრი. დაკრძალულია მთაწმინდის მამადავითის ეკლესიაში – 412

**თურნავა რუსუდან** – ლიტერატურათმცოდნე – 519

**თურქისტანიშვილი ეკატერინე** – ეკატერინე დადიანის ოჯახის მოვალე – 283, 514

## ი

**იაგორა** – ეკატერინე დადიანის შინამოსამსახურე – 150, 162, 164, 166, 174, 233, 405, 409, 411, 412, 417, 460

**იესო ქრისტე** – ძე ღვთისა, ქრისტიანული რელიგიის ფუძემდებელი – 58, 109

**ივან მალხაზიჩი** – იხ. **ანდრონიკაშვილი ივანე (იოანე)**

**ივანე კარლის ძე** – იხ. **პოზერნი ივანე**

**იზიუმსკი (იზუმსკი) ადრიან (ანდრეი)** – ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი (Действительный статский советник), ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის, ალ. გაგარინის (1801-1857), კანცელარიის მმართველი, 1860-იან წწ. კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოში მსახურობდა – 166, 412

**ინგოროყვა პავლე** (1893-1983) – ლიტერატურათმცოდნე, საქართველოს პირველი რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს (შემდგომში პარლამენტის) წევრი – 525

**ინსარსკი ვასილ** (1814-1882) – საიდუმლო მრჩეველი (Тайный советник), მემუარისტი, კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორი (1857-1862). გარდაიცვალა პეტერბურგში, იქვეა დაკრძალული (ალექსანდრე ნეველის ლავრაში) – 7, 29, 306, 307, 309
**იოანე ნათლისმცემელი** – მესიის მოვლინების წინასწარმეტყველი – 286, 371
**ირაკლი** – იხ. **ლორთქიფანიძე ირაკლი**
**ისააკი (ისააკ დალმატიელი)** (წმ.) – 40
**ისაკი** – იხ. **თუმანიშვილი ისააკ (ისაკ)**
**ისარლიშვილი (ისარლოვი) ლუკა** (1814-1893) – მწერალი (პოეტი, მთარგმნელი, მემუარისტი), ფოლკლორისტი, ნ. ბარათაშვილის თანაგიმნაზიელი. ქუთაისის საგუბერნიო სასამართლოს მოხელე (1860-იანი წწ.). ცენზორი (1881-1889 წწ. მსახურობდა კავკასიის საცენზურო კომიტეტში). მიიჩნევა გაზეთ „დროების" დახურვის (1885) ერთ-ერთ ინიციატორად. დაკრძალულია თბილისში (სოლოლაკის კათოლიკურ სასაფლაოზე) – 475

## კ

**კალანდაძე ალექსანდრე** (1916-1996) – მწერალი, ლიტერატურათმცოდნე. მეორე მსოფლიო ომში იბრძოდა პოლონელებისა და ფრანგების წინააღმდეგობის მოძრაობაში – 519
**კანდინოვი ივანე** – კოლეგიის რეგისტრატორი (Коллежский регистратор), დიმ. ყიფიანის მოვალე – 25-27, 303-305
**კანდინოვი სტეფანე** – კოლეგიის რეგისტრატორი (Коллежский регистратор), დიმ. ყიფიანის მოვალე – 303
**კარლა** (პერს.) – 179
**კარსიძე** – ქართლელი აზნაური – 182
**კარცოვი** (1817-1875) – ინფანტერიის გენერალი, კავკასიის არმიის გენერალური შტაბის უფროსი 1860-იან წწ.; სიცოცხლის ბოლო წლებში იყო ხარკოვის სამხედრო ოლქის ჯარების მეთაური (იქვე გარდაიცვალა) – 317

**კეკელიძე კორნელი** (1879-1962) – ლიტერატურათმცოდნე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი – 1, 299, 519, 528

**კელენჯერიძე ელენე** – ფილოლოგი, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელი. აღწერა ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული დიმ. ყიფიანის პირადი არქივი – 311, 344

**კერგორლე** – 253, 474

**კერესელიძე ივანე** (1829-1892) – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, ჟურნალ „ცისკრისა“ (1857-1875) და გაზეთ „ცისკრის“ (1887) რედაქტორ-გამომცემელი. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში – 398

**კვარაცხელია** – სამეგრელოს სოფ. აბასთუმანში მცხოვრები გლეხი – 98

**კიკნაძე ლია** – ფილოლოგი, მკვლევარი – 330, 334, 418, 459, 502, 519

**კიკოლა დიაკვანი** – იხ. **ონიკაშვილი ნიკოლოზ**

**კობაძე ბონდო** – პროექტის ავტორი და შემდგენელი კრებულებისა: „აკაკი წერეთელი – 170“ (თბ.: 2010), „დიმიტრი ყიფიანი – 200“ (თბ.: 2014) და სხვ. – 336, 341, 343, 364, 523

**კობახიძე ლალი** – მკვლევარი – 324, 326, 519

**კოლიუბაკინი მიხეილ (კოლიუბაკინი I)** (1806-1872) – გენერალ-ლეიტენანტი, ნიკ. კოლიუბაკინის (1810-1868) ძმა, სამეგრელოს მმართველი (1858-1861) – 59, 104, 129, 313, 331, 345, 363, 372, 382, 510

**კოლიუბაკინი ნიკოლოზ (კოლიუბაკინი II)** (1810-1868) – გენერალ-ლეიტენანტი, ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი და სამეგრელოს მმართველი (1857-1858), ერევნისა (1858-1861) და ქუთაისის (1861-1862) გენერალ- გუბერნატორი – 55, 59, 61, 73, 75, 83, 103, 112-114, 129, 134, 313, 331, 332, 345, 346, 351, 363, 368, 372-374, 382

**კოლხიდელი** – იხ. **დადიანი გრიგოლ**

**კონსტანტინე (მურზაყან) დადიშქელიანი** (1826-1857) – სვანეთის

უკანასკნელი მთავარი, 1857 წ. მოკლა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი ალ. გაგარინი, რის გამოც სიკვდილით დასაჯეს – 372, 419

**კონსტანტინე ნიკოლოზის ძე** *(რომანოვი)* (1827-1892) – გენერალ-ადმირალი, იმპერატორ ნიკოლოზ I-ის ძე, პოლონეთის ნამესტნიკი 1862-1863 წწ. – 106, 366

**კოსტანტინე (I)** – იხ. **დადიანი კონსტანტინე**

**კოსტილევა მარიამ** – იხ. **ნიჟარაძე-კოსტილევა მარიამ**

**კოსტილევი ნიკოლოზ** – სამართლისმცოდნეობის მასწავლებელი ქუთაისის საგუბერნიო გიმნაზიაში (1860-იანი წწ.) – 13, 251, 252, 473

**კრივეცკი მიხეილ** – თბილისის გუბერნიის პროკურორის ამხანაგი (მოადგილე) სისხლის სამართლის ნაწილში (1850-იან წწ.) – 17, 19

**კრუზენშტერნი ალექსი** (1813-1887) – სახელმწიფო მდივანი (Статс-секретарь), 1830-1831 წწ. პოლონეთის აჯანყების ჩახშობისა და რუსეთ-ოსმალეთის 1853-1856 წწ. ომის მონაწილე, 1850 წლიდან კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის ვიცე-დირექტორი, 1856 წლიდან – დირექტორი, 1858-1863 წწ. – კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსი – 7, 8, 32, 33, 35, 43, 45, 48-50, 53, 69, 71, 74, 310-313, 321-323, 326, 338-340, 342, 346, 435

**კუსრაშვილი რუსუდან** (1930-2018) – ფილოლოგი, ტექსტოლოგი, ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევარი – 516

## ლ

**ლადინსკი პეტრე** (1784-1865) – გენერალ-ლეიტენანტი, ამიერკავკასიის სამოქალაქო ნაწილის უფროსი (1845-1847; კავკასიაში მსახურობდა 1803 წლიდან); 1847 წ. გავიდა სამსახურიდან და სიცოცხლის ბოლო წლები გაატარა ფეოდოსიის მაზრის სოფ. პეტროვკაში (ქერჩთან), იქვე გარდაიცვალა და იქვე, მის მიერვე

აგებულ ეკლესიაში, არის დაკრძალული – 9, 14, 120, 221, 231, 274, 275, 322, 343, 377, 449, 457, 458, 462, 498-500

**ლევან V დადიანი** (1791-1846) – სამეგრელოს (ოდიშის) მთავარი (1805-1840; უშუალოდ ოდიშის მართვას 1811 წლიდან შეუდგა), ტახტი სიცოცხლეშივე გადასცა მემკვიდრეს – დავით დადიანს, თუმცა მთავრის ტიტული სიკვდილამდე შეინარჩუნა – 329, 476, 501

**ლევაშოვი ვლადიმერ** (1834-1898) – გენერალ-ლეიტენანტი, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი (1867-1874), მხილებულ იქნა ქართული ეკლესია-მონასტრების ძარცვასა და განძის საქართველოდან გატანაში, რის გამოც ხელისუფლება იძულებული გახდა, იგი კავკასიიდან გაეწვია. დაკრძალულია პეტერბურგში, ალექსანდრე ნეველის ლავრაში – 13, 255, 477, 478

**ლეონიძე გიორგი** (1899-1966) – მწერალი, მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე – 1, 299, 519, 528

**ლიზა** – იხ. **ჭილაშვილ-ნაზოროვა ელისაბედ (ლიზა)**

**ლიმანოვსკი ვლადიმერ** (დაბ. 1826) – გენერალი, „კავკაიის ომის“ მონაწილე – 317

**ლოლაშვილი ივანე** (1918-1984) – ლიტერატურათმცოდნე, ტექსტოლოგი, ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევარი – 339, 519

**ლორთქიფანიძე ანტონ** (1847-1894) – ვექილი, ბიბლიოფილი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, ელენე დიმიტრის ას. ყიფიანის (1855-1890) მეუღლე. დამთავრებული ჰქონდა ოდესის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ცხოვრობდა ქუთაისში და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქუთაისის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში. დაკრძალულია ქუთაისში, წმ. გიორგის ეკლესიაში (გორის უბანი) – 448

**ლორთქიფანიძე** (ქალიშვილობის გვარი – **ყიფიანი**) **ელენე (ლოკა, ლოლა)** (1855-1890) – მწერალი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, დიმ. ყიფიანის ქალიშვილი, ანტონ ლორთქიფანიძის (1847-1894) მეუღლე; მოღვაწეობდა ქუთაისში, დიდი ამაგი

დასდო ქართული ხალხური სიმღერებისა და სასულიერო საგალობლების შეკრებასა და ნოტებზე გადატანას. მისი ინიციატივით გამოიცა „თარგმანნი საამო საკითხავთა თხზულებათა“ (1872), ალმანახ „ქართული ბიბლიოთეკის“ (ქუთაისი, 1883 წ.) ერთ-ერთი დამაარსებელი და რედაქციის წევრი. გარდაიცვალა ქუთაისში, დაკრძალულია იქვე, წმ. გიორგის ეკლესიაში (გორის უბანი) – 448

**ლორთქიფანიძე ირაკლი** (გარდ. 1881) – პოეტი (ლექსები და კრიტიკული წერილები აქვს გამოქვეყნებული ივ. კერესელიძის „ცისკარში“), ეკატერინე დადიანის მდივანი, სამეგრელოს სამთავრო მამულების მმართველი (მოურავი). გარდაიცვალა ქუთაისში – 76, 125, 347, 348, 380

**ლორის-მელიქოვი მიხეილ** (1825-1888) – კავალერიის გენერალი, გენერალ-ადიუტანტი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, რუსეთის I კონსტიტუციის პროექტის ფაქტობრივი ავტორი, 1880-1881 წწ. – რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი და ჟანდარმთა შეფი; სანქტ-პეტერბურგის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი; „ქშწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი; ქართული ლიტერატურის ისტორიაში შესულია, როგორც ი. ჭავჭავაძისა („კიდევ გამოცანები“) და ა. წერეთლის („ჩვენი მიხაკა“) გამანადგურებელი სატირის ობიექტი. გარდაიცვალა საფრანგეთის ქ. ნიცაში, დაკრძალულია თბილისში, ვანქის ეკლესიის გალავანში – 472

**ლუკინა ელისაბედ** – ეკატერინე დადიანთან დაახლოებული პირი – 123, 206

## მ

**მაკარი არქიმანდრიტი** (ერობაში **მიხეილ მატათაშვილი**) (1824-1892) – სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, დაკრძალულია თბილისში, დარიას (დღეს ფერისცვალების) მონასტერში – 286

**მაკო – იხ. ჭავჭავაძე მარიამ (კაკო, მაკო) დავითის ას.**

**მამაცაშვილი ილია** – კონსტანტინე მამაცაშვილის (1818-1900) ძმა, „თერგდალეულთა“ თანამოაზრე, ადრესატი ა. წერეთლის ლექსისა „პასუხი ილია მამაცაშვილს“; ერთხანს სვანეთის ბოქაული იყო. გარდაიცვალა 25 წლისა ერევანში, სადაც მომრიგებელ მოსამართლედ მსახურობდა – 182

**მამაცაშვილი იოსებ** (1810-1874) – საზოგადო მოღვაწე, ჟურნალისტი, მწერალი, ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი (Действительный статский советник); 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (გადაასახლეს ვიატკაში, სადაც ს. დოდაშვილთან ერთად იხდიდა სასჯელს). სამშობლოში დაბრუნებული (1836 წ. მარტი) გორში დამკვიდრდა და დიდხანს იმსახურა მაზრის მოსამართლედ – 182

**მამაცაშვილი კონსტანტინე** (1818-1900) – სამხედრო (გენერალ-ლეიტენანტი) და საზოგადო მოღვაწე, „ქშწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, მემუარისტი (გამოქვეყნებული აქვს მოგონებები სიყრმის მეგობარ ნ. ბარათაშვილზე), გარდაიცვალა თბილისში, დაკრძალულია დიდუბის პანთეონში – 182, 336, 354, 400

**მანანა** – იხ. **ორბელიანი მანანა**

**მარგარიტა** (პერს.) – 179

**მარია თედორეს ას.** – სავარაუდოდ, გრ. აპოსტოლოვის მეუღლე – 276, 500

**მარია თედორეს ას.** *(მარია სოფია ფრედერიკა დაგმარი)* – რუსეთის იმპერატრიცა (1881-1894), ასული დანიის მეფე კრისტიან IX-ისა (1818-1906), მეუღლე რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე III-სა (1845-1894), დედა იმპერატორ ნიკოლოზ II-ისა (1868-1918) – 425

**მარია ივანეს ასული** – 57

**მარია ნიკოლოზის ასული** – 57

**მარია პეტრეს ასული** – სცენისმოყვარე – 179

**მარკოზაშვილი (მარკოზოვი) ივანე** (1810-1877) – სამხედრო პირი (გენერალ-მაიორი 1869 წლიდან), „კავკასიისა“ და „ყირიმის“

ომების მონაწილე, ინფანტერიის გენერლისა და სამხედრო ისტორიკოსის, ვასილ მარკოზოვის (მარკოზაშვილის) (1838-1908), მამა – 191, 471

**მარუცა (მალუცა)** – იხ. **მაყაშვილი ეკატერინე (მარუცა)**

**მასი ერნსტ** (1807-1879) – ბარონი, ოდესაში საექსპორტო კომპანიის Масс и K⁰ დამაარსებელი – 479

**მაქსიმოვიჩი ალექსანდრე** (1799-1873 წ. შემდეგ) – რუსი კარტოგრაფი და მათემატიკოსი, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის თანაშემწე (მოადგილე) და საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე (1850-1860-იან წწ.) – 214, 444

**მაღალაშვილები** – თავადური საგვარეულო – 424

**მაყაშვილი ანასტასია** (დაბ. 1808) – კახელი თავადიშვილი – 494

**მაყაშვილი გრიგოლ (გიგო)** (1830-1906) – თელავის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი“) 1864-1867 წწ. – 493, 494

**მაყაშვილი ეკატერინე (მარუცა)** (1844-1905) – გულბაათ (პანტელეიმონ) ჭავჭავაძის (1796-1863) ას., გრიგოლ მაყაშვილის (1830-1906), მეუღლე – 493, 494

**მაჭავარიანი სპირიდონ** (1807-1892) – გენერალ-მაიორი, „ქშწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, ოზურგეთის მაზრის უფროსი (1850-1857 წწ.). დაკრძალულია იმერეთის სოფ. ცხრაწყაროს წმ. გიორგის ეკლესიაში – 283, 512, 514

**მაჭარაშვილი ნესტორ** (1856-1931) – სასულიერო პირი (დეკანოზი), მთაწმინდის მამადავითის ეკლესიის წინამძღვარი, ბოლშევიკური რეპრესიების მსხვერპლი (დახვრიტეს 1931 წ.) – 422, 519

**მაჭუტაძე** – ეკატერინე დადიანის მოვალე – 90

**მახათაძე ნინო** (1926-2012) – ლიტერატურათმცოდნე, მემუარისტი – 330, 519

**მგალობლიშვილი დიმიტრი** – კახელი აზნაური (თელავის მაზრიდან), თბილისის სათავადაზნაურო ბანკის დამაარსებელი კომიტეტის წევრი – 472

**მეგრელიძე იოსებ** (1909-1996) – ფილოლოგი (რუსთველოლოგია,

ენათმეცნიერება, ფოლკლორისტიკა, ეპიგრაფიკა და სხვ.) – 489, 520

**მელიტონ** – იხ. **დადიანი მელიტონ**

**მელიქიშვილი ივანე** (1830-1907) – ქართლელი თავადი (თბილისის მაზრიდან) – 182, 185

**მელიქიშვილი ლევან** (1817-1892) – გენერალ-ლეიტენანტი, ანდრია პირველწოდებულის ორდენის კავალერი, კავკასიის მეფისნაცვლისა და მთავარსარდლის მოადგილე (1880 წლიდან); „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკისა“ (1842-1848) და „ქშწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი – 132, 331, 472

**მენაბდე დარეჯან** – ფილოლოგი, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევარი – 308, 520

**მერდერი** (ქალიშვილობის გვარი – **ანენკოვა) ევდოკია** (1833-1876) – ეკატერინე დადიანის გარემოცვის წევრი, დიმ. ყიფიანის პეტერბურგელი ნაცნობი – 57, 59, 77, 83, 111, 123, 127, 134, 136, 151, 329, 330, 332, 359, 370, 378, 387, 389, 406, 425, 432, 439

**მერდერი პეტრე** (1819-1894) – გენერალ-ლეიტენანტი, გენერალ-ადიუტანტი, ევდოკია მერდერის (1833-1876) მეუღლე – 330

**მესხი სიმონ** (1820-1877) – ქუთაისის საგუბერნიო სასამართლოს მოხელე, სერგეი (1845-1883), კოტე (1857-1914), დავით (1860-1943), ეფემია (1862-1941) და სხვ. მესხების მამა – 475

**მეუნარგია იონა** (1852-1919) – მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, „ქშწ-კგ საზოგადოების“ მდივანი, „ვეფხისტყაოსნის“ 1888 წლის (ქართველიშვილისეული) გამოცემის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი. დაკრძალულია მშობლიურ სოფ. ცაიშში – 325, 330, 362, 520

**მეფარიშვილი ლუბა** – ფილოლოგი, ტექსტოლოგი – 308, 520

**მეღვინეთუხუცესი** – გორის სამაზრო სასამართლოს პროტოკოლისტი – 27

**მთაწმინდელი გიორგი** – იხ. **გიორგი მთაწმინდელი**

**მილერი (მილლერი)** – ეკატერინე დადიანის საქმიანი პარტნიორი სამეგრელოს სამთავროს საქმეებში – 129

**მინგრელსკი ნიკოლოზ** – იხ. **დადიან-მინგრელსკი ნიკოლოზ (ნიკო)**
**მირსკი** – იხ. **სვიატოპოლკ-მირსკი დიმიტრი**
**მიურატი აშილ** (1847-1895) – საფრანგეთის საიმპერატორო ოჯახის წევრი, სალომე დავითის ას. ჭავჭავაძის (1848-1913) მეუღლე. დაკრძალულია სამეგრელოს სოფ. ჭკადუაშში – 501, 518
**მიურატი სალომე** – იხ. **დადიან-მიურატი სალომე**
**მიქავა** – სამეგრელოს სოფ. აბასთუმანში მცხოვრები გლეხი – 98
**მიქავა უტუ** (1812-1878) – 1856-1857 წწ. სამეგრელოს აჯანყების მეთაური, გადაასახლეს არხანგელსკის გუბერნიაში, საიდანაც 1867 წ. დაბრუნდა – 426
**მიქაძე** – პეტრე დადიანის (1808/1813-1884) ქალიშვილი, მეგრელ თავადზე, მიქაძეზე, გათხოვილი – 91
**მიქაძე გივი** (1924-2008) – ლიტერატურათმცოდნე, ბიბლიოგრაფი, ლექსიკოგრაფი – 412, 520
**მიშელი** – იხ. **ჭილაშვილი (ჩილაევი, ჩილიაევი) მიხეილ (მიშელ)**
**მიშკინი** – რუსი თავადი – 215
**მიცკევიჩი ადამ** (1798-1855) – პოეტი, პოლონეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო წევრი – 325
**მიხაილ იეგორიჩი** – იხ. **ჭილაშვილი (ჩილაევი, ჩილიაევი) მიხეილ (მიშელ)**
**მიხეილ ნიკოლოზის ძე** *(რომანოვი)* (1832-1909) – დიდი მთავარი, კავკასიის მეფისნაცვალი და ჯარების სარდალი (1862-1881), რუსეთის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე (1881-1905; 1905 წ. გადადგა პოსტიდან, თუმცა სიკვდილამდე დარჩა სახელმწიფო საბჭოს საპატიო თავმჯდომარედ) – 10, 108-110, 136, 302, 335, 362-364, 366-370, 372, 376, 379, 381, 382, 384, 385, 389, 390, 392, 405, 416, 424, 434, 459, 465, 485, 505, 513
**მიხეილ (ჰამუთ-ბეი) შარვაშიძე** (1806-1866) – აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი (1822-1864), რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი, გარდაიცვალა ვორონეჟში. დაკრძალულია მოქვის ტაძარში – 366
**მიხეილი** (პერს.) – 346

**მოლაშხია** – სამეგრელოს სოფ. აბასთუმანში მცხოვრები გლეხი – 98

**მონიავები** – სახასო გლეხები სამეგრელოში – 206

**მოსიაშვილი დათო** – წიგნის დიზაინერი – 4

**მურავიოვი ალექსანდრე** – გენერალი, სახელმწიფო მოხლე – 14, 278, 503, 504

**მურატი ახილ** – იხ. **მიურატი აშილ**

**მურიე ჟან** – ფრანგი ორიენტალისტი, ჟურნალისტი (1889-1892 და 1899-1902 წწ. თბილისში გამოსცემდა ფრანგულენოვან ჟურნალს „ლე კოკაზ ილიუსტრე“) – 518

**მუსხელიშვილი (მუსხელოვი)** – 27, 305

**მუშთაიდი (მუშტეიდი, მუჯთაჰიდი)** *მირ-ფეთე-აღა სეიდ თავრიზელი* (გარდ. 1892) – თავრიზის მუჯთაჰიდი [შიიტური სასულიერო წრეების (ღვთისმეტყველთა) უმაღლესი წარმომადგენელი]. შაჰის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდებით დევნილმა თავი შეაფარა თბილისს, სადაც 1820-იანი წწ. ბოლოს ცნობილი (მუშთაიდის) ბაღი გააშენა. 1845 წ., შაჰის მიერ შეწყალებული, თავრიზში დაბრუნდა. გარდაიცვალა იქვე – 112, 372

**მუხრანბატონი (ბაგრატიონ-მუხრანსკი, მუხრანსკი) გიორგი** (1821-1877) – საიდუმლო მრჩეველი (Тайный советник), სენატორი, რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი, გარდაიცვალა პარიზში. დაკრძალულია სვეტიცხოვლის საგვარეულო სამარხში – 7, 33, 39, 123, 246, 311-313, 316, 320, 378, 472

**მუხრანბატონი (ბაგრატიონ-მუხრანსკი, მუხრანსკი) ერეკლე (ირაკლი)** (1813-1892) – ქეთევან ერეკლე II-ის ასულისა (1764-1840) და სახლთუხუცეს იოანე კონსტანტინეს ძე მუხრანბატონის (1757-1800) შვილიშვილი, გიორგი (1821-1877) და ივანე (1812-1895) მუხრანბატონების ძმა, „ქშწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი – 307, 309

**მუხრანბატონი (ბაგრატიონ-მუხრანსკი, მუხრანსკი) ივანე (იოანე)** (1812-1895) – გენერალ-ლეიტენანტი, ქეთევან ერეკლე II-ის ას. ბატონიშვილის შვილიშვილი, ქუთაისის გუბერნიის სამხედრო

გუბერნატორი (1853-1856), თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი (1885-1891), „ქშწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი (თავმჯდომარე 1882-1885 წწ.). დაკრძალულია სვეტიცხოვლის ტაძარში – 112, 118, 123, 131, 132, 137, 336, 371, 385, 395, 398, 472

**მუხრანბატონი კონსტანტინე ივანეს (იოანეს) ძე** (1779-1842) – რუსული ორიენტაციის პოლიტიკური ფიგურა, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი“) 1812-1839 წწ.; დაკრძალულია სვეტიცხოვლის ტაძარში – 384

**მუხრანბატონი (ბაგრატიონ-მუხრანსკი, მუხრანსკი) კონსტანტინე (კოწია) ივანეს ძე** (1838-1903) – სამხედრო (გენერალ-მაიორი) და საზოგადო მოღვაწე, „ქშწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, ქველმოქმედი (საგანგებოდ ზრუნავდა განათლების გავრცელებაზე), რუსეთის საიმპერატორო კარის ეგერმეისტერი (1895), თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი (1894-1900). დაკრძალულია სვეტიცხოვლის ტაძარში – 113

**მუხრანბატონი ნინო** (1816-1886) – ლევან V დადიანის (1791-1846) ასული, ივანე მუხრანბატონის (1812-1895) მეუღლე. დაკრძალულია სვეტიცხოვლის ტაძარში, მეუღლის გვერდით – 371, 502, 525

**მუხრანსკი (ბაგრატიონ-მუხრანსკი)** – იხ. **მუხრანბატონი**

**მხეიძე ნიკო** – მეგრელი თავადი, დიმ. ყიფიანის ნათლიმამა – 77, 177

## ნ

**ნაზოროვა ელისაბედ (ლიზა)** – იხ. **ჭილაშვილ-ნაზოროვა ელისაბედ (ლიზა)**

**ნანიტაშვილი ლეილა** (გარდ. 2022) – XIX-XX სს. ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის მკვლევარი – 308, 520, 521

**ნანუკოვი** – დიმ. ყიფიანის სავარაუდო ნათესავი – 26, 27

**ნაპოლეონ III *ბონაპარტი*** (1808-1973) – საფრანგეთის II რესპუბ-

ლიკის პრეზიდენტი (1848-1852), საფრანგეთის იმპერატორი (1852-1870) – 501, 518

**ნატალია** – იხ. **ბარათაშვილ-ჭავჭავაძე ნატალია**

**ნიკო** – იხ. **დადიან-მინგრელსკი ნიკოლოზ (ნიკო)**

**ნიკოლაი ალექსანდრე** (1821-1899) – შვედური წარმოშობის რუსი სახელმწიფო მოღვაწე, ბარონი. მეუღლე სოფიო ალექსანდრეს ას. ჭავჭავაძისა (1833-1862). გარდაიცვალა ბეთანიაში, საკუთარ მამულში – 10, 11, 13, 14, 46, 153, 160, 190, 198, 243, 244, 246, 267, 270, 272, 279, 286, 323, 334, 373, 374, 378, 379, 385-387, 389, 392, 402, 407, 408, 410, 414, 417, 419, 427, 431, 433-435, 437-439, 441, 447, 449, 454, 459, 465, 467, 469, 494, 495, 497, 498, 502, 504, 512

**ნიკოლაი მიხაილიჩი** – იხ. **მიხეილ ნიკოლოზის ძე** *(რომანოვი)*

**ნიკოლაი-შარვაშიძე მარიამ (მაკა)** (1859-1919) – ბარონესა, რუსეთის სამეფო კარის ფრეილინა, ალ. ნიკოლაის (1821-1899) ქალიშვილი, გ. დ. შარვაშიძის (1847-1918) მეუღლე, დაკრძალულია თბილისში, ქაშვეთის ეკლესიის გალავანში – 334

**ნიკოლაი სოფიო** – იხ. **ჭავჭავაძე-ნიკოლაი სოფიო**

**ნიკოლიჩი ნიკოლოზ** – ელიზავეტპოლის საგუბერნიო მმართველობის მოხელე – 275

**ნიკოლოზ I** (1796-1855) – რუსეთის იმპერატორი (1825-1855) – 354, 390

**ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე** – იხ. **ანტონოვიჩი ნიკოლოზ**

**ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე** *(რომანოვი)* (1843-1865) – იმპერატორ ალექსანდრე II-ის ძე, დიდი მთავარი, რუსეთის საიმპერატორო ტახტის მემკვიდრე, ტუბერკულოზური მენინგიტით გარდაიცვალა საფრანგეთში, ქ. ნიცაში – 425, 434

**ნიკოლოზ მიხეილის ძე (ნიკოლაი მიხაილიჩი)** *(რომანოვი)* (1859-1919) – კავკასიის მეფისნაცვლის, მიხეილ ნიკოლოზის ძის (1832-1909), უფროსი შვილი, ინფანტერიის გენერალი, რომანოვების ბორჯომის (ლიკანის) სასახლის აგების ინიციატორი და ორგანიზატორი, ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ჯერ ვოლოგ-

დაში გადაასახლა (1918 წ. მარტი), შემდეგ კი დახვრიტა (1919 წ. იანვარი) – 500
**ნიკური** – ინჟინერი, კომერციული ინტერესები ჰქონდა სამეგრელოში – 227, 453
**ნინა იაგორის ასული** – იხ. **ჭილაშვილ-ყიფიანი ნინო**
**ნინიძე მარიამ (მაია)** – მკვლევარი (ლიტერატურათმცოდნე, ტექსტოლოგი) – 521
**ნინო** – იხ. **ჭილაშვილ-ყიფიანი ნინო**
**ნინო** (წმ.) – ქართველთა განმანათლებელი, მოციქულთასწორი – 128, 133, 381, 386
**ნიჟარაძე ეფემია (ფეფენა)** – იხ. **ყიფიან-ნიჟარაძე ეფემია (ფეფენა)**
**ნიჟარაძე კონსტანტინე** – სამეგრელოს სამთავროს საქმეთა მმართველი (1860-იანი წწ.) – 13-15, 76, 77, 139, 162, 175, 177, 195,211, 221, 249, 266, 282-285, 288, 292, 295, 347, 364, 409, 417, 437, 441, 470, 471, 473, 475, 478, 489, 490, 507, 512
**ნიჟარაძე-კოსტილევა მარიამ (მაშა, მაშენკა)** – კონსტანტინე ნიჟარაძის ასული, ნიკოლოზ კოსტილევის მეუღლე – 473

**ო**

**ოკლობჟიო (ოღლაბჟიო; ოგლობჟიო) ივანე** (1818-1880) – იტალიაში დაბადებული სერბული წარმოშობის სამხედრო მოღვაწე, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი, „კავკასიისა“ და 1877-1878 წწ. ომების მონაწილე, ანასტასია (ტასო) კონსტანტინე ას. ორბელიანის მეუღლე. გარდაიცვალა თბილისში, დაკრძალულია ქაშვეთის ეკლესიის გალავანში – 318
**ოკლობჟიო ანასტასია (ტასო)** – იხ. **ორბელიან-ოკლობჟიო ანასტასია (ტასო)**
**ოლგა თეოდორეს ასული (ოლგა ფეოდოროვნა)** (1839-1891) – დიდი მთავრის, კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძის, მეუღლე (იქორწინეს 1857 წ.), საქართველოში ცხოვრებისას დიდი ამაგი დასდო ქალთა განათლების საქმეს. გარდაიცვალა

ხარკოვში. მეუღლესთან ერთად დაკრძალულია პეტერბურგში, პეტრე-პავლეს ტაძარში – 367, 372, 390
**ომერ-ფაშა (ლატასი მიხაილ)** (1806-1871) – სერბული წარმოშობის ავსტრიელი ოფიცრის შვილი, რომელმაც ისლამი მიიღო და შთამბეჭდავი კარიერა შეიქმნა ოსმალეთის სამხედრო ძალებში... გარდაიცვალა სტამბოლში – 332
**ონიკაშვილი (ონიკოვი) ალექსანდრე** (გარდ. 1885) – ბიბლიოფილი, „კავკასიის ომის" მონაწილე, „ქშწ-კგ საზოგადოების" დამფუძნებელი წევრი – 7, 29, 30, 306-309, 318
**ონიკაშვილი (ონიკოვი) დიმიტრი** – გრ. ორბელიანის ლექსის ადრესატი („დიმიტრი ონიკაშვილის დარდები") – 308, 521
**ონიკაშვილი (ონიკოვი) ნიკოლოზ** – მწერალი, მწიგნობარი, იოანე ბატონიშვილის მდივანი, სიცოცხლის ბოლო წლებში იყო ტიტულარული მეჩეველი და სოფ. ტირძნისის „განმგე" – 308, 520
**ონიკაშვილი (ონიკოვი) სოლომონ** – ალ. ონიკაშვილის (გარდ. 1885) ძმა, „კავკასიის ომის" მონაწილე (1832 წ. შტაბს-კაპიტანია). 1850-იან წწ. იყო ახალბაიაზეთისა და ერევნის მაზრების უფროსი, ქუთაისის კომენდანტი. 1860 წ. სამსახურიდან გავიდა პოლკოვნიკის ხარისხით – 308, 309
**ორბელიანები** – თავადური საგვარეულო – 339
**ორბელიანი ალექსანდრე დავითის ძე** (გარდ. 1869) – გენერალ-მაიორი, მანანა ორბელიანის (1808-1870) ვაჟი, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი") 1857-1864 წწ. (ამ პოსტზე დიმ. ყიფიანმა შეცვალა). გარდაიცვალა იალტაში, დაკრძალულია კუმისის წმ. სამების ეკლესიაში – 9, 66, 86, 108, 112, 312, 338, 339, 353, 354, 368, 371, 376, 384, 385, 398
**ორბელიანი ალექსანდრე ვახტანგის ძე** (1802-1869) – მწერალი, ისტორიკოსი, ერეკლე II-ის შვილიშვილი (თეკლა ბატონიშვილის უფროსი ვაჟი), 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი ხელმძღვანელი (გადაასახლეს ორენბურგის გუბერნიაში). დაკრძალულია სიონის ტაძარში – 191, 337, 339, 407, 412, 521
**ორბელიანი ბარბარე (ვარინკა, ვარვარა) ილია ბატონიშვილის ას.**

(1831-1884) – ილია ორბელიანის (1815-1853) მეუღლე, შამილთან ტყვედ ნამყოფი, „ქშწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი – 318, 493, 497

**ორბელიანი ბარბარე სამარაგდონის ას.** – იხ. **საგინაშვილი ბარბარე**

**ორბელიანი გრიგოლ** (1804-1883) – პოეტი, გენერალ-ადიუტანტი, ინფანტერიის გენერალი, კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს თავმჯდომარე (ხანგამოშვებით ასრულებდა მეფისნაცვლის მოვალეობას), თბილისის გენერალ-გუბერნატორი, „ქშწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე. დაკრძალულია ქაშვეთის ტაძარში – 7, 10, 14, 37, 71, 84, 118, 132, 133, 137, 148, 261, 308, 315, 316, 318, 319, 331, 336, 340-343, 351, 353, 364, 376, 385, 395, 400, 401, 411, 452, 472, 484, 485, 493, 497, 515, 521

**ორბელიანი დავით** (1801-1830) – პოდპორუჩიკი (ზოგიერთი წყაროთი „სოვეტნიკი“), მანანა ორბელიანის (1808-1870) მეუღლე, ადრესატი გრ. ორბელიანის ლექსისა „დავით ორბელიანზე“. დაკრძალულია კუმისის წმ. სამების ეკლესიაში – 339

**ორბელიანი დიმიტრი თამაზის (თომას) ძე** (1797-1868) – გენერალ-ლეიტენანტი; თვალსაჩინო ფიგურა „კავკასიის ომში“ (მეთაურობდა ქართულ მილიციას; ამ ფაქტს უძღვნა ნ. ბარათაშვილმა ლექსი – „ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა...“), 1832 წლის შეთქმულების წევრი (ვერ დაუმტკიცეს და გაათავისუფლეს), თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი 1839-1855 წწ. – 384, 400

**ორბელიანი ეკატერინე – იხ. ბარათაშვილ-ორბელიანი ეკატერინე (კატინა)**

**ორბელიანი ვახტანგ** (1812-1890) – პოეტი, სამხედრო და საზოგადო მოღვაწე, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (გადაასახლეს კალუგაში). „ქშწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი. დაკრძალულია თბილისის სიონის ტაძარში – 331

**ორბელიანი ივანე** (1809-1866) – თბილისის გუბერნიის თავადაზ-

ნაურობის წინამძღოლი („მარშალი“) 1855-1856 წწ.; დაკრძალულია თბილისის სიონის ტაძარში – 384
**ორბელიანი იოსებ (სოსიკო)** (1824-1879) – გენერალ-მაიორი, ალაზნის ხაზის ჯარების მეთაური (1877 წლიდან), „ქშწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი – 317
**ორბელიანი მამუკა (მაკარ)** (1800-1871) – გენერალ-მაიორი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (მიესაჯა სამსახური „მალოროსიულ ყაზახთა პოლკში“). გარდაიცვალა თბილისში. დაკრძალულია თბილისის სიონის ტაძარში – 237, 308, 462-463
**ორბელიანი მანანა** (1808-1870) – საზოგადო მოღვაწე, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (ვერ დაუმტკიცეს და გაათავისუფლეს, თუმცა საგანგებო მეთვალყურეობა დაუწესეს), 1840-იან წწ. მის სალონში დაიბადა ქართული პროფესიული თეატრისა და გ. ერისთავის „ცისკრის“ დაარსების იდეა. დაკრძალულია კუმისის წმ. სამების ეკლესიაში – 57, 211, 226, 329, 339, 441, 452, 502, 526
**ორბელიანი სოსიკო** – იხ. **ორბელიანი იოსებ (სოსიკო)**
**ორბელიანი სულხან-საბა** (1658-1725) – მწერალი, ლექსიკოგრაფი, განმანათლებელი, სასულიერო და პოლიტიკური მოღვაწე – 336, 347, 521
**ორბელიანი ყაფლან** (1813-1878) – გავლენიანი თავადის, ასლან ორბელიანის (1766-1834 წ. შემდეგ), ვაჟი; გრიგოლ ორბელიანის ახლო ნათესავი, მეგობარი და წერილების ადრესატი; დაკრძალულია კუმისის წმ. სამების ეკლესიაში – 318
**ორბელიან-ბარიატინსკაია ელისაბედ (ლიზიკო)** (1835-1899) – ალ. ბარიატინსკის (1815-1879) მეუღლე, რუსეთის საიმპერატორო კარის ფრეილინა, მთარგმნელი, პოლიგლოტი, გარდაიცვალა გერმანიის ქ. აახენში, დაკრძალულია მეუღლის გვერდით, კურსკის გუბერნიის სოფ. ივანოვსკოეში – 332, 333, 361
**ორბელიან-გაგარინა ანასტასია (ტასო)** (1825-1907) – მანანა ორბელიანის (1808-1870) ქალიშვილი, ალ. გაგარინის (1801-1857) მეუღლე. გარდაიცვალა მეუღლის მამულში (ქუჩუქ-ლამბათში; ამჟამად დასახლება უტიოსი), იქვეა დაკრძალული – 226, 452, 497

**ორბელიან-ოკლობჟიო ანასტასია (ტასო)** (1830-1884) – გენერალ ივანე ოკლობჟიოს (1818-1880) მეუღლე, გ. ერისთავის „გაყრის“ 1850 წ. 2 (14) იანვრის ისტორიული წარმოდგენის მონაწილე. დაკრძალულია ქაშვეთის ეკლესიის გალავანში (მეუღლის გვერდით) – 318

**ორბელიან-ჩიჯავაძე ელენე** (1833-1860) – ყაფლან ორბელიანის (1809-1878) ასული, იმერელი თავადის, ნიკოლოზ ჩიჯავაძის (1828-1886), მეუღლე (იქორწინეს 1860 წ. იანვარში). გარდაიცვალა ქუთაისში – 318

**ორლოვსკი კონსტანტინე** (1810-1876) – საიდუმლო მრჩეველი (Тайный советник), თბილისის სამოქალაქო გუბერნატორი 1860-1876 წწ. – 9-13, 79, 117, 140, 143, 180, 189, 190-192, 223, 250, 324, 349, 350, 375, 376, 394-396, 408, 423, 426, 428-430, 431, 450, 472, 492, 494, 495

**ოსტენ-საკენი მაქსიმილიან ფონ დერ** (1833-1884) – ბარონი, „კავკასიის ომის“ მონაწილე, საიდუმლო მრჩეველი (Тайный советник), ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი (1868-1871), სტავროპოლისა (1873-1876) და თბილისის (1876-1877) გუბერნატორი, ალ. ჭავჭავაძის (1786-1846) შვილიშვილის, სალომე დავითის ას. ჭავჭავაძის (1848-1919), მეუღლე. დაკრძალულია თბილისში, მამადავითზე – 422, 497

**ოსტენ-საკენი სალომე** – იხ. **ჭავჭავაძე სალომე დავითის ას.**

**ოტია** – 241, 466

**ოღლაბჟიო** – იხ. **ოკლობჟიო ივანე**

## პ

**პ. ა.** – იხ. **ლადინსკი პეტრე**

**პავლე** – ქრისტეს მოციქული – 390

**პეტრე** – ქრისტეს მოციქული – 390

**პეტრე** – იხ. **დადიანი პეტრე**

**პეტრე ანტონის ძე** – იხ. **ლადინსკი პეტრე**

**პიერსი (პირსი)** – ამერიკელი გადამდგარი სამხედრო პირი, სამეგრელოს სამთავრო ოჯახის კუთვნილი ტყეების იჯარადარი – 124, 125, 135, 138, 139, 144, 149, 150, 166, 206, 402

**პოდოროჟკო პეტრე** – გორის მაზრის მოსამართლე (1850-იანი წწ.) – 27, 305, 306

**პოზერნი ივანე** – სახელმწიფო მოხელე, პეტრე ლადინსკის (1784-1865) ანდერძის ერთ-ერთი აღმსრულებელი. დაკრძალულია ქერჩში – 231, 274, 276, 458, 462, 499, 500

## ჟ

**ჟერამეკი** – ლუვრის სასტუმროს ეკონომოსი (მნე) – 218, 446

**ჟუკოვსკი იული** (1833-1907) – რუსი ფინანსისტი, პუბლიცისტი, სენატორი, რუსეთის სახელმწიფო ბანკის მმართველი (1889-1894) – 466

## რ

**რატიანი პროკოფი** (1914-1987) – ისტორიკოსი, ფილოლოგი – 393, 522

**რატიშვილი (რატიევი) ზურაბ** (1819-1891) – ქართლელი თავადი (თბილისის მაზრიდან), გენერალ-მაიორი, „ქშწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი – 191

**რატიშვილი (რატიევი) თადეოზ** – სავარაუდოდ, ქვიშხეთის მცხოვრები – 457

**რევაზ შალვას ძე** – იხ. **ერისთავი რევაზ შალვას ძე**

**რიჩარდი** – 12, 216, 217, 444, 445

**როზმორდუკი ჟანტი დე** – სამეგრელოში მცხოვრები ფრანგი მრეწველი, გრაფი – 61, 115, 124, 332

**რომანი** – იხ. **ჭავჭავაძე რომან (რამან, რამაზ)**

**რომანოვები** – რუსეთის სამეფო (1721 წლიდან იმპერატორთა) დინასტია – 390

**რუსთველი (რუსთაველი) შოთა** – პოეტი, ავტორი „ვეფხისტყაოსნისა“ – 398, 522

## ს

**საარუნი გამაზოვი** – იხ. **გამაზოვი საარუნი**
**საგინაშვილი ბარბარე (ბაბალე)** (1825-1870) – სამარაგდონ ორბელიანის (1786-1838) ასული, ალ. საგინაშვილის მეუღლე – 502
**საგინაშვილი მიხეილ** – კახელი თავადი (თელავის მაზრიდან) – 427
**სავანელი** – ბორჯომის ხეობის მემამულე, აზნაური – 205, 261
**სალომე** – იხ. **დადიან-მიურატი სალომე**
**სანდრო** – იხ. **ჭავჭავაძე ალექსანდრე (სანდრო) დავითის ძე**
**სარა დავითის ასული** – სცენისმოყვარე – 178, 420
**სახოკია თედო** (1868-1956) – მწერალი, ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე – 516, 518
**სემენინი** – 179, 420
**სემიონოვი (სემენოვი, სვიმონოვი) ვასილ** (1801-1863) – საიდუმლო მრჩეველი (Тайный советник), ლიტერატორი. 1847 წლიდან – კავკასიის სასწავლო უწყების ხელმძღვანელი. 1848 წლიდან – კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი. 1852 წ. იანვარში რუსეთში დაბრუნდა – 124-127, 138, 379, 380, 392
**სერჟპუტოვსკი მიხეილ** – ეკატერინე დადიანის მოვალე – 512
**სვიატოპოლკ-მირსკი დიმიტრი** (1825-1899) – გენერალ-ადიუტანტი, ინფანტერიის გენერალი, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი (1863-1867), 1875 წლიდან – კავკასიის მეფისნაცვლის თანაშემწე (მოადგილე), ხარკოვის გენერალ-გუბერნატორი (1881 წლიდან); გარდაიცვალა საფრანგეთის ქ. ნიცაში. დაკრძალულია საკუთარ მამულში, ხარკოვის ოლქის სოფელ გიევკაში – 111, 113, 122, 131, 317, 372, 373, 380
**სილაძე მიქელა** – ქვიშხეთის მოსამართლე (1860-იანი წწ.) – 230, 457
**სიჭინავა** – 174
**სობოლშჩიკოვი პეტრე** (1811-1874) – კავკასიის სამედიცინო სამ-

მართველოს უფროსი (1862-1870), „კავკასიის სამედიცინო საზოგადოების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და ორგანიზატორი – 10, 150, 403, 404

**სოლოღაშვილი მართა** (1825-1856) – ალექსანდრე შანშეს ძე ერისთავის (1812-1883) მეუღლე. დაკრძალულია იკორთაში – 488

**სოლოღაშვილი ქაიხოსრო** – ქართლელი თავადი – 427

**სოფიო** – იხ. **ჭავჭავაძე-ნიკოლაი სოფიო**

**სტარიცკი ეგორ** (1825-1899) – კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი (1862 წლიდან) – 14, 74, 269, 318, 322, 346, 496

## ტ

**ტარკოვი** – სასტუმრო სახლის მფლობელი ნოვოჩერკასკში – 215

**ტატიშვილი გიორგი** (1870-1955) – მემუარისტი, ქველმოქმედი, დიმ. ყიფიანის ოჯახთან დაახლოებული პირი (კოტე ყიფიანის ცოლისძმა). დაკრძალულია გორში – 443, 522

**ტატიშვილ-ყიფიანი ნინო** (1867-1937) – დიმ. ყიფიანის რძალი (კოტე ყიფიანის მეუღლე), პუბლიცისტი, მწერალი. დაკრძალულია ქვიშხეთში, ყიფიანების კარის ეკლესიის (ამჟამად მაცხოვრის აღდგომის დედათა მონასტრის) ეზოში – 443, 523

**ტრანჟი** – სცენისმოყვარე – 420

## უ

**უთურაშვილი იოსებ** (1915-1999) – ისტორიკოსი, ავტორი მონოგრაფიისა „დიმიტრი ყიფიანი“ (თბ.: 1989) – 384, 466, 478, 522

**უპმანი ჰერმან** – გერმანელი ბანკირი, რომელმაც 1844 წ. ჰავანაში თავისი ბანკის ფილიალი და კუბური სიგარის საწარმო დააარსა – 143

**უსლარი პეტრე** (1816-1875) – გენერალ-მაიორი, ენათმეცნიერი (ძირითადად იკვლევდა კავკასიის ხალხთა ენებს), ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი, სანქტ-პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი – 478

## ფ


**ფალავანდიშვილები** – ქართლის თავადური გვარეულობა – 424

**ფალავანდიშვილი (ფალავანდოვი) ზაქარია** (1818-1845) – იასე ფალავანდიშვილის ძმისწული, „ვეფხისტყაოსნის“ გამომცემელი (მ. ბროსესა და დ. ჩუბინაშვილთან ერთად. პეტერბურგი: 1841), გაზ. „კავკასიისა მხარეთა უწყებანის“ (1845-1846) მთარგმნელი და ფაქტობრივი რედაქტორი, მ. ბროსეს ახლო თანამშრომელი და კორესპონდენტი. დაკრძალულია მთაწმინდაზე, მამადავითის გალავანში. საფლავი დაკარგულია – 337

**ფარნაოზ** – იხ. **გელოვანი ფარნაოზ**

**ფაუსტი** (პერს.) – 421

**ფაღავა ბახვა** (გარდ. 1887) – მეგრელი თავადი – 102, 107, 111, 176, 362, 366, 418

**ფაღავა გაბრიელ** (გარდ. 1887) – მეგრელი თავადი – 102, 362

**ფაღავა გრიგოლ (გიგო)** – მეგრელი თავადი, საჭილაოს მდივანბეგი, სამეგრელოს სამთავროს უზენაესი სასამართლოს წევრი – 102, 362

**ფაღავა დუტუ** – მეგრელი თავადი – 77

**ფაღავა კონსტანტინე** – მეგრელი თავადი – 102, 362

**ფაღავა ხახუ** – მეგრელი თავადი – 77, 111

**ფაღავები** – სამეგრელოს თავადური საგვარეულო – 362

**ფერი** – დიმ. ყიფიანის ნაცნობი – 97

**ფილიპსონი გრიგოლ** (1809-1883) – გენერალ-ლეიტენანტი, კავკასიის არმიის შტაბის უფროსი (დანიშნეს 1860 წ., მომდევნო წელს იგი გასულია სამხედრო სამსახურიდან და სენატორია) – 317

**ფინო ანტუან დე** – საფრანგეთის კონსული თბილისში (1850-1870-იანი წწ.) – 8, 91, 92, 97, 125, 356, 357, 359, 380

**ფრებელიუსი** – კონსტანტინე დადიანის (1819-1889) მევალე – 456

**ფურცელაძე ანტონ** (1839-1913) – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, დაკრძალულია ქართლის სოფ. მერეთში – 324-326, 333, 401, 447, 522

## ქ

**ქავთარაძე მიხეილ** – სამხედრო პირი (1865 წ. პრაპორშჩიკია) – 182
**ქალიაშვილი ალექსი** – ქვიშხეთელი გლეხი – 203
**ქალიაშვილი დავით** – ქვიშხეთელი გლეხი – 203
**ქალიაშვილი დიმიტრი** – ქვიშხეთელი გლეხი – 203
**ქალიაშვილი ზაქარია** – ქვიშხეთელი გლეხი – 203
**ქალიაშვილი ივანე** – ქვიშხეთელი გლეხი – 203
**ქალიაშვილი სიმონ** – ქვიშხეთელი გლეხი – 203
**ქალიაშვილი სოლომონ** – ქვიშხეთელი გლეხი – 203
**ქალიაშვილი სოსია** – ქვიშხეთელი გლეხი – 203, 263, 486
**ქეთევან** – სამეგრელოს სამთავრო ოჯახის ძიძა – 197
**ქიქოძე თინათინ** (1916-1997) – ლიტერატორი, მთარგმნელი (ბალზაკი, ჰიუგო, სტენდალი, დიუმა, მორუა და სხვ.) – 517
**ქორქაშვილი ლევან** (1801-1879 წ. შემდეგ) – ქუთაისის საგუბერნიო პროკურორი, კოლეგიის მდივანი (Коллежский советник), დიმ. ყიფიანთან დაახლოებული პირი – 364
**ქორქია (ქორქიები)** – მეგრელი (ჭალადიდელი) აზნაურები – 78, 89
**ქოჩაქიძე** – თავადური საგვარეულო სამეგრელოში – 34, 313
**ქრისტე** – იხ. **იესო ქრისტე**
**ქურდაძე გიორგი** – ქვიშხეთის მამასახლისი (1860-იანი წწ.) – 457

## ღ

**ღლონტი ალექსანდრე** (1912-1999) – ენათმეცნიერი, ლექსიკოლოგი – 524

## ყ

**ყანჩელი** – ჩინოვნიკი, კოლეგიის მდივანი (Коллежский советник; 1865 წ.) – 182
**ყიფიანები** – დიმ. ყიფიანის ოჯახი და საგვარეულო შტო – 347, 394, 525
**ყიფიანი** – ბორჯომის ხეობის აზნაური – 205

**ყიფიანი ალექსი** – დიმ. ყიფიანის შვილი (გარდაიცვალა მცირეწლოვანი) – 447
**ყიფიანი** (ქალიშვილობის გვარი – **ერისთავი) ანასტასია (ტასო)** (1858-1920) – დიმ. ყიფიანის რძალი (ნიკოლოზის ცოლი; იქორწინეს 1875 წ.); გურული თავადისა და საქართველოში ჩაის კულტურის პიონერის, მიხეილ ერისთავის (1817-1870), ასული; გარდაიცვალა 1920 წ. ივლისში თბილისში, სიღარიბესა და მიუსაფრობაში – 329
**ყიფიანი არჩილ** – დიმ. ყიფიანის შვილი (გარდაიცვალა მცირეწლოვანი) – 220, 265, 447, 448, 489
**ყიფიანი ბარბარე (ბაბალე)** – დიმ. ყიფიანის შვილი (გარდაიცვალა მცირეწლოვანი) – 447, 448
**ყიფიანი გიორგი ივანეს (ქოჩოს) ძე** (1800-1874 წ. შემდეგ) – დიმ. ყიფიანის ძმა; იბრძოდა „კავკასიის ომში" (მილიციის რიგებში მონაწილეობა აქვს მიღებული დარგოსა და ანდის ექსპედიციებში). ცხოვრობდა ქვიშხეთში – 399
**ყიფიანი გრიგოლ** – დიმ. ყიფიანის ნათესავი – 269, 496
**ყიფიანი დიმიტრი** (1814-1887) – საზოგადო მოღვაწე, მწერალი, პუბლიცისტი, მკვლევარი, თეატრალი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (გადაასახლეს ვოლოგდაში), „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის" (1842-1848) დამაარსებელი, თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის დაარსების ინიციატორი, „ქშწ-კგ საზოგადოების" ერთ-ერთი დამფუძნებელი და პირველი თავმჯდომარე (1879-1882) – 2-4, 17, 24, 28, 31, 32, 35, 39, 40, 43, 52, 55, 56, 63-67, 70-72, 74, 79, 81, 83, 85, 86, 92, 95, 97, 100-102, 104, 106, 108, 110, 112, 113, 115, 116, 120, 123, 125-129, 132, 134, 136, 138, 139, 142, 144, 149, 153, 162, 165-168, 171-174, 176, 177, 187, 189, 190, 193, 195-197, 202-205, 207, 209, 212, 218, 219, 221, 223, 226, 230-232, 238, 239, 241, 242, 247, 249, 253, 255, 257, 258, 262, 265, 272, 276, 281, 284, 287, 295, 299, 300, 302-316, 319, 320-324, 325-481, 483-514-516, 519, 521-525; იხ. აგრეთვე, **დ. ყ.**
**ყიფიანი ელენე** – იხ. **ლორთქიფანიძე ელენე (ლოკა, ლოლა)**

**ყიფიანი ეფემია (ფეფენა)** – იხ. **ნიჟარაძე ეფემია (ფეფენა)**

**ყიფიანი ვასილ** (1839-1880 წ. შემდეგ) – დიმ. ყიფიანის ძმისშვილი [იოსებ ყიფიანის (1805-1841/1851) ძე] – 10, 151, 152, 406

**ყიფიანი ივანე (ქოჩო) გიორგის ძე** (გარდ. 1814) – დიმიტრი ყიფიანის მამა. ერთხანს იმერელი აბაშიძეების მოურავი იყო ქვიშხეთში, თუმცა აბაშიძეებთან კონფლიქტის გამო დატოვა სააბაშიო ტერიტორია, გადავიდა ქართლის სოფ. მერეთში და ოჯახსაც იქ მოეკიდა. სიცოცხლის ბოლო წლებში იყო ოკრიბის (იმერეთი) მოურავი. დაკრძალულია სოფ. მერეთში – 484

**ყიფიანი ივანე ზაქარიას ძე** – დიმ. ყიფიანის ბიძაშვილი – 10, 151, 152, 406, 482

**ყიფიანი იოსებ** (1805-1841/1851) – დიმ. ყიფიანის ძმა – 399

**ყიფიანი კონსტანტინე (კოტე)** (1849-1921) – მსახიობი, თეატრის თეორეტიკოსი, მწერალი, პუბლიცისტი (ფსევდ. „სანინელი“), ლექსიკოგრაფი, საზოგადო მოღვაწე, „სამოციანელთა“ საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო შეხედულებების მიმდევარი და დამცველი. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში – 347, 446, 447

**ყიფიანი ნიკოლოზ (ნიკო)** (1846-1905) – კრიტიკოსი, პუბლიცისტი, მეცნიერი, მემუარისტი, გამომცემელი, ვექილი, დიმ. ყიფიანის უფროსი ვაჟი. 1890 წლიდან ცხოვრობდა ბრიუსელში, სადაც ეწეოდა ლიტერატურულ, სამეცნიერო და პედაგოგიურ შრომას. გარდაიცვალა იქვე, იქვეა დაკრძალული – 325, 329, 350, 392, 393, 403, 410, 412, 416, 417, 454, 501, 523

**ყიფიანი ნინო ბეჟანის ას.** – იხ. **ტატიშვილ-ყიფიანი ნინო**

**ყიფიანი ნინო იაგორის (გიორგის) ას.** – იხ. **ჭილაშვილ-ყიფიანი ნინო**

**ყიფიანი ქაიხოსრო** (1795-1866) – დიმ. ყიფიანის ძმა. მონაწილეობა აქვს მიღებული იმერეთის 1819-1820 წწ. აჯანყების ჩაქრობაში, რუსეთ-ირანის 1826-1828, რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 და 1853-1856 წწ. ომებში; 1839-1840 წწ. ხეფინისხევის ბოქაულია, 1841-1851 წწ. საუბნო მსაჯულის (Участковый заседатель) თა-

ნაშემწეა, ხოლო 1851 წლიდან სურამის საბაჟო პოსტზე მსახურობს ზედამხედველის თანაშემწედ. ცხოვრობდა ქვიშხეთში, იქვე გარდაიცვალა და იქვეა დაკრძალული – 17, 202, 203, 251, 302, 399, 436, 459, 460

**ყიფიან-ნიჟარაძე ეფემია (ფეფენა)** – დიმ. ყიფიანის ბიძაშვილი (დავით გიორგის ძე ყიფიანის ას.), კონსტანტინე ნიჟარაძის მეუღლე – 347, 471, 473

**ყორღანოვი გაბრიელ** (1806-1879) – გენერალ-მაიორი, მეცენატი, თბილისის საპატიო მოქალაქე – 400

## შ

**შაკორი** – სცენისმოყვარე – 420

**შამილი** (1797-1871) – ჩრდილოკავკასიელი ხალხების მეთაური რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლაში (ეროვნებით ავარიელი), იმამი (1834 წლიდან), მიურიდიზმზე დაყრდნობით შექმნა სამხედრო-თეოკრატიული სახელმწიფო – იმამატი; 1866 წ. მიიღო რუსეთის ერთგულქვეშევრდომობა (Верноподданство); გარდაიცვალა მედინაში, დაკრძალულია იქვე – 308, 323

**შარვაშიძე გიორგი** (1847-1918) – შვილი აფხაზეთის სამთავრო სახლის წევრის, დიმიტრი (სეით-ბეი) შარვაშიძისა (1818-1858), თბილისის გუბერნატორი (1888-1897), რუსეთის სამეფო კარის კამერჰერი – 334

**შარვაშიძე მარიამ (მაკა)** – იხ. **ნიკოლაი-შარვაშიძე მარიამ (მაკა)**

**შარვაშიძე მიხეილ** – იხ. **მიხეილ (ჰამუთ-ბეი) შარვაშიძე**

**შარვაშიძე რუსუდან** – იხ. **დადიშქელიანი (შარვაშიძე-დადიშქელიანი) რუსუდან (ადილხე, ადილხან)**

**შარლვილი** – დიმ. ყიფიანის პარიზელი ნაცნობი – 218, 445

**შევცოვი გაბრიელ** – სარატოველი მეშჩანი – 215

**შენგელია რამაზ** – ქირურგი, მწერალი, პუბლიცისტი, ალპინისტი, მედიცინის ისტორიის მკვლევარი – 404, 524

**შჩერბინინა-ჭილაშვილი მარიამ** – მიხ. შჩერბინინის (1807-1881) ქა-

ლიშვილი; მეუღლის, მიხეილ (მიშელ) ჭილაშვილის (1816-1878), გარდაცვალების შემდეგ საცხოვრებლად გადავიდა პეტერბურგში – 346, 387
**შჩერბინინი მიხეილ** (1807-1881) – კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორი (1851-1856), მოსკოვის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე (1860-1865). გარდაიცვალა გერმანიაში – 346

**ჩ**

**ჩერბაჩ-ოღლუ** – 241, 466
**ჩერნიავსკი** – სამხედო პირი (1860-იან წწ. მაიორია), ინჟინერი – 255, 256
**ჩიქობავა არნოლდ** (1898-1985) – ენათმეცნიერი, აკადემიკოსი. მისი საერთო რედაქციით გამოიცა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ (I-VIII. თბ.: 1950-1964) – 523
**ჩიქოვანი (ჩიქოანი) დავით (დათა) ოტიას ძე** – სამეგრელოს მთავარ ნიკოლოზ დადიანისა და სამთავრო სახლის სახლთუხუცესი – 8, 75-77, 83, 93, 161, 201, 202, 292, 347, 352, 357-359, 432, 438, 440
**ჩიქოვანი (ჩიქოანი) დავით (დათიკა) სალიკის ძე** (გარდ. 1865) – ეკატერინე დადიანის სახლთუხუცესი – 75, 176, 292, 347, 419
**ჩიქოვანი (ჩიქოანი) მანუჩარ** – სამეგრელოს სამთავრო სახლის საქმეთა მმართველობის კანცელარიის მწერალი – 195, 207
**ჩიქოვანი (ჩიქოანი) ნიკო** – მეგრელი თავადი – 99
**ჩიქოვანი (ჩიქოანი) სიკო** – სამეგრელოს სამთავრო სახლის მოხელე, პორუჩიკი, 1865 წ. თებერვალში გარდაცვლილად იხსენიება – 177
**ჩიჩუა ბესარიონ** – იხ. **ბესარიონ ჭყონდიდელი (ჩიჩუა)**
**ჩიჩუა გიორგი** – მეგრელი თავადი – 75, 76, 78, 114, 348, 374, 510
**ჩიხლაძე ნ.** – მედიცინის ისტორიის მკვლევარი – 524
**ჩოლოყაშვილი ელენე** – გენერალ ილია ჩოლოყაშვილი (1823-1877) მეუღლე – 318
**ჩოლოყაშვილი ილია** (1823-1877) – გენერალ-მაიორი, დაიღუპა რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წწ. ომში (დაკრძალულია გიუმრში) – 318

**ჩოლოყაშვილი ლუარსაბ** (1805-1877) – ერეკლე II-ის შვილიშვილი (ეკატერინე ბატონიშვილისა (1774-1818) და გიორგი ჩოლოყაშვილის (1773-1806) ძე]. გადამდგარი პორუჩიკი. 1832 წ. შეთქმულების მონაწილე (პეტერბურგში იყო დიმიტრი ბატონიშვილის წრის წევრი, რის გამოც საგანგებოდ დაკითხა იქ შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ) – 172, 424

**ჩოლოყაშვილი ნიკოლოზ (კიკო)** (1828-1903) – თადეოზ (თადია) ჩოლოყაშვილის (1790-1839) ძე, დაკრძალულია მშობლიურ სოფ. ყარაბულახში – 318

**ჩოლოყაშვილ-ანდრონიკაშვილი ნინო** (1829-1918) – სოლომონ ანდრონიკაშვილის (1812-1868) მეუღლე. დაკრძალულია ბაკურციხის ეკლესიაში მეუღლის გვერდით – 344

**ჩუბინაშვილი ნიკოლოზ (ნიკო)** (1788-1845) – ლექსიკოგრაფი, მთარგმნელი, ქართული სიძველეების მკვლევარი. 1845 წ. იმოგზაურა პალესტინაში (აღწერა ჯვრის მონასტრის სიძველეები, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" ხელნაწერი, გადმოიღო რუსთველის პორტრეტი და სხვ.). გარდაიცვალა პეტერბურგში, დაკრძალულია იქვე, სმოლენსკის სასაფლაოზე – 471, 524

**ჩხეიძე ლევან** – იმერელი აზნაური, შორაპნის მაზრის ხარაგაულის უბნის უფროსი (1860-იანი წწ.) – 13, 251, 252, 472

**ჩხეიძე როსტომ** – მწერალი, მთარგმნელი, ლიტერატურათმცოდნე, ფოლკლორისტი, კრიტიკოსი, ბიოგრაფიული რომანების ავტორი – 330, 521, 524, 525

**ჩხეტია შალვა** (1899-1978) – ისტორიკოსი, არქივმცოდნე, საზოგადო მოღვაწე; დიდი ამაგი დასდო დიმ. ყიფიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის კვლევას – 338-340, 342, 343, 346, 352-354, 360, 373, 375-377, 385, 386, 397, 400, 430, 431, 524

## ც

**ცაიშვილი სოლომონ** (1900-1957) – ლიტერატურათმცოდნე, ფოლკლორისტი. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში – 520

**ცერცვაძე მაია** – ისტორიკოსი, ფილოლოგი, XIX ს. ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის მკვლევარი – 518

**ციციშვილები** – ქართლის თავადური საგვარეულო – 424

**ციციშვილი სარდიონ** (დაბ. 1818) – ქართლელი თავადი (გორის მაზრიდან), საგუბერნიო მდივანი (Губернский секретарь; 1860-იანი წწ.) – 181, 185

## ძ

**ძიუბენკო ვასილ** – თბილისის სამხედრო-საგუბერნიო მმართველობის ჩინოვნიკი (1850-იანი წწ.), ერევნის ვიცე-გუბერნატორი (1860-იანი წწ.) – 19

## წ

**წერეთელი აკაკი** (1840-1915) – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე – 412, 515, 524

**წერეთელი ასლან** – ქართლელი თავადი (გორის მაზრიდან) – 181, 185

**წერეთელი ატატო** – 128

**წერეთელი ნესტორ** (1830-1883) – ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი 1861-1867 და 1876-1883 წწ.; გენერალ-მაიორი, „ქშწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, ბიბლიოფილი. გარდაიცვალა 1883 წ. ნოემბერში, საჩხერეში – 128

**წვიმიტიძე** – გვარი, რომლითაც 1864 წ. თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის არჩევნებზე გრ. ორბელიანმა დიმ. ყიფიანი მოიხსენია – 401

**წულაია ერმოლაოზ** – გამომცემელი – 518

**წულუკიძე** – ელიზბარ დადიანის (გარდ. 1863) მეუღლე – 438

## ჭ

**ჭავჭავაძე ალექსანდრე გარსევანის ძე** (1786-1846) – პოეტი,

მთარგმნელი, გენერალ-ლეიტენანტი, 1804 წლის მთიულეთის აჯანყებისა და 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (ორჯერვე ტამბოვში გადაასახლეს). დაკრძალულია კახეთის ახალი შუამთის მონასტერში – 422, 517, 519

**ჭავჭავაძე ალექსანდრე (სანდრო) დავითის ძე** (1853-1900) – დავით ჭავჭავაძის (1818-1884) შვილი. დამთავრებული ჰქონდა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტი. გარდაიცვალა ბაქოში, დაკრძალეს თბილისში, დიდუბის ეკლესიის გალავანში – 179, 420, 422

**ჭავჭავაძე ანა** – იხ. **ბაგრატიონ-გრუზინსკაია ანა**

**ჭავჭავაძე გარსევან** (1757-1811) – პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი, იცავდა 1783 წ. ტრაქტატით გათვალისწინებულ დამოუკიდებლობას ქართლ-კახეთის საშინაო ცხოვრებაში, რისთვისაც პეტერბურგში გადაასახლეს. იქვე გარდაიცვალა და იქვეა (ალექსანდრე ნეველის ლავრაში) დაკრძალული – 384

**ჭავჭავაძე დავით** (1818-1884) – გენერალ-ლეიტენანტი, იმპერატორის ფლიგელ-ადიუტანტი, ალ. ჭავჭავაძის (1786-1846) ძე, მეუღლესთან, ანა ილია ბატონიშვილის ასულთან (1828-1905), ერთად დაკრძალულია კახეთში, ახალი შუამთის მონასტერში – 46, 56, 113, 118, 175, 180, 183, 185, 268, 271, 294, 323, 329, 331, 371, 373, 376, 400, 417, 418, 422, 423, 441, 495, 497, 508, 512

**ჭავჭავაძე ეკატერინე ალექსანდრეს ას.** – იხ. **ეკატერინე დადიანი**

**ჭავჭავაძე ეკატერინე (მარუცა) გულბაათის (პანტელეიმონის) ას. – იხ. მაყაშვილი მარიამ (მარუცა)**

**ჭავჭავაძე ელენე** (1850-1929) – დავით ჭავჭავაძის (1818-1884) ასული, მეუღლე გენერალ ნიკოლოზ ასტაფიევისა (1841-1889; გარდაიცვალა თბილისში) – 179, 422

**ჭავჭავაძე ზაქარია** (1824-1905) – გულბაათ (პანტელეიმონ) ჭავჭავაძის (1796-1863) ძე, გენერალ-ლეიტენანტი, „ქშწ-კგ საზოგადოების" დამფუძნებელი წევრი. დაკრძალულია წინანდალში – 418

**ჭავჭავაძე თამარ** – იხ. **გრუზინსკაია (ბაგრატიონ-გრუზინსკაია) თამარ**

**ჭავჭავაძე ილია** (1837-1907) – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, ბანკირი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე – 300, 352, 360, 371, 472, 515, 516, 518, 525

**ჭავჭავაძე იოსებ (სოსიკო)** (1824-1860) – კახელი თავადი – 176, 418

**ჭავჭავაძე მარიამ** – ეკატერინე დადიანის ნათესავი – 502

**ჭავჭავაძე მარიამ (კაკო, მაკო) დავითის ას.** (1849-1921) – დავით ჭავჭავაძის (1818-1884) ასული, გენერალ ზაქარია ჭავჭავაძის (1824-1905) მეუღლე, ბავშვობაში შამილთან ტყვედ ნამყოფი (1854-1855 წწ.) – 175, 179, 418, 422

**ჭავჭავაძე მარიამ (მაია, მაიკო) იაკობის ას.** – იხ. **ბარათაშვილ-ჭავჭავაძე მარიამ (მაია, მაიკო)**

**ჭავჭავაძე ნატალია** – იხ. **ბარათაშვილ-ჭავჭავაძე ნატალია**

**ჭავჭავაძე ნიკოლოზ (ნიკო)** (1830-1903) – იურისტი, მოსამართლე, ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი (Действительный статский советник). საზოგადო მოღვაწე (თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის დამაარსებელი კომიტეტის წევრი, „ქშწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი). გარდაიცვალა თბილისში. დაკრძალულია იქვე, იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის გალავანში – 112, 118, 371, 524

**ჭავჭავაძე რომან (რამან)** (1806-1888) – შტაბს-კაპიტანი, ნახსენებია 1832 წ. შეთქმულების მასალებში (ახლო ურთიერთობა ჰქონდა შეთქმულ პეტრე ზავილეისკისთან) – 176, 418

**ჭავჭავაძე სალომე ივანეს (იოანეს) ას.** – იხ. **ორბელიან-ჭავჭავაძე სალომე**

**ჭავჭავაძე სალომე დავითის ას.** (1848-1919) – დავით ჭავჭავაძის (1818-1884) ასული, მეუღლე მაქსიმილიან ოსტენ-საკენისა (1833-1884) – 11, 177, 178, 419-422, 497

**ჭავჭავაძე-გრიბოედოვა ნინო** (1812-1857) – ალექსანდრე ჭავჭავაძის (1786-1846) ას., დაკრძალულია მთაწმინდაზე მეუღლის, ალ. გრიბოედოვის (1795-1829), გვერდით – 516

**ჭავჭავაძე-ნიკოლაი სოფიო** (1833-1862) – ალ. ჭავჭავაძის უმცროსი ქალიშვილი, ბარონ ალ. ნიკოლაის მეუღლე. გარდაიცვალა კიევ-

ში. დაკრძალულია ქმრის მამულში, ქ. ვიბორგში – 63, 323, 334, 373, 379, 441, 449

**ჭავჭავაძეები** – კახელი თავადები – 113

**ჭილაია სერგი** (1912-1993) – ფილოლოგი, მწერალი, მემუარისტი. დაკრძალულია თბილისში, ვერის სასაფლაოზე – 333, 370, 525

**ჭილაშვილი ელისაბედ (ლიზა)** – იხ. **ნაზოროვა ელისაბედ (ლიზა)**

**ჭილაშვილი (ჭილაევი, ჩილაევი, ჩილიაევი) იაგორ (გიორგი)** (1790-1838) – იურისტი, მწერალი, მთარგმნელი, ალ. ლაბზინის მასონური ლოჟის „მომაკვდავი სფინქსი" წევრი [პეტერბურგი; იმავე ლოჟის წევრები იყვნენ მისი ძმებიც: ბორის (ბაბანა) და კონსტ. ჭილაშვილები (ჩილიაევები)], თვალსაჩინო ფიგურა 1820-1830 წწ. საქართველოში (საქართველოს უმაღლესი მთავრობის პროკურორი, თბილისის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიის მმართველი და სხვ.), დიმ. ყიფიანის სიმამრი; გარდაიცვალა ლენქორანში, იქვეა დაკრძალული – 306

**ჭილაშვილი (ჩილაევა, ჩილიაევა) მარიამ** – იხ. **შჩერბინინა-ჭილაშვილი მარიამ**

**ჭილაშვილი (ჭილაევი, ჩილაევი, ჩილიაევი) მიხეილ (მიშელ)** (1816-1878) – საიდუმლო მრჩეველი (Тайный советник), დიმ. ყიფიანის ცოლისძმა. დაკრძალულია მილახვრიანთკარში – 73, 78, 111, 113, 133-135, 161, 165, 166, 207, 345, 363, 370, 372-374, 378, 387, 389, 409, 412, 437, 438

**ჭილაშვილ-ნაზოროვა ელისაბედ (ლიზა)** – დიმ. ყიფიანის ცოლისდა – 57, 329

**ჭილაშვილ-ყიფიანი ნინო** (1827-1902) – დიმ. ყიფიანის მეუღლე. გაიზარდა პეტერბურგში, იქვე დაამთავრა სმოლნის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი. გარდაიცვალა ქვიშხეთში. დაკრძალულია მთაწმინდაზე, მეუღლის გვერდით – 58, 112, 115, 136, 138, 139, 220, 265, 295, 308, 310, 324, 329, 330, 374, 389, 392, 393, 420, 447, 471, 489

**ჭოჭუა გოჯასპირ** – კომერსანტი – 79

**ჭუმბურიძე მანანა** – ისტორიკოსი, მკვლევარი – 369, 370, 525

**ჭუმბურიძე ჯუმბერ** (1921-2012) – ლიტერატურათმცოდნე, ძირითადად იკვლევდა XIX საუკუნის ქართული ლიტერატურისა და სალიტერატურო კრიტიკის ისტორიას – 521

## ხ

**ხარაზოვი სტეფანე** – 98

**ხელთუბნელი** (ნამდვილი გვარი – **თუმანიშვილი) მიხეილ** – მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილის (1818-1875) შვილიშვილი, XIX ს. ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის მკვლევარი – 337, 341, 360, 525

**ხელიძე გიორგი** – სასულიერო პირი, ჟურნალ „საქართველოს სასულიერო მახარებლის" (1864-1868) რედაქტორ-გამომცემელი – 367, 525

**ხვიტიები** – მეგრელი აზნაურები – 290

**ხირსელიშვილი (ხირსელი, ხირსელოვი) იერემია** – სასულიერო პირი (1865 წ. მღვდელია), აზნაური – 183

**ხორავა ბეჟან** – ისტორიკოსი, ძირითადად იკვლევს დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთი, სამეგრელო) ისტორიასთან დაკავშირებულ პრობლემატიკას – 516

**ხოშტარია თევდორე (თედო)** (1832-1882 წ. შემდეგ) – სასულიერო პირი, მემუარისტი, ეკატერინე დადიანის შვილების აღმზრდელი – 369, 370, 525

**ხუნდაძე სიმონ** (1894-1933) – ლიტერატურათმცოდნე, ისტორიკოსი, პოლიტიკური მოღვაწე (სოციალისტ-ფედერალისტი) – 384, 388, 397, 466, 525

**ხუციშვილი სოლომონ** (1908-1995) – ლიტერატურათმცოდნე, საზოგადო მოღვაწე – 412, 521, 525

**ხრუშჩოვი** – გორის სამაზრო მმართველობის მდივანი – 27

## ჯ

**ჯავახიშვილები** – ქართლის ფეოდალური და XIX ს. აზნაურებად ჩამოქვეითებული გვარეულობა – 424

**ჯავახიშვილი (ჯავახოვისა)** – ეკატერინე დადიანის ოჯახის ახლობელი – 502

**ჯავახიშვილი კონსტანტინე** – 1860-იან წწ. კოლეგიის რეგისტრატორის (Коллежский регистратор) ჩინით კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს კანცელარიის მოხელედ მსახურობდა – 272

**ჯამბაკურ-ორბელიანი** – იხ. **ორბელიანი**

**ჯანდიერი ლევან** (1848-1921) – ჟურნალისტი (ფსევდ. „ჭიჩოელი“), მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე, სახელმწიფო მოხელე (სხვადასხვა დროს: თიანეთისა და თბილისის მაზრების უფროსი, ერევნის ვიცე-გუბერნატორი, სოხუმის ოლქის უფროსი), „ქშწ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი, თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის დირექტორი (1909), დაკრძალულია მშობლიურ სოფ. ვაჩნაძიანში (გურჯაანთან) – 420

**ჯიბრაილი** – იხ. **აბაშიძე ჯიბრაილ**

**ჯოლოგუა თამაზ** – XIX ს. ქართული ლიტერატურის, ჟურნალისტიკისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის მკვლევარი – 3, 4, 315, 337, 339, 340, 350, 385, 394, 452, 477, 501, 516, 521-526; იხ. აგრეთვე: **თ. ჯ.**

**ჯორჯაძე არჩილ** (1872-1913) – პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, „საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი ფაქტობრივი მეთაური. გარდაიცვალა ბათუმში. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში – 313, 314, 331, 335, 384, 466, 526

**ჯორჯაძე დიმიტრი** (1821-1883) – საიდუმლო მრჩეველი (Тайный советник), მეფისნაცვლის საბჭოს წევრი, 1854-1872 წწ. მსახურობდა დაღესტანში; თბილისის სათავადაზნაურო ბანკის დამაარსებელი კომიტეტის წევრი (1867), „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკისა“ (1842-1848) და „ქშწ-კგ საზოგადოების“ დამ-

ფუძნებელი წევრი, „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების“ თავმჯდომარე; გარდაიცვალა მშობლიურ სოფ. ენისელში, დაკრძალულია გრემის მთავარანგელოზის ეკლესიაში – 118

**ჯორჯაძე იოსებ** (1813-1879) – გენერალ-მაიორი, რუსეთ-ოსმალეთის 1853-1856 და 1877-1878 წწ. ომების მონაწილე, თელავის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი 1860-იან წწ. – 339, 344, 375, 376

**ჯორჯაძე სალომე** – კახელი თავადიშვილი (სიღნაღის მაზრიდან) – 183

**ჯორჯაძეები** – კახელი თავადები – 113

### ჰ

**ჰაჯი-მურთუზი** – ზაქათალის 1863 წ. ივნისის აჯანყების მეთაური, რუსეთის არმიის ყოფილი ოფიცერი (შტაბს-კაპიტანი. „კავკასიის ომში“ იბრძოდა რუსეთის მხარეს). გადაასახლეს ციმბირში, ენისეის გუბერნიაში, გარდაიცვალა იქვე – 377

**Авалов З. Д.** – 427; იხ. აგრეთვე: **ავალიშვილი ზურაბ დიმიტრის ძე**

**Александрова** – 40

**Андреевские** – 518; იხ. აგრეთვე: **ანდრეევსკი ერასტი, თუმანიშვილ-ანდრეევსკაია ბარბარე**

**Андроников С. Д.** – 492; იხ. აგრეთვე: **ანდრონიკაშვილი სიმონ**

**Багратиони П. Р.** – 310; იხ. აგრეთვე: **ბაგრატიონი პეტრე**

**Барятинский А. И.** – 518; იხ. აგრეთვე: **ბარიატინსკი ალექსანდრე**

**Белой Е. Т.** – 233; იხ. აგრეთვე: **ბელოი ევგენი**

**Варвара Багратовна** – 173; იხ. აგრეთვე: **ბაგრატიონ-გრუზინსკაია ბარბარე (ვარვარა)**

**Витте И. Ф.** – 409; იხ. აგრეთვე: **ვიტე იული**

**Гагенторн Н. Х.** – 486; იხ. აგრეთვე: **გაგენტორნი ნიკოლოზ**
**Гогниевы** – 427; იხ. აგრეთვე: **გოგნიაშვილები (ალექსანდრე, ზაქარია, პაატა, სოლომონ)**
**Григорий Павлович** – 488; იხ. აგრეთვე: **ერისთავი გრიგოლ შანშეს ძე**

**Д. К.** – 368; იხ. აგრეთვე: **Кипиани Д. И.**
**Давидов В. А.** – 57; იხ. აგრეთვე: **დავიდოვი ვლადიმერ**
**Дадиани Г. Л.** – 61; იხ. აგრეთვე: **დადიანი გრიგოლ**
**Дадиани Е. А.** – 463; იხ. აგრეთვე: **ეკატერინე დადიანი**
**Дадиани Н. Д.** – 463; იხ. აგრეთვე: **დადიან-მინგრელსკი ნიკოლოზ (ნიკო)**
**Дмитрий Вахтангович** – 57; იხ. აგრეთვე: **დიმიტრი ვახტანგის ძე**
**Дункель-Веллинг Н.** – 518; იხ. აგრეთვე: **დუნკელ-ველინგი ნიკოლოზ**

**Евдокия Гавриловна** – იხ. **Мердер Е. Г.**
**Елизбар Павлович** – 453; იხ. აგრეთვე: **ერისთავი ელიზბარ**
**Еристов Д. Г.** – 518; იხ. აგრეთვე: **ერისთავი დავით გიორგის ძე**

**Зиссерман А. Л.** – 518; იხ. აგრეთვე: **ზისერმანი არნოლდ**

**Кипиани Д. И.** – 307, 309, 321, 342, 349, 357, 359, 360, 369, 376, 387, 394, 404, 406, 413, 414, 427, 430, 433, 435-437, 459, 463, 468, 474, 477, 485, 508; იხ. აგრეთვე: **ყიფიანი დიმიტრი**
**Кипиани К. И.** – 436; იხ. აგრეთვე: **ყიფიანი ქაიხოსრო**

**Ладинский П. А.** – 500; იხ. აგრეთვე: **ლადინსკი პეტრე**

Мария Давидовна – 422; იხ. აგრეთვე: **ჭავჭავაძე მარიამ (კაკო, მაიკო)**
Мария Ивановна – 57; იხ. აგრეთვე: **მარია ივანეს ასული**
Мария Николаевна – 57; იხ. აგრეთვე: **მარია ნიკოლოზის ასული**
Мария Федоровна – 500; იხ. აგრეთვე: **მარია თედორეს ასული**
Масс Э. – 479; იხ. აგრეთვე: **მასი ერნსტ**
Мердер Е. Г. – 57, 59, 134; იხ. აგრეთვე: **მერდერი ევდოკია**
Мингрельский Н. Д. – 357, 461, 474, 477, 490, 506; იხ. აგრეთვე: **დადიან-მინგრელსკი ნიკოლოზ (ნიკო)**

Пурцеладзе А. Н. – 522; იხ. აგრეთვე: **ფურცელაძე ანტონ**

Сагинов – 427; იხ. აგრეთვე: **საგინაშვილი მიხეილ**
Солагов – 427; იხ. აგრეთვე: **სოლოღაშვილი ქაიხოსრო**

Тулаев В. Д. – 522; იხ. აგრეთვე: **თულაშვილი ვახტანგ**

Хелидзе Г. – 525; იხ. აგრეთვე: **ხელიძე გ.**

Чиковани (Чикоани) Д. О. – 357, 358; იხ. აგრეთვე: **ჩიქოვანი (ჩიქოანი) დავით ოტიას ძე**
Чхетия Ш. К. – 397, 400, 430; იხ. აგრეთვე: **ჩხეტია შალვა**

Эксельбирт М. Г. – 518; იხ. აგრეთვე: **ექსელბირტი მ.**
Эксельбирты – 479, 480; იხ. აგრეთვე: **ექსელბირტები**

Alleaume L. – 327; იხ. აგრეთვე: **ალომი ლუი**
Durand – 253, 469, 474; იხ. აგრეთვე: **დიურანი**
Gowen J. E. – 374; იხ. აგრეთვე: **გოვენი ჯონ ე.**

## გეოგრაფიულ სახელთა

აბასთუმანი (აბასტუმანი) (სამეგრელოსი) – 61, 98, 107, 189, 195, 332, 426, 432
ადალუმი (ადაგუმი) – 319
ავსტრალია – 107
ავსტრია – 451, 453
ალაზანი – 72, 493
ამბროლაური – 436
ამერიკა – 103
ამიერკავკასია – 12, 29, 30, 44, 212, 214, 215, 235, 306, 311, 313, 326, 340, 342, 354, 361, 377, 398, 442, 477-478, 517
ანაკლია – 115
არქიელის გორა – 372
აფრიკა – 107
აფხაზეთი – 366
ახალდაბა – 151, 260, 261

ბადენ-ბადენი – 197
ბაკურციხე – 344
ბანძა – 362
ბაქო – 129, 382
ბენოი – 317
ბერლინი – 246, 318
ბესარაბია – 349
ბორდო – 452
ბორჩალო – 407
ბორჯომი – 17-20, 24, 32, 79, 80, 123, 141, 177, 205, 208, 219, 249,

260, 263, 268, 270, 272, 273, 277-279, 302, 349, 350, 378, 395, 409, 419, 446, 471, 481, 482, 484, 486, 495, 497, 503, 504
ბუინაქსკი (თემირხანშურა) – 319

განარჯიის მუხური – 114, 290
გერმანია – 333, 451, 452
გომბორი – 420
გორდი – 107, 176, 281, 284, 286, 293, 364, 419, 505-508, 511
გორი – 7, 24, 67, 68, 86, 100, 105, 142, 168, 181, 182, 184, 202, 211-213, 219, 226, 228, 249, 251, 303, 305, 319, 344, 373, 375, 397, 407, 414, 436, 452, 453, 456, 473, 475, 482, 487, 488
გურია – 96, 97, 290
გურჯაანი – 493

დაღესტანი – 118, 317
დვირი – 263
დონი – 214, 215, 224, 465
დრეზდენი – 322, 332
დუშეთი – 14, 279, 280, 465, 504, 505

ევროპა – 332, 333, 453
ენგური – 78
ერევანი – 349
ესპანეთი – 333

ვენა – 126, 219, 221, 448
ვიბორგი – 334, 517
ვლადიკავკაზი – 309

ზაქათალა – 119, 376
ზედა ჭყვიში – იხ. ჭყვიში (რაჭისა)
ზედუბანი – 251, 252, 436
ზვარე – 251, 252, 436
ზუგდიდი – 52, 56, 76, 77, 86, 89-93, 95, 98, 101, 103, 106, 108, 109, 113, 115, 116, 133, 176, 187, 204, 221, 225, 228, 245, 256, 264, 286, 290, 299, 321, 332, 355-358, 360, 361, 363, 364, 366, 367, 389, 426, 437, 455, 460, 469, 476, 477, 527

თბილისი – 3, 7, 9-13, 17, 90, 116, 145, 194, 198, 209, 212, 219, 232, 258, 301-307, 309, 310, 319, 324-326, 331, 339, 340, 344, 346, 349, 350, 357, 362, 364, 367-369, 371, 373, 375, 390, 395-399, 403, 405-408, 414, 415, 423, 426, 428-431, 433, 434, 440-442, 446-451, 459, 462, 466, 471, 472, 477, 479, 480, 484, 485, 487, 489, 493, 496, 504, 513, 515, 516, 518, 520; იხ. აგრეთვე: თფილისი, ტფილისი
თფილისი – 301, 353, 504, 513; იხ. აგრეთვე: თბილისი, ტფილისი
თეკლათი – 291
თელავი – 67-69, 100, 105, 118, 119, 175, 176, 179, 181, 183, 212, 339, 344, 373, 375, 376, 397, 407, 414, 417, 418, 420-422, 472
თემირხანშურა – იხ. ბუინაქსკი (თემირხანშურა)
თურჩუ – 291

იალტა – 339
იკორთა – 488
იმერეთი – 233, 265, 436
ინგლისი – 121
ინტერლაკენი (ინტერლაკი) – 81, 351

იტალია – 233
იტრია – 302

კავკასია – 10, 13, 18, 28-31, 42, 43, 50, 53, 93, 97, 103, 108, 136, 150, 165, 169, 180, 193, 195-198, 201, 220, 249, 250, 255, 268, 278, 279, 302, 305-309, 311-315, 319, 320, 322, 323, 326, 333, 339, 342, 343, 346, 349, 351, 357, 358, 361-364, 366, 367, 372, 376, 379, 382, 384, 385, 390, 403, 404, 409, 410, 412, 414, 424, 426, 427, 433-435, 442-444, 449-451, 456, 459, 461, 467, 471, 476, 478, 485, 496, 504, 505, 513, 517, 519, 524
კახეთი – 64, 112, 113, 175, 177, 186, 312, 317, 335, 336, 339, 346, 365, 366, 371, 373, 376, 384, 385, 390, 397, 401, 417, 419, 422, 423, 425, 524
კიევი – 334
კუკია – 471
კუმისი – 339
კურლანდია – 409
ლეჩხუმი – 77, 170, 172, 201, 202, 229, 245, 264, 323, 368, 476
ლიახვი – 224, 520
ლონდონი – 81, 83, 144
ლუვრი – 105, 126, 446
ლუხვანო – 264

მადეირა (მადერა) – 194, 431
მამადავითი – 422, 447; იხ. აგრეთვე: მთაწმინდა
მარსელი – 216, 217, 445
მარტვილი – 367, 459, 501
მენგრელია (მეგრელია) – 56, 63, 73-76, 86, 90-91, 104, 107, 114,

139, 149, 166, 175, 176, 188, 196, 204, 225, 240, 346, 358, 433, 437, 465; იხ. აგრეთვე: სამეგრელო, ოდიში
მერეთი – 484
მთაწმინდა – 422, 447, 448, 519; იხ. აგრეთვე: მამადავითი
მილახვრიანთკარი – 346
მიტარბი – 205
მონასტერი – 151, 261
მოსკოვი – 222, 309, 372, 393
მტკვარი – 443, 482
მური – 161, 195, 204, 437

ნაქალაქევი – იხ. ნოქალაქევი (ნაქალაქევი)
ნიჟნი-ნოვგოროდი – 462
ნიცა – 390
ნოვგოროდი – იხ. ნიჟნი-ნოვგოროდი
ნოვგოროდ-სევერსკი (სევერსკი) – 319
ნოვოჩერკასკი – 215
ნოქალაქევი (ნაქალაქევი) – 149, 329

ოდესა – 103, 219, 221, 374, 478, 479
ოდიში – 82, 83, 123, 135, 170, 172, 208, 240, 461, 462; იხ. აგრეთვე: მენგრელია (მეგრელია), სამეგრელო
ორბელი – 264
ორპირი – 245
ოსმალეთი – 476
ოცარცე – 90, 291

პავლოვსკი – 62

პალიასტომი (პალეოსტომი) – 78
პარიზი (პარიჟი) – 64, 78, 83, 103, 104, 110, 112, 126, 129, 217, 218, 221, 223, 227, 228, 240, 345, 369, 370, 380, 443, 445-448, 452, 488
პეტერბურგი (პეტერბურლი, პეტერბურხი) – 32, 33, 35, 36, 39, 40, 48-51, 56-57, 62, 97, 101, 104, 110, 113, 124, 137-139, 144, 149-151, 161, 216, 218, 219, 228, 231, 233, 239, 241, 243, 244, 254, 303, 304, 308-310, 314, 318-320, 322, 323, 329, 330, 334, 335, 339, 342, 346, 348, 351, 369, 372, 379, 385, 386, 390-393, 396, 403-405, 410, 414, 416, 422, 443, 444, 455, 459-461, 465, 466, 476, 519, 520
პეტროგრადი – 422; იხ. აგრეთვე: პეტერბურგი (პეტერბურლი)
პეტროვკა – 457
პოლტავა – 496
პორტუგალია – 431
პრუსია – 223, 451, 453
პუშკინი – 310

ჟენევა – 58

რაჭა – 436
რედუტ-კალე – იხ. ყულევი (რედუტ-კალე)
რიონი – 288, 468
რიყე (ზუგდიდისა) – 290
როსტოვი – 224
რუსეთი – 167, 304, 310, 330, 390, 393, 405, 410, 424, 425, 438, 443, 458, 461, 462, 468, 476, 496, 515

სააბაშიო – 260, 484
საკირე – 263
სალიპარტიო (სალიპარტიანო) – 291
სალხინო – 107
სამეგრელო (სამენგრელო) – 34, 35, 37, 40, 41, 43, 46-48, 60, 64, 70, 93-95, 98, 99, 109, 110, 149, 151, 167, 169, 172, 199-202, 221, 233-238, 246, 248, 264, 284, 290, 291, 309, 313-315, 321-323, 327, 329, 331, 332, 340, 344-348, 351, 355, 357, 358, 360, 362, 363, 367-370, 372-374, 378, 380, 382, 387, 389, 405, 408, 409, 412, 414, 416, 417, 426, 427, 431, 435, 437, 438, 443, 449, 455, 458, 460, 461, 464, 465, 468-470, 475-478, 501, 509, 510, 514, 516, 518; იხ. აგრეთვე: მენგრელია (მეგრელია), ოდიში
სანქტ-პეტერბურგი (ს.-პეტერბურგი) – იხ. პეტერბურგი
საფრანგეთი (ფრანცია) – 333, 356, 357, 380, 390, 501, 518, 528
საქართველო – 1, 4, 34, 39, 104, 122, 132, 137, 140, 299, 304, 306, 312, 327, 329, 336, 338, 339, 341-343, 346, 349, 351-354, 360, 364, 375-377, 381, 386, 393-395, 397, 400, 401, 405, 416, 461, 515, 517, 518, 520, 524, 525, 527, 528
საყდრისყანა (საყდრის-ყანა) – 201
საჭილაო – 128
სევერსკი – იხ. ნოვგოროდ-სევერსკი
სენაკი – 77, 102, 245, 264, 476
სენ-ჟერმენი – 89
სვანეთი – 323, 332, 368, 516
სიღნაღი (სიღნახი) – 15, 67-69, 84, 100, 105, 119, 175, 181, 183, 295, 339, 344, 353, 373, 375, 397, 399, 407, 414, 416-418, 493, 513
სოფია – 310
სოხუმი – 351

სპარსეთი – 318, 462
სტავროპოლი – 240, 309, 448
სტამბოლი – 219
სურამი – 65, 66, 77, 79, 81, 140, 142, 203, 213, 219, 224, 349, 481, 482

ტაშისკარი – 151, 261, 484
ტეზერი – 484
ტფილისი – 17, 24, 28, 30, 31, 43, 45, 48, 49, 51-54, 56, 58, 62, 63, 103, 105, 107, 109, 110, 112-114, 116, 119, 122, 126, 131, 133, 135, 137, 139-141, 145, 150, 151, 153, 161, 163, 165, 167, 168, 172-174, 176, 179, 181-187, 194, 196, 198, 203, 207, 209-213, 219-221, 223, 224, 232, 239, 242, 248-252, 254, 258, 271, 275, 294, 301-306, 308, 309, 325, 326, 328, 331, 334, 336, 337, 340, 349, 350, 367, 369-371, 373, 374, 384, 387, 389, 391-393, 395, 397, 404, 407, 408, 411, 413, 415, 417, 419, 423-425, 428, 429, 431, 432, 442, 448, 460, 464, 466, 471-473, 476, 480, 487, 497, 498, 517-520, 523-525; – იხ. აგრეთვე: თბილისი, თფილისი

უდაბნო (გურიისა) – 286

ფაქუში – 291
ფაწა – 520
ფეოდოსია – 457, 458, 462
ფოთი – 83, 115, 144, 149, 209, 210, 217, 219, 221, 244, 245, 282, 285, 318, 351, 468
ფონა – 302
ფრანკფურტი – 254, 475

ფრანცია – იხ. საფრანგეთი (ფრანცია)
ფრონე – 520

ქართლი – 64, 312, 335, 336, 339, 346, 365, 366, 376, 384, 385, 390, 397, 401, 484
ქერჩი – 221, 224, 457, 462
ქვიშხეთი – 12, 81, 85, 122, 140, 142-144, 149, 151, 203-207, 213, 219, 224-230, 257, 258, 261, 263, 264, 287, 293, 294, 336, 338, 347, 349, 350, 352, 374, 377, 392, 394-396, 402, 436, 437, 439, 447, 448, 450, 451, 453-457, 471, 479, 480, 484, 489, 508-510, 525
ქოდალო (ქოდალა) – 365, 399
ქორეისუბანი – 114
ქსანი – 488
ქუთაისი – 72-74, 79, 99, 114, 121, 124, 125-129, 131, 133, 151, 175, 206, 208, 210, 221, 251, 253, 254, 257, 266, 269, 286, 292, 318, 345, 348, 351, 364, 368, 372-374, 379, 380-383, 386, 418, 449, 455, 471, 473-478, 490, 496, 501, 514

ყაზბეგი (ყაზიბეგი) – 240
ყირიმი – 219, 319
ყუბანი – 317, 319, 473
ყულევი (რედუტ-კალე) – 115, 244, 468

შავი ზღვა – 244
შვეიცარია – 351
შორაპანი – 251, 472

ჩაჩნეთი (ჩაჩანი) – 317
ჩუმათელეთი – 302

ცარსკოე-სელო (ცარსკი სელო) – 29-32, 35-37, 40, 43, 228, 306-315, 320, 324, 330, 393, 455
ციმბირი – 456, 494
ცხენისწყალი (ცხენის წყალი) – 161, 206, 351

წინანდალი – 112, 175, 420, 422, 497
წიფა – 302

ჭალადიდი – 78, 124, 135, 139, 149
ჭურია – 115, 124, 131, 135, 139, 166, 206
ჭყვიში (რაჭისა) – 201, 436

ხარაგაული (ხორაგოული) – 251, 472
ხარკოვი – 309
ხაშური – 525
ხიდისთავი (ქართლისა) – 481, 482
ხობი (ხოფი) – 367, 438
ხობისწყალი (ხოფის წყალი, ხოპი) – 206, 207, 438, 468
ხორაგოული – იხ. ხარაგაული
ხუნწი – 206

ჯეჯორა – 520

ჰამბურგი (ჰომბურგი, ჰომბურხი, ჰომბურლი) – 81, 112, 135, 139, 161, 187, 197, 218, 243, 248, 449, 452-454, 479

Грузия – 397, 400, 430
Закавказье – 354, 479, 518
Италия – 233
Кавказ – 97, 164, 432, 435, 515, 519
Мингрелия – 60, 357, 360,
Москва – 301
Петербург – 61, 97
Сурами – 77
Тифлис – 61, 62, 77, 301, 337, 518, 519

Louvre – 105
Odessa – 374

დაიბეჭდა შპს „ფავორიტი სტილში“

საქართველო, თბილისი, ა. ენუქიძის ქ. №5
032 2 500 580

9 789941 092919